ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად

წმიდა ოთხთავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელმწიფო ეროვნული
ბიბლიოთეკა

09.07.2021 წელი

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარეპისკოპოსი ამბერკი (ტაუშევი)

სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად

* * *

წმიდა ოთხთავი

თბილისი
2014

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსულიდან თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვიქტორ დავითაშვილისა

ტექნიკური რედაქტორი ალექსი შოშიაშვილი

გამოსაცემად მოამზადა
ქრისტიანული სარწმუნოებისა და
მართლმადიდებლური აღმსარებლობის
გამავრცელებელმა საზოგადოებამ „ფერისცვალება“

რეცენზირებულია საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალური
მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და
რეცენზირების დეპარტამენტის მიერ და
ნებადართულია გამოსაცემად!

	სსიპ ბიბლიოთეკა	სრ №
	23.09.13	511

დეპარტამენტის თავმჯდომარე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

© გამომცემლობა „ალილო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესახებ

წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნები ეწოდება იმ წმინდა წიგნების კრებულს, რომლებიც ბიბლიის შემადგენლობაში შედის და რომლებიც დაწერილია ქრისტეს შობის შემდგომ, – სულიწმიდის შთაგონებით უფალ იესო ქრისტეს მოწაფეების ანუ წმინდა მოციქულების მიერ.

ახალი აღთქმის წმინდა წიგნების მიზანი და მათი შინაარსი

ახალი აღთქმის წმინდა წიგნები დაწერილია წმინდა მოციქულების მიერ იმ მიზნით, რომ გადმოგვცენ ადამიანების ცხონების განგებულება, აღასრულებული განკაცებული ძე ღვთისას, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. ამ უმაღლესი მიზნის შესაბამისად მოგვითხრობენ ისინი ძე ღვთისას განკაცების უდიდესი მოვლენის, მისი მიწიერი ცხოვრების,. სწავლების, სასწაულების, მისი გამომსყიდველი ვნებებისა და ჯვარზე სიკვდილის, ბრწყინვალე აღდგომის, ზეცად ამაღლებისა და ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების დაწყების შესახებ და, ამასთან, გვაფრთხილებენ სამყაროსა და კაცობრიობის უკანასკნელი ხვედრის თაობაზე.

ახალი აღთქმის წიგნები და მათი რიგითობა

1. სახარება მათესი
2. სახარება მარკოზისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3. სახარება ლუკასი
4. სახარება იოანესი
5. საქმე წმიდათა მოციქულთა
6. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა იაკობისი
7. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პეტრესი (პირველი)
8. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პეტრესი (მეორე)
9. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა და ღვთისმეტყველისა იოანესი (პირველი)
10. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა და ღვთისმეტყველისა იოანესი (მეორე)
11. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა და ღვთისმეტყველისა იოანესი (მესამე)
12. კათოლიკე ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა იუდასი
13. პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ
14. პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ (პირველი)
15. პავლე მოციქულის ეპისტოლე კორინთოელთა მიმართ (მეორე)
16. პავლე მოციქულის ეპისტოლე გალატელთა მიმართ
17. პავლე მოციქულის ეპისტოლე ეფესოელთა მიმართ
18. პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ
19. პავლე მოციქულის ეპისტოლე კოლასელთა მიმართ
20. პავლე მოციქულის ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ (პირველი)
21. პავლე მოციქულის ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ (მეორე)

22. პავლე მოციქულის ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (პირველი)
23. პავლე მოციქულის ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (მეორე)
24. პავლე მოციქულის ეპისტოლე ტიტეს მიმართ
25. პავლე მოციქულის ეპისტოლე ფილიმონის მიმართ
26. პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ
27. აპოკალიფსისი, ანუ გამოცხადება წმიდისა ღვთის-მეტყველისა იოანესი

ახალი აღთქმის წიგნების შინაარსი

ახალი აღთქმის წიგნების მთელ კრებულს ეწოდება მარტივად **ახალი აღთქმა**, თითქოსდა საპირისპიროდ ძველი აღთქმისა, რადგან ამ წმინდა წიგნებში გადმოცემულია ღვთისგან ადამიანებისთვის მიცემული ახალი მცნებები და ახალი აღთქმები; ჩამოყალიბებულია ახალი „აღთქმა", ანუ ახალი „კავშირი" ღმერთისა ადამიანთან, დაფუძნებული ქვეყნად მოსული და ჩვენთვის ვნებული შუამდგომელის, ღმერთსა და ადამიანებს შორის, იესო ქრისტეს სისხლზე (იხ. ლუკა 22, 20; 1 ტიმ. 2, 5; ებრ. 9, 14, 15)

ახალი აღთქმის ოთხ პირველ წიგნს **ოთხთავი** ან უბრალოდ **სახარება** ეწოდება, იმიტომ, რომ ისინი კეთილ უწყებას შეიცავს ღმერთის მიერ პირველმშობლებისათვის მიცემული აღთქმულის შესახებ, რაც გულისხმობდა ქვეყნად საღვთო გამომსყიდველის მოსვლასა და მის მიერ კაცობრიობის მაცხონებელი საქმის აღსრულებას.

ახალი აღთქმის ყველა დანარჩენ წიგნს ერთობლიობაში უწოდებენ **სამოციქულოს,** რადგან ეს კრებული შეიცავს მოციქულთა საქმეებსა და მათ მიერ პირველი ქრისტიანების მიმართ გადმოცემულ შეგონებებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი ალთქმის წმინდა წიგნების დაყოფა მათი შინაარსის მიხედვით

თავისი შინაარსით ეს წიგნები იყოფა შემდეგ ოთხ ნაწილად:

1. რჯულდებითი წიგნები: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებები. ეს წიგნები შეადგენს ღმერთის ახალალთქმისეულ რჯულს ადამიანებისადმი, რადგან აღწერენ უფალ იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისას აღსრულებულ ჩვენს საცხონებელ მოვლენებსა და მის საღვთო სწავლებას;

2. ისტორიული წიგნი: საქმე წმიდათა მოციქულთა, რომელიც გადმოგვცემს ქრისტეს ეკლესიის დაფუძნებისა და მისი გავრცელების დაწყების ისტორიას;

3. დასამოძღვრავი წიგნები: 7 კათოლიკე ეპისტოლე – ერთი წმიდისა მოციქულისა იაკობისი, ორი წმიდისა მოციქულისა პეტრესი, სამი წმიდისა მოციქულისა იოანე ღვთისმეტყველისა და ერთი წმიდისა მოციქულისა იუდასი; აგრეთვე, 14 ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი (ზემოთ ჩამოთვლილი), რომლებიც შეიცავს წმინდა მოციქულების სწავლებას ან, უფრო სწორად, ქრისტეს სწავლების განმარტებას ცხოვრების სხვადასხვა შემთხვევასთან მისადაგებით;

4. საწინასწარმეტყველო წიგნი: აპოკალიფსისი, ანუ გამოცხადება წმიდისა იოანე ღვთისმეტყველისა. ეს წიგნი შეიცავს საიდუმლო ხილვებსა და სახეებში მისთვის გაცხადებულ წინასწარმეტყველებას ქრისტეს ეკლესიის, სამყაროსა და კაცობრიობის მომავალი ხვედრის შესახებ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ახალაღთქმისეული წმინდა წიგნები ყველა კანონიკურია. ამ წიგნებმა მაშინვე, გამოჩენისთანავე, მოიპოვა კანონიკური ღირსება, რადგან საყოველთაოდ ცნობილი იყო მათი ავტორების მაღალავტორიტეტული სახელები. ამასთან დამოკიდებულებით, აღსანიშნავია წმინდა პეტრე მოციქულის მოწმობა თავის მეორე ეპისტოლეში (3, 15, 16), სადაც იგი წმინდა პავლე მოციქულის ყველა ეპისტოლეს მოიხსენიებს, როგორც მისთვის უკვე კარგად ცნობილ წიგნებს. კოლასელთა მიმართ თავისი ეპისტოლის ბოლოში პავლე მოციქული იძლევა განკარგულებას, რომ ის წაიკითხონ ლაოდიკიის ეკლესიაშიც (კოლ. 4, 16). ჩვენ მრავალი მტკიცებულება გვაქვს იმისა, რომ ეკლესია ყოველთვის და თავიდანვე აღიარებდა ჩვენთვის ამჟამად ცნობილი ახალი აღთქმის წიგნების კანონიკურ ღირსებას. თუკი არსებობდა ეჭვი ზოგიერთ მათგანთან მიმართებით, – რასაც ხშირად აპელირებს ეგრეთწოდებული „უარყოფითი კრიტიკა“, – ის ეკუთვნოდა კერძო პირებს და ამას არასდროს იზიარებდა კათოლიკე ეკლესია.

უკვე მოციქულთა დროის მოღვაწეთა თხზულებებში ვხვდებით ცალკეულ გამონათქვამებს თითქმის ყველა ჩვენთვის ცნობილი ახალაღთქმისეული წიგნიდან, ხოლო ზოგიერთი მათგანის მიმართ ისინი იძლევიან პირდაპირ და ნათელ მოწმობას, როგორც უეჭველად მოციქულებრივი წარმოშობის წიგნების შესახებ. ასე, მაგალითად, ცალკეული ადგილები ახალაღთქმისეული წიგნებიდან გვხვდება წმინდა ბარნაბას ეპისტოლეში, რომელიც იყო წმინდა პავლე მოციქულის თან-

ამგზავრი და თანამუშაკი; წმინდა კლიმენტი რომელთან-კორინთოელთა მიმართ ეპისტოლეში; წმინდა იოანე ღვთის მეტყველის მოწაფისა და ანტიოქიის ეპისკოპოსის, მღვდელოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის 7 ეპისტოლეში, საიდანაც ჩანს, რომ მისთვის კარგად იყო ცნობილი ოთხივე სახარება; სმირნელი ეპისკოპოსის – მღვდელმოწამე პოლიკარპეს ეპისტოლეში ფილიპელთა მიმართ, რომელიც ასევე იყო წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მოწაფე; ჰერაპოლის ეპისკოპოს პაპიუსის წიგნებში (ისიც წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მოწაფე იყო), საიდანაც ნაწყვეტები მოჰყავს ევსები კესარიელს თავის „ეკლესიის ისტორიაში". ყველა ეს „მოციქულებრივი მოღვაწე" ცხოვრობდა პირველი საუკუნის მეორე და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში.

მრავალ დამოწმებასა და ამონარიდს ვხვდებით ახალი აღთქმის წმინდა წიგნებიდან რამდენიმე უფრო გვიანდელი დროის (მე-2 საუკუნის) საეკლესიო მწერალ-აპოლოგეტებთან. ასე, მაგალითად, წმინდა მოწამე იუსტინე ფილოსოფოსს თავის აპოლოგეაში „საუბარი ტრიფონ-იუდეასთან" და; ასევე, სხვა თხზულებებში, მოჰყავს დაახლოებით 127 სახარებისეული ტექსტი; მღვდელმოწამე ირიონეოსი, ლიონის ეპისკოპოსი თავის თხზულებაში „ხუთი წიგნი ერესის წინააღმდეგ" მოწმობს ყველა ჩვენი სახარების ჭეშმარიტებას და მოჰყავს დიდი რაოდენობის ზუსტი ამონარიდი მათგან; ტაციანეს თავის წიგნში „სიტყვა ელინების წინააღმდეგ", სადაც ის ამხელს წარმართების უგნურებას და ამტკიცებს წმიდა წერილის ღვთაებრიობას, მოჰყავს ტექსტები სახარებიდან. მასვე ეკუთვნის პირველი მცდელობა, შეედგინა ოთხივე სახარების კრებული, სახელწოდებით „დიატესარონი". ცნობილი მოძღვარი

და ხელმძღვანელი ალექსანდრიის სასწავლებლისა, კლიმენტი ალექსანდრიელი ყველა ჩვენს დრომდე მოღწეულ თავის თხზულებაში, როგორიცაა, მაგალითად, „პედაგოგი“, „სტრომატები“ და სხვა, იმოწმებს მრავალრიცხოვან ადგილს ახალღთქმისეული წმინდა წიგნებიდან, როგორც ისეთ ადგილებს, რომელთა ჭეშმარიტებაც არანაირ ეჭვს არ იწვევს. წარმართი ფილოსოფოსი ათინაგორე წმინდა წერილის კითხვას იმ მიზნით შეუდგა, რომ დაეწერა ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ, მაგრამ კითხვისას თავად იქცა ქრისტიანული სარწმუნოების ბრწყინვალე აპოლოგეტად; თავის აპოლოგეაში მოჰყავს მთელი რიგი ზედმიწევნითი გამონათქვამები სახარებიდან, ამასთან, განმარტავს, რომ „ასე ამბობს წმინდა წერილი“. ანტიოქიის ეპისკოპოსს, წმიდა თეოფილეს, ჩვენამდე მოღწეულ თავის ნაშრომში „სამი წიგნი ავტოლიკის მიმართ“, მოჰყავს ზუსტი ამონარიდები სახარებიდან, ხოლო ნეტარი იერონიმეს მოწმობით, მანვე შეადგინა ყველა ოთხივე სახარების კრებული და დაწერა „სახარების კომენტარები“.

ეკლესიის სწავლულ მწერალ ორიგენესგან, რომელიც ცხოვრობდა მე-2 საუკუნის ბოლოს და მე-3 საუკუნის დასაწყისში, ჩვენამდე მოაღწია მთელმა რიგმა თხზულებებმა, სადაც მას მოჰყავს უამრავი ციტატა ახალი აღთქმის წმინდა წიგნებიდან და გვიმოწმებს, რომ სამოციქულო და ღვთაებრივ წერილებად ცისქვეშეთის ყველა ეკლესიაში ეჭვშეურევნელად აღიარებდენენ როგორც ოთხ სახარებას, ასევე, „საქმე მოციქულთას“ წიგნს, „გამოცხადებას“ და წმინდა პავლე მოციქულის 14 ეპისტოლეს.

ფრიად მნიშვნელოვანია, ასევე, მოწმობანი „გარეშეთაგან“ – მწავლებლებისა და წარმართებისაგან. მწავლებლებ-

ის – ბასილიდის, კარპოკრატის, ვალენტინის, პტოლომეოსის, ჰერაკლიონისა და მარკიონის თხზულებებში ვხვდებით ბევრ ისეთ ადგილს, საიდანაც ჩანს, რომ მათთვის კარგად იყო ცნობილი ჩვენი ახალი აღთქმის წმინდა წიგნები; ყველა ისინი მე-2 საუკუნეში ცხოვრობდნენ.

განსაკუთებით მნიშვნელოვანია მე-2 საუკუნის გამოჩენილი წარმართი ფილოსოფოსის, ცელსის თხზულება „ჭეშმარიტი სიტყვა", – თავისი შინაარსით, ქრისტესადმი სიძულვილით სავსე ნაწარმოები. მასში მთელი მასალა ქრისტიანობაზე თავდასასხმელად არის აღებული ჩვენი ოთხივე სახარებიდან, თანაც, არცთუ იშვიათად გვხვდება მთელი სიზუსტით ამოღებული და გადმოცემული ამონარიდები მათგან.

თუმცა, ძველი დროის ყველა ძეგლი არ შეიცავს ეკლესიის მიერ აღიარებულ წმინდა წერილის ახალი აღთქმის 27-ვე წიგნს. ეგრეთწოდებულ, მურატორის კანონში* ჩამოთვლილია მხოლოდ ოთხი სახარება, საქმე წმიდათა მოციქულთა, წმიდა პავლე მოციქულის 13 ეპისტოლე (აკლია ებრაელთა მიმართ ეპისტოლე), ეპისტოლე წმიდა მოციქულისა იუდასი, ეპისტოლე და გამოცხადება წმინდა იოანე ღვთისმეტყველისა. მაგრამ არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ეს „კანონი" (კრებული) ოფიციალურ საეკლესიო საბუთად მივიჩნიოთ.

---

*ლუდოვიკო ანტონიო მურატორი (1672-1750), იტალიელი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, რომელმაც ამბროსი მედიოლანელის სახელობის მილანის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ახალი აღთქმის წიგნების ყველაზე ძველი ნუსხა ლათინურ ენაზე. პირველად ის გამოქვეყნდა 1740 წელს. მის ავტორობას მიაკუთვნებენ წმინდა იოანე კასიანე რომაელს. ძეგლი შედგენილია არა უგვიანეს 170 წლისა და მისგან შეიძლება დავასკვნათ, ახალი აღთქმის რომელი წიგნები ითვლებოდა მე-2 საუკუნის მეორე ნახევრის იტალიაში კანონიკურად.

მეორე საუკუნეშივე გამოჩნდა ახალი აღთქმის წმინდა წიგნების თარგმანი სირიულ ენაზე და მიიღო სახელწოდება „პეშიტო“. მასში შედის მურატორის „კანონში“ გამოკლებული ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, ასევე ეპისტოლე წმიდა იაკობ მოციქულისა, მაგრამ აკლია წმინდა იუდა მოციქულის ეპისტოლე, ორი ეპისტოლე წმინდა პეტრე მოციქულისა, წმინდა იოანე მოციქულის მე-2 და მე-3 ეპისტოლენი და მისივე „გამოცხადება“.

ამ გამოკლებების მიზეზი შეიძლება კერძო ხასიათის ყოფილიყო, ისევე, როგორც ცალკეულ კერძო პირთა ეჭვები ამა თუ იმ წიგნის ნამდვილობასთან მიმართებით, და ამიტომაც არ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რამეთუ ეს კერძო აზრები, ხშირად, აშკარა ტენდენციურობით ხასიათდებოდა.

ცნობილია, მაგალითად, რომ პროტესტანტიზმის დამფუძნებელი მარტინ ლუთერი ცდილობდა, ეჭვი შეეტანა წმინდა იაკობ მოციქულის ეპისტოლის ნამდვილობაში იმ მოტივით, რომ ეს წიგნი გადაჭრით უსვამს ხაზს ცხონებისათვის რწმენის უკმარისობას კეთილი საქმეების გარეშე (2, 26 – **„სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთაგან მკუდარ არს“;** იხ. ასევე, 2, 14, 17, 20 და სხვა), მაშინ, როდესაც ლუთერის მიერ გაცხადებული მთავარი დოგმატი, პროტესტანტული სარწმუნოებისა, ამტკიცებს სწორედ რომ საპირისპიროს: „ადამიანი გამართლდება მხოლოდ რწმენით, კეთილ საქმეთა გარეშე“. ასეთივე ტენდენციურებია, რა თქმა უნდა, სხვა მსგავსი მცდელობები განაქიქონ ჩვენი ახალათქმისეული წიგნების კანონი (კრებული).

რაც შეხება მთლიანად ეკლესიას, ის ყოველთვის, დასაბამიდანვე, აღიარებდა ახალი აღთქმის ყველა იმ წმინდა წიგნს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც ამჟამად არის აღიარებული, რაც დაადასტურა 360 წლის ლაოდიკიის ადგილობრივმა კრებამ, რომელსაც გამოსცა განწესება (მე-60 კანონი), სადაც ჩამოთვლილია სახელობითად ყველა 27 წიგნი ახალი აღთქმისა. ეს განწესება შემდგომში საზეიმოდ დამტკიცდა VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე და ამგვარად მიიღო მან მსოფლიო მნიშვნელობის ხასიათი.

ახალი აღთქმის წმინდა წიგნების ენა და მათი ტექსტების ისტორია

ახალი აღთქმის ყველა წიგნი დაწერილია ბერძნულ ენაზე, მაგრამ არა კლასიკურ ბერძნულზე, არამედ ბერძნული ენის ალექსანდრიულ დიალექტზე, ეგრეთწოდებულ „კინი"-ს ენაზე. ამ ენაზე ლაპარაკობდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, ეს ენა ესმოდა იმდროინდელი რომის იმპერიის როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნაწილში ყველა კულტურულ ადამიანს. მოციქულები სწორედ იმიტომ წერდნენ ამ ენაზე, რომ ახალი აღთქმის წმინდა წიგნები წასაკითხი და გასაგები ყოფილიყო იმ დროის ყველა განათლებული ადამიანისათვის.

ისინი ან თვით ავტორების ხელით იწერებოდა (გალ. 6, 22) ან მწერალთა მიერ, რომლებსაც თვით ავტორები კარნახობდნენ (რომ. 16, 2); იწერებოდა ეგვიპტური ლერწამისგან დამზადებულ პაპირუსზე ლერწამითა და მელნით (3 იოანე 13). შედარებით იშვიათად ამ მიზნისათვის გამოიყენებოდა ცხოველის ტყავისგან დამზადებული ძვირფასი პერგამენტი.

საგულისხმოა, რომ წერილისთვის გამოიყენებოდა ბერძნული ალფაბეტის მხოლოდ დიდი (მთავრული) ასოები სასვენი ნიშნების გარეშე და წერილი იწერებოდა სიტყვების ერთმანეთისგან

დაუშორებლად. პატარა (ჩვეულებრივი) ასოების გამოყენება მხოლოდ IX საუკუნეში დაიწყეს, ასევე, სიტყვების ერთმანეთისგან გამოყოფაც. სასვენი ნიშნები კი შემოიღო ალდუს მანუციუსმა XVI საუკუნეში, წიგნის საბეჭდი მანქანის გამოგონების შემდეგ. რაც შეეხება დღევანდელი სახით ახალი აღთქმის წიგნების თავებად დაყოფას, ამ იდეის ავტორია დასავლელი კარდინალი ჰუგო (XIII საუკუნე), ხოლო თავები უკვე მუხლებად დაჰყო პარიზელმა ტიპოგრაფმა რობერტო სტეფანემ XVI საუკუნეში.

ეკლესია თავისი სწავლული ეპისკოპოსებისა და მღვდლების სახით, ყოველთვის ზრუნავდა წმინდა წიგნების ყოველგვარი დამახინჯებისგან დასაცავად, რასაც განსაკუთრებით ადვილად შეიძლება ჰქონოდა ადგილი წიგნების ბეჭდვამდე, როდესაც ხელით ხდებოდა მათი გადაწერა. არსებობს ცნობები, რომ გაუსწორებელ ნუსხებში ტექსტების გასწორებაზე ბევრს შრომობდნენ ადრექრისტიანული ეპოქის ისეთი სწავლული მოღვაწენი, როგორებიც იყვნენ ორიგენე, ეგვიპტის ეპისკოპოსი ევსუქი და ანტიოქიელი მღვდელი ლუკიანე. XVI საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა და გამოიცა ახალი აღთქმის ორი ბერძნული ტექსტი: ეგრეთწოდებული „კომპლუტენის პოლიგლოტა“, რომელიც ესპანეთში გამოიცა, და ერაზმი როტერდამელის გამოცემა ბაზელში. მე-19 საუკუნის გამოცემებს შორის, აუცილებელია აღვნიშნოთ, როგორც სამაგალითო ნაშრომი, ტიშენდორფის გამოცემა; ის ახალი აღთქმის 900 ხელნაწერის შეჯერების შედეგად შეიქმნა.

როგორც ამ კეთილსინდისიერმა კრიტიკულმა ნაშრომებმა, ასევე, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, მოუღლელმა ზედამხედ-

ველობამ ეკლესიისა, რომელშიც მკვიდრობს და რომელსაც ხელმძღვანელობს სულიწმიდა, მოიტანა ჩვენამდე წმინდად და დაუზიანებლად ახალი აღთქმის წმინდა წიგნების ბერძნული ტექსტი.

მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში ახალი აღთქმის წმინდა წიგნები ითარგმნა „სლავთა ენაზე", სლავთა განმანათლებელთა და მოციქულთასწორთა, ძმების – კირილესა და მეთოდეს მიერ. ეს ენა გარკვეულწილად იყო საერთო და მეტნაკლებად გასაგები ყველა სლავური ტომისთვის; როგორც ვარაუდობენ, ეს იყო ბულგარულ-მაკედონიური დიალექტი და მასზე ლაპარაკობდნენ ქალაქ თესალონიკის შემოგარენში – წმინდა ძმების სამშობლოში. ამ სლავური თარგმანის უძველესი ძეგლი რუსეთში დაცულია „ოსტრომირის სახარების" სახელწოდებით. მას ასე იმიტომ ეწოდება, რომ ის თარგმნილია დიაკონ გრიგოლის მიერ 1056-1057 წლებში ნოვგოროდის მთავარ ოსტრომირისათვის.

ახალი აღთქმის წმინდა წიგნების დაწერის დრო

ახალი აღთქმის თითოეული წმინდა წიგნის დაწერის დრო არ შეიძლება განისაზღვროს მთელი სიზუსტით, მაგრამ ეჭვშეურევნელად შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი დაწერილია პირველი საუკუნის მეორე ნახევარში. ეს ნათლად ჩანს უკვე იქიდან, რომ მე-2 საუკუნის მთელი რიგი მწერლები, – როგორებიცაა წმინდა მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი თავის აპოლოგეაში (150 წ.), წარმართი მწერალი ცელსი თავის თხზულებაში (პირველი საუკუნის მეორე ნახევარი) და

განსაკუთრებით მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილი თავის ეპისტოლეებში (მიაკუთვნებენ 107 წ.), – მრავალგზის ეცნობ-ნობიან ახალაღთქმისეულ წმინდა წიგნებს და მოჰყავთ იქიდან ზედმიწევნითი ციტატები.

პირველი ახალაღთქმისეული წიგნები – მათი გამოჩენის დროის მიხედვით – იყო წმინდა მოციქულთა ეპისტოლენი. მათი დაწერა განაპირობა ახალდაარსებული ქრისტიანული თემების სარწმუნოებაში განმტკიცების აუცილებლობამ; მაგრამ მალე ბუნებრივად გაჩნდა მოთხოვნილება უფალ იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრებისა და მისი სწავლების სისტემატიზირებულ გადმოცემაზე. ბევრს ეცადა ეგრეთწოდებული „უარყოფითი კრიტიკა“ შეერყია ხალხის რწმენა ახალი აღთქმის წმინდა წიგნების ნამდვილობასა და მათ ისტორიულ სარწმუნოობაში. კრიტიკოსი მკვლევარები ამ წიგნების გამოჩენას მიაკუთვნებდნენ მნიშვნელოვნად უფრო გვიანდელ პერიოდს (მაგალითად, ბაური და მისი სკოლა), მაგრამ ახალი აღმოჩენები, პატრისტიკული ლიტერატურის სფეროში, მთელი დაბეჯითებით მოწმობენ, რომ ყველა ისინი დაწერილია პირველ საუკუნეში.

საეკლესიო ისტორიკოს ევსების მოწმობათა საფუძველზე – და მის აზრს იზიარებს ახალი აღთქმის წიგნების ცნობილი განმმარტებელი, ბულგარეთის მთავარეპისკოპოსი ნეტარი თეოფილაქტე, – მათეს სახარება დაწერილია უფლის ამაღლებიდან მერვე წელს, მარკოზისი – მეათე წელს, ლუკასი – მეთხუთმეტე წელს, იოანეს სახარება კი ოცდამეთორმეტე წელს. ნებისმიერ შემთხვევაში, მთელი რიგი მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათეს სახარება უეჭველად დაწერილია ყველა სხვა სახარებაზე ადრე და არა

უგვიანეს 50-60 წლისა ქრისტეს შობიდან. მარკოზის და ლუკას სახარებები – ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ტაძრის დანგრევამდე, ანუ ქრისტეს შობიდან 70 წლამდე, ხოლო წმინდა იოანე ღვთისმეტყველმა თავისი სახარება დაწერა მათ შემდეგ, პირველი საუკუნის დასასრულს, როცა უკვე ღრმად მოხუცებული იყო, 96 წლისამ, – როგორც ამას ზოგიერთები ვარაუდობენ; რამდენადმე ადრე დაწერა მან „გამოცხადება". წიგნი „საქმე მოციქულთა" დაიწერა მალევე მესამე სახარების შემდეგ, რადგან, როგორც მისი წინასიტყვაობიდან ჩანს, ის მესამე სახარების ერთგვარი გაგრძელებაა.

რატომ არის ოთხი სახარება?

ოთხივე სახარება გადმოგვცემს ქრისტე მაცხოვრის ცხოვრებასა და მოძღვრებას; მის სასწაულებს, ჯვარზე ვნებას, სიკვდილსა და საფლავად დადებას; მკვდრეთით მის ბრწყინვალე აღდგომასა და ზეცად ამაღლებას. სახარებები ერთმანეთს ავსებენ და განმარტავენ, მათ არ აქვთ ერთმანეთთან წინააღმდეგობა და უთანხმოება მთავარსა და ძირითადში – სწავლებაში ცხონების შესახებ, რომელიც აღასრულა განკაცებულმა ძე ღვთისამ, სრულყოფილმა ღმერთმა და სრულყოფილმა კაცმა – და ამით შეადგენენ ერთ მთლიან წიგნს. ადრექრისტიანული პერიოდის მამები სახარების ოთხთავს ადარებდნენ ღმერთის მიერ დანერგილი სამოთხის მოსარწყავად ედემიდან გამომავალ მდინარეს, რომელიც ოთხ ნაკადად იყოფობოდა და შემდეგ თითოეული მათგანი სხვადასხვა ქვეყანას უხვი წყლით ამარაგებდა. ოთხი სახარებისთვის კიდევ

უფრო ტრადიციულ სიმბოლოს წარმოადგენს იდუმალი ***ურმ-ისთუალი***, რომელიც წინასწარმეტყველმა ეზეკიელმა იხილა მდინარე ქობარის პირას (1, 1-28) და რომელიც შედგებოდა ოთხი არსებისაგან, ესენი იყვნენ: ადამიანი, ლომი, ხბო ***(ზუარაკი)*** და არწივი. ეს არსებანი, თითოეული ცალ-ცალკე, გახდნენ სწორედ მახარებლების სიმბოლოები. მე-5 საუკუნიდან დაწყებული, ქრისტიანული ხელოვნება წმინდა მათეს გამოხატავს ადამიანის ან ანგელოზის სახით, წმინდა მარკოზს – ლომის სახით, წმინდა ლუკას – ხბოს სახით, ხოლო წმინდა იოანეს – არწივის სახით. მათე მახარებლის სიმბოლოდ ადამიანი იმიტომ იქცა, რომ ის თავის სახარებაში განსაკუთრებით უსვამს ხაზს უფალ იესო ქრისტეს კაცობრივ წარმომავლობას დავითიდან და აბრაამიდან; წმინდა მარკოზის სიმბოლოა – ლომი, რადგან ის განსაკუთრებით აჩვენებს უფლის სამეფო ყოვლადძლიერებას; წმინდა ლუკას სიმბოლოა – ხბო (სამსხვერპლო ზვარაკი), რადგან ის ქრისტეს შესახებ უპირატესად საუბრობს, როგორც უდიდეს მღვდელთმთავარზე, რომელმაც მსხვერპლად შესწირა თავისი თავი მთელი მსოფლიოს ცოდვებისათვის; წმინდა იოანეს სიმბოლოს წარმოადგენს – არწივი, რადგან ის თავისი აზრების განსაკუთრებული ამაღლებულობითა და სიტყვის სიდიადით ცაში დაფრინავს არწივის მსგავსად, „კაცობრივი უძლურების ღრუბლებს ზემოთ“, – ნეტარი ავგუსტინეს გამოთქმით.

მოხსენიებული ოთხი სახარების გარდა, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ცნობილი იყო ბევრი (50-მდე) სხვა წერილიც, რომლებიც ასევე „სახარებებად“ იწოდებოდა და მოციქულებრივ წარმომავლობას მიიწერდა. თუმცა ეკლესიამ ისინი გადაჭრით უარყო და ეგრეთწოდებულ „აპოკრი-

ფულ“ წიგნებად შერაცხა. უკვე მღვდელმოწამე ირინეოსი, ლიონის ეპისკოპოსი და პოლიკარპე სმირნელის მოწაფე (პოლიკარპე, თავის მხრივ, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მოწაფე იყო), თავის წიგნში „ერესების წინააღმდეგ“ (III, 2, 8), მოწმობს, რომ სახარება უნდა იყოს მხოლოდ ოთხი და არაფრით არ შეიძლება იყოს ამაზე მეტი ან ნაკლები, რადგან არსებობს „ქვეყნის ოთხი მხარე“, „ოთხი ქარი სამყაროში“.

ბრწყინვალედ მსჯელობს ეკლესიის დიდი მამა წმინდა იოანე ოქროპირი, როდესაც პასუხობს შეკითხვას, თუ რატომ იწყნარებს ეკლესია ოთხ სახარებას და არ შემოიფარგლება ერთით:

„განა ერთ მახარებელს არ შეეძლო ყოველივეს აღწერა? რა თქმა უნდა, შეეძლო, მაგრამ როდესაც ოთხი მახარებელი წერდა, წერდნენ არა ერთსა და იმავე დროს, არა ერთსა და იმავე ადგილზე, წერდნენ ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე, და მაინც, დაწერეს ისე, თითქოს ყოველივე ერთი პირით ყოფილიყოს გამოთქმული, რაც ჭეშმარიტების უდიდეს მტკიცებულებას წარმოადგენს“.

მშვენივრად პასუხობს ის იმ შეპასუხებასაც, რომ მახარებლები არ არიან ყველაფერში ერთმანეთთან თანახმიერნი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობებიც კი გვხვდება: „ისინი რომ მთელი სიზუსტით ყოფილიყვნენ ერთმანეთთან თანახმიერნი, – დროსთან, ადგილთან და თვით სიტყვებთან მიმართებით, მაშინ მტერი არ დაიჯერებდა, რომ ურთიერთთან შეუთანხმებლად წერდნენ თავიანთ სახარებებს. ახლა კი, წვრილმანებში არსებული განსხვავება, ათავისუფლებს მათ ეჭვებისაგან და ბრწყინვალედ მეტყველებს მათ სასარგებლოდ“.

მსგავსადვე მსჯელობს სახარების სხვა განმმარტებელიც — ბულგარეთის მთავარეპისკოპოსი ნეტარი თეოფილაქტე: „ნუ მეტყვი, რომ ისინი ყველაფერში არ ეთანხმებიან ერთმანეთს, სჯობს, დააკვირდე, თუ რა განსხვავებაა მათში. ერთის ნათქვამი, რომ ქრისტე იშვა, ნუთუ მეორეს უარყვია? ნუ იყოფინ! მნიშვნელოვანში და აუცილებელში ისინი თანახმიერნი არიან; ამდენად, თუკი უფრო მნიშვნელოვანსა და ძირითადში არა აქვთ განსხვავება, მაშინ ნუ გაგიკვირდება, თუკი უმნიშვნელო დეტალებში რამე განსხვავებას შეამჩნევ. მათი ჭეშმარიტება ყველაზე მეტად სწორედ იმით გამოიხატება, რომ ყველაფერში თანახმიერნი არ არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შესახებ იფიქრებდნენ, თითქოს ურთიერთშეთანხმებითა და ურთიერთრჩევით წერდნენ. ახლა კი აშკარაა, რომ რაც ერთმა გამოტოვა, მეორემ დაწერა, ამიტომ გვეჩვენება, თითქოს, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან“.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან ნათელია, რომ ზოგიერთი მცირე სხვადასხვაობა ოთხი მახარებლის გადმოცემაში არამცთუ არ ლაპარაკობს სახარების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, მკაფიოდ მეტყველებს მის ჭეშმარიტებაზე.

მნიშვნელობა გამოთქმებისა: „მათეს სახარება“, „მარკოზის სახარება“ და ა.შ.

სიტყვა „სახარება“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიშნავს — „კეთილი უწყება“, „კეთილი ამბის ხარება“. საგულისხმოა, რომ განსაზღვრა: მათესი, მარკოზისა, ლუკასი, იოანესი, — პირობითია, და მათ უშუალო დამწერზე მიუთითებს, სინამდვილეში კი მთელი სახარების ოთხთავი საკუთრივ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს კეთილი უწყება – ის თვითონ გვაუწყებს ჩვენ, მახარებელთა მეშვეობით, სასიხარულო ანუ კეთილ ამბავს ჩვენი ცხონების შესახებ. კეთილმაუწყებლები (მახარებლები) კი მხოლოდ შუამავლები არიან ამ სასიხარულო ცნობის გადმოცემის საქმეში.

ოთხი სახარების ურთიერთდამოკიდებულება მათი შინაარსის მიხედვით

ოთხი სახარებიდან პირველი სამის (მათესი, მარკოზისა და ლუკასი) ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა, ახლოსაა ერთმანეთთან როგორც თვით მოსათხრობი მასალით, ასევე, გადმოცემის ფორმით; მეოთხე, იოანეს სახარება კი, ამ დამოკიდებულებით, განცალკევებით დგას, მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი სამისგან მოსათხრობი მასალით, გადმოცემის სტილითა და ფორმით.

ამასთან დაკავშირებით, მიღებულია, რომ პირველ სამ სახარებას ეწოდოს „სინოპსისური", ბერძნული სიტყვიდან „სინოპსისი", რაც ნიშნავს „ერთ საკითხზე არსებულ ცნობათა საერთო სახით გადმოცემას" (ეს იგივეა, რაც ლათინურად „კონსპექტი"). და თუმც პირველი სამი სახარება საკმაოდ ახლოა ერთმანეთთან გეგმითაც და შინაარსითაც, და ადვილად შეიძლება განვათავსოთ ისინი შესაბამის პარალელურ გრაფებში, მაინც ხასიათდება თითოეული მათგანი თავისი განსაკუთრებულობით. მაგალითად, თუკი ცალკეული სახარების მთელ შინაარსს 100-იანი რიცხვით აღვნიშნავთ, მაშინ მათეს სახარებას 58% მსგავსება ექნება სხვა სახარებებთან და 42% განსხვავება; მარკოზის სახარებას – 93% მსგავსება

და 7% განსხვავება; ლუკას სახარებას – 41% მსგავსება და 59% განსხვავება; იოანეს სახარება კი მხოლოდ 8% ემსგავსება და 92% განსხვავდება. უმთავრესად მსგავსება აღინიშნება ქრისტე მაცხოვრის გამოთქმების გადმოცემაში, სხვაობა კი – თხრობით ნაწილში. როდესაც მათეს და ლუკას სახარებებში სიტყვასიტყვითი მსგავსებაა, მაშინ მათთან ყოველთვის თანახმიერია მარკოზი; ლუკასა და მარკოზს შორის მსგავსება გაცილებით მეტია, ვიდრე ლუკასა და მათეს შორის. როდესაც მარკოზი რამე დამატებით ცნობებს გვაწვდის, იგივეს ვხედავთ, როგორც წესი, ლუკასთანაც, რასაც ვერ ვიტყვით მათეს შემთხვევაში; დაბოლოს, იმ შემთხვევებში, სადაც არაფერს გვამცნობს მარკოზი, ლუკას სახარება ხშირად განსხვავდება მათეს სახარებისგან.

სინოპსისური სახარებები ძირითადად, თითქმის გამონაკლისის გარეშე გადმოგვცემენ უფალ იესო ქრისტეს მოღვაწეობას გალილეაში, იოანეს სახარება კი – მის მოღვაწეობას იუდეაში.

სინოპტიკოსები უმთავრესად მოგვითხრობენ უფლის სასწაულების, იგავებისა და მისი ცხოვრების გარეგანი მოვლენების შესახებ, წმიდა იოანე კი მსჯელობს უფლის ღრმა აზრზე, მოჰყავს მისი საუბრები სარწმუნოების ყველაზე ამაღლებულ საკითხებზე.

მიუხედავად სახარებებს შორის არსებული ყველა განსხვავებისა, მათთვის უცხოა შინაგანი წინააღმდეგობა; როდესაც გულდასმით ვკითხულობთ, კარგად ვხედავთ თანხმობის აშკარა ნიშნებს სინოპტიკოსებსა და წმინდა იოანეს შორის. მაგალითად, იოანე ღვთისმეტყველი ნაკლებად გვესაუბრება უფლის გალილეაში მსახურებაზე, მაგრამ მან, უეჭველია,

იცის მისი ხანგრძლივი და არაერთგზის მსვლელობის შესახებ
გალილეაში; სინოპტიკოსები არაფერს გვიამბობენ უფლის
ადრეულ მოღვაწეობაზე იუდეასა და თვით იერუსალიმში,
მაგრამ მინიშნებები ამ მოღვაწეობაზე მათთან მრავლადაა.
მაგალითად, მათი მოწმობით უფალს ჰყავდა იერუსალიმში
მეგობრები, მოწაფეები და მიმდევრები, მათ შორის, იმ სას-
ტუმროს მფლობელი, სადაც შედგა საიდუმლო სერობა, და
იოსებ არიმათიელი. ამასთან დამოკიდებულებით, განსაკუთრე-
ბით მნიშვნელოვანია სინოპტიკების მიერ მოყვანილი სიტყვე-
ბი: „იერუსალიმ, იერუსალიმ! რაოდენ-გზის ვინებე შეკრე-
ბაჲ შვილთა შენთაჲ...“, – გამოთქმა, რომელიც აშკარად
სავარაუდოს ხდის უფლის ხშირ ყოფნას იერუსალიმში. მარ-
თალია, სინოპტიკები არ გადმოგვცემენ ლაზარეს მკვდრეთით
აღდგინების სასწაულს, მაგრამ ლუკა კარგად იცნობს მათ
დებს ბეთანიაში, და მის მიერ რამდენიმე სიტყვით მკაფიოდ
აღწერილი თითოეული მათგანის ხასიათი, სრულად შეესა-
ბამება იოანეს მიერ გადმოცემულ მათ ხასიათს.

მთავარი განსხვავება სინოპტიკოსებსა და წმინდა იოანეს
შორის, ეს არის უფლის საუბრების გადმოცემა. სინოპტიკო-
სებთან ეს საუბრები საკმაოდ უბრალო და ადვილად გასაგე-
ბია, პოპულარულია; იოანესთან ისინი ღრმაა, იდუმალი, ხშირად
ძნელად გასაგები, თითქოსდა, განსაზღვრულია არა ხალხის
დიდი მასისთვის, არამედ მსმენელთა რაღაც უფრო ვიწრო
წრისთვის. და ეს ასეც არის: სინოპტიკოსებს მოჰყავთ უფ-
ლის სიტყვები გალილეველთა – მდაბიო და უმეცარ ადამი-
ანთათვის; იოანე კი უფლის სიტყვებს უმეტესწილად გადას-
ცემს იუდეველებს, მწიგნობრებსა და ფარისევლებს, – ად-
ამიანებს, რომლებმაც იცოდნენ მოსეს რჯული და იმდროინ-

დელი განათლების მეტნაკლებად მაღალ საფეხურზე იდგნენ. გარდა ამისა, იოანეს საგანგებო მიზანი იყო, როგორც ამას შემდგომში ვნახავთ, უფრო სრულად და ღრმად გაეხსნა სწავლება იესო ქრისტეს – როგორც ძე ღვთისას – შესახებ, ეს თემა კი, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ძნელია გასაცნობიერებლად, ვიდრე ყველასათვის ესოდენ ადვილად გასაგები სინოპტიკების მიერ გადმოცემული უფლის იგავები. მაგრამ აქაც არ არის დიდი განსხვავება სინოპტიკებსა და წმინდა იოანეს შორის. თუკი პირველნი წარმოაჩენენ ქრისტეს უფრო კაცობრივ მხარეს, ხოლო წმინდა იოანე – ღმრთეებრივს, ეს არ ნიშნავს, რომ სინოპტიკებთან საერთოდ არ განიხილება ქრისტეს ღმრთეებრიობა, ან იოანესთან – მისი კაცობრიობა; ძე კაცისა სინოპტიკებთან იმავდროულად არის ძე ღვთისა. ზუსტად ასევე, ძე ღვთისა იოანესთან არის ჭეშმარიტი კაცი, რომელიც იღებს მიწვევას საქორწილო ნადიმზე, მეგობრულად საუბრობს მართასა და მარიამთან და ტირის თავისი მეგობრის, ლაზარეს საფლავზე.

სინოპტიკოსები და წმინდა იოანე სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, პირიქით ავსებენ ურთიერთს და თავიანთ ერთობლიობაში წარმოგვიჩენენ ქრისტეს უმშვენიერესს, უსრულყოფილეს ხატს, როგორც არის ის აღქმული და ქადაგებული წმინდა ეკლესიაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითოეული სახარების ხასიათი და თავისებურება

მართლმადიდებლური სწავლება, წმიდა წერილის წიგნების ღვთივსულიერების შესახებ, ყოველთვის იდგა იმ შეხედულებაზე, რომ როდესაც სულიწმიდა შთააგონებდა წმინდა მოღვაწეებს, გადასცემდა აზრსა და სიტყვას, ამავე დროს არ ავიწროებდა მათ საკუთარ გონებასა და ხასიათს. სულიწმიდის გარდამოსვლა არ თრგუნავდა ადამიანის სულს, – ის მხოლოდ წმენდდა და ამაღლებდა მათ საკუთარ ჩვეულებრივ შესაძლებლობებს. ამიტომ, წარმოადგენენ რა ერთ მთლიანობას საღვთო ჭეშმარიტების გადმოცემაში, ოთხივე სახარება ერთმანეთისგან განსხვავდება და ეს განსხვავება გამოწვეულია თითოეული მახარებლის პირადი ხასიათით, გადმოცემული სიტყვის ფორმით, ფრაზეოლოგიით, ზოგიერთი გამოთქმის თავისებურებით; განსხვავება იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რა გარემოებებსა და პირობებშია ისინი დაწერილი, და რა კონკრეტულ მიზანს ისახავდა თითოეული მახარებელი თავისი სახარების წერისას.

ამიტომ სახარებათა უკეთ გასაცნობიერებლად, აუცილებელია ახლოს გავეცნოთ თითოეული მახარებლის პიროვნებას, ხასიათს, ცხოვრებას, და იმ ვითარებას, რომლის პირობებშიც იწერებოდა თითოეული მათგანი.

1. მათეს სახარება

პირველი სახარება დაწერა მათემ, ალფესის ძემ, რომელიც ასევე ატარებდა სახელს – ლევი, და იყო ქრისტეს ერთ-

ერთი 12 მოციქულთაგანი. მოციქულებრივ მსახურებაზე თავის მოწოდებამდე, ის მეზვერედ მსახურობდა, ანუ ხარკის აკრეფად და, ამის გამო, ცხადია, არ უყვარდათ იგი თავის თანამემამულე-ებრაელებს; მეზვერეები მათ სძულდათ, იმიტომ, რომ ისინი თავიანთი ერის ურჯულო დამპყრობლებს ემსახურებოდნენ, ავიწროებდნენ საკუთარ ხალხს მძიმე მოსაკრებელებით და ხშირად საკუთარი ანგარების მიზნით, დადგენილ გადასახადზე მეტს ახდევინებდნენ მოსახლეობას.

თავისი მოწოდების შესახებ მათე თავად მოგვითხრობს: ***და წარვიდოდა მიერ იესუ, იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა, მატთეოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: „მომდევდი მე!“ და აღდგა და მისდევდა მას*** (მათე 9, 9); თუმცა, მარკოზი და ლუკა მას „ლევის“ უწოდებენ. ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ, რამდენიმე სახელი ეტარებინათ, ამიტომ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ ვიფიქროთ, თითქოს საუბარია სხვადასხვა პირზე. მით უმეტეს, რომ, როდესაც ამის შემდეგ მეზვერემ შინ მიიწვია უფალი თავისი მოწაფეებითურთ, სამივე მახარებელმა ეს ამბავი ერთნაირად აღწერა; აგრეთვე უფლის 12 მოწაფეთა სიაში მარკოზი და ლუკაც მას მათედ მოიხსენიებენ (შდრ. მარკოზი 3, 18 და ლუკა 6, 15).

მათე გულის სიღრმემდე შეძრა უფლის წყალობამ, როდესაც არ იუკადრისა მასთან სტუმრობა, – მიუხედავად იმ საყოველთაო ზიზღისა, რაც მეზვერეების მიმართ ჰქონდათ ებრაელებს და, განსაკუთრებით, მათ სულიერ მთავრებს – მწიგნობრებსა და ფარისევლებს.

მათემ მთელი გულით მიიღო ქრისტეს სწავლება და განსაკუთრებით მყარად გააცნობიერა მისი უპირატესობა ფარისევლების გადმოცემებსა და შეხედულებებზე, რადგან ეს უკანა-

სკნელნი ატარებდნენ გარეგანი სამართლიანობის, თვითდაჯერებულობისა და ცოდვილებისადმი ზიზღის ანაბეჭდს. აი, რატომაც მხოლოდ მას მოჰყავს ასე დაწვრილებით უფლის მამხილებელი სიტყვა ორგული მწიგნობრებისა და ფარისევლების წინააღმდეგ (იხ. მათე 23-ე თავი). სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზეზით მიიღო მან, განსაკუთრებით, გულთან ახლოს ცხონების საქმე თავისი ერისა, რომელიც იმ დროისათვის ესოდენ იყო გაჟღენთილი ფარისეველთა ცრუ, დამღუპველი ცნებებითა და შეხედულებებით. ამიტომ არის მისი სახარება უპირატესად ებრაელებისთვის დაწერილი. არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ის დაიწერა ებრაულ ენაზე და მხოლოდ შემდგომში გადაითარგმნა ბერძნულად, – შესაძლოა, თვით მათეს მიერ. ამის შესახებ მოწმობს წმინდა პაპიუს ჰერაპოლელი: „მათემ ებრაულ ენაზე გადმოსცა უფლის საუბრები, ხოლო მათ თარგმნიდა ყველა, ვისაც როგორ შეეძლო“ (ევსები. „ეკლესიის ისტორია“, III, 39). შესაძლოა, შემდგომში თვით მათემ გადათარგმნა თავისი სახარება ბერძნულ ენაზე, რათა ის უფრო ფართო წრის მკითხველისათვის გაეცნო. ყოველ შემთხვევაში, ეკლესიამ კანონად მიიღო მხოლოდ მისი ბერძნული ტექსტი, რადგან მისი ებრაული დედანი მალევე განზრახ დაამახინჯეს იმ მწვალებლებმა, რომელნიც „იუდეველობდნენ“.

წერდა რა სახარებას ებრაელებისთვის, წმინდა მათე თავის მთავარ მიზნად ისახავდა, დაემტკიცებინა მათთვის, რომ იესო ქრისტე არის სწორედ ის მესია, რომლის შესახებაც იუწყებოდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები, რომ ის არის ***აღსრულება სჯულისა და წინაასწარმეტყველთა,*** და რომ ძველაღთქმისეული გამოცხადება, რომელიც ბურუსში გაახ-

ვიეს მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, მხოლოდ ქრისტიანობაში ცხადდება და აღიქმება თავისი ნამდვილი არსითა და მნიშვნელობით. ამიტომაც იწყებს ის თავის სახარებას იესო ქრისტეს გენეალოგიით, რათა აჩვენოს ებრაელებს მისი წარმოშობა დავითისა და აბრაამისგან, და მოჰყავს უამრავი ადგილი ძველი აღთქმიდან, რათა დაანახოს მასზე წინასწარმეტყველებათა აღსრულება. ასეთი მაგალითი წმინდა მათეს მოყვანილი ჰყავს 66, ამასთან, 43 შემთხვევაში – ზუსტი ციტატა. პირველი სახარების თავდაპირველი ადრესატები რომ ებრაელები იყვნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ, როდესაც წმინდა მათე მოიხსენიებს იუდაურ წეს-ჩვეულებებს, არ თვლის საჭიროდ განუმარტოს მათ ამ ჩვეულებათა აზრი და მნიშვნელობა, როგორც ამას სხვა მახარებლები აკეთებენ (მაგალითად, 15, 1-3 შდრ. მარკოზთან 7, 3, 4).

მათეს სახარების დაწერის დროდ, ეკლესიის ისტორიის ავტორი, ევსები, მიიჩნევს მე-8 წელს უფლის ამაღლებიდან (III, 24), მაგრამ წმიდა ირინეოს ლიონელი ვარაუდობს, რომ წმიდა მათემ თავისი სახარება მაშინ დაწერა, როცა „პეტრე და პავლე რომში ქადაგებდნენ“, ანუ პირველი საუკუნის სამოციან წლებში.

მას შემდეგ, რაც თავისი თანამემამულეებისთვის სახარება დაწერა, წმიდა მათე დიდხანს ქადაგებდა მათთვის პალესტინაში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებში გაემგზავრა საქადაგებლად და თავისი ცხოვრება მოწამებრივად დაასრულა ეთიოპიაში.

მათეს სახარება 28 თავისგან შედგება, და – 116 საეკლესიო „დასაწყისისგან“ (зачало). იწყება ის იესო ქრისტეს გენეალოგიით აბრაამისგან და მთავრდება უფლის გამოსამშ-

ვიდობებელი შეგონებით მოწაფეთა მიმართ თავისი ზეცად ამაღლების წინ. რამდენადაც წმიდა მათე უმთავრესად საუბრობს იესო ქრისტეს კაცობრივ წარმოშობაზე, ამიტომ ამ მახარებლის სიმბოლოა კაცის სახე.

მათეს სახარების შინაარსი თავების მიხედვით ასეთია:

1. იესო ქრისტეს გენეალოგია. ქრისტეს შობა.

2. მოგვების თაყვანისცემა. წმინდა ოჯახის ეგვიპტეში გაქცევა. ჩვილთა მოწყვეტა. წმინდა ოჯახის ეგვიპტიდან დაბრუნება და ნაზარეთში დამკვიდრება.

3. იოანე ნათლისმცემლის ქადაგება. უფალ იესო ქრისტეს ნათლისღება.

4. უფლის გამოცდა ეშმაკისგან. უფალი ქადაგებას იწყებს გალილეაში. პირველი მოციქულების ჩინება. ქრისტეს ქადაგება და სნეულთა კურნება.

5. ქადაგება მთაზე: ნეტარების მცნებები, მოციქულები – „მარილნი ქუეყანისანი" და „ნათელნი სოფლისანი". „არა მოვედ დაჴსნად (სჯულისა), არამედ აღსრულებად"; ახლებური გააზრება მცნებებისა: „არა კაც-ჰკლა", „არა იმრუშო"; განქორწინების, დაფიცების, მტრისადმი სიყვარულის შესახებ.

6. მთაზე ქადაგების გაგრძელება: სწავლება მოწყალების შესახებ; „მამაო ჩუენო"-ს ლოცვის შესახებ; მარხვის შესახებ; საუნჯე ზეცაში უნდა დავიუნჯოთ და არა მიწაზე; შეუძლებელია, ერთდროულად ღმერთსაც ემსახურო და მამონასაც; დავუტევოთ ხორციელი საზრუნავი და ვეძებოთ სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი.

7. მთაზე ქადაგების გაგრძელება: მოყვასი არ უნდა გავანაწყინოთ; „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა“; გვმართებს მოუკლებელი ლოცვა; ვიწრო და ფართო გზის შესახებ; ცრუწინასწარმეტყველების შესახებ; კეთილ საქმეთა აუცილებლობის შესახებ; იგავი კლდესა და ქვიშაზე ნაგები სახლის შესახებ.

8. კეთროვანის განკურნება. კაპერნაუმელი ასისთავის მსახურის განკურნება. პეტრეს სიდედრის, მრავალი ეშმაკეულისა და ავადმყოფის განკურნება. „ძესა კაცისას არა აქუს, სადა თავი მიიდრეკოს“. „აცადეთ მკუდართა დაფლვად თჳსთა მკუდართა“. ქარის დამორჩილება ზღვაზე. „სოფელსა მას გერგესეველთასა“ ორი ეშმაკეულის განკურნება და ღორის კოლტის დაღუპვა.

9. განრღვეულის განკურნება. მათე მეზვერის მოწოდება. „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“. ქრისტეს მოწაფეთა მარხვის შესახებ. მავანი მთავრის ასულის აღდგინება და სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება. ორი ბრმისა და ყრუ-მუნჯი ეშმაკეულის განკურნება. „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ“.

10. მოწოდება „ათორმეტთა მოწაფეთა თჳსთა“ და მათი საქადაგებლად წარვლენა; წინასწარმეტყველება, რომ მათ ადამიანებისგან დევნა მოელით. ქრისტეს ადამიანთა წინაშე აღიარების მნიშვნელობა და მისი უარყოფის დამღუპველი შედეგები. უფალი უნდა გვიყვარდეს ნათესავებსა და საკუთარ თავზე მეტადაც კი.

11. იოანე ნათლისმცემლის ელჩობა იესო ქრისტესთან და ქრისტეს მოწმობა იოანეს შესახებ. ჭირ-ვარამი ქარაზინს, ბეთსაიდასა და კაპერნაუმს. „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი“.

12. შაბათ დღეს უფლის მოწაფეების მიერ პურის თავთავების კრეფა და ჭამა. ხელგამხმარი კაცის განკურნება. ეს არის წინასწარმეტყველების აღსრულება ქრისტეს მიმართ. ეშმაკეულის განკურნება და ფარისევლების ბრალდება, თითქოს უფალი ბელზებულის ძალით დევნიდა ეშმაკებს. უფალი ამხელს ფარისევლებს მიუტევებელ ცოდვაში, რომელიც არის სულიწმიდის გმობა.

13. იგავი მთესველის შესახებ. რატომ საუბრობდა უფალი იგავებით? მთესველის შესახებ იგავის განმარტება. იგავი ჯეჯილისა და ღვარძლის შესახებ. იგავი ყანაში დაფლული განძის, ძვირფასი მარგალიტისა და ზღვაში ნასროლი ბადის შესახებ. „არა არს წინაასწარმეტყუელი შეურაცხ...“

14. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა. 5 000 კაცის დაპურება. წყალზე სვლა. ავადმყოფების განკურნება უფლის სამოსის კალთაზე შეხებით.

15. უფლის მიერ ფარისევლების მხილება იმაში, რომ ისინი უხუცესების გადმოცემას ღვთის სიტყვაზე წინ აყენებენ. უწმიწდური გული, როგორც ადამიანის შემბილწველი ბოროტების წყარო. ქანაანელი დედაკაცის ასულის განკურნება. მრავალი სნეულის განკურნება ზღვისპირას და 4 000 კაცის დაპურება.

16. იონა წინასწარმეტყველის სასწაული. „ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა“. პეტრე მოციქულის მიერ ყველა მოციქულის სახელით იესოს აღიარება ძე ღვთისად. იესოს წინასწარმეტყველება მისი ტანჯვის შესახებ და პეტრეს შეპასუხება. სწავლება საკუთარი თავის უარყოფის, ჯვრის მტვირთველობისა და ქრისტეს მიმდევრობის შესახებ.

17. უფლის ფერისცვალება. ეშმაკეული ყრმის განკურნება. ხარკის სასწაულებრივი გადახდა.

18. ცათა სასუფევლის დასამკვიდრებლად აუცილებელია ვემსგავსოთ ბავშვებს. საცდურების შესახებ. იგავი დაკარგულ ცხვარზე. შეცოდებული ძმის მხილება და ეკლესიის უმაღლესი ავტორიტეტი. ცოდვების მიტევების შესახებ. იგავი უმოწყალო მევალის შესახებ.

19. განქორწინებისა და ქალწულობის შესახებ. ბავშვების დალოცვა. მდიდარი ჭაბუკის შესახებ და სიმდიდრე, როგორც დამაბრკოლებელი წინაღობა მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად.

20. იგავი მევენახეთა შესახებ. იესოს წინასწართქმა თავისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. ზებედეს ძეთა დედის თხოვნა და უფლის შეგონება სიმდაბლის შესახებ. ორი იერიქონელი ბრმის განკურნება.

21. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში და ტაძრიდან ვაჭრების გამოძევება. ლეღვის გახმობა და რწმენის ძალა. მღვდელთმთავართა შეკითხვა უფლის ხელმწიფებასთან მიმართებით. იგავი ორი ძის შესახებ. „ლოდი, რომელი იქმნა თავკიდეთა“.

22. იგავი მეფის ძის საქორწილო წვეულების შესახებ. კეისრის ხარკის შესახებ. სადუკეველებთან საუბარი მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ორი მთავარი მცნების – ღვთისა და მოყვასის სიყვარულის შესახებ; ქრისტეს ღვთისძეობის შესახებ.

23. უფლის მამხილებელი სიტყვა ფარისევლებისა და მწიგნობრების წინააღმდეგ. იერუსალიმისთვის ღმერთისგან სასჯელის მოწევის შესახებ.

24. უფლის წინასწარუწყება იერუსალიმის დანგრევის, ომებისა და ქრისტიანთა დევნის შესახებ; ასევე, სამყაროს დასასრულისა და მისი მეორედ მოსვლის შესახებ.

25. იგავი ათ ქალწულზე. იგავი ათი ტალანტის შესახებ. საშინელი სამსჯავრო.

26. მღვდელთმთავრებისა და მწიგნობრების თათბირი უფლის სიკვდილით დასჯის შესახებ. ბეთანიაში ინახით მჯდომარე უფლისთვის დედაკაცის მიერ თავზე ნელსაცხებლის დასხმა. იუდას გამცემლობა. საიდუმლო სერობა. წინასწარმეტყველება პეტრეს მხრიდან უფლის უარყოფის შესახებ. ლოცვა გეთსიმანიის ბაღში. უფლის შეპყრობა მღვდელთმთავრის მსახურების მიერ. კაიაფას სამსჯავრო. პეტრეს მიერ უფლის უარყოფა.

27. პილატეს სამსჯავრო. იუდას სინანული და მისი წარწყმედა. ხალხის მიერ ქრისტეს ნაცვლად ბარაბას გათავისუფლების მოთხოვნა. შეურაცხყოფა ჯარისკაცების მხრიდან. ჯვარცმა. ჯვარცმულის აბუჩად აგდება. მთელ ქვეყანაზე წყვდიადის ჩამოწოლა. უფლის სიკვდილი, მისი დაფლვა და საფლავის დაბეჭდვა.

28. მენელსაცხებლე დედების მისვლა საფლავთან. დიდი მიწისძვრა და ანგელოზის გარდმოხდომა ზეცით; საფლავის კარიდან მის მიერ ლოდის გადაგორება. ანგელოზის მიერ მენელსაცხებლე დედებისთვის ქრისტეს აღდგომის ხარება. მკვდრეთით ადგომილი ქრისტე მენელსაცხებლე დედებს ეცხადება. საფლავის მცველთა მოსყიდვა. უფალი გალილეაში თავის 11 მოწაფეს ეცხადება. ქრისტე მაცხოვარი უკანასკნელი შეგონებას აძლევს მოწაფეებს: ყველა ერს უნდა უქადაგონ სახარებისეული მოძღვრება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. მარკოზის სახარება

მეორე სახარება დაწერა წმიდა მარკოზმა, რომელსაც ასევე ერქვა იოანე. იგი წარმოშობით იუდეველი იყო. 12 მოციქულთა რიცხვში ის არ შედიოდა, ამიტომ ვერ იქნებოდა ისეთი მუდმივი თანამგზავრი და მსმენელი უფლისა, როგორიც იყო წმინდა მათე. თავისი სახარება მან დაწერა წმინდა პეტრეს სიტყვებითა და ხელმძღვანელობით. თვითონ კი, როგორც ჩანს, უფლის მიწიერი ცხოვრების მხოლოდ უკანასკნელი დღეების თვითმხილველი იყო. მარტო მარკოზის სახარებაშია გადმოცემული ვინმე ჭაბუკის შესახებ, რომელიც, როდესაც უფალი შეიპყრეს გეთსიმანიის ბაღში, ***მისდევდა მას და შეემოსა არდაგი შიშულივ, ხოლო სხუათა მათ ჭაბუკთა შეიპყრეს იგი. და მან დაუტევა არდაგი და ივლტოდა მათგან შიშველი*** (14, 51, 52). ამ ჭაბუკს ძველი საეკლესიო გარდამოცემა მიიჩნევს მეორე სახარების ავტორად, წმიდა მარკოზად. მისი დედა, მარიამი მოხსენიებულია „საქმეთა“ წიგნში (12, 12), როგორც ერთ-ერთი უერთგულესი დედაკაცი ქრისტეს სარწმუნოებისა: მის სახლში, იერუსალიმში, მორწმუნენი სალოცავად იკრიბებოდნენ. შემდგომში მარკოზი მონაწილეობას იღებდა წმიდა პავლე მოციქულის პირველ სამოციქულო მოგზაურობაში ბარნაბასთან ერთად, რომელსაც ის ნათესავად მოუდიოდა დედის მხრიდან (კოლ. 4, 10).

როგორც წიგნი „საქმე მოციქულთა“ მოგვითხრობს, როდესაც ისინი პერგამში მივიდნენ, მარკოზი მათ დასცილდა და იერუსალიმში დაბრუნდა (13, 13). ამიტომ თავის მეორე მოგზაურობაში წმინდა პავლემ არ ისურვა მისი თანხლება,

ხოლო, რადგანაც ბარნაბას არ სურდა მარკოზის დამორგება, ამიტომ ***იყო უკუე მკსინვარებაᲲ*** (ვითარების გაშწვავება) ***მათ შორის ვიდრე განშორებადმდე მათა ურთიერთას; ბარნაბა თანა წარიყვანა მარკოზ და განვიდა ნავითა კუპრედ. ხოლო პავლე გამოირჩია შილა*** და მასთან ერთად განაგრძო მოგზაურობა (საქ. 15, 37-40). ურთიერთობის გაცივება, როგორც ჩანს, დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან, როგორც შემდგომში ვხედავთ, მარკოზი პავლესთან ერთად უკვე რომში, საიდანაც წმინდა პავლე ეპისტოლეს წერს კოლასელთა მიმართ, და მათ მარკოზის სახელითაც მიესალმება, თანაც, აფრთხილებს, მის შესაძლო სტუმრობაზე (4, 10). ამის შემდეგ ჩანს, რომ ის გახდა წმინდა პეტრე მოციქულის თანამგზავრი და თანამუშაკი, რასაც განსაკუთრებით აღნიშნავს საეკლესიო გადმოცემა და რასაც ადასტურებს წმინდა პეტრეს სიტყვები მისი პირველი კათოლიკე ეპისტოლიდან: ***გიკითხავს თქუენ, რომელ არს ბაბილონს შინა რჩეულისა მის თანა და მარკოს, ძე ჩემი*** (1 პეტ. 5, 13). თავისი აღსასრულის წინ (2 ტიმ. 4, 6) მას კვლავ იხმობს წმიდა პავლე მოციქული: ***მარკოზ აღადგინე და მოიყვანე შენ თანა, რამეთუ საჯმარ არს იგი ჩემდა მსახურებასა*** (2 ტიმ. 4, 11). საეკლესიო გადმოცემის თანახმად, პეტრე მოციქულმა წმინდა მარკოზი დაადგინა ალექსანდრიის პირველ ეპისკოპოსად, სადაც ის აღესრულა კიდეც მოწამებრივი სიკვდილით.

ჰერაპოლელი ეპისკოპოსის, წმიდა პაპიუსის მოწმობით, – რასაც ასევე ამოწმებენ წმინდა მოწამე იუსტინე ფილოსოფოსი და წმინდა ირინეოს ლონელი, – წმინდა მარკოზმა თავისი სახარება დაწერა პეტრე მოციქულის სიტყვებით. წმინდა იუსტინე ამ სახარებას პირდაპირ უწოდებს „პეტრეს

სამახსოვრი ჩანაწერებს". კლიმენტი ალექსანდრიელი ამტკიცებს, რომ მარკოზის სახარება არსებითად წარმოადგენს წმინდა პეტრე მოციქულის ზეპირქადაგების ჩანაწერებს, რომლებიც წმიდა მარკოზმა შეადგინა რომში მცხოვრები ქრისტიანების თხოვნით. ეს ცნობა სხვა საეკლესიო მწერლების მიერაც დასტურდება, და თვით ამ სახარების შინაარსიც აშკარად მეტყველებს, რომ ის გამიზნულია წარმართობისგან მოქცეული ქრისტიანებისათვის. მასში ძალიან ცოტაა ნათქვამი უფლის სწავლების დამოკიდებულების შესახებ ძველ აღთქმასთან და ძალიან ცოტა ადგილებია დამოწმებული ძველი აღთქმის წმინდა წიგნებიდან. ამასთან, ჩვენ მასში ვხვდებით ლათინურ სიტყვებსაც, მაგალითად, „spekulator" (6, 27, – „მეჯრემლე", ჯალათი); „centurio" (5, 44, 45, – „ასისთავი"); „მწულილნი" (ლეპტა) განმარტებულია, როგორც კოდრანტი (ლათინური „quadrans"-დან). ქადაგება მთაზეც კი, როგორც ახალი აღთქმის რჯულის ძველი აღთქმაზე უპირატესობის მაჩვენებელი, მარკოზის მიერ დატევებულია.

სამაგიეროდ, წმინდა მარკოზი თავის სახარებაში მთავარ ყურადღებას მიაქცევს ქრისტეს სასწაულებზე და მათ მკაფიოდ გადმოსცემს, რითაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს უფლის სამეფო დიდებასა და ყოვლადძლიერებას. მის სახარებაში იესო არის არა „ძე დავითისი", როგორც მათესთან, არამედ ძე ღვთისა, მეუფე და მბრძანებელი, სამყაროს განმგებელი (შდრ. ორივე სახარების პირველი სტრიქონები: მათე 1, 1 და მარკოზი 1, 1). ამიტომაც მარკოზის ემბლემას წარმოადგენს ლომი, სამეფო ცხოველი, ძლიერებისა და ძალის სიმბოლო.

ძირითადად, მარკოზის სახარების შინაარსი ძალიან ახლოსაა მათეს სახარების შინაარსთან, მაგრამ მისგან განსხვავე-

ბით, გამოირჩევა სიმოკლითა, შეკვეცილობით. მასში სულ 16 თავია და 71 საეკლესიო დასაწყისი. იწყება ის იოანე ნათლისმცემლის გამოჩენით, და სრულდება წმინდა მოციქულების წარგზავნით საქადაგებლად უფლის ზეცად ამაღლების შემდეგ.

მარკოზის სახარების დაწერის დროდ ეკლესიის ისტორიის ავტორი ევსები კესარიელი მიიჩნევს უფლის ამაღლებიდან მე-10 წელს. ყოველ შემთხვევაში, ის აუცილებლად დაწერილია იერუსალიმის ტაძრის დანგრევამდე, ანუ ქრისტეს შობიდან 70 წლამდე.

მარკოზის სახარების შინაარსი თავების მიხედვით ასეთია:

1. იოანე ნათლისმცემლის ქადაგება. უფლის ნათლისღება. უდაბნოში გამოცდა. გალილეაში ქადაგების დაწყება. პირველმოციქულთა მოწოდება. ქადაგება და სასწაულებრივი განკურნებები კაპერნაუმში. კეთროვანთა განკურნება.

2. განრღვეულის განკურნება, რომელიც სარეცელზე მწოლარე ჭერიდან ჩამოუშვეს ოთახში. ლევი ალფესის ჩიწება. ქრისტეს მოწაფეების მარხვის შესახებ. შაბათ დღეს თავთავების დაკრეფა.

3. ხელგამხმარის განკურნება შაბათს. ფარისეველთა თათბირი იესოს მოსაკლავად. მრავალი ერის მიმდევრობა და უფლის მიერ სასწაულებრივი განკურნებები. 12 მოციქულის დადგინება. უფლის დადანაშაულება, თითქოს ის ეშმაკებს ბელზებულის ძალით დევნის; სულიწმიდის გმობა მიუტევებელი ცოდვაა. „ვინ არის დედაჲ ჩემი ანუ ძმანი ჩემნი?“

4. იგავი მთესვარის შესახებ. იგავი მდოგვის მარცვლის შესახებ. ქარის დაწყნარება ზღვაზე.

5. ლეგიონი ეშმაკების განდევნა ეშმაკეულისგან ღადარინელთა მხარეში და ღორის კოლტის დაღუპვა. იაიროსის ასულის აღდგენა და სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება.

6. „არა არს წინაჲსწარმეტყველი შეურაცხ...". 12 მოციქულის წარგზავნა საქადაგებლად. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა. 5 000 კაცის სასწაულებრივი დაპურება. წყალზე სვლა. იესოს სამოსის კალთაზე შეხებით სასწაულებრივი განკურნება.

7. ფარისევლების მხრიდან უფლის მოწაფეების დადანაშაულება უხუცესების გადმოცემების დარღვევაში. არ არის მართებული ღვთის სიტყვის შეცვლა გადმოცემებით. „არარაჲ არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანცა შეაგინა იგი, არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა". ასურ-ფინიკელი დედაკაცის ასულის განკურნება. ყრუმუნჯის განკურნება.

8. 4 000 კაცის სასწაულებრივი დაპურება. ფარისევლების მხრიდან იესოსგან სასწაულის ძებნა. „ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და ცომისაგან ჰეროდიანთაჲსა." ბრმის განკურნება ბეთსაიდაში. იესო ქრისტეს აღიარება პეტრეს მიერ ყველა მოციქულის სახელით. უფლის მიერ თავისი სიკვდილისა და აღდგომის წინასწარუწყება და ამაზე პეტრეს შეპასუხება. სწავლება საკუთარი თავის უარყოფის, ჯვრისმტვირთველობისა და ქრისტეს მიმდევრობის შესახებ.

9. უფლის ფერისცვალება. სიმუნჯის სულით შეპყრობილის განკურნება. ახალი წინასწარუწყება უფლისა, თავისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. მოციქულების კამათი პირველობაზე და უფლის შეგონება სიმდაბლის შესახებ. იესო ქრისტეს სახელით ეშმაკების განმდევნელის შესახებ. საცდუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების შესახებ. „გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშვიდობით იყვენით ურთიერთას.“

10. ქორწინების დაურღვევლობის შესახებ. ბავშვების დალოცვა. სიტყვა ცათა სასუფეველში მდიდრების შესვლის სიძნელესთან დაკავშირებით. უფლისათვის ყოველივეს დამტოვებელთათვის ჯილდოს შესახებ. ახალი წინასწარუწყება უფლისა თავისი ვნებების, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. ზებედეს ძეთა თხოვნა პირველობის შესახებ და უფლის შეგონება სიმდაბლის აუცილობლობაზე. ბრმა ბარტიმეოსის განკურნება.

11. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში. უნაყოფო ლეღვის დაწყევლა. მღვდელთმთავართა შეკითხვა იესოს ხელმწიფებასთან დაკავშირებით.

12. იგავი ბოროტ მევენახეთა შესახებ. კეისრისთვის ხარკის გადახდის შესახებ. სადუკეველთათვის პასუხის გაცემა მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. ორი უმთავრესი მცნებისა და ქრისტეს ღვთისძეობის შესახებ. „ეკრძალენით მწიგნობართა მათგან“. ქვრივის ორი „მწულილნი“.

13. წინასწარუწყება ტაძრისა და იერუსალიმის დანგრევის, უკანასაკნელი ჟამის, სამყაროს დასასრულისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

14. ცოდვილი დედაკაცი ნელსაცხებელს სცხებს თავზე იესოს ბეთანიაში. იუდას გამცემლობა. საიდუმლო სერობა. წინასწარმეტყველება პეტრეს მიერ ქრისტეს უარყოფის შესახებ. გეთსიმანიის ბაღში იესოს ლოცვა და მღვდელთმთავრის მსახურების მიერ მისი შეპყრობა. მოწაფეების გაქცევა. „ერთი ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას და შეემოსა არდაგი შიშულივ“. მღვდელთმთავრის სამსჯავრო. პეტრეს მიერ უფლის უარყოფა.

15. პილატეს სამსჯავრო. ბარაბას გათავისუფლება და უფლის გასამართლება. იესოს გაშოლტვა და მეომრების მხრი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დან მისი შეურაცხყოფა. ჯვარცმა, სიკვდილი ჯვარზე და საფლავად დადება.

16. მენელსაცხებლე დედების მისვლა საფლავზე და სპეტაკი სამოსლით შემოსილი ჭაბუკის კეთილმაუწყებლობა ქრისტეს აღდგომის თაობაზე. მკვდრეთით აღდგომილი ქრისტე მაცხოვარი ეცხადება მარიამ მაგდალელს, გზაზე ორ მოწაფესა და სერობაზე 11 მოწაფეს. „წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა“ უფლის ზეცად ამაღლება და მოწაფეების გასვლა საქადაგებლად.

3. ლუკას სახარება

მესამე სახარების ავტორის, წმინდა ლუკას ზუსტი ვინაობა – მისი წარმომავლობა, ცნობილი არ არის. ევსები კესარიელი ამბობს, რომ ლუკა წარმოშობით ანტიოქიიდან იყო, და ამიტომაც მიღებულია ჩაითვალოს, რომ იგი იყო ეგრეთწოდებული „პროზელიტი“, ანუ იუდეველობის მიმღები წარმართი. პროფესიით ის ექიმი იყო, რაც ჩანს წმინდა პავლეს ეპისტოლედან კოლასელთა მიმართ (4, 14); საეკლესიო გადმოცემა აგრეთვე დასძენს, რომ ის ამასთან ერთად ფერმწერიც იყო. იქიდან, რომ მისი სახარება შეიცავს უფლის შეგონებას 70 მოციქულის მიმართ, და ეს შეგონება დაწვრილებით არის გადმოცემული, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წმინდა ლუკა შედიოდა ქრისტეს 70 მოწაფეთა რიცხვში. არაჩვეულებრივად ცოცხლად გადმოსცემს იგი უფლის გამოცხადებას ემაუსის გზაზე ორი მოწაფის წინაშე, თანაც სახელით მხოლოდ ერთს მოიხსენიებს – კლეოპას. ამის გამო და, აგრეთვე, ძველი გადმოცემის მიხედვით, ასკვნიან, რომ მე-

ორე მოწაფე, რომელიც ღირსი გახდა უფლის გამოცხადებისა (ლუკა 24, 13-33) თვით ლუკა მახარებელია. შემდეგ „საქმეთა“ წიგნიდან ჩანს, რომ წმინდა პავლეს მეორე მოგზაურობიდან დაწყებული, იგი მისი მუდმივი თანამგზავრი და თანამუშაკია. ლუკა მახარებელი წმინდა პავლესთან იყო, მისი როგორც პირველ, – საიდანაც დაწერილია ეპისტოლეები კოლასელთა და ფილიპელთა მიმართ, – ისევე, მეორე პატიმრობის დროს (რომელიც მისი მოწამებრივი სიკვდილით დამთავრდა), – როდესაც პავლემ დაწერა თავისი მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ. არსებობს ცნობები, რომ პავლე მოციქულის სიკვდილის შემდეგ წმინდა ლუკა ქადაგებდა აქაიაში და იქ აღესრულა. მისი წმინდა ნაწილები, ანდრია მოციქულის წმინდა ნაწილებთან ერთად, კონსტანტინე იმპერატორის დროს გადაასვენეს კონსტანტინოპოლში.

როგორც მესამე სახარების შესავლიდან ჩანს, წმინდა ლუკამ ის დაწერა ვინმე ღვთისმოყვარე თეფილესთვის, რომელიც ანტიოქიაში ცხოვრობდა და რომლისთვისაც შემდგომში დაწერა ასევე წიგნი „საქმე მოციქულთა“, – ერთგვარი გაგრძელება ამ სახარებისა (იხ. ლუკა 1, 1 და საქ. 1, 1, 2). ამასთან, ის ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ უფლის მსახურების თვითმხილველთა მონათხრობებით, არამედ, აგრეთვე, უფლის ცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ მაშინ უკვე არსებული ზოგიერთი წერილობითი ძეგლებით. მისივე სიტყვებით, ეს მონათხრობები და ჩანაწერები მან გულმოდგინედ გამოიკვლია და ამიტომაც მისი სახარება გამოირჩევა განსაკუთრებული სიზუსტით მოვლენების ადგილისა და დროის განსაზღვრის, აგრეთვე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვის მხრივ.

„ღმრთისმოყუარე თეოფილე“, ვისთვისაც დაწერილია მესამე სახარება, უეჭველად პალესტინის მკვიდრი იყო და ბერძენ სალიმში ნამყოფი არ ყოფილა, – წინააღმდეგ შემთხვევაში არ დასჭირდებოდა წმინდა ლუკას აეხსნა მისთვის სხვადასხვა გეოგრაფიული მონაცემები. მაგალითად, ის, რომ ელეონი მდებარეობს იერუსალიმის მახლობლად შაბათის გზაზე, და სხვა (იხ. ლუკა 1, 26; 4, 31; 24, 13 და საქ. 1, 12). მეორე მხრივ, მისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო „სირაკოსა“ (საქ. 28, 12), „რეგონი“ და „პონტიოლი“ (საქ. 28, 13) იტალიაში, „აჰპიოფარადის მოედანი“ და სამი საფარდული“ რომში (საქ. 28, 15), რომელთა მოხსენიებისას მოციქულთა საქმეში, ლუკა არანაირ განმარტებას არ აკეთებს. თუმცა, კლიმენტი ალექსანდრიელის მოწმობით, თეოფილე არ ყოფილა რომაელი, როგორც შეიძლება გვეფიქრა; ის იყო ანტიოქიელი მდიდარი და გამოჩენილი პიროვნება, ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელი, და მისი სახლი ტაძრად ემსახურებოდა ანტიოქიელ ქრისტიანებს.

ლუკას სახარებაზე აშკარა გავლენა იქონია წმინდა პავლე მოციქულმა, რომლის თანამგზავრიც და თანამუშაკიც იყო წმინდა ლუკა მახარებელი. როგორც „წარმართთა მოციქული“, წმინდა პავლე ცდილობდა, თვალსაჩინო გაეხადა ის უდიდესი ჭეშმარიტება, რომ მესია-ქრისტე დედამიწაზე მოვიდა არა მხლოდ იუდეველთათავის, არამედ წარმართებისთვისაც, და რომ ის არის მაცხოვარი მთელი ქვეყნიერებისა, ყოველი ადამიანისა. ამ ძირითად აზრთან დაკავშირებით, რაც წითელ ხაზად გასდევს მთელ ამ სახარებას, იესო ქრისტეს გენეალოგია მასში მოყვანილია მთელი კაცობრიობის მამამთავარ ადამამდე და თვით ღმერთამდე, რათა ხაზგასმით გამოჩე-

ნილიყო ქრისტეს მნიშვნელობა კაცთა მთელი მოდგმისათვის (ლუკა 3, 23-38). ისეთი ადგილები, როგორიცაა წინასწარმეტყველ ელიას ელჩობა ქვრივთან „სიდონის სარეფთაში“, ელისეს მიერ „ნეემან ასურის“ განკურნება კეთრისგან (4, 26, 27), იგავები უძღებ შვილზე (15, 11-32) და მეზვერესა და ფარისეველზე (18, 10-14) – მჭიდრო შინაგან კავშირშია წმინდა პავლე მოციქულის მიერ დაწვრილებით განვრცობილ სწავლებასთან, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ იუდეველების, არამედ წარმართების ცხონებასაც; და ღვთის წინაშე ადამიანის გამართლებას არა საქმეებით, არამედ საღვთო მადლით, რომელიც მას ეძლევა მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის უსაზღვრო გულმოწყალებითა და კაცთმოყვარეობით. არავის ისე მკაფიოდ არ გამოუხატავს ღვთის სიყვარული მონანული ცოდვილისადმი, როგორც ეს წმინდა ლუკამ გამოხატა; მას ამ თემაზე მთელი რიგი იგავები და ნამდვილი ამბები აქვს მოყვანილი თავის სახარებაში. ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ – გარდა უკვე მოხსენიებული იგავებისა უძღებ შვილზე და მეზვერესა და ფარისეველზე – იგავები დაკარგულ ცხვარზე, დაკარგულ დრაქმაზე, მოწყალე სამარიტელზე; მონათხრობი მეზვერეთა მთავრის, ზაქეს სინანულზე (ლუკა 15, 1-7; 15, 8-10; 19, 1-10) და სხვა მსგავსი ადგილი. ასევე, მისი ღირსშესანიშნავი სიტყვები იმის თაობაზე, რომ ***იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს,*** თანაც ეს სიხარული უფრო მეტია ***ვიდრეღა არა ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უჯმს სინანული*** (ლუკა 15, 10 და 15, 7).

ვხედავთ რა ყოველივე ამისგან წმინდა პავლე მოციქულის უეჭველ გავლენას მესამე სახარების ავტორზე, შეიძლება

სარწმუნოდ ჩავთვალოთ ორიგენეს მტკიცება, რომ ლუკას სახარება პავლეს მიერ მოწონებულ იქნა“.

ლუკას სახარების დაწერის დრო და ადგილი შეიძლება განვსაზღვროთ, თუკი ვიხელმძღვანელებთ იმ მოსაზრებით, რომ ის დაწერილია უფრო ადრე, ვიდრე „საქმე მოციქულთა“, რომელიც მისი ერთგვარი გაგრძელებაა (იხ. საქ. 1, 1). „საქმეთა“ წიგნი კი სრულდება რომში წმინდა პავლეს ორწლიანი ყოფნის აღწერით (28, 30). ეს იყო ქრისტეს შობიდან 62 ან 63 წელი. შესაბამისად, ლუკას სახარება ვერ იქნებოდა ამაზე ადრე დაწერილი, თუმცა ისტორიკოსი ევსები მიიჩნევს, რომ ის დღის სინათლეზე გამოჩნდა ბევრად ადრე, უფლის ამაღლებიდან უკვე მე-15 წელს.

იმის გამო, რომ წმინდა ლუკა უფალ იესო ქრისტეზე უპირატესად საუბრობს, როგორც უდიდეს მღვდელთმთავარზე და საკუთარი თავის მსხვერპლად შემწირველზე მთელი კაცობრიობის ცოდვებისათვის, ამიტომ მისი სიმბოლოა ხბო, როგორც სამსხვერპლო ზვარაკი.

ლუკას სახარება 2 თავისგან და 114 საეკლესიო დასაწყისისგან შედგება. იწყება ის თხრობით, თუ როგორ გამოეცხადა ანგელოზი მღვდელმსახურ ზაქარიას, წმინდა იოანე წინამორბედის მამას, და სრულდება უფლის ზეცად ამაღლების აღწერით.

ლუკას სახარების შინაარსი თავების მიხედვით ასეთია:

1. შესავალი, მიმართვა თეოფილესადმი. ანგელოზის გამოცხადება, რომელმაც მღვდელ ზაქარიას წინასწარ აუწყა ძის –

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანეს დაბადება. ანგელოზი ახარებს ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს. მარადისქალწული მარიამის სტუმრობა ელისაბედთან. წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა.

2. ქრისტეს შობა; ანგელოზი ბეთლემში ეცხადება მწყემსებს; მწყემსები თაყვანს სცემენ ჩვილ იესოს. უფლის წინადაცვეთა. უფლის მირქმა. ყრმა იესოს საუბარი მოძღვრებთან იერუსალიმის ტაძარში.

3. წმინდა იოანე ნათლისმცემლის ქადაგება. უფლის ნათლისღება. უფალ იესო ქრისტეს გენეალოგია.

4. უდაბნოში ქრისტეს გამოცდა ეშმაკისგან. მაცხოვრის ქადაგება გალილეაში, ნაზარეთის სინაგოგაში. ქრისტეს მიერ ეშმაკეულის განკურნება კაპერნაუმის სინაგოგაში; მის მიერ სიმონის სიდედრისა და სხვა მრავალი ავადმყოფისა და ეშმაკეულის განკურნება. უფალი ქადაგებს გალილეის სინაგოგებში.

5. სასწაულებრივი თევზჭერა გენესარეთის ტბაზე და მეთევზეთა სამოციქულოდ მოწოდება. კეთროვანის განკურნება. განრღვეულის განკურნება, რომელიც ოთახში ჭერიდან ჩამოუშვეს. მეზვერე ლევის სამოციქულოდ მოწოდება. სიტყვა უფლის მოწაფეებისათვის მარხვის დაცვასთან დაკავშირებით; იგავი ძველ სამოსელსა და ახალ ღვინოზე.

6. პურის თავთავების დაკრეფა შაბათს. ხელგამხმარის განკურნება შაბათს. 12 მოციქულის გამორჩევა. უფლის ქადაგება იმის თაობაზე, თუ ვინ არის ნეტარი და ვის მოეწევა ჭირ-ვარამი. მტრების მიმართ სიყვარულის შესახებ. „ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ“. კეთილი საქმეების აუცილებლობის შესახებ.

7. კაპერნაუმელი ასისთავის მსახურის განკურნება. ნაინელი ქვრივი დედაკაცის ძის აღდგენა. იოანე ნათლისმცემლის

ელჩობა იესო ქრიტესთან და უფლის მოწმობა იოანეს შესახებ. ცოდვილი დედაკაცის მიერ უფლისთვის ნელსაცხებლის ცხება.

8. უფალი „ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა“, 12 მოწაფისა და მის მიერ განკურნებული დედაკაცების თანხლებით, „რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა“. იგავი მთესველის შესახებ. „სანთელი... სასანთლესა ზედა დაადგიან“. „დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი“. ქარის დაწყნარება ზღვაზე. ლეგიონი ეშმაკების განდევნა ეშმაკისეულისგან და ღორის კოლტის ტბაში დახრჩობა. იაიროსის ასულის აღდგენა და სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება.

9. 12 მოციქულის წარვლენა საქადაგებლად. ჰეროდეს გაურკვევლობა იესო ქრისტეს პიროვნებასთან მიმართებით. 5 000 კაცის სასწაულებრივი დაპურება. პეტრეს მიერ იესოს ქრისტედ აღიარება. უფლის წინასწარუწყება თავისი სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. უფლის სიტყვა „ყოველთა მიმართ: რომელსა უნდეს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თჳსი და აღიღენ ჯუარი თჳსი და მომდევდინ მე“. უფლის ფერისცვალება. ეშმაკეული ყრმის განკურნება. მოციქულთა აზრი პირველობაზე და უფლის შეგონება სიმდაბლის შესახებ. იესოს სახელით ეშმაკების განმდევნელთა შესახებ. სამარიტელთა დაბაში უფალი და მისი მოწაფეები. ქრისტეს მიმდევრობის შესახებ.

10. 70 მოციქულის წარვლენა საქადაგებლად. მათი სიხარულით დაბრუნება იმის გამო, რომ ეშმაკები ემორჩილებიან. უფლის შეგონება: „გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუე-

ნი დაიწერა ცათა შინა". იესო ადიდებს მამა-ღმერთს, მისი ათვის, რომ მან დაფარა „ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა" და გამოუცხადა „ესე ჩჩჳლთა". იგავი მოწყალე სამარიტელზე. უფალი სტუმრად მართასა და მარიამთან.

11. „მამაო ჩუენო" და სწავლება მოუკლებელი ლოცვის შესახებ. იუდეველები ცილს სწამებენ უფალს, თითქოს ის ეშმაკებს ბელზებულის სახელით დევნის. იგავი უწმინდურ სულზე და გამოგვილ და გამშვენებულ სახლზე. „ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ იგი". იონა წინასწარმეტყველის სასწაული. „სანთელი გუამისაჲ არს თუალი". ფარისეველთა მხილება.

12. „ეკრძალენით თავთა თქუენთა ცომისაგან ფარისეველთაჲსა". უნდა ვაღიარებდეთ იესო ქრისტეს წინაშე კაცთა და არ გვეშინოდეს მათგან მოწეული ტანჯვისა. სულიწმიდის გმობის მიუტევებლობა. მომხვეჭელობის წინააღმდეგ: იგავი მდიდარსა და მდიდარი მოსავლის შესახებ. „ნუ ეძიებთ, რაჲ სჭამოთ და რაჲ ჰსუათ... გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა". მოწყალების შესახებ. იფხიზლეთ და „იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისაჲ მოვიდეს". იგავი ერთგული მნის შესახებ. ქვეყნის „განყოფა" ქრისტე მაცხოვრის მიმდევრებად და მოწინააღმდეგეებად; გვმართებს მზადება საღვთო სამსჯავროზე წარსადგომად.

13. „უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ". იგავი უნაყოფო ლეღვის შესახებ. მოკრუნჩხული დედაკაცის განკურნება შაბათს. იგავი მდოგვის მარცვლისა და საფუარის შესახებ. „უკუეთუ მცირედ არიან ცხორებულნი?" — „იღუაწეთ შესლვად იწროჲსა მისგან კარისა". უფლის პასუხი ჰეროდეს. უფლის საყვედური იერუსალიმს.

14. სნეულთა განკურნება შაბათს. პირველობის მაძიებელთა გაკიცხვა. ღატაკთა მიწვევა ნადიმზე. იგავი სუფრაზე წვეულთა შესახებ. „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფეყოფად ჩემდა“.

15. იგავები დაკარგული ცხვრისა და დაკარგული დრაქმის შესახებ. იგავი უძღები შვილის შესახებ.

16. იგავი უსამართლო მნის შესახებ. განქორწინების დაუშვებლობის შესახებ. იგავი მდიდარსა და ლაზარეზე.

17. საცდურების შესახებ. მიმტევებლობა ძმის მიმართ. სარწმუნოების ძალის შესახებ. „ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: მონანი ვართ უჴმარნი; რომელი თანაგუედვა ყოფად, ვყავთ“. 10 კეთროვანის განკურნება. „სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს.“. ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

18. იგავი უსამართლო მსაჯულზე. იგავი მეზვერესა და ფარისეველზე. ბავშვების დალოცვა. მდიდრისთვის ძნელია ცათა სასუფეველში შესვლა. ქრისტესთვის ყოველივეს დამტევებელთათვის ჯილდოს შესახებ. ქრისტეს წინასწარუწყება მისი ტანჯვის, სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის შესახებ. იერიქონელი ბრმის განკურნება.

19. მეზვერათა მთავრის, ზაქეს სინანული. იგავი 10 მონისა და მათთვის ბატონის მიერ სავაჭროდ დატოვებული ფულის შესახებ. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში. მოვაჭრეთა ტაძრიდან გამოძევება.

20. მღვდელთმთავართა და უხუცესთა შეკითხვა ქრისტეს ხელმწიფების თაობაზე. იგავი ბოროტი მევენახეების შესახებ. „მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა“. სადუკეველთათვის პასუხის მიგება მკვდრეთით აღდგომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ. ქრისტეს ღვთისძეობის შესახებ. „ეკრძალენ მწიგნობართაგან“.

21. ქვრივის ორი „მწულილი“. წინასწარუწყება იერუსალიმის დანგრევის, სამყაროს დასასრულისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. სიფხიზლისაკენ მოწოდება.

22. იუდას გამცემლობა. საიდუმლო სერობა. წინასწარუწყება პეტრეს მიერ ქრისტეს უარყოფის შესახებ. ორი მახვილის შესახებ. უფლის ლოცვა გეთსიმანიის ბაღში. უფლის შეპყრობა. პეტრეს მიერ ქრისტეს უარყოფა. უფალი სინედრიონის სამსჯავროს წინაშე.

23. პილატეს სამსჯავრო. უფალი ჰეროდესთან. პილატეს მცდელობა, გაათავისუფლოს უფალი. ხალხი ითხოვს მის დასჯას. სვიმონ კირინელი. დედაკაცების ტირილი და უფლის სიტყვა მათ მიმართ. უფლის ჯვარცმა. კეთილგონიერი ავაზაკის სინანული. უფლის სიკვდილი და საფლავად დადება. გალილეიდან მოსული დედაკაცების მიერ ნელსაცხებლების მომზადება.

24. მენელსაცხებლე დედებს ანგელოზები ეცხადებათ. პეტრე უფლის საფლავთან. მკვდრეთით აღდგომილი უფალი ორ მოწაფეს ეცხადება ემაუსის გზაზე. უფალი ეცხადება 11 მოწაფეს და შეაგონებს მათ. უფლის ზეცად ამაღლება.

4. იოანეს სახარება

მეოთხე სახარება დაწერილია ქრისტეს საყვარელი მოწაფის, იოანე ღვთისმეტყველის მიერ. წმინდა იოანე იყო გალილეველი მეთევზის, ზებედესი (მათე 4, 21) და სალომეს (მათე 27, 56 და მარკოზი 15, 40) ძე. ზებედე, როგორც ჩანს, შეძლე-

ბული კაცი იყო, რადგან დაქირავებული მუშები ჰყავდა (მარკოზი 1, 20); ასევე, არცთუ ნაკლებმნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იუდაურ საზოგადოებაში, რადგან მის შვილს, იოანეს, ნაცნობობა აკავშირებდა მღვდელთმთავართან (იოანე 8, 15). იოანეს დედა, სალომე, მოიხსენიება იმ დედაკაცთა შორის, რომელნიც ემსახურებოდნენ უფალს; ახლდა მას გალილეაში, გაჰყვა იერუსალიმში ბოლო პასექზე და შედიოდა მენელსაცხებლე დედათა რიცხვში (მარკოზი 15, 40, 41; 16, 1). საეკლესიო გადმოცემა მას მიიჩნევს იოსებ-დამწინდველის ასულად.

იოანე თავიდან იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც მოისმინა, რომ იესო არის „ტარიგი ღმრთისაჲ“, იგი მაშინვე ანდრიასთან ერთად გაჰყვა ქრისტეს (იოანე 1, 37, 40). თუმცა, მისი მუდმივი მოწაფე ის რამდენადმე მოგვიანებით გახდა, – გენესარეთის ტბაზე სასწაულებრივი თავზჭერის შემდეგ, როდესაც უფალმა თავად მოუწოდა მას თავის ძმა იაკობთან ერთად (ლუკა 5, 10). პეტრესა და თავის ძმასთან ერთად, იოანე ღირსიქმნა უფალთან განსაკუთრებული სიახლოვისა; მასთან იყო მისი მიწიერი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან და საზეიმო წუთებში. მაგალითად, ის ესწრებოდა იაიროსის ასულის აღდგინებას (მარკოზი 5, 37), იხილა მთაზე უფლის ფერისცვალება (მათე 17, 1), მოისმინა საუბარი უფლის მეორედ მოსვლის ნიშნების შესახებ (მარკოზი 13, 3), ესწრებოდა მის ლოცვას გეთსიმანიის ბაღში (მათე 26, 37). საიდუმლო სერობაზე კი იმდენად ახლოს იჯდა უფალთან, რომ მისი სიტყვებით, იყო ***მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა*** (იოანე 13, 23-25). სიმდაბლის გამო ის თავის სახელს არ ასახელებს, მაგრამ სახარება-

ში თავის თავს უწოდებს მოწაფეს, ***რომელი-იგი უყვარდა: იესოს*** (იოანე 13, 23). უფლის მისდამი ეს სიყვარული იმითაც გამოიხატა, რომ, ჯვარზე გაკრულმა იესომ სწორედ მას დაავალა ეზრუნა თავის ყოვლადწმიდა მშობელზე და მიმართა სიტყვებით: ***აჰა დედაჲ შენი!*** (იოანე 19, 27).

იოანეს მგზნებარედ უყვარდა უფალი, და გულძვირად იყო იმათ მიმართ, ვინც მტრობდა ან ეუცხოებოდა უფალს. ამიტომ აუკრძალა მან ადამიანს, რომელიც ქრისტეს მიმდევარი არ იყო, ქრისტეს სახელით გაეძევებინა ეშმაკები (მარკოზი 9, 38); ასევე, ნებართვა სთხოვა უფალს, ცეცხლი გარდამოევლინა სამარიის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლებზე იმის გამო, რომ მათ არ მიიღეს უფალი, როცა ის იერუსალიმში მიდიოდა სამარიის გავლით (ლუკა 9, 54). ამისათვის მან, თავის ძმა იაკობთან ერთად, უფლისგან მიიღო სახელდება „ბანერგეს", რაც ნიშნავს: „ძენი ქუხილისანი" (მარკოზი 3, 17). გრძნობდა რა ქრისტეს სიყვარულს, მაგრამ ჯერ კიდევ სულიწმიდის მადლით გაუნათლებელი იოანე, კადნიერდება და თავის ძმასთან ერთად ითხოვს უფლისგან მასთან უახლოეს ადგილს მომავალ სასუფეველში. პასუხად მან მიიღო წინასწარმეტყველება, რომ ორივე მათგანს ელოდა ტანჯვა უფლის მიმდევრობისათვის: **სასუმელი სამე ჩემი შესუათ** (მათე 20, 23).

უფლის ზეცად ამაღლების შემდეგ, ჩვენ ხშირად ვხედავთ წმინდა იოანეს წმინდა პეტრე მოციქულთან (საქ. 3, 1; 4, 13; 8, 14), მასთან ერთად ის ითვლება ეკლესიის სვეტად, და სამოღვაწეო ადგილად განესაზღვრება იერუსალიმი (გალ. 2, 9). იერუსალიმის დანგრევის შემდეგ კი წმინდა იოანეს საცხოვრებელი და სამოღვაწეო ადგილი ხდება ქალაქი ეფესო – მცირე აზიაში. იმპერატორ დომიციანეს მეფობისას (ზოგი-

ერთთა აზრით, ნერონის ან ტრაიანეს დროს, რაც ნაკლებ სარწმუნოა) იგი გადაასახლეს კუნძულ პატმოსზე, სადაც მან დაწერა აპოკალიფსისი (1, 9-19). ხოლო გადასახლებიდან ეფესოში დაბრუნებულმა, დაწერა სახარება და გარდაიცვალა თავისი სიკვდილით (მოციქულთაგან ერთადერთი). გადმოცემის თანახმად, მისი სიკვდილი დიდი იდუმალებით იყო მოცული. ზოგიერთი მონაცემებით ის გარდაიცვალა 105 წლის ასაკში, სხვა მონაცემებით – 120 წლის ასაკში, ტრაიანეს მეფობის პერიოდში.

როგორც გადმოცემა ამბობს, მეოთხე სახარება იოანემ დაწერა ეფესოელი ქრისტიანების ან, უფრო მეტიც, მცირეაზიელი ეპისკოპოსების თხოვნით. მათ მიუტანეს მას პირველი სამი სახარება და სთხოვეს, შეევსო ისინი უფლის სიტყვებით, რომლებიც მას მისგან ჰქონდა მოსმენილი. იოანემ დაადასტურა ჭეშმარიტება პირველი სამი სახარების შინაარსისა, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა, ბევრი რამ აუცილებელი დაემატებინა, განსაკუთრებით კი გადმოეცა უფალ იესო ქრისტეს ღმრთეებრიობაზე სწავლება უფრო ვრცლად და მკაფიოდ, რათა დროთა განმავლობაში არ ეფიქრათ, რომ ის მხოლოდ „ძე კაცისა“ იყო. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ იმ დროისათვის უკვე გამოჩნდა სხვადასხვა ერესი, რომელიც უარყოფდა ქრისტეს ღმრთეებრიობას. ესენი იყვნენ: ებიონიტები, კერინთეს მწვალებლობა და გნოსტიკოსები. მღვდელმოწამე ირინეოს ლიონელის, ასევე სხვა ძველი დროის მამებისა და საეკლესიო მწერლების მოწმობით, წმიდა იოანემ თავისი სახარება დაწერა სწორედ მცირეაზიელი ეპისკოპოსების თხოვნით, რომელნიც შეწუხებულნი იყვნენ ამ მწვალებლობების გამოჩენით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მეოთხე სახარების დაწერის მიზანი იყო, შეევსო პირველი სამი მახარებლის მიერ დაწერილი სახარებები; ამას მოწმობს თვით შინაარსი იოანეს სახარებისა. იმ დროს, როდესაც პირველი სამი მახარებელი ხშირად მოგვითხრობენ ერთსა და იმავე მოვლენებს და მოჰყავთ უფლის ერთი და იგივე სიტყვები, – რისთვისაც მათმა სახარებებმა მიიღეს სახელწოდება „სინოპტიკურები", – იოანეს სახარება ძლიერ განსხვავდება მათგან თავისი შინაარსით, რადგან აღწერს ისეთ მოვლენებს და მოჰყავს უფლის ისეთი სიტყვები, რომელთა შესახებაც ხშირად არანაირი ცნობები არ არსებობს პირველ სამ სახარებაში.

იოანეს სახარების განმასხვავებელი ნიშანი ნათლად არის გამოხატული იმ სახელწოდებაში, რომლითაც ის ძველად მოიხსენიებოდა. პირველი სამი სახარებისგან განსხვავებით, ის, უპირატესად იწოდებოდა „სულიერ სახარებად" (ბერძნულად: „პნევმატიკონი"). ეს იმიტომ, რომ იმ დროს, როდესაც სინოპტიკური სახარებები მოგვითხობენ უმთავრესად უფლის მიწიერი ცხოვრების მოვლენებს, იოანეს სახარება იწყება იესო ქრისტეს ღმრთეებრიობის შესახებ სწავლების გადმოცემით, და შემდგომში შეიცავს უფლის მთელ რიგ ამაღლებულ სიტყვებს. სწორედ ამ სიტყვებშია მისი ღმრთეებრივი ღირსება და სარწმუნოების უღრმესი საიდუმლოება. ასეთებია, მაგალითად, ნიკოდიმოსთან საუბარი ზეგარდამო წყლითა და სულით შობისა, და გამოსყიდვის საიდუმლოს შესახებ; სამარიტელ დედაკაცთან საუბარი *ცხოველი* წყლისა და ღვთისადმი სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემის შესახებ; საუბარი ზეციდან გარდამოსული პურისა და ზიარების საიდუმლოს შესახებ; საუბარი კეთილი მწყემსის შესახებ.

თავისი შინაარსით, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ამ სამშვიდობებელი საუბარი მოწაფეებთან საიდუმლო სერობაზე, რომელიც სრულდება უფლის საოცარი, ეგრეთწოდებული, „სამღვდელმთავრო ლოცვით". ჩვენ აქ ვხედავთ მთელ რიგ საკუთარ მოწმობას უფლისა თავისი თავის, როგორც ძე ღვთისას შესახებ. წმიდა იოანემ საპატიო სახელდება „ღვთისმეტყველი" სწორედ იმიტომ მიიღო, რომ გადმოგვცა სწავლება სიტყვა-ღმერთის შესახებ და აგვიხსნა ყველა ის ღრმა და ამაღლებული ჭეშმარიტება და საიდუმლოება, რაც უკავშირდება ჩვენს სარწმუნოებას.

გულით წმინდა ქალწული, მთლიანად უფალს შეწირული, და ამიტომ მისგან განსაკუთრებული სიყვარულით აღბეჭდილი წმინდა იოანე ღრმად აღწევს ქრისტიანული სიყვარულის საიდუმლოებაში. ისე სრულად, სიღრმისეულად და დამაჯერებლად არავის აუხსნია ქრისტიანული სწავლება საღვთო რჯულის ორი ძირითადი მცნების – ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის – შესახებ, როგორც ეს მან ახსნა თავის სახარებასა და სამ კათოლიკე ეპისტოლეში. აი, რატომაც უწოდებენ მას ასევე „სიყვარულის მოციქულს".

მნიშვნელოვანი თავისებურება იოანეს სახარებისა კიდევ ის არის, რომ, მაშინ, როდესაც პირველი სამი კეთილმაუწყებელი უმთავრესად გადმოგვცემს უფლის ქადაგების შესახებ გალილეაში, წმიდა იოანე მოგვითხრობს იმ მოვლენებსა და საუბრებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ იუდეაში. ამის წყალობით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღროთ, თუ რა ხანგრძლივობისა იყო უფლის საზოგადოებრივი მსახურება და, ამასთან, დავადგინოთ ხაგრძლივობა მისი მიწიერი ცხოვრებისა. უმეტესწილად უფალი ქადაგებდა გალილეაში, მაგრამ იერუ-

სალიმშიც, ანუ იუდეაშიც, მოგზაურობდა ყველა მთავარ დღესასწაულზე. სწორედ ამ მოგზაურობებიდან იღებს წმინდა იოანე უმთავრესად მის მიერ მონათხრობ მოვლენებსა და მის მიერ გადმოცემულ უფლის სიტყვებს. ასეთი მოგზაურობა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე, როგორც იოანეს სახარებიდან ჩანს, იყო სულ სამი, ხოლო თავისი საზოგადოებრივი მსახურების მეოთხე პასექის წინ, უფალმა მიიღო ჯვარზე სიკვდილი. აქედან გამომდინარეობს, რომ უფლის საზოგადოებრივი მსახურება გრძელდებოდა სამ-ნახევარი წელიწადი, ხოლო იცხოვრა მან მიწაზე ოცდაცამეტ წელიწად-ნახევარი (რადგან, როგორც წმინდა ლუკა მოწმობს (3, 23) საზოგადოებრივ მსახურებას ის შეუდგა 30 წლის ასაკში).

იოანეს სახარება 21 თავსა და 67 საეკლესიო დასაწყისს შეიცავს. იწყება ის სწავლებით „სიტყვის" შესახებ, ხოლო მთავრდება მკვდრეთით აღდგომილი უფლის გამოცხადებით მოწაფეებთან გენესარეთის ტბაზე, წმიდა პეტრეს აღდგენით სამოციქულო ღირსებაში და ავტორის მტკიცებით, რომ „ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი", და რომ ყოველივე, რაც იესომ აღასრულა, დაწვრილებით რომ დაწერილიყო, მაშინ მთელი ქვეყანაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს.

იოანეს სახარების შინაარსი თავების მიხედვით ასეთია:

1. სწავლება სიტყვა-ღმერთის შესახებ. იოანე ნათლისმცემლის მოწმობა იესო ქრისტეზე. იოანეს ორი მოწაფე მიჰყვება უფალ იესო ქრისტეს. უფალთან მიდიან პირველი მოწაფეები: ანდრია, სიმონი (პეტრე), ფილიპე და ნათანაილი. უფლის საუბარი ნათანაელთან.

2. პირველი სასწაული გალილეის კანაში. მოგვიანებით გამოძევება ტაძრიდან. წინასწართქმა უფლისა თავისი სხეულის ტაძრის დანგრევისა და მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ მესამე დღეს. უფლის მიერ იერუსალიმში აღსრულებული სასწაულები, რომლის შემდეგაც მრავალმა ირწმუნა იგი.

3. უფალ იესო ქრისტეს საუბარი იუდეველ მთავარ ნიკოდიმოსთან. იოანე ნათლისმცემლის ახალი მოწმობა იესო ქრისტეს შესახებ.

4. იესო ქრისტესა და სამარიტელი დედაკაცის საუბარი იაკობის ჭასთან. სამარიტელის რწმენა. უფლის დაბრუნება გალილეაში. კარისკაცის ძის განკურნება კაპერნაუმში.

5. განრღვეულის განკურნება შაბათ დღეს ცხვრის საბანელთან. უფალ იესო ქრისტეს მოწმობა თავის თავზე, როგორც ძე ღვთისაზე, რომელსაც აქვს ხელმწიფება აღადგინოს მკვდრეთით, და თავისი დამოკიდებულების შესახებ მამა-ღმერთთან.

6. 5 000 კაცის სასწაულებრივი დაპურება. წყალზე სვლა. საუბარი ზეცით გარდამოსული პურის შესახებ, რომელიც ქვეყანას ცხოვრებას აძლევს. ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარების აუცილებლობის შესახებ მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად. პეტრე აღიარებს იესოს ქრისტედ, ძედ ცოცხალი ღმერთისა. უფლის წინასწარუწყება თავისი გამცემის შესახებ.

7. იესო ქრისტე უარყოფს ძმების შემოთავაზებას. იესო ქრისტე ასწავლის იუდეველებს დღესასწაულზე ტაძარში. მისი სწავლება სულიწმიდის, როგორც ცოცხალი წყლის შესახებ. იუდეველებში უფლის შესახებ აზრი იყოფა.

8. უფალთან მიჰყავთ მრუშობაში შესწრებული დედაკაცი. უფლის საუბარი იუდეველებთან საკუთარ თვზე, როგორც

ქვეყნის ნათელზე და როგორც დასაბამიდან მყოფზე: იუდეველების მხილება, ვინც მისი არ იწამა; ისინი არიან შემსრულებელნი თავიანთი მამის – ეშმაკის სურვილებისა, რომელიც „კაცისმკვლელი იყო დასაბამითგან“.

9. ბრმადშობილის განკურნება.

10. უფლის საუბარი თავის თავზე, როგორც „კეთილ მწყემსზე“. იესო ქრისტე იერუსალიმის ტაძარში განახლების დღესასწაულზე. მისი საუბარი მამა-ღმერთთან თავის ერთობის შესახებ. იუდეველების მცდელობა, უფალი ქვებით ჩაქოლონ.

11. ლაზარეს აღდგინება. მღვდელთმთავრებისა და ფარისევლების გადაწყვეტილება, სიკვდილით დასაჯონ უფალი.

12. ბეთანიაში უფალს მარიამმა ნელსაცხებელი სცხო. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში. ელინებს მისი ნახვა სურთ. იესო ლოცვას აღავლენს მამა-ღმერთის მიმართ მისი განდიდების გამო. უფალი შეაგონებს: „ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა“. იუდეველების ურწმუნოება ესაიას წინასწარმეტყველების თანახმად.

13. საიდუმლო სერობა. უფალმა „იწყო ბანად ფერჯთა მოწაფეთა თჳსთა“. უფლის წინასწარუწყება იუდას გამცემლობის შესახებ. უფლის გამოსამშვიდობებელი საუბრის დასაწყისი: შეგონება ურთიერთსიყვარულის შესახებ. წინასწარუწყება პეტრეს მიერ უფლის უარყოფის შესახებ.

14. გამოსამშვიდობებელი საუბრის გაგრძელება: მრავალი სავანის შესახებ მამის სახლში. ქრისტე არის გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება. სიტყვა სარწმუნების ძალაზე. აღთქმა სულიწმიდის გარდამოსვლის შესახებ.

15. გამოსამშვიდობებელი საუბრის გაგრძელება: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი“. შეგონება ურთიერთსიყვარულის შესახებ. წინასწარუწყება უფლის მიმდევართა დევნის შესახებ.

16. გამოსამშვიდობებელი საუბრის გაგრძელება: ახალი აღთქმა სულიწმიდა-ნუგეშინისმცემლის გარდამოსვლის შესახებ.

17. სამღვდელთმთავრო ლოცვა უფლისა თავისი მოწაფეებისა და ყველა მორწმუნისათვის.

18. უფლის შეპყრობა გეთსიმანიის ბაღში. ანას სამსჯავროზე. პეტრეს მიერ უფლის უარყოფა. კაიაფასთან. პილატეს სამსჯავროზე.

19. უფლის გაშოლტვა. პილატე უფლის დაკითხვას აწარმოებს. ჯვარცმა. წილისყრა უფლის კვართზე. უფალი თავის დედაზე ზრუნვას იოანეს აკისრებს. უფლის სიკვდილი და საფლავად დადება.

20. მარიამ მაგდანელი მივიდა საფლავთან და „იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან". პეტრემ და სხვა მოწაფემ იხილეს ცარიელი საფლავი და შიგ „ტილონი იგი მდებარენი". მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება მარიამ მაგდალელს; ეცხადება ყველა მოწაფე, თომას გარდა. თომას ურწმუნოება და მეორე გამოცხადება უფლისა ყველა მოწაფის წინაშე, ამჯერად, თომაც მათ შორისაა. სახარების დაწერის მიზანი: „რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძჱ ღმრთისაჲ, და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა".

21. უფალი ეცხადება მოწაფეებს ტიბერიის ზღვაზე; სამგზის ეკითხება პეტრეს: „გიყუარ მეა?" და ავალებს: „ დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი". უფალი პეტრეს უწინასწარმეტყველებს მოწამებრივ აღსასრულს. პეტრეს შეკითხვა იოანეს შესახებ. სახარების ავტორი ამტკიცებს რომ „ ჭეშმარიტ არს წამებაჲ (მოწმობა) მისი".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანმიმდევრობითი განხილვა მთელი წმინდა სახარების ოთხთავისა მნიშვნელოვანი ადგილების განმარტებით

შესავალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფლის ცხოვრების შესახებ ყველა მახარებელი არ მოგვითხრობს ერთსა და იმავეს ერთნაირი აღწერილობით: ზოგს უწერია ის, რაც სხვასთან არ გვხვდება; ზოგი რაღაც მოვლენას აღწერს დაწვრილებით, მეორე კი მას მოკლედ ეხება; თვით მოვლენისა და უფლის სიტყვების გადმოცემაშიც გვხვდება ზოგჯერ განსხვავება, ზოგიერთ შემთხვევაში თითქოს შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობაც კი გვეჩვენება, რომლის შემჩნევა და აღნიშვნა ასე უყვარს ეგრეთწოდებულ „უარყოფით კრიტიკას“.

ამიტომაც იყო, რომ ქრისტიანობის პირველივე ხანებიდან დაიწყო მცდელობა, ოთხივე სახარების შინაარსის ერთ საერთო თანმიმდევრობით კავშირში გაერთიანებისა, რათა დადგენილიყო რაც შეიძლება სარწმუნო ქრონოლოგიური რიგითობა სახარებისეული მოვლენებისა ისე, თითქოს ერთი სახარება ყოფილიყოს.

ჩვენთვის ცნობილი პირველი ასეთი მცდელობა ჰქონდა აპოლოგეტ ტატიანეს, წმინდა მოწამე იუსტინე ფილოსოფოსის მოწაფეს. მან მე-2 საუკუნის ნახევარში შეადგინა ყველა ოთხივე სახარების კრებული, რომელმაც დიდი გავრცელება ჰპოვა სახელწოდებით „დიატესარონი“. ასეთივე სახის მეორე ნაშრომი, ნეტარი იერონიმეს მოწმობით, ეკუთვნოდა ანტიო-

ქიის ეპისკოპოს თეოფილეს, რომელიც ასევე მე-2 საუკუნეში, მის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. მან დაწერა „კომენტარები სახარებაზე“, ანუ მცდელობა მისი წერილობითი განმარტებისა.

ასეთი მცდელობები, ოთხივე სახარების შეერთებისა, შემდგომშიც გრძელდებოდა, – ჩვენს დრომდეც. ჩვენს დროში ცნობილია, მაგალითად, ნაშრომი ბ. ი. გლადკოვისა, რომელმაც შეადგინა ასევე „სახარების განმარტება“. ოთხივე სახარების ყველაზე საუკეთესო კრებულად მიჩნეულია ეპისკოპოს თეოფანეს [წმიდა თეოფანე დაყუდებული] ნაშრომი: სახარებისეული ისტორია ძე-ღმერთის შესახებ, რომელი ჩუენისა ცხორებისათვის განკაცნა, თანმიმდევრობით გადმოცემული წმინდა მახარებლების მიერ“*

მსგავსი ნაშრომების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გვაძლევენ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების მთელი მიმდინარეობის სრულ, შეკრულ და მთლიან სურათს.

ჩვენც თანმიმდევრობით განვიხილავთ მთელ სახარებისეულ მონათხრობს ამ ნაშრომების ხელმძღვანელობით, და დავადგენთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოვლენათა ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას; შევჩერდებით იმ განსხვავებებზე, რომლებიც შეინიშნება ოთხივე სახარებას შორის და განვმარტავთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეკლესიის წმინდა მამების ავტორიტეტულ განმარტებებთან შესაბამისობაში.

---

*ეს ნაშრომი ამჟამად ქართულადაც არის გამოცემული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი სახარებისეული ისტორია ბუნებრივად
იყოფა სამ მთავარ ნაწილად:

I. ამქვეყნად მოსვლა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

II. საზოგადოებრივი მსახურება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

III. ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი დღეები.

ნაწილი I
ამქვეყნად მოსვლა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

1. სახარების წინასიტყვაობა: მისი სარწმუნოობა და მიზანი.

2. ძე ღვთისას წინარესაუკუნეთა შობა და განკაცება.

3. ქრისტეს წინამორბედის, იოანეს ჩასახვა.

4. ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ხარება.

5. ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის შეხვედრა ელისაბედთან.

6. წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა.

7. უფალ იესო ქრისტეს ხორციელი გენეალოგია.

8. ქრისტეს შობა.

9. იოსებ დამწინდველისთვის განკაცების საიდუმლოს გაცხადება.

10. ქრისტეს შობის დროის გარემოება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

11. უფლის წინადაცვეთა და მირქმა.
12. მოგვების თაყვანისცემა.
13. ეგვიპტეში გაქცევა და ჩვილთა მოწყვეტა.
14. იესო ქრისტეს ყრმობა.

1. სახარების წინასიტყვაობა: მისი სარწმუნოობა და მიზანი

(ლუკა 1, 1-4; იოანე 20, 31)

მთელი ოთხთავის წინასიტყვაობად შეიძლება ჩაითვალოს ლუკას სახარების პირველი თავის პირველი ოთხი მუხლი, სადაც წმინდა მოციქული საუბრობს, რომ მან მთელი გულმოდგინებით გამოიკვლია ყოველივე ის, რასაც თავის წიგნში გადმოსცემს, და მიუთითებს ამ წიგნის (სახარების) დაწერის მიზეზსაც: ***რაჲთა სცნა, რომელთათჳს-იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულებაჲ*** *[რათა შეიცნო იმ მოძღვრების უმცდარობა, რაც გისწავლია]** (ლუკა 1, 4). ამ მიზანთან მიმართებით, წმინდა მოციქული იოანე ღვთისმეტყველი თავის სახარებაში დასძენს: ***რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა*** *[რათა ირწმუნოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმრთისა, და მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით]* (იოანე 20, 31).

როგორც წმინდა ლუკას ამ წინასიტყვაობიდან ჩანს, იგი შეუდგა თავისი სახარების შედგენას იმიტომ, რომ იმ დროი-

---

*თანამედროვე ქართულ ენაზე მოყვანილი სახარების ტექსტი დამოწმებულია საქართველოს საპატრიარქოს მიერ 1989 წელს გამოცემული **ბიბლიიდან**.

სათვის მსგავსი სახის საკმაოდ ბევრი თხზულება გაჩნდა, მაგრამ მათ არ გააჩნდათ არც საკმარისი ავტორიტეტულობა და არც დამაკმაყოფილებელი შინაარსი; და მან თავი ვალდებულად ჩათვალა, აღეწერა ცხოვრება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ხოლო ყველა მის ხელთ არსებული მონაცემი გულდასმით შეედარებინა *თვითმხილველთა და სიტყვის მსახურთა* გადმოცემებთან (1, 2). ამ საქმისათვის ის აღძრა სურვილმა, განემტკიცებინა რწმენაში ვინმე *ღირსეული თეოფილე* (1, 3) და მასთან ერთად, საერთოდ, ყველა ქრისტიანი. როგორც ჩანს, ლუკა მახარებელი იყო ქრისტეს 70 მოწაფეთაგან ერთ-ერთი, ამიტომ ვერ იქნებოდა ის თვითმხილველი ყველა მოვლენისა; ისეთების, მაგალითად, როგორიცაა – იოანე ნათლისმცემლის შობა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარება, ქრისტეს შობა, მირქმა. ამიტომ, ეჭვგარეშეა, რომ მისი სახარების მნიშვნელოვანი ნაწილის წყაროა თვითმხილველთა სიტყვები, ანუ – გადმოცემა (აი, სად ჩანს წმინდა გადმოცემის მნიშვნელობა, რასაც პროტესტანტები და სექტანტები უარყოფენ). ამასთან, სრულიად ეჭვშეურევნელად შეიძლება ითქვას, რომ პირველი და მთავარი თვითმხილველი, სახარებისეული ისტორიის უფრო ადრეული მოვლენებისა, იყო თვით ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, რომლის შესახებაც წმინდა ლუკა ორჯერ აღნიშნავს, რომ ის *იმახსოვრებდა ყველა მოვლენას* და *გულში იმარხავდა* (2, 19, 51).

ლუკას სახარების უპირატესობა სხვა, მანამდე არსებულ ჩანაწერებთან შედარებით, უეჭველად ისაა, რომ წმინდა მახარებელი მას წერდა ფაქტების **გულდასმითი შემოწმების** შემდეგ და, ამასთან, მკაცრად იცავდა მოვლენების თანმიმდევრობას. ეს უპირატესობა ეკუთვნის ჩვენს სხვა სამ მახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელსაც, რადგან ორი მათგანი – მათე და იოანე – უფლის თორმეტ მოწაფეთა რიცხვში შედიოდა; ესე იგი, იყვნენ ადგილ-ოვართან დაკავშირებულ მოვლენათა უშუალო თვითმხილველნი და ღვთის სიტყვის მსახურნი. ხოლო მესამე, მარკოზი, ასევე წერდა სახარებისეული მოვლენების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილის, უფლის უახლოესი მოწაფის, წმინდა მოციქულ პავლეს ნაამბობიდან.

წმინდა იოანეს მიერ აღნიშნული მიზანი, განსაკუთრებით აშკარად ჩანს მის სახარებაში, რომელიც სავსეა მოწმობებით უფალ იესო ქრისტეს ღმრთეებრიობაზე, თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა სამ სახარებასაც იგივე მიზანი აქვს.

2. ძე ღვთისას წინარესაუკუნეთა შობა და განკაცება

(იოანე 1, 1-14)

მაშინ, როდესაც მახარებლები – მათე და ლუკა მოგვითხრობენ უფალ იესო ქრისტეს მიწიერი შობის შესახებ, წმინდა იოანე თავის სახარებას იწყებს მისი წინარესაუკუნეთა შობისა და მისი, როგორც მხოლოდშობილი ძე ღვთისას, განკაცების შესახებ სწავლების გადმოცემით. პირველი სამი მახარებელი თხრობას იწყებს იმ მოვლენებიდან, რომელთა პირობებშიც ღვთის სასუფეველმა მიიღო დასაბამი დროსა და სივრცეში, ხოლო წმინდა იოანე, ვითარცა არწივი, ზეიწევა ამ სასუფევლის წინარესაუკუნეთა საფუძვლამდე, ჭვრეტს მარადიულ ყოფიერებას იმისას, ვინც მხოლოდ ***უკუანაჲსკნელთა ამათ დღეთა*** *[ამ უკანასკნელ დღეებში]* (ებრ. 1, 1) განკაცდა.

ყოვლადწმიდა სამების მეორე პირს – ძე ღვთისას – იოანე უწოდებს **სიტყვას**. აქ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ და გვახს-

ოვდეს, რომ ბერძნული „ლოგოსი“ ნიშნავს არა მხოლოდ წარმოთქმულ სიტყვას, არამედ, აგრეთვე, სიტყვით გამოხატულ აზრს, გონიერებას, სიბრძნეს. ამიტომ ძე ღვთისას „სიტყვით“ სახელდება იმავეს აღნიშნავს, რასაც მისი სახელდება ტიტულით „სიბრძნე“ (იხ. ლუკა 11, 49 და შდრ. მათე 23, 34). წმინდა პავლე მოციქული სწორედ ასე უწოდებს ქრისტეს – ***ღმრთისა სიბრძნე*** (1 კორ. 1, 24). უეჭველია, რომ სწავლება „ღმრთის სიბრძნეზე“ ამავე აზრითაა გადმოცემული იგავთა წიგნში (ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა: **იგავნი 8, 22–30**). ამის შემდეგ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია იმის მტკიცება, – როგორც ამას ზოგიერთები აკეთებენ, – თითქოს, წმინდა იოანემ ლოგოსის შესახებ სწავლება დაისესხა პლატონისა და მისი მიმდევრების, კერძოდ, ფილონის ფილოსოფიიდან. წმინდა იოანე წერდა იმის შესახებ, რაც მისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წიგნებიდან, და რაც მან, საყვარელმა მოწაფემ, შეისწავლა თვით თავისი საღვთო მოძღვრისგან და რაც მას გაუცხადა სულიწმიდამ.

პირველითგან იყო სიტყუაჲ, აღნიშნავს, რომ **სიტყვა** თანამარადიულია ღმერთისა, თანაც, შემდეგ, წმინდა იოანე განმარტავს, რომ **სიტყვა** არ განეშორება ღმერთს თავის ყოფიერებაში, და მაშასადამე, იგი ერთარსია ღმერთისა, დაბოლოს, ის პირდაპირ უწოდებს **სიტყვას** ღმერთს: ***ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი.*** აქ სიტყვა „ღმერთი“ გამოყენებულია ბერძნულად *თანაზიარობის, იგივეობის* განმსაზღვრელი სიტყვის, „თანა“-ს გარეშე (без сочлена), რამაც საბაბი მისცა არიანელებსა და ორიგენეს ემტკიცებინათ, რომ სიტყვა არ არის ისეთივე ღმერთი, როგორიც არის მამა-ღმერთი. თუმცა, ეს

უბრალოდ, გაურკვევლობაა. სინამდვილეში აქ დაფარულია ძალიან ღრმა აზრი ყოვლადწმიდა სამების პირთა **შეურევნელობის** შესახებ. როცა თანაზიარობა არ არის აღნიშნული, ეს იმაზე მიუთითებს, რომ საუბარია იმავე საგანზე, რომელიც მანამდე იყო მოხსენიებული. ამიტომ, თუკი მახარებელი ფრაზაშიც: ***ღმერთი იყო სიტყუაᲲ იგი,*** გამოიყენებდა სიტყვა „თანა"-ს (ბერძნულად „ო თეოს"), როგორც ეს წინა ფრაზაში აქვს გამოყენებული ***(სიტყუაᲲ იგი იყო ღმრთისა თანა),*** მაშინ არასწორი აზრი გამოვიდოდა, – თითქოს **სიტყვა** არის იგივე მამა-ღმერთი, რომელიც მანამდე იყო მოხსენიებული. ამტომ, როდესაც **სიტყვის** შესახებ ლაპარაკობს, მახარებელი მას უბრალოდ „თეოს"-ს უწოდებს. ამით ის, ერთი მხრივ, მიუთითებს მის საღვთო ღირსებაზე; მეორე მხრივ, ხაზს უსვამს, რომ სიტყვას აქვს დამოუკიდებელი ჰიპოსტასური ყოფიერება, და არა მამა-ღმერთის ჰიპოსტასთან იგივეობა [ანუ, თუკი წინა ფრაზაში „თანა" სიტყვა-ღმერთისა და მამა-ღმერთის ბუნებათა იგივეობაზე (ერთარსობაზე, თანაარსობაზე) მიუთითებს, მაშინ მეორე ფრაზაში „თანა"-ს ჩაუწერლობა სიტყვა-ღმერთსა და მამა-ღმერთს შორის ჰიპოსტასური განსხვავების მაჩვენებელია].

როგორც ნეტარი თეოფილაქტე აღნიშნავს, წმინდა იოანე, როდესაც გვიცხადებს სწავლებას ძე ღმერთის შესახებ, უწოდებს მას **სიტყვას,** და არა **ძეს,** „რათა ძის გაგონებაზე, არ წარმოვიდგინოთ ვნებიანი და ხორციელი დაბადება. იმიტომ უწოდა მას „სიტყვა", რომ შენ იცოდე: როგორც სიტყვა იბადება გონებისგან უვნებოდ, ასევე უვნებოდ იბადება ის მამისგან". სიტყვა: ***ყოველივე მის მიერ შეიქმნა,*** არ ნიშნავს, რომ **სიტყვა** მხოლოდ იარაღი იყო შესაქმისა, არამედ იმას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სამყარო შეიქმნა ყოველივე ყოფიერების პირველმიზეზისა და პირველწყაროსგან (მათ შორის, თვით **სიტყვისგან**) მამა-ღმერთისგან ***ძის მიერ***, რომელიც საკუთრივ თავად არის წყარო ყოველივე იმისათვის, ***რაოდენი-რაჲ იქმნა,*** მაგრამ არა თავისთავის და არა ღმრთეების სხვა წევრებისათვის.

მის თანა ცხორებაჲ იყო, – აქ იგულისხმება ცხოვრება არა ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, არამედ **სულიერი** ცხოვრება, რომელიც გონიერ, მოაზროვნე არსებებს მათი ყოფიერების მიზეზისკენ, ღმერთისკენ აღძრავს. ეს სულიერი ცხოვრება მიიღება მხოლოდ ურთიერთობისა და ერთიანობის გზით ჰიპოსტასურ ღვთის სიტყვასთან. შესაბამისად, **სიტყვა** არის ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების წყარო ნებისმიერი მოაზროვნე ქმნილებისათვის.

და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა, – აქ იგულისხმება, რომ ღმერთის სიტყვისგან წარმოშობილი ეს სულიერი ცხოვრება ადამიანს სრულყოფილი ცოდნით ანათლებს.

და ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს, – სიტყვა, აძლევს რა ადამიანებს მიცემული ჭეშმარიტი ცოდნის ნათელს, არც ცოდვიან სიბნელეში ტოვებს მათ წინამძღვრობის გარეშე, მაგრამ ამ ნათელს ბნელი ვერ აღიქვამს; ცოდვაში გაჯიქებულმა ადამიანებმა სულიერი სიბრმავის ბნელში დარჩენა ამჯობინეს. მაგრამ ***ბნელი იგი მას*** (ნათელს) ***ვერ ეწია,*** – ვერ შეზღუდა მისი მოქმედება და გავრცელების სივრცე.

მაშინ **სიტყვამ** საგანგებო ქმედებებს მიმართა, რათა ცოდვიან სიბნელეში მყოფი ადამიანები თავისი საღვთო ნათლისაკენ მოექცია: წარიგზავნა იოანე ნათლისმცემელი, და ბოლოს, თვით ***სიტყუაჲ იგი ჯორციელ იქმნა.***

იყო კაცი მოვლინებული ღმრთისა მიერ, და სახელი მისი იოვანე. ამ შემთხვევაში „იყო“ ბერძნულად ნათქვამია „ეგენე-

ტო“ (стал, გახდა), და არა „ინ“, – როგორც ეს ნათქვამია სიტყვის შესახებ (იოანე 1, 1), ანუ იოანე ნათლისმცემელი „წარმოიშვა“, დაიბადა დროში, ესე იგი, მუდმივად არ არსებობდა, როგორც სიტყვა. ***არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს ნათლისა მისთჳს.*** წინასწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი არ იყო თვითმყოფადი ნათელი, ის მხოლოდ ბრწყინავდა იმ ჭეშმარიტი ნათლის ანარეკლით, ***რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.***

სოფელმა იგი ვერ იცნა, თუმცა მისგან იყო დავალებული თავისი ყოფიერებისათვის. ***თჳსთა თანა მოვიდა,*** – ისრაელთან, თავის რჩეულ ერთან; ***და თჳსთა იგი არა შეიწყნარეს,*** – ყველამ არა, რა თქმა უნდა. ***ხოლო რაოდენთა-იგი შეიწყნარეს,*** – რწმენითა და სიყვარულით, – ***მოსცა მათ ჴელმწიფებაჲ შვილ ღმრთისა ყოფად.*** ესე იგი, უბოძა სულიერი ცხოვრების დასაწყისი, რომელიც ისევე, როგორც ხორციელი, იწყება დაბადებით, მაგრამ ეს დაბადება ხორციელი ვნების შედეგი კი არ არის, არამედ ღმერთისგან აღესრულება ზეგარდამო ძალით.

და სიტყუაჲ იგი ჴორციელ იქმნა. „ხორციელში“ აქ იგულისხმება არა მხოლოდ კაცობრივი სხეული, არამედ მთლიანად, სრული კაცი, – იმავე აზრით, როგორითაც „ხორციელი“ ხშირად მოიხსენიება წმინდა წერილში (მაგალითად, მათე 24, 22). ეს ნიშნავს, რომ **სიტყვა** გახდა სრული და სრულყოფილი კაცი, თუმცა, ამასთანავე, არც ღმერთობა შეუწყვეტია. ***და დაემკჳდრა ჩუენ შორის... სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.*** მადლში უნდა ვიგულისხმოთ როგორც ღმერთის სახიერება, ასევე ღმერთის სახიერების ნიჭნი, რომელთა მეშვეობითაც ადამიანებს ეხსნებათ სულიერი ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა, ანუ ნიჭნი სულიწმიდისა. ჩვენ შორის დამკვიდრებული სიტყვა სავსე იყო ასევე ჭეშმარიტებით – სრული ცოდნით იმის შესახებ, რაც ეხება სულიერ სამყაროსა და სულიერ ცხოვრებას.

და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ. მოციქულებმა მართლაც იხილეს მისი დიდება ფერისცვალებისას, აღდგომისას და ზეცად ამაღლებისას; მის ქადაგებებში, სასწაულებში, სიყვარულის საქმეებსა და ნებაყოფლობით თვითდამცირებაში. ის არის მხოლოდშობილი ***მამისა მიერ***, რადგან მხოლოდ ის ერთია ძე ღმრთისა **არსებითად,** თავისი საღვთო ბუნებით. ამ სიტყვებით მითითებულია მისი უზომო უპირატესობა ღმერთის მადლისმიერ შვილებზე, – მორწმუნე ადამიანებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ არის ნათქვამი.

3. ქრისტეს წინამორბედის, იოანეს მუცლადღება
(ლუკა 1, 1-25)

აქ მოთხრობილია, როგორ გამოეცხადა ტაძარში მსახურებისას მღვდელ ზაქარიას უფლის ანგელოზი, და უწინსაწარმეტყველა მას ძის, იოანეს დაბადება, რომელიც იქნებოდა ***დიდ წინაშე უფლისა;*** შემდეგ, ზაქარიას დასჯა დამუნჯებით, იმის გამო, რომ მას ეჭვი შეეპარა ანგელოზის სიტყვებში; და მისი ცოლის, ელისაბედის მიერ იოანე წინამორბედის მუცლადღება.

აქ მოხსენიებული ჰეროდე, წარმოშობით იუდეველი იყო, ანტიპატროსის შვილი. მან მაკაბელთა გვარის უკანასკნელი მეფის, გირკანის დროს, ძალით ჩაიგდო ხელში იუდეის მმა-

რთველობა და რომის იმპერატორისგან მეფის ტიტულიც მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ის პროზელიტი იყო, იუდეველები მას თავისიანად არ თვლიდნენ და მისი მეფობა მიიჩნეოდა „კვერთხის წართმევად იუდასგან“, რის შემდეგაც ქვეყნად მესია უნდა მოვლენილიყო (იხ. დაბ. 49, 10).

დავითის მიერ მღვდლები დაყოფილნი იყვნენ 24 რიგად; ერთ-ერთის სათავეში იდგა აბიბოსი, და მის რიგს მიეკუთვნებოდა ზაქარია. მისი ცოლი ელისაბედიც სამღვდელო გვარიდან იყო. თუმც ორივენი მართალი ცხოვრებით გამოირჩეოდნენ, მაგრამ უშვილონი იყვნენ, რაც იუდეველებთან ცოდვებისათვის ღმერთისგან მოვლენილ სასჯელად აღიქმებოდა. ყოველი რიგი თავის მსახურებას ტაძარში ასრულებდა ორჯერ წელიწადში, ერთი შვიდეულის მანძილზე, ამასთან, მღვდელმსახურები ერთმანეთში წილისყრით ინაწილებდნენ მოვალეობებს. ზაქარიას წილად ერგო, კმევა ჩაეტარებინა, რისთვისაც ის შევიდა იერუსალიმის ტაძრის მეორე ნახევარში, რომელსაც „წმიდათა წმიდა“ ეწოდება და სადაც მდებარეობდა სასაკმევლე საკურთხეველი. ხალხი კი ამ დროს მისთვის განკუთვნილ ტაძრის ღია ნაწილში – „ეზოში“ ლოცულობდა. საკურთხეველში შესულმა ზაქარიამ ანგელოზი დაინახა და შიშის თავზარი დაეცა, – შეიძლება იმიტომ, რომ იუდაური ცნებით ანგელოზის გამოჩენა სიკვდილის მოახლოებას ნიშნავდა. ანგელოზმა ის დააწყნარა, უთხრა, რომ ლოცვა მისი შესმენილია და მისი ცოლი უშობს მას ძეს, რომელიც იქნება ***დიდ წინაშე უფლისა.*** ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მოხუც ზაქარიას, და ისიც ღვთისმსახურების ესოდენ საზეიმო მომენტში, და მთელი თავისი მართალი ცხოვრების პირობებში ელოცა შვილის შეძენაზე. უფრო სავარაუდოა, რომ მას,

როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანს, როგორებიც იმ დროში ძალიან ცოტანი იყვნენ, გაძლიერებულად ელოცა ღმერთის წინაშე მესიის სასუფევლის დადგომისათვის, და სწორედ ამ ლოცვის შესახებ უთხრა ანგელოზმა, რომ შესმენილია. და აი, მისმა ლოცვამ მიიღო მაღალი ჯილდო: არა მხოლოდ მისი სამწუხარო უშვილობაა გაუქმებული, არამედ მისი ძე იქნება მესიის წინამორბედი, რომლის მოსვლასაც ის ასე დაძაბული ელოდა. მისი ძე ყველაფერში აღმატებული იქნება თავისი არაჩვეულებრივად მკაცრი თავშეკავებულობით და დაბადებიდანვე აღივსება სულიწმიდის მადლმოსილი ნიჭებით. მას დაეკისრება იუდეველი ერის მომზადება მესიის მისაღებად, რასაც ის აღასრულებს ქადაგებით სინანულისა და ცხოვრების გამოსწორების შესახებ, და ღმერთისკენ მოაქცევს ისრაელის მრავალ შვილს, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად მიაგებენ პატივს უფალ ღმერთს, ხოლო გულითა და ცხოვრების წესით შორს დგანან მისგან. ამისათვის მას მიეცემა ელია წინასწარმეტყველის სული და ძალა, და დაემგვანება კიდეც მას თავისი მგზნებარე მოშურნეობით, მკაცრი მოსაგრე ცხოვრებით, სინანულის ქადაგებითა და უკეთურთა მხილებით. მას დაევალება ამოიყვანოს იუდეველები მათი ზნეობრივი დაცემის უფსკრულიდან, დაუბრუნოს მშობელთა გულებს შვილებისადმი სიყვარული, ხოლო უფლის მარჯვენის მოწინააღმდეგენი განამტკიცოს მართალთა აზრებში.

ზაქარიამ არ დაუჯერა ანგელოზს, რადგან ძალიან მოხუცი იყო, ისევე, როგორც მისი ცოლი, იმისათვის, რომ შვილის გაჩენის იმედი ჰქონოდა; ამიტომაც სთხოვა ანგელოზს, მისი სიტყვების ჭეშმარიტების დამამტკიცებელი ნიშანი. ზაქარიას ეჭვების გასაფანტავად ანგელოზმა თავისი სახელი დაასახელა

– გაბრიელი, რაც ნიშნავს: „ღმერთის ძალა“. ეს სწორედ ის ანგელოზი იყო, რომელმაც კეთილი უწყება გადასცა დანიელ წინსწარმეტყველს მესიის მოსვლის დროსთან დაკავშირებით და მიუთითა ვადები „შვიდეულებით“ (დან. 9, 21-27). ურწმუნოებისათვის ზაქარია დამუნჯებით ისჯება, და იმავდროულად, როგორც ჩანს, დაყრუებითაც, რადგან ამის შემდეგ მას ნიშნებით (ჟესტებით) ელაპარაკებოდნენ. ჩვეულებრივ, კმევა დიდხანს არ გრძელდებოდა, ამიტომ ხალხს გაუკვირდა საკურთხეველში ზაქარიას დაყოვნება, მაგრამ მიხვდა, რომ ხილვა ჰქონდა, როდესაც ზაქარიამ ნიშნებით დაიწყო ახსნა-განმარტება. უნდა შევნიშნოთ, რომ ზაქარიამ არ მიატოვა თავისი მსახურება და ბოლომდე დაასრულა. მისი სახლში დაბრუნების შემდეგ ელისაბედმა მართლაც მუცლად იღო, მაგრამ ხუთი თვე მალავდა ამ ამბავს, რადგან ფრთხილობდა, რომ ხალხი არ დაიჯერებდა, დასცინებდა მას, თვითონ კი ამ დროს, გულში ხარობდა და ღმერთს ემადლიერებოდა იმისათვის, რომ წყევლა მოუხსნა.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის მუცლადღებას ვდღესასწაულობთ 23 სექტემბერს/6 ოქტომბერს.

4. ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ხარება მისგან ძე ღვთისას შობის შესახებ

(ლუკა 1, 26-38)

იოანე ნათლისმცემლის მუცლადღებიდან ექვსი თვის შემდეგ, ანგელოზი გაბრიელი წარიგზავნა პატარა ქალაქ ნაზარეთში. ეს ქალაქი მდებარეობდა გალილეის სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნებოდა ზაბულონის ტომის იუდეველებს. იგი მივიდა ქალწულ მარიამთან, ***თხოილისა*** [დაწინდულისა] ***ქმრ-***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისა, რომლისა სახელი იოსებ. მახარებელი არ ამბობს: „მივიდა გათხოვილთან“, არამედ „მივიდა დაწინდულთან“. ეს ნიშნავს, რომ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი ფორმალურად, სხვათა თვალში და კანონის თვალსაზრისით, ითვლებოდა იოსების ცოლად, თუმცა, სინამდვილეში მისი ცოლი არ ყოფილა. ყოვლადწმიდა მარიამი მშობლებმა ბავშვობიდანვე ტაძარში გაამწესეს აღსაზრდელად და მსახურებად, სადაც ჩვეულებრივ 14 წლის ასაკამდე რჩებოდნენ ქალწულები. მაგრამ იმის გამო, რომ მას მშობლები ადრე გარდაეცვალა, ჩვეულების თანახმად, ის უნდა გათხოვილიყო. თუმცა, მღვდელთმთავარმა და მღვდლებმა შეიტყვეს, რომ მას ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული, ამიტომ ის ფორმალურად დაწინდეს თავის ნათესავზე, ოთხმოცი წლის იოსებზე, რათა მარტოდ, უპატრონოდ, არ დარჩენილიყო. იოსები მართალი ცხოვრებით გამოირჩეოდა, პირველი ქორწინებიდან მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა (მათე 13, 55, 56), ხელობით დურგალი იყო.

როდესაც ანგელოზი ქალწულთან შევიდა, მას „მიმადლებული“ უწოდა, ან „ღმერთის წინაშე მადლის მპოვებელი“ (მუხ. 30), ე.ი. აუწყა ღვთის განსაკუთრებული სიყვარული, წყალობა და შეწევნა დიდ და წმინდა საქმეებში. ანგელოზის სიტყვებმა მარიამი შეაძრწუნა თავისი უჩვეულობით, და მან დაიწყო ამ სიტყვების მნიშვნელობაზე ფიქრი. ანგელოზმა უწინასწარმეტყველა ძის შობა, რომელიც „იყოს დიდ“, მაგრამ არა ისე, როგორც იოანე, არამედ მასზეც უსაზღვროდ დიდი, რამეთუ ის არა მხოლოდ აღსავსე იქნება ღმერთის მადლმოსილი ძალებით, არამედ თავად იქნება „ძე მაღლის“. მაშ, რატომ ამბობს ანგელოზი, რომ ***მისცეს მას უფალმან***

ღმერთმან საყდარი დავითისი, მამისა თჳსისაჲ და მეუფჱბდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ? იმიტომ, რომ ძველ აღთქმაში ებრაელთა სამეფოს დანიშნულება იყო მოემზადებინა ადამიანები ქრისტეს მარადიული სულიერი სამეფოსთვის და თანდათან ამ სამეფოდ გარდაქმნილიყო. შესაბამისად დავითის სამეფო, სადაც მეფეებს თვით ღმერთი ადგენდა, იმართებოდა ღვთის რჯულით და სამოქალაქო ცხოვრების ყველა ფორმა, განმსჭვალული ღმერთის წინაშე მსახურების იდეით, ურღვევ კავშირში იყო ახალაღთქმისეულ საღვთო სასუფეველთან.

ყოვლადწმიდა ქალწული მარიამის შეკითხვა: ***ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?*** – სავსებით გაუგებარი და უაზრო იქნებოდა, რომ არა მისი აღთქმა ღმერთისადმი მიცემული იმის თაობაზე, რომ მარადის ქალწულად დარჩებოდა. ანგელოზმა მას აუხსნა: მისი აღთქმა არ დაირღვეოდა, ის ძეს შობდა ზებუნებრივად, ქმრის გარეშე. უთესლოდ ჩასახვას შეასრულებს სულიწმიდა, ***ძალი მაღლისაჲ,*** ანუ თვით ძე ღმრთისა (1 კორ. 1, 24) ***გფარვიდეს შენ,*** – გადმოვა მასზე, მსგავსად ღრუბლისა, როგორც ოდესღაც დაფარა კიდობანი მსხდომმა ***ღრუბელსა ზედა სუბუქსა*** (ესაია 19, 1). ყოვლადწმიდა ქალწულს არ მოუთხოვია ანგელოზისგან რაიმე მტკიცებულება, ანგელოზმა თვითონ, თავისი სიტყვების ჭეშმარიტების დასადასტურებლად, მიუთითა ელისაბედზე, რომელმაც მოხუცებულობაში მუცლადიღო ღვთის ნებით, რამეთუ ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი. თუმცა, მარადის ქალწულმა წინასწარმეტყველთა წიგნებიდან იცოდა, რომ მის ძეს არა მხოლოდ დიდება, არამედ მწუხარებაც მოელოდა, მაგრამ ყოველივეში ღვთის ნების მორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩილმა უპასუხა: ***აჰა მჯევალი უფლისაჲ; მეყავნ მე სიტყვასაებრ შენისა!***

ღვთისმშობლის ხარება იდღესასწაულება 25 მარტს/7 აპრილს.

კეთილი უწყების შესახებ მარადის ქალწულს არაფერი უთქვამს იოსებისთვის, რადგან, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, ფიქრობდა, რომ მას შეიძლება არ დაეჯერებინა და ჰგონებოდა, რომ მარიამი ჩადენილ დანაშაულს უმალავდა.

5. ყოვლადწმიდა ქალწულის შეხვედრა ელისაბედთან

(ლუკა 1, 39-56)

ყოვლადწმიდა ქალწული ისწრაფვის, გაუზიაროს სიხარული თავის ნათესავს, ელისაბედს, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, იუტეში ცხოვრობდა, სამღვდელო ქალაქ ქებრონის მახლობლად. ელისაბედი მას შეხვდა ისეთივე უჩვეულო მისალმებით, როგორითაც ანგელოზმა მიმართა მარიამს: ***კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის***, თანაც დასძინა: ***კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ!*** თუმცა, როგორც ნათესავს, აუცილებლად უნდა სცოდნოდა მარიამის მიერ ღმერთისთვის მიცემული აღთქმის შესახებ. ამის შემდეგ ელისაბედმა სიხარულით შესძახა: ***და ვინაჲ ჩემდა ესე, რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა?*** ამასთან, ელისაბედმა აუხსნა, რომ როდესაც მარიამის მისალმების ხმამ მის ყურამდე მიაღწია, მის მუცელში სიხარულით შეიძრა ყრმა. ელისაბედის ჩვილმა, რა თქმა უნდა, სულიწმიდის გარდამოსვლით შეიცნო სხვა ჩვილის მიახლოება, რომლის გამოცხადებისთვისაც მას დაევა-

ლება კაცობრიობის შემზადება, და არაჩვეულებრივად ამოძრავდა დედის მუცელში. სულიწმიდის მოქმედება ჩვილიდან დედამისზე გადავიდა, და მანაც მყისვე, მადლის მიერ განჭვრიტა, თუ რარიგ სასიხარულო ამბავი მოიტანა მარიამმა, და განადიდა ის, როგორც ღვთისმშობელი მთავარანგელოზ გაბრიელის სიტყვებით. იგი აქებს მას რწმენისათვის, რომლითაც მიიღო ანგელოზისგან კეთილუწყება; ამით, თითქოსდა, შეადარა მისი რწმენა თავისი მეუღლის, ზაქარიას ურწმუნოებას.

ყოველივე ამის შემდეგ ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისათვის ცხადი გახდა, რომ მისი საიდუმლოება ელისაბედს ღმერთისგან განეცხადა. იმის გაცნობიერებამ, რომ დიდი ხნის სასურველი მესიის მოსვლისა და ისრაელის გამოხსნის დრო უკვე დადგა, მას აღტაცებისა და გულლმობიერების გრძნობა მოჰგვარა. მარადის ქალწულმა ადიდა ღმერთი საოცრად აღფრთოვანებული გალობით, რომელიც მუდმივად იგალობება ახლა ეკლესიაში მის პატივსაცემად საცისკრო ღვთისმსახურებისას: ***ადიდებს სული ჩემი უფალსა, და განიხარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა...*** აქ იგი განაგდებს თავისგან ყოველგვარ აზრს პირად ღირსებაზე, აქებს ღმერთს იმისათვის, რომ მან მოიხილა მისი სიმდაბლე, და წინასწარხილვით იუწყება, რომ უფლის მისდამი ესოდენ წყალობის გამო, ამიერიდან მას ნეტარად შერაცხავს ყოველი მოდგმა, და რომ უფლის ეს წყალობა გავრცელდება ***ნათესავადმდე მოშიშთა მისთა ზედა.*** შემდეგ ის აქებს ადიდებს ღმერთს იმისათვის, რომ მამებისა და აბრაამისათვის მიცემული აღთქმა აღსრულდა და ესოდენ სასურველი მესიის სასუფეველი დადგა, რომ მდაბალნი და წუთისოფლისგან მოძულებული მისი მიმდევარნი იზეიმებენ,

ამაღლდებიან და სიკეთით აღივსებიან, ხოლო ამპარტავანნი და ამა ქვეყნის ძლიერნი დაემხობიან და დამცირდებიან.

მარადის ქალწული მარიამი, როგორც ჩანს არ დაელოდა წინამორბედის შობას და შინ დაბრუნდა.

6. წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა
(ლუკა 1, 57-80)

როდესაც ელისაბედისთვის მოაწია შობის ჟამმა, მეზობლებმა და ნათესავებმა მასთან ერთად გაიხარეს და მერვე დღეს შეიკრიბნენ, რათა აღესრულებინათ წინადაცვეთის წესი, რომელიც ჯერ კიდევ აბრაამის დროს იყო დაწესებული (დაბ. 17, 11-14) და რომელსაც მოითხოვდა მოსეს რჯული (ლევ. 12, 3). წინადაცვეთის გზით ახალშობილი წევრიანდებოდა ღმერთის რჩეული ერის საზოგადოებაში, ამიტომ წინადაცვეთის დღე ითვლებოდა სასიხარულო საოჯახო დღესასწაულად. წინადაცვეთისას ახალშობილს არქმევდნენ სახელს, როგორც წესი, რომელიმე უფროსი ნათესავისას. ამის გამო გამოიწვია საერთო გაოცება დედის სურვილმა, დაერქვათ მისთვის იოანე. მახარებელი ამ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ის სასწაულებრივია: ელისაბედის სურვილი, დაერქვა ჩვილისათვის იოანე, იყო სულიწმიდის შთაგონების შედეგი. საბოლოო გადაწყვეტილებისათვის ჩვილის მამას მიმართეს. მან მოითხოვა დაფა, ცვილწასმული, და საგანგებოდ ამისათვის წვერწათლილი საწერი ჯოხით დაწერა: ***იოავანე არს სახელი მისი.*** ყველას გაუკვირდა, რომ ძის სახელთან დაკავშირებით, რომელიც მათ ნათესაობაში არავის ერქვა, დედისა და ყრუ-მუნჯი მამის სურვილები ერთმანეთს დაემთხვა. და მაშინვე, ანგელოზის წინასწართქმის-

ამებრ, ***აღეღო პირი მისი და ენაჲ*** და წინასწარმეტყველური სულისკვეთებით, ერთგვარ, წინასწარხედვაში მესიის სასუფევლის დადგომისა, ***აკურთხევდა ღმერთსა***, რამეთუ ***მოჰხედნა და ყო ჴსნაჲ ერისა თვისისაჲ და აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ შორის სახლსა მას დავითის.*** მსგავსად იმისა, როგორც ძველ აღთქმაში შურისმაძიებლებისგან დევნილი დამნაშავენი სამსხვერპლოსკენ გარბოდნენ, და თუ მის რქებს ჩაავლებდნენ ხელს, ხელშეუხებლად ითვლებოდნენ (3 მეფ. 2, 28), ასევე, მთელი კაცობრიობა, ცოდვებით დათრგუნული და ამის გამო საღვთო მართლმსაჯულებით დევნილი, თავის გადარჩენას იესო ქრისტეში პოულობს. ეს გადარჩენა არ არის ისრაელის მხოლოდ პოლიტიკური მტრებისგან გამოხსნა, როგორც იმ დროს ებრაელთა უმრავლესობა ფიქრობდა, – განსაკუთრებით, მწიგნობარნი და ფარისევლნი, – არამედ აღსრულება ღვთის აღთქმისა, მიცემულისა ძველაღთქმისეული მამამთავრებისათვის, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა ერთგულ ისრაელიანს ემსახუროს ღმერთს ***ღირსებით და სიმართლით.*** „სიმართლეში" აქ იგულისხმება ადამიანის გამართლება საღვთო საშუალებებით, ანუ მისთვის ჩათვლა ქრისტეს გამომსყიდველი დამსახურებებისა; „ღირსებაში" – ადამიანის შინაგანი გამოსწორება, რაც მიიღწევა საღვთო მადლის შეწევნითა და თვით ადამიანის ძალისხმევით. შემდეგ, ზაქარია თავის ძეს უწინასწამერმეტყველებს ანგელოზისგან ნაუწყებ მომავალს, კერძოდ, ეუბნება, რომ მას დაერქმევა უზენაესის წინასწამერტყველი და იქნება საღვთო მესიის წინამორბედი. ზაქარია აქვე აღნიშნავს წინამორბედის მსახურების მიზანსაც, კერძოდ, მოამზადოს ხალხი მესიის მისაღებად, შეაგონოს ებრაელ ერს, რომ მისი გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ

ცოდვების მიტევებაში მდგომარეობს. ამიტომ ისრაელმა მიწიერი დიდება კი არ უნდა ეძებოს, რაზედაც ოცნებობდნენ მაშინდელი სულიერი მთავრები, არამედ მართალი ცხოვრება და ცოდვების მიტევება, რაც მიიღება ***მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ აღმოსავალმან მაღლით.*** სწორედ ამ სახელს – „აღმოსავალი" – უწოდებდნენ მესია-გამომსყიდველს ჯერ კიდევ წინასწარმეტყველები იერემია (23, 5) და ზაქარია (3, 8 და 6, 12).

გადმოცემის თანახმად, იოანე წინამორბედის შობის ამბავმა ეჭვიანი მეფე ჰეროდეს ყურამდეც მიაღწია, და როდესაც იერუსალიმში მოგვები მოვიდნენ შეკითხვით, სად დაიბადა იუდეის მეფე, ჰეროდემ გაიხსენა ზაქარიას ძის შესახებ და გამოსცა ჩვილთა მოწყეტის ბრძანება, – წარგზავნა მკვლელები იუტაში. ზაქარია ამ დროს ტაძარში მსახურობდა, ელისაბედმა კი იოანე უდაბნოში გადამალა. ჩვილის მოუძიებლობით განრისხებულმა ჰეროდემ ზაქარიასთან ტაძარში გაგზავნა ჯალათები, რათა გაეგოთ, სად გადამალა შვილი. ზაქარიამ უპასუხა, რომ ამჟამად ემსახურება ისრაელის უფალ ღმერთს და არ იცის სად არის თავისი ვაჟი. სიკვდილის მუქარის ქვეშაც მან იგივე გაიმეორა, რისთვისაც ის ხმლებით განგმირეს ტაძარსა და საკურთხეველს შორის, რასაც იხსენებს უფალი ფარისევლების წინააღმდეგ თავის მამხილებელ სიტყვაში (მათე 23, 35).

იოანე ნათლისმცემლის შობას ვდღესასწაულობთ 24 ივნისს/7 ივლისს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. უფალ იესო ქრისტეს გენეალოგია
(მათე 1, 1-17; ლუკა 3, 23-38)

იესო ქრისტეს ხორციელ გენეალოგიას ჩვენ ვხვდებით მხოლოდ მათესა და ლუკას სახარებებში. ორივენი ერთნაირად ამოწმებენ იესოს წარმოშობას დავითისა და აბრაამისგან, მაგრამ სახელები ერთმანეთს ყოველთვის არ ემთხვევა. რადგანაც წმინდა მათე თავის სახარებას ებრაელებისთვის წერდა, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო დაემტკიცებინა, რომ უფალი იესო ქრისტე, როგორც ეს მესიას მართებდა, – თანახმად ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველებისა, – აბრაამისა და დავითის წარმომავლობისა იყო. ამიტომაც იწყებს იგი თავის სახარებას პირდაპირ უფლის გენეალოგიით, ამასთან, იწყებს მას მხოლოდ აბრაამიდან და ამთავრებს იოსებით, რომელიც არის ***ქმარი მარიამისი, რომლისაგან იშვა იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე.*** ისმის კითხვა, რატომ გადმოგვცემს მახარებელი იოსების გენეალოგიას და არა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამისას? იმიტომ, რომ ებრაელებთან არ იყო მიღებული ვინმეს ნათესაური წარმომავლობა ჩამოეთვალათ დედის წინაპრებიდან. ხოლო, რადგანაც ეჭვგარეშეა, რომ ყოვლადწმიდა ქალწული თავისი მშობლების, იოაკიმესა და ანნას ერთადერთი შვილი იყო, ამიტომ მოსეს რჯულის თანახმად, ის აუცილებლად უნდა მიეთხოვებინათ მისივე ტომის ნათესავისთვის. შესაბამისად, რაკი მოხუცი იოსები მეფე დავითის ტომიდან იყო, ამიტომ ისიც იმავე ტომიდან უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება წმინდა ლუკას, მან ამოცანად დაისახა ეჩვენებინა, რომ უფალი იესო ქრისტე მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და არის მაცხოვარი ყველა ადამიანისა; ამიტომ უფლის

ქართული ბიბლიოთეკა

გენეალოგია აჰყავს ადამამდე და თვით ღმერთამდე. თუმცა, მის გენეალოგიაში ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ შეუთანხმებლობას მათეს მიერ გადმოცემულ გენეალოგიასთან. მაგალითად, უფლის მოჩვენებითი მამა, იოსები, მათეს მიხედვით იაკობის ძეა, ხოლო ლუკასთან – ელის ძე. ასევე, სალათიელი, რომელიც ორივე მახარებელთან არის მოხსენიებული როგორც ზოროობაბელის მამა, წმინდა მათეს მიხედვით არის იექონიას ძე, ხოლო წმინდა ლუკას თანახმად – ძე ნერისა. ძველი დროის [VI საუკუნე] ქრისტიანი მეცნიერი, იულიუს აფრიკელი მშვენივრად ხსნის ამას ლევირატის კანონით*, რომლის თანახმადაც, თუ ორი ძმიდან ერთი უშვილოდ კვდებოდა, მეორე ძმას თავისი ქვრივი რძალი უნდა შეერთო ცოლად – ***და თუ ესვას მისგან შვილი, აღადგინოს იგი სახლად ძმისა მის თჳსისა*** (მეორე რჯ. 25, 5, 6). ამ ქორწინებიდან დაბადებული პირმშო (პირველი ვაჟი) ითვლებოდა გარდაცვლილი ძმის შვილად, რათა უშვილოდ გარდაცვლილი ძმა არ დარჩენილიყო შთამომავლობის გარეშე და მისი სახელი არ წაშლილიყო ისრაელის ერში. ამ კანონს ძალა ჰქონდა არა მხოლოდ ღვიძლი ძმების შემთხვევაში, არამედ მაშინაც, როცა ძმები ერთი დედის შვილები იყვნენ, მაგრამ – სხვადასხვა მამის. ასეთი ძმებს წარმოადგენდნენ იაკობი – იოსების მამა წმინდა მათეს მიხედვით, და ელი – იოსების მამა წმინდა ლუკას თანახმად. ისინი ერთი დედისგან იშვნენ, თუმცა მამები სხვადასხვა ჰყავდათ. მათი დედა ჯერ იაკობის ცოლი იყო, მერე – ელის; ჰქვიოდა მას *ესტა*. ამდენად, როცა ესტას ერთი ვაჟი – ელი – უშვილოდ გარდაიცვალა, მაშინ მისმა მეორე შვილ-

---

*ებრაულად „ლევირი“ ნიშნავს მაზლს, ქმრის ძმას.

მა – იაკობმა – შეირთო მისი ცოლი და გააჩინა რა იოსები, ამით აღუდგინა თავის ძმას თესლი. აქედან გამოვიდა, რომ ლუკა მახარებელი იოსების ნათესაობას ითვლის ზორობაბელი ძის – რესაის მხრიდან და მერე ელიმდე მიდის, რომელიც იოსების მამა იყო ლევირატული ქორწინებით, ხოლო მათე მახარებელი ზორობაბელიდან გადადის აბიუდზე, ზორობაბელის მეორე ვაჟზე და ჩამოდის იოსების მეორე, რეალურ მამამდე – იაკობამდე.

ის რომ, წმინდა მათემ უფლის გენეალოგიაში შეიყვანა, აგრეთვე, ზოგი წარმართი ან ცოდვილი დედაკაცი, ეს აიხსნება შეგონების მიზნით: ღმერთმა არ ითაკილა რჩეული ერისთვის ასეთი დედაცებიც მიეკუთვნებინა, არ თაკილობს მოუწოდოს წარმართებსა და ცოდვილებს თავის სასუფეველში, რაც ასწავლის, რომ არა თავისი დამსახურებით ცხონდება ადამიანი, არამედ ღვთის ყოვლადგანმწმენდელი მადლით.

7. ქრისტეს შობა

ქრისტეს შობასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე მოგვითხრობს მხოლოდ ორი მახარებელი – წმინდა მათე და წმინდა ლუკა. წმინდა მათე გვამცნობს მართალი იოსებისათვის განხორციელების საიდუმლოს გაცხადებას; მოგვითხრობს მოგვების თაყვანისცემის, წმინდა ოჯახის ეგვიპტეში გაქცევისა და ბეთლემში ჩვილების მოწყვეტის ამბებს. წმინდა ლუკა უფრო დაწვრილებით აგვიწერს ბეთლემში ქრისტე-მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ გარემოებებსა და მწყემსთა თაყვანისცემის ამბავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართალი იოსებისთვის უფლის განხორციელების საიდუმლოს გაცხადება
(მათე 1, 18-25)

წმინდა მათე გადმოგვცემს, რომ მოხუცებულ იოსებზე ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის დაწინდვიდან სულ მალე, ***ვიდრე შერთვადმდე მათა,*** ე.ი. სანამ ოფიციალური ქორწინება შედგებოდა მათ შორის, იოსებისთვის ცხადი გახდა, რომ მასზე დაწინდულ მარიამს მუცლადეღო – ***იპოვა იგი მიდგომილ.*** იოსები იყო კაცი მართალი, სამართლიანი და მოწყალე; მან არ მოისურვა ემხილებინა მისი მოჩვენებითი დანაშაული სხვათა წინაშე და გაეწირა იგი სამარცხვინო და მტანჯველი სიკვდილისათვის, რასაც მსგავს შემთხვევებში იმსახურებდნენ დედაკაცები მოსეს რჯულით (მეორე რჯ. 22, 23, 24). მან გადაწყვიტა, დაფარულად გაეშვა იგი თავისგან, – მიზეზის გაუხმაურებლად. როგორც კი ეს გაიფიქრა, მას მაშინვე უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუხსნა, რომ მისი ეჭვები უსაფუძვლოა: მასზე დაწინდული ქალწულის ჩანასახი ***სულისაგან·წმიდისა არს,*** და არა – ცოდვის ნაყოფი. ***შვეს ძე,*** – განაგრძო ანგელოზმა, – ***და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იჴსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთ-აგან.*** სახელი „იესუ“ ებრაულად ნიშნავს „მაცხოვარს“. იოსებმა რომ მის სიტყვებში ეჭვი არ შეიტანოს, ანგელოზი შეახსენებს ესაიას წინასწარმეტყველებას, რომელიც ამოწმებს, რომ ეს უდიდესი სასწაული უთესლოდ ჩასახვისა და ქალწულისაგან ქვეყნის მაცხოვრის შობა, წინასწარგანსაზღვრულია წინასაუკუნეთა საღვთო ბჭობით: ***აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვეს ძე*** (ესაია 7, 14). არ უნდა ვიფიქროთ, რომ წინასწარმეტყველება არ აღესრულა, თუკი წინსაწარმეტყვე-

ლი ამბობს, რომ „უწოდონ სახელი მისი ემმანუილ“, ხოლო ქალწულისგან შობილს უწოდეს **იესო**. სახელი „ემმანუელი“ არ არის საკუთარი სახელი, არამედ – სიმბოლურია, და ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“. ე.ი. როცა აღსრულდება ეს სასწაულებრივი შობა ჩვილისა ქალწულისგან, მაშინ ხალხი იტყვის: „ჩვენთან არს ღმერთი“, რამეთუ მისი სახით ღმერთი გარდამოხდა მიწაზე და იწყო ადამიანებთან ცხოვრება – ეს მხოლოდ წინასწარმეტყველური მითითებაა ქრისტეს ღმრთეებრიობაზე, მითითება მასზე, რომ ეს სასწაულებრივად შობილი ჩვილი უბრალო ადამიანი კი არ იქნება, არამედ – ღმერთი. ანგელოზის სიტყვებით დარწმუნებულმა იოსებმა ***წარიყვანა ცოლი თჳსი.*** ე.ი. უარი თქვა თავის განზრახვაზე, გაეშვა იგი თავისგან, და დაიტოვა სახლში საცხოვრებლად, თითქოს ნამდვილი ცოლი ყოფილიყოს. ***და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშოჲ.*** „ვიდრემდე“ არ ნიშნავს, რომ იესოს შობის მერე მან „იცოდა იგი“. სამართლიანად შენიშნავს წმინდა იოანე ოქროპირი, რომ ყოვლად შეუძლებელია იმის დაშვება, თითქოს ასეთი მართალი მოხუცი, როგორიც იოსები იყო, მსგავს აზრამდე მისულიყო მას შემდეგ, რაც წმინდა ქალწული ასე სასწაულებრივად გახდა მშობელი. ამ შემთხვევაში სიტყვა „ვიდრე“ (как наконец), აზრობრივად „სანამდე“ (пока), ბერძნულად „ეოს“, არასდიდებით არ შეიძლება გავიგოთ ისე, როგორც ამის გაგება სურთ ყოვლადწმიდა ქალწულის მიმართ არასათანადო პატივისცემით განწყობილ პროტესტანტებსა და სექტანტებს, – თითქოს იოსები „არ იცნობდა“ მას იესოს შობამდე, მერე კი – „შეიცნო“. ნუ იყოფინ! წმინდა წერილში ეს სიტყვა, „ეოს“, გამოიყენება, მაგალითად, წარღვნის დამთავრებასთან დაკავ-

შირებულ ფრაზაში: ***და განავლინა ყორანი ხილვად, უკუეთუ მოაკლდა წყალი და განსრული არღა კვალად იქცა ვიდრე*** (ეოს) ***განჴმობადმდე წყლისა ქუეყანისაგან*** [ვიდრე დაშრებოდა წყალი დედამიწაზე] (დაბ. 8, 6), მაგრამ ის ამის შემდეგაც არ დაბრუნებულა. ან, მაგალითად, უფლის სიტყვები: ***და აჰა ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა*** (მათე 28, 20) სრულებითაც არ ნიშნავს, როგორც ამას ნეტარი თეოფილაქტე შენიშნავს, რომ სოფლის აღსასრულის შემდეგ ის ჩვენთან არ იქნება. ნუ იყოფინ! სწორედ მაშინ მით უფრო იქნება.

„პირმშოდაც" აქ იესო იმიტომ კი არ იწოდება, რომ ყოვლადწმიდა ქალწულს მის შემდეგ სხვა შვილებიც ჰყავდა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის პირველი იშვა და, თანაც, ერთადერთი. ძველ აღთქმაში ღმერთი ბრძანებს, აკურთხონ მისთვის „ყოველი პირმშოჲ" – მის სამსახურში ჩააყენონ ოჯახის პირველშობილი, მიუხედავად იმისა, ეყოლება თუ არა მშობლებს მის შემდეგ სხვა შვილები. თუკი სახარებაში მოიხსენიება იესო ქრისტეს ძმები (მათე 12, 46; იოანე 2, 12), ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ისინი მისი მკვიდრი ძმები იყვნენ. როგორც გადმოცემა მოწმობს, ესენი იყვნენ იოსებ-დამწინდველის შვილები მისი პირველი ქორწინებიდან.

ქრისტეს შობის დრო და ვითარება
(ლუკა 2, 1-20)

ქრისტეს შობის დროისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ყველაზე დაწვრილებით გადმოცემულია წმინდა ლუკას სახარებაში. იესო ქრისტეს შობის მოვლენას ლუკა მახარებელი უკავშირებს კეისარ ავგუსტუსის – რომის

იმპერატორ ოქტავიანუსის – ბრძანებით მთელ რომის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერას. წოდება „აუგუსტო“ („წმინდა“) მას მინიჭებული ჰქონდა რომის სენატისგან. სამწუხაროდ, ამ აღწერის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ ისტორიაში კარგად ცნობილი ოქტავიანუს ავგუსტუსის მმართველობის პერიოდის ცოდნა საშუალებას გვაძლევს, თუნდაც მიახლოებით, სხვა მონაცემების დახმარებით, – რომელთა შესახებაც შემდგომში გვექნება საუბარი, – რამდენიმე წლის სიზუსტით განვსაზღვროთ ქრისტეს შობის წელი. ამჟამად მიღებული წელთაღრიცხვა „ქრისტეს შობიდან“ შემოღებულია VI საუკუნეში რომაელი ბერის დიონისე მცირეს მიერ, რომელმაც ამის საფუძვლად აიღო მონაცემი, რომ უფალი იესო ქრისტე იშვა რომის დაარსებიდან 754 წელს. უკვე შემდგომში, გულდასმითი გამოკვლევებით, ეს მონაცემი ცდომილი აღმოჩნდა: დიონისე შეცდა სულ ცოტა ხუთი წლის ანგარიშით, – მიუთითა უფრო გვიანი თარიღი, ვიდრე სინამდვილეში იყო. ეს დიონისეული ერა თავიდან მხოლოდ საეკლესიო დანიშნულებას ატარებდა, მაგრამ მე-10 საუკუნიდან საყოველთაოდ გავრცელდა ქრისტიანულ ქვეყნებში და სამოქალაქო მოხმარებაშიც დამკვიდრდა, თუმცა, დღესდღეობით, ყველა ქრონოლოგი აღნიშნავს მის ცდომილებას. ქრისტეს შობის ნამდვილი წელი შეგვიძლია განვსაზღვროთ სახარების შემდეგი მონაცემების საფუძველზე:

1. **ჰეროდე დიდის მეფობის დრო.** მათესა (2, 1-18) და ლუკას (1, 5) სახარებებიდან სრულიად ცხადია, რომ ქრისტე იშვა ჰეროდეს ზეობის ხანაში; ეს იყო 714-750 წლები რომის დაარსებიდან. 750 წელს ის გარდაიცვალა პასექამდე 8 დღით ადრე, მალევე მთვარის დაბნელების შემდეგ. მაგრამ, რადგა-

ნაც ასტრონომების გამოთვლით, ეს დაბნელება მოხდა 750 წლის 13 მარტიდან 14 მარტის ღამეს, ხოლო იუდეველთა პასექი იმ წელიწადს 12 აპრილზე მოდიოდა, ამიტომ, შესაბამისად, ჰეროდე მოკვდა რომის დაარსებიდან 750 წლის აპრილის დასაწყისში, ე.ი. სულ ცოტა ოთხი წლით ადრე ჩვენი ერის დაწყებამდე.

2. ლუკა მახარებლის მიერ მოხსენიებული (2, 1-5) **სახალხო აღწერა,** რომელიც დაიწყო აგვისტოს მიერ 746 წელს გამოცემული ედიქტით*. იუდეველებისათვის ეს იყო ჰეროდეს მეფობის ბოლო წლები, მაგრამ მის მეფობაში არ დასრულებულა; შეწყდა მისი სიკვდილის მიზეზით, ხოლო განახლდა და დასრულდა მაშინ, როცა ასურეთს მართავდა ლუკას სახარებაში მოხსენიებული კვირინიუსი (2, 2). ამ აღწერამ პალესტინაში სახალხო აჯანყება გამოიწვია. ჰეროდემ ამბოხების თავი, ვინმე თევდა,** კოცონზე დააწვევინა 750 წლის 12 მარტს. ცხადია, რომ აღწერა რამდენადმე ადრე დაიწყო.

3. **ტიბერიუს კეისრის მმართველობა,** რომლის მეთხუთმეტე წელსაც, ლუკა მახარებლის მოწმობით (3, 1), წმინდა იოანე ნათლისმცემელი საქადაგებლად გამოვიდა, ხოლო იესო ქრისტეს შეუსრულდა 30 წელი (3, 23). აგვისტომ მიიღო ტიბერიუსი თანამმართველად თავის სიკვდილამდე (765 წლის იანვარი) ორი წლით ადრე. შესაბამისად, ტიბერიუსის მმართველობის მე-15 წელი იწყებოდა 779 წლის იანვარში. ხოლო, რადგანაც, ლუკა მახარებლის გამოთქმით, ამ დროს ***თავადსა იესუს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა,*** მაშასადამე, იგი დაიბადა 749 წელს.

---

*ნორმატული აქტი, ბრძანებულება.
**საქ. 5, 36.

4. **ასტრონომიული გამოთვლები** აჩვენებს*, რომ იესო ქრისტეს ჯვარზე სიკვდილი, – რომელიც სახარების მონაცემებით იმ წელს მოხდა, როცა იუდეველთა პასექი პარასკევ საღამოს დგებოდა, – შეიძლებოდა აღსრულებულიყო მხოლოდ 783 წელს; ხოლო, რადგანც იესო ქრისტე ამ დროს ასაკობრივად 34-ე წელიწადში იდგა, ამიტომ, შესაბამისად, მისი შობის წელი მოდის რომის დაარსებიდან 749 წელზე.

ამგვარად, ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემი მოწმობს, რომ ქრისტეს შობის წლად აუცილებელია ვაღიაროთ რომის დაარსებიდან 749 წელი.

ოთხთავში გადმოცემული ცნობების უკმარისობის გამო, შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ მისი შობის დღე. აღმოსავლური ეკლესია ამ დღესასწაულს თავდაპირველად აღნიშნავდა **ღმრთისგანცხადების** დღესასწაულთან ერთად, საერთო სახელწოდებით: „ეპიფანია“ – „ღმერთის ქვეყნად გამოცხადება“ – 6 იანვარს. დასავლეთ ეკლესიაში ქრისტეს შობა ძველთაგანვე 25 დეკემბერს იდღესასწაულება. მე-4 საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთ ეკლესიამაც დაიწყო ამ დღესასწაულის აღნიშვნა 25 დეკემბერს. ეს დღე, ამ დღესასწაულისათვის, არჩეულია შემდეგი მოსაზრებით. არსებობს ვარაუდი, რომ ზაქარია იყო მღვდელთმთავარი და მას ანგელოზი გამოეცხადა კრეტსაბმელს მიღმა წმიდათა წმიდათაში (საკურთხეველში), სადაც მღვდელთმთავარი წელიწადში ერთხელ შედიოდა განწმენდის დღეს. ჩვენი კალენდრით ეს დღე მოდის 23 სექტემბერზე (ახ.სტ. 6 ოქტომბერი), და სწორედ ეს დღე

---

*სახარებიდან და გადმოცემებიდან ცნობილი მიწისძვრის, მზის დაბნელებისა და სხვა მონაცემების საფუძველზე.

იქნა აღიარებული წინამორბედის მუცლადღების დღად. ექვსი თვის შემდეგ ანგელოზმა ახარა ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს, და ეს დღე – 25 მარტი/7აპრილი – იქცა ხარების დღესასწაულის აღმნიშვნელად. ხოლო ცხრა თვის თავზე – 25 დეკემბერი/7 იანვარი – იშვა უფალი იესო ქრისტე. თუმცა, ზუსტი ცნობა იმისა, რომ ზაქარია ნამდვილად იყო მღვდელთმთავარი, არ არსებობს. ამიტომ უფრო სარწმუნოა სხვა სიმბოლური ახსნა ამ თარიღისა. ძველად თვლიდნენ, რომ ქრისტე, როგორც მეორე ადამი, ჩაისახა ქალწულ მარიამისგან გაზაფხულის ბუნიობისას, 25 მარტს, იმ დღეს, როცა ძველი გადმოცემის მიხედვით, შეიქმნა პირველი ადამი. ხოლო იშვა ქრისტე – ნათელი სოფლისა*, მზე სიმართლისა**, 9 თვის შემდეგ ზამთრის პერიოდში მზის შემობრუნების დროს, როცა დღე იწყებს ზრდას, ღამე – კლებას. ამასთან შესაბამისობაში, მუცლადღება იოანე ნათლისმცემლისა, რომელიც ექვსი თვით უფროსია იესოზე, მიღებულია იდღესასწაულებოდეს 23 სექტემბერს, შემოდგომის ბუნიობისას, შობა კი მისი – 24 ივნისს/7 ივლისს. ეს არის მზის შემობრუნების დრო, როცა დღის ხანგრძლივობა კლებას იწყებს. ჯერ კიდევ ათანასე დიდი მიუთითებდა ამასთან დაკავშირებით იოანე ნათლისმცემლის სიტყვებზე (იოანე 3, 30): ***მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად.***

ზოგიერთში გაურკვევლობას იწვევს ლუკა მახარებლის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ მოსახლეობის ის აღწერა, რომლის დროსაც ქრისტე იშვა, ***ესე აღწერა პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვირინესსა,*** რადგან ისტორიული წყაროების

*იოანე 8, 12.
**მალაქ. 4, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად, კვირინიუსი სირიას სათავეში ჩაუდგა ქრისტეს შობიდან 10 წლის შემდეგ. ყველაზე სარწმუნო ახსნა, ამ გაურკვევლობის განსაქარვებლად, არის ის, რომ სწორად უნდა წავიკითხოთ არა „ესე“ აღწერა, არამედ „თვით“ აღწერა (ამის ძლიერი საფუძველი არსებობს ბერძნულ ტექსტში). აღწერის შესახებ ბრძანებულება იმპერატორმა აგვისტომ გამოსცა ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე, მაგრამ სახალხო აჯანყებისა და ჰეროდეს სიკვდილის მიზეზით, აღწერის წარმოება შეწყდა და დასრულდა მხოლოდ 10 წლის შემდეგ, კვირინიუსის მმართველობაში. არსებობს ცნობები, რომ კვირინიუსი ორჯერ დაინიშნა სირიის მმართველად, და მისი პირველი მართველობისას დაწყებული აღწერა, დასრულდა მისი მეორე მმართველობის პერიოდში. ამიტომაც უწოდებს მახარებელი ქრისტეს შობისას ჩატარებულ აღწერას „პირველს“.

ყოველნი უნდა წასულიყო ჩასაწერად ***თჳსსა ქალაქსა,*** რადგან რომის პოლიტიკა მუდამ ითვალისწინებდა დაპყრობილთა ჩვეულებებს, ხოლო ებრაული ჩვეულება მოითხოვდა, რომ ჩაწერა წარმოებულიყო ტომების, გვარებისა და ნათესაობის მიხედვით. ამიტომ თითოეული იმ ქალაქში უნდა ჩაწერილიყო, სადაც, ოდესღაც, მისი გვარის დამაარსებელი ცხოვრობდა. რადგანაც იოსები დავითის შთამომავალი იყო, ამიტომ ის ბეთლემში უნდა ჩაწერილიყო, – ქალაქში, სადაც დავითი დაიბადა. აქ ჩანს ღმერთის შესანიშნავი განგებულება: მესია სწორედ ამ ქალაქში უნდა შობილიყო ძველი წინასწარმეტყველების თანახმად (მიქეა 5, 2). რომის კანონებით, დაპყრობილ ქვეყნებში ყველა ქალი მამაკაცების თანაბრად ექვემდებარებოდა აღწერას. ყოველ შემთხვევაში, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, მის

მდგომარეობაში, თან ახლდა თავისი ქალწულობის მცველს, მოხუცებულ იოსებს. მით უფრო, რომ მას, უეჭველად იცნობ და რა წმინდა მიქეას წინასწარმეტყველება, შეუძლებელია, აღწერის შესახებ ბრძანებულების გამოცემაში არ დაენახა ღვთის განგებულებითი ქმედება, რომელიც მას ბეთლემისკენ მიმართავდა.

და შვა ძე იგი მისი პირმშოჲ და შეხვა იგი სახუევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას. მახარებელი ხაზს უსვამს, რომ ყოვლადწმიდა ქალწულმა თვითონ შეახვია თავისი ახალშობილი ჩვილი, – რაც ნიშნავს, რომ შობა იყო უმტკივნეულო. „პირმშოდ" მისი ძე იმიტომ კი არ იწოდება, რომ მას შემდეგში კიდევ ჰყავდა შვილები, არამედ იმიტომ, რომ მოსეს რჯულით პირმშოდ იწოდებოდა ყველა პირველი ვაჟი, თუნდაც ის ერთადერთი ყოფილიყო. ბევრი ჩამომსვლელისა და თავიანთი სიღატაკის გამო, წმინდა ოჯახი უნდა განთავსებულიყო ერთ-ერთ მღვიმეში, რომელნიც მრავლადაა პალესტინაში და სადაც უამინდობაში მწყემსები ნახირს აფარებინებდნენ. სწორედ აქ დაიბადა საღვთო მესია; იგი საბავშვო აკვნის ნაცვლად, ბაგაში ჩააწვინეს. მან შობიდანვე იტვირთა დამცირებისა და ტანჯვის ჯვარი კაცობრიობის გამოსასყიდად და თავისი დაბადებით მოგვცა სიმდაბლის, ამ უდიდესი სათნოების, გაკვეთილი, რასაც შემდგომში მუდმივად ასწავლიდა თავის მოწაფეებს. ძველი გადმოცემის თანახმად, მაცხოვრის დაბადებისას ბაგასთან ახლოს იდგა ხარი და ვირი, რათა ეჩვენებინა, რომ ***იცნა ჯარმან მომგებელი, და ვირმან ბაგა უფლისა თჳსისა; ხოლო ისრაჱლმან მე არა მიცნა და ერმან ჩემმან მე არა გულისხმა-მყო*** (ესაია 1, 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მარტო დამცირება არ ახლდა მაცხოვრის შობასა და მიწიერ ცხოვრებას, არამედ, აგრეთვე, მისი საღვთო დიდების ანარეკლიც. მწყემსებს, რომლებიც შეიძლება ამ მღვიმეს ხშირად იყენებდნენ და ახლა, კარგი ამინდის გამო, მინდორში ათევდნენ ღამეს, გამოეცხადათ უფლის ანგელოზი, – უფლის დიდებით გაბრწყინებული, – და უთხრა, რომ ახარებს ***სიხარულსა დიდსა,*** – დავითის ქალაქში მაცხოვრის შობას, ***რომელ არს ქრისტე უფალი.*** აქ უნდა აღვნიშნოთ ანგელოზის სიტყვა, რომ ეს „სიხარული დიდი" ***იყოს ყოვლისა ერისა,*** რაც ნიშნავს, რომ მესია მოვიდა არა მხოლოდ ებრაელებისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის. ამასთან, ანგელოზმა მათ ნიშანიც მისცა, როგორ ეცნოთ იგი: ***ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუეული და მწოლარე ბაგასა.*** და მაშინვე, თითქოსდა, ანგელოზის სიტყვების ჭეშმარიტების დასადასტურებლად, გამოჩნდა ***ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ,*** – მთელი დასი ანგელოზებისა, რომელმაც საოცარი ქება შეასხა ახალშობილ ღმერთჩვილს – მესიას: ***დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ!*** ანგელოზები ადიდებენ წუთისოფელში მაცხოვრის წარმომგზავნელ ღმერთს. ისინი გალობენ მშვიდობას, რომელიც მაცხოვრის მორწმუნე ადამიანთა სულებში დაივანებს; ხარობენ ადამიანების გამო, რომ მათ დაუბრუნდათ ღვთის კეთილი ნება. ზეციური ძალები, ანუ უცოდველი მარადიული სულები, განუწყვეტლივ დიდებისმეტყველებენ ზეცაში თავის შემოქმედსა და უფალს, მაგრამ განსაკუთრებით ადიდებენ მას საღვთო სახიერების გამოვლენისათვის, რაც არის კაცობრიობის მაცხონებელი საღვთო განგებულება. განკაცებული ძე ღვთისას მიერ ქვეყნად მოტანილი მშვიდობა, არ უნდა აგვერიოს ადამიანის ჩვეულებრივ გარეგნულ

სიწყნარესა და კეთილდღეობაში. უფლისმიერი მშვიდობა არის ქრისტე-მაცხოვრის მიერ გამოსყიდული ცოდვილი ადამიანის სულის სინდისის მშვიდობა, – ღმერთთან, ადამიანებთან და საკუთარ თავთან შერიგებული სინდისის მშვიდობა. და რადგანაც ეს ღვთაებრივი მშვიდობა, ***რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა*** (ფილიპ. 4, 7), ივანებს ქრისტეს მორწმუნეთა სულებში, ამიტომ გარე სამყაროც ადამიანის მონაპოვარი ხდება. გამოსყიდვამ გამოავლინა ღვთის კეთილი ნების მთელი სიდიადე, ღვთის სიყვარული ადამიანების მიმართ. ამიტომ ანგელოზების დიდებისმეტყველების აზრი ასეთია: „ღირსეულად ადიდებენ ღმერთს ზეციური სულები, რადგან მიწაზე ისადგურებს მშვიდობა და ხსნა, რამეთუ ადამიანები ღირსიქმნენ ღმერთის განსაკუთრებული კეთილი ნებისა“.

მწყემსები, – როგორც ჩანს, ღვთისმოსავი ადამიანები, – სასწრაფოდ გაეშურნენ ანგელოზის მიერ მითითებულ ადგილას, და პირველები გახდნენ ღირსნი იმისა, რომ თაყვანი ეცათ ჩვილი ქრისტესთვის. თავს გადახდენილი სასიხარულო ამბავი ყველას შეატყობინეს, ვისაც კი უკან დაბრუნებულები გზად შეხვდნენ, და ხალხს, ამის მოსმენისას, უკვირდა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი ღრმა სიმდაბლის გრძნობით იმახსოვრებდა ყოველივე ამას, ***და დაედვა გულსა თჳსსა.***

უფლის წინდაცვეთა და მირქმა
(ლუკა 2, 21-39)

მოსეს რჯულის თანახმად, ახალშობილ ღმერთჩვილს მე-8 დღეს ჩაუტარეს წინადაცვეთა და მისცეს სახელი იესო, რაც ნიშნავს „მაცხოვარს“; ეს სახელი მას ჯერ კიდევ მუცლისღებამდე უწოდა ანგელოზმა.

ეკლესიური ბიბლიოთეკა

რჯულის მიხედვით, ქალი, რომელიც მამაკაცის სქესის ჩვილს შობდა, 40 დღის განმავლობაში უწმინდურად ითვლებოდა (ხოლო თუ დედაკაცის სქესისას, მაშინ 80 დღის განმავლობაში). მე-40 დღეს მას ტაძარში საკურთხევლის სამსხვერპლოდ უნდა მიეტანა ერთი წლის ბატკანი, ცოდვისათვის სამსხვერპლოდ კი მტრედის ან გვრიტის ბარტყი. ხოლო თუ ღატაკი იყო, მაშინ ორი მტრედი ან ორი გვრიტი, – თითო, თითოეული სამსხვერპლოსათვის. შეასრულეს რა მოსეს რჯული განწმენდასთან დაკავშირებით, ყოვლადწმიდა ქალწულმა და იოსებმა მიიყვანეს ჩვილი იერუსალიმში მასზე მოსეს რჯულის აღსასრულებლად და შეიტანეს მისთვის 5 დიდრაქმა გამოსასყიდის სახით. ამ კანონის ძალით, სახსოვრად იმისა, რომ ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლის ღამეს უფლის ანგელოზმა ყველა ეგვიპტელი პირმშო მოწყვიტა, თითოეული ებრაელი პირმშო ტაძარში ღმერთის მსახურად უნდა შეწირულიყო. მაგრამ დროთა განმავლობაში, როცა ამ მსახურებისათვის გამოიყო მხოლოდ ლევიტელთა ტომი, პირმშოები გათავისუფლდნენ მისგან განსაკუთრებული გამოსასყიდის – 5 დიდრაქმის ვერცხლის საფასურად (რიცხ. 18, 16). სახარებისეული მონათხრობიდან ჩანს, რომ ყოვლადწმიდა ქალწულმა და მისმა დამწინდველმა ღატაკი ადამიანების შესაწირი მიიტანეს – ორი მტრედი.

რატომ სჭირდებოდა წინადაცვეთა უფალს, – რომლის ჩასახვა და შობა არ იყო ცოდვის ზიარი, – ხოლო მის ყოვლადწმიდა მშობელს, განწმენდის კანონი?

უპირველესად იმიტომ, რომ ამით აღესრულებინა ***ყოველი სიმართლე*** (მათე 3, 15) და ეჩვენებინა ღვთის რჯულისადმი სრული მორჩილების მაგალითი; მეორეც, ეს აუცილებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მესიის მომავალი მსახურებისათვის მისი ერის დასანახ-ად: წინადაუცვეთელის ადგილი ვერ იქნებოდა საღვთო ერის საზოგადოებაში, ის ვერ შევიდოდა ვერც ტაძარში, ვერც სინაგოგაში; მას ვერ ექნებოდა გავლენა ერზე, ვერ იქნებ-და მესიად აღიარებული. ასევე, მისი ყოვლადწმიდა მშობელ-იც, – რომ არ გაწმენდილიყო მღვდლებისა და ხალხის დასან-ახად, ვერ იქნებოდა აღიარებული ჭეშმარიტ ისრაელიანად. უბიწოდ ჩასახვისა და შობის საიდუმლო მაშინ ყველასათვის უცნობი იყო, გარდა თვით ქალწულ მარიამისა და იოსებისა, ამიტომ ყოველივე, რასაც რჯულისკანონი ითხოვდა, ზუს-ტად უნდა შესრულებულიყო.

ღვთისმშობლის მიერ ტაძარში გამოსასყიდისა და მსხვერ-პლის მიტანისას, იმყოფებოდა მართალი სვიმეონი, იგი ***მო-ელოდა ნუგეშინისცემასა ისრაჱლისასა***, ანუ ღმერთის მიერ აღთქმულ მესიას, რომლის მოსვლას ისრაელისთვის ნუგეში უნდა მოეტანა (იხ. ესაია 40, 1). მახარებელი მის შესახებ სხვა არანაირ ცნობას არ გვაწვდის, გარდა იმისა, რომ მას წინასწარეთქვა სულიწმიდისგან, რომ მანამ არ მოკვდებო-და, სანამ არ იხილავდა მოსალოდნელ *ნუგეშინისცემას,* ანუ ქრისტე-უფალს. თუმცა ძველი გადმოცემა ამბობს, რომ სვიმ-ეონი იყო ერთ-ერთი იმ სამოცდათორმეტ უხუცესთაგანი, რომლებიც ეგვიპტის მეფე პტოლომეოსის დავალებით თარგ-მნიდნენ ძველი აღთქმის წმინდა წიგნებს ებრაულიდან ბერძნულ ენაზე. მას სათარგმნად შეხვდა წიგნი წინასწარმეტყვ-ელ ესაიასი, და დააეჭვა ემანუელის ქალწულისგან შობამ (7, 14); მაშინ მას გამოეცხადა ანგელოზი და აუწყა, რომ სიკვდილს ვერ იხილავდა, ვიდრე თავისი თვალით არ დაინახავდა ამ წინასწარმეტყველების აღსრულებას. სულიწმიდის შთაგონებით

იგი მივიდა ტაძარში, ცხადია, იქ, სადაც იდგა საკურთხევ-
ლის სამსხვერპლო; ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ჩვილ-
ში მან შეიცნო მესია-ქრისტე. სვიმეონმა ის ხელში აიყვანა,
გულში ჩაიკრა, და მისი ბაგეთაგან ღმერთისადმი აღფრთოვ-
ანებული სამადლობელი ლოცვა გადმოიღვარა, იმისათვის,
რომ მან იგი ღირსჰყო ამ ჩვილის სახით დაენახა მთელი
კაცობრიობისათვის განმზადებული ცხონება: ***აწ განუტევე
მონაჲ შენი, მეუფეო,*** – ამბობდა ის, ამ წუთიდან გაწყდა
სიცოცხლესთან ჩემი კავშირი, და შენ, მეუფეო, ამ ცხოვრე-
ბიდან მიშვებ მე სხვა, ახალ ცხოვრებაში, ***სიტყჳსაებრ შენისა,***
უწყებისამებრ, რომელიც შენგან მომეცა შენი წმიდა სუ-
ლით, ***მშჳდობით,*** სრული სულიერი სიმშვიდით, ***რამეთუ იხილეს
თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი,*** – ცხონება, რომელიც
შენ აღუთქვი ქვეყანას გამომსყიდველი-მესიის მეშვეობით. და
ახლა უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად, რომ სწორედ ამ
მესიას ვხედავ, ***რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა
ერისასა,*** არა მხოლოდ ებრაელებისთვის განამზადე ის, არამედ
ყველა ერისთვის. და ეს მაცხოვარი არის ***ნათელი გამობ-
რწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა
ისრაჱლისა,*** რადგან მისი საზოგადოებიდან არის გამოსული.
იოსებსა და საღვთო ჩვილის მშობელს უკვირდათ, ალბათ,
ის, რომ ყველგან ჩნდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც ღმ-
ერთი ამ ჩვილის შესახებ საიდუმლოს უცხადებდა.

სვიმეონმა დაუბრუნა ჩვილი მშობელს, აკურთხა ის და
იოსები ღრმად მოხუცებულის უფლებით, რომელზედაც აშკარ-
ად ივანებდა სულიწმიდა, და წინასწარმეტყველური შთაგო-
ნებით თქვა, რომ ეს ჩვილი იქნებოდა დავისა და განხეთ-
ქილების საგანი მის მიმდევრებსა და მის მტრებს შორის,

რაჲთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი. ეგზ. ადამიანების ამ ჩვილთან სხვადასხვა დამოკიდებულებით, გაცხადდება მათი გულის განწყობა, სულიერი მდგომარეობა. ვისაც ჭეშმარიტება უყვარს და ესწრაფვის ღვთის ნების შესრულებას, ის ირწმუნებს ქრისტეს, ხოლო ვისაც ბოროტება უყვარს და სიბნელის საქმეებს ასრულებს, ის შეიძულებს ქრისტეს და თავისი სიბოროტის გასამართლებლად მის ცილისმწამებლად იქცევა, რაც აღსრულდა კიდეც მწიგნობრებისა და ფარისევლების მაგალითზე; სრულდება დღემდეც, ყველა უღმერთოსა და ქრისტეს მოძულეზე. მათთვის, ვინც ის იწამა, იგი მარადიული ცხონებაა, ხოლო ურწმუნოთათვის, რომლებიც გასასტიკდნენ მის წინააღმდეგ, იგი მარადიული განსჯაა, მარადიული წარწყმედაა. სვიმეონი სულით ჭვრეტს იმ სატანჯველსაც, რომლის დათმენაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მოუწევს მისი საღვთო ძის ადამიანთაგან დევნის შედეგად.

იქვე იმყოფებოდა ანნაც, ფანოელის ასული; მას მახარებელი უწოდებს წინასწარმეტყველს, რადგან მასში განსაკუთრებულად მოქმედებდა სულიწმიდა და ფლობდა იგი დამაჯერებელი სიტყვის ნიჭს. ცხადია, მახარებელი ქებას ასხამს მას, როგორც პატიოსან ქვრივს, რომელმაც თავი ღმერთს შესწირა მას შემდეგ, რაც 7 წელი ქმართან იცხოვრა. იგი 84 წლის იყოსა და ტაძარს არ შორდებოდა ***მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და დღე.*** ისიც, მსგავსად სვიმეონისა, ადიდებდა ღმერთს და ეუბნებოდა, როგორც ჩანს, წინასწარმეტყველური შთაგონებით, ჩვილის შესახებ სვიმეონის მსგავს სიტყვებს ყველას, ვინც კი ელოდა გამოხსნას იერუსალიმში, ანუ ვინც მესიას ელოდებოდა.

შემდეგ მახარებელი ამბობს, რომ შეასრულეს რა ყოველივე რჯულის მოთხოვნისამებრ, ისინი დაბრუნდნენ გალილეაში, ***ქალაქად თჳსა – ნაზარეთად.*** აქ იგი უტევებს ყველა იმ მოვლენას, რაც მოჰყვა მირქმას, უეჭველად იმიტომ, რომ მათ შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს წმინდა მათე მახარებელი: მოგვების თაყვანისცემა ბეთლემში, წმინდა ოჯახის ეგვიპტეში გაქცევა, ჩვილთა მოწყვეტა ჰეროდეს მიერ და მისი სიკვდილის შემდგომ წმინდა ოჯახის ეგვიპტიდან დაბრუნება. მონათხრობებში მსგავს შემოკლებებს ჩვენ ხშირად ვხედავთ წმინდა წიგნების სხვა მწერლებთანაც.

მოგვების თაყვანისცემა
(მათე 2, 1-12)

როდესაც იესო იშვა ***ბეთლემს ჰურიასტანისასა,*** მოვიდნენ მოგვები იერუსალიმში აღმოსავლეთიდან. ეს ბეთლემი იყო იუდეის, განსხვავებით სხვა ბეთლემისა, რომელიც გალილეაში მდებარეობდა და ეკუთვნოდა ზაბულონის ტომს. ახალშობილ ქრისტესთან თაყვანის საცემად მოსული მოგვები არ იყვნენ ისეთები, როგორსაც ჩვეულებრივ გულისხმობენ ამ სახელწოდების ქვეშ, ანუ ჯადოქრები და მჩხიბავები, რომლებიც ცრუ სასწაულებს აღასრულებდნენ, იხმობდნენ სულებს, ეკითხებოდნენ მკვდრებს (გამოს. 7, 11 ან მეორე რჯ. 18, 11) და რომლებსაც განიკითხავს ღვთის სიტყვა. ესენი იყვნენ მეცნიერები, საიდუმლოთა მცოდნენი, იმათ მსგავსნი, რომელთა მთავარიც დანიელი იყო ბაბილონის ქვეყანაში (დან. 2, 5). ისინი ვარსკვლავების მოძრაობით საზღვრავდნენ მომავალს, სწავლობდნენ ბუნების იდუმალ ძალებს. ასეთი მოგვები ბაბილონსა და სპარსეთში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ,

მსახურობდნენ მეფეების ქურუმებად და მრჩევლებად. მახა-
რებელი ამბობს, რომ ისინი მოვიდნენ **აღმოსავალით,** მაგრამ
არ ასახელებს ქვეყანას. ერთი ვარაუდით, ეს იყო არაბეთი,
მეორეთი – სპარსეთი, მესამეთი – ქალდეა. სიტყვა „მაგოს“,
რომელსაც მახარებელი იყენებს, სპარსულია. ამიტომ ყვე-
ლაზე უფრო სარწმუნოა, რომ ისინი სპარსეთიდან ყოფილ-
იყვნენ ან ბაბილონის სამეფოს შემადგენელი რომელიმე სხვა
ქვეყნიდან, რადგან იქ იუდეველთა სამოცდაათწლიანი ტყვე-
ობის დროს ამ მოგვების წინაპრებს შეეძლოთ, გაეგონათ
იუდეველებისგან, რომ ისინი ელოდნენ დიდ მეფეს, გამომხს-
ნელს, რომელიც მთელ მსოფლიოს დაიპყრობდა. სწორედ იქ
ცხოვრობდა წინასწარმეტყველი დანიელი, რომელმაც ამ დიდი
მეფის მოსვლის დრო იწინასწარმეტყველა. იქვე შეიძლება
დამარხულიყო გადმოცემაც მოგვი ბალაამის წინასწარმე-
ტყველების შესახებ: ***გამობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან
და აღდგეს კაცი ისრაჭლისაგან*** (რიცხ. 24, 17).

ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გამოკვლევა სპარსელ
ბრძენთა ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა იყო. უფალმა მათ
არაჩვეულებრივი ვარსკვლავის გამოჩენით მოუწოდა, თაყ-
ვანი ეცათ ქვეყნად შობილი მსოფლიოს გამომხსნელისათვის.
აღმოსავლეთში, ამ დროს, ფართოდ იყო გავრცელებული
აზრი იმის შესახებ, რომ იუდეაში უნდა გამოჩენილიყო მსოფ-
ლიოს მეუფე, რომლისადმიც მსოფლიოს ყველა ერს თაყვა-
ნისცემა მართებდა. ამიტომ, იერუსალიმში მოსვლისას, ისინი
კითხულობენ: ***სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ?***

ამან ჰეროდეში განგაში გამოიწვია, რადგან მას არ გააჩნ-
და კანონიერი უფლება იუდეის სამეფო ტახტზე; იყო იდუმიე-
ლი, და ამასთან, იყო რა მმართველობით ტირანი, თავის

ქვეშევრდომების სიძულვილს იწვევდა. მასთან ერთად ძველი იერუსალიმი შეშფოთდა, შეიძლება იმიტომ, რომ ხალხი შეაშინა მოსალოდნელმა რეპრესიებმა უჩვეულოდ აღელვებული ჰეროდეს მხრიდან. სისხლისმსმელმა ჰეროდემ თავისი ახალშობილი მეტოქის განადგურება გადაწყვიტა. შეკრიბა მღვდელთმთავრები და მწიგნობრები და ჰკითხა: ***სადა უკუე შობად არს ქრისტე?*** მწიგნობრებმა მაშინვე მიუთითეს ყველასათვის ცნობილ მიქეას წინასწარმეტყველებაზე (5, 2), – თუმცა, მოჰყავთ ის არა სიტყვასიტყვით, არამედ დედანთან მიმსგავსებული აზრით, კერძოდ: ***ბეთლემსა ჰურიასტანისასა***. ბეთლემი ნიშნავს „პურის სახლს“, ხოლო ეფრათი – „მოსავლიან ყანას“, – რაც არის ნაყოფიერი მიწის განსაკუთრებით მახასიათებელი სახელწოდება. აღსანიშნავია, მიქეას წინასწარმეტყველება დედანში, სადაც ის ამბობს, რომ მესია მხოლოდ გამოვა ბეთლემიდან, და არა – იცხოვრებს იქ, და რომ მისი წარმოშობა არის **„დასაბამით დღეთაგან საუკუნოჲსათა“**. ჰეროდემ, თავისი სისხლიანი ჩანაფიქრის ზუსტად განსახორციელებლად, მოინდომა, გაეგო, იუდეის მეუფის დაბადების ჟამი, და მიიწვია თავისთან მოგვები, რათა საიდუმლოდ დაეკითხა ისინი ვარსკვალავის გამოჩენის დროსთან დაკავშირებით; შემდეგ კი გაგზავნა ბეთლემში, რათა უკან დაბრუნებულებს ეცნობებინათ მისთვის ყველაფერი, რასაც კი შეიტყობენ ახალშობილის შესახებ.

როდესაც მოგვები ბეთლემის გზას დაადგნენ, მაშინ ის ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, კვლავ გამოჩნდა და წინ გაუძღვა გზის მაჩვენებლად, და **დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი.**

რა ვარსკვლავი იყო ეს? ამაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. წმინდა იოანე ოქროპირისა და ნეტარი თეოფილაქტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულგარელის მოსაზრებით, ეს იყო ცაზე ვარსკვლავის სახით გამოჩენილი რაღაც ღვთაებრივი და ანგელოზებრივი ძალა. რაც შეეხება იმ ვარსკვლავს, რომელიც მოგვებმა აღმოსავლეთში იხილეს, ბევრი ვარაუდობს, რომ ის ნამდვილი ვარსკვლავი იყო, რამეთუ სამყაროში დიდი მნიშვნელობის მოვლენები ხშირად წინასწარ აისახებოდა ხილულ ბუნებაში. საინტერესოა, რომ ცნობილი ასტრონომის, კეპლერის გამოთვლებით, ქრისტე მაცხოვრის შობის წელს არაჩვეულებრივად იშვიათი თანხვედრა მოხდა თითქოსდა ერთ წერტილში სამი ყველაზე ნათელი სამი პლანეტისა: იუპიტერის, მარსისა და სატურნისა, რომლებიც ერთად უჩვეულოდ მბრწყინავი ერთი ვარსკვლავის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ეს ციური მოვლენა, ასტრონომიაში „პლანეტების შეერთების“ სახელით ცნობილი, დაემთხვა დედამიწაზე უდიდეს მოვლენას – მესიის, ძე ღვთისას შობას. და ეს, რა თქმა უნდა, ღვთის განგებულების სასწაულებრივი გამოვლინებაა, რამეთუ ამ გზით მოხდა სწავლული წარმართების მოწოდება ქვეყნად შობილი მესიის თაყვანსაცემად. შორეული ქვეყნიდან მოგვების მოსვლის აზრს ბრწყინვალედ გადმოსცემს წიმინდა იოანე ოქროპირი: „რადგანაც იუდეველები, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივად ისმენდნენ წინასწარმეტყველებას ქრისტეს მოსვლასთან დაკავშირებით, არ აქცევდნენ ამას განსაკუთრებულ ყურადღებას, ამიტომ უფალმა ბარბაროსებს შთააგონა, მოსულიყვნენ შორეული ქვეყნიდან, გამოეკითხათ იუდეველებთან შობილი მეუფის შესახებ, და შედეგად, მათ პირველად სპარსელებისგან შეეტყოთ ის, რაც არ უნდოდათ წინასწარმეტყველებისგან შეესწავლათ“.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ვარსკვლავი, რომელიც მოგვებს იერუსალიმიდან ბეთლემამდე გზას უჩვენებდა და მერე **და-**

ადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმაჲ იგი, უკვე არ იყო ნამდვილი ვარსკვლავი, არც პლანეტა, არამედ სრულიად სხვა განგებო სასწაულებრივი მოვლენა. ამ ვარსკვლავის დანახვაზე, მოგვებმა ***განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.*** უეჭველად იმიტომ, რომ მისი გამოჩენით განმტკიცდა მათი რწმენა, მართლაც, არაჩვეულებრივი ჩვილის დაბადებასთან დაკავშირებით. შემდეგ მათ შესახებ ნათქვამია, რომ ისინი შევიდნენ სახლში და ***დავარდეს და თაყუანის-სცეს*** ახალშობილს. რა თქმა უნდა, ეს უკვე აღარ იყო ის გამოქვაბული, სადაც ქრისტე იშვა, – საღვთო ჩვილი თავის ყოვლადწმიდა დედასთან ერთად ჩვეულებრივ სახლში ცხოვრობდა. ***აღაღეს საუნჯეთა მათთა.*** – მოგვებმა ახალშობილს ძღვენი მიართვეს: ოქრო, როგორც მეფეს; გუნდრუკი, როგორც ღმერთს; და მური, როგორც ადამიანს, რომელსაც სიკვდილი უნდა ეგემა. მერე კი, მიიღეს რა ძილში გამოცხადება – არ დაბრუნებულიყვნენ ჰეროდესთან, რომელსაც ღმერთჩვილის მოკვლა ჰქონდა განზრახული, ისინი სხვა, სავარაუდოდ, ბეთლემიდან სამხრეთის გზით, იერუსალიმის გვერდავლით, დაბრუნდნენ საკუთარ ქვეყანაში.

ეგვიპტეში გაქცევა, ჩვილთა მოწყვეტა, ნაზარეთში დაბრუნება

(მათე 2, 13-23)

მოგვების წასვლის შემდეგ იოსებს ძილში ანგელოზი გამოეცხადა, და უბრძანა: ***აღდეგ და წარიყვანე ყრმაჲ ეგე და დედაჲ მაგისი და იქმენ ეგჳპტედ,*** რაც იოსებმა უსიტყვოდ შეასრულა იმავე ღამით. ეგვიპტე იუდეადან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა; მის საზღვრამდე 100 ვერსი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასავლელი. იმ დროს ეგვიპტეც რომის პროვინცია იყო, იქ მრავლად ცხოვრობდნენ იუდეველები, მოქმედებდა სინაგოგა, მაგრამ ჰეროდეს ხელისუფლება იქ არ ვრცელდებოდა, ამიტომ წმინდა ოჯახს შეეძლო იქ ნათესავებთან გაჩერებულიყო და უსაფრთხო გარემოში ეცხოვრა. კითხვაზე, თუ რატომ არ იხსნა ქრისტემ თავი ჰეროდეს მკვლელებისგან, რატომ გახდა საჭირო ეგვიპტეში გაქცევა, წმინდა იოანე ოქროპირი პასუხობს: „უფალს რომ ჩვილობიდანვე სასწაულების აღსრულება დაეწყო, მაშინ მას ადამიანად არავინ აღიარებდა“ (საუბარი მათეს სახარებაზე, თავი VII). წმინდა ოჯახის ეგვიპტეში მოგზაურობის შესახებ შემორჩენილია მრავალი შესანიშნავი გადმოცემა. მათ შორის ერთ-ერთის თანახმად, რომ როდესაც ისინი საკერპო ტაძარში შევიდნენ, ყველა 365 კერპი, რომელთა ქანდაკებაც იქ იდგა, მიწაზე დაენარცხა და დაიმსხვრა და აღსრულდა მათზე წინასწარმეტყველება: ***აჰა, უფალი ზის ღრუბელსა ზედა სუბუქსა*** – ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ხელებზე, – ***და მოვალს ეგჳპტედ. და შეიძრნენ ჴელით ქმნულნი ეგჳპტისანი*** (ესაია 19, 1). ჩვილი იესო რომ ეგვიპტეში უნდა გაქცეულიყო და შემდეგ იქიდან დაბრუნებულიყო, წმინდა მახარებელი ამაში ხედავს ოსიას წინასწარმეტყველების აღსრულებას: ***ეგჳპტით გარდამოუწოდე ძესა ჩემსა*** (11, 1). წინასწარმეტყველის ეს სიტყვები, საკუთრივ ეკუთვნის ებრაელი ერის გამოსვლას ეგვიპტიდან, მაგრამ რადგანაც ღვთის რჩეულმა ებრაელმა ერმა წინასახე შექმნა ღვთის პირმშო და ერთადერთი ძისა, იესო ქრისტესი, ამიტომ ებრაელი ერის ეგვიპტიდან გამოყვანა იყო იესო ქრისტეს ეგვიპტიდან მოწოდების წინასახე. როგორც წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, ძველი აღთქმის მოვლენებში ყველაფერს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასახითი მნიშვნელობა ჰქონდა, ყველაფერი იყო ახალადშემ-
ისეული მოვლენების წინასახე.

ჰეროდე განრისხდა, როცა მოგვები არ დაბრუნდნენ იერუ-
სალიმში; თავი მათგან მოტყუებულად ჩათვალა, და ამან
კიდევ უფრო გაამძვინვარა. მოგვებისგან იცოდა, რომ ვარ-
სკვლავი მათ დაახლოებით ერთი წლის წინათ იხილეს და
დაასკვნა, რომ თუკი ჩვილი ერთ წელზე მეტის იქნებოდა,
ყოველ შემთხვევაში, არა უმეტეს ორი წლის ასაკისა. ამიტომ
გამოსცა სასტიკი ბრძანება, მოეკლათ ბეთლემსა და მის
შემოგარენში ყველა ჩვილი ***ორით წლითგანი და უდარესი***,
იმ ანგარიშით, რომ მათში ქრისტეც აღმოჩნდებოდა. გადმო-
ცემის მიხედვით, **ამოწყვიტეს 1 400 ბავშვი, რომელთა ხსო-
ვნასაც, როგორც ქრისტესთვის წამებულთა, წმინდა ეკლე-
სია ყოველ წელიწადს აღნიშნავს 29 დეკემბერს/11 იანვარს.**
ასეთი სისასტიკე სავსებით შეესაბამებოდა ჰეროდეს ხასი-
ათს, რომლის შესახებაც, იუდეველი ისტორიკოსის, იოსებ
ფლავიოსის მოწმობით, ცნობილია, რომ მან დაუსაბუთებე-
ლი ეჭვებით დაახრჩობინა თავისი ცოლი და მოაკვლევინა
თავისი სამი ვაჟი. როცა ამის შესახებ რომის იმპერატორს
შეატყობინეს, მან თქვა: „უმჯობესია ჰეროდეს ცხოველი იყო,
ვიდრე მისი ძე". ბეთლემის შემოგარენში დღესაც აჩვენებენ
მიწურებს, სადაც დედები ჩვილებთან ერთად იმალებოდნენ,
– ცდილობდნენ რა ეხსნათ ისინი ჰეროდეს ჯალათებისგან,
და სადაც მათ, როცა მიაგნებდნენ, შვილებთან ერთად კლავდ-
ნენ, თუკი ხელიდან ვერ გამოგლეჯდნენ. ჩვილთა მოწყვეტა-
ში წმინდა მახარებელი ხედავს იერემიას წინასწარმეტყველების
აღსრულებას: ***ჴმა რამათ ისმა გოდებისა და ტირილისა...***
(31, 15). ამ სიტყვებით იერემია წინასწარმეტყველი აღწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იუდეველი ხალხის უბედურებასა და წუხილს; ბაბილონის ტყვეობაში წასაყვანად, ხალხს წინასწარ აგროვებდნენ იერუსალიმისგან ჩრდილოეთით მდებარე ბენიამენის ტომის პატარა ქალაქ რამათში. ამ მოვლენის თვითმხილველი იერემია გამოხატავს მას, როგორც წინაპარი დედის, რაქილის ტირილს სასიკვდილოდ განწირულ თავის შვილებზე. წმინდა მათე ამაში ხედავს რაქილის შვილების ნამდვილი სიკვდილის წინასახეს ბეთლემის მახლობლად.

არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რამდენ ხანს იცხოვრა წმინდა ოჯახმა ეგვიპტეში, რადგან სრული სიზუსტით არ არის ცნობილი ქრისტეს შობის წელი, მაგრამ გარკვევით არის ნათქვამი, რომ ***რაჟამს აღესრულა ჰეროდე,*** იოსები მალევე, ანგელოზის სიტყვით, ***აღდგა და წარმოიყვანა ყრმაი იგი და დედაი მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჱლისა.*** ჰეროდეს სიკვდილის თარიღი კი მეტ-ნაკლები სიზუსტით არის დადგენილი. როგორც იოსებ ფლავიოსი მოწმობს, იგი საშინელ ტანჯვაში მოკვდა რომის დაარსებიდან 750 წლის მარტში ან აპრილის დასაწყისში. თუკი ქრისტე დაიბადა 749 წლის 25 დეკემბერს, მაშინ წმინდა ოჯახს ეგვიპტეში დაუყვია დაახლოებით ორი თვე. ხოლო, თუკი ჩავთვლით, რომ ქრისტე იშვა, როგორც ზოგიერთებს მიაჩნიათ, ერთი წლით ადრე, 748 წელს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმინდა ოჯახმა იქ წელიწადზე მეტი გაატარა, და ეგვიპტიდან დაბრუნებისას ღმერთჩვილი დაახლოებით ორი წლისა იყო. ყოველ შემთხვევაში, იესო ჯერ კიდევ ყრმა იყო, – ასეთად მოიხსენიებს მას ანგელოზი იოსების ხილვაში: ***აღდეგ და წარიყვანე ყრმაი ეგე და დედაი მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჱლისა.***

როცა ისრაელის საზღვრებს მოუახლოვდნენ, იოსებმა, როგორც ჩანს, განიზრახა ბეთლემში დამკვიდრება, სადაც, ის

ფიქრობდა, უნდა გაზრდილიყო დავითის ძე – მომავალი მესია – ქრისტე. მაგრამ, როდესაც შეიტყო, რომ ჰეროდეს ძეთაგან ყველაზე უარესი გამეფებულიყო, არქელაოსი, მამამისივით სისხლისმსმელი და სასტიკი, მას **შეეშინა მისლვად მუნ**, და მიიღო რა ძილში ახალი გამოცხადება, გაემართა გალილეის საზღვრებში და დასახლდა ქალაქ ნაზარეთში, სადაც ადრეც ცხოვრობდა და ხუროს ხელობით იყო დაკავებული.

ამაში წმინდა მახარებელი ხედავს წინასწარმეტყველების აღსრულებას იმის თაობაზე, რომ უფალ იესო ქრისტეს **ნაზარეველ ეწოდოს.** თუმცა, ასეთ წინასწარმეტყველებას ჩვენ ძველ აღთქმაში ვერ ვპოულობთ. გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ ეს წინასწარმეტყველება შედიოდა წიგნში, რომელიც ებრაელებმა დაკარგეს. სხვები ფიქრობენ, რომ მახარებელი აქ არ მიუთითებს ერთ რომელიმე კერძო წინასწარმეტყველებას, არამედ მხედველობაში აქვს ზოგადი ხასიათი ყველა წინასწარმეტყველებისა ქრისტე-მაცხოვრის დამცირებულ მდგომარეობაზე მისი მიწიერი ცხოვრების ჟამს. ნაზარეთიდან გამოსვლა – ეს ნიშნავდა, ადამიანი ყოფილიყო უგულებელყოფილი, დაკნინებული, უარყოფილი. მეორე მხრივ, „ნაზარეველებს“ ძველ აღთქმაში უწოდებდნენ ადამიანებს, რომლებიც თავის თავს ღმერთს უძღვნიდნენ* შეიძლება, ესეც ყოფილიყო მიზეზი იესო ქრისტეს ნაზარეველად წოდებისა, როგორც ნაზარეული აღთქმის უმაღლესი მატარებლისა – ღმერთის სამსახურში საკუთარი თავის სრულად შემწირველისა.

---

*ძველ ქართულ ტექსტებში „ნაზარეველების“ შესატყვისია „მლოცველები“ იხ. რიცხ თავი მე-6. საქ. 24, 5-ში „ნაზარეველობა“ „გალილეველობად“ არის წოდებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრმობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა
(ლუკა 2, 40-52)

უფალ იესო ქრისტეს ცხოვრების პერიოდი, სანამ ის კაცობრიობისათვის საზოგადოებრივ მსახურებას შეუდგებოდა, ჩვენთვის უცნობია. ამ პერიოდიდან მხოლოდ ერთი ფაქტი მოჰყავს ლუკა მახარებელს. რადგანაც ის თავისი სახარების წერას შეუდგა ***პირველითგან ყოვლითა ჭეშმარიტებითა,*** ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა გამოჩენილი ფაქტი, უფლის ცხოვრების ადრეულ პერიოდში, არ არსებობდა. მისი სიყრმის წლებს წმინდა ლუკა აძლევს ასეთ ზოგად დახასიათებას: ***ხოლო ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა და განმტკიცნებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა.*** და ეს გასაგებია, რადგან იესო არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ადამიანიც იყო, და როგორც ადამიანი, ექვემდებარებოდა ადამიანური განვითარების ჩვეულებრივ კანონებს. მისი კაცობრივი სიბრძნე მხოლოდ თავისი განვითარების ზომისამებრ ავლენდა ან იტევდა საღვთო მცოდნეობის· მთელ სიღრმესა და სისავსეს, რომელსაც ფლობდა ყრმა იესო, როგორც ძე ღვთისა.

და აი, როდესაც ყრმას 12 წელი შეუსრულდა, ეს საღვთო სიბრძნე მაშინ აშკარად გამოვლინდა მასში. მოსეს რჯულის თანახმად (მეორე რჯ. 16, 16), ყველა ებრაელი მამაკაცი წელიწადში სამჯერ უნდა გამოცხადებულიყო იერუსალიმში: პასექის, ერგასობისა და კარვობის დღესასწაულებზე; გამონაკლისი ეხებოდათ მხოლოდ ბავშვებსა და ავადმყოფებს. განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნა იყო პასექის დღესასწაულზე დასწრება. 12 წლის ყრმა უკვე ხდებოდა „რჯულის შვილი“: იმ დროიდან მოყოლებული, მას უნდა შეესწავლა რჯულის

ყველა მოთხოვნა და შეესრულებინა მისი განწესებანი, მათ შორის – ასულიყო იერუსალიმში დღესასწაულებზე. წმინდა ლუკა ამბობს, რომ იესოს მშობლები – ***მამა-დედანი*** ყოველ წელიწადს ადიოდნენ იერუსალიმში. ღმერთჩვილის დაბადების საიდუმლო ჯერ კიდევ დაფარული რჩებოდა. ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი და მოხუცი იოსები არ თვლიდნენ საჭიროდ და სასარგებლოდ მის გამხელას. ამიტომ ნაზარეთის მოსახლეობისათვის იოსები იყო მარიამის ქმარი და იესოს მამა. მახარებელი აქ ამ გამოთქმას იყენებს ქალაქში არსებულ საერთო აზრთან შესაბამისობაში. სხვა ადგილას კი ის პირდაპირ ამბობს (3, 23), რომ იოსებს მხოლოდ მიიჩნევდნენ იესოს მამად, ე.ი. სინამდვილეში არ იყო.

პასექის დღესასწაული 8 დღე გრძელდებოდა, რის შემდეგაც მომლოცველები საკუთარ სახლებში ბრუნდებოდნენ, ჩვეულებრივ, ჯგუფებად. იოსებმა და მარიამმა ვერ შეამჩნიეს, როგორ დარჩა ყრმა იესო იერუსალიმში. ისინი ფიქრობდნენ, რომ იგი მათთან ახლოს ნათესავებისა და ახლობლების სხვა რომელიმე ჯგუფს მოჰყვებოდა. მაგრამ, როდესაც ნახეს, რომ უკვე დიდი ხანია ის არ უერთდება მათ, დაიწყეს ძებნა და როცა ვერ იპოვეს, შეშფოთებულები იერუსალიმში დაბრუნდნენ, სადაც სამი დღის შემდეგ, – უნდა ვივარაუდოთ, იერუსალიმის დატოვებიდან სამი დღის შემდეგ, – იპოვეს ის ტაძარში. იესო იჯდა მოძღვართა შორის, უსმენდა მათ და აძლევდა შეკითხვებს. ეს, როგორც ჩანს, ხდებოდა ტაძრის ერთ-ერთ კამარაში (სტოაში), სადაც რაბინები იკრიბებოდნენ და ერთმანეთთან და ხალხთან ერთად რჯულის სწავლებას ულრმავდებოდნენ. ამ საუბარში ყრმა იესომ უკვე გამოავლინა თავისი საღვთო სიბრძნე, ამიტომ უკვირდათ

მსმენელებს მისი კითხვა-პასუხი, გონიერება, ცოდნა. ღვთისმშობელმა შეშფოთება გამოთქვა მის გაუჩინარებასთან დაკავშირებით და აქვე იოსებს მისი მამა უწოდა; სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან მას ყველა იესოს მამად იცნობდა. მშობლის ამ სიტყვებზე ყრმა იესო პირველად აცხადებს თავის დანიშნულებას – შეასრულოს ნება თავისი წარმომგზავნელისა, და ამით, ერთგვარად, უსწორებს თავის მშობელს, რომ მისი მამა იოსები კი არა – ღმერთია. ის თითქოსდა ასე ამბობს: „თქვენ უნდა გცოდნოდათ, სადაც ვიყავი, რადგან მე, როგორც ძე ღვთისა, უნდა ვიყო ღვთის სახლში“ – ტაძარში. თუმცა მათ ვერ გაიგეს მისი სიტყვები; მათთვისაც სავსებით ნათელი არ იყო მიწიერ საქმეებთან დაკავშირებული ქრისტეს საიდუმლოება. მაგრამ ***დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თჳსსა,*** – ეს მისთვის განსაკუთრებით სამახსოვრო დღე იყო, როდესაც მისმა ძემ პირველად ამცნო მას თავისი მაღალი დანიშნულების შესახებ. ხოლო, რადგანაც ჯერ არ დამდგარიყო იესოსთვის საზოგადოებრივი მსახურების ჟამი, ამიტომ ის მორჩილად გაჰყვა მათ ნაზარეთში, და როგორც ამას მახარებელი საგანგებოდ აღნიშნავს, ***იყო დამორჩილებულ მათდა,*** – თავისი მიწიერი მშობლებისადმი, და ალბათ იზიარებდა შრომას თავის მოჩვენებით მამასთან ერთად, რომელიც ხუროდ მუშაობდა. ასაკის მატებასთან ერთად ***იესუ წარემატებოდა სიბრძნითა*** და ყურადღებიანი თვალისთვის სულ უფრო აშკარა ხდებოდა ღვთის განსაკუთრებული სიყვარული მის მიმართ, რაც ადამიანებშიც აღძრავდა მისდამი გამორჩეულ სიყვარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II
საზოგადოებრივი მსახურება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

საზოგადოებრივ მსახურებაზე გამოსვლა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მისი ცხოვრების მოვლენები პირველ პასექამდე

1. იოანე ნათლისმცემელი და მისი მოწმობა უფალ იესო ქრისტეს შესახებ

(მათე 3, 1-12; მარკოზი 1, 1-8; ლუკა 3, 1-18; იოანე 1, 15-31)

იოანე ნათლისმცემლის საქადაგებლად გამოსვლასა და მის მოწმობას უფალ იესო ქრისტეს შესახებ, თანახმიერად მოგვითხრობს, თითქმის ერთნაირი დეტალებით, ოთხივე მახარებელი: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე. მხოლოდ იოანე უტევებს ზოგიერთ ამბავს პირველი სამი მახარებლისგან განსხვავებით, და ხაზს უსვამს მხოლოდ ქრისტეს ღმრთეებრიობას.

იოანე ნათლისმცემლის საქადაგებლად, აგრეთვე, თვით უფლის საზოგადოებრივ მსახურებაზე გამოსვლის დროსთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის წმინდა ლუკა მახარებელი. ის ამბობს, რომ ეს მოხდა ***წელსა მეათხუთმეტესა ტიბერის კეისრისასა, მთავრობასა პონტოელისა პალატესსა ჰურიასტანს, და მეოთხედმთავრობასა გალილეას ჰეროდესსა, ხოლო ფილიპეს, ძმისა მისისა, მეოთხედმთავრობასა იტურეას და ტრაქონელთა სოფელსა და ლჯსანისსა, მეოთხედმთავრობასა აბილინესსა, მღდელთმოძღურებასა ანნაჲსსა და კაიაფაჲსსა*** (ლუკა 3, 1, 2). იწყებს რა თავის თხრობას იოანე

ნათლისმცემლის საქადაგებლად გამოსვლით, წმინდა ლუკას სურს, გვითხრას, რომ იმ დროს პალესტინა შედიოდა რომის იმპერიის შემადგენლობაში და მას იმპერატორ ტიბერიუსის სახელით (ძე და მემკვიდრე ოქტავიანუს ავგუსტუსი, რომლის ზეობის დროსაც ქრისტე იშვა) მართავდნენ ტეტრარქები, ანუ მეოთხედმთავრები: იუდეას არქელაოსის ნაცვლად მართავდა რომის პროკურატორი პონტოელი პილატე; გალილეას – ჰეროდე ანტიპა, ჰეროდე დიდის (ბეთლემში ჩვილთა ამომწყვეტელის) ძე; მისი მეორე ძე, ფილიპე, იტურეისა და ტრაქონიის მმართველი იყო (პირველი იორდანედან აღმოსავლეთით მდებარეობდა, მეორე – ჩრდილო-აღმოსავლეთით); მეოთხე ოლქი, აბილინე, ესაზღვრებოდა გალილეას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მდებარეობდა ანტილიბანის მთის ძირში და მართავდა მას ლისანი. მღვდელთმთავრები იმ დროს იყვნენ ანა და კაიაფა, რაც ასე უნდა გავიგოთ: საკუთრივ, მღვდელთმთავარი იყო კაიაფა, ხოლო მისი სიმამრი ანა, ან ანანი, სამოქალაქო ხელისუფლების მიერ ამ თანამდებობიდან გადაყენებული, ხალხში ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა, და ფაქტიურად მასთან ერთად ინაწილებდა მღვდელთმთავრობის ხელისუფლებას.

ტიბერიუსი ტახტზე ავიდა ავგუსტუსის სიკვდილის შემდეგ, 767 წელს, მაგრამ ორი წლით ადრე, 765 წელს, იგი გახდა მისი თანამმართველი, შესაბამისად, მისი მმართველობის მეთხუთმეტე წელი იწყებოდა 779 წელს. სწორედ ამ წელს, ყველაზე სარწმუნო ვარაუდით, იესოს შეუსრულდა 30 წელი. ამას შემდგომში გვეუბნება წმინდა ლუკა, როდესაც მიუთითებს, თუ რა ასაკში მიიღო იესო ქრისტემ იოანესგან ნათლობა და დაიწყო საზოგადოებრივი მსახურება.

ლუკა მახარებელი ამოწმებს, რომ ***იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იოვანეს მიმართ***, ე.ი. განსაკუთრებული მოწოდება, ანუ გამოცხადება ღვთისა, რითაც გამოწვეულ იქნა ის თავის მსახურებაზე. წმინდა მათე იმ ადგილს, სადაც მან მსახურება დაიწყო, უწოდებს ***უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა.*** ასე უწოდებდნენ იორდანესა და მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროს ნაკლებად დასახლებულობის გამო. ღვთის მოწოდების შემდეგ იოანე ჩნდება უკვე ამ ოლქის უფრო დასახლებულ ადგილებში და ნათლისღებისათვის საჭირო წყალთან ახლოს, მაგალითად, ბეთაბრაში – ***წიაღ იორდანესა*** (იოანე 1, 28) და ენონში, ***მახლობლად სალიმსა, რამეთუ წყალნი ფრიად იყვნეს მუნ*** (იოანე 3, 23).

მახარებლები მათე (3, 3), მარკოზი (1, 3) და ლუკა (3, 4) იოანეს უწოდებენ ***ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა: „განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი“.*** ზუსტად ასევე უწოდებს თავის თავს იოანე ნათლისმცემელი იოანეს სახარებაში (1, 23). ეს სიტყვები აღებულია ესაიას წინასწარმეტყველებიდან, სადაც ის ამბობს, რომ დამთავრდა იერუსალიმის დამცირების დრო და მალე გამოჩნდება უფლის დიდება ***და იხილოს ყოველმან ჴორცმან მაცხოვარება ღმრთისაჲ*** (40, 5).

ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა, როდესაც სამოცდაათწლიანი ბაბილონის ტყვეობის შემდეგ 42 000 იუდეველი სპარსეთის მეფე კიროსის ნებართვით სამშობლოში დაბრუნდა. ამ დაბრუნებას წინასწარმეტყველი გამოხატავს, როგორც საზეიმო მსვლელობას თვით ღმერთის წინამძღოლობით. ხალხის ამ მსვლელობას წინ უსწრებს მღაღადებელი (მაცნე), რომელიც იუწყება, რომ უდაბნოში უნდა გაიაროს უფალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ხალხთან ერთად და მოუწოდებს ყველას, რომ მოუმზადონ მას პირდაპირი და სწორი გზა – ფერდობები დაავაკონ, მთაგრეხილები გაასწორონ და ა.შ. ამ წინასწარმეტყველებას მახარებლები და თვით იოანე ნათლისმცემელი (იოანე 1, 23) განმარტავენ წინასახეობითი აზრით (რადგან ასეთი აზრის შემცველი იყო ახალი აღთქმის წინასწარმიმანიშნებელი ყველა ძველაღთქმისეული მოვლენა): უფალში, რომელიც ტყვეობიდან დაბრუნებულ თავის ერს მოუძღვის წინ, ისინი მოიაზრებენ მესიას, ხოლო მაცნეში – მის წინამორბედ იოანეს. ამ სულიერი აზრით **უდაბნო** თვით ისრაელის ერია, ხოლო ის უსწორ-მასწორო ადგილები, რომლებიც უნდა აღმოფხვრან, როგორც მესიის მოსვლის წინაღობა, – ადამიანური ცოდვებია. ამიტომ წინამორბედის ქადაგების მთელი არსი ერთ მოწოდებას ემსახურებოდა: „შეინანეთ!“ ესაიას ამ წინასწარმეტყველებას, ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველებიდან უკანასკნელი, მალაქია, გამოთქვამს პირდაპირ; იგი მესიისათვის გზის განმამზადებელ წინამორბედს უწოდებს „უფლის ანგელოზს“; ამ ციტატით იწყებს წმინდა მარკოზი თავის სახარებისეულ თხრობას (1, 2). სინანულის შესახებ თავის ქადაგებას იოანე ნათლისმცემელი განაპირობებს ცათა სასუფევლის, ანუ მესიის სასუფევლის მოახლოებით (მათე 3, 2). ამ სასუფეველში ღვთის სიტყვა გულისხმობს ადამიანის გათავისუფლებას ცოდვის ძალაუფლებისაგან და მის შინაგან არსებაში სიმართლის გამეფებას (ლუკა 17, 21; შდრ. რომ. 14, 17), ყველა იმ ადამიანის გაერთიანებას, ვინც ამის ღირსიქმნა, ერთ ორგანიზმად – ეკლესიად (მათე 13, 24-43; 47-49) და მარადიულ ზეციურ დიდებას მათ მომავალ ცხოვრებაში (ლუკა 23, 42, 43).

ამზადებდა რა ადამიანებს სასუფეველში შესასვლელად, რომელიც მალე უნდა დამდგარიყო მესიის მოსვლით, იოანე მოუწოდებდა მათ სინანულისკენ, ხოლო მის მოწოდებაზე გამოხმაურებულთ – ***ნათლისცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა*** (ლუკა 3, 3; მათე 3, 11). ეს არ იყო მადლმოსილი ქრისტიანული ნათლისღება, არამედ მხოლოდ წყალში შთანთქმა, როგორც გამოხატულება იმისა, რომ შთანთქმულს სურვილი აქვს ცოდვებისაგან გაწმენდისა, მსგავსად იმისა, როგორც წმენდს მას წყალი ხორციელი უწმინდურობისგან.

მკაცრი მოსაგრე იოანე, რომელიც ატარებდა ყველაზე უხეშ სამოსელს ***თმისაგან აქლემისა*** და ***საზრდელად მისა იყო მკალი*** [კალიის ნაირსახეობა] ***და თაფლი ველური,*** მკვეთრად განსხვავდებოდა მისი თანამედროვე იუდეველი მოძღვრებისგან. მის ქადაგებას კი, მესიის სასუფევლის შესახებ, რომლის დადგომასაც იმ დროს ბევრი ელოდა დაძაბულად, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიეპყრო.

იუდეველი ისტორიკოსი ფლავიოსიც მოწმობს, რომ „იოანეს სწავლებით აღფრთოვანებული, უამრავი ხალხი მიაწყდა მას...“ და რომ ამ კაცის ზეგავლენა იმდენად დიდი იყო იუდეველ ერზე, რომ ის მზად იყო მისი რჩევით ყველაფერი გაეკეთებინა და ჰეროდე მეფესაც კი ეშინოდა ამ დიდი მოძღვრის ხალხზე გავლენისა. ფარისეველნი და სადუკეველნი მშვიდად ვერ უყურებდნენ, თუ როგორ მიდიოდა ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იოანესთან, და თვითონაც წავიდნენ მასთან უდაბნოში, – თუ ყველა არა, ყოველ შემთხვევაში, ვინც მასთან მივიდა, ყველას წრფელი გრძნობა ამოძრავებდა.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ იოანე მათ შეხვდა მკაცრი მამხილებელი სიტყვით: ***ნაშობნო იქედნეთანო: ვინ***

გიჩუენა თქუენ სივლტოლაჲ მერმისა მისგან რისხვისა? ფარისეველები ოსტატურად ფარავდნენ თავიანთ ბოროტებას მოსეს რჯულის გარეგნული განწესებების ზედმიწევნითი შესრულებით. სადუკეველები კი ხორციელი სამოვნებებით იყვნენ დაკავებულნი და უარყოფდნენ იმას, რაც ეწინააღმდეგებოდა მათ ეპიკურეული ცხოვრების წესს – სულიერ ცხოვრებასა და სიკვდილისშემდგომ მისაგებელს.

იოანე ამხელს მათ ქედმაღლობას, მათ თავდაჯერებულობას საკუთარ სიმართლეში და შეაგონებს, რომ მათი იმედები, აბრაამისგან წარმომავლობაზე, არ მოუტანს სარგებელს, თუკი ისინი არ ჰყოფენ სინანულის შესაბამის ნაყოფს, რამეთუ ***ხემან, რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.***

აბრაამის ჭეშმარიტი შვილები მისი ხორციელი შთამომავლები კი არ არიან, არამედ, ვინც იცხოვრებს მისი სარწმუნოების სულით და ღმერთის ერთგულებით. თუ თქვენ არ შეინანებთ, – ეუბნება იოანე, – მაშინ ღმერთი უარგყოფთ თქვენ და თქვენს ადგილას მოიწვევს სულით აბრაამის ახალ შვილებს (მათე 3, 9; ლუკა 3, 8).

ლუკა მახარებლის მიხედვით, იოანეს ეს მკაცრი სიტყვა მიმართული იყო ხალხისადმი. ამაში არ შეიძლება წინააღმდეგობა დავინახოთ, რადგან ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი დაავადებული იყო ფარისევლური ცრუსწავლებით. წინასწარმეტყველის მკაცრი სიტყვით შეშფოთებული ხალხი ეკითხება: ***და რაჲმე უკუე ვყოთ?*** (ლუკა 3, 10). იოანე პასუხობს, რომ აუცილებელია სიკეთისა და მოწყალების საქმენი და თავშეკავება ყოველგვარი ბოროტებისაგან. სწორედ ეს არის ***ნაყოფი ღირსი სინანულისაჲ*** (ლუკა 3, 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ იყო მესიის მოსვლის საყოველთაო მოლოდინის დრო, ამასთან, იუდეველებს სწამდათ, რომ როდესაც მესია მოვა, დოდა, მათ ნათელს სცემდა (იოანე 1, 25). ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ბევრი საგონებელში ჩავარდა: ხომ არ არის იოანე ქრისტე?

ამ აზრს იოანე პასუხობს, რომ ის ნათლავს ***წყლითა სინანულად*** (მათე 3, 11), ანუ სინანულის ნიშნად, მაგრამ მოდის მასზე ძლიერი, და იგი არ არის ღირსი, გახსნას მისი ხამლთა თასმები (მარკოზი 1, 7; ლუკა 3, 7) ან ატაროს მისი ხამლები (მათე 3, 11), როგორც მონებს დაჰქონდათ ბატონის ფეხსაცმელი. ***მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა,*** – მის მიერ აღსრულებულ ნათლისცემაში მონაწილეობას მიიღებს სულიწმიდა, რომელიც ყოველგვარ ბიწიერებას ცეცხლით დაწვავს. ***რომლისა ნიჩაბი ჴელთა შინა მისთა,*** – ქრისტე განწმენდს თავის ერს, როგორც პატრონი წმენდს თავის კალოს ღვარძლისა და ნაგავისგან, ხოლო ხორბალს, ანუ ვინც მას იწამებს, თავის ეკლესიაში შეაგროვებს, როგორც ბეღელში, ყველა მის უარმყოფელს კი მარადიულ სატანჯველს გადასცემს.

2. ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი
(მათე 3, 13-17; მარკოზი 1, 9-11; ლუკა 3, 21, 22; იოანე 1, 32-34)

იესო ქრისტეს ნათლისღების შესახებ ოთხივე მახარებელი საუბრობს, მათგან ყველაზე დაწვრილებით, ამ მოვლენას, წმინდა მათე განიხილავს.

მაშინ მოვიდა იესუ გალილეაჲთ (მათე 3, 13). წმინდა მარკოზი კი დასძენს, რომ სწორედ გალილეას ნაზარეთიდან

(1, 9). როგორც ჩანს, ეს იყო ტიბერიუს კეისრის მმართველობის იმავე მე-15 წელიწადს, როცა ლუკა მახარებლის მიხედვით, იესოს შეუსრულდა 30 წელი, – ასაკი, რომელიც მოეთხოვებოდა სარწმუნოების მასწავლებელს. წმინდა მათეს თანახმად, იოანემ უარი თქვა იესოს მონათვლაზე: ***მე მიჯმს შენ მიერ ნათლისღებაჲ***. ხოლო იოანეს სახარებში ვკითხულობთ, რომ ნათლისმცემელი არ იცნობდა იესოს ნათლისცემამდე (იოანე 1, 33), ვიდრე არ იხილა მასზე გარდამომავალი სულიწმიდა მტრედის სახით. აქ არ შეიძლება წინააღმდეგობა დავინახოთ. იოანე არ იცნობდა ნათლისცემამდე იესოს, როგორც მესიას, მაგრამ როდესაც მასთან იესო მივიდა ნათლისღების თხოვნით, მან, როგორც ადამიანის გულის მწვდომელმა წინასწარმეტყველმა, მაშივე იგრძნი მისი სიწმინდე და უცოდველობა და თავის თავზე მისი უსასრულო უპირატესობა, იმიტომაც შეჰღაღადა: ***მე მიჯმს შენ მიერ ნათლისღებაჲ, და შენ ჩემდა მოხუალა?*** ხოლო, როცა სულიწმიდა იხილა, იესოზე გარდამომავალი, მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის წინაშე მესია-ქრისტე იდგა.

ესრეთ შუენის ჩუენდა აღსრულებად ყოველი სიმართლე, – ეს ნიშნავს, რომ უფალ იესო ქრისტეს, როგორც ადამიანსა და როგორც მამამთავარს მის მიერ ახალაღორძინებული კაცობრიობისა, თავისი მაგალითით უნდა ეჩვენებინა ადამიანებისთვის ყველა საღვთო დადგენილების შესრულების აუცილებლობა. როგორც კი ნათელ-იღო, იესო ***მეყსეულად*** ამოვიდა წყლიდან, რადგან, როგორც უცოდველი, ის არ საჭიროებდა ცოდვების აღიარებას, როგორც ამას აკეთებდნენ წყალში მდგარი დანარჩენი ნათელღებულნი. წმინდა ლუკა გადმოგვცემს, რომ იესომ ***ნათელ-იღო და ილოცვიდა,*** უეჭველად, იმაზე, რომ ზეციერ მამას ეკურთხა მისი მსახურების დაწყება.

და განეხუნეს ცანი, – გაიხსნა მის ზემოთ, მის გამო, ***და იხილა*** (იოანემ) ***სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა.*** ვინაიდან ბერძნულად „მას ზედა“ გამოთქმულია მე-3 პირის ნაცვალსახელით (ანუ სხვადასხვაა – ვინც იხილა, და ვისზეც იხილა), ამიტომ აქ უნდა გავიგოთ, რომ იხილა სულიწმიდა იოანემ, თუმცა, რა თქმა უნდა, იხილა ის თვით ნათელღებულმაც და ხალხმაც, რადგან ამ სასწაულის მიზანი იყო, გაეცხადებინა ადამიანებისთვის იქამდე უცნობი იესო ძე ღვთისად, ამიტომაც გალობს ეკლესია უფლის ნათლისღების დღესასწაულზე, რომელსაც ასევე ღვთისგაცხდება ეწოდება: **„განეცხადე დღეს ყოველსა სოფელსა“** (კონდაკი). იოანეს სიტყვებით, სულიწმიდა არა მხოლოდ გარდამოვიდა იესოზე, არამედ და „დაადგრა მას ზედა“ (იოანე 1, 32, 33).

მამა ღმერთის ხმა: „ესე არს“, – მათეს მიხედვით, ან „შენ ხარ“, – მარკოზისა და ლუკას მიხედვით, „ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ“, იოანესა და იქ დამსწრე ერისათვის იყო მინიშნება ნათელღებულის საღვთო ღირსებაზე, საკუთრივი აზრით, როგორც ძე ღვთისაზე, მხოლოდშობილზე, რომელზედაც მუდმივად არის მამის კურთხევა, და იმავდროულად, როგორც პასუხი მამა ღმერთისა თავისი ღმრთეებრივი ძისადმი მის ლოცვაზე, რომელშიც ითხოვდა მამა ღმერთის კურთხევას კაცობრიობის გამოხსნელად მსახურების უდიდეს ღვაწლზე.

უფლის ნათლისღებას წმინდა ეკლესია ძველთაგანვე დღესასწაულობს 6/19 იანვარს; უწოდებენ ამ დღესაწაულს აგრეთვე *ღმრთის განცხადებას*, რადგან ამ მოვლენისას გამოუცხადა ხალხს წმიდა სამებამ თავისი თავი: მამა ღმერთი

ხმით ზეციდან, ძე ღმერთი იორდანეზე იოანეს მიერ ნათლის-ცემით, სულიწმიდა ღმერთი მტრედის სახით გარდამოვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ორმოცდღიანი მარხვა და ეშმაკისგან გამოცდა
(მათე 4, 1-11; მარკოზი 1, 12, 13;
ლუკა 4, 1-13)

იესო ქრისტეს ორმოცდღიანი მარხვისა და ამის შემდეგ უდაბნოში ეშმაკისგან მისი გამოცდის შესახებ, სამი მახარებელი მოგვითხრობს; მათგან ერთი, წმინდა მათე – დაწვრილებით, წმინდა ლუკა და წმინდა მარკოზი კი მხოლოდ მოიხსენიებენ ამ ამბავს, ყოველგვარი დაზუსტებისა და დეტალების გარეშე.

ნათლისღების შემდეგ ***მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ***, რომელიც იერიქონსა და მკვდარ (მეწამულ) ზღვას შორის მდებარეობდა. ამ უდაბნოს ერთ-ერთი მთა დღესაც ატარებს სახელს „ორმოცდღიანი", – უფლის ორმოცდღიანი მარხვის მოსახსენებლად. პირველი, რაც ნათლისღებაში იესო ქრისტესზე დავანებულმა საღვთო სულმა მოიმოქმედა, იყო მისი უდაბნოში გაყვანა, სადაც იგი მარხვითა და ლოცვით უნდა მომზადებულიყო კაცობრიობის გამოხსნის უდიდესი მსახურებისათვის. მან იმარხულა ***ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე,*** – როგორც ყოველმხრივ ჩანს, ამ ხნის განმავლობაში საერთოდ არაფერი უჭამია და ***მერმე შეეშია,*** ანუ უკიდურესად მოშივდა და ძალა მიელია. და ***მოუჯდა მას გამომცდელი იგი.*** ეს იყო გამომცდელის გადამწყვეტი შეტევა, რადგან, წმინდა ლუკას თანახმად, ეშმაკი განუშორებლად ცდიდა უფალს მთელი 40 დღის განმავლობაში (4, 2).

რა აზრი დევს უფლის ეშმაკისგან ამ გამოცდაში?

ეშმაკის საქმეების დასარღვევად ქვეყნად მოსულ უფალს შეეძლო, რა თქმა უნდა, ერთი თავისი ამოსუნთქვით-უცებ გაენადგურებინა ისინი, მაგრამ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ეშმაკის საქმეებს ფესვი გადგმული ჰქონდათ ადამიანის თავისუფალი სულის ცდომილებაში, რომლის გადასარჩენადაც იყო უფალი მოვლენილი, თანაც ისე, რომ არ ჩამოერთვა მისთვის ეს თავისუფლება, ღმერთის უდიდესი საბოძვარი; შექმნა ღმერთმა ადამიანი არა პაიკად სამყაროში, არა უსულო რობოტად, არა გაუცნობიერებელ ინსტინქტებს დამორჩილებულ ცხოველად, არამედ თავისუფალ და გონიერ პიროვნებად. იესო ქრისტეს ღმრთეებრიობასთან მიმართებით, ეს გამოცდა იყო ბოროტი სულის ბრძოლა ადამიანის გამოსახსნელად მოსულ ძე ღვთისასთან, რათა შეენარჩუნებინა თავისი უფლება ადამიანებზე მოჩვენებითი ცოდნისა და ბედნიერების საშუალებით. ეს გამოცდა ჰგავდა უფალი ღმერთის გამოცდას, რომლის უფლებაც თავის თავს მისცეს ისრაელიანებმა რაფიდინში (გამოს. 17, 1-17), როდესაც დრტვინვა დაიწყეს წყლის უკმარისობის გამო: ***არს მეა უფალი ჩუენ თანა, ანუ არა?*** ასევე იწყებს ეშმაკიც იესო ქრისტეს გამოცდას სიტყვებით: ***უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ...*** და როგორც ისრაელის ძეთა შესახებ ფსალმუნთმგალობელი ამბობს, რომ ისინი ცდიდნენ უფალს უფაბნოში (ფსალ. 77, 40, 41), ასევე ცდიდა ეშმაკი ძე ღვთისას იმ განზრახვით, რომ გაეღიზიანებინა ის, განერისხებინა, გაეკიცხა და შეურაცხყოფა მიეყენებინა. უმთავრესად გამოიცდებოდა იესოს კაცობრივი ბუნება, რომელზეც ეშმაკი იმედოვნებდა, რომ გაავრცელებდა თავის ზეგავლენას, ცრუ გზაზე დააყენებდა მის ნებას. ქრისტე იმიტომ მოვიდა მიწაზე, რომ ადამიანთა

შორის თავისი, საღვთო სასუფეველი დაემკვიდრებინა. ამ მიზნის შესასრულებლად ორი გზა არსებობდა: ერთი, რომელზეც ოცნებობდნენ იმდროინდელი იუდეველები, – სწრაფი და ბრწყინვალე გამეფება მესიისა, როგორც მიწიერი მეფისა, მეორე – ნელი და ეკლიანი გზა, ნებაყოფლობითი ზნეობრივი განახლება ადამიანებისა; ამ გზის თანმხლები იყო მრავალი ტანჯვა და დევნა, როგორც მესიის მიმდევრებისათვის, ისე თვით მესიისთვისაც. ეშმაკს სურდა, გადაეცდინა უფალი მეორე გზიდან, და ამ მიზნით ცდილობდა, მოეხიბლა ის, როგორც ადამიანი, პირველი გზის სიმსუბუქით, რამეთუ ის გზა სატანჯველს კი არა, მხოლოდ დიდებას ჰპირდებოდა.

უპირველესად, ეშმაკმა ისარგებლა იესოს შიმშილით და შეეცადა, დაერწმუნებინა იგი, რომ გამოეყენებინა თავისი ღვთაებრივი ძალა ნებისმიერი ადამიანისთვის მტანჯველი გრძნობის – შიმშილისგან თავის დასაღწევად. მან მიუთითა ქვებზე, რომლებიც ამ ადგილებში თავისი ფორმით დღესაც პურს გვაგონებენ, და უთხრა: ***უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ, რაჲთა ქვანი ესენი პურ იქმნნენ.*** ეშმაკი იმედოვნებდა, რომ თუკი ამ ერთხელ შეაცდენდა, იესო მომავალშიც ასე მოიქცეოდა: ანგელოზებით დაიცავდა თავს მოჯარული ხალხისგან, ჩამოვიდოდა ჯვრიდან ან მოიხმობდა ელიას დასახმარებლად (მათე 26, 53; 27, 40, 49), და მაშინ კაცობრიობის გამოხსნა ძე ღვთისას ჯვარზე ტანჯვით აღარ შედგებოდა. ღმერთკაცმა, რომელმაც სხვებისთვის წყალი ღვინოდ აქცია და პური სასწაულებრივად განამრავლა, უარყო ეს წინადადება მოსეს სიტყვებით, რომელიც ნათქვამი იყო ციურ მანანასთან დაკავშირებით, რომლითაც ღმერთი თავის ერს

40 წლის განავლობაში კვებავდა უდაბნოში: ***რამეთუ არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღვთისა ცხოვნდების კაცი*** (მეორე რჯ. 8, 3). აქ „სიტყვითა", უნდა მოვიაზროთ, ადამიანზე მზრუნველი ღმერთის კეთილი ნება. უფალი აღასრულებდა სასწაულებს სხვების, და არა საკუთარი საჭიროებისათვის; მას რომ ტანჯვა კი არ დაეთმინა, არამედ თავისი ღვთაებრივი ხელმწიფებით განექარვებინა, მაშინ ვერ იქნებოდა ჩვენთვის მაგალითის მომცემი. უფალს რომ სასწაულები ხშირად აღესრულებინა, იგი ყველა ადამიანს თავის მიმდევრად აქცევდა. მას რომ პურთან დაკავშირებული სასწაული ხშირად აღესრულებინა, ყველა გაყვებოდა, ვინც კი მაშინ „პურსა და სანახაობას" ითხოვდა, მაგრამ ეს ადამიანები ვერ იქნებოდნენ საიმედონი მის მიერ დაფუძნებული თავისუფალი საღვთო სასუფევლისათვის. უფლის მიზანი იყო, ყველანი თავისუფლად გაჰყოლოდნენ მას მისი სიტყვისამებრ, მაგრამ არა როგორც მონები, – მიწიერი სიკეთეების იოლად ხელში ჩასაგდებად აღძრულნი.

ეშმაკმა განიცადა რა მარცხი პირველ გამოცდაზე, უფალს მეორე გამოცდით მიუდგა: ***წარიყვანა*** იერუსალიმში, ***დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა*** და უთხრა: ***უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: „ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენთჳს, და ჴელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერჴი შენი.*** კვლავ სთავაზობს, რომ სასწაულით შეძრას ადამიანების წარმოდგენა, დაძაბულად რომ ელოდებოდნენ მესიის მოსვლას, რათა იოლად გაჰყოლოდნენ მას, მაგრამ ეს უნაყოფო იქნებოდა მათი ზნეო-

ბრივი ცხოვრებისათვის, და ამიტომ უფალმა უარყო ეს ნიშანი დადებაც იმავე სიტყვებით, – ***არა განსცადო უფალი ღმერთი შენი,*** – რომლითაც თავის დროზე მოსემ მიმართა თავის ერს (მეორე რჯ. 6, 16), რაც ნიშნავს: „აუცილებლობის გარეშე არ უნდა ჩაიგდო თავი საფრთხეში იმისათვის, რომ ამით გამოსცადო ღმერთის საწაულთმოქმედი ყოვლადძლიერი ძალა".

ამის შემდეგ ეშმაკი მესამე გამოცდას შეუდგა. მაღალი მთიდან დაანახა უფალს ***ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებაჲ მათი*** და უთხრა: ***ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე.*** წმინდა ლუკა ამატებს, რომ ეშმაკმა იესოს აჩვენა სამყაროს ყველა სამეფო ***გამოხატვითა ჟამთაჲთა***, ამასთან უთხრა: ***შენ მიგცე ამის ყოვლისა ჴელმწიფებაჲ და დიდებაჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს და რომლისა მინდეს, მივსცე იგი*** (4, 6). მან იესოს მზერა მოავლებინა დედამიწის ყველა სამეფოზე, რომლებზედაც თავად ბატონობდა – ბოროტების სულმა აჩვენა მას, თუ როგორ ძალებსა და საშუალებებს ფლობდა ამქვეყნად ღმერთთან, ანუ მასთან საბრძოლველად, რომელიც ამქვეყნად ადამიანზე მისი ბატონობის გასაუქმებლად იყო მოსული. როგორც ჩანს, ეშმაკი ვარაუდობდა, რომ თუ იესო ქრისტე ამ სურათს იხილავდა, მისი ადამანური სული შიშისგან შეძრწუნდებოდა და ეჭვი შეიპყრობდა კაცობრიობის გამოხსნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მართლაც: რა უნდა იყოს იმ სურათზე საშინელი, როდესაც ხედავ, რომ მთელი დედამიწა ნებაყოფლობით არის ეშმაკს დამორჩილებული? ეშმაკი, თითქოსდა, ასე ეუბნება უფალს: „შენ ხედავ, ჩემს ძალაუფლებას ადამიანებზე, ნუ მიშლი ხელს, შემდგომშიც ვიბატონო მათზე; ამისთვის მე მზადა ვარ გავიყო შენ-

თან ჩემი ხელისუფლება. შენთვის საკმარისია მხოლოდ ჩემთან კავშირში შემოხვიდე. ამისათვის მხოლოდ თაყვანი მეცი, და იქნები ის მესია, რომელსაც ებრაელები მოუთმენლად ელიან." რა თქმა უნდა, ეშმაკი ამ სიტყვებით უფალს ჰპირდებოდა მხოლოდ გარეგნულ ხელმწიფებას ადამიანებზე, ხოლო შინაგანს, სულიერს, თავისთვის იტოვრებდა. ეს სწორედ ის იყო, რაც არ სურდა უფალს, რომელიც ასწავლიდა, რომ ის არ იყო მოსული გარეგნული ბატონობისათვის, მიწიერი მეფობისათვის (მათე 20, 28), რომ მეუფება მისი ***არა ამის სოფლისაგანი არს*** (იოანე 18, 36), არამედ – სულიერია. ამიტომ უფალი განაგდებს ეშმაკს სიტყვებით მეორე რჯულიდან: უფალსა ღმერთსა ***მხოლოსა მსახურებდე, და მას მხოლოსა შეეყუ*** (ესვიდე) (6, 13). ამით ის ეუბნება, რომ არ აღიარებს ქვეყანაზე სატანის ძალაუფლებას, რადგან ქვეუყანა უფალ ღმერთს ეკუთვნის და მხოლოდ მას შეეფარება მასში თაყვანისცემა.

მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან. წმინდა ლუკას თანახმად: ***განეშორა მას ვიდრე ჟამადმდე*** (ლუკა 4, 13), რადგან მალე კვლავ დაიწყო მისი გამოცდა ხალხის მეშვეობით, აღძრა რა მის წინააღმდეგ ყოველნაირი მანქანება.

მნიშვნელოვანია მინიშნება, რომელიც მხოლოდ წმინდა მარკოზთან გვხვდება, რომ უფალი უდაბნოში იყო ***მჯეცთა თანა*** (1, 13). როგორც ახალ ადამს, მხეცები მას თავიანთ მბრძანებლად აღიარებდნენ და ამიტომ ვერ ვნებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4. ქრისტეს პირველი მოწაფენი
(იოანე 1, 35-51)

ეშმაკისგან გამოცდის შემდეგ უფალი იესო ქრისტე კვლავ იოანესთან წავიდა იორდანეზე. ამასობაში იოანემ, მისი მოსვლის წინ, ახალი საზეიმო მოწმობა გაუცხადა ფარისევლებს მის შესახებ, მაგრამ ამჯერად არა როგორც მომავალ, არამედ უკვე მოსულ მესიაზე. ამის შესახებ მხოლოდ ერთი მახარებელი, წმინდა იოანე გადმოგვცემს (1, 19-34). იუდეველებმა იოანესთან იერუსალიმიდან წარგზავნეს მღვდლები და ლევიტები შეკითხვით, ვინ არის ის, ქრისტე ხომ არა? რადგან მათი წარმოდგენით ნათლისცემა მხოლოდ მესია-ქრისტეს შეეძლო. ***და აღიარა და არა უვარ-ყო. აღიარა, ვითარმედ: „მე არა ვარ ქრისტე“*** კითხვაზე, მაშ, ვინ არის ის, წინასწარმეტყველი ხომ არა, ის თვითონ ამბობს თავის თავზე, რომ არის ***ჴმაჲ ღაღადებისაჲ უდაბნოსა,*** და ხაზს უსვამს, რომ მის მიერ წყლით ჩატარებული ნათლისცემა, როგორც მთელი მისი მსახურება, არის მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაო, და რათა მოხსნას ყველა კითხვა, თავისი პასუხის დასკვნით ნაწილში აცხადებს: ***შორის თქუენსა დგას, რომელი თქუენ არა იცით*** (1, 26), ***რომელი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, რომელი პირველ ჩემსა იყო, რომლისა არა ღირს ვარ მე, რაჲთა განვჰჴსნნე საბელნი ჴამლთა მისთანი*** (1, 27). ეს მან დაამოწმა *ბეთაბრაში*, სადაც უამრავი ხალხი მიდიოდა მასთან.

მეორე დღეს, როცა უკვე ეშმაკისგან გამოცდის შემდეგ იესო კვლავ მივიდა იორდანეზე, იოანემ მის შესახებ საზეიმოდ დაამოწმა: ***აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი,*** და აუწყა იქ შეკრებილ ხალხს, რომ

ეს სწორედ ის არის, ვის მოსვლასაც ის ქადაგებდა, და რომ თვითონ დარწმუნდა, რომ სწორედ ის არის ძე ღვთისა, რომელმაც ნათელი უნდა სცეს სულიწმიდით, რადგან იხილა სულიწმიდა გარადამომავალი მტრედის სახით და ***დადგრომილ მას ზედა*** (იოანე 1, 29-34).

ამქვეყნად უკვე მოსული მესიის, ძე ღვთისას შესახებ, ამ პირადი დამოწმებიდან მეორე დღეს, იოანე კვლავ იდგა თავის ორ მოწაფესთან ერთად იორდანეს ნაპირზე და დაინახა მომავალი იესო. იოანემ გაიმეორა თავისი წინა დღის მოწმობა: ***აჰა ტარიგი ღმრთისაჲ*** (იოანე 1, 36). უწოდებს რა ქრისტეს ტარიგს, ამით იოანე ნათლისმცემელი მიუსადაგებს მას ესაიას მნიშვნელოვან წინასწარმეტყველებას, სადაც მესია ***ვითარცა ცხოვარი კლვად მიმართ მიიყვანა, და ვითარცა კრავი წინაშე მრისველისა თჳსისა უჴმო*** (53, 7). შესაბამისად, იოანეს მოწმობის მთავარი აზრი ისაა, რომ ქრისტე არის ღმერთის მიერ ადამიანთათვის შეწირული მსხვერპლი. მაგრამ სიტყვებით: ***რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სიფლისანი,*** უდიდესი მსხვერპლი წარმოდგენილია მღვდელთმთავრადაც, რომელიც საკუთარი თავის მიმართ აღასრულებს მღვდელმსახურებას: თავის თავზე იღებს ქვეყნის ცოდვებს და მსხვერპლად სწირავს თავის თავს ქვეყნისათვის.

როცა ეს მოწმობა გაიგონეს, იოანეს მოწაფეები გაჰყვნენ იესოს თავის საცხოვრებელში და მისი ქადაგების მოსმენაში გაატარეს დრო მეათე ჟამიდან (შუადღის ოთხი საათიდან) გვიან საღამომდე, და გამყარდნენ რწმენაში, რომ იესო ნამდვილად იყო მესია (იოანე 1, 38-41). ამ ორ მოწაფეთაგან ერთ-ერთი ანდრია იყო, მეორე – თვით მახარებელი იოანე, რომელიც მოვლენების გადმოცემისას თავის სახელს არას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს ახსენებს. უფალთან საუბრის შემდეგ შინ დაბრუნებულმა ანდრიამ პირველად თავისი ძმა, სიმონი ნახა და უთხრა, რომ იოანესთან ერთად ისინი შეხვდნენ მესიას (1, 41). ამგვარად, ანდრია იყო არა მხოლოდ პირველწოდებული მოწაფე ქრისტესი, როგორც მიღებულია მას უწოდონ, არამედ ის არის, აგრეთვე, მოციქულთაგან პირველი, რომელმაც იქადაგა ქრისტე-მესია, მოაქცია და ქრისტესთან მიიყვანა მომავალი მოციქულთათავი სიმონი (პეტრე). როდესაც ანდრიამ ქრისტესთან თავისი ძმა მიიყვანა, უფალმა შეხედა მას თავისი გამომცდელი მზერით და უწოდა მას „კეფა", რაც თვით მახარებლის განმარტებით ნიშნავს „კლდე", ბერძნულად – „პეტროს". მომდევნო დღეს იესომ მოინდომა გალილეაში გასვლა და მოუწოდა ფილიპეს: ***მომდევდი მე.*** ფილიპემ კი მოძებნა თავისი მეგობარი ნათანაელი და იმის სურვილით, რომ ისიც მასთან ერთად გაჰყოლოდა ქრისტეს, უთხრა: ***რომელი-იგი დაწერა მოსე შჯულსა და წინაჲსწარმეტყველთა, ვპოეთ – იესუ, ძე იოსებისი, ნაზარეთით.*** როგორც ჩანს, ნათანაელი იზიარებდა მაშინდელი მრავალი იუდეველისათვის საერთო ცრურწმენას, რომ ქრისტე, როგორც მეფე, მოვიდოდა მიწიერი დიდებით და სათავეში ჩაუდგებოდა იერუსალიმის უმაღლეს საზოგადოებას. ამასთანავე, გალილეა ცუდი სახელით სარგებლობდა იუდეველთა შორის, ხოლო ნაზარეთი, ეს პატარა ქალაქი, რომელიც არც ერთხელ არ მოიხსენიება წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნებში, ჩანდა, რომ ვერანაირად ვერ იქნებოდა წინასწარმეტყველების წიგნებიდან ცნობილი მესიის დაბადებისა და გამოჩენის ადგილი. თუმცა, ფილიპეს მორწმუნე სულმა არ ჩათვალა საჭიროდ, უარეყო მეგობრის ეს ცრურწმენა, – მან შესთავაზა, თავად

ეხილა და დარწმუნებულიყო მისი სიტყვების ჭეშმარიტებაში: ***მოვედ და იხილე.*** ნათანაელი, როგორც ღია და წრფელი ადამიანი, მაშინვე წავიდა იესოსთან, რათა გამოეკვლია, რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს ფილიპეს სიტყვები. უფალმაც დაამოწმა მისი სულის უბრალოება და უზაკვობა: ***აჰა ჭეშმარიტად ისრაიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს.*** ნათანაელს გაუკვირდა, საიდან უნდა სცნობოდა ის უფალს, როცა პირველად ხედავდა. მაშინ უფალმა, იმისათვის, რომ საბოლოოდ გაეფანტა მისი ეჭვები და მიეზიდა თავისკენ, გამოავლინა თავის საღვთო ყოვლისმცოდნეობა, – მიანიშნა რა ერთ საიდუმლო გარემოებაზე, რომლის აზრიც ნათანაელის გარდა არავინ იცოდა: ***იყავ რაჲ ლეღუსა ქუეშე, გიხილე შენ.*** რა შეემთხვა ლეღვის ხის ქვეშ ნათანაელს, ეს ჩვენგან დაფარულია, და როგორც ყოველმხრივ ჩანს, ეს ისეთი საიდუმლო იყო, რომელიც თვით ნათანაელის გარდა მხოლოდ ღმერთმა იცოდა. ამან ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ნათანაელზე, რომ მას ყველა ეჭვი მყისვე გაუქარწყლდა იესოს მიმართ: მიხვდა, რომ მის წინაშე უბრალო ადამიანი არ იდგა, არამედ ვიღაც ისეთი, ვინც აღჭურვილი იყო ღვთაებრივი ყოვლისმცოდნეობით და მან მაშინვე იწამა იესო, როგორც ღვთისგან წარმოგზავნილი-მესია, და ეს გამოხატა მხურვალე რწმენით სავსე აღტაცებით: ***რაბი, შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაჱლისაჲ*** (1, 49). ვარაუდობენ, რომ ნათანაელს ჩვევად ჰქონდა, ელოცა ლეღვის ხის ქვეშ და ერთ-ერთი ასეთი ლოცვისას განსაკუთრებული განცდა დაეუფლა, რომელიც მას ნათლად დაამახსოვრდა და რომლის შესახებაც არც ერთ ადამიანს არ შეეძლო სცოდნოდა. აი, რატომაც გააღვიძა მასში უფლის სიტყვებმა ასეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხურვალე რწმენა მის, – როგორც ძე ღვთისას, – მიმართ, რომლისთვისაც გაცხადებულია ადამიანის სულის იდუმალი მხარეები.

ამ აღტაცებული სიტყვის პასუხად, უფალმა, მიმართავდა რა ამჯერად არა ნათანაელს პირადად, არამედ ყველა თავის მიმდევარს, გამოთქვა წინასწარმეტყველება: ***ამენ, ამენ გეტყუ თქუენ: იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა კაცისასა.*** ამ სიტყვებით უფალს სურდა ეთქვა თავისი მოწაფეებისთვის, რომ ისინი სულიერი თვალით იხილავდნენ მის დიდებას, რომ აღსრულდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება საიდუმლო კიბით ცის მიწასთან შეერთების საიდუმლოებასთან დაკავშირებით, – რომელიც ძველი აღთქმის მამამთავარმა იაკობმა იხილა (დაბ. 28, 11-17); და რომ ეს აღსრულდა ძე ღვთისას განკაცების გზით, რომელიც გახდა ახლა „ძე კაცისა". ამ სახელს უფალი თავის თავს ხშირად უწოდებდა, – სახარებაში 80 ასეთი შემთხვევა გვხვდება. ამით უფალი დაბეჯითებით და ეჭვშეურევნელად ამტკიცებს თავის კაცებას, და ამასთან, ხაზს უსვამს, რომ ის არის ადამიანი ამ სიტყვის ყველაზე უმაღლესი გაგებით, – იდეალური, სრულყოფილი, აბსოლუტური ადამიანი, მეორე ადამი; მის მიერ ჯვარზე მიღებული ვნებით განახლებული კაცობრიობის მამამთავარი. ამგვარად, ეს სახელდება სრულებითაც არ გამოხატავს ქრისტეს მხოლოდ დამცირებას, არამედ, ამასთანვე, გამოხატავს ადამიანთა საერთო დონეზე მის აღმატებასაც, რამეთუ მიუთითებს მასში ადამიანის ბუნების იდეალის განხორციელბას, ისეთი ადამიანისას, როგორიც უნდა იყოს ის მისი შემოქმედი და შემქმნელი ღმერთის განზრახვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. პირველი სასწაული გალილეის კანას ქორწილში
(იოანე 2, 1-12)

პირველი სასწაულის შესახებ, რომელიც უფალმა იესო ქრისტემ აღასრულა – გალილეის კანაში წყლის ღვინოდ გარდაქცევა – მოგვითხრობს მხოლოდ იოანე მახარებელი. ეს სასწაული აღსრულდა ფილიპესა და ნათანაელის მოწოდებიდან მესამე დღეს. იესო ქრისტე მიიწვიეს ქორწილში გალილეის კანაში. ეს იყო პატარა ქალაქი ნაზარეთიდან ჩრდილოეთით 2-3 საათის სავალ გზაზე. კანა იყო უფლის მიერ ახლახან მოწაფედ მიღებული ნათანაელის სამშობლო. გალილეის კანად ის იწოდებოდა ტვიროსის მახლობლად მდებარე ამავე სახელწოდების სხვა ქალაქისაგან განსხვავებით. იესო ქორწილში მიიწვიეს, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, როგორც ნაცნობი, სტუმარ-მასპინძლობის წესისამებრ. იესოს ყოვლადწმიდა მშობელი უკვე იქ იყო, – როგორც ჩანს, იესოზე ადრე მივიდა. მასპინძელი ოჯახი მდიდარი არ იყო, რაც იმით დასტურდება, რომ ნადიმის დროს ღვინო გამოელიათ. ყოვლადწმიდა ქალწულმა თანაუგრძნო ოჯახს და დახმარება გადაწყვიტა, რათა ზეიმი არ ჩაშხამებოდათ. მისმა სიკეთით სავსე სულმა ამ დროს გამოავლინა თავისი პირველი მაგალითი ხალხისათვის შუამდგომლობისა და მეოხებისა მისი საღვთო ძის წინაშე. ***ღვინოდ არა აქუს,*** – ეუბნება ის იესოს, რა თქმა უნდა, დარწმუნებული იმაში, რომ იგი სასწაულებრივად დაეხმარება მასპინძლებს. ***რაჲ არს ჩემდა და შენდა, დედაკაცო?*** – პასუხობს უფალი. აქ სიტყვა „დედაკაცში“ არ უნდა ვეძებოთ უპატივცემულობის ჩრდილიც კი. ეს ჩვეულებრივი გამოთქმაა აღმოსავლეთში; თავისი ტანჯვის ყველაზე მძიმე წუთებში, ჯვარზე, უფალი ამავე სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდებით მიმართავს თავის მშობელს, როცა მას თავის საყვარელ მოწაფეს აბარებს საზრუნავად (იოანე 19, 26). ***არღა მოწევნულ არს ჟამი ჩემი,*** – ჯერ არ დამდგარა სასწაულთმოქმედების მომენტი, შეიძლება იმიტომ, რომ ღვინო მთლიანად არ გათავებულა. ყოველ შემთხვევაში, ყოვლადწმიდა ქალწულის შემდგომი სიტყვიდან, რომლთაც მან მსახურებს მიმართა: ***რაჲცა გრქუას თქუენ, ყავთ,*** – არანაირად არ ჩანს, რომ მას უფლის სიტყვები გაეგოს, როგორც უარი თავის შუამდგომლობაზე. იქვე იდგა ექვსი სარწყული წყლით, რომლებსაც განწმენდის წესისათვის იყენებდნენ, განსაკუთრებით, ხელების დასაბანად ჭამის წინ და ჭამის შემდეგ. მათი მოცულობა დიდი იყო, – საწყაო ზომით ვედრონახევარია, ანუ იქ იყო დაახლოებით 25 ვედროს მოცულობის ჭურჭელი, რაც უფრო საგრძნობელს ხდის უფლის სასწაულს. იესომ მსახურებს უბრძანა, ეს ჭურჭლები პირთამდე წყლით გაევსოთ, რათა ისინიც გაეხადა სასწაულის მოწმენი. ***აღმოავსეთ აწ და მოართჳთ პურისა უფალსა,*** – ე.ი. თამადას, რათა ისიც თავად დარწმუნებულიყო აღსრულებული სასწაულის ჭეშმარიტებაში. უფალმა სასწაული, როგორც ვხედავთ, აღასრულა ხელშეუხებლად, გარკვეული მანძილიდან, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოაჩენს მის ყოვლადძლიერ საღვთო ძალას. „რათა აჩვენოს, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, – რომ ის არის, ვინც ათავსებს წყალს ყურძენში და ყურძნის ფესვის მეშვეობით წვიმას ღვინოდ აქცევს. რასაც მცენარეში ხანგრძლივი დრო სჭირდება, ის უფალმა მყისიერად აღასრულა ქორწილში“. თამადამ არ იცოდა, საიდან მოიტანეს ეს ღვინო, დაუძახა სიძეს და თავისი სიტყვებით დაამოწმა აღსრულებული სასწაულის ჭეშმარიტება, და თანაც აღნიშნა, რომ წყლიდან სასწაულებრივად მიღებული ღვინო უკეთესი

ხარისხის იყო. მისი სიტყვებიდან: **ოდეს დაითრვნიან,** ეროვნული ბიბლიოთეკა უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამ ქორწილში ყველა მთვრალი იყო: ეს ნათქვამია ზოგად ჩვეულებასთან მიმართებით და არა ამ კონკრეტულ შემთხვევასთან. ცნობილია, რომ ღვინის სმაში ებრაელები ზომიერებით გამოირჩეოდნენ. საერთოდ, ღვინო პალესტინაში გავრცელებული სასმელი იყო და ხშირად წყლით აზავებდნენ. დათრობამდე დალევა ურიგო საქციელად მიიჩნეოდა. რა თქმა უნდა, უფალი იესო ქრისტე არ მიიღებდა მონაწილეობას ისეთ ნადიმში, სადაც შეიძლება მთვრალები ყოფილიყვნენ. სასწაულის მიზანი იყო, ღარიბი და მდაბიო ხალხისთვის სიხარული მიენიჭებინა სადღესასწაულო ზეიმზე, სადაც გამოჩნდა უფლის სახიერება. მახარებლის მოწმობით, ეს იყო უფლის პირველი სასწაული მას შემდეგ, რაც ის საზოგადოებრივ მსახურებას შეუდგა, და ამ სასწაულით მან გამოავლინა თავისი დიდება და მის რწმენაში განამტკიცა თავისი მოწაფეები. ამ სასწაულის შემდეგ მთელი წმინდა ოჯახი, რომელიც იქამდე ნაზარეთში იმყოფებოდა, გაემგზავრა კაპერნაუმში, რათა იქიდან იერუსალიმში ასულიყვნენ პასექის დღესასწაულზე.

იესო ქრისტეს საზოგადოებრივი მსახურების პირველი პასექი

1. მოვაჭრეთა გაძევება ტაძრიდან
(იოანე 2, 13-25)

პირველი სამი მახარებელი არცთუ ნათლად ლაპარაკობს უფლის იერუსალიმში ყოფნაზე; დაწვრილებით ისინი აღწერენ მხოლოდ პასექის დროს მის იქ ყოფნას, რომლის დადგომის

წინ ის ევნო. მხოლოდ წმინდა იოანე მოგვითხრობს საკმაოდ დაწვრილებით უფლის ყოველი მოსვლის შესახებ იერუსალიმში პასექის დროს მისი სამწლიანი მსახურების პერიოდში, ასევე, სხვა ზოგიერთ დღესასწაულზეც. უფლისთვის ბუნებრივიც იყო დასწრებოდა იერუსალიმში ყველა დიდ დღესასწაულს, რადგან ამ დროს იქ დუღდა ებრაელი ერის სულიერი ცხოვრება, იკრიბებოდა უამრავი ხალხი მთელი პალესტინიდან და სხვა ქვეყნებიდან, და სწორედ იქ უნდა გამოევლინა უფალს თავი, როგორც მესიას.

წმინდა იოანეს მიერ სახარების დასაწყისში აღწერილი მოვლენა – უფლის მიერ მოვაჭრეთა ტაძრიდან გაძევება, განსხვავდება ამის მსგავსი სხვა მოვლენისგან, რომლის შესახებაც მოგვითხრობს პირველი სამი მახარებელი. პირველ მოვლენას ადგილი ჰქონდა უფლის საზოგადოებრივი მსახურების დასაწყისში – პირველი პასექის წინ, მეორე მოვლენას კი მისი საზოგადოებრივი მსახურების ბოლოს – მეოთხე პასექის წინ.

კაპერნაუმიდან უფალი თავისი მოწაფეების თანხლებით იერუსალიმში წავიდა პასექის დღესასწაულზე, მაგრამ ამჯერად უკვე არა უბრალოდ მოვალეობის გამო, არამედ იმისათვის, რომ აღესრულებინა მისი წარმომგზავნელის ნება, და რომ გაეგრძელებინა გალილეაში დაწყებული მესიანური საქმიანობა.

პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში შეიკრება არა უმცირეს ორი მილიონი ებრაელისა, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ დაეკლათ საპასექო კრავი და ტაძარში ღმერთისთვის შეეწირათ. იოსებ ფლავიოსის ცნობით, ქრისტეს შობიდან 63 წელს, ებრაელთა პასექის დღეს, მღვდლების მიერ ტაძარში დაიკლა 256 000 საპასექო კრავი, სხვა სამსხვერპლო წვრლიფეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქონლისა და ფრინველების გარდა. დაკლული ცხოველის ასეთი სიმრავლის გამო, ყიდვა-გაყიდვის მოსახერხებლად, ებრაელებმა ტაძართან არსებული ეგრეთ წოდებული „წარმართთა ეზო“ სავაჭრო მოედნად აქციეს: შეიყვანეს იქ სამსხვერპლო ცხოველი, დადგეს გალიები ფრინველებით, მოაწყვეს სავაჭრო დახლები და გახსნეს ფულის გადასაცვლელი სალაროები. იმ დროს მიმოქცევაში იყო რომაული მონეტები, რჯული კი ითხოვდა, რომ ტაძარში შეეწირათ ებრაული წმინდა სიკლი. პასექის დღესასწაულზე მოსულ ებრაელებს უნდა გადაეცვალათ თავიანთი ფული, რაც მეკერმეებს დიდ შემოსავალს აძლევდა. ცდილობდნენ რა ხალხმრავლობა ფულის საშემოსავლოდ გამოეყენებინათ, ებრაელები ტაძრის ეზოში სხვა საგნებითაც ვაჭრობდნენ, რომლებსაც არანაირი შეხება არ ჰქონდათ მსხვერპლშეწირვასთან, მაგალითად, ხარებით. თვით მღვდელთმთავრები იყვნენ დაკავებულნი მტრედების მოშენებით და შემდგომში მათ მაღალ ფასებში ყიდდნენ.

უფალმა შოლტი დაწნა საბლისგან, რომლითაც, ალბათ, ცხოველებს აბამდნენ, და გამორეკა ტაძრიდან ყველა, აგრეთვე ხარები და ცხვრები; მიმოფანტა მეკერმეთა ფული და ააყირავა მათი დახლები. მტრედებით მოვაჭრეებს კი უთხრა: ***აღიღეთ ესე ამიერ და ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო.*** ამგვარად, მოიხსენია რა ღმერთი თავის მამად, იესომ პირველად გამოაცხადა საჯაროდ თავისი თავი ძე ღვთისად. ვერავინ გაბედა შეწინააღმდეგებოდა საღვთო ხელისუფლებას, რომლითაც ის მოქმედებდა, რადგან, როგორც ჩანს, იოანეს მოწმობა იესოს, როგორც მესიის შესახებ, იერუსალიმამდე მიაღწია, ამასთან, სინდისმაც ამხილა მოვაჭრენი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მტრედებამდე მივიდა, რითაც

მღვდელმთავართა ინტერესებს შეეხო, მას შეკითხვა დაუსვეს: ***რასა სასწაულსა მიჩუენებ ჩუენ, რამეთუ ამას იქმ?*** ამაზე უფალმა უპასუხა: ***დაჰᲜსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე.*** როგორც შემდგომში მახარებელი განმარტავს, ***იგი იტყოდა ტაძრისათᲜს გუამისა თᲜსისა,*** ანუ ის ერთგვარად ამბობს: „თქვენ სასწაულს ითხოვთ – მოგეცემათ ის თქვენ, მაგრამ ახლა არა: როდესაც თქვენ ჩემი სხეულის ტაძარს დაანგრევთ, მე სამ დღეში აღვადგენ მას, და ეს იქნება თქვენთვის იმ ხელისუფლების ნიშანი, რომლითაც მე ამას ვიქმ“.

იუდეველებმა ვერ გაიგეს, რომ ამ სიტყვებით იესო წინასწარ ეუბნებოდა მათ თავის სიკვდილზე, თავისი სხეულის დანგრევასა და მესამე დღეს თავისი აღდგომის შესახებ. იუდეველებმა მისი ნათქვამი სიტყვასიტყვით გაიგეს, მიუსადაგეს ის იერუსალიმის ტაძარს და შეეცადნენ მის წინააღმდეგ ხალხი აემხედრებინათ. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ ბერძნული ზმნა „ეგერო“, რომელიც გადმოთარგმნილია სიტყვით „აღვადგინო“, საკუთრივ ნიშნავს „გავაღვიძო“, რაც ნაკლებად შეეფერება დანგრეულ შენობას და უფრო მიესადაგება ღრმად დაძინებულ სხეულს. ბუნებრივი იყო უფალს თავისი სხეული ტაძრისთვის შეედარებინა, რამეთუ მისი განკაცებით მისმა სხეულმა დაიტია მისი ღმრთეება. ტაძარში ყოფნისას უფალ იესო ქრისტესთვის განსაკუთრებით ბუნებრივი იყო თავის სხეულზე ესაუბრა, როგორც ტაძარზე. და ყოველ ჯერზე, როდესაც ფარისევლები ითხოვდნენ მისგან ნიშან-სასწაულებს, ის პასუხობდა, რომ მათთვის არ იქნებოდა სხვა სასწაული, გარდა იმ სასწაულისა, რომელსაც ის უწოდებდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულს – თავის სამდღიან

დაფლვასა და აღდგომას. იუდეველების მიმართ უფლის ეს სიტყვები შეიძლება ასე გავიგოთ: „არ კმაყოფილდებით ამით, რომ ბილწავთ ჩემი მამის ხელთქმნილ სახლს, და ჰყოფთ მას სავაჭრო სახლად; თქვენი ღვარძლი იქამდე განივრცობა, რომ ჯვარზე გააკრათ და მოაკვდინოთ ჩემი სხეული. გააკეთეთ ეს და მაშინ თქვენ იხილავთ ისეთ სასწაულს, რომელიც თავზარს დასცემს ჩემს მტრებს: ჩემს მოკვდინებულ და დაფლულ სხეულს მე სამ დღეში აღვადგენ".

იუდეველები ჩაეჭიდნენ ქრისტეს სიტყვების ზუსტ აზრს, რათა გამოეჩინათ ისინი, როგორც უაზრო და შეუსრულებადი. ისინი მიუთითებენ, რომ ეს ტაძარი, იუდეველთა სიამაყე, 46 წლის განმავლობაში შენდებოდა; როგორ შეიძლება მისი აღდგენა სამ დღეში? საუბარია ჰეროდეს მიერ ამ ტაძრის აღდგენაზე, რაც დაწყებული იყო რომის დაარსებიდან 734 წელს, ანუ ქრისტეს განკაცებამდე 15 წლით ადრე. 46 წელი მოდის რომის დაარსებიდან 780 წელზე, რომელიც არის სწორედ პირველი წელი სახარებისეული პასექისა. თვით მოწაფეებმაც უფლის ეს სიტყვები მხოლოდ მაშინ გაიგეს, როცა ის მკვდრეთით აღდგა და ირწმუნეს ***წიგნისაჲ და სიტყუაჲ იგი.***

შემდეგ მახარებელი ამბობს, რომ პასექის დღესასწაულზე, გაგრძელების სახით, უფალმა ტაძარში აღასრულა სასწაულები, რომელთა მხილველთა შორის მრავალმა ირწმუნა იგი, ***ხოლო თჳთ იესუ არა არწმუნებდა მათ თავით თჳსით,*** ანუ არ ენდობოდა მათ, რადგან რწმენა, თუ ის მხოლოდ სასწაულებს ეფუძნება და არ არის გამთბარი ქრისტესადმი სიყვარულით, არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ, მყარ რწმენად. უფალი ყველას იცნობდა, იცოდა თითოეული ადამიანის გულისნადე-

ბი, როგორც ყოვლისმხილველმა ღმერთმა; ამიტომაც არ ენდობოდა მათ სიტყვებს, რადგან ისინი სასწაულების სილვის გამო აღიარებდნენ მისდამი რწმენას.

2. უფალ იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან
(იოანე 3, 1-21)

მოვაჭრეთა ტაძრიდან გამოძევებამ და სასწაულებმა, რომლებიც უფალმა იერუსალიმში აღასრულა, ისე ძლიერ იმოქმედა იუდეველებზე, რომ შემდგომში ერთ-ერთი მთავართაგანი, – ***მთავარი ჰურიათაჲ,*** – სინედრიონის წევრი (იოანე 7, 50), ნიკოდიმოსი მივიდა იესოსთან ღამით, როგორც ჩანს, იმის სურვილით, რომ მოესმინა მისი სწავლება, მაგრამ შიშობდა, არ მოეწია თავზე უფლის მიმართ მტრულად განწყობილი თავისივე ამხანაგების რისხვა. უფალთან მისვლისას იგი მას უწოდებს ***რაბი,*** ანუ „მოძღვარო“, რითაც აღიარა თავისი დამოძღვრის უფლება, – მწიგნობრებისა და ფარისევლებისაგან განსხვავებით; ეს უკანასკნელნი მიიჩნევდნენ, რომ რაკი იესოს არ ჰქონდა დამთავრებული რაბინთა სკოლა, ამიტომ მას სწავლის უფლება არ გააჩნდა.

ნიკოდიმოსის მხრიდან ასეთი მიმართვა აჩვენებს უფლისადმი მისი გულის განწყობას. ამის შემდეგ ის მას უწოდებს *ღმერთისგან მოვლენილ მოძღვარს,* რითაც აღიარებს, რომ სასწაულებს იესო აღასრულებს თავისი ღმრთეებრივი ძალით. ამას იგი არა მხოლოდ თავისი პირადი სახელით ამბობს, არამედ უფლის რწმენაში მოსული ყველა იუდეველის სახელით; მათ შორის შესაძლოა, ზოგიერთი ყოფილიყო ფარისეველთა სექტისა და სინედრიონის წევრი, თუმცა თავიანთ მასობრიობაში ეს ადამიანები იყვნენ მტრულად განწყობილნი

უფლის მიმართ. მთელი შემდგომი საუბარი აღსანიშნავია იმით, რომ ის მიმართულია საღვთო სასუფევლისა და ამ სასუფეველში ადამიანის შესვლის პირობებთან დაკავშირებით ფარისეველთა ცრუ ფანატიკური შეხედულების მსხვრევაზე. ეს საუბარი სამ ნაწილად არის დაყოფილი: 1) სულიერი აღორძინება, როგორც აუცილებელი პირობა საღვთო სასუფეველში შესასვლელად; 2) კაცობრიობის გამოხსნა ძე ღვთისას ჯვარზე ვნებით, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ადამიანებისათვის საღვთო სასუფევლში დამკვიდრება; 3) სამსჯავროს არსი იმ ადამიანებზე, ვინც არ იწამეს ძე ღვთისა.

იმ დროში ფარისევლის ტიპაჟი გამოხატავდა ყველაზე ვიწრო და ფანატიკურ ნაციონალურ პარტიკულარიზმს. ფარისეველი მიიჩნევდა, რომ ის მხოლოდ იმიტომ, რომ იუდეველია, და მით უმეტეს ფარისეველი, აუცილებლად არის ღირსეული წევრი მესიის დიდებული სასუფევლისა. თვით მესია, ფარისეველთა შეხედულებით, მათი მსგავსი იუდეველი იქნებოდა, რომელიც გაათავისუფლებდა იუდეველებს უცხოტომელთა უღლისგან და დააფუძნებდა მსოფლიო სამეფოს, რომელშიც იუდეველებს გაბატონებული მდგომარეობა ექნებოდათ. ნიკოდიმოსი, რომელიც ერთი შეხედვით, თითქოსდა, იზიარებდა ფარისეველთა ამ საერთო შეხედულებას, თუმცა, სავსებით შესაძლოა, გულის სიღრმეში გრძნობდა კიდეც მის სიყალბეს, მივიდა აზრამდე: ხომ არ არის სინამდვილეში იესო, რომლის შესანიშნავ პიროვნებაზე ესოდენ ბევრი ხმა გავრცელდა, მოსალოდნელი მესია? და გადაწყვიტა, თავად მისულიყო მასთან და დარწმუნებულიყო ამაში. უფალი მასთან საუბარს სწორედ იმით იწყებს, რომ ამსხვრევს ფარისეველთა ცრუ შეხედულებას. ***ამენ, ამენ გეტყვ შენ:*** – ეუბნება უფალი

ნიკოდიმოსს – ***უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ, ვერ ჴელ-ეწიფების ხილვად სასუფეველი ცათაჲ.*** რაც ნიშნავს, რომ არ არის საკმარისი, დაბადებით იყო იუდეველი: საჭიროა, სრული ზნეობრივი აღორძინება, ახალ ქმინილებად ჩამოყალიბება (სწორედ ეს არის ქრისტიანობის არსი). რადგანაც ფარისევლების წარმოდგენით მესიის სამეფო უნდა ყოფილიყო გრძნობიერი, მიწიერი, ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ნიკოდიმოსსაც უფლის ეს სიტყვები გრძნობიერი აზრით გაეგო, კერძოდ, მესიის სასუფეველში შესასვლელად აუცილებელი იყო ხელმეორედ ხორციელი დაბადება, და გამოთქვა კიდეც მან თავისი გაოცება, სადაც ხაზს უსვამდა ამ მოთხოვნილების უაზრობას: ***ვითარ ჴელ-ეწიფების კაცსა ბერსა შობად? ნუუკუე შესაძლებელ არს მუცელსა დედისა თჳსისასა შესლვად მეორედ და შობად?*** მაშინ იესუ უხსნის მას, რომ ლაპარაკია არა ხორციელ დაბადებაზე, არამედ განსაკუთრებულ სულიერ შობაზე, რომელიც ხორციელი შობისგან განსხვავდება როგორც მიზეზებით, ისე ნაყოფებით. ეს არის შობა წყლითა და სულიწმიდით. წყალი აქ წარმოადგენს საშუალებას ანუ იარაღს, სულიწმიდა კი – ძალას, რომელიც ახალ დაბადებას ახდენს და მიზეზია ახალი ყოფიერებისა: ***უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ჴელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.*** ეს ახალი შობა განსხვავდება ხორციელისგან თავისი ნაყოფებითაც. ***შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს,*** – როდესაც ადამიანი ხორციელი მშობლებისგან იბადება, მათგან მემკვიდრეობით გადმოეცემა სხეულში ჩაბუდებული ადამის პირველშობილი ცოდვა, თვითონაც ხორციელად აზროვნებს და ხორციელ ვნებებსა და გულისთქმებს იკმაყოფილებს. ხორ-

ციელი შობის სწორედ ამ ნაკლოვანებებს ასწორებს სულიერი შობა: ***შობილი იგი სულისაგან სული არს.*** ვინც მიხვდა სულიერი აღორძინება, ის თვითონ შედის ხორციელსა და გრძნობიერზე აღმატებულ სულიერ ცხოვრებაში. დაინახა რა, რომ ნიკოდიმოსს ყოველივე ეს არ ესმის, უფალმა დაიწყო იმის ახსნა, თუ რაში მდგომარეობს ეს სულიწმიდისგან შობა; შობის ამ მეთოდს ადარებს ქარს. ***სულსა*** (ამ შემთხვევაში უფალი „სულს" უწოდებს ქარს) ***ვიდრეცა უნებნ, ქრინ, და ჴმაჲ მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინაჲ მოვალს და ვიდრე ვალს. ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან.*** სხვა სიტყვებით, ადამიანის სულიერ აღორძინებაში შესამჩნევია მხოლოდ ის ცვლილება, რომელიც თვით ადამიანში ხდება, ხოლო ამაღორძინებელი ძალა, გზა, რომლითაც ის მოდის, მეთოდი, რომლითაც ის მოქმედებს, – ყოველივე ეს ადამიანისათვის დაფარული და შეუმჩნეველია. ის იმის მსგავსია, როგორც ადამიანი გრძნობს თავის თავზე ქარის მოქმედებას, ესმის „მისი ხმა", ანუ ხმაური, მაგრამ საიდან მოდის და საით მიემართება, ესოდენ თავისუფალი თავის ქროლვაში და ესოდენ დამოუკიდებელი ჩვენი ნებისგან, – ჩვენ ვერ ვხედავთ და არ ვიცით. ზუსტად ასევეა ჩვენი ამაღორძინებელი საღვთო სულის მოქმედებაც, აშკარაა და შეგრძნებადი, მაგრამ – დაფარული და აუხსნელი. ნიკოდიმოსი მაინც ვერ იგებს, თანაც, მისი შეკითხვა: ***ვითარ შესაძლებელ არს ყოფად ესე?*** – გამოხატავს უნდობლობას იესოს სიტყვებისადმი, და მის ფარისევლურ ამპარტავნებას – ყველაფრის ცოდნისა და ახსნის პრეტენზიით. სწორედ ამ ფარისევლურ ამაოდ ბრძნობას თრგუნავს უფალი თავისი სიტყვის მთელი ძალით, ისე, რომ ნიკოდიმოსი ამის შემდეგ უკვე შეპასუხებას ველარ ბედავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავის ზნეობრივ თვითდამცირებაში ნელ-ნელა იმზადებს გულში იმ ნიადაგს, რომელზედაც შემდგომში უფალი თესავს მაცხონებელი სწავლების თესლს: ***შენ ხარ მოძღუარი ისრაელისაჲ და ესე არა იცია?*** ამ სიტყვებით უფალი ამხელს არა იმდენად თვით ნიკოდიმოსს, რამდენადაც მთლიანად ფარისევლურ ქედმაღლურ მოძღვრობას, რომელმაც ხელთ იგდო რა საღვთო სასუფევლის საიდუმლოს შეცნობის გასაღები, არც თვითონ შედიოდა შიგნით, და არც სხვებს უშვებდა. როგორ შეიძლება ფარისევლებს არ სცოდნოდათ სწავლება სულიერი აღორძინების აუცილებლობის შესახებ, როდესაც ძველ აღთქმაშიც ხშირად გვხვდება აზრი ადამიანის განახლების აუცილებლობაზე, ღმერთისგან მისთვის ხორციელი გულის ბოძებაზე ქვის გულის ნაცვლად (ეზეკ. 36, 26). თვით მეფე დავითიც ითხოვდა ლოცვაში: ***გული წმიდაჲ დაჰბადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა*** (ფსალ. 50, 12).

გადადის რა ამის შემდეგ თავის და თავისი სასუფევლის უმაღლეს საიდუმლოთა გაცხადებაზე, უფალი, ერთგვარი შესავალი სიტყვით ეუბნება ნიკოდიმოსს, რომ ფარისეველთა სწავლების საპირისპიროდ, ის თვითონ და მისი მოწაფეები იუწყებიან ახალ სწავლებას, რომელიც დაფუძნებულია ჭეშმარიტების უშუალო ცოდნასა და ჭვრეტაზე: ***რომელი ვიცით, ვიტყჳთ, და რომელი ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა ჩუენსა არა შეიწყნარებთ,*** ანუ თქვენ – ფარისევლები, ისრაელის ცრუ მოძღვრები.

შემდეგ, სიტყვებში: ***უკუეთუ ქუეყანისაჲ გითხარ თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე ზეცისაჲ გითხრა თქუენ, და გრწმენეს?*** უფალი „ქვეყანისაში“ გულისხმობს სწავლებას

აღორძინების აუცილებლობის შესახებ, რადგან აღორძინებას მოთხოვნილება და მისი შედეგები ადამიანში შეიცნობა მისი შინაგანი გამოცდილებით, ხოლო „ზეცისაში“ – ღმრთეებრიობის ამაღლებული საიდუმლოებებით, რომელნიც აღემატება ადამიანის ყოველგვარ დაკვირვებასა და შემეცნებას, ესენია: სამება ღმერთის წინარე საუკუნეთა ბჭობა, ძე ღვთისას მიერ კაცობრიობის გამოსახსნელად თავის თავზე ტვირთული ღვაწლი და ამ ღვაწლში საღვთო სიყვარულის საღვთო მართლმსაჯულებასთან შერწყმა. რაც ხდება ადამიანში და ადამიანთან მიმართებით, ამის შესახებ ნაწილობრივ შეიძლება იცოდეს თავად ადამიანმა. მაგრამ ვის შეუძლია აღვიდეს ზეცად და შეაღწიოს საღვთო ცხოვრების საიდუმლო სფეროში? არავის, ძე ღვთისას გარდა, რომელსაც, თუმც დედამიწაზე გარდამოხდა, ზეცა მაინც არ დაუტოვებია: ***არავინ აღჯდა ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამოჯდა ზეცით – ძე კაცისაჲ, რომელი არს ზეცათა შინა.*** ამ სიტყვებით უფალი ნიკოდიმოსს უცხადებს თავისი განკაცების საიდუმლოს, არწმუნებს, რომ თვითონ გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ღვთის წარგზავნილი, მსგავსი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისა, როგორათაც მას მიიჩნევს ნიკოდიმოსი; უფალი უცხადებს, რომ მისი გამოჩენა დედამიწაზე ძე კაცის სახით – ეს არის უმაღლესი მდგომარეობიდან უმდაბლეს, დამცირებულ მდომარეობაში გარდამოსვლა, რადგან მისი მარადიული, საყოველდროო ყოფიერება არა მიწაზე, არამედ ზეცაშია.

ამის შემდეგ უფალი ნიკოდიმოსს უცხადებს თავისი გამომსყიდველობითი ღვაწლის საიდუმლოს. ***და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლებაჲ ძისა კაცისაჲ.*** რატომ უნდა ამაღლებულიყო ჯვარზე ძე კა-

ცისა ადამიანთა გამოსახსნელად? ეს არის სწორედ ის „ზეცი-ური“, რომლის წვდომაც შეუძლებელია მიწიერი აზრით. – უფალი მიუთითებს უფლის მიერ უდაბნოში ამაღლებელ სპილენძის გველზე, როგორც თავის ჯვრისეულ ღვაწლზე. მოსემ ისრაელიანების წინაშე აღმართა სპილენძის გველი, რათა მათ, გველებით დაწყლულებს, კურნება მიეღოთ გველზე შეხედვით. ასევე, მთელი კაცობრიობაც, სხეულში დაბინავებული ცოდვის წყლულით დაავადებული, იღებს კურნებას, როცა ის რწმენით უყურებს ქრისტეს – მოვლინებულს ***მსგავსად ჯორცთა მათ ცოდვისათა*** (რომ. 8, 3). ძე ღვთისას ჯვრისეული ღვაწლის საფუძველში დევს ღმერთის სიყვარული ადამიანების მიმართ: ***რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდშობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ.*** მარადიული ცხოვრება ადამიანში ეწყობა სულიწმიდის მადლით, ხოლო „მადლის საყდართან“ (ებრ. 4, 16) მიახლების საშუალება ადამიანებს მიეცათ იესო ქრისტეს გამომსყიდველობითი სიკვდილით.

ფარისევლებს ეგონათ, რომ ქრისტეს საქმე იქნებოდა ურჯულო ტომების განსჯა სასამართლოში. უფალი კი განმარტავს, რომ ის ამჯერად წარმოგზავნილია არა განსასჯელად, არამედ ქვეყნის სახსნელად; ხოლო ურწმუნონი თავადვე დასჯიან საკუთარ თავს, რადგან ამ ურწმუნოებაში ვლინდება, რომ მათ ბნელი შეიყვარეს და ნათელი მოიძულეს. სიმართლის მოქმედი კი, პატიოსანი სული, ზნეობრივი, თავადვე მიდის ნათელთან, ***რაჲთა ცხად იყვნენ საქმენი მისნი.***

ქრისტიანული ბიბლიოთეკა

3. წმინდა იოანე ნათლისმცემლის უკანასკნელი მოწმობა იესო ქრისტეს შესახებ

(იოანე 3, 22-36)

ნიკოდიმოსთან საუბრის შემდეგ, რომელიც პასექის დღეებში იერუსალიმში შედგა, უფალმა დატოვა ქალაქი, მოვიდა ***ქუ-ეყანად ჰურიასტანისა და მუნ იყოფოდა მათ თანა და ნათელ-სცემდა.*** აქ ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მოწმობა წმინდა იოანე ნათლისმცემლისა იმის შესახებ, რომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უფალი იმყოფებოდა პალესტინის ყველაზე სამხრეთ ნაწილში – ოლქში, რომელსაც ეწოდებოდა იუდეა; ამ ფაქტის შესახებ არაფერს ამბობს პირველი სამი მახარებელი. თუ რამდენად ხანგრძლივი იყო უფლის ყოფნა იუდეაში, შეგვიძლია დავასკვნათ იოანე მახარებლის მიერ მოყვანილი იმ სიტყვიდან, რომლითაც იუდეაში გზად მიმავალი უფალი თავის მოწაფეებს მიმართავს სამარიაში გაჩერებისას: ***არა თქუენ იტყჳთა, ვითარმედ: „ოთხღა თუე არიან, და მოვალს მკაჲ?“*** (იოანე 4, 35). აქედან უნდა დავასკვნათ, რომ უფალი გალილეაში დაბრუნდა მოსავლის აღებამდე 4 თვით ადრე, ხოლო, რადგანაც მოსავლის აღება პალესტინაში აპრილის თვეში ხდება, ამიტომ, ცხადია, უფალმა პალესტინა დატოვა არა უადრეს ნოემბრისა და, შესაბამისად, იუდეაში დაჰყო არა ნაკლებ რვა თვისა, – აპრილიდან ნოემბრამდე. პირველი სამი მახარებელი არაფერს ამბობს უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივი ცხოვრების პერიოდზე. მოგვითხრეს რა ნათლისღებისა და უდაბნოში გამოცდის შესახებ, ისინი პირდაპირ გადადიან გალილეაში მისი მოღვაწეობის აღწერაზე. წმინდა მათეს უფალმა რამდენადმე გვიან მოუხმო და არ იყო ის იუდეაში იმ დროის მოვლენების უშუალო

მონაწილე და მხილველი; როგორც ჩანს, იუდეაში უფალთან არც წმინდა პეტრე ყოფილა, რომლის სიტყვებითაც დაწერა სახარება წმინდა მარკოზმა; სავარაუდოთ, არც წმინდა ლუკას გააჩნდა თვითმხილველთაგან საკმარისი მოწმობები უფლის მსახურების ამ პერიოდის შესახებ. წმინდა იოანე ამიტომაც თვლიდა საჭიროდ, შეევსო სახარება გამოტოვებული მოვლენებით, რომელთა თვითმხილველი, ამასთან, თავადაც იყო. არ არის იმის მითითება, რომ უფალს იუდეაში ეცხოვროს ერთ განსაზღვრულ ადგილზე: უნდა ვივარაუდოთ, რომ მან თავისი ქადაგებით მთელი ეს წმინდა მიწა მოიარა.

ნათელ-სცემდა (4, 2), მახარებელი შემდეგ ამბობს, რომ იესო თვითონ კი არ ნათლავდა, არამედ მისი მოწაფენი. ეს ნათლობა არაფრით განსხვავდებოდა იოანე წინამორბედის ნათლობისგან: ეს იყო წყლით ნათლობა, და არა მადლით, რადგან მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული სულიწმიდა: ***რამეთუ არღა მოცემულ იყო*** (მათზე) ***სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა იყო დიდებულ*** (იოანე 7, 39). მადლმოსილი ქრისტიანული ნათლობით ნათლისცემის მოწოდება, – სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, – მათ უფლისგან მიიღეს მხოლოდ მისი მკვდრეთით აღდგომის შემდეგ (მათე 28, 19).

ამ დროს წმინდა იოანე ნათლისმცემელი ჯერ კიდევ განაგრძობდა ადამიანთა მონათვლას ენონში, სალიმის მახლობლად, იმ ადგილებში, რომლის განსაზღვრაც ახლა ძნელია, მაგრამ, როგორც ჩანს, იორდანეს ის არ ებჯინებოდა, რადგან მაშინ აღარ იქნებოდა საჭირო განმარტების სახით თქმა: ***რამეთუ წყალნი ფრიად იყვნეს მუნ.*** წმინდა იოანეს მოწაფეებმა მალე შენიშნეს, რომ მათ მოძღვართან სულ უფრო

ნაკლები ხალხი მიდიოდა, და მასთან ბრმა და უგუნურმა მიჯაჭვულობამ, მათში წუხილი და შური გამოიწვია იესოს მიმართ, რადგან მას მიიჩნევდნენ ამაში დამნაშავედ იმის გამო, რომ ხალხში იგი მათ მოძღვარზე გაცილებით მეტი წარმატებით სარგებლობდა. უეჭველია, რომ ამ არაჯანსაღ გრძნობებს შეგნებულად აღვივებდნენ მათში ფარისევლები, რომლებიც იწვევდნენ კამათს განწმენდის შესახებ, რამაც გამოიწვია დავა იმ ნათლობათა ღირსებების ერთმანეთთან შედარებით, რომლებსაც აწარმოებდნენ ერთი მხრივ, იოანე ნათლისმცემელი და, მეორე მხრივ, იესოს მოწაფენი. იოანე ნათლისმცემლის გაგულისებული მოწაფენი მიდიან თავიანთ მოძღვართან და ეუბნებიან: ***რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიაღ იორდანესა, რომლისათჳს შენ სწამე, აჰა იგი ნათელ-სცემს*** (შენთან ერთად კი არა, ცალკე, შენგან დამოუკიდებლად), ***და ყოველნი მივლენან მისა.*** აქ „ყოველნი" ნათქვამია გარდამეტებით, შურით და მოძღვარშიც შურის გაღვივების სურვილით.

იოანე ნათლისმცემელი, რა თქმა უნდა, შორს არის ქრისტესადმი ყოველგვარი შურისგან, და თავის პასუხში იგი პირდაპირ იწყებს ქრისტეს დიდების გაცხადებას თავის თავთან შედარებით და იძლევა ახალ, ამჯერად უკანასკნელ საზეიმო მოწმობას ქრისტეს საღვთო ღირსების შესახებ. იცავს რა ქრისტეს უფლებას, აღასრულოს ნათლისცემა, იოანე ამბობს, რომ ღმერთის წარმოგზავნილთაგან ვერავინ შეძლებს თავის თავზე აიღოს ისეთი რამ, რაც მას ზეციდან არ მისცემია; ამიტომ, თუკი იესო ნათლავს, ესე იგი მას აქვს ამაზე ხელმწიფება ღმერთისგან. იოანე შეახსენებს, რომ ის თავიდანვე ამბობდა, რომ თვითონ არ იყო ქრისტე, არამედ მხოლოდ

მისი წინამორბედი. წუხილისა და შურის ნაცვლად, იოანე გამოხატავს თავის სიხარულს ქრისტეს საქმეებთან დაკავშირებით, და უწოდებს მას „სიძეს“, თავის თავს კი – „სიძის მეგობარს“, რომელსაც არ შურს სიძის უპირატესობა, არამედ დგას მის წინაშე, როგორც მსახური, ***სიხარულით უხარის*** მისი ხმის გაგონება. ღმერთის კავშირი მორწმუნეებთან ძველ აღთქმაში ისევე, როგორც ქრისტეს კავშირი ეკლესიასთან ახალ აღთქმაში, წმინდა წერილში ხშირად არის წარმოდგენილი ქორწინების სახით (ესაია 56, 5, 6; 62, 5; ეფეს. 5, 23-27). ქრისტე არის ეკლესიის სიძე, იოანე – მისი მეგობარი, რწმუნებული პირი, რომელსაც ახარებს სიძის წარმატებები. ებრაელებთან სიძის მეგობრის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო ქორწინების წინა პერიოდში, ხოლო როგორც კი ქორწინება შედგებოდა და სასიძო ქმრის უფლებებში შედიოდა, მისი მეგობრის როლი მთავრდებოდა. ასევე იყო იოანეს შემთხვევაშიც: ის იყო მთავარი მოქმედი პირი ქრისტეს მისაღებად ხალხის მომზადების საქმეში, ხოლო, როგორც კი ქრისტემ დაიწყო თავისი საზოგადოებრივი მსახურება, იოანეს როლი დასრულდა. ამიტომაც ამბობს იგი: ***მისა ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად;*** როგორც ცისკრის ვარსკვლავის ნათელი ნელ-ნელა ქრება მზის ამოსვლის პარალელურად.

აღიარებს რა ქრისტეს უპირატესობას, წმინდა იოანე ამბობს, რომ ქრისტე არის ***ზეგარდამომავალი*** და ამიტომ ***იგი ყოველთა ზედა არს,*** – აღემატება ყველა სხვა ადამიანს და თვით ღმერთის წარმოგზავნილებსაც და რომ ის, იოანე, ***რომელი არს ქუეყანით, ქუეყანისაგანი არს და ქუეყანისასა იტყჳს, ხოლო ზეცით მომავალი ყოველთა ზედა არს. და რომელი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხილა და ესმა, ამას წამებს, და წამებასა მისსა არავინ მიიღებს ღვთის მადლის გარეშე (იხ. მათე 16, 17; იოანე 6, 44).

იოანე წუხს, რომ თავის მოწაფეებს არაჯანსაღი გრძნობა აღმოაჩნდათ, და აქებს იმათ, ვინც იღებენ ქრისტეს მოწმობას, რამეთუ ქრისტე ***სიტყუათა ღმრთისათა იტყჳს:*** ვინც ჭეშმარიტებად მიიჩნევს მის სიტყვებს, ის ჭეშმარიტებად მიიჩნევს მამა ღმერთის სიტყვებსაც. მამა ღმერთმა უხვად უბოძა თავის ძეს, იესო ქრისტეს, სულიწმიდის ნიჭები, – ***არა ზომით,*** რადგან ***მამასა უყუარს ძე და ყოველივე მოსცა ჴელთა მისთა.*** ამიტომ ვისაც სწამს მისი ძის, უფალ იესო ქრისტესი, მას ***აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, ხოლო რომელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დადგრომილ არს მის ზედა.***

ამთავრებდა რა თავის მსახურებას, იოანემ უკანასკნელად დაამოწმა ქრისტეს ღმრთეებრიობა, და მოუწოდა ყველას, შედგომოდნენ ქრისტეს. მისი ეს სიტყვები უნდა განვიხილოთ როგორც უდიდესი წინასწარმეტყველის ანდერძი.

4. წმინდა იოანეს საპყრობილეში მოთავსება

(მათე 14, 3-5; მარკოზი 6, 17-20; ლუკა 3, 19, 20)

მალე, ამის შემდეგ, იოანე შეიპყრეს და საპყრობილეში ჩასვეს იმის გამო, რომ ამხილებდა მეფე ჰეროდე ანტიპას უკანონო ცხოვრებას ჰეროდიასთან, – თავისი ძმის ყოფილ ცოლთან. ამის შესახებ მხოლოდ პირველი სამი მახარებელი გვაუწყებს. ჰეროდე ანტიპა, ძე ჰეროდე დიდისა, რომელმაც ბეთლემში ჩვილები მოწყვიტა, მართავდა გალილეასა და პერეას. იგი დაქორწინებული იყო არაბეთის მეფის არეტას ქალიშვილზე, მაგრამ დაამყარა სასიყვარულო კავშირი ჰერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიასთან და ეს უკანასკნელი ფარულად გადმოვიდა სასახლეში
საცხოვრებლად, ჰეროდეს კანონიერი ცოლი კი გახდევნა
იქიდან. ამით შურაცხყოფილმა არეტამ ჰეროდეს წინააღმდეგ
ომი წამოიწყო. ჰეროდე იძულებული გახდა თავად წასულიყო
მკვდარი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე მახერის ციხე-სი-
მაგრეში და სათავეში ჩაჩდგომოდა თავის ჯარს. იქ მან
შეიტყო იოანეს, როგორც წინასწარმეტყველის შესახებ, რომ-
ელსაც ბევრი მიმდევარი ჰყავდა. ჰეროდემ მას თავისთან
უხმო, რამეთუ ვარაუდობდა მისი სახით მხარდამჭერი ჰყო-
ლოდა. მაგრამ ამის ნაცვლად მან მისგან თავისი მხილება
გაიგონა: ***არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა გესუა იგი ცოლად,***
— შენი ძმის, ფილიპეს ცოლი. ამ სიტყვებმა ძალიან განარისხა
ჰეროდია, და მან მთელი თავისი გავლენა გამოიყენა იმისათვის,
რომ ჰეროდეს იოანე მოეკლა. მაგრამ ხალხისგან დაშინებულმა
ჰეროდემ მისი მოკვლა ვერ გაბედა, თუმცა შეიპყრო და
მახერის ციხესიმაგრეში მოათავსა. მარკოზ მახარებელის
მოწმობით, ჰეროდე მას პატივსაც კი სცემდა, როგორც მართალ
და წმინდა კაცს, და ზოგჯერ მის შეგონებებსაც ითვალი-
სწინებდა. როგორც ჩანს, სუსტი ნებისყოფის ადამიანთა მსგ-
ავსად, ის ხშირად მიდიოდა თავის სინდისთან გარიგებაზე;
იმედოვნებდა, რომ იოანეს რჩევით აღსრულებული ზოგიერთი
კეთილი საქმით, აღხოცავდა თავის მთავარ ცოდვას, რომლის
წინააღმდეგაც განსაკუთრებით ილაშქრებდა იოანე. იგი იოა-
ნე ნათლისმცემელს სიამოვნებით უსმენდა, მაგრამ ცოდვას
მაინც არ უტევებდა და საბოლოოდ, ბოროტი ჰეროდეს
მოთნეობით, იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ასე დამთავრდა
იოანეს, ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა შორის უკანა-
სკნელის, მსახურება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. უფლის წასვლა გალილეაში და მისი საუბარი სამარიელ დედაკაცთან

(მათე 14, 12; მარკოზი 1, 14; ლუკა 4, 14;
იოანე 4, 1-42)

ოთხივე მახარებელი საუბრობს გალილეაში უფლის წასვლის შესახებ. წმინდანები მათე და მარკოზი აღნიშნავენ, რომ ეს მას შემდეგ მოხდა, რაც იოანე საპყრობილეში ჩასვეს, წმინდა იოანე კი ამატებს, რომ ამის მიზეზი იყო გავრცელებული ხმა იმის თაობაზე, რომ იესოს უფრო მეტი მოწაფე ჰყავდა და უფრო მეტს ნათლავდა, ვიდრე იოანე ნათლისმცემელი, თუმცა, მახარებელი იქვე დასძენს, რომ ნათლავდა არა თვითონ, არამედ მისი მოწაფენი. იოანეს დაპატიმრების შემდეგ ფარისეველთა მთელმა მტრობამ და ღვარძლმა იესოზე გადაინაცვლა, რომელიც მათ თვით იოანეზე უფრო სახიფათოდ მოეჩვენათ. რადგანაც ჯერ არ იყო მოწევნილი ჟამი მისი ვნებისა, ამიტომ უფალი თავს არიდებს შურიანი მტრების მხრიდან დევნას, ტოვებს იუდეას და გადადის გალილეაში. ამბავს, რომელიც ეხება გზაში უფლის საუბარს .სამარიელ დედაკაცთან, მხოლოდ ერთი მახარებელი – იოანე მოგვითხრობს.

უფლის გზა სამარიაზე გადიოდა; ეს იყო ოლქი, რომელიც იუდეადან ჩრდილოეთით მდებარეობდა და ადრე ეკუთვნოდა ისრაელის სამ – დანის, ეფრემისა და მანასიას – ტომს. ამ ოლქში მდებარეობდა ქალაქი სამარია, ისრაელის სამეფოს ყოფილი დედაქალაქი. ასურეთის მეფე სალმანასარმა ეს სამეფო დაიპყრო, ისრაელიანთა დიდი ნაწილი ტყვედ წაასხა, მათ ადგილზე კი ბაბილონიდან და სხვა ადგილებიდან წარმართები დაასახლა. ჩამოსახლებული ტომების ადგილობრივებთან აღ-

რევით წარმოიშვნენ სამარიელები. მათ მიიღეს მოსეს ხუთწიგნეული, თაყვანს სცემდნენ იეღოვას, მაგრამ არც თავიანთი ღმერთების მსახურება მიუტოვებიათ. როდესაც იუდეველები ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნდნენ და იერუსალიმის ტაძრის აღდგენა დაიწყეს, სამარიელებმა მოისურვეს ამ საქმეში მონაწილეობის მიღება, მაგრამ იუდეველებმა არ დაუშვეს, ამიტომ სამარიელებმა თავისთვის ცალკე ტაძარი ააგეს გარიზინის მთაზე; მართალია, მათ მიიღეს მოსეს ხუთწიგნეული, მაგრამ უარყვეს წინასწარმეტყველთა წიგნები და ძველი აღთქმის ყველა საეკლესიო გადმოცემა. ამის გამო იუდეველები მათ მიიჩნევდნენ წარმართებზე უარესებად და ყოველმხრივ გაურბოდნენ მათთან რაიმე სახის ურთიერთობას; თაკილობდნენ და სძაგდათ ისინი.

სამარიაზე გავლისას, უფალი თავის მოწაფეებთან ერთად დასასვენებლად ერთ ჭასთან გაჩერდა, რომელიც გადმოცემის თანახმად, მამამთავარ იაკობის მიერ იყო ამოთხრილი; ეს იყო ქალაქ სიქემასთან ახლოს, რომელსაც იოანე მახარებელი სუქარს უწოდებს. ქალაქის ეს დაცინვითი სახელწოდება შეიძლება მომდინარეობდეს სიტყვა „შიქარიდან“ – „ათრობდა ღვინით“, ან „შექერიდან“ – „სიცრუე“. მახარებელი აღნიშნავს, რომ იყო მეექვსე ჟამი, – ჩვენი დროით შუადღე, დღის ყველაზე ცხელი დრო, რაც დასვენების აუცილებლობას იწვევდა.

ამ დროს ***მოვიდა დედაკაცი სამარიადთ ვსებად წყლისა***. უფლის მოწაფენი ქალაქში იყვნენ წასულები საჭმლის მოსატანად. მოწყურებულმა იესომ დედაკაცს მიმართა: ***მასუ მე წყალი.*** სამარიელმა დედაკაცმა ლაპარაკის კილოთი ან სამოსელით მასში იუდეველი შეიცნო, ამიტომ გაკვირვება გამოთქვა:

ვითარ, შენ ჰურიაჲ ხარ და ჩემგან წყალსა ითხოვ, სამარიტელისა დედაკაცისაგან? – მხედველობაში ჰქონდა ის სიძულვილი, რომლითაც იუდეველები სამარიელთა მიმართ იყვნენ განმსჭვალულნი. მაგრამ იესო, რომელიც ქვეყნად მოვიდა არა მხოლოდ იუდეველთა, არამედ ყველას სახსნელად, სამარიელ დედაკაცს უხსნის, რომ ის ამ შეკითხვას არ დაუსვამდა, რომ ცოდნოდა, თუ ვინ ელაპარაკებოდა მას და როგორი ბედნიერება უბოძა მას ღმერთმა ამ შეხვედრით. მას რომ სცოდნოდა, ვინ ეუბნებოდა ***მასუ მე წყალი,*** მაშინ თვითონვე სთხოვდა მას დაერწყულებინა იგი სულიერად, გაეცხადებინა მისთვის ჭეშმარიტება, რომლის შეცნობასაც ყველა ადამიანი ესწრაფვის, და მიიღებდა მისგან ცხოველ წყალს, რომელშიც უნდა მოვიაზროთ სულიწმიდის მადლი (იხ. იოანე 7, 38, 39). დედაკაცი ვერ მიუხვდა უფალს: ცხოველ წყალში მან გაიგო წყაროს წყალი, რომელიც ჭის ფსკერზე ამოჩქეფდა. ამიტომაც შეეკითხა იესოს, საიდან შეიძლება მას ჰქონოდა *ცხოველი წყალი*, თუკი მას წყლის ამოსაღებად სათლიც კი არ გააჩნდა. ***ნუუკუე შენ უფროჲს ხარა მამისა ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მომცა ჩუენ? და იგი თავადი ამისგან სუმიდა, და ძენი მისნი და საცხოვარი მისი,*** – სიამაყითა და სიყვარულით იხსენებს ის მამამთავარ იაკობს, რომელმაც ეს ჭა თავის შთამომავლებს დაუტოვა. მაშინ უფალს აჰყავს ის თავისი სიტყვის უმაღლეს გააზრებამდე: ***ყოველი რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, სწყურიდის კუალადცა, ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყურიდის უკუნისამდე, არამედ წყალი, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხორებად სა-***

უკუნოდ. სულიერ ცხოვრებაში მადლმოსილ წყალს სხვა მოქმედება აქვს, ვიდრე გრძნობიერ წყალს ადამიანის ხორციელ ცხოვრებაში. ვინც დარწყულებულია სულიწმიდის მადლით, ის უკვე აღარასდროს იგრძნობს სულიერ წყურვილს, რამეთუ ყველა მისი სულიერი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება, მაშინ, როდესაც მგრძნობიარე წყლის შემსმელი, ისევე, როგორც დამკმაყოფილებელი ყოველგვარი მიწიერი მოთხოვნილებისა, თავის წყურვილს იკლავს მხოლოდ დროებით და მალევე ***სწყუროდის კუალადცა.*** უფრო მეტიც: მადლმოსილი წყალი რჩება ადამიანში და თვით მასში იქცევა წყაროს წყლად, ***რომელი ვიდოდის ცხორებად საუკუნოდ,*** ანუ ადამიანს ჰყოფს მარადიული ცხოვრების თანაზიარად. სამარიელი დედაკაცი მაინც ვერ აცნობიერებს უფლის სიტყვებს, ფიქრობს, რომ ის ლაპარაკობს ჩვეულებრივ წყალზე, მაგრამ რაღაც ისეთი განსაკუთრებული თვისების მქონეზე, რომელიც სამუდამოდ კლავს წყურვილს, და ითხოვს მისგან ამ წყალს: ***მეც მე წყალი ესე, რაჲთა არა მწყუროდის, არცაღა მოვიდე აქა ვსებად.*** უფალს სურს, გააგებინოს დედაკაცს, რომ ის არ ესაუბრება ჩვეულებრივ ადამიანს; თავიდან იგი მას უბრძანებს, დაუძახოს თავის ქმარს, მერე კი პირდაპირ ამხელს იმაში, რომ ჰყავდა ხუთი ქმარი და ახლა მრუშობრივ კავშირში ცხოვრობს. სამარიელი დედაკაცი მიხვდა, რომ მასთან მოლაპარაკე წინასწარმეტყველი იყო, რომელმაც უწყის დაფარული საქმენი. ამიტომ მიმართავს ისეთი საკითხის გადასაჭრელად, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა სამარიელებს იუდეველებთან ურთიერთდამოკიდებულებაში. საკითხი ეხებოდა, თუ ვინ იყო მართალი ღმერთის თაყვანის-საცემ ადგილთან დაკავშირებულ დავაში –

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარიელები, რომლებიც თავიანთი მამების გადმოცემის მიხედ-
ვით, – რომელთაც, გარიზინის მთაზე ააგეს ტაძარი, – ღმ-
ერთს ამ მთაზე სცემდნენ თაყვანს, თუ იუდეველები, რომ-
ლებიც ამტკიცებდნენ, რომ ღმერთის თაყვანისცემა მხოლოდ
იერუსალიმში შეიძლებოდა. როდესაც გარიზინის მთაზე თაყ-
ვანს სცემდნენ ღმერთს, სამარიელები ამაში ეფუძნებოდნენ
მოსეს მოწოდებას (იხ. მეორე რჯ. 11, 29), რომ ღმერ-
თისთვის დიდება ამ მთაზე აღევლინათ. და თუმც ამ მთაზე
აგებული ტაძარი დანგრეული იქნა იოანე გირკანის მიერ
ქრისტეს შობამდე 130 წელს, ისინი მაინც განაგრძობდნენ იქ
მსხვერპლშეწირვას. იესო პასუხობს, რომ შეცდომაა აზრი,
თითქოს ღმერთის თაყვანისცემა შეიძლება მხოლოდ რომე-
ლიმე კონკრეტულ ადგილზე. იუდეველებსა და სამარიელებს
შორის დავა თავისთავად გადაწყდება, რადგან იუდაური და
სამარიული ღვთისმსახურებები შეწყდება უახლოეს მომავალში.
ეს შესრულდა კიდეც, როდესაც ომებით გასავათებული სამა-
რიელებისათვის გარიზინის მთამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა;
იერუსალიმი კი ქრისტეს შობიდან 70 წელს რომაელებმა
დაანგრიეს და ტაძარი დაწვეს. მიუხედავად ამისა, უფალი
მაინც იუდაურ ღვთისთაყვანისმცემლობას აძლევს უპრატე-
სობას, რადგან მხედველობაში იღებს იმას, რომ სამარიელებმა
მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეული მიიღეს, ხოლო წინასწარმე-
ტყველთა წიგნები უარყვეს, სადაც დაწვრილებით იყო გად-
მოცემული მესიის პიროვნებისა და სასუფევლის შესახებ.
ცხორებაᲐ ჰურიათაგან არს, რადგან კაცობრიობის გამომ-
სყიდველი გამოჩნდება იუდაურ ერში. შემდეგ უფალი ავრ-
ცობს უკვე გამოთქმულ აზრს და აღნიშნავს, რომ დადგება
დრო (და დადგა კიდეც, რადგანაც მესია უკვე გამოჩნდა)

ღვთისთაყვანისმცემლობის უმაღლესი სახისა, რომელიც არ იქნება შემოფარგლული რომელიმე ერთი ადგილით, არამედ იქნება ყოველგან, რადგან აღესრულება სულითა და ჭეშმარიტებით. მხოლოდ ასეთი თაყვანისცემაა ჭეშმარიტი, რამეთუ შეესაბამება თვით ღმერთის ბუნებას, რომელიც არის სული. თაყვანი სცე ღმერთს სულითა და ჭეშმარიტებით, ეს ნიშნავს, ეცადო, სათნო ეყო ღმერთს არა მხოლოდ გარეგნული სახით, – მსხვერპლშეწირვის გზით, როგორც ამას იუდეველები და სამარიელები აკეთებდნენ, რამეთუ მხოლოდ ამაში ხედავდნენ ღვთის პატივისცემას, – არამედ ღმერთისკენ, როგორც სულისკენ ჭეშმარიტი და გულწრფელი სწრაფვის გზით, მთელი შენი სულიერი არსების ძალებით, რათა შეიმეცნო და შეიყვარო ღმერთი, და პირუთვნელად ეცადო ღვთის სათნომყოფელობას მისი მცნებების შესრულებით. ღვთის თაყვანისცემა სულითა და ჭეშმარიტებით, სრულებითაც არ გამორიცხავს ღვთის თაყვანისცემის გარეგნულ, წესჩვეულებით მხარეს, როგორც ცდილობენ ეს დაამტკიცონ ზოგიერთი ცრუმოძღვრები და სექტანტები, არამედ გულისხმობს, რომ ღვთის თაყვანისცემის აღნიშნულ სახეს მიეცეს უპირატესი და უპირველესი მნიშვნელობა. თვით გარეგნულ, რიტუალურ თაყვანისცემაში არაფერია დასაძრახი და მიუღებელი: ის აუცილებელი და გარდაუვალია, რადგან ადამიანი შედგება არა მხოლოდ სულისგან, არამედ სხეულისგანაც. თვით ქრისტე თაყვანს სცემდა მამა ღმერთს სხეულით, მის წინაშე ასრულებდა მუხლდრეკებს, პირქვე ემხობოდა მიწაზე და მსგავს თაყვანისცემებს სხვებსაც არ უშლიდა თავის მიმართ მიწიერი ცხოვრების პერიოდში (იხ. მათე 2, 11; 14, 33; 15, 22; იოანე 11, 21; 12, 3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარიელი დედაკაცი, თითქოსდა, იწყებს იესოს სიტყვებ-ის გაცნობიერებას და დაფიქრებული ამბობს: ***ვიცი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე. ოდეს მოვიდეს იგი, მითხრას ჩუენ ყოველი.*** სამარიელებიც ელოდებოდნენ მესიას, უწოდებდნენ მას *გაშაგებს* და ამ მოლოდინს აფუძნებდნენ ხუთწიგნეულის სიტყვებზე (დაბ, 49, 10; რიცხ. 24-ე თავი) და განსაკუთრებით მოსეს სიტყვებზე (მეორე რჯ. 18, 18). სამარიელთა აზრი მესიის შესახებ არ იყო ისე შერყვნილი, როგორც იუდეველთა: სამარიელები მესიის სახით წინასწარმეტყველს ელოდებოდნენ, იუდეველები – პოლიტიკურ ბელადს. ამიტომ იესო, რომელიც იუდეველებს დიდხანს არ უცხადებდა თავისი მესიანობის ამბავს, ამ გულუბრიყვილო სამარიელ დედაკაცს პირდაპირ ეუბნება, რომ სწორედ ის არის მოსეს მიერ აღთქმული მესია-ქრისტე: ***მე ვარ, რომელი გეტყჳ შენ.*** მესიასთან შეხვედრით გახარებული და აღფრთოვანებული სამარიელი დედაკაცი ტოვებს ჭასთან თავის სარწყულს და სასწრაფოდ მიდის ქალაქში, რათა ყველას აუწყოს მესიის მოსვლა, რომელმაც, როგორც გულთამხილველმა, უთხარ მას *ყოველივე, რაც მან ქმნა.* მაგრამ მის წასვლამდე იესოს მოწაფეები დაბრუნდნენ ქალაქიდან და გაუკვირდათ, როდესაც თავიანთი მოძღვარი დედაკაცთან მოსაუბრე დაინახეს, რადგან იუდეველ რაბინთა წესით მათ ეკრძალებოდათ დედაკაცთან დიდხანს საუბარი. მათი წესის თანახმად, გზაში საუბარი კანონიერ ცოლთანაც კი არ შეიძლებოდა; მათი კანონი ასევე ამბობდა: „სჯობს დაწვა რჯულის წიგნი, ვიდრე ამ წიგნით დედაკაცი განსწავლო“. თუმცა, მოძღვრის წინაშე მოკრძალებულმა მოწაფეებმა არანაირი შეკითხვით არ გამოხატეს თავიანთი გაკვირვება

ქართული ბიბლიოთეკა

და მხოლოდ სთხოვეს მას, ეჭამა ქალაქიდან მათ მიერ მოტანილი საკვები.

ბუნებრივი შიმშილი მასში ჩაახშო სიხარულმა იმის შესახებ, რომ მასთან მივიდა მოსახლეობა სამარიტელთა ქალაქიდან და დაანახა სულის ცხონებისთვის ქრისტეს ზრუნვა. იესო ხარობდა, რომ მის მიერ ჩაგდებული თესლი უკვე იწყებდა ნაყოფის გამოღებას, ამიტომ მოწაფეების შემოთავაზებაზე, მოეკლა შიმშილი, უპასუხა, რომ მისთვის ჭეშმარიტ საკვებს წარმოადგენს ადამიანთა ცხონების საქმის აღსრულება, რაც მას დავალებული აქვს მამა ღმერთისგან. მასთან მისული სამარიელები მისთვის წარმოადგენენ მოსამკელად გამზადებულ სამკალს, მაშინ, როდესაც მინდორში მკა მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ უნდა დაიწყოს. როდესაც მიწაში მარცვალს თესენ, მას ჩვეულებრივ იმკის ის, ვინც თავისთვის დათესა. ხოლო სიტყვის დათესვისას სულიერი სამკალი ხშირად სხვას რჩება, მაგრამ ამასთან მთესველიც ხარობს მომკელთან ერთად, რადგან ის თესავდა სხვებისთვის და არა საკუთარი თავისთვის. ამიტომ ეუბნება ქრისტე თავის მოწაფეებს, რომ აგზავნის მათ სულიერი სამკალის ასაღებად, რომელიც თავდაპირველად დამუშავებული და დათესილი იყო წინასწარმეტყველებისა და თვით მის მიერ. ამ საუბრისას უფალს სამარიელები მიუახლოვდნენ. ბევრმა იგი იწამა დედაკაცის სიტყვით, მაგრამ გაცილებით მეტმა – თვით მისი სიტყვით, როდესაც მან, მათი მიწვევით, ორი დღე დაჰყო მათ ქალაქში. მოისმინეს რა უფლის მოძღვრება, ისინი დარწმუნდნენ, როგორც ეს თავად აღიარეს, რომ ***ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისაჲ, ქრისტე.***

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6. ქრისტე მაცხოვრის მისვლა გალილეაში და ქადაგების დაწყება

(მათე 14, 13-17; მარკოზი 1, 15; ლუკა 4, 14-15; იოანე 4, 43-45)

უფლის გალილეაში მისვლისა და იქ მისი ქადაგების დაწყების შესახებ ოთხივე მახარებელი საუბრობს.

იესომ დატოვა თავისი მშობლიური ქალაქი ნაზარეთი, რადგან თვითონ დაამოწმა, რომ წინასწარმეტყველს პატივი არა აქვს თავის მამულში, და დასახლდა გალილეის ზღვისპირა ქალაქ კაპერნაუმში, რომელიც ზაბულონისა და ნეფთალემის ტომების ტერიტორიაზე მდებარეობდა. წმინდა მათე მახარებელი ამაში ხედავს ძველი წინასწარმეტყველების აღსრულებას (იხ. ესაია 9, 1, 2). გალილეველებმა ის კარგად მიიღეს, რამეთუ ისინიც ესწრებოდნენ იერუსალიმში დღესასწაულს და საკუთარი თვალით იხილეს, რაც იქ იესომ აღასრულა. მის შესახებ ხმა მალე გავრცელდა მთელ იმ მხარეში და იგი ყველგან ასწავლიდა სინაგოგაში; თავის ქადაგებას იწყებდა სიტყვებით: ***შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ.***

აღსანიშნავია, რომ ამავე სიტყვებით დაიწყო თავისი ქადაგება იოანე ნათლისმცემელმაც. ახალი სასუფეველი, ახალი წესები, რომელთა ადამიანებში დასამკვიდრებლადაც უფალი იესო ქრისტე მოვიდა, იმდენად განსხვავდებოდა მათი ძველი ცოდვილი ცხოვრებისგან, რომ ადამიანებს მართლაც აუცილებლად უნდა დაეტევებინათ ყოველივე ძველი და კვლავ დაბადებულიყვნენ სინანულის გზით, ანუ მთლიანი შინაგანი ცვლილებით. სინანული სწორედაც რომ არის აზრების, გრძნობებისა და სურვილების სრული ცვლილება.

მას შემდეგ, რაც უფალი დაბრუნდა იუდეადან გალილეაში, გალილეა გახდა მისი მოღვაწეობის ჩვეული ადგილი. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარე ტერიტორიით პატარა იყო, თუმცა – მჭიდროდ დასახლებული; მოსახლეობას შეადგენდა არა მხოლოდ იუდეველები, არამედ, აგრეთვე, ფინიკიელები, არაბები და ეგვიპტელებიც კი. ამ მხარის ნაყოფიერი მიწები ყოველთვის იზიდავდა უცხოტომელებს, რომლებიც აქ სახლდებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ერთ ხალხს შეადგენდნენ. გაბატონებული სარწმუნოება იქ იუდაური იყო, თუმცა წარმართულიც ბევრი იყო, ამიტომაც უწოდებდნენ მას „წარმართთა გალილეას". ყველაფერი ეს იყო მიზეზი, ერთი მხრივ, გალილეველთა დიდი რელიგიური უმეცრებისა, მეორე მხრივ, მათი თავისუფლებისა იუდეველთა რელიგიური ცდომილებისგან, კერძოდ, მესიის პიროვნებასთან დაკავშირებით. მაცხოვრის მოწაფენი ყველანი გალილეიდან იყვნენ, და მისი სხვა მიმდევრებისთვისაც ადვილი იყო ყველგან გაჰყოლოდნენ მას ამ არცთუ ვრცელ, მაგრამ ნაყოფიერ მიწაზე. ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას ის მიზეზები, რომელთა გამოც უფალმა თავისი მსახურების ადგილად უპირატესად გალილეა აირჩია. მართალაც, ჩვენ ვხედავთ, რომ გალილეველები უფრო აღმქმელნი აღმოჩნდნენ მისი ქადაგებისა, ვიდრე ამპარტავანი იუდეველები.

7. კანაში კარისკაცის ძის განკურნება
(იოანე 4, 46-56)

კაპერნაუმში მიმავალმა უფალმა გზად კანაში გაიარა, სადაც თავისი პირველი სასწაული აღასრულა (წყლის ღვინოდ გარდაქმნა). როდესაც იესოს მოსვლა შეიტყო, კაპერნაუმის ერთ-ერთი მცხოვრები, ჰეროდეს კარისკაცი, სასწრაფოდ მასთან კანაში გაეშურა, რათა მისთვის კაპერნაუმში მისვლა

და სიკვდილის პირას მყოფი თავისი ძის განკურნება ეთხოვა. იესომ მიუგო: ***უკუეთუ არა იხილოთ სასწაულები და ნიშნები, არა გრწმენეს.***

რწმენას, რომელიც სასწაულის ხედვაზეა დაფუძნებული, უფალი იმ რწმენაზე დაბლა აყენებს, რომელიც ეფუძნება მისი საღვთო სწავლების სიწმინდესა და სიმაღლეს. თუკი რწმენა სასწაულისგან არის წარმოშობილი, მაშინ ის სულ ახალ-ახალ სასწაულებს მოითხოვს თავის შესანარჩუნებლად, რადგან ძველს უკვე ეჩვევა და აღარ ანცვიფრებს. გარდა ამისა, თუკი ადამიანი მხოლოდ იმ სწავლებას აღიარებს, რომელსაც თან ახლავს სასწაულები, მაშინ ის ადვილად შეიძლება ცდომილებაში ჩავარდეს, რადგან, შესაძლოა, სიცრუე ჭეშმარიტებად მიიღოს, იმიტომ, რომ სასწაულები მოჩვენებითი და სატანისტურიც შეიძლება იყოს. ამიტომაც გვაფრთხილებს ღვთის სიტყვა, რომ სიფრთხილით მოვეკიდოთ სასწაულებს (იხ. მეორე რჯ. 13, 1-5). უფალი ერთგვარი წუხილით ლაპარაკობს გალილეველთა ამ განურჩევლობაზე. ამ საყვედურს კარისკაცი გაძლიერებული რწმენის გამომხატველი დაბეჯითებით პასუხობს. იესო არ მიდის კაპერნაუმში – დაუსწრებლად კურნავს მის შვილს და მამას ეუბნება: ***ვიდოდე, ცოცხალ არს ძე შენი.*** ზუსტად ამ დროს ციებ-ცხელებამ დატოვა ავადმყოფი; კარისკაცის მსახურები, თავზარდაცემულნი მომაკვდავის მყისიერი განკურნებით, სასწრაფოდ გაეშურნენ თავისი ბატონისკენ ამ სასიხარულო ამბავის საუწყებლად. კარისკაცმა დაუჯერა უფალს, თუმცა ფიქრობდა, რომ განკურნება თანდათანობით მოხდა, ამიტომ შეეკითხა მსახურებს: ***რომელსა ჟამსა უმოლხინეს იქმნა?*** და როდესაც გაიგო, რომ ეს სწორედ ის ჟამი იყო, უფალმა რომ

უთხრა: ***ძე შენი ცოცხალ არს,*** მაშინვე ***ჰრწმენა მას და ყოველთა სახლეულთა მისთა.*** შესაძლოა, ეს იყო ქოზა, რომლის ცოლიც, იოანნა, შემდგომში უფლის მიმდევარი გახდა და ემსახურებოდა მას. ეს იყო გალილეაში უფლის მეორე სასწაული.

8. მეთევზეთა – პეტრე, ანდრიას, იაკობისა და იოანეს მოწოდება სამოციქულო მსახურებისათვის

(მათე 4, 18-22; მარკოზი 1, 16-20; ლუკა 5, 1-11)

პირველ მოციქულთა მოწოდების შესახებ სამი მახარებელი მოგვითხრობს: მათე, მარკოზი და ლუკა; თანაც, პირველი ორი – მოკლედ, მხოლო ფაქტის კონსტატირებას ახდენს, წმინდა ლუკა კი – დაწვრილებით. იგი ამ მოწოდების წინმსწრებ სასწაულებრივ თევზჭერასაც აღწერს. როგორც მახარებელი იოანე მოგვითხრობს, ჯერ კიდევ იორდანეზე გაჰყვნენ უფალს მის მიერ განსაზღვრული პირველი მოწაფეები ანდრია და იოანე. შემდეგ უფალთან მივიდნენ სიმონი, ფილიპე და ნათანაელი; მაგრამ მას შემდეგ, რაც იესოსთან ერთად გალილეაში დაბრუნდნენ, ისინი ნელ-ნელა კვლავ მიუბრუნდნენ თავიანთ ძველ საქმიანობას – თევზის ჭერას. ამჯერად უფალი მოუწოდებს მათ მუდმივ მიმდევრობას და უბრძანებს, მიატოვონ მეთევზეობა და სხვა ღვაწლს მიუძღვნან თავი – კაცთა მონადირებას ცათა სასუფევლისათვის.

მესიის მოსვლის შესახებ ცნობა სწრაფად გავრცელდა გალილეაში და ხალხმა დიდი ჯგუფებით დაიწყო მასთან მისვლა მისი სწავლების მოსასმენად; უამრავი ხალხი აწყდებოდა და ერთხელაც, გენესარეთის ტბის ნაპირზე, რომელსაც, ასევე, ზღვასაც უწოდებდნენ (ალბათ იმიტომ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტალღები იცოდა), მას მოუხდა ნავში შესვლა, რათა რამდენადმე წყალში შეეცურა და იქიდან ექადაგა. როდესაც დაამთავრა, სთხოვა პეტრეს, რომლის ნავშიც ისხდნენ, ღრმად შეეცურა და ბადე მოესროლა. პეტრე გამოცდილი მეთევზე იყო, მას მთელი ღამის განმავლობაში ვერაფერი დაეჭირა და ახლაც დარწმუნებული იყო, რომ ბადეს არაფერი ამოყვებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული, ისეთი დიდი რაოდენობის თევზი დაიჭირეს, რომ ბადე ირღვეოდა. პეტრე და ანდრია იძულებულნი გახდნენ, მეორე ნავში მსხდომი იაკობი და იოანე მოეწვიათ დასახმარებლად. თევზის სიმრავლემ კინაღამ ნავები დაძირა. მოკრძალებული ძრწოლვით აღვსილი პეტრე იესოს მუხლებში ჩაუვარდა და უთხრა: ***განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფალო.*** ამ სიტყვებით მას უნდოდა გამოეხატა თავისი უღირსება სასწაულთმოქმედის სიდიადისა და სიძლიერის წინაშე. უფალი მშვიდად აწყნარებს პეტრეს და უწინასწარმეტყველებს მაღალ დანიშნულებას. წმინდა მახარებლების – მათესა და მარკოზის მოწმობით, უფალმა ორივე ძმას პეტრესა და ანდრიას მოუწოდა: ***მოვედით და შემომიდეგით მე, და გყვნე თქუენ მესათხევლე კაცთა.*** შემდეგ კი ასეთივე მიმდევრობისკენ მოუწოდა სხვა ორ ძმას – იაკობსა და იოანე ზებედეს ძეებს. მეთევზეებმა მიატოვეს თავიანთი საქმიანობა და ოჯახები და გაჰყვნენ იესოს.

9. ქრისტეს ქადაგების ძალა და ეშმაკეულის განკურნება კაპერნაუმის სინაგოგაში

(მარკოზი 1, 21-28; ლუკა 4, 31-37)

გალილეაში უფლის მყოფობის მთავარ ადგილს კაპერნაუმი წარმოადგენდა; ის იმდენად ხშირად იმყოფებოდა იქ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გახდა „მისი ქალაქი“ და სხვა მცხოვრებლებისა მსგავსად ხარკიც კი მოთხოვეს იქ (მათე 17, 24; 9, 10). კაპერნაუმი ორი სამფლობელოს – გალილეასა და იტურეას საზღვარზე მდებარეობდა, გამოირჩეოდა სასარგებლო ჰავით, მატერიალური სიუხვით და ყველა მონაცემები ჰქონდა იმისათვის, რომ უამრავ ხალხს მოეყარა იქ თავი, ვისაც კი სურდა იესოსთვის მოესმინა. კაპერნაუმში უფალი ასწავლიდა სინაგოგებში, შაბათობით. სინაგოგა ეწოდებოდა ებრაელთა სალოცავად შესაკრებელ სახლებს. ღვთისმსახურება და მსხვერპლშეწირვა მხოლოდ იერუსალიმის ტაძარში შეიძლებოდა, მაგრამ ბაბილონის ტყვეობაში ებრაელებმა იგრძნეს უკიდურესი აუცილებლობა სალოცავად შეკრებისათვის, რათა ერთად ეკითხათ რჯულის წიგნები და ერთად ელოცათ. ასეთ ადგილებად იქცა სინაგოგები. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ისინი გახდნენ აუცილებელი კუთვნილება ყველა ებრაული დასახლებისა, როგორც თვით პალესტინაში, ასევე, ებრაელთა ერთობლივი დასახლების სხვა ადგილებშიც. სინაგოგაში იდგა სკივრი, სადაც ინახებოდა რჯულის წიგნები; ასევე კათედრა, საიდანაც კითხულობდნენ რჯულისა და წინასწარმეტყველების წიგნებს; იყო, ასევე, დასაჯდომი ადგილებიც. კითხვა და რჯულის განმარტება ყველას შეეძლო, ვისაც კი ამის უნარი შესწევდა. კითხვის დროს მკითხველი, ჩვეულებრივ, იდგა, განმარტებისას კი ჯდებოდა. გალილეველები მიჩვეულნი იყვნენ, რომ თავიანთი მასწავლებლებისგან – მწიგნობრებისა და ფარისევლებისგან – ისმენდნენ „მკვდარ“ სიტყვას, ახლა კი უკვირდათ, რომ ისმენდნენ უფლის ცხოველ სიტყვას: ისინი ასწავლიდნენ როგორც რჯულის მონები, ეს კი – როგორც ხელმწიფების მქონე. მწიგნობრებსა და ფარისევ-

ლებს თვითონ არ ესმოდათ რჯული, ამახინჯებდნენ მის აზრს და დამაჯერებლად ვერ ლაპარაკობდნენ. იესო კი თავისას გადასცემდა, რაც მამისგან გაეგონა, ამიტომ ხელმწიფებრივად ლაპარაკობდა, დაბეჯითებითა და დამაჯერებლობით, რაც მსმენელებზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. ერთხელაც, როცა უფალი კაპერნაუმის სინაგოგაში ასწავლიდა, იქ უწმინდური სულით შეპყრობილი ადამიანი იმყოფებოდა. ყველასათვის მოულოდნელად მან ხმამაღლა შესძახა: ***ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესუ ნაზარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.*** ჭეშმარიტების ეს უნებლიე აღიარება იყო ძე ღვთისას თანდასწრებით შიშით ამოღაღადებული მონის ხმა, რომელსაც თავის ბატონთან მოულოდნელი შეხვედრა გარდაუვალ სატანჯველს ახსენებს და პირმოთნეობით ცდილობს მის თავიდან აცილებას. მეორე მხრივ, იესო ქრისტეს ამ აღიარებით მტერი, შესაძლოა, უფლის მიმართ ხალხის ნდობის შერყევასაც იმედოვნებდა, და მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტემ აუკრძალა მას თავის შესახებ მოწმობა: ***პირი დაიყავ და განვედ მაგისგან!*** ეშმაკეული სინაგოგის შუაში დაეცა და სრულიად გამოჯანმრთელდა, რადგან ეშმაკი დაემორჩილა იესოს და გავიდა მისგან. ორივე მახარებელი აღნიშნავს იმ ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც მოახდინა ამ განკურნებამ იქ დამსწრეებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. პეტრეს სიდედრისა და სხვა მრავალთა განკურნება

(მათე 8, 14-17; მარკოზი 1, 29-34;
ლუკა 4, 38-41).

ამ სასწაულს მარკოზი და ლუკა მახარებლები უშუალოდ უკავშირებენ წინა სასწაულს. სინაგოგიდან გამოვიდა თუ არა, უფალი სიმონ პეტრეს სახლში მივიდა პურის გასატეხად. პეტრეს სიდედრი მძიმედ იყო ავად, თანაც ლუკა მახარებელი, როგორც ექიმი, განმარტავს, რომ იგი ***შეპყრობილ იყო სიცხითა დიდით.*** ქრისტეს ერთი სიტყვით დაუვარდა მას სიცხე და ძალებიც იმდენად დაუბრუნდა, რომ ***აღდგა და ჰმსახურებდა მათ.*** ჯერ სინაგოგაში ეშმაკეულისგან ბოროტი სულის განდევნამ, მერე პეტრეს სიდედრის განკურნებამ ხალხზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მზის ჩასვლის შემდეგ (ალბათ იმიტომ, რომ შაბათი დღე იყო) სიმონის სახლთან დაიწყეს ავადმყოფებისა და ეშმაკეულების მიყვანა, ისე, რომ მთელი ქალაქი იქ შეიკრიბა. უფალმა სხვადასხვა ავადმყოფობით დასნებოვნებული მრავალი ტანჯული განკურნა და მრავალი ეშმაკეულისგან განდევნა ბოროტი სული. მათე მახარებელი თავის სახარებაში ამტკიცებს, რომ იესო არის სწორედ ის გამომხსნელი, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველები საუბრობდნენ და განმარტავს, რომ ავადმყოფთა ამ მასიურ კურნებაში ახდა ესაიას ნაწინასწარმეტყველევი, რომელიც ამბობს: ***მან უძლურებანი ჩემნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენნი იტჳრთნა.*** „მიიხუნა“ (თავს იდო) „უძლურებანი“, ეს ნიშნავს უძლურები გაათავისუფლა ამ სნეულებისგან; „იტვირთა“ – ესე იგი, შეუმსუბუქა მათ ავადმყოფური მდგომარეობა. ქრისტეს არ სურდა ბოროტი

სულების მოწმობა მიეღო, ამიტომ აუკრძალა ეშმაკებს ეშ-
მაკეულების პირით გაეცხადებინათ, რომ ის არის ქრისტე, ძე
ღვთისა.

11. უფლის ქადაგება და საქმენი გალილეაში
(მათე 4, 23-25; მარკოზი 1, 35-39;
ლუკა 4, 42-44)

როგორც ადამიანი, იესო ქრისტე თავადაც იტანჯებოდა
და იღლებოდა ამდენი შრომისგან, და ამ მხრივადაც შეიძლე-
ბა ითქვას, რომ მან თავს იდო ჩვენი უძლურება და იტვირთა
ჩვენი სნეულება. და აი, მეორე დღეს, ადრე დილით, რათა
დაესვენა და ძალები მოეკრიბა განმარტოებული ლოცვით,
იგი განეშორა ადამიანებს და გავიდა უდაბურ ადგილას.
სულ მალე კი ხალხმა სიმონის სახლთან მოიყარა თავი, და
როცა გაიგო, რომ იესო იქ არ იყო, მის ძებნას შეუდგა.
სიმონმა და მასთან მყოფებმა ანდრიამ, იაკობმა და იოა-
ნემაც დაიწყეს მისი ძებნა, და როცა მიაგნეს, უთხრეს:
ყოველნი გეძიებენ შენ. უფალმა მათ უპასუხა, რომ მას
მართებს სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც წასვლა და ქად-
აგება, რამეთუ იმიტომ მოვიდა, იმიტომ არის წარმოგზავნი-
ლი, რომ ყველას ახაროს. კაპერნაუმიდან გამოსვლის შემ-
დეგ, იესო მთელს გალილეაში დადიოდა, ქადაგებდა და
სასწაულებს აღასრულებდა. მის შესახებ ხმა გალილეის
საზღვრებს გასცდა და მთელს სირიაში გავრცელდა: მასთან
ავადმყოფები მოჰყავდათ შორიდან – ათქალაქიდან, იუდეადან,
იერუსალიმიდან, იორდანეს გაღმა მხრიდან, და იგი ყველას
კურნავდა. მას მრავალი ხალხი დაჰყვებოდა და მის სწავლე-
ბას ისმენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში

(ლუკა 4, 16-30)

ეს მოვლენა ლუკა მახარებელთან აღწერილია უფლის ქადაგების დასაწყისში, მაგრამ მანამდე მოკლედ არის ნათქვამი: ***და ჰამბავი განჯდა მისთჳს ყოველსა მას გარემო სოფლებსა. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.*** აქედან და აგრეთვე, თვით ამ მოვლენის შესახებ მონათხრობიდან, ჩანს, რომ უფალი ნაზარეთში მივიდა არა თავისი საზოგადოებრივი მსახურების დასაწყისში, როგორც შეიძლებოდა გვეფიქრა, არამედ ბევრად გვიან, კაპერნაუმში მის მიერ აღსრულებული სასწაულების შემდგომ, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. მეორე მხრივ, მახარებლები მათე და მარკოზი ამ მოვლენას მიაწერენ მნიშვნელოვნად გვიანდელ დროს, მაგრამ სახარების ისეთი ავტორიტეტული განმმარტებლები, როგორიცაა მაგალითად, ეპისკოპოსი თეოფანე [დაყუდებული] მიიჩნევენ, რომ უფლის ნაზარეთში მისვლა, რომლის შესახებაც საუბარია წმინდა მათესთან (13, 53-58) და წმინდა მარკოზთან (6, 1-6) განსხვავდება იმ მოვლენისგან, რომელსაც აღწერს წმინდა ლუკა. მართლაც, მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, ამ მონათხრობებში ჩანს ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სახარებისეული მოვლენების ზუსტი, უდავო ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა თითქმის შეუძლებელია, რადგან თითოეულ მახარებელს გადმოცემის თავისი სისტემა ჰქონდა, თავისი ამოცანიდან გამომდინარე, და ზუსტი ქრონოლოგია არ ყოფილა მათი ზრუნვის მთავარი საგანი.

ნაზარეთის სინაგოგაში შესულმა უფალმა, იმ ადგილის კითხვა დაიწყო ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან. ესაია წინასწარმეტყველი განკაცებული მესიის სახელით ხატოვნად ლაპარაკობს ქვეყნად მოსვლის თავის მიზანზე. წინასწარმეტყველის პირით მესია ამბობს, რომ ის წარმოგზავნილია ღმერთისგან გლახაკთა მახარებლად და გულით შემუსვრილთა მკურნალად, ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ასახელად, ტანჯულთა განსატევებლად და უფლის კეთილსასურველი წლის მქადაგებლად, და რომ მათთვის დგება საღვთო სასუფეველი – სასუფეველი სიყვარულისა და მოწყალებისა. ებრაელებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ეს მესიას ეხებოდა, ამიტომ როდესაც უფალმა იესო ქრისტემ თქვა, რომ ***დღეს აღესრულა წერილი ესე ყურთა მომართ თქუენთა,*** მათ აღარაფერი დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ ელიარებინათ იგი მესიად. ბევრი მართლაც მზად იყო მიეღო იესო მესიად, – იცოდნენ რა მის მიერ აღსრულებული საოცარი სასწაულების ამბავი, მაგრამ სინაგოგაში მყოფთაგან უეჭველად ბევრი იყო უფლისადმი მტრულად განწყობილი მწიგნობარი და ფარისეველი, რომლებსაც შერყვნილი წარმოდგენა ჰქონდათ მომავალი მესიის, როგორც მიწიერი მეუფის, ებრაელთა ეროვნული ბელადის შესახებ, რომელსაც, მათი წარმოდგენით, უნდა დაემორჩილებინა ებრაელთა ხელისუფლებისათვის დედამიწის ყველა ხალხი; ხოლო მწიგნობრები და ფარისევლები, როგორც თავისთან დაახლოებული პირები, დაეყენებინა მმართველობის სათავეში. უფლის სწავლება გლახაკთა და გულით შემუსვრილთა სამეფოს შესახებ მათთვის სრულიად მიუღებელი იყო. გარდა ამისა, სხვებიც, თუმც ტკბებოდნენ უფლის ბაგეთაგან გამომავალი მადლმოსილი

სიტყვით, მაგრამ იცნობდნენ რა მას ბავშვობიდან, როგორც ღარიბი ხუროს შვილს, არ ჩქარობდნენ ეღიარებინათ ის მეფესიად, და მხოლოდ გაოცებას ინარჩუნებდნენ მისი სიბრძნისა და სასწაულების შემხედვარე; ბრკოლდებოდნენ მის მიმართ, ნაცვლად იმისა, რომ ერწმუნათ იგი. უფალს არ სურდა ურწმონოთათვის დაემტკიცებინა თავის საღვთო წარმოგზავნილობა სასწაულებით და მხოლოდ ორი მაგალითი მოუყვანა მათ ძველი აღთქმის ისტორიიდან ელიასა და ელისეს შესახებ, რითაც აშკარად განუმარტა, რომ არ არიან ღირსნი იმ სასწაულებრივი ნიშნებისა, რისი ნახვის იმედიც ქონდათ. როდესაც გაიგონეს ასეთი მწარე ჭეშმარიტება და იესოს სიტყვებიდან, – რომელსაც ისინი თავის თავზე მაღლად არ მიიჩნევდნენ, – მიხვდნენ, რომ ის მათ, ამპარტავან ებრაელებს, წარმართებზე დაბლა აყენებს, ***აღივსნეს ყოველნი გულისწყრომითა, რომელნი-იგი იყვნეს შესაკრებელსა მას შინა,*** გამოაძევეს ის ქალაქიდან და ცდილობდნენ მთის მწვერვალიდან გადაეგდოთ და მოეკლათ, მაგრამ საღვთო ძალამ სასწაულებრივად შეაჩერა მათი დანაშაული, – ***თავადმან განვლო შორის მათსა და წარვიდა****.

13. კეთროვანის განკურნება

(მარკოზი 1, 40-45; ლუკა 5, 12-16)

კეთროვანის განკურნების შესახებ მათე მახარებელიც მოგვითხრობს (8, 1-4), მაგრამ ისეთი ავტორიტეტული განმმარტებლები, როგორიცაა მაგალითად, ეპისკოპოსი თეოფანე, ჰგონებენ, რომ ეს განსაკუთრებული სასწაულია, რომელიც

*წმინდა ეგნატე ბრიანჩანინოვის განმარტებით, უფალმა აქ გამოიყენა საღვთო ძალა და მათთვის უხილავი გახდა. – მთარგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალმა აღასრულა გაცილებით გვიან, მთაზე ქადაგების შემდეგ, მაშინ, როდესაც წმინდა ლუკა ამბობს, რომ ეს მოხდა ქალაქში. აღმოსავლეთში გავრცელებულ და ბიბლიაში მოხსენიებულ ყველა ავადმყოფობას შორის კეთრი ყველაზე საშინელი სენია: იწყება სახეზე, ცხვირთან და თვალებთან და მერე მთელ სხეულს ედება ლაქებისა და წყლულების სახით. ამასთან, სახე სივდება, ცხვირი ხმება და წვრილდება, ყნოსვის გრძნობა ქრება, თვალები ცრემლიანდება და უფერულდება, ხმა იხრინწება, თმა ცვივდება, კანი იფუფქება, სკდება, ჩნდება ავთვისებიანი და ავსუნიანი წყლულები, დამახინჯებული პირიდან გადმოდის ავსუნიანი ნერწყვი, ხელისა და ფეხის სახსრები ბუჟდება, მთელი სხეული ძაბუნდება, მერე ძვრება ფრჩხილები, თითები, ცალკეული სახსრები, სანამ საბოლოოდ სიკვდილით არ დასრულდება ტანჯულის წამება. დაბადებიდან კეთროვნები 30-40 და ზოგჯერ 50 წელსაც კი წვალობენ ასეთი უბედური ცხოვრებით. მოსემ დაწვრილებითი რჩევები გადმოგვცა კეთრით დაავადებულთა შესახებ (ლევ. მე-13 თავი). მღვდელს უნდა გამოეკვლია ავადმყოფობა და სხვებს რომ არ გადასდებოდა, ავადმყოფები უნდა გაეძევებინა საზოგადოებიდან.

...კეთროვანი, როგორც ჩანს, ღრმა რწმენით იყო განმსჭვალული, ამიტომ თამამად არღვევს რჯულს, რომელიც უკრძალავს მას ჯანმრთელ ადამიანებთან მიახლოებას, გრძნობს, რომ აქ დგას თვით რჯულის უფალი. მისი თხოვნა, განკურნების შესახებ, სავსეა როგორც ღრმა სიმდაბლით, ისე უფლის სასწაულთმოქმედი ძალის რწმენით. განკურნებისას, უფალი შეეხო მას, რითაც აჩვენა, რომ ის არ არის რჯულით შეკრული, რომელიც კრძალავს კეთროვანის შეხებას, და რომ წმინდ-

ისთვის არაფერია უწმინდური; ამით მან გამოხატა ღრმა თანაგრძნობა უბედურისადმი. მის მიერ ნათქვამი: ***მნებავს, განწმიდენი!*** მიუთითებს მის საღვთო ხელმწიფებაზე. ის განკურნებულს უბრძანებს, მივიდეს და ეჩვენოს მღვდელს, მოსეს რჯულის მოთხოვნისამებრ, და არავის მოუთხროს აღსრულებული სასწაულის თაობაზე. მთავარი მიზეზი, თუ რატომ უკრძალავს ყველას უფალი თავისი სასწაულების გაცხადებას, უნდა დავინახოთ სიმდაბლეში, რომლითაც ძე ღვთისამ დაიმცირა თავი და მიიღო მონის ხატება, რადგან არ უნდოდა ევლო მიწაზე დიდების გზით (იხ. იოანე 5, 41); მით უმეტეს, რომ მის განდიდებას, როგორც სასწაულთმოქმედისას, შეიძლება გაეძლიერებინა ხალხში ის საოცნებო წარმოსახვები მესიის სასუფევლის შესახებ, რომლებსაც უფალი ებრძოდა. იესო უბრძანებს განკურნებულს, ეჩვენოს მღვდელს ***საწამებლად მათა,*** იმ აზრით, რომ რჯულის თანახმად მღვდელს უნდა დაემოწმებინა კეთრისაგან განკურნების ფაქტი, ასევე ის, რომ უფალი კი არ არღვევს რჯულს, არამედ ასრულებს.

14. განრღვეულის განკურნება კაპერნაუმში
(მათე 9, 2-8; მარკოზი 2, 1-12;
ლუკა 5, 17-26)

სამი მახარებელი – მათე, მარკოზი და ლუკა თანახმიერად მოგვითხრობენ ამ სასწაულის შესახებ, თანაც, წმინდა მარკოზი მისი აღსრულების ადგილად პირდაპირ ასახელებს კაპერნაუმს, ხოლო მათე ამბობს, რომ უფალმა ეს სასწაული აღასრულა, როცა ***მოვიდა თჳსად ქალაქად.*** ამ სახელით კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, იწოდებოდა ქალაქი კაპერნაუმი. ამის

შესახებ წმინდა იოანე ოქროპირი ასე წერს: „იშვა ის ბეთლემში, აღიზარდა ნაზარეთში, ცხოვრობდა კაპერნაუმში. განრღვეული უფალთან სარეცლით მიიყვანეს, შესაბამისად, მას სიარული არ შეეძლო. აღწერით ეს ისეთი ავადმყოფობა იყო, რომელსაც ახლა დამბლა ეწოდება. მახარებლები მარკოზი და ლუკა დასძენენ, რომ ადამიანთა სიმრავლის გამო, რომლებიც სახლის ირგლივ იყვნენ შემოჯარულნი, განრღვეულის თანმხლებმა პირებმა ვერ შეძლეს იესოსთან სახლში მისი შეყვანა და სახურავიდან ჩაუშვეს; უნდა ვივარაუდოთ, რომ დროებითი სახურავის ჭრილში. ეს სახურავი წლის ცხელ დროს მზადდებოდა ხის ფიცრებისგან ან ტყავისგან ან ქსოვილისგან და ამით იხურებოდა სახლის შიდა ეზო. თვით ეს ეზო ოთხივე მხრიდან შემორტყმული იყო ბრტყელსახურავიანი ნაგებობებით, რომლებზედაც ადვილად შეიძლებოდა კიბით ასვლა. მხოლოდ ძლიერ რწმენას შეეძლო აღეძრა განრღვეულის (დავრდომილის, დამბლადაცემულის) თანმხლებ პირებში სურვილი ასეთი გაბედული ნაბიჯის გადასადგმელად. როდესაც უფალმა დაინახა ეს რწმენა, აგრეთვე, თვით განრღვეულის რწმენა, რომელმაც უფლება მისცა თავის თანმხლებთ ჩაეშვათ ის იესოს ფეხებთან, განრღვეულს უთხრა: ***ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი,*** – ამით ის უთითებს იმ კავშირზე, რომელიც არსებობდა მის ავადმყოფობასა და ცოდვიანობას შორის. წმინდა წერილის სწავლებით, ავადმყოფობა არის ცოდვების შედეგი (იხ. იოანე 9, 2; იაკ. 5, 14, 15) და იგზავნება ზოგჯერ ღმერთისგან ცოდვებისათვის სასჯელად (იხ. 1 კორ. 5, 3-5; 11, 30). ხშირად ავადმყოფობასა და ცოდვას შორის არსებობს აშკარა კავშირი, როგორიც არის, მაგალითად, ავადმყოფობა

სიმთვრალის ან გარყვნილობისგან. ამიტომ ავადმყოფობისგან განსაკურნებლად თავიდან საჭიროა ცოდვის მოხსნა, მისი შენდობა. როგორც ჩანს, ავადმყოფი თვითონ მიიჩნევდა თავს იმდენად დიდ ცოდვილად, რომ თითქმის არ ჰქონდა მიტევების იმედი, ამიტომაც გაამხნევა ის უფალმა სიტყვებით: ***ნუ გეშინინ, შვილო!*** იქ მყოფმა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა აზრობრივად განიკითხეს უფალი ღვთისგმობისათვის, რადგან დაინახეს მის სიტყვებში უკანონო მითვისება ღმერთის ხელმწიფებისა. უფალმა, რა თქმა უნდა, იცოდა მათი აზრი და ეს გააგებინა კიდეც მათ: ***რაჲ უადვილეს არს სიტყუად: „მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი“, ანუ სიტყუად: „აღდეგ და ვიდოდე?“*** ერთისთვისაც და მეორისთვისაც აუცილებელია, ერთნაირი საღვთო ძალა. ***ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ ჴელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა... – აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!*** ბრწყინვალედ განმარტავს ამ კავშირს წმინდა იოანე ოქროპირი: „რადგანაც სულის განკურნება არ შეიძლება დაინახო, ხოლო სხეულის განკურნება ადვილი დასანახია, ამიტომ მე (ამბობს უფალი) პირველს ვუერთებ მეორეს, რომელიც თუმც უმდაბლესია, მაგრამ აშკარაა, რათა მისი საშუალებით დაარწმუნოს უმაღლეს და უხილავში“. უფლის ამ სიტყვებს მოჰყვა განკურნება, რამაც ცხადჰყო, რომ საღვთო ძალით მოსილმა ქრისტემ ამაოდ არ უთხრა განრღვეულს: ***მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი.*** თუმცა, რა თქმა უნდა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ უფალმა ეს სასწაული აღასრულა მხოლოდ იმის სურვილით, რომ დაეჯერებინა ფარისევლები თავის ღვთაებრივ ყოვლადძლიერებაში. ეს სასწაულიც, როგორც ყველა სხვა, უპირველესად იყო მისი

საღვთო სახიერებისა და გულმოწყალების საქმე. თავისი სრული გამოჯანმრთელება განრღვეულმა დაამოწმა იმით, რომ ხელში აიღო თავისი სარეცელი, რომლითაც ის მოიყვანეს. სასწაულის შედეგი ის იყო, რომ ხალხი ძრწოლამ აიტანა და განადიდეს ღმერთი, რომელმაც ადამიანს ასეთი ძალაუფლება მისცა; რაც ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ფარისევლები, არამედ, როგორც ჩანს, ხალხმაც არ ირწმუნა იესო, როგორც ძე ღვთისა, და ის მხოლოდ ადამიანად მიიჩნია.

15. მათეს მოწოდება

(მათე 9, 9-17; მარკოზი 2, 13-22; ლუკა 5, 27-39)

ამის შესახებ მოგვითხრობს როგორც თვით წმინდა მათე, ასევე, ორი სხვა მახარებელი – მარკოზი და ლუკა. ამასთან, მხოლოდ მათე უწოდებს თავის თავს ამ სახელს, სხვები კი მას ლევის უწოდებენ. როდესაც უფალი სახლიდან გამოვიდა, სადაც მან განრღვეული განკურნა, იხილა საზვერეზე ანუ ხარკის ასაკრებ ადგილზე მჯდომი ადამიანი, და უთხრა მას: ***მომდევდი მე!*** ის ადგა და გაჰყვა იესოს. უნდა ვიცოდეთ, რომ მეზვერეები, რომელთა რიცხვს მათეც მიეკუთვნებოდა, ებრაელებში ყველაზე ცოდვილ და საძაგელ ადამიანებად ითვლებოდნენ, რადგან ხალხისგან ხარკს კრებდნენ საძულველი რომის ხელისუფლების სასარგებლოდ. ამასთან, ხარკის ამკრეფნი ამ საქმიანობას საკუთარი ანგარებისთვისაც იყენებდნენ და ხშირად დაწესებულ გადასახადზე მეტს ართმევდნენ ხალხს, ამიტომაც დაიმსახურეს საყოველთაო სიძულვილი. უფლის სიტყვის ძალა იმდენად ძლიერი იყო, რომ მეზვერემ – მატერიალურად შეძლებულმა ადამიანმა – ყვე-

ლაფერი მიატოვა და უფალს გაჰყვა, რომელსაც თავის მის-ადრეკიც კი არ გააჩნდა. ეს, ამასთანავე, იმასაც ამტკიცებს, რომ ცოდვილები, რომელნიც თავიანთ ცოდვიანობას აცნობიერებენ და მზად არიან გულწრფელად მოინანიონ, უფრო ახლოს არიან ცათა სასუფეველთან, ვიდრე ფარისეველნი.

უფლის მოწოდებით გახარებულმა მათემ, იესო თავის მოწაფეებითურთ სახლში მიიწვია და წვეულება გაუმართა. აღმოსავლური ჩვეულების თანახმად, სადილზე ან ვახშამზე მიწვეული სტუმრები მაგიდასთან კი არ ისხდნენ, არამედ ინახით ისხდნენ (ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში) დაბალი მაგიდის (ტაბლის) ირგვლივ მოგრძო სკამებზე ან დივნებზე და მარცხენა ხელით ბალიშებს ეყრდნობოდნენ. როგორც ჩანს, სტუმრად ასევე მივიდნენ მათეს მეგობრები – სხვა მეზვერეები და ცოდვილები (ფარისეველთა მოსაზრებით), და იესოსა და მის მოწაფეებთან ერთად ინახით შემოუსხდნენ მაგიდას. სწორედ ამან მისცა საბაბი ფარისევლებს, განეკითხათ უფალი ცოდვილებთან ასეთი სიახლოვისათვის: ***რაᲘსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?*** – ჰკითხეს მათ მოწაფეებს. „ცილს სწამებენ მოძღვარს მოწაფეების წინაშე, – განმარტავს ამ სიტყვებს წმინდა იოანე ოქროპირი, – ცუდი განზრახვით; სურთ მოწაფეები მოძღვარს ჩამოაშორონ“, რადგან ამგვარად ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ მას, თითქოს იგი ცუდ საზოგადოებასთან ეძებდეს ურთიერთობას. ***არა უჯმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა,*** – მიუგო ამ ბრალდებაზე თვით ქრისტემ. ამ სიტყვების აზრი ასეთია: „ვერ გრძნობენ მაცხოვრის საჭიროებას მოჩვენებითი მართლები, როგორიც ფარისევლები არიან, მაგრამ მათგან განსხვავებით ამას ცოდ-

ვილები გრძნობენ. „მკურნალის ადგილი ავადმყოფის სარეცელთანაა, – თითქოს ასე ამბობს მაცხოვარი, – ხოლო ჩემი ადგილი იმათ გვერდითაა, ვისაც სტკივა საკუთარი სულიერი უძლურება, და მეც მათთან ვარ, მეზვერეებთან და ცოდვილებთან, როგორც მკურნალი ავადმყოფებთან". ***წარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: „წყალობაჲ მნებავს და არა მსხუერპლი",*** – ფარისევლები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის სიმართლე რჯულით დადგენილი მსხვერპლის შეწირვა იყო, მაგრამ ისინი ივიწყებდნენ ოსია წინასწარმეტყველის ბაგეებით გამოთქმულ ღვთის სიტყვებს: „წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი და შემეცნება ღმრთისაჲ, ვიდრე ყოვლად დასაწუელნი" (6, 6). „უნდა გაიგოთ, – თითქოს ასე ეუბნება ქრისტე ფარისევლებს, – რომ თქვენი მსხვერპლშეწირვა, ყველა თქვენი გარეგნული ფორმალური კეთილმსახურება, არაფერია ღვთის თვალში მოყვასის მიმართ სიყვარულის გარეშე, გულმოწყალების საქმეების გარეშე". ***არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა,*** რაც ნიშნავს: „იმისთვის მოვედი, რომ ცოდვილებმა შეინანონ და გამოსწორდნენ. მე მოვედი სინანულად მოვუწოდო არა იმათ, რომლებიც თავს მართლებად მიიჩნევენ და ჰგონიათ, რომ მოსანანიებელი არაფერი აქვთ, არამედ, ვინც აცნობიერებს, რომ ცოდვილია და ღმერთისგან წყალობას ითხოვს". მართალია, უფალი ყველას მოსახმობად და სახსნელად მოვიდა, მათ შორის თავდაჯერებული მართლებისთვისაც, მაგრამ სანამ ისინი არ დაუტევებენ ცრუ თვითბრძნობას და არ გააცნობიერებენ საკუთარ ცოდვიანობას, მანამდე მათი მოწოდება უშედეგო იქნება და მათი ცხონება – შეუძლებელი.

როდესაც აქ დამარცხება განიცადეს, ფარისევლებმა თავიანთი ბრალდება უფლის მოწაფეებზე მიმართეს, და მათ

შეუერთდნენ იოანე ნათლისმცემლის მოწაფენი, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავიანთ მოძღვარს იესოზე ალმსტებულად მიიჩნევდნენ და უფლის მზარდ წარმატებასა და დიდებას შურით შესცქეროდნენ. წმინდა იოანე მკაცრი მმარხველი იყო და, რა თქმა უნდა, თავისი მოწაფეებიც ამგვარსავე მკაცრ მარხულობას მიაჩვია. როგორც ჩანს, ამ დროს ის უკვე დილეგში ჰყავდა ჰეროდეს გამომწყვდეული და მისმა მოწაფეებმა ამ შემთხვევის გამო კიდევ უფრო გააძლიერეს თავიანთი მარხვა. ფარისევლებმა კი მათი ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ქრისტეს მოწაფეები არ იცავდნენ ესოდენ მკაცრად დადგენილ მარხვებს, და აი, ისინი ეკითხებიან უფალს: ***რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?*** ამაზე უფალი პასუხობს მათივე მოძღვრის სიტყვებით: ***ჴელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენან დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ.*** ეს ნიშნავს: „თქვენი მოძღვარი ხომ მე სიძეს მიწოდებს, თავის თავს – სიძის მეგობარს, რომლითაც უნდა ხარობდეს. ამიტომ ჩემი მოწაფეებიც, როგორც სიძის მეგობრები, ხარობენ, ვიდრე მე მათთან ვარ და ამ სიხარულთან შეუსაბამოა მეტისმეტად მკაცრი მარხვა, როგორც დარდისა და წუხილის გამომხატველი“. სწორედ უფლის ამ სიტყვების მოსახსენებლად დაადგინა წმინდა ეკლესიამ ვნების შვიდეულის მარხვა, რომელიც გაგრძელებაა წმინდა ორმოცდღიანი მარხვისა, და ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვები, – სწორედ იმ დღეებში, როდესაც *აღიღეს* ჩვენგან სიძე: მისი გაცემის დღე, დღე მისი ვნებისა და ჯვარზე სიკვდილისა. უფალი ამბობს, რომ მისი მოწაფეებისათვის ჯერ არ დამდგარა მარხვის

დრო და აღვივებს შემდგომ ამ აზრს სიტყვებით: ***არავინ დაადგის სადგმელი უმურკნველი სამოსელსა ძველსა, რამეთუ აღიღის სავსებაჲ სამოსლისა მისგან, და უფროჲსი განხეთქილებაჲ იქმნის. არცა შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ძველთა, რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი და ღჳნოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღჳნოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან.*** წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, ახალი საკერებელი და ახალი ღვინო – ეს არის მკაცრი მარხვა და, საერთოდ, მკაცრი მოთხოვნილება, ხოლო ძველი სამოსელი და ძველი ტიკები – ეს არის უძლურება, მოწაფეთა სისუსტე, რადგან ჯერ არ არიან მოწაფენი მზად დიდი ტვირთის სატარებლად. „ჯერ ვერ ვხედავ, რომ შესაფერისი დრო იყოს, – თითქოს ასე პასუხობს უფალი, – დავაკისრო ჩემს მოწაფეებს, ჯერ კიდევ სუსტებს, სანამ ისინი არ განახლებულან, არ შობილან სულწმიდის მადლით, მკაცრი ცხოვრებისა და მძიმე მცნებების უღელი“. აქ უფალი იცავს თავის მოწაფეებს საყვედურებისგან ჭეშმარიტი მამობრივი სიყვარულითა და მათდამი სულგრძელებით.

უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივი ცხოვრების მეორე პასექი

1. განრღვეულის განკურნება ცხვრის საბანელთან
(იოანე 5, 1-16)

ამ მოვლენის შესახებ მხოლოდ წმინდა იოანე გვაუწყებს, რომელიც თავის სახარებაში მოგვითხრობს უფლის ყოველი მოსვლის შესახებ იერუსალიმში დღესასწაულზე. ამ შემთხვევაში არ არის ცნობილი, კერძოდ რომელ დღესასწაულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა იესო იერუსალიმში, მაგრამ ყველაზე სარწმუნოა, რომ ეს ყოფილიყო პასექის ან ერგასის დღესასწაული. ბოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ უფლის საზოგადოებრივი მსახურება სამ წელიწად-ნახევარს გრძელდებოდა, როგორც ამას ძველთაგანვე აღიარებდა წმინდა ეკლესია, რომელიც ხელმძღვანელობს მეოთხე სახარების ქრონოლოგიით. დაახლოებით ნახევარი წელი გავიდა უფლის ნათლისღებიდან პირველ პასექამდე (მეორე თავის მიხედვით), შემდეგ ერთი წელი – მეორე პასექამდე (ამის შესახებ მე-5 თავშია საუბარი), მეორე წელი მესამე პასექამდე (6, 4) და მესამე წელი მეოთხე პასექამდე; ეს ის პასექია, რომლის დადგომის წინაც ევნო უფალი.

ცხვრის საბანელი მდებარეობდა ცხვრის კარიბჭესთან; ასე იმიტომ ეწოდებოდა, რომ ამ კარიბჭით შეჰყავდათ ტაძრის სამსხვერპლო საქონელი, ან კიდევ იმიტომ, რომ მის მახლობლად ბაზარი იყო გახსნილი ამ საქონლის გასაყიდად. ქალაქის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გზად კედრონის ხევიდან გეთსიმანიის ანუ ელეონის მთისკენ, მდებარეობდა საბანელი, რომელსაც ებრაულად ბეთეზდა ეწოდებოდა, რაც ნიშნავს: „მოწყალების სახლი“ ან ღვთის წყალობა, რადგან საბანელში წყალი გროვდებოდა სამკურნალო წყაროებიდან. ევსების მოწმობით, მე-5 საუკუნეში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ამ საბანელის ხუთი გალერეა. ამ სამკურნალო წყარომ მრავალი სხვადასხვა სენით დაავადებული ავადმყოფი მიიზიდა. ის არ იყო უბრალო სამკურნალო წყარო: კურნების ძალას ავლენდა დროდადრო, როდესაც მასში ღვთის ანგელოზი ჩადიოდა, წყალს ამღვრევდა და ამის შემდეგ იძენდა ის მაკურნებელ თვისებას. ვინც ამ დროს ჩავიდოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალში, ის იკურნებოდა, ცოტა ხანში კი წყალი წყნარდებოდა და კარგავდა მაკურნებელ ძალას.

საბანელთან იმყოფებოდა დავრდომილი, რომელიც 38 წლის განმავლობაში იტანჯებდა თავისი ავადმყოფობით და უკვე განკურნების იმედიც კი გადაწურული ჰქონდა. მით უმეტეს, რომ, როგორც მან უფალს მოახსენა, მას არ ჰყავდა გვერდით ვინმე ისეთი ადამიანი, ვინც დაეხმარებოდა წყალში ჩასვლაში, ამიტომ არ ჰქონდა საშუალება ესარგებლა ამ სასწაულებრივი წყლით. უფალმა შეიბრალა და ერთი სიტყვით განკურნა: ***აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე!*** ამით მან აჩვენა თავისი მაცხონებელი მადლის უპირატესობა ძველი აღთქმის მაცხონებელ საშუალებებზე. რადგანაც შაბათი იყო, იუდეველებმა, – რომლებშიც წმინდა იოანე ჩვეულებრივ მოიაზრებს უფლის მიმართ მტრულად განწყობილ ფარისევლებს, სადუკეველებსა და იუდეველთა უხუცესებს, – ნაცვლად იმისა, რომ გახარებულიყვნენ და განცვიფრებულიყვნენ განრღვეულის განკურნებით, რომელიც ამდენ ხანს იტანჯებოდა, აღშფოთდნენ: როგორ გაბედა მან ხელში თავისი სარეცელი აეღო და ამით შაბათის განსვენებასთან დაკავშირებული მცნება დაერღვია! და ამის გამო მას საყვედური უთხრეს. განკურნებული კი, ერთგვარი კადნიერი ტონით თავს იმართლებს მისი განმკურნებლის ბრძანებით, რომელსაც მისი აზრით საკმარისი ხელმწიფება ჰქონდა იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინა ის შაბათის შესახებ ძალიან წვრილმანი დადგენილების დაცვისგან. იუდეველები ეკითხებიან: ***ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: „აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე?“*** ამასთან დაკავშირებით ბრწყინვალედ შენიშნავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი: „აი, ღვარძლის აზრი! არ ეკითხებიან, ვინ განგკურნაო, არამედ ვინ მოგიწოდა შენი

სარეცელი აგელოო. იმას კი არ ეკითხებიან, რასაც გაკვრივ-ბაში მოჰყავდათ, არამედ იმას, რასაც კიცხავდნენ". თუმცა მათ ზუსტად არ იცოდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ განმკურნებელი უნდა ყოფილიყო მათთვის საძულველი იესო ნაზარეთიდან და ამიტომ საერთოდ არ უნდოდათ სასწაულზე საუბარი. განკურნებულს არ შეეძლო მათთვის პასუხი გაეცა, რადგან არ იცნობდა იესოს. იგი მალევე შევიდა ტაძარში, რათა ღმერთისთვის მადლობა აღევლინა თავისი განკურნებისთვის. აქ მას შეხვდა იესო თავისი შესანიშნავი სიტყვებით: ***აჰა ცოცხალ იქმენ, ნუღარა სცოდავ, რაჲთა არა უძჳრესი რაჲმე გეყოს შენ.*** ამ სიტყვებიდან განსაკუთრებით ცხადად ჩანს, რომ ავადმყოფობა ადამიანს ეწევა ცოდვისათვის სასჯელად. უფალი აფრთხილებს განკურნებულს, არ გაიმეოროს ცოდვები, რათა უფრო მეტად არ დაისაჯოს. როდესაც თავისი განმკურნებელი იცნო, ყოფილი განრღვეული წავიდა და მის შესახებ მტრებს განუცხადა. რა თქმა უნდა, არა ბოროტი განზრახვით, არამედ, რათა ეჩვენებინა ის ავტორიტეტი, ვისი ზეგავლენითაც მოქმედებდა. ამან იუდეველებში ახალი ღვარძლი გამოიწვია იესოს მიმართ და მისი მოკვლა განიზრახეს, ***რამეთუ ამას იქმოდა შაბათთა შინა.***

2. უფლის სწავლება მამა ღმერთთან მისი თანასწორობის შესახებ, აგრეთვე, საყოველთაო აღდგომისა და სამსჯავროს შესახებ

(იოანე 5, 17-47)

იუდეველთა განზრახვაზე, შაბათის დარღვევისთვის მოეკლათ იგი, ***იესუ მიუგო და ჰრქუა მათ: „მამაჲ ჩემი მოაქამომდე იქმს, და მეცა ვიქმ".*** ამ სიტყვებით იესო ამოწმებს თავისი, როგორც ძე ღვთისას ერთარსობას მამა ღმერთთან;

ყველა შემდგომი სიტყვა არის მხოლოდ განვრცობა ამ აზრისა, უფლის პასუხისა იუდეველთა მიმართ. როგორც ძე ღვთისა, მისთვის ბუნებრივია, მიჰყვეს არა ადამისა და ადამის შთამომავლებისთვის მიცემულ მცნებებს, არამედ მამა ღმერთის მაგალითს. მამა ღმერთმა კი, თუმც განისვენა მეშვიდე დღეს შემოქმედებით საქმეთაგან, მაგრამ არ განუსვენია განგებულებითი საქმეთაგან. იუდეველებმა სწორად გაიგეს, რომ უფალი ასწავლიდა თავის თანასწორობას მამა ღმერთთან, ამიტომ ახლა მათ მის სიტყვებში დაინახეს ორმაგი დანაშაული, რომლებიც, მათი აზრით, სიკვდილს იმსახურებდა: შაბათის დარღვევა და ღვთისმგმობელობა. მე-19–მე-20 მუხლებში გაცხადებულია სწავლება მამისა და ძის მოქმედებათა ერთიანობის შესახებ ჩვეულებრივ წარმოდგენასთან შესაბამისობაში, – ძის შესახებ, რომელიც მამას ბაძავს და მამის შესახებ, რომელსაც უყვარს ძე და ასწავლის მას თავის საქმეებს. სიტყვებში: ***არა ჯელ-ეწოფების ძესა კაცისასა საქმედ თავით თჳსით,*** არ შეიძლება დავინახოთ არიანელთა მოსაზრების გამართლება, არამედ მხოლოდ ის, რასაც ამასთან დაკავშირებით ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი: „ძე არაფერს იქმს მამის საწინააღმდეგოს; არაფერს მისთვის უცხოს, არაფერს მასთან შეუთანხმებელს“, ანუ არც ერთი მისი ქმედება არ არის მამის ნების საწინააღმდეგო. ***და უფროჲსიცა ამისა უჩუენოს მას საქმე,*** – არა მხოლოდ განრღვეულის აღდგენა შეუძლია სარეცლიდან, არამედ მკვდრების აღდგენაც. 21-ე მუხლში თავიდან საუბარია სულიერ აღდგინებაზე, სულიერად მკვდართა გამოცოცხლებასა და მათ მიმართვაზე ჭეშმარიტი, წმინდა ღვთისმიერი ცხოვრებისაკენ; ამის შემდეგ კი საყოველთაო ხორციელ აღდგომაზე, რომლებიც შინაგან კავშირში

იმყოფებიან ერთმანეთთან. ადამიანის მიერ ჭეშმარიტი ცხოვრების, სულიერი ცხოვრების აღქმა უკვე არის სიკვდილზეიმის დასაწყისი. როგორც ცოდვითი აშლილობა არის სიკვდილის მიზეზი, ასევე ჭეშმარიტ სულიერ ცხოვრებას ადამიანი მიჰყავს მარადიულ, სიკვდილის დამმამარცხებელ ცხოვრებამდე. 22-ე–23-ე მუხლებში სულიერ აღდგომას უფალი უერთებს თავის სხვა დიდ საქმეს – სამსჯავროს. აქ უპირველესად იგულისხმება ახლანდელი ცხოვრების ზნეობრივი სამსჯავრო, რომელსაც გარდაუვლად მივყავართ უკანასკნელ საყოველთაო საშინელ სამსჯავრომდე. ქრისტე გამოჩნდა სულიერად მკვდარ და სულიერ სიბნელეში ჩაძირულ სამყაროში, როგორც ცხოვრება და სინათლე. ვინც იგი იწამა, აღდგა ახალი ცხოვრებისათვის და თვითონაც გახდა ნათელი; ხოლო ვინც ის უარყო, დარჩა ცოდვით სიბნელეში, სულიერ სიკვდილში. ამგვარად, რადგანაც ადამიანის მარადიული ხვედრი იმყოფება მთლიანად ძის ხელმწიფებაში, ამიტომ ჯეროვანია, პატივი ვცეთ მას ისევე, როგორც მამას: ***რომელმან არა პატივ-სცეს ძესა, მან არა პატივ-სცა მამასა, რომელმან მოავლინა იგი.*** 24-ე–25-ე მუხლები შეიცავს ძე ღვთისას ცხოველმყოფელი საქმიანობის შემდგომ გამოხატულებას. მაცხოვრის სიტყვისადმი დამორჩილება და მისი ზეგარდამო წარმოგზავნილობის რწმენა არის მთავარი პირობა ჭეშმარიტი ცხოვრებისა, რომელიც სხეულებრივი ნეტარი ცხოვრების საწინდარსაც შეიცავს. ***სასჯელსა იგი არა შევიდეს,*** – ეს ნიშნავს, „განსჯილი არ იქნება“. ***მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ისმინნენ სიტყუანი ძისა ღმრთისანი; და რომელთა ისმინნენ, ცხონდენ,*** – აქ საუბარი კვლავ სულიერ გამოცოცხლებაზეა, ქრისტეს მცნებების შედეგად, რამეთუ ძე არის ცხოვრების წყარო, რომელიც მან მამისგან მიიღო (26-ე მუხ.). ძეს ეკუთვნის

სამართლის ქმნის ხელმწიფებაც, ამისთვის გახდა ის ძე კაცისა, – იყო რა ბუნებით ძე ღვთისა (27-ე მუხ.). ძე ღვთისა ხელმწიფება, როგორც მსაჯულისა, აღსრულდება საუკუნეთა დასასრულს მიცვალებულთა აღდგომით და სამართლიანი ზღვევინებით (28-ე–29-ე მუხ.). ეს იქნება სამართლიანი სამსჯავრო, რადგან ის იქნება სრული თანხმობის შედეგი მსაჯულისა და ზეციერი მამის ნებათა შორის (30-ე მუხ.). 31-ე–32-ე მუხლებში ქრისტე გადაჭრით მოწმობს თავისი ღმრთეებრივი ღირსების შესახებ. ის ეყრდნობა წმინდა იოანე ნათლისმცემლის მოწმობას, რომელსაც იუდეველები დიდ პატივს სცემდნენ, მაგრამ, ამასთან, ამბობს, რომ მას აქვს კიდევ უფრო მეტი მოწმობა, ვიდრე იოანესია: ეს არის მამა ღმერთის მოწმობა: ***რამეთუ საქმენი, რომელნი მომცნა მე მამამან, რაჲთა აღვასრულნე იგინი, ესევე საქმენი წამებენ ჩემთჳს, რომელთა მე ვიქმ, რამეთუ მამამან მომავლინა მე.*** მამა ღმერთმა დაამოწმა თავისი ძის შესახებ მისი ნათლისღების მომენტში, მაგრამ კიდევ უფრო მეტი მოწმობა, როგორც მესიის შესახებ, მან *მოსცა* წმინდა წერილის ძველი აღთქმის წიგნებში წინასწარმეტყველების მეშვეობით; იუდეველები კი არ შეიგონებენ ამ წერილს, რადგან სიტყვა ღვთისა არ დანერგილა და არ მკვიდრობს მათში: არ ესმით ღვთის სიტყვა საღვთო წერილებში და ვერ ხედავენ ღვთის სახეს მის თვითგამოცხადებაში. ***გამოიძიებდით წიგნთა,*** და თქვენ დაინახავთ, რომ ***იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთჳს.*** შემდეგ, მე-40–47-ე მუხლებში ქრისტე კიცხავს იუდეველებს ურწმუნოებისათვის, ამასთან, ეუბნება, რომ ის არ საჭიროებს მათგან განდიდებას, რადგან ის არ ეძებს ადამიანების პატივისცემას, მაგრამ წუხს მათ გამო იმიტომ, რომ ისინი, რაკი არ იწამეს იგი, როგორც ღმერთისგან წარმოგზავნილი, ამით ავლენენ

უსიყვარულობას მისი წარმომგზავნელის – მამა ღმერთისადმი. რადგან მათ ღმერთი არ უყვართ, ამიტომაც არ იღებენ მისგან წარმოგზავნილ ქრისტეს, მაგრამ როდესაც მოვა სხვა ცრუმესია, თავისი მოგონილი სწავლებით, მას მიიღებენ ისინი ყოველგვარი ნიშნების გარეშე. ქრისტეს დროიდან ებრაელებს ჰყავდათ 60-ზე მეტი ასეთი ცრუმესია, მათგან უკანასკნელი კი ანტიქრისტე იქნება, რომელსაც ებრაელები თავიანთ მესიად მიიღებენ. იუდეველთა ურწმუნოების მიზეზი ისაა, რომ ადამიანურ დიდებას ეძებენ, და ამიტომ მათთვის მისაღებია არა ის, ვინც მათ ამხელს, თუნდაც სამართლიანად, არამედ ვინც მათ აქებს, თუნდაც დაუმსახურებლად. თავისი სიტყვის დასასრულს, უფალი აცლის მათ იმედის უკანასკნელ ნიადაგსა და საყრდენს. იგი მათ ეუბნება, რომ სხვა არავინ თუ არა მოსე, რომელზედაც ისინი ამყარებენ იმედს, იქნება მათი მამხილებელი საღვთო სამსჯავროზე. იგი მათ ამხელს ქრისტეს ურწმუნოებაში, რამეთუ ის მის შესახებ წერდა. აქ იგულისხმება როგორც პირდაპირი წინასწარმეტყველება და აღთქმა ქრისტეს შესახებ (დაბ. 3; 15; 12, 3; 49, 10; მეორე რჯ. 18, 15), ასევე, საერთოდ, მთელი რჯული, რომელიც იყო *ჩრდილი* მომავალი ქრისტეს სამეფოს სიკეთეებისა (ებრ. 10, 1) და *აღმზრდელი* ქრისტესმიერ (გალ. 3, 24).

3. თავთავების კრეფა შაბათს
(მათე 12, 1-8; მარკოზი 2, 23-28; ლუკა 6, 1-5)

ამის შემდეგ იესო იუდეადან გალილეაში წავიდა. გალილეაში უკანა გზაზე ერთ-ერთ შაბათ დღეს, რომელსაც წმინდა ლუკა უწოდებს მეორე-პირველს, ანუ პასექის მეორე დღის

შემდგომ პირველ შაბათს, უფალი თავის მოწაფეებთან ერთად ყანის გავლით მიდიოდა. მოშიებულმა მოწაფეებმა თავთავებს დაუწყეს კრეფა: ხელით ფშვნეტდნენ და ჭამდნენ. ეს ნებადართული იყო მოსეს რჯულით, რომელიც კრძალავდა მხოლოდ ნამგლის მოქნევას მოყვასის სამკალში (მეორე რჯ. 23, 25). მაგრამ ფარისევლებმა ეს ჩათვალეს შაბათის განსვენების დარღვევად და არ გაუშვეს ხელიდან შემთხვევა ესაყვედურათ უფლისათვის, რომ მისი მოწაფენი ამას აკეთებდნენ. მოწაფეების დასაცავად უფალი ფარისევლებს მიუთითებს დავითთან მომხდარ შემთხვევაზე, რომელიც გადმოცემულია მეფეთა 1 წიგნში (თავი 21-ე): საულისგან გაქცეული დავითი მივიდა სამღვდელო ქალაქ ნომბაში და სთხოვა მღვდელ აბიმელიქს, მიეცა მისთვის ხუთი პური ან რაც მოეძებნებოდა საჭმელად, და მან ***მისცა მას პური იგი, რომელ დაგებულ იყო წინაშე უფლისა,*** და რომლის ჭამაც მხოლოდ მღვდლებისთვის შეიძლებოდა. მოყვანილი მაგალითის ძალა ისაა, რომ თუკი არავის განუსჯია დავითი იმისათვის, რომ მოშიებულმა ეს პურები შეჭამა, მაშინ უფლის მოწაფენიც არ იმსახურებენ გაკიცხვას იმისათვის, რომ უფლის სამსახურში მყოფთ ზოგჯერ ჭამის დროც კი არ აქვთ და ახლა მოშიებულებმა დაარღვიეს მცნება შაბათის განსვენების შესახებ ასეთ წვრილმანში – დაკრიფეს თავთავები და ხელებით დაფშვნიტეს. მას შემდეგ, რაც თავისი მოწაფეების საქციელი გაამართლა, უფალმა განუცხადა მათ ის წყარო, საიდანაც მომდინარეობდა მისი მოწაფეების უსამართლო განკიცხვა. ეს არის საღვთო რჯულის ცრუგაგება. ფარისევლებს რომ გაცნობიერებული ჰქონოდათ, რომ მშიერისადმი თანაგრძნობითი სიყვარული აღემატება მამებისეულ გადმოცემებსა და სარიტუალო წეს-ჩვეულებებს, მაშინ არ განიკითხავდნენ უბრალოებს, რომლებმაც შიმშილის

მოსაკლავად პურის თავთავები დაკრიფეს. ადამიანი შაბათის დასაცავად კი არ არის შექმნილი, არამედ შაბათი ძეცა ადამიანს მისივე სარგებელისათვის. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია ადამიანი, მისი დაცვა სიკვდილისა და ძალების დაცლისგან, ვიდრე კანონი შაბათის შესახებ; ხოლო შაბათი რომ ყველა საქმიანობას არ კრძალავს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ დღეს ტაძარში მღვდლები კლავენ შეწირულ ცხოველებს, აძრობენ ტყავს, ამზადებენ მათ სამსხვერპლოდ და წვავენ, თუმცა ამისთვის მათ არავინ ადანაშაულებს შაბათის დარღვევაში. თუკი ტაძრის მსახურნი უდანაშაულონი არიან იმაში, რომ არღვევენ შაბათის განსვენებას, მაშინ მით უფრო უდანაშაულონი არიან იმის მსახურნი, ვინც ტაძარზე მეტია და ვინც თავად არის შაბათის უფალიც, – მას შეუძლია ისევე გააუქმოს ის, როგორც დაადგინა.

4. გამხმარხელიანის განკურნება შაბათს

(მათე12, 9-14; მარკოზი 3, 1-6;
ლუკა 6, 6-11)

ამ განკურნებით უფალმა კვლავ აღაშფოთა თავის წინააღმდეგ მწიგნობრები და ფარისევლები; ისინი, როგორც ჩანს, ყველგან დაჰყვებოდნენ მას იმ მიზნით, რომ ემხილებინათ მოსეს რჯულის დარღვევაში. დასმული კითხვით – ***ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არამე უპყრასა და აღმოიქუას იგი?*** – უფალმა აჩვენა, რომ მისი შეხედულებით მოწყალების საქმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შაბათის განსვენების შესახებ რჯულის დარღვევა და, საერთოდ, ქველმოქმედების გამო ამ განსვენების შეწყვეტა ნებადართულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. მრავალრიცხოვანი ხალხის შეკრება უფლის ირგვლივ და უხვი კურნება. უფალი გაურბის აღიარებას და წინასწარმეტყველება ამის შესახებ

(მათე 12, 15-21; მარკოზი 3, 7-12)

უფლის სინაგოგიდან გამოსვლის შემდეგ, სადაც მან გამხმარხელიანი კაცი განკურნა, მას გალილეადან ხალხის დიდი სიმრავლე გაჰყვა; მიმდევართა რიცხვში იყვნენ, აგრეთვე, იუდეველები იორდანის გაღმიდან და წარმართული ქვეყნებიდანაც. უფალმა მათ წინაშე მრავალი სასწაულებრივი კურნება აღასრულა, თუმცა, ყველას აუკრძალა ამ საქმეების გახმაურება. წმინდა მათე ამაში ხედავს ესაიას წინასწარმეტყველების აღსრულებას (თავი 42-ე, მუხ. 1-4) ღვთის საყვარელი ყრმის შესახებ. ამ წინასწარმეტყველებაში, რომელიც ეჭვგარეშეა, მესიას განეკუთვნება, წინასწარმეტყველი აქებს ქრისტეს სიმშვიდესა და სიმდაბლეს. ამ ადგილის მოყვანით წმინდა მათეს სურს, ებრაელებს აჩვენოს, რომ მათი წარმოდგენა მესიაზე, როგორც მიწიერ მეფე-დამპყრობელზე, რომელიც გააბატონებს ებრაელთა სამეფოს და მთელი ბრწყინვალებითა და დიდებით იმეფებს დავითის ტახტზე, მცდარია; ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველები იუწყებოდნენ მდაბალი და მშვიდი მესიის შესახებ, რომლის ხელმწიფებაც არა ამქვეყნიური იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა წარმართს უბოძებს რჯულს და მისი სახელი სასოებად ექნებათ ხალხებს.

6. თორმეტი მოციქულის გამორჩევა

(მათე 10, 2-4; მარკოზი 3, 13-19; ლუკა 6, 12-16)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჰყო რა მთელი ღამე ლოცვაში, უეჭველად, მის მიერ დაფუძნებული ეკლესიის შესახებ ვედრებაში, უფალმა ამის შემდეგ მთაზე (ძველი დროის მამების აზრით, ეს იყო თაბორის მთა) შეკრიბა თავისი მოწაფენი და მათგან 12 გამოირჩია, რათა მუდმივად ყოფილიყვნენ მასთან და შემდგომში შეძლებოდათ მის შესახებ დამოწმება. ესენი იყვნენ ერთგვარი მთავრები მომავალი ახალი ისრაელის 12 ტომისა. რიცხვი თორმეტი წმინდა წერილში დიდი მნიშვნელობის შემცველია, რადგან ის ორი ციფრის – 3 და 4 წარმონაქმნია: სამი – მარადიული არაქმნილი ღმერთის პირთა რიცხვია, ოთხი – მსოფლიოს მხარეთა რიცხვი. 12 აღნიშნავს ადამიანურისა და მიწიერის ღვთაებრივით განმსჭვალვას. პირველი სამი მახარებელი მოციქულთა საქმეთა წიგნში გვაძლევს 12 მოციქულის სახელობით სიას. ამ სიაში აღსანიშნავია, რომ მოციქულები ყველაგან გაყოფილნი არიან სამ ჯგუფად ოთხ-ოთხი კაცის შემადგენლობით. თანაც, თითოეული ჯგუფის სათავეში დგას ერთი და იგივე სახელები და თითოეულ ჯგუფში შედიან ერთი და იგივე პირები. მოციქულთა სახელები შემდეგია: 1. სიმონ-პეტრე, 2. ანდრია, 3. იაკობი, 4. იოანე, 5. ფილიპე, 6. ბართლომე, 7. თომა, 8. მათე, 9. იაკობ ალფესი, 10. ლევი ანუ თადეოზი, ასე უწოდებდნენ იუდეველები იუდა იაკობისას, 11. სიმონ კანანელი ანუ ზილოტი, 12. იუდა ისკარიოტელი. ბართლომე – ეს იგივე, ვისაც იოანე მახარებელი უწოდებს ნათანაელს. კანანელი – ეს არის ებრაულ ენაზე ბერძნული სიტყვის „ზილოტის“ თარგმანი, რაც ნიშნავს: „მოშურნე“. ასე ეწოდებოდა ებრაულ პარტიას, რომელიც ებრაული სა-

ხელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის მოშურნეობდა. სიტყვა „ისკარიოტი“ ითვლება, რომ ორი სიტყვისგან არის შედგენილი: „ის“ – მამაკაცი, და „კარიოტი“ – ქალაქის სახელწოდება. თვით სიტყვა „მოციქული“ ბერძნულიდან თარგმანით ნიშნავს: „წარგზავნილი“, რაც შეესაბამებოდა გამორჩეულთა დანიშნულებას, ყოფილიყვნენ საქადაგებლად წარგზავნილები. მათი ქადაგების დიდი წარმატებისათვის უფალმა ისინი შემოსა სნეულთა კურნებისა და ეშმაკთა განდევნის ხელმწიფებით.

7. ქადაგება მთაზე

(მათე მე-5, მე-6 და მე-7 თავები;
ლუკა 6, 12-49)

ქადაგება მთაზე მთლიანად მხოლოდ მათე მახარებელს აქვს გადმოცემული. შემოკლებით მას გადმოსცემს ლუკა მახარებელი, რომელთანაც მისი ცალკეული ნაწილები გვხვდება მისი სახარების სხვადასხვა ადგილებშიც. ქადაგება მთაზე მნიშვნელოვანია იმით, რომ შეიცავს სახარებისეული სწავლების მთელ შინაარსს. გენესარეთის ტბიდან არცთუ შორს, კაპერნაუმსა და ტიბერიას შორის, ახლაც აჩვენებენ „ნეტარებათა მთას“, სადაც იქადაგა უფალმა მრავალრიცხოვანი მსმენელის წინაშე. თავისი გამორჩეულობით ამაყი და დამოუკიდებლობის დაკარგვასთან შეურიგებელი ებრაელი ერი ოცნებობდა ისეთი მესიის მოსვლაზე, რომელიც გაათავისუფლებდა მას უცხოტომელთა ბატონობისგან, შურს იძიებდა ერის მტრებზე, გამეფდებოდა ებრაელებზე და დედამიწის ყველა ხალხს დაიმონებდა, ამასთან, მისცემდა ებრაელებს ზღაპრულ კეთილდღეობას: უბრძანებს ზღვას, რომ მან გამორიყოს მარგალიტები და ყველა თავისი საგანძური, ჩააცმევს ხალხს ძვირფასი

ქვებით დამშვენებულ ძოწეულის სამოსელს, გამოკვებავს ოქროს ერს კიდევ უფრო ტკბილი მანანით, ვიდრე მას ეძლეოდა უდაბნოში. ასეთი მცდარი ოცნებებით მიწიერი ნეტარების შესახებ, რომელიც მათთვის მესიას უნდა მოეტანა, ისინი გარს ერტყმოდნენ იესოს და ელოდნენ, რომ სულ მალე ის თავს გამოაცხადებდა ისრაელის მეფედ და დადგებოდა ნეტარების საუკუნე; დასრულდებოდა მათი ტანჯვა და დამცირება და დაიწყებოდა ბედნიერი, სიკეთით აღსავსე დღეები.

სწორედ ამ აზრებისა და გრძნობების პასუხად უცხადებს უფალი მათ სწავლებას ნეტარებების შესახებ, რითაც ძირფესვიანად გაანადგურა მათი ცდომილება. იგი აქ ისწავლის იმას, რასაც ნიკოდიმოსს ეუბნებოდა: აუცილებელია სულიერი განახლება, რომ შეიქნას დედამიწაზე საღვთო სასუფეველი, ადამიანების მიერ ეს დაკარგული სამოთხე, და ამით განემზადოს მარადიული ცხოვრების ნეტარება ზეციურ სასუფეველში. ამისკენ პირველი ნაბიჯია – გააცნობიერო საკუთარი სულიერი სიღატაკე, საკუთარი ცოდვიანობა და არარაობა, დამდაბლდე. აი, რატომაც არიან ნეტარნი ***გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.*** ნეტარ არიან ისინი, რომლებიც ხედავენ და აცნობიერებენ რა საკუთარ ცოდვებს, რომლებიც მათ სასუფეველში შესვლას უშლის ხელს, ტირიან მათ გამო, ამ გზით ურიგდებიან საკუთარ სინდისს და მშვიდდებიან, ნუგეშს პოულობენ. საკუთარი ცოდვების დამტირებელნი ისეთ შინაგან სიმყუდროვემდე მიდიან, რომ უკვე აღარ შესწევთ უნარი ვინმეზე განრისხდნენ, და ხდებიან მშვიდნი. მშვიდმა ქრისტიანებმა მართლაც დაიმკვიდრეს ქვეყანა, რომელსაც მანამდე წარმართები ფლობდნენ, მაგრამ ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას მომავალ ცხოვრებაშიც, ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწას, ცოცხალთა მიწას, რომელიც ამ ხრწნადი სამყაროს დანგრევის შემდგომ გამოჩნდება (გამოცხ. 21, 1). **ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს,** ანუ ვისაც გულით სწადია, რომ ყველაფერში ღვთის ნება აღესრულოს, – გაძღებიან, მიაღწევენ იმ სიმართლესა და ღმერთისგან განმართლებას, რაც იძლევა გულწრფელ სწრაფვას ღვთის ნებისამებრ ცხოვრებისა. ამიტომ **ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.** ეს ნიშნავს, რომ მოწყალეთ ღმერთი შეიწყალებს, და პირიქით: **სასჯელი უწყალო არს მათთჳს, რომელთა არა ყონ წყალობაჲ** (იაკ. 2, 13). გულწრფელი მოწყალების საქმენი გაწმენდს ადამიანის გულს ყოველგვარი ცოდვითი უწმინდურებისგან, ხოლო გულით წმინდანნი ნეტარნი არიან იმიტომ, რომ ისინი თავიანთი გულით, როგორც სულიერი თვალით, იხილავენ ღმერთს. ღმერთის მხილველნი ცდილობენ მიბაძონ მას, დაემსგავსონ მის ძეს, რომელმაც ადამიანი ღმერთთან შეარიგა და მას სულის სიმშვიდე მოუტანა. ასეთი ადამიანები უკვე ველარ იტანენ მტრობას და ხდებიან მშვიდობისმყოფელნი, – ყველგან მშვიდობის დამყარებას ცდილობენ. ამიტომ ისინიც ნეტარნი არიან, რამეთუ **ძედ ღმრთისად იწოდნენ.** ასეთ სულიერ სიმაღლეს მიღწეულნი მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ეს ცოდვილი სოფელი, რომელიც **ბოროტსა ზედა დგას** (1 იოანე 5, 19), შეიძულებს მათ იმ ღვთაებრივი სიმართლისათვის, რომლის მატარებლებიც ისინი არიან, და დაუწყებს დევნას, ლანძღვა-გინებას და ყოველნაირ შევიწროებას უფლისადმი ერთგულებისა და მისი საღვთო სწავლებისათვის. ასეთებს, რომლებიც მრავალ ჭირს ითმენენ აქ ქრისტესთვის, ზეცაში დიდი ჯილდო მოელით.

ეს ცხრა ახალაღთქმისეული მცნება, ნეტარების მცნებები, წარმოადგენს შემოკლებული სახით მთელ სახარებას. საგ-

ულისხმოა მათი განსხვავება ძველაღთქმისეული ათი მცნებისგან. იქ უპირატესად საუბარია ადამიანის გარეგნულ ქმედებებზე და კატეგორიული ფორმით არის მოთხოვნილი მკაცრი აკრძალვები. აქ კი უპირატესად საუბარი ეხება ადამიანის სულის შინაგან განწყობას და გადმოცემულია არა კატეგორიული მოთხოვნა, არამედ მხოლოდ ის პირობები, რომელთა შესრულების შემთხვევაში ადამიანი აღწევს მარადიულ ნეტარებას.

ლუკა მახარებელი ავსებს წმინდა მათეს მიერ გადმოცემულ სწავლებას ნეტარების შესახებ. მას მოჰყავს უფლის სიტყვები, რომელიც ყველა იმ ადამიანის გაფრთხილებას შეიცავს, ვინც ნეტარებას მხოლოდ მიწიერი სიკეთეებით ტკბობაში ხედავს. ***ვაჲ თქუენდა, მდიდარნო***, – ამბობს უფალი, და ამ მდიდრებს უპირისპირებს სულით გლახაკებს. აქ იგულისხმება არა უბრალოდ მიწიერი სიმდიდრის მფლობელნი, არამედ ვინც ამ სიმდიდრის იმედად არიან, – ამპარტავანნი, ქედმაღალნი. ***ვაჲ თქუენდა, განმაძღარნო აწ, რამეთუ გშიოდის;*** – იმათ საპირისპიროდ, ***რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათჳს;*** ეს ის ხალხია, რომელიც არ ეძებს ღვთის სიმართლეს და თავისი ცრუ სიმართლით კმაყოფილდება. ***ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით,*** – ასეთები, უეჭველია, უპირისპირდებიან მგლოვარებს გულითა; არიან უდიერნი, ზერელედ ეკიდებიან თავიანთ ცოდვილ ცხოვრებას. ბოროტებაზე მდგარ ქვეყანას უყვარს მასზე აყოლილნი, მისი ცოდვითი ჩვეულებებით მცხოვრებნი. ამიტომ ***ვაჲ თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ კაცნი,*** – რადგან ეს არის ნიშანი იმისა, რომ თქვენი ზნეობრივი მდგომარეობა არ არის კეთილი და ღმერთისთვის სათნო.

შემდეგ უფალი ამბობს, რომ ყველა მისი მიმდევარი, მისი მცნებების შემსრულებელი, იქნებიან ***მარილნი ქუეყანისანი.*** მარილი კერძს იცავს გაფუჭებისგან, აძლევს სიჯანსაღეს და სასიამოვნო გემოს. ასევე, ქრისტიანებმაც უნდა დაიცვან სოფელი ზნეობრივი გაცუდებისგან და ხელი შეუწყონ მის გამოჯანსაღებას. მარილი თავის მარილიანობას გადასცემს ყველა ნივთიერებას, რომელსაც ეხება, ასევე, ქრისტიანმა უნდა გადასცეს ქრისტეს სული ყველა დანარჩენ ადამიანს, ვინც ჯერ კიდევ არ გამხდარა ქრისტიანი. მარილი არ ცვლის თავისი შერევით ნივთიერების არსსა და გარეგნულ სახეს, – მხოლოდ გემოს აძლევს. ასევე, ქრისტიანობაც, ადამიანში და საზოგადოებაში ნგრევებს არ წარმოშობს, არამედ მხოლოდ აკეთილშობილებს ადამიანის სულს და ამით ახდენს ადამიანის ცხოვრების ფერისცვალებას, სძენს მას განსაკუთრებულ ქრისტიანულ ხასიათს. ***უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჲთამე დაიმარილოს?*** – აღმოსავლეთში მართლაც არსებობს მარილის ისეთი სახეობა, რომელიც წვიმის, მზისა და ჰაერის ზემოქმედებით კარგავს თავის მარილიან გემოს. ასეთ მარილს უკვე ვერაფრით გამოასწორებ. ასევე იმ ადამიანებს, რომლებმაც ერთხელ იგემეს სულიწმიდასთან ურთიერთობის მადლმოსილი გემო და ამის შემდეგ ჩავარდნენ ღმერთის წინააღმდეგობის მიუტევებელ ცოდვაში, უკვე აღარ შეუძლიათ სულიერი განახლება ღმერთის განსაკუთრებული შეწევნის გარეშე.

ქვეყნის ნათელი, საკუთრივ, არის უფალი იესო ქრისტე, მაგრამ რადგანაც მორწმუნენი აღიქვამენ ამ ნათელს და გამოასხივებენ მას ქვეყანად, ამიტომ ისინიც არიან ***ნათელნი სოფლისანი.*** ასეთები არიან განსაკუთრებით მოციქულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მათი მემკვიდრენი, ეკლესიის მწყემსნი, რომელთა ერთ-
შნულებაც სწორედ ისაა, რომ ანათონ ქრისტეს ნათელით.
უფალს სურს, აჩვენოს, თავისი ახალი რჯულის დამოკიდე-
ბულება ძველი აღთქმის რჯულთან, ამიტომ წინასწარ
აწყნარებს რჯულის მოშურნე იუდეველებს და ეუბნება, რომ
ის მოსულია რჯულის შესასრულებლად და არა მის დასა-
რღვევად. ქრისტე მართლაც მოვიდა დედამიწაზე იმისათვის,
რომ მასზე აღსრულებულიყო ღვთის სიტყვა, რათა გაეცხ-
ადებინა, აღესრულებინა და დაემტკიცებინა რჯულისა და
წინასწარმეტყველების მთელი ძალა – ეჩვენებინა მთელი
ძველი აღთქმის ჭეშმარიტი აზრი და სული. როგორ შეასრულა
მან რჯული? – კითხულობს ნეტარი თეოფილაქტე – უპირვ-
ელესად იმით, რომ შეასრულა ყოველივე, რაც წინასწარ
თქვეს მის შესახებ წინასწარმეტყველებმა. მან რჯული იმითაც
აღასრულა, რომ შეავსო ის: სრულყოფილად წარმოაჩინა ყო-
ველივე, რაც რჯულმა მხოლოდ ჩრდილის სახით წარმო-
ადგინა". მან მოგვცა უფრო ღრმა და სულიერი შემეცნება
ყველა ძველაღთქმისეული მცნებისა, გვასწავლა, რომ არ არის
საკმარისი შეასრულო ისინი მხოლოდ გარეგნულად, ფორმ-
ალურად. „იატა" არის ებრაული ალფაბეტის ყველაზე მცირე
ზომის ასო. როდესაც ამბობს, რომ ***იოტაც ერთი გინა რქაც
ერთი არა წარვდეს სშჯულისაგან,*** ამით უფალი ხაზს უსვამს,
რომ ღვთის რჯულიდან არაფერი დარჩება შეუსრულებელი.
ფარისევლები მცნებებს ყოფდნენ დიდებად და მცირეებად –
მნიშვნელოვნად და უმნიშვნელოდ, და ცოდვად არ თვლიდ-
ნენ რჯულის „მცირე" მცნებების დარღვევას; ამავე რიგს
მიაკუთვნებდნენ, სხვათა შორის, მცნებებს სიყვარულის, მო-
წყალებისა და მართლმსაჯულების შესახებ. ***უმცირეს ეწოდოს***

მას სასუფეველსა ცათასა, – ბერძნული გამოთქმის ხასიათის თანახმად, ეს ნიშნავს: განვარდება, ვერ შევა ცათა-სასუფეველში. მწიგნობართა და ფარისეველთა მართალი ცხოვრება ხასიათდებოდა მხოლოდ წვრილმანი წესების გარეგნული შესრულებით. ამიტომ ეს სიმართლე მათ გულებში თანაცხოვრობდა ქედმაღლობასთან, ამპარტავნებასთან სიმდაბლის სულისა და მშვიდი სიყვარულის გარეშე, რაშიც მათ უფალი ხშირად ამხელდა თავისი ძალითა და ხელმწიფებით. ასეთი გარეგანი, მოჩვენებითად მართალი ცხოვრებისაგან უფალი თავის მიმდევრებსაც აფრთხილებს.

შემდეგ, მთელი 5 თავის მანძილზე, დაწყებული 21-ე მუხლიდან, უფალი აჩვენებს, კერძოდ, რითი უნდა შეევსო ძველაღთქმისეული რჯული: იგი აქ ასწავლის ძველაღთქმისეული მცნებების სიღრმისეულად და სულიერად გაგებასა და შესრულებას. ცოტაა, რომ ადამიანი არ მოკლა ფიზიკურად, – ის მორალურადაც არ უნდა მოკლა. ***რომელი განურისხნეს ძმასა თჳსსა ცუდად, თანამდებ არს საშჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: „რაკა“, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თჳსსა: „ცოფ“, თანამდებ არს იგი გეჰენიასა მას ცეცხლისასა.*** აქ ებრაულ შეხედულებებთან შესაბამისობაში აღნიშნულია მოყვასის მიმართ რისხვის ცოდვის სხვადასხვა ხარისხი. ჩვეულებრივი სამოქალაქო სასამართლო განიხილავდა ნაკლებმნიშვნელოვან დანაშაულებს; უფრო დიდი და მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა ექვემდებარებოდა დიდ სინედრიონს, ანუ კრებას, უმაღლეს სასამართლოს, რომელიც მდებარეობდა იერუსალიმში და შედგებოდა 72 წევრისგან მღვდელთმთავრის თავმჯდომარეობით. „რაკა“ ნიშნავს ქარაფშუტა, უტვინო,

სულელ ადამიანს და გამოხატავს ზიზღს, დამცირებას, გაქილიკებას. „ცოფიანი“ (შლეგი) გამოხატავს მოყვასისადმი უკიდურეს ზიზღს ან მის სრულ უგულებელყოფას: ასე უწოდებდნენ არა მხოლოდ უგნურს, არამედ უწმინდურ, უსინდისო ადამიანსაც. ამ უმაღლესი ხარისხის რისხვისათვის სასჯელი არის – *ცეცხლის გეჰენია*. ასე ეწოდებდა ემონის ველს, რომელიც იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა და სადაც უკეთური მეფეების დროს მოლოხისადმი საძაგელი მსახურება აღესრულებოდა (4 მეფ. 23, 10; 2 ნეშ. 28, 3; იესო ნავ. 15, 8): ყრმებს ატარებდნენ ცეცხლში და ჩვილებს მსხვერპლად წირავდნენ. კერპთაყვანისმცემლობის შეწყვეტის შემდეგ ეს ველი გახდა საშინელებისა და ზიზღის საგანი. იქ იერუსალიმიდან მიჰქონდათ უწმინდურობანი და დაუსაფლავებელი გვამები; ზოგჯერ იქვე ხდებოდა სიკვდილით დასჯა. ჰაერი იქ იმდენად იყო მოწამლული, რომ მის გასაწმენდად მუდამ ცეცხლი ენთო. ამიტომ გახდა ეს ადგილი საშინელი და საზიზღარი, უწოდეს მას ცეცხლოვანი ველი და გახდა ერთგვარი სახე-ნიმუში ცოდვილების მარადიული სატანჯველისა. ქრისტიანის სიმშვიდე და სიყვარული მოყვასის მიმართ უნდა განივრცობოდეს იქამდე, რომ არამცთუ თვითონ არ უნდა რისხდებოდეს ვინმეზე, არამედ თავის წინააღმდეგაც არ იწვევდეს მოყვასის რისხვას, – რა თქმა უნდა, უკეთური გრძნობით. ამის საწინააღმდეგო განწყობა კი ხელს უშლის ღვთისადმი სუფთა სინდისით ლოცვის შეწირვას, ამიტომ უნდა იჩქარო ძმასთან შერიგება. რომის სასამართლოსთან შესაბამისობაში, რომლის თანახმადაც სესხის გამცემს შეეძლო თავისი მოვალე ძალით წაეყვანა მოსამართლესთან, ჩვენ მიერ განაწყენებული ძმა იწოდება ჩვენს „წინამოსაჯულად“ (მო-

მჩივნად), რომელსაც უნდა შევურიგდეთ ამ მიწიერი ცხოვრებაში – ***ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა,*** რომ არ გადაგვცეს მან მსაჯულს – ღმერთს, და არ მოგვეწიოს დამსახურებული ზღვევინება. წმინდა პავლე მოციქულიც აჩქარებდა დამჩაგვრელს შერიგებოდა დაჩაგრულს: ***მზე ნუ დაჰვალნ განრისხებასა თქუენსა*** (ეფეს. 4, 26).

ზუსტად ასევე, არ არის საკმარისი მხოლოდ გარეგნულად შეასრულო საღვთო რჯულის მე-7 მცნება: ***არა იმრუშო,*** და თავი შეიკავო მისი უხეში დარღვევისაგან თვით საქმით. ამაღლებს რა ამ მცნებას, უფალი ასწავლის, რომ არა მხოლოდ მრუშობის გარეგნული ქმედება არის დანაშაული, არამედ შინაგან სურვილიც, ქალზე ჟინით შეხედვა. წმინდა ათანასე დიდი ამბობს, რომ „გულში დედაკაცთან მრუშობს ის, ვინც მზად არის მასთან კავშირი საქმით აღასრულოს, მაგრამ ამაში ხელს უშლის ან ადგილი, ან დრო, ან სამოქალაქო კანონების შიში. ქალისკენ მიმართული ყველა მზერა არ არის ცოდვა, არამედ ისეთი მზერა, რომელიც შეერთებულია შინაგან სურვილთან, აღასრულოს მასთან მრუშობის ცოდვა“. ცოდვისგან ცდუნების შემთხვევაში უნდა გამოავლინო ისეთი გადაწყვეტილება ცდუნების მოსაკვეთად, რომ არ დაიშურო ყველაზე ძვირფასიც კი, როგორიც არის ადამიანისთვის მისი სხეულის ნაწილები – თვალი ან ხელი. ამ შემთხვევაში თვალი და ხელი აღნიშნავს ჩვენთვის ყველაზე ძვირფასის სიმბოლოს, რომელიც უნდა შევწიროთ იმისათვის, რომ აღმოვიფხვრათ ვნება და ავირიდოთ ცოდვაში ჩავარდნა.

ამასთან დაკავშირებით, უფალი უკრძალავს ქმარს ცოლთან განქორწინებას, – გარდა სიძვის მიზეზისა. მოსეს ძველაღთქმისეული რჯული (მეორე რჯ. 24, 1, 2) ქმარს ნებას აძლევს

გაეყაროს თავის ცოლს და მისცეს მას წერილობითი მოწმობა, რომ იგი იყო მისი ცოლი და ახლა უშვებს ამ თუ იმ მიზეზის გამო. ქმრის ასეთი ფართო უფლებების მიზეზით ქალის მდგომარეობა იმ დროს ძალიან მძიმე იყო.

უფალი სხვა ადგილას (მარკოზი 10, 2-12) ამბობს, რომ მოსემ ებრაელებს ცოლთან გაყრის ნება დართო მათი გულფიცხელობისათვის, რომ თავიდან ასე არ იყო, რომ ქორწინება ღმერთის მიერ დადგენილია, როგორც დაურღვეველი კავშირი. ის თავისთავად ირღვევა მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის მრუშობით. თუკი ქმარი ამ მიზეზის გარეშე გაეყრება ცოლს, მაშინ მას ამით მრუშობაზე უბიძგებს; ასევე, მრუშობის თანამონაწილე ხდება, ვინც განტევებულს შეირთავს.

ძველაღთქმისეული რჯული კრძალავს ღვთის სახელით დაფიცებას წვრლიმან, უბრალო საქმეებში, მით უმეტეს – სიცრუეში. საღვთო რჯულის მესამე მცნება კრძალავს ღმერთის სახელის გამოყენებას ამაოდ, კრძალავს ყოველგვარი სახის ქარაფშუტულ დამოკიდებულებას ღვთის სახელით დაფიცებასთან მიმართებით. უფალ იესო ქრისტეს თანამედროვენი, ცდილობდნენ რა ბუკვალურად შეესრულებინათ ღვთის სახელის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებიული ეს აკრძალვა, ამის ნაცვლად იფიცებდნენ ზეცას ან დედამიწას, იერუსალიმს, საკუთარ თავს და, ამგვარად, ღვთის სახელის გამოყენების გარეშე მაინც იფიცებდნენ ამაოდ და ცრუდ. სწორედ ამ ფიცს უკრძალავს მათ უფალი, რამეთუ ყოველივე შექმნილია ღმერთის მიერ: როდესაც იფიცებ რაიმე ქმნილებით, ესე იგი იფიცებ თვით მისი შემოქმედით, ხოლო როცა მას სიცრუეში იფიცებ, ეს ნიშნავს, რომ შეურაცხყოფ ფიცის სიწმინდეს. ქრისტიანი იმდენად პატიოსანი და მართალი უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ დასარწმუნებლად საკმარისი უნდა გახდეს მისი ერთი სიტყვა: ***ჰმᲂ ჰე და არაᲲ არა,*** – ყოველგვარი ფიცის გარეშე. მაგრამ მნიშვნელოვან საქმეებში ამით სრულებითაც არ იკრძალება კანონიერი ფიცი ან აღთქმა. თვით უფალმა დაამტკიცა სასამართლოზე, როდესაც მღვდელთმთავრის სიტყვებზე: ***გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა,*** უპასუხა: ***შენ სთქუ.*** რადგან სასამართლო ფიცის სწორედ ასეთი ფორმა ჰქონდა ებრაელებს (მათე 26, 63, 64). პავლე მოციქულიც იფიცებს, როდესაც მოუწოდებს ღმერთს თავისი სიტყვების ჭეშმარიტების დასამოწმებლად (რომ. 1, 9; 9, 1; 2 კორ. 1, 23; 2, 17; გალ. 1, 20 და სხვა); აკრძალულია უაზრო, არაფრისმთქმელი, ქარაფშუტული ფიცი.

ძველ დროში იმდენად გავრცელებული იყო შურისძიება, რომ აუცილებელი გახდა რამდენადმე ზომიერებაში მოეყვანათ მისი გამოვლინება; სწორედ ამას ემსახურებოდა ძველაღთქმისეული რჯული. ქრისტეს რჯული მთლიანად აუქმებს შურისძიებას, – ქადაგებს რა მტრების სიყვარულს. მაგრამ გამოთქმა ***არა წინა-აღდგომად ბოროტისა***, არაფრით არ უნდა გავიგოთ იმ აზრით, რომ თითქოს საერთოდ არ უნდა შეეწინააღმდეგო ბოროტებას, როგორც ამკვიდრებდა ამ აზრს ლევ ტოლსტოი და მისი მსგავსი ცრუმოძღვრები. უფალი გვიკრძალავს საპასუხო რისხვით აღვდგეთ იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც ბოროტება გვიყო, ***წინააღდგომად ბოროტისა,*** – მაგრამ ყოველგვარ ბოროტებასთან, როგორც ასეთთან, ქრისტიანი უნდა იყოს შეურიგებელი და ბოროტებას უნდა ებრძოლოს ყველა მისაღები გზით, – მთავარია, თავის გულში არ დაუშვას ბოროტება. ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ სიტყვები: ***რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა,***

მიუპყარ მას ერთკერძოდცა, რადგან ვიცით, რომ თვითონ ქრისტე სხვაგვარად მოიქცა, როდესაც მღვდელთმთავარმა ანამ სასამართლოზე მსახურმა მას სილა გააწნა (იოანე 18, 22, 23). არა მხოლოდ ზოგადად ბოროტმოქმედების, არამედ, ასევე, ჩვენი პირადი შეურაცხმყოფლების გამოსწორებასაც უნდა ვეცადოთ, რის შესახებაც პირდაპირი მცნება გვაქვს უფლისგან მათეს სახარებაში (18, 15-18). აკრძალულია შურისძიების ბოროტი გრძნობა და არა – ბოროტებასთან ბრძოლა; აკრძალულია დავა და კამათი პირადი გამორჩენისათვის, და პირიქით, განგვეწესება მოყვასის საჭიროების დაკმაყოფილება: ***რომელი გთხოვდეს შენ, მიეც.*** ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმ შემთხვევებს, როდესაც მთხოვნელისათვის სათხოვარის მიცემა არა მხოლოდ უსარგებლო, არამედ საზიანოც კია: მოყვასისადმი ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული არ დაუშვებს, მაგალითად, მთხოვნელისათვის დანის მიცემას, როდესაც მას ვინმეს მოკვლა აქვს განზრახული, ან შხამის მიცემას, როცა მას თავის მოკვლა აქვს ჩაფიქრებული.

ძველ აღთქმაში ჩვენ ვხედავთ მცნებას: ***მოიძულო მტერი შენი,*** მაგრამ, როგორც ჩანს, იუდეველებმა თვითონ ამოიღეს თავისთვის ასეთი მცნება მოყვასისადმი სიყვარულის შესახებ მცნებიდან, რადგან „მოყვასად“ ისინი მიიჩნევდნენ მხოლოდ ახლობლებს რწმენის, წარმოშობის ან ურთიერთდახმარებიდან გამომდინარე. დანარჩენებს კი, უცხორწმენის ან უცხოტომის ადამიანებს ისინი მტრებად თვლიდნენ და მათდამი სიყვარული უადგილოდ მიაჩნდათ. ქრისტემ კი მცნებად მოგვცა, რომ როგორც ჩვენს ზეციერ მამას, რომლისთვისაც უცხოა მრისხანება და სიძულვილი, უყვარს ყველა ადამიანი, მათ შორის ბოროტნიც და უსამართლონიც, როგორც თავისი შვილები;

ასევე, ჩვენც, თუ გვინდა, რომ ზეციერი მამის ღირსეული შვილები ვიყოთ, ყველა უნდა გვიყვარდეს, – ჩვენი მტრებიც კი. უფალს სურს, რომ მისი მიმდევრები ზნეობრივად აღმატებულნი იყვნენ იუდეველებსა და წარმართებზე, რომელთა სიყვარულიც არსებითად თავისმოყვარეობას ეფუძნება. სიყვარული ღმერთისთვის, ღვთის მცნებებისთვის ჯილდოს იმსახურებს, მაგრამ სიყვარული ბუნებრივი მიდრეკილებით ან საკუთარი ყოფითი ცხოვრების სარგებლისათვის, არანაირ ჯილდოს არ იმსახურებს. ასე ნელ-ნელა, ქრისტიანული სრულყოფილების კიბეზე აღმასვლით, ქრისტიანი საბოლოოდ მიაღწევს უმაღლეს და ბუნებრივი და აუღორძინებელი ადამიანისათვის უძნელეს მცნებას მტრის სიყვარულის შესახებ, რომლითაც ამთავრებს უფალი მთაზე თავისი ქადაგების პირველ ნაწილს. უფალს, თითქოსდა, უნდა უჩვენოს, თუ რამდენად ამსგავსებს ამ მცნების შესრულება უძლურ და არასრულყოფილ ადამიანს ღმერთთან და ადასტურებს, რომ ქრისტიანული სრულყოფილების იდეალი სწორედ ღვთისმსგავსებაშია: ***იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს.*** ეს სრულად ეთანხმება საღვთო გეგმას, რომელიც გამოხატულია ჯერ კიდევ ადამიანის შექმნისას: ***ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა*** (დაბ. 1, 26). ღმრთეებრივი სიწმინდე ჩვენთვის მიუწვდომელია, ამიტომ აქ იგულისხმება არა თანასწორება ჩვენსა და ღმერთს შორის, არამედ ერთგვარი შინაგანი მსგავსება, ადამიანური სულის თანდათანობითი მიახლოება თავის პირველხატებასთან მადლის დახმარებით.

მთაზე ქადაგების მეორე ნაწილში, რომელიც მათეს სახარების მე-6 თავის შინაარსს შეადგენს, უფალი გადმოგვცემს სწავლებას მოწყალების, ლოცვისა და მარხვის შესახებ და

შეგვაგონებს, რომ უნდა ვისწრაფოთ ადამიანის ცხოვრების მთავარი მიზნის – ცათა სასუფევლისაკენ. უთხრა ერთ-ერთ მოწაფეებს, რისი ქმნა მართებთ და რისი არა, იმისათვის, რომ ნეტარებას მიაღწიონ. უფალი ამის შემდეგ გადადის ახსნაზე, თუ როგორ უნდა შევასრულოთ მისი მცნებები. არც მოწყალების და არც ღვთისთაყვანისცემის საქმეები, როგორიცაა ლოცვა და მარხვა, არ უნდა შევასრულოთ მოჩვენებითად, ადამიანებისგან ქება-დიდების მისაღებად, რადგან ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ადამიანთა შექება იქნება ჩვენი ერთადერთი ჯილდო. პატივმოყვარეობა მატლივით ღრღნის ჩვენს კეთილ საქმეებს, ამიტომ უმჯობესია დაფარულად ვაკეთოთ კეთილი საქმენი, რათა არ მოვაკლდეთ მისაგებელს ჩვენი ზეციერი მამისგან. აქ, რა თქმა უნდა, არ იკრძალება წყალობის გაცემა ღიად, მაგრამ იკრძალება ამის გაკეთება იმ მიზნით, რომ ყურადღება მიიქციო და ადამიანებისგან შექება მიიღო. არც ტაძარში ლოცვა იკრძალება, მაგრამ იკრძალება განზრახ სხვების დასანახად ლოცვა. წმინდა იოანე ოქროპირის აზრით, ჩაკეტილ ოთახშიც შეიძლება პატივმოყვარეობით ლოცვა და მაშინ კარის ჩაკეტვა არანაირი სარგებლის მომტანი არ არის. ლოცვაში მრავალსიტყვაობა ადასტურებს წარმართების აზრს ლოცვის, როგორც ფიცის შესახებ, რომელსაც რაც უფრო ბევრჯერ იმეორებ, მით უფრო ქმედით ძალას იძენს. ჩვენ იმიტომ კი არ ვლოცულობთ, რომ ღმერთმა ჩვენი საჭიროება არ იცოდეს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ლოცვის საშუალებით გული გავიწმინდოთ, დავამყაროთ სულით შინაგანი ურთიერთობა ღმერთთან და მისი წყალობის ღირსნი გავხდეთ. ღმერთთან ეს თანაზიარობა არის სწორედ ლოცვის მიზანი, რომლის მიღწევაც არ არის დამოკიდებული

წარმოთქმული სიტყვების რაოდენობაზე. კიცხავს რა მრავალ-
სიტყვაობას, უფალი იმავდროულად მრავალჯერ გვაძლევს
მცნებას, რომ მოუკლებლად ვილოცოთ; გვასწავლის, რომ
ყოველთვის უნდა ვლოცულობდეთ და არ მოვიწყინოთ (ლუკა
18, 1), თვითონაც ღამეებს ატარებდა ლოცვაში. ლოცვა
გონივრული უნდა იყოს: ჩვენ ისეთი თხოვნით უნდა მივმართოთ
ღმერთს, რომელიც მისი ღირსია და რომლის შესრულებაც
ჩვენს ცხონებას შეეწევა. ასეთ ლოცვაში განსასწავლად უფალი
გვაძლევს ლოცვის ნიმუშს – „მამაო ჩვენო"-ს; ამიტომაც
მიიღო მან სახელწოდება „საუფლო ლოცვა". როგორც ნიმუში,
ეს ლოცვა სრულებითაც არ გამორიცხავს სხვა ლოცვებს:
თავად უფალი ლოცვისას სხვა ლოცვებს წარმოთქვამს (იო-
ანე მე-17 თავი). როდესაც ღმერთს მამას ვუწოდებთ, ამით
ჩვენ მის შვილებად ვაცნობიერებთ თავს, ხოლო ერთმანეთთან
დამოკიდებულებით – ძმებად და ვლოცულობთ არა მხოლოდ
საკუთარი სახელით და საკუთარი თავისთვის, არამედ ყველას
სახელით და ყველასათვის. როდესაც ვამბობთ: ***რომელი ხარ
ცათა შინა,*** ამით უარვყოფთ ყოველგვარ მიწიერს და გონებითა
და გულით ავდივართ ზეციურ სამყაროში. ***წმიდა იყავნ სახელი
შენი*** – დაე, შენი სახელი ყველა ადამიანისთვის წმინდა
იყოს, დაე, ყველა ადამიანმა განადიდოს ღმერთის სახელი
თავიანთი სიტყვებითა და საქმეებით. ***მოვედინ სუფევაჲ შენი***
– სასუფეველი ქრისტე მესიისა, რაზედაც ყველა იუდეველი
ოცნებობდა, თუმცა არასწორად, გრძნობიერი სახით წარმოე-
დგინათ ეს სასუფეველი; აქ ჩვენ იმაზე ვლოცულობთ, რომ
უფალი გამეფდეს ყველა ადამიანის გულში და ამ დროებითი
მიწიერი ცხოვრების შემდეგ ღირსგვყოს მარადიული ნეტარი
ცხოვრებისა მასთან თანაზიარებით. ***იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა – დაე, სამყაროში: ყოველივე აღსრულდეს ღმერთის ყოვლადსახიერი და ყოვლადბრძენი ნების თანახმად და ჩვენც, დაე, ასევე სიხარულით ვასრულებდეთ ღვთის ნებას ამქვეყნად, როგორც ანგელოზები ასრულებენ ზეცად. ***პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს,*** – მომეც ჩვენ დღეს, რაც აუცილებელია ჩვენი ხორციელი საკვებისათვის; რა მოგვივა ხვალ, ჩვენ არ ვიცით: ჩვენ ვსაჭიროებთ მხოლოდ „არსობის პურს", ანუ ყოველდღიურ, ჩვენი არსებობისათვის აუცილებელ სახმარს.

და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა (ლუკა 11, 4): ცოდვები – ეს ჩვენი ვალებია, რადგან, როდესაც ვცოდავთ, მაშინ ჩვენ არ ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებას და ვრჩებით მოვალენი ღვთისა და ადამიანების წინაშე. ეს თხოვნა განსაკუთრებული ძალით შეგვაგონებს აუცილებლობას, მივუტევოთ წყენა ყველა ჩვენს ახლობელს: თუ სხვას არ მივუტევებთ, მაშინ ვერ გავბედავთ ღმერთს ვთხოვოთ ჩვენი ცოდვების მოტევება, ვერ გავბედავთ ვილოცოთ საუფლო ლოცვის სიტყვებით. ***და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა,*** – ჩვენი ზნეობრივი ძალების გამოცდა რაიმე არაზნეობრივი ქმედებისაკენ მიდრეკის გზით. ჩვენ აქ შევთხოვთ ღმერთს, დაგვიფაროს დაცემისგან, თუკი ასეთი გამოცდა ჩვენი ზნეობრივი ძალებისათვის მაინდამაინც ასე აუცილებელი და გარდაუვალია. ***არამედ მიჴსნენ ჩუენ ბოროტისაგან,*** – ყოველგვარი ბოროტებისა და მისი მიზეზის, ეშმაკისაგან. ლოცვა მთავრდება იმ დარწმუნებით, რომ მივიღებთ, რასაც ვითხოვთ, რადგან ღმერთს ეკუთვნის სამყაროში მარადიული სასუფეველი, უსასრულო ძლიერება და დიდება. სიტყვა „ამენ" (ამინ) ებრაულად ნიშნავს

„ასეა“. „ნამდვილად“, „ჭეშმარიტად“, „დაე“. ამ სიტყვას სინაგოგაში გამოთქვამდნენ მორწმუნენი ხუცესის მიერ წარმოთქმული ლოცვის დასადასტურებლად.

უფლის სწავლება მარხვის შესახებ, რომელიც ასევე ღმერთისთვის უნდა სრულდებოდეს და არა ადამიანური შექებისათვის, აშკარად მოწმობს, თუ რაოდენ არასწორად მსჯელობს ის, ვინც ამბობს, უფალს მარხვა არ დაუწესებიაო თავისი მიმდევრებისთვის. მარხვის დროს ისე არ უნდა შევიცვალოთ ჩვენი გარეგნული სახე, რომ ამით ყურადღება მივიქციოთ. აღმოსვლეთში მიღებული იყო ტანის დაბანის შემდეგ ზეთის ცხება, განსაკუთრებით, თავზე; ფარისევლები კი მარხვის დღეებში არ იბანდნენ, თმას არ ივარცხნიდნენ და ზეთს თავზე არ იცხებდნენ, რითაც საყოველთაო ყურადღებას იქცევდნენ. სწორედ ამას საყვედურობს მათ უფალი.

შემდეგ, მე-6 თავის მე-19 მუხლიდან დაწყებული, უფალი გვასწავლის, უპირველეს ყოვლისა, ვეძებოთ ცათა სასუფეველი და ეს ძებნა არ შევწყვიტოთ სხვა რაიმე საზრუნავის გამო: არ უნდა ·ვიზრუნოთ მიწიერი საუნჯის მოპოვებასა და შეგროვებაზე, რომლებიც წარმავალია და ადვილად იხრწნება და ნადგურდება. ვისაც სად აქვს დაგროვილი საუნჯე, სწორედ იქ არის მუდმივად მისი აზრი, გრძნობა და სურვილი. ამიტომ, რადგან ქრისტიანი თავისი გულით ზეცაში უნდა იმყოფებოდეს, უმართებულოა მისთვის მიწიერი მონაპოვრებით გატაცება; აუცილებელია ზეციური საუნჯეების მოპოვების მცდელობა, როგორიცაა სხვადასხვა სათნოება. ამიტომ თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ გულს; უნდა დავიცვათ მიწიერი სურვილებისა და ვნებებისგან, რათა ის მუდამ იყოს ჩვენთვის სულიერების მატარებელი, ზეციური ნათელი, როგორც

ხორციელი თვალი არის ჩვენთვის ნივთიერი ნათლის მაჯარებელი. ვინც ცდილობს ერთდროულად ღმერთსაც ემსახუროს და მამონასაც (მამონა – ასურული ღვთაება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს; მფარველი მიწიერი სიმდიდრისა და სიკეთეებისა, როგორც პლუტოსი ბერძნებთან), ის იმ ადამიანს ემსგავსება, ვისაც სურს ორ ბატონს ემსახუროს, რომელთაც სხვადასხვა ხასიათი და მოთხოვნილება აქვთ და, ცხადია, ეს შეუძლებელია. უფალს მივყავართ ზეციურისა და მარადიულისკენ, ხოლო სიმდიდრეს – მიწიერისა და ხრწნადისკენ. ამიტომ იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ასეთ გაორმაგებას, რაც ხელისშემშლელია ცხონების საქმისათვის, უარი უნდა ვთქვათ მეტისმეტ, ზედმეტ, მოუსვენარ, დამღლელ ზრუნვაზე საჭმლის, სასმელისა და სამოსლის შესახებ, – ისეთ ზრუნვაზე, რომელიც ნთქავს მთელ ჩვენს დროსა და ყურადღებას და განგვაშორებს სულის ცხონებაზე ზრუნვისგან. თუკი ღმერთი ასე ზრუნავს უგუნურ ქმნილებებზე, აძლევს რა ფრინველებს საჭმელს და ბრწყინვალედ აცმევს მინდვრის ყვავილებს, მაშინ მით უფრო არ დატოვებს ის ადამიანს მიწიერი ცხოვრებისათვის ყოველგვარი აუცილებელი სახმარის გარეშე; ადამიანს, რომელიც მან თავისი ხატისამებრ შექმნა და მოუწოდა, იყოს მემკვიდრე საღვთო სასუფევლისა. მთელი ჩვენი ცხოვრება ღმერთის ნებაზეა დამოკიდებული და არა ჩვენს ზრუნვაზე: განა რომელიმე ჩენგანს შეუძლია თვითონ ***ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თჳსსა წყრთა ერთ?*** თუმცა, ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტიანმა უარი უნდა თქვას შრომაზე და უქმობას მიეცეს, – როგორც ცდილობდა ზოგიერთი მწვალებელი განემარტა მთაზე ქადაგების ეს ადგილი. შრომა ადამიანს მცნებად მიეცა ღმერთისგან

ჯერ კიდევ სამოთხეში, ცოდვით დაცემამდე (დაბ. 2, 15), რაც კვლავ იქნა დამოწმებული ადამის სამოთხიდან გაძევებისას (დაბ. 3, 19). აქ განკიცხულია არა შრომა, როგორც ასეთი, არამედ მეტისმეტი, დამაუძლურებელი ზრუნვა მომავალზე, ხვალინდელ დღეზე, რომელიც არ არის ჩვენს ხელმწიფებაში და იქამდე (ხვალინდელ დღემდე) კიდევ უნდა მივაღწიოთ. აქ მხოლოდ მითითებულია ფასეულობათა სათანადო იერარქია: ***ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა,*** – ამისთვის ჯილდოს სახით უფალი თავად იზრუნებს თქვენზე, რათა გქონდეთ ყოველივე აუცილებელი მიწიერი ცხოვრებისათვის. ყოფიერი ცხოვრებისათვის სახმარ ნივთებზე ზრუნვამ არ უნდა დაგტანჯოთ და დაგღალოთ, როგორც ის პირები იტანჯებიან, რომლებსაც არ სწამთ ღვთის განგებულებისა. მთაზე ქადაგების ეს ნაწილი (მათე 6, 25-34) წარმოგვიდგენს ღვთის განგებულების შესანიშნავ სურათს, – თუ როგორ ზრუნავს შემოქმედი თავის ქმნილებაზე. ***ნუ ჰზრუნავთ ხვალისათჳს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თჳსისა,*** – ხვალინდელი დღე არ არის ჩვენს ძალაუფლებაში, და ჩვენ არ ვიცით, რას მოგვიტანს ის: შესაძლოა ახალი საზრუნავი მოგვიტანოს, რომლის შესახებ ჩვენ არც კი ვფიქრობთ.

მთაზე ქადაგების მესამე ნაწილი, რომელსაც მათეს სახარების მე-7 თავშია გადმოცემული, გვასწავლის, რომ მოყვასი არ უნდა განვიკითხოთ, სიწმინდეები უნდა დავიცვათ შებილწვისაგან, მუდმივად უნდა ვილოცოთ; გვასწავლის, აგრეთვე, ვიწრო და ფართო გზის, ცრუ წინასწარმეტყველების, ჭეშმარიტი და ცრუ სიბრძნის შესახებ.

ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ, – ამ სიტყვებს წმინდა ლუკა შემდეგნაირად გადმოსცემს: ***ნუ დაშჯით და***

არა დაისაჯნეთ (6, 37). აქ აკრძალულია, შესაბამისად, არა „მსჯელობა“ მოყვასის შესახებ, არამედ მისი „განსჯა“, მასზე ჭორაობა, ბოროტსიტყვაობა გამოწვეული, უმთავრესად, თავისმოყვარეობისა და უწმინდური აზრებისაგან; პატივმოყვარეობისა და ამპარტავნებისაგან. აკრძალულია უსიყვარულობით გამოწვეული ბოროტი ენების მიტან-მოტანა, სხვისი ნაკლოვანებების ღვარძლიანი განკითხვა, არაკეთილგანწყობა მოყვასის მიმართ. აქ რომ საერთოდ აკრძალული ყოფილიყო მსჯელობა მოყვასისა და მისი საქციელების შესახებ, მაშინ უფალი შემდგომში არ იტყოდა: ***ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა,*** და ვერ შეძლებდნენ ქრისტიანები შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა – ემხილებინათ და შეეგონებინათ შემცოდებელნი, რასაც თავად უფალი განაწესებს (მათე 18, 15-17). აკრძალულია ბოროტი განწყობა, სხვისი წარუმატებლობით გახარება, მაგრამ არა შეფასება მოყვასის საქციელისა, რადგან თუკი ბოროტებაზე თვალს დავხუჭავთ, მაშინ ადვილად დაგვჩემდება გულგრილობა კეთილის მიმართაც და დავკარგავთ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარს. აი, რას ამბობს ამის შესახებ წმინდა იოანე ოქროპირი: „თუ ვინმე მრუშობს, ნუთუ მე არ უნდა ვუთხრა, რომ მრუშობა ბოროტებაა და ნუთუ არ უნდა შევეცადო გარყვნილის გამოსწორებას? გამოასწორე, მაგრამ არა როგორც მოწინააღმდეგემ და არა როგორც მტერმა უნდა დასაჯო ის, არამედ როგორც მკურნალმა და გამოუწერო შესაბამისი კურნება. კი არ უნდა გაიცხო და გალანძღო, არამედ შეაგონო; კი არ დაადანაშაულო, არამედ ურჩიო; ამპარტავნებით კი არ დაესხა თავს, არამედ სიყვარულით გამოასწორო“. აქ ქრისტე გვიკრძალავს,

არაკეთილი გრძნობით გავკიცხოთ ადამიანები მათი ნაკლოვანებისათვის, მაშინ როდესაც საკუთარ ნაკლოვანებებს ვერ ვამჩნევთ, – შესაძლოა, უფრო მეტსაც, – მაგრამ აქ საუბარი არ არის სამოქალაქო სასამართლოზე, როგორც ცდილობენ ამის წარმოჩენას ზოგიერთი ცრუმოძღვრები და საერთოდ არ არის საუბარი ადამიანურ შეფასებაზე. აქ უფლის სიტყვებში იგულისხმება ამპარტავანი თავდაჯერებული ფარისევლები, რომლებიც უმოწყალოდ განიკითხავდნენ სხვა ადამიანებს და მხოლოდ საკუთარი თავი მიაჩნდათ პატიოსნებად. აქვე, ამის შემდეგ, უფალი აფრთხილებს თავის მოწაფეებს, რომ არ უნდა უქადაგონ მისი საღვთო სწავლება – ეს ჭეშმარიტი მარგალიტი – იმ ადამიანებს, რომლებსაც ძაღლებისა და ღორების მსგავსად არ შესწევთ უნარი დააფასონ ის საკუთარი უკიდურესი დადგრომილობით ბოროტებაში და, რომლებიც, ჩაიძირნენ რა გარყვნილებაში, უწმინდურობასა და ბოროტმოქმედებაში, სასტიკი ღვარძლით ეპყრობიან ყოველნაირ სიკეთეს.

შემდეგ შეგონებაში: ***ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ,*** – უფალი გვასწავლის სიმტკიცეს, მოთმინებას და გულმოდგინებას ლოცვაში. ჭეშმარიტი ქრისტიანი, რომელსაც ახსოვს უფლის დარიგება: ***ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა,*** – არ დაიწყებს ლოცვაში რაიმე ისეთის თხოვნას, რაც მისი სულისთვის მავნებელი იქნება და ამიტომ შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ მისი ლოცვისამებრ „მიეცემა მას“ და „განეღება“, – როგორც აღუთქვამს უფალი გულმოდგინე მლოცველებს. წმინდა მათე ამბობს: ***მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას!*** ხოლო წმინდა ლუკა სიტყვებით: ***მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას,*** – განმარტავს, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორია ეს სიკეთეები, რომლებიც უნდა ვითხოვოთ ღმერთისგან. ამ
არ მისცემს შვილს რაიმე საზიანოს, ამიტომ უფალიც მხოლ-
ოდ იმას აძლევს ადამიანს, რაც მისთვის ნამდვილად სასიკეთოა.

დასასრულ, სხვა ადამიანებთან ჩვენი დამოკიდებულების შესახებ უფალი გამოთქვამს წესს, რომელსაც „ოქროს წესს" უწოდებენ: ***ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინაჲსწარმეტყუელნი,*** – ადამიანების მიმართ სიყვარული ხომ ანარეკლია ღვთის მიმართ სიყვარულისა, როგორც სიყვარული ძმების მიმართ არის ანარეკლი მშობლების მიმართ სიყვარულისა. ქრისტე გვაფრთხილებს, რომ მისი მცნებების მიმდევრობა არ არის იოლი საქმე: ეს არის „იწრო ბჭე" და „საჭირველ გზაჲ", სამაგიეროდ ამ კარით და გზით შევდივართ მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში მაშინ, როდესაც ფართო და ვრცელ გზას, რომელიც მიმზიდველია იმათთვის, ვისაც არ უყვარს ცოდვის გამომწვევ ვნებებთან ბრძოლა, წარსაწყმედელში მიჰყავს.

აქვე აფრთხილებს უფალი თავის მიმდევრებს სხვადასხვა ცრუ მოძღვრებისა და ცრუ წინასწარმეტყველებისგან, რომლებსაც შეუძლიათ გადააცდინონ ისინი ამ ერთადერთი მაცხონებელი გზიდან; ასეთები არიან თანამედროვე ცხოვრებაში მრავალრიცხოვანი სექტანტები, რომლებიც ასე მიმზიდველად ქადაგებენ ცხონების ადვილად მოპოვებაზე ამ ვიწრო ბჭისა და შეჭირვებული გზის გვერდის ავლით. ამ ცრუ მოძღვრებს გარეგნობა მშვიდი ცხვრებისა აქვთ, მაგრამ შინაგანად ისინი მტაცებელ მგლებს ჰგვანან, რომლებიც ღუპავენ გულუბრიყვილო და მიმნდობ ცხვრებს. ამ ცრუ მოძღვრების შეცნობა შეიძლება მათი ნაყოფით, ანუ მათი ცხოვრებითა

და საქმეებით. თითქოსდა, თანამედროვე სექტანტების წინამ-
დეგ – რომლებიც ადამიანების გამართლებას ასწავლიან მხ-
ოლოდ რწმენით, საქმეების გარეშე – არის მიმართული უფ-
ლის შემდეგი სიტყვები: ***არა ყოველმან რომელმან მრქუას
მე: „უფალო, უფალო“, შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა,
არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ.*** აქ
აშკარად ჩანს, რომ ცოტაა, მხოლოდ გწამდეს უფალი იესო
ქრისტე: აუცილებელია ამ რწმენის შესაბამისი ცხოვრება,
ანუ კეთილი საქმეების, ქრისტეს მცნებების შესრულება. ქრის-
ტიანული მოძღვრების ქადაგების დასაწყისში ბევრი მარ-
თლაც აღასრულებდა სასწაულებს ქრისტეს სახელით, იუდაც
კი, რომელმაც ეს ხელმწიფება სხვა თერთმეტ მოციქულთან
ერთად მიიღო, მაგრამ ამან არ უშველა, რადგან ასეთი ად-
ამიანები არ ზრუნავდნენ ღვთის მცნებების შესრულებაზე.

იმავე აზრს უფალი იმეორებს მთაზე თავისი ქადაგების
ბოლოს: ვინც მხოლოდ ისმენს ქრისტეს სიტყვებს, მაგრამ არ
ასრულებს მათ, ანუ არ იქმს კეთილ საქმეებს, ის იმ ადამიანს
ჰგავს, რომელიც ქვიშაზე იშენებს სახლს; და მხოლოდ ქრისტეს
მოძღვრების მცნებათა საქმით აღმსრულებელნი ემსგავსებიან
თავიანთი სახლის კლდეზე მაშენებელთ. ეს შედარება განსა-
კუთრებით გასაგები იყო იუდეველებისათვის, რადგან პალეს-
ტინაში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ძლიერ წვიმასა
და ქარს სახლები წაუქცევია, რომლებიც ქვიშის ნიადაგზე
იყო აშენებული; მხოლოდ ქრისტეს მცნებების შემსრულე-
ბელთ შეუძლიათ ქარიშხალივით თავსდატეხილ განსაცდელებს
გაუძლონ. ვინც ქრისტეს მცნებებს არ ასრულებს, ის ადვი-
ლად შეიძლება სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს, ქრისტე უა-
რყოს და დაიღუპოს. ამიტომაც სთხოვს ჩვენი ეკლესია თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალობებში ქრისტე მაცხოვარს, გაგვამყაროს თავისი მცნებების კლდეზე.

წმინდა მათე მთაზე ქადაგების შესახებ თავის მონათხრობს ამთავრებს იმის დამოწმებით, რომ ხალხს უკვირდა ქრისტეს მოძღვრება, ***რამეთუ იყო სწავლად იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის ჴელმწიფებად აქუნ,*** – და არა როგორც მწიგნობრები და ფარისევლები ასწავლიდნენ. ფარისეველთა სწავლება უმეტესწილად შედგებოდა წვრილმანებისგან, უსარგებლო სიტყვების ნაკადისგან მაშინ, როდესაც ქრისტეს სწავლება იყო უბრალო დ ამაღლებული, რადგან ის საუბრობდა, როგორც ძე ღვთისა; საუბრობდა ისე, როგორც მანამდე არავის უსაუბრია და თანაც თავისი სახელით ლაპარაკობდა: ***ხოლო მე გეტყუ თქუენ***, – მის სიტყვებში აშკარად იგრძნობოდა საღვთო ხელმწიფება და ძალა.

8 კეთროვანის განკურნება
(მათე 8, 1-4)

როდესაც თავისი ქადაგების შემდეგ უფალი იესო ქრისტე მთიდან ჩამოვიდა, მას გაჰყვა მსმენელთა დიდი სიმრავლე. ეჭვგარეშეა, რომ ეს ხალხი ღრმად იყო შეძრული მისი ქადაგებით. და აი, მასთან კვლავ მივიდა – როგორც ეს ერთხელ უკვე იყო, რის შესახებაც მოგვითხრობენ მარკოზ და ლუკა მახარებლები (მარკოზი 1, 40-45; ლუკა 5, 12-16) – კეთროვანი და ითხოვა მისგან ამ საშინელი ავადმყოფობისგან განკურნება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო კეთროვანთა განკურნების ერთეული შემთხვევა, თუ არ ჩავთვლით მის მიერ აღსრულებულ უამრავ სასწაულსა და სხვადასხვა სახის კურნებას მისი საზოგადოებრივი მსახურების პერიოდში. არ არის გასაკვი-

ქართული ბიბლიოთეკა

რი, რომ ეს შემთხვევა აღწერილია პირველის მსგავსად; არ არის გასაკვირი, რომ ამ კეთროვანსაც უფალმა უბრძანა მღვდელთან მისვლა, რათა მას, მოსეს რჯულის განწესების თანახმად, ოფიციალურად დაემოწმებინა განკურნების ფაქტი, რომლის გარეშეც ყოფილი კეთროვანი ვერ დაბრუნდებოდა ჯანმრთელი ადამიანების საზოგადოებაში: შიშით არავინ გაეკარებოდა, ყველა განერიდებოდა, როგორც საშინელი და გადამდები სენის მატარებელს. უფალმა განკურნებულს უბრძანა, რომ არავისთვის ეთქვა განკურნების თაობაზე, მაგრამ დაუყოვნებლივ ჩვენებოდა მღვდელს. ზოგიერთი კომენტატორი ვარაუდობს, რომ თუკი განკურნებული მაშინვე არ წავიდოდა იერუსალიმში მღვდელთან და დაიწყებდა ამ სასწაულის გახმაურებას, მაშინ ეს ამბავი იერუსალიმამდე მის მისვლამდე მიაღწევდა და მაშინ უფლისადმი მტრულად განწყობილი მღვდლები დაიწყებდნენ იმის მტკიცებას, რომ ეს განკურნებული თითქოს არასდროს ყოფილა კეთრით დაავადებული.

9. კაპერნაუმელი ასისთავის მსახურის განკურნება

(მათე 8, 5-13; ლუკა 7, 1-10)

ამის შემდეგ უფალი კაპერნაუმში შევიდა. იქ მან დაუსწრებლად განკურნა მსახური რომაელი ასისთავისა, რომელიც, როგორც ჩანს, იყო მთავარი ასი მხედრისგან შემდგარი რომაული გარნოზონისა. ასეთი გარნიზონები მაშინ მრავლად იდგა პალესტინის ქალაქებში, ახორციელებდა დაცვას და ექვემდებარებოდა რომის მთავრობას. ეს ასისთავი დაბადებით წარმართი იყო, მაგრამ კეთილად იყო განწყობილი იუდეური რელიგიისადმი, რასაც ამოწმებს მის მიერ სინაგოგების

აშენება. წმინდა მათეს მიხედვით, მისი მსახური ესაშინლად იტანჯებოდა და იყო განრღვეული, ხოლო წმინდა ლუკას მიხედვით, იგი სიკვდილის პირას მისული. წმინდა ლუკა უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს, რომ ასისთავმა იესოსთან ჯერ გაგზავნა იუდეველი უხუცესები თხოვნით, მისულიყო ის მასთან თავისი მსახურის განსაკურნავად, ამის შემდეგ კი – თავისი მეგობრები; ბოლოს, როგორც ჩანს, წმინდა მათეს გადმოცემით, თვითონაც წავიდა მის სახლთან მიახლოებული უფლის შესახვედრად სიტყვებში: ***უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რაჲთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხვდე. რომლისაგან არცა თავით ჩემით ღირს მიჩნდა მისლვად შენდა; არამედ სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი,*** – წარმართისათვის იმდენად უჩვეულო რწმენა და სიმდაბლე გამოსჭვიოდა, რომ უფალს, როგორც ორივე მახარებელი შენიშნავს, ***დაუკვრდა***, და საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა, რომ ასეთი რწმენა მას თვით ღმერთის რჩეული ერის – ისრაელის – წარმომადგენლებშიც კი არ უნახავს. შემდეგ, როგორც მხოლოდ წმინდა მათე გადმოგვცემს, უფალმა, ებრაელთა ცრუ აზრის უარსაყოფად – თითქოს მხოლოდ მათ შეუძლიათ გახდნენ მომავალი მესიის სასუფევლის მკვიდრნი – წინასწარ თქვა, რომ ბევრი წარმართი ***მზისაღმოსავალით და მზის-დასავალით*** აღმოჩნდებიან ღირსნი ძველაღთქმისეულ მამამთავრებთან ერთად ამ სასუფევლის დამკვიდრებისა, მაშინ, როდესაც ***ძენი იგი სასუფეველისანი,*** ანუ ებრაელები, იმის გამო, რომ განკაცებული მესია არ იწამეს, განთხეულ იქნებიან ***ბნელსა მას გარესკნელსა,*** სადაც იქნება ***ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.*** უფლის ამ სიტყვებში ცათა სასუფეველი, ისევე, როგორც მის ბევრ სი-

ტყვასა და იგავში, წარმოდგენილია სერობის ან ნადიმის სახით, რომლის დროსაც აღმოსავლეთში ინახით ისხდნენ. გარკვეული დანაშაულის გამო სტუმრები გარეთ გაჰყავდათ სიცივეში *(ბნელსა მას გარესკნელსა)*, რომლის საპირისპიროც იყო ნათელი და თბილი ოთახი: გამოძევებული სტუმრები კბილებს აღრჭიალებდნენ სიცივისა და წუხილისგან. ასეთი აღწერა ყველასათვის გასაგებია, და მოყვანილია იმისათვის, რომ უფრო ცხადი იყოს ჯოჯოხეთში ცოდვილთა მუდმივი გვემის სურათი. ასისთავის რწმენა და სიმდაბლე მაშინვე იქნა დაჯილდოებული: მისი მსახური იმავე ჟამს გამოკეთდა, როგორც კი უფალმა თქვა: ***წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ.***

10. ნაინელი ქვრივის ძის აღდგინება
(ლუკა 7, 11-17)

ამ მოვლენის შესახებ მხოლოდ ერთი მახარებელი, წმინდა ლუკა მოგვითხრობს. იგი მას აკავშირებს იესო ქრისტესთან იოანე ნათლისმცემლის ელჩობის მისვლას. კაპერნაუმიდან უფალი ქალაქ ნაინში წავიდა, რომელიც მდებარეობდა გალილეის სამხრეთ საზღვართან, მცირე ერმონის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე, და ადრე იზაქარის ტომს ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, სახელი ნაინი, რაც „სასიამოვნოს“ ნიშნავს, ქალაქმა მიიღო თავისი ლამაზი ადგილმდებარეობით; ქალაქი გაშენებული იყო მშვენიერ და საძოვრებით მდიდარ ესდრელონის ველზე. უფალს თან ახლდნენ თავისი მოწაფეები და სხვა მრავალი ხალხი. ძველ დროში ქალაქებს გარს ერტყა მთლიანი კედლები მტრებისგან დასაცავად ისე, რომ ქალაქში შესვლა-გამოსვლა მხოლოდ კარიბჭით შეიძლებოდა. და

აი, ქალაქის კარიბჭესთან უფალს შეხვდა სამგლოვიერო პრო-
ცესია: ქალაქიდან დასამარხად გამოჰყავდათ გარდაცვლილი
ჭაბუკი, ქვრივი დედის ერთადერთი ძე. უფალმა შეიბრალა
მწუხარებისგან დათრგუნული ქვრივი და უთხრა: ***ნუ სტირ!***
შემდეგ სარეცელს შეეხო, რომელზეც გარდაცვლილი იყო
დასვენებული; პროცესია შეჩერდა. უფალმა გარდაცვლილ
ჭაბუკს მიმართა: ***ჭაბუკო, შენ გეტყვ, აღდეგ!*** – უფალმა
მყისიერად აღადგინა იგი და დედას ჩააბარა. ყველა შიშმა
მოიცვა, თუმცა სასწაულის მხილველებმა არ აღიარეს დიდი
სასწაულთმოქმედი მესიად, არამედ მხოლოდ – „დიდ
წინასწარმეტყველად"; სწორედ ამ მოსაზრებას ავრცელებდ-
ნენ უფლის შესახებ მთელს იუდეასა და მის შემოგარენში.

11. წმინდა იოანე ნათლისმცემლის ელჩობა უფალ იესო ქრისტესთან და უფლის მოწმობა იოანეს შესახებ

(მათე 11, 2-19; ლუკა 7, 18-35)

წმინდა იოანე ნათლისმცემელს არ შეიძლება ეჭვი ჰქონო-
და იესო ქრისტეს ღმრთეებრივ ღირსებასთან დაკავშირებით
(იხ. იოანე 1, 32-34). მიუხედავად ამისა, მან წარგზავნა
იესოსთან თავისი ორი მოწაფე, როდესაც თავად უკვე დი-
ლეგში იმყოფებოდა, შეკითხვით: ***შენ ხარა მომავალი იგი
ანუ სხუასა მოველოდით?*** პასუხი ამ კითხვაზე სჭირდებოდა
არა იოანე ნათლისმცემელს, არამედ მის მოწაფეებს, რომ-
ლებსაც ბევრი სმენოდათ უფლის სასწაულებზე და გაურკვევ-
ლობაში იყვნენ, რატომ არ აცხადებდა ის თავის თავს მე-
სიად, თუკი ნამდვილად მესია იყო? მაგრამ უფალი პირდა-
პირ პასუხს არ აძლევს მათ, რადგან მესიის სახელს ებრაელე-

ბი უკავშირებდნენ მიწიერ წარმატებებსა და დიდებას. მხოლოდ ის იყო ღირსი იმის ცოდნისა, რომ იესო ჭეშმარიტად მესია-ქრისტე იყო, ვისაც სული გაწმენდილი ჰქონდა ყოველგვარი მიწიერისგან ქრისტეს სწავლებით. ამიტომ პასუხის ნაცვლად, ერთგვარად ეყრდნობა რა ესაიას წინასწარმეტყველებას (35, 2-6), მათ ყურადღებას მიაქცევს მის მიერ აღსრულებულ სასწაულზე, როგორც თავისი საღვთო წარმოგზავნილობის მოწმობაზე და დასძენს: ***ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ,*** – ვინც არ შეეჭვდება, რომ მესია ვარ, მიუხედავად ჩემი დამცირებული გარეგნობისა. ვინმეს რომ არ ეფიქრა, თითქოს იოანეც ეჭვობდა იესოსთან მიმართებით, უფალმა, იოანეს მოწაფეების წასვლის შემდეგ დაიწყო ხალხთან საუბარი იოანეს მაღალი ღირსებისა და მსახურების, როგორც წინასწარმეტყველთა შორის უდიდესისა. ***ხოლო უმცირესი სასუფეველსა ღმრთისასა უფროჲს მისა არს,*** – ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანული ცხოვრება აღემატება ძველი აღთქმის უმაღლესი ხარისხის მართალ ცხოვრებას. ***დღითგან იოვანე ნათლისმცემელისაჲთ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი. რამეთუ ყოველნი წინაჲსწარმეტყუელნი და შჯული ვიდრე იოვანესამდე წინაჲსწარმეტყუელებდეს.*** აქ წინასწარმეტყველებთან და რჯულთან, ანუ ძველაღთქმისეულ ეკლესიასთან დაპირისპირებულია ქრისტეს ახალაღთქმისეული ეკლესია. იოანეთი, რომელიც იდგა ორი აღთქმის ზღვარზე, მთავრდება ძველი აღთქმის დროებითი მოსამზადებელი მნიშვნელობა და გაცხადდა ქრისტეს სასუფეველი, სადაც ყველა შედის, ვინც კი ამისთვის ძალისხმევას არ იშურებს. მალაქიას წინასწარმეტყველების

საფუძველზე (4, 5), რომელიც ეჭვგარეშეა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლას ეხება, ებრაელები მესიის მოსვლის წინ ელია წინასწარმეტყველს ელოდებოდნენ. იოანეს შესახებ მალაქია წინასწარმეტყველებდა, როგორც ანგელოზის შესახებ, რომელიც გზას მოუმზადებს უფალს (3, 1). ანგელოზმა კი, როდესაც ზაქარიას იოანეს შობა უწინასწარმეტყველა, თქვა, რომ იგი ***სულითა და ძალითა ელიადსითა*** მოვიდოდა (ლუკა 1, 17), მაგრამ არ იქნებოდა თავად ელია. ასევე, იოანემაც, იუდეველთა შეკითხვაზე: ***ელია ხარა?*** მიუგო: ***არა*** (იოანე 1, 21). ქრისტეს სიტყვების – ***უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მოვალს*** -– აზრი შემდეგია: თუკი თქვენ ბუკვალურად გესმით მალაქიას წინასწარმეტყველება ელიას მოსვლაზე მესიის წინ, მაშინ ის უკვე მოვიდა: ეს – იოანეა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჩემს ამ მოწმობას იოანეს შესახებ: ***რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! აწ ვის ვამსგავსო ნათესავი ესე?*** ანუ მწიგნობრები და ფარისევლები? ისინი ემსგავსებიან თვითნებურ, ჯიუტ ბავშვებს, რომლებსაც ვერაფრით ასიამოვნეს მათმა მეგობრებმა. ფარისევლები და მწიგნობრები, რომლებიც მესიას ელოდნენ, როგორც მეფე-დამპყრობელს, ვერაფრით დააკმაყოფილა დიდმა მმარხველმა იოანემ – ცოდვებისათვის სინანულისა და შემუსვრილობისაკენ მათმა მომწოდებელმა; ვერც იესო ქრისტემ მოიგო მათი გული, რომელიც იოანეს საპირისპიროდ, ცოდვილები რომ ეხსნა, უარს არ ამბობდა მათთან ტრაპეზის გაზიარებაზე. ***და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თჳსთა.*** ამ სიტყვებს შემდეგნაირად განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი: „როდესაც თქვენ, – ამბობს ქრისტე, – არც იოანესი და არც ჩემი ცხოვრება არ მოგწონთ და

უარყოფთ ცხონების ყველა გზას, მაშინ მე, საღვთო სიბრძნე, მართალი ვხდები არა ფარისეველთა, არამედ ჩემი შვილების წინაშე". ეს „სიბრძნის შვილები" – უბრალო იუდეველი ხალხია, მონანული მეზვერენი და ცოდვილნი, რომლებმაც იწამეს ქრისტე და მთელი გულით მიიღეს საღვთო სწავლება: მათ „გაამართლეს" ღმერთი და მისი სიბრძნე, რამეთუ საკუთარ თავზე აჩვენეს, რომ უფალმა ზუსტად და ბრძნულად მოაწყო ადამიანების ცხონება. მათ განეცხადათ საღვთო სიბრძნე, მიუწვდომელი ამპარტავანი ფარისევლებისათვის.

12. უკეთური ქალაქების მხილება, ღმერთის განდიდება ჩვილებისათვის ჭეშმარიტების გაცხადებისათვის და მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მოწოდება

(მათე 11, 20-30; ლუკა 10, 13-16, 21, 22)

გულითადი მწუხარებით წინასწარმეტყველებს ქრისტე ქალაქების – ქორაზინისა და ბეთსაიდას უბედურებას. ქორაზინი .კაპერნაუმის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ბეთსაიდა – მისგან სამხრეთით. ამ ქალაქებს უბედურება ელოდათ იმის გამო, რომ მიუხედავად ქრისტეს მიერ აღსრულებული უამრავი სასწაულისა, რაც მათ იხილეს, მაინც არ მოინანიეს. უფალი ამ ქალაქებს ადარებს ფინიკიის მეზობელ წარმართულ ქალაქებს – ტვიროსსა და სიდონს, და ამბობს, რომ საშინელ სამსჯავროზე ამ უკანასკნელთა ხვედრი ებრაელებზე უკეთესი იქნება, რადგან ებრაელებს მიეცათ ცხონების საშუალება, მაგრამ მათ არ შეინანეს, როგორც თავის დროზე შეინანეს ძაძითა (სხეულისათვის ტკივილის გამომწვევი უხეში ბეწვის სამოსელი) და ნაცრითა (ღრმა შემუსვრილობის ნიშნად თავზე

იყრიდნენ ნაცარს და ნაცარზევე სხდებოდნენ) ნინეველებმა იონას ქადაგების შედეგად. უფალი წინასწარმეტყველებს კაპერნაუმის დაღუპვასაც მისი უკიდურესი ქედმაღლობისათვის გარეგნული კეთილდღეობის მიზეზით. უკეთურობის მხრივ ის მას ადარებს ქალაქებს – სოდომსა და გომორს, რომლებიც ღმერთმა მოსრა გოგირდის წვიმითა და ცეცხლით. ყველა ჩამოთვლილი ქალაქი მალე მართლაც დაისაჯა ღმერთისგან: ისინი მთლიანად განადგურდნენ რომაელების ხელით იმავე ომში, როდესაც დაინგრა იერუსალიმი. თავიანთი მოჩვენებითი სიბრძნითა და წმინდა წერილის ცოდნით გაამპარტავნებული მწიგნობრები და ფარისევლები ვერ მიუხვდნენ იესო ქრისტეს და ვერ შეიმეცნეს მისი სწავლება. მათი სულიერი სიბრმავის მიზეზით ეს სწავლება მათგან დაფარულ იქნა, და აი, უფალი აქებს და ადიდებს თავის ზეციერ მამას იმისათვის, რომ მისი სწავლების ჭეშმარიტება, დაფარული ***ბრძენთაგან და მეცნიერთა,*** გამოუცხადა ***ესე ჩჩჳლთა*** – უბრალო და მდაბიო ადამიანებს, როგორებიც იყვნენ მოციქულები, მისი უახლოესი მოწაფეები და მიმდევრები, რომლებმაც არა გონებით, არამედ გულით იგრძნეს, რომ იესო ჭეშმარიტად არის მესია-ქრისტე. ***ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ*** – ყველაფერი ხელმწიფებაში გადმომეცა: ხორციელი სამყარო, ხილული და უხილავი სამყარო, უხილავი მომეცა არა როგორც ძეს ღვთისას, რომლისთვისაც ყოველთვის დამახასიათებელი იყო ასეთი ხელმწიფება, არამედ როგორც ღმერთკაცსა და ადამიანთა მაცხოვარს, რათა ყოველივე მოაქციოს მან კაცობრიობის სახსნელად. ***და არავინ იცის ძე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან, და რომლისაჲ უნდეს ძესა გამოცხადების,*** – ძის მთელ დიდე-

ბასა და სახიერებას ადამიანთაგან ვერავინ ჩასწვდება ისევე, როგორც მამის დიდებასა და სახიერებას. მხოლოდ ძე აცნობებს თავის თავში მამას ყველასათვის, ვინც მასთან მიდის. თუმცა თვითონ ყველას მოუწოდებს თავისთან: ***მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვრთმძიმენი,*** – მოუწოდებს ცოდვის აღმძვრელი ვნებების უღელქვეშ დაქანცულებს, ამაო და უნაყოფო შრომისგან დაღლილებს, რისი მიზეზიც მათი ამპარტავნება და თავისმოყვარეობაა. ***მე განგისუენო თქუენ,*** – მოგცემთ განსვენებას ვნებებისგან. ***აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა,*** – სახარებისეული რჯულის უღელი, ისწავლეთ ქრისტესგან სიმშვიდე და სიმდაბლე და ჰპოვებთ სულის განსვენებას. ეს სახარებისეული რჯულის უღელი ვნებების უღელთან შედარებით არის ტკბილი და მსუბუქი, რამეთუ უფალი თავად იძლევა ძალებს მისი ტარებისათვის სულიწმიდის მადლის სახით და საკუთარი მაგალითებით აღგვაფრთოვანებს ჩვენ.

13. ცოდვილი დედაკაცისთვის ცოდვების მიტევება სიმონ-ფარისეველის სახლში

(ლუკა 7, 36-50)

ვინმე ფარისეველმა, სახელად სიმონმა, რომელიც, როგორც ჩანს, უფლისადმი სიყვარულით იყო განმსჭვალული, მაგრამ არ გააჩნდა მის მიმართ მტკიცე რწმენა, მიიპატიჟა უფალი თავისთან სატრაპეზოდ; შეიძლება იმიტომ, რომ მასთან ახლო ურთიერთობით იმედოვნებდა, ჩასწვდომოდა მის სიტყვებსა და ქმედებებს. მოულოდნელად სატრაპეზო ოთახში შემოვიდა დედაკაცი, რომელსაც ქალაქში ცოდვილად იცნობდნენ და მორჩილად დადგა უფლის უკან, დაიხარა მის ფეხებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, როცა ნახა, რომ ისინი ჯერ კიდევ არ იყო განბანილი გზის მტვრისგან, გადმოღვარა მათზე ცრემლის ნაკადი, ამგვარად დაალტო და განბანა უფლის ფეხები წყლის მაგივრად თავისი ცრემლებით და შეუმშრალა თავისივე თმით, შემდეგ, ეამბორა მაცხოვრის ფეხებს და წაუსვა ზედ ძვირფასი მირონი, რომელიც თან მოეტანა. ფარისეველთა ცნებით, ცოდვილის შეხება ადამიანს ბილწავდა. ამიტომ ფარისეველი, რომლის გულსაც, როგორც ჩანს, არ ჰქონდა განცდილი ზნეობრივი გარდაქმნა, რაც აშკარად შეიმჩნეოდა მეძავი დედაკაცის გულში, თავისთვის განიკითხავდა უფალს ამ ამბორის მიღებისათვის და ფიქრობდა, რომ იესო წინასწარმეტყველი რომ ყოფილიყო, მჭვრეტელიც იქნებოდა და ეცოდინებოდა, ვინ და რანაირი ***დედაკაცი შეეხების მას,*** და უკუაგდებდა. უფალმა უპასუხა მის ფარულ აზრებს და სამხილებლად მოუყვა იგავი ორი მევალის შესახებ, რომელთგან ერთს 500 დრაჰკანი ემართა, მეორეს – 50. რადგანაც მათ გადახდის საშუალება არ ჰქონდათ, მასესხებელმა ორივე მათგანს მიუტევა. ადვილი იყო უფლის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, მოვალეთაგან რომელი უფრო შეიყვარებდა ფულის მასესხებელს? ***რომელსაცა-იგი უფროესი მიუტევა.*** უფალმა დაადასტურა პასუხის სისწორე და დასძინა: ***რომელსა მცირედი მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს.*** ეს უკანასკნელი სიტყვები, კონტექსტიდან გამომდინარე, მიმართული იყო სიმონისადმი: ის ღარიბი იყო ქრისტესადმი სიყვარულით და ნაკლებობას განიცდიდა სიყვარულის საქმეებში. ამ იგავიდან სიმონს უნდა გაეგო, რომ უფალი ამ მონანულ ცოდვილ დედაკაცს ზნეობრივად მასზე მაღლა აყენებდა, რადგან უფლის მიმართ სიმონზე მეტი სიყვარული აჩვენა და ამ სიყვარული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის ***მიეტევნენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი: ხოლო: რომელსა მცირედი მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს,*** – აქ შეფარული მითითებაა თვით სიმონზე მისივე შეგონებისათვის: მართალია, მან მიიღო ქრისტე თავის სახლში, მაგრამ არ აღმოუჩინა ქრისტეს კეთილგანწყობისა და სიყვარულის ნიშნები (ფეხების დაბანა და ამბორი); ამიტომ მას ნაკლები მიეტევება, თუმცა მაინც მიეტევება მას გარკვეული კეთილი განწყობისათვის უფლის მიმართ. სიმონთან ინახით მსხდომმა სტუმრებმა, სარწმუნოა, რომ ესენი ფარისევლები ყოფილიყვნენ, ვერ შეიგონეს და დრტვინვით განეწყვნენ უფლის გამონათქვამის მიმართ დედაკაცისათვის ცოდვების მიტევებასთან დაკავშირებით. ამიტომაც გაისტუმრა უფალმა დედაკაცი სიტყვებით: ***ვიდოდე მშჯიდობით!***

14. ეშმაკეულის განკურნება და ფარისეველთა მხილება სულიწმიდის გმობისათვის

(მათე 12, 22-37; მარკოზი 3, 20-30; ლუკა 11, 14-23)

უფალმა განკურნა ეშმაკეული, – რომელშიც უწმინდური სულის ყოფნას ახლდა სიბრმავე და სიმუნჯე, – და მთელი ერი გაკვირვებული იყო ამ სასწაულით. ფარისევლების სურვილი იყო, ხალხში არ შექმნილიყო აზრი იესოს შესახებ, როგორც ქრისტეზე, ამიტომ ავრცელებდნენ ხმას, თითქოს ის ეშმაკებს დევნიდა ეშმაკების მთავრის, ბელზებულის ძალით, და თითქოს მასში მკვიდრობდა უწმინდური სული (მათე 10, 25). ამაზე უფალმა უარყოფით უპასუხა და ასეთი აზრი გამოთქვა: „განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ სატანა თვითონ დაარღვევს თავის სამეფოს?“ ამას უკავშირდება შემდეგი

აზრი: ***რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს,*** ქრისტეს სასუფეველში ვინც ქრისტესთან არ არის, ის მისდამი მტრულად არის განწყობილი, რადგან განყოფა შეაქვს ერთ ხელმწიფებრივ სამეფოში, სადაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს არანაირ განყოფას. სხვა საქმეა, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ იმყოფება ქრისტეს სასუფევლის გარეთ, ჯერ კიდევ არ ყოფილა სასუფევლისთვის მოწოდებული: მთავარია, ის არ იყოს ქრისტეს მოწინააღმდეგე და მაცხოვრისადმი მტრულად განწყობილი სამყაროს მხარდამჭერი; ასეთი პირი უკვე ნაწილობრივ ქრისტესია და მალე გახდება მისი თანაზიარი სასუფეველში შესვლით. თავისი სასუფევლის მაგალითზე უფალი განმარტავს, რომ ეშმაკის სამეფოში უნდა იყოს ხელმწიფობისა და მოქმედების ერთიანობა, ამიტომაც ვერ იმოქმედებს სატანა სატანის წინააღმდეგ. ***ძენი თქუენნი რაჲთა განასხმენ?*** – აქ შეიძლება ვიგულისხმოთ მოციქულებიც, რომლებმაც უფლისგან მიიღეს ეშმაკების *განსხმის* ხელმწიფება, ფარისეველთა მოწაფეებიც, რომლებიც ბოროტი სულების შემლოცველობაში იწვრთნებოდნენ და ის ადამიანიც, რომლის შესახებაც მოციქულები ეუბნებოდნენ ქრისტეს, რომ იგი განასხამდა ეშმაკებს ქრისტეს სახელით, მაგრამ ქრისტეს მიმდევარი არ იყო (მარკოზი 9, 38; ლუკა 9, 49). ***ამისთჳს იგინივე მსაჯულ თქუენდა იყვნენ,*** – საშინელ სამსჯავროზე გამხილებენ თქვენ ჭეშმარიტების განზრახ შერყვნაში. ***უკუეთუ მე სულითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ,*** – მოვიდა თქვენთან ღვთის სასუფეველი სატანის სასუფევლის ნაცვლად, რომელიც სწორედ ამიტომ გარბის წუთისოფლიდან ქრისტესგან დევნილი. განასხამს რა ცალკეულ ეშმაკებს, უფალი

ამით ამტკიცებს, რომ მან შეკრა ყველაზე ძლიერი, ანუ სატანა. ***რომელი არა არს ჩემ თანა,*** სატანასთან ჩემს ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებ ყველა ადამიანის საღვთო სასუფეველში შემოსაყვანად, ***იგი მტერი ჩემი არს,*** რადგან ვინც იცის და ისმენს ქრისტეს სწავლებას და არ დგება მის მხარეს, ის უკვე მისი მტერია; მით უმეტეს მტერია, რომელიც მას ეწინააღმდეგება. აქედან დასკვნა ასეთია: ***ყოველი ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობაჲ არა მიეტეოს კაცთა.*** ღმერთის გულმოწყალება უსასრულოა, და არ არსებობს ცოდვა, რომელიც ამ გულმოწყალებას სძლევდა. მაგრამ ვინც ჯიუტად უარყოფს თვით ამ გულმოწყალებას, ვინც ჯიუტად ეწინააღმდეგება თვით ღვთის მაცხონებელ მადლს, მისთვის არ არის გულმოწყალება, ასეთი ადამიანის ცოდვა მიუტევებელი რჩება და იგი იღუპება. ამ განზრახ გაწეულ წინააღმდეგობას ღვთის მაცხონებელი მადლისათვის, რომელიც არის მადლი სულიწმიდისა, უფალმა სულიწმიდის წინააღმდეგ გმობა უწოდა. ფარისეველთა წინააღმდეგობა აშკარად გამოიხატებოდა იმით, რომ მათ გაბედეს და ყოვლადძლიერი ღმერთის საქმეებს ეშმაკის საქმეები უწოდეს. რატომ არის ეს ცოდვა მიუტევებელი როგორც ამ, ისე მომავალ საუკუნეში? იმიტომ, რომ თუკი ადამიანი უარყოფს სულიწმიდის მაცხონებელი მადლის აშკარა მოქმედებებს, მაშინ ის ვერ მივა სინანულამდე, რომლის გარეშეც ცხონება არ არსებობს: ის ვერ შეძლებს მონანიებას. ვინც დამცირებულ ქრისტეს დაგმობს, მას ეს მიეტევება, რადგან ეს იქნება ცოდვა ცდომილებისა, რომელიც სინანულით აღიხოცება. მაგრამ ასეთი არ არის საღვთო ძალის აშკარა მაცხონებელი მოქმედებებისათვის გაწეული ჯიუტი წინააღმდეგობა, რაც

ფარისევლებს ახასიათებდა და შორს იყო სინანულის გრძნობისგან. თავის საქმეებზე ცილიწამებას ფარისეველთა ბანაკიდან, უფალი ხსნის მათი ბოროტი გულით: ***ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყჳნ,*** – და ემუქრება მათ, რომ ყოველი უქმი სიტყვისათვის პასუხს აგებენ საშინელ სამსჯავროზე, რამეთუ ცრუ და უწმინდური სიტყვები მიუთითებენ ასეთი გულის არსებობაზე.

15. უფლის პასუხი იმათ, ვინც მისგან ნიშებ-სასწაულებს ეძებენ

(მათე 12, 38-45; ლუკა 11, 29-32, 24-26)

იესო ქრისტესთან მიმართებით იუდეველებს აბრკოლებდათ მისი დამცირებული მდგომარეობა, ამიტომ მათ მისგან მოითხოვეს ისეთი ნიშებ-სასწაული, რომელნიც ცხადად გამოაჩენდა მის ღმრთეებრივ ღირსებას, როგორც მესიისას. მათ არ სურდათ დაკმაყოფილებულიყვნენ იმ სასწაულებით, რომლებსაც ქრისტე აღასრულებდა თავისი სიყვარულით ტანჯული ადამიანების მიმართ, ცალკეული ადამიანების თხოვნით; მათ სურდათ ეხილათ განსაკუთრებული ***სასწაული ზეცით*** (მათე 16, 1). ისინი პირმოთნეობით, როგორც მტრები, ითხოვენ მისგან სასწაულს, ამიტომ უწოდებს მათ უფალი: ***ნათესავი ბოროტი,*** ხოლო – ***მემრუშე*** იმ აზრით, რომ უღალატეს ღმერთს. ამის შესახებ ჯერ კიდევ წინასწარმეტყველები მიუთითებდნენ, როდესაც იუდეველთა კერპთმსახურებას წარმოაჩენდნენ ღმერთის წინაშე ღალატად, მსგავსად მეუღლის მრუშობისა (ესაია 57, 3; ეზეკ. 16, 15, 23-27). უფალი ამბობს, რომ ასეთი სასწაული მათ არ მიეცემათ და მიუთითებს მხოლოდ იმ დიდ სასწაულზე, რომელსაც წარსულში ჰქონდა

ადგილი, და რომელიც წინასახე იყო იმ უდიდესი სასწაულისა, მასზე რომ უნდა აღსრულებულიყო მომავალში, ვერძი, წინასწარმეტყველ იონას ყოფნაზე თევზის მუცელში სამი დღე-ღამის განმავლობაში; ეს იყო წინასახე ქრისტეს აღდგომისა სამდღიანი ხორციელი სიკვდილის შემდეგ. ქრისტე საფლავში იყო საკუთრივ ერთი დღე და ორი ღამე, მაგრამ აღმოსავლეთში ყოველთვის მიღებული იყო დროის ათვლისას დღის ან ღამის ნაწილი ჩაეთვალათ მთელ დღედ ან ღამედ (1 მეფ. 30, 12; დაბ. 42, 17, 18; 2 ნეშ. 10, 5-12). ასურეთის სამეფოს დედაქალაქი ნინევია მდებარეობდა მდინარე ტიგროსის ნაპირზე, ბაბილონიდან ჩრდილოეთით. ამ ქალაქის მაცხოვრებლები, რომლებმაც შეინანეს იონას ქადაგების შედეგად, საშინელ სამსჯავროზე განსჯიან ებრაელებს იმისათვის, რომ ებრაელებმა არ მიიღეს მესიის ქადაგება, დადგრნენ სიჯიუტეში და არ მოინანიეს თავიანთი ცოდვები. საბიას დედოფალი, რომელიც სოლომონთან არაბეთიდან მივიდა (3 მეფ. მე-10 თავი), ასევე განსჯის ებრაელებს, რადგან ის შორიდან მივიდა სოლომონთან მისი სიბრძნის მოსასმენად, იუდეველებმა კი არ ისურვეს მოესმინათ თვით განხორციელებული საღვთო სიბრძნისათვის, რომელიც არის ***უფროს სოლომონისსა.*** შემდეგ უფალი იუდეველებს აჩვენებს ადამიანისგან გამოსული და მასში შვიდ სხვა უწმინდურ სულთან ერთად კვლავ დაბრუნებული უწმინდური სულის შესახებ იგავის მაგალითზე, რომ თუნდაც რაიმე სასწაულით აეძულებინა ისინი, ერწმუნათ იგი. მათი ზნეობრივი გარყვნილება იმდენად ძლიერი იყო, რომ გარკვეული დროის შემდეგ მათი ურწმუნოება კიდევ უფრო მეტი ძალითა და სიჯიუტით გამოვლინდებოდა და ისინი უფრო უარესნი გახდებოდნენ. ურწმუნოება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარყვნილება, ეს არის ბოროტი სული ეშმაკეულში. თუკი ადამიანი დაუდევარი, უქმი და უგულისხმო რჩება, ბოროტი სული და ვნებები, მისგან ერთხელ განდევნილნი, უფრო მეტი ძალებით ბრუნდებიან მასთან.

16. დედაკაცი აქებს ქრისტეს მშობელს; ქრისტე პასუხობს მას *(ლუკა 11, 27, 28)*. სულიერი ნათესაობა უფალთან

(მათე 12, 46-50; მარკოზი 3, 31-35; ლუკა 8, 19-21)

უფლის საუბარმა იმდენად შეძრა მავანი დედაკაცი, გადმოცემით – მარკელა, მართას მოახლე (იხ. ლუკა 10, 38, – აი, რატომაც სახარების ეს ადგილი ყოველთვის მიერთებულია მართასა და მარიამთან უფლის სტუმრობის ეპიზოდთან), რომ მან თავი ვერ შეიკავა აღფრთოვანებისგან და სახალხოდ განადიდა უფალი და მისი ყოვლადწმიდა მშობელი, რომელიც უფლის ძმადწოდებულებთან ერთად იქვე იმყოფებოდა, ოღონდ სახლსგარეთ (მათე 12, 46). ***ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტჳრთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი,*** – ნეტარია, ვინც შვა და აღზარდა ასეთი დიდი მოძღვარი. აქ ჩვენ ვხედავთ ღვთისმშობლის განდიდების დასაწყისს, აღსრულებას იმისას, რაც მან თავად იწინასწარმეტყველა: ***ამიერითგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი*** (ლუკა 1, 48). ამაზე ქრისტემ უპასუხა, რომ ნეტარი ის არის, ვინც ისმენს ღვთის სიტყვას და ასრულებს მისგან მოცემულ მცნებებს. წმინდა მათე აღნიშნავს, რომ სწორედ ამ დროს უფლის მშობელი და მისი ძმადწოდებულნი გარეთ იდგნენ და შეუთვალეს იესოს თავიანთი მოს-

ვლის შესახებ, რადგან ხალხის სიმრავლის გამო მასთან მიახლოება ვერ შეძლეს. იესოს ყოველთვის ფაქიზი გრძნობა აკავშირებდა თავის მშობელთან და ჯვარზე გაკრულსაც კი არ დავიწყებია იგი და მასზე მზრუნველობა თავის საყვარელ მოწაფეს დააკისრა, მაგრამ აქ, როდესაც უფალი ხალხს უქადაგებდა და მისი საქმიდან მოწყვეტა უნდოდათ, მან ყველას უჩვენა, რომ მამა-ზეციერის ნების აღსრულება მისთვის ნათესაურ კავშირებზე მნიშვნელოვანია: ***რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ და დაჲ და დედაჲ ჩემი.***

აქ მოხსენიებული „იესოს ძმები“ სახარების ზოგიერთ ადგილას სახელებით არიან წარმოდგენილნი, კერძოდ: იაკობი, იოსები, სიმონი და იუდა (მათე 13, 54-56), თანაც, ოთხივე სახარების ურთიერთშეჯერებით იმ დედაკაცებთან მიმართებით, რომლებიც გოლგოთაზე იესოს ჯვართან იდგნენ და შემდგომ, ქრისტეს აღდგომის დღეს, მის საფლავთან მივიდნენ, შეიძლება მკაფიოდ დავასკვნათ, რომ ამ „იესოს ძმების“ მშობელი დედა იყო მარიამ კლეოპასი, რომელსაც იოანე მახარებელი უწოდებს ***დაჲ დედისა მისისაჲ*** (იოანე 19, 25). როგორც ჩანს, მარიამ კლეოპასი უფლის დედის ბიძაშვილი იყო, რადგან თავად ღვთისმშობელი თავისი მშობლების, იოაკიმესა და ანნას ერთადერთი ასული იყო. გადმოცემის თანახმად, ეს მარიამი იყო კლეოპას ცოლი, ხოლო თვით კლეოპა – იესოს ძმადწოდებულთა მამა. სხვა გადმოცემით, „იესოს ძმები“ იყვნენ იოსებ დამწინდველის შვილები პირველი ქორწინებიდან, თუმცა სავსებით შესაძლებელია – და ამას სრულ თანხმობაში მოჰყავს ორივე ეს გადმოცემა – „იესოს ძმები“ იყვნენ ოისებისა და მისი უშვილოდ გარდაცვ-

ლილი ძმის ცოლის შვილები (ლევირატის კანონით), ყოველ-
შემთხვევაში, ებრაელებთან „ძმებად“ იწოდებოდნენ არა მხ-
ოლოდ ღვიძლი ძმები, არამედ ასევე, ბიძაშვილები, მამიდაშ-
ვილები, დეიდაშვილები, აგრეთვე გარე ბიძაშვილები და, სა-
ერთოდ, ახლო ნათესავები.

17. უფალ იესო ქრისტეს მიერ იგავებით გადმოცემული სწავლება ღვთის სასუფევლის შესახებ; იგავი მთესვარის შესახებ

(მათე 13, 1-23; მარკოზი 4, 1-20;
ლუკა 8, 4-15)

სიტყვა „იგავი“ წარმოადგენს ბერძნული სიტყვების – „პარა-
ვოლისა“ და „პარიმიის“ თარგმანს. ზუსტი მნიშვნელობით
„პარიმია“ ნიშნავს ცხოვრების წესის გამომხატველ მოკლე
გამონათქვამს (ასეთებია, მაგალითად, „იგავნი სოლომონისა“);
„პარავოლი“ არის მონათხრობი ადამიანთა ყოველდღიური
ყოფითი ცხოვრებიდან და შეიცავს ხატოვნად გამოთქმულ
დაფარულ აზრს. სახარებისეული იგავი, საკუთრივ, სწორედ
„პარავოლია“. მათეს სახარების მე-13 თავში გადმოცემული
იგავები, ასევე, პარალელურ ადგილებში ორი სხვა სინოპტი-
კოსთან – მარკოზთან და ლუკასთან, გამოთქმული იყო იმდე-
ნად მრავალრიცხოვანი ადამიანების წინაშე, რომ უფალი
განერიდა მისი შემავიწროებელი ხალხის მასას, შევიდა ნავში
და იქიდან ესაუბრებოდა ხალხს, რომელიც ამ დროს გენეს-
არეთის ტბის (ზღვის) ნაპირზე იდგა.

როგორც წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, „უფალი
იგავებით იმიტომ საუბრობდა, რომ მისი სიტყვა უფრო გა-
მომხატველი ყოფილიყო, ღრმა კვალი დაეტოვებინა მსმენე-

ლის მეხსიერებაში და თვალით შეძლებოდა მას მოსმენილის წარმოდგენა". უფლის იგავები – ეს არის ალეგორიულად გადმოცემული შეგონება, რომლისთვისაც სახე-ნიმუშები და მაგალითები აღებულია ხალხის ყოფიერი ცხოვრებიდან და მისი გარემომცველი ბუნებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის იგავში მთესველის შესახებ, – სადაც უფალმა მთესველში თავისი თავი იგულისხმა; თესლში – მის მიერ ქადაგებული ღვთის სიტყვა; ნიადაგში, რომელზედაც თესლი ეცემა, – მსმენელის გული, – უფალმა ცოცხლად აღადგინა მსმენელთა ცნობიერებაში მშობლიური მინდვრები, სადაც გადის გზები ალაგ-ალაგ ეკალ-ბარდებით, ალაგ-ალაგ მიწის თხელი ფენით დაფარული ქვიანი ადგილებით. თესვა – ეს არის ბრწყინვალე სახე ღვთის სიტყვის ქადაგების გამოსახატავად, რომელიც ეცემა გულზე და, ამ გულის მდგომარეობიდან გამომდინარე, ის ხდება ან უნაყოფო, ან კიდევ მოაქვს ბევრი თუ ცოტა ნაყოფი.

მოწაფეების კითხვაზე: ***რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ?*** უფალი პასუხობს: ***თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს.*** უფლის მოწაფეებს, როგორც სახარების მომავალ მქადაგებლებს, გონების განსაკუთრებული მადლმოსილი განათლებით მიეცათ საღვთო ჭეშმარიტებების ცოდნა ჯერ კიდევ სულიწმიდის გარდამოსვლამდე, თუმცა არა სრულყოფილად. ყველა დანარჩენს კი არ შესწევდათ უნარი ამ ჭეშმარიტებების მისაღებად და გასაგებად, რისი მიზეზიც იყო მათი ზნეობრივი გაუხეშება და ცრუ მოსაზრება მესიისა და მისი სასუფევლის თობაზე, რასაც ავრცელებდნენ მწიგნობრები და ფარისევლები, და რის შესახებაც ჯერ კიდევ ესაია

წინასწარმეტყველებდა (6, 9, 10). ასეთ ზნეობრივად შეფუ-
ნილ და სულიერად გაუხეშებულ ადამიანებს რომ ჭეშმარ-
იტება ეჩვენებინა ისე, როგორც ის ნამდვილად არის, ყოველ-
გვარი შეფარულობის გარეშე, მაშინ ისინი შეხედავდნენ და
ვერ დაინახავდნენ, გაიგონებდნენ და ვერ შეისმენდნენ. მხო-
ლოდ იგავურად და მათთვის კარგად ცნობილი საგნების
მეშვეობით შეეძლოთ ჭეშმარიტების აღქმა: ასეთ შემთხვევა-
ში გაუხეშებული აზრი ძალდაუტანებლად, თავისთავად მაღლ-
დებოდა ხილულიდან უხილავამდე, გარეგნულიდან – უმაღლეს
სულიერ აზრამდე.

***რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა
არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუს, მო-ვე-ეღოს მას,*** –
ეს არის გამოთქმა, რომელსაც უფალი არაერთხელ იმეორებს
სახარების სხვადასხვა ადგილას (მათე 25, 29; ლუკა 19, 26).
მისი აზრი ისაა, რომ მდიდარი გულმოდგინების შემთხვევაში
კიდევ უფრო მდიდრდება, ხოლო ღარიბი, თუკი ზარმაცობს,
უკანასკნელსაც კარგავს. სულიერი აზრით ეს ნიშნავს: თქვენ,
მოციქულებს, რომლებსაც უკვე მოგეცათ ღვთის სასუფევლის
საიდუმლოთა შემეცნება, შეგიძლიათ სულ უფრო ღრმად შეხ-
ვიდეთ ამ ცოდნაში და სულ უფრო სრულყოფილად ჩასწვ-
დეთ ამ საიდუმლოს; დანარჩენი ხალხი კი ამ საიდუმლოთა
შესახებ იმ მცირე ცოდნასაც დაკარგავს, რაც მათ ჯერ კიდევ
აქვთ, თუკი დახმარების სახით არ მიეცემათ მათ იგავურად
ნათქვამი სიტყვა. წმინდა იოანე ოქროპირი ასე განმარტავს:
„ვისაც თავად სურს და ცდილობს მოიპოვის მადლის ნიჭები,
მას ღმერთიც ყველაფერს აძლევს, ხოლო ვისაც არა აქვს ეს
სურვილი და მცდელობა, მას ვერც ის მოუტანს ვერანაირ
სარგებელს, რასაც, როგორც მას ჰგონია, იგი ფლობს“.

ვისაც იმდენად აქვს გონება დაბნელებული და გული ცოდვისგან გაუხეშებული, რომ ღვთის სიტყვას ვერ აცნობიერებს, მას ეს სიტყვა ეფინება, ასე ვთქვათ, გონებისა და გულის ზედაპირზე და ფესვებს შიგნით ღრმად არ უშვებს, როგორც გზაზე დაცემული თესლი და მას ბოროტი – სატანა ანუ დემონი – ადვილად იტაცებს, უნაყოფოს ჰყოფს მოსმენილს; ქვიან ნიადაგს ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც გატაცებულნი არიან სახარების ქადაგებით, როგორც სასიამოვნო უწყებით, ზოგჯერ გულწრფელადაც, და სიამოვნებას განიცდიან ღვთის სიტყვის მოსმენით, მაგრამ მათი გული ცივია, უძრავია, გაქვავებულია: მათ არ შეუძლიათ სახარებისეული სწავლების მოთხოვნით შეცვალონ თავიანთი ცხოვრების წესი, განეშორონ საყვარელ, ჩვევად ქცეულ ცოდვებს, ებრძოლონ განსაცდელებს, დაითმინონ სახარებისეული ჭეშმარიტებისათვის რაიმე მწუხარება და ნაკლულოვანება – განსაცდელებთან ბრძოლაში ისინი ცდუნდებიან, სულით ეცემიან და ღალატობენ თავიანთ სარწმუნოებასა და სახარებას; ეკლიან ნიადაგში იგულისხმება ისეთი ადამიანის გული, რომელიც ვნებებშია გახლართული – მიდრეკილია სიმდიდრისკენ, დროსტარებისკენ, საერთოდ, ამა ქვეყნის სიკეთეებისკენ; კეთილი ნიადაგი – ეს არის ადამიანები წმინდა გულით, რომლებმაც ღვთის სიტყვის გაგონებაზე მტკიცედ გადაწყვიტეს გაეხადათ ის თავიანთი ცხოვრების სახელმძღვანელოდ და გამოეღოთ სათნოებათა ნაყოფი. „სათნოებათა სახეები სხვადასხვაა, სხვადასხვა არის წარმატებაც სულიერ სიბრძნეში“ (ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგავი ღვარძლის შესახებ
(მათე 13, 24-30; 36-43)

ცათა სასუფეველი – მიწიერი ეკლესიაა, რომელიც დაფუძნებულია ზეციერი დამფუძნებლის მიერ და რომლის დანიშნულებაცაა ადამიანის ზეცად მიყვანება; იგი მსგავსია კაცისა, ***რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თჳსსა. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ*** (ღამით, როდესაც ცუდი საქმეების დაფარვა ადვილად შეიძლება, – აქ მინიშნებაა მტრის ვერაგობაზე), ***მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი,*** ანუ სარეველა ბალახი, რომელიც სანამ პატარაა, თავისი აღმონაცენით ძალიან ჰგავს ხორბალს, ხოლო როდესაც იზრდება და უკვე განსხვავდება ხორბლისგან, მაშინ მისი ამოძირკვა უკვე საშიში ხდება ხორბლის ფესვისთვის. ქრისტეს სწავლება მთელ მსოფლიოში ითესება, მაგრამ ეშმაკიც თავისი ცდუნებებით თესავს ბოროტებას ადამიანთა შორის. ამიტომ მსოფლიოს ვრცელ ყანაში ზეციერი მამის ღირსეულ შვილებთან (ხორბალთან) ერთად ცხოვრობენ მზაკვრის შვილებიც (ღვარძლი). უფალი ითმენს მათ, ტოვებს მკამდე (მოსავლის აღებამდე) – საშინელ სამსჯავრომდე, როდესაც მომკალნი (ღვთის ანგელოზნი), შეაგროვებენ ღვარძლს (ყველა ურჯულოების მოქმედს) და შეაგდებენ ცეცხლის ღუმელში, ჯოჯოხეთის მარადიულ სატანჯველში; ხორბალს კი, ანუ მართლებს, უფლის ბრძანებით მის ბეღელში შეაგროვებენ – ცათა სასუფეველში, სადაც ისინი მზესავით გაბრწყინდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგავი უხილავად აღმოცენებული თესლის შესახებ
(მარკოზი 4, 26-29)

ცათა სასუფეველი მსგავსია თესლისა, რომელიც ერთხელ მიწაში ჩააგდეს და შეუმჩნევლად იზრდება თავისთავად. ამ ზრდის შინაგანი პროცესი აუხსნელი და მიუწვდომელია. როგორ აღმოცენდება თესლისგან მთელი მცენარე, არავინ იცის. ზუსტად ასევე აუხსნელია ადამიანის სულის რელიგიური ფერისცვალება, რაც ღვთის მადლის ძალით აღესრულება.

იგავი მდოგვის მარცვლის შესახებ
(მათე 13, 31, 32; მარკოზი 4, 30-32;
ლუკა 13, 18, 19)

აღმოსავლეთში მდოგვის მცენარე უზარმაზარ ზომებს აღწევს, თუმცა მისი მარცვალი იმდენად მცირე ზომისაა, რომ იმ დროის ებრაელებს გამოთქმაც კი ჰქონდათ: „პატარაა, როგორც მდოგვის მარცვალი". იგავის აზრი ისაა, რომ თუმც ღვთის სასუფევლის დასაწყისი შესახედავად მცირე და საკმაოდ შეუმჩნეველია, მაგრამ მასში ჩამალული ძალა ყველა წინააღმდეგობას ლახავს და გარდაქმნის მას უდიდეს მსოფლიო სასუფევლად. „ამ იგავით, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, – უფალს სურდა ეჩვენებინა სახარების ქადაგების გავრცელების სახე". მიუხედავად იმისა, რომ მისი მოწაფეები ყველაზე უძლურნი იყვნენ, ყველაზე დამცირებულნი, მათში დაფარულად მოქმედი ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მათი ქადაგება მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ქრისტეს ეკლესია, რომელიც თავიდან პატარა და მსოფლიოსთვის შეუმჩნეველი იყო, მერე იმდენად გავრცელდა მთელ დედამიწაზე და ისეთი ძალა მოიკრიბა, რომ ბევრი ერი, როგორც ფრინველები მდოგვის

ხის ტოტებში, თავს აფარებენ მის ჩრდილს. ზუსტად ასე ხდება ადამიანის სულშიც: ღვთის მადლის მობერვა თავიდან შეუმჩნეველია, მაგრამ შემდეგ სულ უფრო და უფრო მოიცავს სულს, რომელიც თანდათან სხვადასხვა სათნოების სათავსო ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგავი საფუარის შესახებ
(მათე 13, 33-35; მარკოზი 4, 33, 34; ლუკა 13, 20, 21)

ზუსტად ასეთივე აზრის შემცველია იგავი საფუარის შესახებ. „როგორც საფუარი, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, – დიდი რაოდენობის ფქვილზე ისეთ მოქმედებას ახდენს, რომ ის იძენს საფუარის ძალას, ასევე თქვენც, მოციქულები, გარდაქმნით მთელ მსოფლიოს". ზუსტად ასე ხდება ქრისტეს ეკლესიის თითოეული, ცალკე აღებული წევრის სულშიც: მადლის ძალა უხილავად, მაგრამ ქმედითად თანდათან მოიცავს სულიერ ძალებს და გარდაქმნის მათ, ანათლებს. სამი საწყაო, ზოგიერთის აზრით, არის სულის სამი ძალა: გონება, გრძნობა და ნება.

იგავი ყანაში დაფლული განძის შესახებ
(მათე 13, 44)

მავანმა კაცმა შეიტყო განძის შესახებ, რომელიც სხვის ყანაში იყო დამალული. ამ განძით რომ ესარგებლა, მან ის მიწით დაფარა, თვითონ კი წავიდა, მთელი თავისი ავლადიდება გაყიდა, აღებული თანხით აღნიშნული ყანა იყიდა და ნაპოვნი განძის კანონიერი ფლობელი გახდა. მსგავს საგანძურს წარმოადგენს ბრძენი კაცისთვის საღვთო სასუფეველ-

იც, რომელიც მოიაზრება როგორც შინაგანი და სულიერი ნიჭები. მალავს რა თავისთან ამ საგანძურს, ქრისტეს ბიბლიოთეკა ვარი ყველაფერს სწირავს და ყველაფერზე უარს ამბობს, ოღონდაც მისი მფლობელი გახდეს.

ეროვნული

იგავი ძვირფასი მარგალიტის შესახებ
(მათე 13, 45-46)

იგავის აზრი წინა იგავების მსგავსია: ცათა სასუფევლის მოპოვებას, რომელიც არის უმაღლესი და უდიდესი სიმდიდრე ადამიანისათვის, უნდა შევწიროთ ყველაფერი, ყველა ის სიკეთე და მიწიერი კეთილდღეობა, რასაც ვფლობთ.

იგავი ზღვაში ნასროლი ბადის შესახებ
(მათე 13, 47-50)

ამ იგავის აზრი იგივეა, რაც ჰქონდა იგავს ხორბლისა და ღვარძლის შესახებ. ზღვა – ეს არის წუთისოფელი, ბადე – სწავლება სარწმუნოების შესახებ, მეთევზენი – მოციქულნი და მათი მემკვიდრენი. სწორედ ამ ბადემ შეკრიბა ერთად ყველა ტომისა და ხასიათის ადამიანი – ბარბაროსი, ელინი, იუდეველი, მეძავი, მეზვერე, ავაზაკი. ზღვის ნაპირი და თევზის გარჩევა გულისხმობს საუკუნის დასასრულსა და საშინელ სამსჯავროს, როდესაც მართლები გამოიყოფიან ცოდვილებისგან, როგორც კარგი თევზი ბადეში გამოირჩევა უვარგისისგან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ქრისტე მაცხოვარი ხშირად სარგებლობს შემთხვევით, მიუთითოს მომავალ ცხოვრებაში მართლებისა და ცოდვილების განსხვავებაზე. ამიტომ შეუძლებელია დავეთანხმოთ იმათ, რომლებიც (მაგალითად, ორიგენე), ფიქრობენ, რომ თითქოს ყველა გადარჩება, მათ შორის ეშმაკიც.

უფლის იგავების განმარტებისას, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ როდესაც უფალი ამგვარად გვასწავლის, მას მოჰყავს მაგალითები არა გამოგონილი, არამედ მსმენელთა ყოველდღიური ცხოვრებიდან; იგი ასე იმიტომ იქცეოდა, წმინდა იოანე ოქროპირის მოსაზრებით, რომ თავისი სიტყვა უფრო გამომხატველი ყოფილიყო, შეემოსა ჭეშმარიტება ცოცხალი ფორმით, რათა ის ღრმად ჩაბეჭდილიყო მსმენელის მეხსიერებაში. ამიტომ იგავებში უნდა ვეძებოთ მსგავსება მხოლოდ ზოგადად და არა კერძო, თითოეულ ცალკეულად აღებულ სიტყვაში. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, თითოეული იგავი უნდა გავაცნობიეროთ სხვა, ერთგვაროვან იგავებთან და ქრისტეს სწავლების საერთო სულისკვეთებასთან კავშირში.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თავის ქადაგებებსა და იგავებში უფალი იესო ქრისტე საკმაოდ ზუსტად ავლებს ზღვარს ორ ცნებას – ცათა სასუფეველსა და საღვთო სასუფეველს შორის. ცათა სასუფეველს ის უწოდებს მართალთა იმ მარადიულ ნეტარ მდგომარეობას, რომელიც მათში გამოვლინდება მომავალ ცხოვრებაში საშინელი სამსჯავროს შემდეგ. ღვთის სასუფეველს კი – თავის მიერ დედამიწაზე დაფუძნებულ მორწმუნეთა სასუფეველს, რომელიც გაცხადდა ქრისტე მაცხოვრის წუთისოფელში მოსვლით, შეუმჩნევლად მკვიდრდება ადამიანთა სულებში და აქვე, მიწაზევე ამზადებს მათ სამემკვიდრეოდ ცათა სასუფევლისა, რომელიც გაცხადდება საუკუნის დასასრულს. ამ ცნებათა ახსნას ეძღვნება სწორედ ზემოთ მოყვანილი იგავები.

იმაში, რომ უფალი იგავებით საუბრობდა, წმინდა მათე ხედავს ასაფის წინასწარმეტყველების აღსრულებას (ფსალ. 77, 1, 2): ***აღვაღო იგავით პირი ჩემი,*** – თუმცა ასაფი ამას

საკუთარი თავის შესახებ ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც წინასწარმეტყველი, იგი ერთგვარი წინასახე იყო მესიისა: რაც იქიდანაც ჩანს, რომ სიტყვები: ***ვიტყოდე მე იგავთა დასაბამისათა*** – შეეფერება მხოლოდ ყველგანმყოფ მესიას, და არა მოკვდავ ადამიანს: საღვთო სასუფევლის დაფარული საიდუმლოებები ცნობილია, რა თქმა უნდა, მხოლოდ საღვთო ჰიპოსტასური სიბრძნისათვის.

როდესაც უფალმა მოწაფეებს ჰკითხა, გაიგეს თუ არა მათ ნათქვამი და მოციქულებმა დადებითად უპასუხეს, უფალმა მათ „მწიგნობრები“ უწოდა, მაგრამ არა იმ გაგებით, როგორებიც იყვნენ მისდამი მტრულად განწყობილი მწიგნობარი-იუდეველები, რომლებმაც მხოლოდ „ძველი ძველაღთქმისეული“ იცოდნენ, და მასაც ამახინჯებდნენ და რყვნიდნენ, რადგან არასწორად ესმოდათ და არასწორად განმარტავდნენ, ხოლო ***მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფეველსა ცათასა,*** შეძლებს იქადაგოს ეს ცათა სასუფეველი. ქრისტესგან განსწავლულებმა, ახლა უკვე იციან „ძველი“ წინასწარმეტყველება და „ახალი“ სწავლებაც ქრისტესი ცათა სასუფევლის შესახებ და შეუძლიათ მათზე დაკისრებულ ქადაგებებში, როგორც სახლის პატრონს, რომელსაც თავისი საგანძურიდან გამოაქვს ძველიც და ახალიც, საჭიროებისდა მიხედვით ისარგებლონ ერთითაც და მეორითაც. ასევე, მოციქულების ყველა მემკვიდრე თავისი სამქადაგებლო საქმიანობაში უნდა სარგებლობდეს როგორც ახალი, ისე ძველი აღთქმითაც, რამეთუ ორივე ჭეშმარიტია და ორივე ღვთისგან არის გაცხადებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

18. უფლის პასუხი იმას, ვინც მერყეობს გაჰყვეს თუ არა მას

(მათე 8, 18-22; ლუკა 9, 67-62)

ხალხი ისე მჭიდროდ ეკვროდა და ავიწროებდა უფალს, რომ მას განმარტოებაც კი უჭირდა (ლუკა 4, 42) ლოცვისათვის და მოციქულებთან სასაუბროდ; ხშირად პურის საჭმელადაც კი ვერ იცლიდა (მარკოზი 3, 20). და აი, ერთხელ უფალმა უბრძანა თავის მოწაფეებს, გადაეცურათ ტიბერიის ტბის მეორე ნაპირზე. როდესაც უკვე ნავში ჩასასხდომად ემზადებოდნენ, უფალს ვინმე მწიგნობარი მიუახლოვდა და გამოთქვა სურვილი, გაჰყოლოდა მას, სადაც კი წავიდოდა. უფალი აფრთხილებს, რომ ისეთი ტვირთი აქვს ნაკისრი, რომელიც შეიძლება მწიგნობრის ძალღონეს აღემატებოდეს. უფალმა ხატოვნად მიუთითა თავისი ცხოვრების მწირობრივ წესზე: ***მელთა ჯურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს,*** – არა აქვს ადგილი, სადაც შეეძლება თავი შეაფაროს და შრომით დაღლილმა დაისვენოს. უწოდებს რა თავის თავს „ძე კაცისას“, უფალი მდაბლად უსვამს ხაზს თავის კაცებას, მაგრამ ამასთან, ვისთვისაც ცნობილია დანიელის წინასწარმეტყველება (7, 13, 14), მისთვის გასაგებია, რომ იგი ირიბად მიუთითებს თავის მესიანურ ღირსებაზე. როგორც ჩანს, ამ პასუხმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა უფლის იმ თანამგზავრებზე, რომლებიც უკვე შედიოდნენ მისი მოწაფეების რიცხვში. იმისათვის, რომ გამოეცადა მათი მზადყოფნის ძალა, გაჰყოლოდნენ მას სრული თვითუარყოფით, უფალმა ერთ-ერთ მათგანს უთხრა: ***შენ მომდევდი მე,*** – ამით აჩვენა, რომ სურს მისი შემოყვანა თავისთან

მჭიდრო ურთიერთობაში და მისთვის ღვთის სასუფევლის ქადაგების დაკისრება. მაგრამ ის მოერიდა, მაშინვე გაბუტო-ოდა უფალს იმ მიზეზით, რომ მამა ჰყავდა დასაკრძალავი. ამაზე უფალმა მიუგო: ***აცადენ მკუდარნი დაფლვად თჳსთა მკუდართა.*** აქ ორჯერ გამოყენებულ სიტყვას „მკვდარი" ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავს სულიერად მკვდრებს, მეორე შემთხვევაში – პირდა-პირი მნიშვნელობით მკვდრებს – ხორციელად გარდაცვლილებს. უფლის ამ სიტყვების აზრი ის არის, რომ საღვთო სასუფევ-ლის კეთილუწყების დიდი საქმის გამო ყველაფერი უნდა დაუტეო. „დაუტევე მკვდრები, რომლებიც ყრუ არიან ჩემი სიტყვისადმი, ჩემი საქმისადმი, – თითქოსდა ასე ამბობს უფალი, – ეს საქმე იმათ დაუტოვე, ვინც მიჯაჭვულია ამ მიწიერ ცხოვრებასთან, დაე, მათ დაასაფლავონ თავიანთი მკვდრები, შენ კი, რომელმაც შეისმინე ჩემ მიერ ქადაგებუ-ლი სიტყვა ცხოვრებისა, შემომიდექ მე". ამ, არცთუ მთლად გასაგები აკრძალვით, უკანასკნელი პატივი მიეგო გარდაცვ-ლილი მამისათვის, უფალს, როგორც ჩანს, ან ამ მოწაფის ხასიათისა და თავისადმი ერთგულების გამოცდა სურდა, ან მისი ნათესავებისაგან დაცვა, რომლებსაც, შესაძლოა, აღარ გამოეშვათ ის ქრისტესთან. სხვა მოწაფე კი არ დაელოდა მოწოდებას და თვითონ უთხრა უფალს, რომ სურდა მისი მიმდევრობა, მაგრამ წინასწარ მხოლოდ იმის უფლებას ითხ-ოვს, რომ წავიდეს და გამოემშვიდობოს თავის შინაურებს. მაგრამ ამაზე უფალმა მიუგო, რომ ***არავინ დასდვის ჴელი საჴნველსა, და ხედავნ იგი გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა:*** ვინც ქრისტეს მიმდევრობა გადაწყვიტა, უკან, წუთისოფლისკენ აღარ უნდა იხედებოდეს,

სადაც მას რჩება ნათესაური კავშირები და ამსოფლიური ლტოლვები, რადგან ნებისმიერი სახის მიჯაჭვულობა ამქვეყნიურ სოფელთან ხელს უშლის ადამიანს, მთლიანად მიენდოს ქრისტეს.

19. ქარის შერისხვა ზღვაზე

(მათე 8, 23-27; მარკოზი 4, 35-41; ლუკა 8, 22-25)

როდესაც მთელი დღის შრომით დაღლილები ნავში ჩასხდნენ და გაცურეს, იესოს ჩაეძინა, ნავის კიჩოზე მჯდომს. ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომელიც არცთუ იშვიათი იყო მთებით გარშემორტყმულ გენესარეთის ტბაზე, – ადგილობრივი მცხოვრებლები ტყუილად როდი უწოდებდნენ მას ზღვას. მოწაფეებს, რომელთა უმრავლესობაც მეთევზე იყო და მიჩვეული იყო ზღვაზე ქართან ბრძოლას, ძალა გამოეცალათ და შეშფოთებულებმა დაიწყეს თავიანთი მოძღვრის გაღვიძება: ***უფალო, მიჯსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით.*** ერთი მხრივ, ეს არის სიკვდილის შიში, მაგრამ, მეორე მხრივ – იმედი უფლის ყოვლადძლიერებაზე. წმინდა მარკოზ მახარებლის მიხედვით, მოწაფეებმა იმის უფლებაც კი მისცეს საკუთარ თავს, რომ უფლისთვის საყვედური ეთქვათ: ***მოძღუარ, არა ჰზრუნავ, რამეთუ წარვწყმდებით?*** პასუხად უფალმა მათ მცირედმორწმუნეობაზე გაამხვილა ყურადღება და შემდეგი ხელმწიფებრივი ტონით: ***დადუმენ და პირი დაიყავ!*** – მყისიერად შეწყვიტა ქარიშხალი. მოწაფეები და ***კაცთა მათ,*** რომლებიც, როგორც ჩანს, მათ გვერდზე სხვა ნავებით მიცურავდნენ, გაკვირვებით ამბობდნენ: ***ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუაჲცა ერჩიან მას?***

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ლეგიონი ეშმაკების განდევნა ღადარინის მხარეში

(მათე 8, 28-34; მარკოზი 5, 1-20; ლუკა 8, 26-40)

ტბა გადაცურეს და მივიდნენ აღმოსავლეთ სანაპიროზე. იმ ქვეყანას მახარებლები მარკოზი და ლუკა ღადარინელთა მხარეს უწოდებენ, იმ მხარის ქალაქ ღადარის მიხედვით. მათე მახარებელი კი – გერგესეველთა მხარეს, იქვე მდებარე სხვა ქალაქის – გერგესის მიხედვით. ორივე ეს ქალაქი შედიოდა ათქალაქის შემადგენლობაში. ნაპირზე მათ შეხვდათ უწმინდური სულით შეპყრობილი ეშმაკისეული. მახარებლები მარკოზი და ლუკა საუბრობენ ერთ ეშმაკეულზე, მათე მახარებელი – ორზე. ალბათ იმიტომ, რომ ერთი მათგანი იყო ღადარის მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი და იმყოფებოდა განსაკუთრებით საშინელ სიშლეგეში, მეორე კი, მასთან შედარებით, ნაკლებად შესამჩნევი იყო. ეშმაკეულობის არსი ისაა, რომ ეშმაკები ართმევენ ადამიანს პირად ცნობიერებას და თრგუნავენ რა მის საკუთარ გონებას, მართავენ მის სხეულსა და მისი სულის ძალებს; უბედურ ადამიანს უზომო ტანჯვას აყენებენ მისივე საკუთარი ქმედებებით. ძე ღვთისას სიდიადე და ყოვლადძლიერება, რომელიც დაფარულია ადამიანთა თვალთაგან, უწმინდური სულებისთვის, რომლებიც უფრო სრულყოფილ სულიერ ხედვას ფლობენ, ცხადი იყო და ძრწოლას ჰგვრიდა მათ. და აი, ეშმაკეულებმა დაიწყეს ყვირილი, აღიარებდნენ იესოს ძედ ღვთისად და შესთხოვდნენ მას, არ მიეყენებინა მათთვის ის აუტანელი ტანჯვა, რასაც განიცდიდნენ მისი სიახლოვით. მახარებლების – მარკოზისა და ლუკას მიხედვით, მათგან ყველაზე უფრო გაავე-

ბულმა იესოს შეკითხვაზე, რა ერქვა მას, უპასუხა: **ლეგიონ.** – ამით აღნიშნა მასში დიდი რაოდენობით უწმინდური სულების არსებობა. ეშმაკებმა იესოსგან იმის ნებართვა ითხოვეს, რომ არ წასულიყვნენ უფსკრულში და არ დაეტოვებინათ ის მხარე, არამედ შესულიყვნენ იქვე ახლოს მობალახე ღორის კოლტში. ჩვენ არც თუ ისე კარგად ვიცით ბოროტი სულების ბუნება, რომ გავიგოთ, თუ რატომ არის აუცილებელი მათთვის, რომ დაემკვიდრონ ცოცხალ არსებებში, მაგრამ საგულისხმოა, რომ ყველა ცოცხალ არსებათა შორის, მათ თვითონ აირჩიეს დასამკვიდრებლად იუდეველთა შეფასებით ყველაზე უწმინდური და საძაგელი ცხოველი, ოღონდაც კი უფალს არ განედევნა ისინი იმ მხარიდან და ამით არ წაერთმია მათთვის საშუალება, ემოქმედათ იქ. უფალმა ნება მისცა, შესულიყვნენ ღორებში და ამის შემდეგ გაშმაგებული კოლტი კბოდედან ზღვაში გადაეშვა და დაიხრჩო. ამის დაშვებით უფალს, როგორც ჩანს, სურდა შეეგონებინა ღადარინელები, რომლებიც მოსეს რჯულით აკრძალვის მიუხედავად, აშენიანებდნენ ღორებს, თანაც დიდი რაოდენობით (წმინდა მარკოზის მიხედვით კოლტი 2 000 ღორისგან შედგებოდა). ამასთან, ამ გარემოებამ იესოს მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, – როდესაც დაინახეს, რომ მათთვის ცნობილი საშინელი ეშმაკეული გამოჯანმრთელებულიყო და მის ფერხთით იჯდა. თუმცა, მომხდარმა, როგორც ჩანს, იქაური მცხოვრებლები ვერ გამოაფხიზლა, მათ მხოლოდ თავზარი დაეცათ და იმის შიში გაუჩნდათ, რომ უფლის იქ დარჩენა მათ კიდევ უფრო დააზარალებდა მატერიალურად. ღორების დაკარგვამ გადაწონა მათში მადლიერების გრძნობა იმის გამო, რომ უფალმა მთელი ის მხარე

ეკლესიის

გაათავისუფლა საშინელი ეშმაკეულისგან, და სთხოვეს მას, იქაურობა დაეტოვებინა. რაოდენ დიდი იყო ამ ადამიანების უგუნურება, რომლებსაც არ სურდათ თავის საზღვრებში ჰყოლოდათ ის, ვინც გამოჩნდა ეშმაკის საქმეების დასარღვევად! ჩვეულებრივი აკრძალვის ნაცვლად, რომ არავისთვის მოეთხროთ აღსრულებული სასწაულები, ამჯერად, უფალი, პირიქით, განკურნებულ ეშმაკეულს უბრძანებს, დაბრუნდეს თავის სახლში და მოუთხროს, *რაოდენი უყო* მას ღმერთმა. სავარაუდოდ ეს იმიტომ, რომ გალილეასა და იუდეასგან განსხვავებით, ამ მხარეში არ იყო გამეფებული ცრუ მოლოდინი მესიის შესახებ, როგორც ისრაელის მიწიერი ბელადისა; უფალს არ უნდოდა, რომ მისი სახელი დაეკავშირებინათ იუდეველ პატრიოტთა პოლიტიკურ სურვილებთან, რომლებიც რომაელთა ძალაუფლების დამხობაზე ოცნებობდნენ. გარდა ამისა, როგორც ყოველმხრივ ჩანს, ღადარინელები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული რელიგიურ-ზნეობრივი გაუხეშებითა და გაველურებით და უფალს სურდა გაეღვიძებინა მათი გულები მის მიერ განკურნებული ეშმაკეულის ქადაგებით თავის შესახებ. მან მართლაც დაიწყო ქადაგება უფლის შესახებ, როგორც წმინდა მარკოზი გადმოგვცემს, მთელ ათქალაქში და ამით მოამზადა მთელი ეს მხარე შემდგომში მოციქულთა ქადაგების მისაღებად და ქრისტესკენ მოსაქცევად.

21. სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება და იაიროსის ასულის აღდგენა

(მათე 9, 19-26; მარკოზი 5, 21-43; ლუკა 8, 41-56)

შევიდა რა ნავში მოწაფეებთან ერთად, უფალმა იესო ქრისტემ გაცურა უკან და მიადგა გენესარეთის ტბის მოპირდა-

პირე ნაპირს, სადაც კაპერნაუმი მდებარეობდა. აქ მას უკვე ხალხის დიდი ჯგუფი ელოდა, მათ შორის – სინაგოგის ერთ-ერთი მთავარი იაიროსი, რომლის ერთადერთი თორმეტი წლის ასული სიკვდილის პირას იყო. თუმცა სინაგოგის მთავრები მიეკუთვნებოდნენ იესოსადმი მტრულად განწყობილ პარტიას (იოანე 7, 47, 48), მაგრამ ეს მთავარი, რომელსაც ბევრი გაეგონა უფლის მიერ გალილეაში აღსრულებული სასწაულების შესახებ და, შესაძლოა, თავადაც ყოფილიყო კაპერნაუმელი ასისთავის სასწაულებრივად განკურნების მოწმე, აღივსო იმედით, რომ იესო მის ასულსაც განკურნავდა. თუმცა, მას არ ჰქონდა ისეთი რწმენა, როგორიც მოხსენიებულ ასისთავს და ამიტომაც სთხოვა უფალს, მისულიყო და განსაკურნებლად ხელი დაედო ავადმყოფზე. ამის დანახვაზე ხალხი დიდი ცნობისმოყვარეობით დაიძრა იაიროსის სახლისკენ, – ყველას უნდოდა ახლოს ყოფილიყო დიდ სასწაულთმოქმედთან, და ***მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდეს მას.*** ამ მსვლელობისას, მავანი დედაკაცი, რომელიც თორმეტი წელიწადი იტანჯებოდა სისხლდინებით, მრავალი მკურნალის ხელში გამოევლო და არაფერი შველებოდა, უკნიდან შეუმჩნევლად მიუახლოვდა იესოს და მის სამოსს შეეხო. მოსეს რჯულის თანახმად, ასეთი ავადმყოფობით დაავადებული ქალი უწმინდურად ითვლებოდა, სახლში უნდა მჯდარიყო და არავის შეხებოდა (ლევ. 15, 25-28), მაგრამ ამ უბედურ დედაკაცს იმდენად მხურვალე რწმენა ჰქონდა უფალ იესო ქრისტესი, რომ ღრმად სწამდა, თუკი შეეხებოდა მას, აუცილებლად განიკურნებოდა. მართლაც, მისი რწმენა გამართლდა: ის მაშინვე გამოჯანმრთელდა, ***განკმა წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის, და ცნა ჯორცთაგან, რამეთუ განიკურნა***

გუემულებისაგან. ყველაზე დაწვრილებით ამ ამბავს მარკოზ მახარებელი მოგვითხრობს; რიგი გადმოგვცემს: იესომ იგრძნო, რომ მისგან ძალა გამოვიდა, მიუბრუნდა ხალხს და იკითხა: ***ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?*** რა თქმა უნდა, მან მშვენივრად იცოდა, ვინ შეეხო, მაგრამ ეს იმისთვის იკითხა, რომ ყველასთვის, შესაგონებლად, ეჩვენებინა ამ დედაკაცის რწმენა და ამ რწმენით აღსრულებული სასწაული. დედაკაცი მიხვდა, რომ ვერაფერს დამალავდა, დაემხო მის წინაშე და ***უთხრა მას ყოველივე ჭეშმარიტი.*** ებრაელთა გაგებით, მან ჩაიდინა დანაშაული იმით, რომ შევიდა ხალხში და ყველა უწმინდურად ჰყო, ვისაც კი შემთხვევით შეეხო, ამიტომ შიშითა და ძრწოლით ელოდა ხალხისგან დასჯას, მაგრამ უფალმა ის დაამშვიდა: ***ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, წარვედ მშჳდობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულებისაგან შენისა.*** ამ დროს გარდაიცვალა იაიროსის ასული, და ვიღაც მოვიდა მისი სახლიდან ეთქვა მისთვის, რომ ნულარ შეაწუხებდა მოძღვარს. დაინახა რა მწუხარებით დათრგუნული მამა, უფალმა ის დააწყნარა: ***ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო.*** მივიდნენ იაიროსის სახლში და იხილეს იქ ***მგოსნები*** (მოზარენი, მგოდებელნი), რომლებსაც აღმოსავლური წესის თანახმად იწვევდნენ გარდაცვლილის დასატირებლად*. ეს გლოვა უბრალო ადამიანისთვის რვა დღე გრძელდებოდა, გამოჩენილი ადამიანისთვის – ერთი თვე.

ნუ სტირთ, – უთხრა მათ იესომ, – ***რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.*** ეს სიტყვები, რა თქმა

---

*მგოსანი (მათე 9, 23) – ვაჟნი და ქალნი კეთილად მომღერალნი ხმითა სამუსიკოთა ებანთა და ბარბითთა ზედა; მეგოდებენიცა გლოვის მგოსნად ითქმიან. – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ტ. I.

უნდა, ბუკვალურად არ უნდა გავიგოთ, რადგან ლაზარეს შესახებაც, რომელიც ოთხი დღე იდო საფლავში და ბოლოს ბოდა, უფალმა თქვა, რომ მას სძინავს (იოანე 11, 11-14), და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა პირდაპირ: ***ლაზარე მოკუდა.***

ქალწულის სიკვდილი იმდენად ნათელი იყო იქ მყოფთათვის, რომ მათ დასცინეს კიდეც იესოს. გარდაცვლილის მკვდრეთით აღდგენის უდიდესი სასწაულის თვითმხილველნი შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ ღირსეული ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევდათ დაეფასებინათ ეს უდიდესი საიდუმლო ღვთის ყოვლადძლიერებისა. ამიტომაც უბრძანა უფალმა ყველას გარეთ გასვლა, – დატოვა მხოლოდ თავისი სამი მოციქული: პეტრე, იაკობი და იოანე და გარდაცვლილის მშობლები. მერე მიუახლოვდა გარდაცვლილის სხეულს, ***უპყრა ჯელი ყრმისაჲ მის და ჯმა-უყო: ყრმაო, აღდეგ!*** – ქალწული მყისვე აღდგა, თანაც მისი სხეული იმდენად გამოჯანსაღდა, რომ მაშინვე სიარული დაიწყო. ყველა გაოცდა, უფალმა კი ბრძანა, საჭმელი მიეცათ მისთვის, რათა დაერწმუნებინა მშობლები, რომ მათ წინაშე მათი ცოცხალი ასული იდგა და არა გარდაცვლილის აჩრდილი. ჩვეულებისამებრ, უფალმა აუკრძალა ყველას ამ ამბის გამხელა.

22. ორი ბრმისა და ეშმაკეული მუნჯის განკურნება
(მათე 9, 27-34)

როდესაც იესო იაიროსის სახლიდან გამოვიდა, მას უკან ადამიანთა დიდი სიმრავლე გაჰყვა, მათ შორის ორი ბრმა, რომლებიც ყვიროდნენ: ***შემიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო!*** უფალი გზას განაგრძობდა, თითქოსდა ყურადღებას არ აქცევდა მათ ღაღადისს, როგორც ჩანს, მათი რწმენის გამოსა-

ცდელად, რომლებიც, თანაც, ძე დავითისას უწოდებდნენ მას, ანუ – მესიას. როდესაც ის სახლში მივიდა, – უცნობია, თუ ვისთან, – ბრმებიც მიადგნენ მას განკურნების თხოვნით. უფალმა ჰკითხა, სწამდათ თუ არა, რომ მას შეეძლო მათი განკურნება? როდესაც ამაზე დადებითი პასუხი მიიღო, უფალი მათ თვალებზე შეეხო, რათა ბრმებს შეეგრძნოთ თვით განკურნების მომენტი, და თვალებიც მყისვე აეხილათ. იესომ მკაცრად აუკრძალა მათ, როგორც სხვა ასეთ შემთხვევებში, ვინმესთვის მოეყოლათ ეს ამბავი, მაგრამ მათ ვერ შეიკავეს სიხარულისა და მადლიერების გრძნობა განმკურნებლის მიმართ და გაახმაურეს ეს სასწაული ***ყოველსა მას ქუეყანასა.***

როგორც კი ისინი გამოვიდნენ, უფალთან მაშინვე მიიყვანეს მუნჯი და ეშმაკეული. მას თვითონ არ შეეძლო განკურნება ეთხოვა, რადგან ეშმაკმა ენა შეუკრა. ამიტომაც არ შეეკითხა მას იესო რწმენის შესახებ, როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, არამედ პირდაპირ უბრძანა ეშმაკს, გამოსულიყო მისგან და, ამგვარად, მუნჯს დაუბრუნდა ლაპარაკის უნარი. სასწაულის თვითმხილველთ უკვირდათ და ამბობდნენ, რომ მსგავსი არაფერი ენახათ და გაეგონათ ისრაელის ერის ისტორიაში. ფარისევლებს კი სურდათ, შეესუსტებინათ ხალხში მაცხოვრის ამ სასწაულით გამოწვეული შთაბეჭდილება და ამბობდნენ, რომ იესო ეშმაკებს ეშმაკთა მთავრის – სატანას ძალით განდევნისო.

23. უფლის მეორედ მოსვლა ნაზარეთში

(მათე 13, 53-58; მარკოზი 6, 1-6)

შემდეგ იესო კვლავ ***მოვიდა მამულად თჳსად,*** – ნაზარეთში, სადაც გაიზარდა და რომელიც იყო სამშობლო მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედისა და მამადწოდებული იოსებისა. აქ იგი ასწავლიდა თავის თანამოქალაქეებს მათ სინაგოგებში, და ***განუკვრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალი?*** ეს არ იყო იმგვარი გაკვირვება, როგორითაც უკვირდათ სხვა ადგილებში, როცა ის ქადაგებდა და სასწაულებს აღასრულებდა: ეს იყო ზიზღნარევი გაკვირვება: ***ანუ არა ესე არს ხუროჲსა მის ძე?*** ნაზარეთელებმა ან არ იცოდნენ ან არ სჯეროდათ იესო ქრისტეს სასწაულებრივი განხორციელება და შობა, – მას უბრალოდ მიიჩნევდნენ იოსებისა და მარიამის ძედ. თუმცა ეს არ შეიძლება გამართლებული იყოს, რადგან ძველ დროშიც მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც მდაბიო მშობლებს ისეთი ბავშვები ებადებოდათ, რომლებიც შემდგომში ცნობილი და სახელოვანი პიროვნებები ხდებოდნენ. ასეთები იყვნენ დავითი, ამოსი, მოსე და სხვები. მათ სწორედ ამის გამო უნდა ეცათ პატივი იესოსთვის, რომ უბრალო მშობლების შვილმა ისეთი სიბრძნე გამოავლინა, რაც აშკარად ჩანდა, რომ იყო არა ადამიანური სწავლის, არამედ საღვთო მადლის შედეგი. მათი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის დამახასიათებელი მზაკვრული შური იყო, – ხშირად შურითა და სიძულვილით უყურებენ იმათ, ვინც მათი საზოგადოებიდან გამოდიან, ავლენენ არაჩვეულებრივ ნიჭს და მაღლდებიან. შეიძლება ამიტომაც არ უნდოდათ ყოფიერ ცხოვრებაში მის ძველ მეგობრებსა და თანატოლებს, რომლებთანაც მას ადრე მუდმივად უხდებოდა ურთიერთობა, ეღიარებინათ მასში არაჩვეულებრივი ადამიანი. ***არა არს წინაჲსწარმეტყველი შეურაცხ, გარნა სოფელსა თჳსსა,*** – ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ასე ხდება, რადგან ადამიანები ხშირად აქცევენ ყურა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღებას არა იმას, თუ რას უქადაგებენ მათ, არამედ ვინ უქადაგებს, და თუ ის, ვინც ღირსიქმნა ღვთივრჩეულობისა და მოწოდებისა, ისინი მიეჩვივნენ დაინახონ თავიანთ შორის ჩვეულებრივ ადამიანად, მაშინ ისინი კვლავ ძველებურად აღიქვამენ მას და არ უჯერებენ მის სიტყვებს, როგორც წინასწარმეტყველისას. უფალი უმატებს ამას, როგორც ჩანს, ხალხურ გამოთქმას: ***სახლსა შინა თჳსსა,*** – გულისხმობს იმას, რასაც იოანე მახარებელი ამბობს (7, 5): ***არცაღა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი.*** არც ქრისტეს და არც მის სწავლებას არსად შეხვედრია იმდენი წინააღმდეგობა, რამდენიც თავის მშობლიურ ქალაქში, სადაც მისი მოკვლაც კი განიზრახეს (ლუკა 4, 28, 29). ***და არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათჳს,*** – რადგან სასწაულების აღსრულება დამოკიდებულია არა მხოლოდ ღმერთის სასწაულთმოქმედ ძალებზე, არამედ აგრეთვე ადამიანთა რწმენაზეც, რომელთა მიმართაც სასწაული აღესრულება.

24. უფლის სვლა გალილეაში მოწაფეებთან და რამდენიმე დედაკაცთან ერთად; მისი წუხილი მომკალთა უკმარისობის გამო

(მათე 9, 35-38; მარკოზი 6, 6; ლუკა 8, 1-3)

ხალხის სიმრავლეს, რომელსაც უფალი ხედავდა ქალაქებისა და სოფლების მოვლისას, იგი ადარებს ცხვრის ფარას, რომელიც მწყემსის გარეშე დაეხეტება. ეს არის ხატოვნად გამოთქმული რეალობა, რომელიც განსაკუთრებით გასაგებია პალესტინაში – სამწყემსო მხარეში. ამ ერის სულიერი მოძღვრები არ არიან ჭეშმარიტი მწყემსები და მოძღვრები. ისინი თავად არიან ბრმები და არამცთუ არ ანათლებენ ერს

ჭეშმარიტი სწავლებით, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ოყვნიან მას. ***სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ,*** – ესეც ყველასათვის გასაგები და ადვილად წარმოსადგენი სურათია. მწიფე ხორბლით სავსეა ყანა და უნდა მოიმკას, მაგრამ მომკალნი ცოტანი არიან. ნათქვამის აზრი შემდეგია: დიდძალი ხალხია, ვისაც მესიის სასუფეველში შესვლა სურს და მზად არის ამისთვის, მაგრამ ცოტანი არიან მომზადებულნი ხალხის განსასწავლად. ***ევედრენით უფალსა სამკალისასა,*** – ევედრეთ ღმერთს, რომ შეეწიოს ახალ, არა ფარისევლური სულისკვეთებით მომზადებულ მუშაკთა განათლებას მესიის სასუფევლის ქადაგების საქმისათვის. უფალს ამ მსვლელობაში, გალილეაში ქადაგებისას, თან ახლდა რამდენიმე დედაკაციც, რომელთა მიმართაც მას მნიშვნელოვანი წყალობა ჰქონდა გაღებული და ახლა ისინი მადლიერების გრძნობით ემსახურებოდნენ მას. ეს დედაკაცები შემდგომში უფალს გოლგოთაზე გაჰყვნენ და შეადგინეს მენელსაცხებლე დედათა ის დასი, რომელსაც ეკლესია განადიდებს.

25. ქრისტე აგზავნის თორმეტ მოციქულს საქადაგებლად

(მათე 10, 1-42; მარკოზ 6, 7-13;
ლუკა 9, 1-6; 12, 11, 12)

უფალი განიცდიდა, რომ ესოდენ დიდი რაოდენობის ხალხი უმწყემსოდ იყო; არც იმის შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ყოველთვის თან ეტარებინა ესოდენ მრავალრიცხოვანი ხალხი, ამიტომ წარგზავნა თავისი მოწაფენი საქადაგებლად. ეს წარგზავნა განსხვავებულია იმისგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი აღდგომის შემდეგ. მაშინ ის წარგზავნის მოციქულებს

მთელ მსოფლიოში, რათა უქადაგონ სახარება ***ყოველსა დაბადებულსა,*** განსწავლონ ყველა ერი ქრისტეს სარწმუნოებაში და შეიყვანონ ისინი მის სასუფეველში ნათლისღების საიდუმლოს გზით. ახლა კი უფალი მათ აგზავნის მხოლოდ ***ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჱლისათა*** მოსაპოვებლად, ანუ მხოლოდ ებრაელებთან. ამასთან, ის მოციქულებს მოუწოდებს, რომ უქადაგონ მხოლოდ მოახლოება ცათა სასუფევლისა, მაგრამ ჯერ არ შეიყვანონ ამ სასუფეველში. ეს არის მოსამზადებელი ქადაგება, რადგან მათ ჯერ არ შეუმოსიათ ***ძალი მაღლით,*** რომელიც შემდგომში მიეცათ ნუგეშინისმცემლის – სულიწმიდის გარდამოსვლით. უფალმა მოციქულები ორ-ორი წარგზავნა, – ერთი მხრივ, ერთმანეთის მხარდასაჭერად; მეორე მხრივ, ებრაელები უფრო იჯერებდნენ და ჭეშმარიტად მიიჩნევდნენ ორი პირის მოწმობას, – მოსეს რჯულის თანახმად (იოანე 8, 17; მეორე რჯ. 19, 15). უფალმა იცოდა, რომ მოციქულებისგან მოითხოვდნენ სასწაულებს მათი ქადაგების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, ამიტომ მისცა მათ ხელმწიფება უწმინდურ სულებზე და სასწაულებრივი განკურნებისა და მკვდრეთით აღდგენის ძალა. ქადაგების წარმატებისათვის იგი მათ აფრთხილებს გაერიდონ ვერცხლსა და ყოველგვარ საზრუნავზე ფიქრს, მათ შორის საჭმელზე, ჩასაცმელსა და საცხოვრებელზე; ეუბნება, რომ ***ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა***, და შესაბამისად, ღმერთი არ დაუშვებს, რომ მისი მსახურები, რომლებმაც უარი თქვეს ეზრუნათ საკუთარ თავზე მათზე დაკისრებული მსახურების სასარგებლოდ, აუცილებელი სახმარი ნივთების დანაკლისს განიცდიდნენ. თითოეულ ქალაქსა თუ დაბაში ისინი უნდა გაჩერებულიყვნენ ისეთ სახლში, სადაც მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნა არ იქნებოდა სათაკილო, როგორც ნეტარი იერონიმე ამბობს: „მოციქულთა მასპინძლების ცუდ სახელს არ შეერცხვინა თვით ქადაგების ღირსება“, და არ გადასულიყვნენ სახლიდან სახლში, როგორც ეს ახასიათებთ ზერელე და დაუფიქრებელ ადამიანებს. ***და შე-რაჲ-ხუდოდით სახლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: „მშუდობაჲ სახლსა ამას!“*** ეს იყო ებრაელებისათვის ჩვეული მისალმება, მაგრამ უსურვო მშვიდობა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, მისცე მშვიდობა. ამიტომ უფალი განმარტავს, რომ მათი სურვილი მშვიდობისა, მართლაც მოუტანს მშვიდობას ამა თუ იმ სახლსა და ქალაქს, სადაც მათ მიიღებენ სიხარულითა და წრფელი გულით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მისალმება უნაყოფო დარჩება და ***მშუდობაჲ თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.***

ხოლო თუ ვინმე უარს ეტყვის მოციქულებს გამასპინძლებაში, მაშინ უნდა დაიბერტყონ ფეხიდან მტვერი. ებრაელები ფიქრობდნენ, რომ თვით მიწა და მტვერი, რომელზედაც წარმართები დადიან, უწმინდურია და ის უნდა დაიბერტყო. როდესაც ასეთ ბრძანებას იძლეოდა, ქრისტეს იმის თქმა უნდოდა, რომ ასეთი ებრაელები წარმართებს ჰგვანან, რომ ***უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ*** (ქალაქები, რომლებიც დაისაჯნენ თავიანთი უკიდურესი უკეთურებისა და გარყვნილებისათვის) ***დღესა მას საშჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.*** ვინც ქრისტეს შესახებ ქადაგებას უარყოფს, როგორც ღვთის კანონს, იმაზე მეტი დამნაშავეა, ვინც უარყო სინდისის ბუნებრივი კანონის მოთხოვნილება, არც თუ ესოდენ ნათელი და კატეგორიული.

უფალი თავის მოწაფეებს თავდაპირველად იმიტომ აგზავნის მხოლოდ ებრაელებთან, რომ ისინი იყვნენ ღვთის რჩეუ-

ლი ერი, რომელსაც აღეთქვა მესია ჯერ კიდევ ძველი აღთქ-
მის წინასწარმეტყველების მიერ; სწორედ ამ ერში მოუვლინა
იესო ქრისტე ქვეყანას. ამას მოჰყვება შეგონება, რომელიც
მოციქულთა მსახურებას ეხება ზოგადად. უფალი მოციქულებს
აფრთხილებს იმ საშიშროებათა შესახებ, რომლებიც მათ ამ
მსახურებისას მოელით: ეუბნება, რომ ისინი ისეთივე დაუცველე-
ბი იქნებიან, როგორიც ცხვრები სისხლმოწყურებული მგლების
გარემოცვაში. ***იყვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი,*** –
ანუ ფრთხილნი, უკიდურესი აუცილებლობის გარეშე ნუ
ჩაიგდებთ სიცოცხლეს საფრთხეში, კარგად გაარკვიეთ სად
უნდა თესოთ ღვთის სიტყვა, სად – თავი შეიკავოთ ამისგან,
მცნების მიხედვით: ***ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა.*** თვი-
თონ კი იყავით ***უმანკო, ვითარცა ტრედნი,*** ანუ ისეთები,
რომ ვერავინ გისაყვედურონ ცუდ საქციელებში. უფალი
წინასწარ ამბობს, რომ მოციქულებს მოუწევთ დაამოწმონ
მის შესახებ მთავრებისა და მეფეების წინაშე, – მხედველო-
ბაში აქვს მათი არა ეს ელჩობა, არამედ მომავალი მსოფლიო
სამოციქულო მოღვაწეობა, – და მოუწევთ დევნილობის გა-
დატანა ურწმუნოთა მხრიდან; არ არის საჭირო განგაშსა და
ფიქრს მიეცე, თუ რა და როგორ ილაპარაკო სასამართლოზე
ასეთ შემთხვევებში, რადგან სულიწმიდა თავად შეგაგონებთ
საჭირო სიტყვებს. სახარებისეული ქადაგების, მქადაგებლები-
სა და აღმსარებლების წინააღმდეგ იმდენად ძლიერი სიძულ-
ვილი ექნებათ ამა ქვეყნის ადამიანებს, რომლებიც ზემოთ
მგლებად იწოდებიან, რომ მას ვერ გაუძლებს ყველაზე ძლიერი,
და ადამიანისათვის წმინდა, ნათესაური კავშირებიც კი.

ყოველივე ეს ზუსტად აღსრულდა ქრისტიანების დევნი-
ლობის ეპოქაში, როდესაც ძმა ძმის წინააღმდეგ გამოდიო-

და, სასიკვდილოდ იმეტებდა და ქრისტეს ყველა ჭეშმარიტი მიმდევარი თავის თავზე განიცდიდა ყველაზე საშინელ და არაადამიანურ სიძულვილს ქრისტიანობის მტრებისგან. ვინც ბოლომდე, ანუ სიკვდილამდე დაითმენს ყველა ამ დევნას და ქრისტეს არ უარყოფს – ***იგი ცხოვნდეს,*** ე.ი. მიაღწევს მარადიულ ნეტარებას ცათა სასუფეველში. მუციქულებმა წინდაუხედავად არ უნდა ჩაიგდონ საფრთხეში თავიანთი სიცოცხლე, რომელიც საჭიროა მრავალი ადამიანის გადასარჩენად. ამიტომ, თუკი მათ დევნიან ერთ ქალაქში, შეუძლიათ გაიქცნენ მეორეში. ***ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჱლისაჲ, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მოვიდეს.*** ამ ადგილის პარალელურ ადგილას დამატებულია: ***სუფევითა თჳსითა.*** აქ არ არის საუბარი უფლის მეორედ დიდებით მოსვლაზე ქვეყნის აღსასრულისას ჟამს ყოველთა განსასჯელად. იესო ქრისტეს მოსვლა თავისი სუფევით იგივეა, რაც ამ სასუფევლის გაცხადება, ხოლო გაცხადდა ქრისტეს სასუფეველი მისი აღდგომისას და სულიწმიდის გარდამოსვლისას მოციქულებზე, რის შემდეგაც ისინი უკვე წავიდნენ მთელ მსოფლიოში ამ გაცხადებული სასუფევლის საქადაგებლად.

შესაბამისად, უფლის ამ გამოთქმის აზრი შემდეგია: „თქვენ ვერ მოასწრებთ ჩემი სასუფევლის მოახლოების შესახებ ქადაგებით მთელი პალესტინის შემოვლას, რომ უკვე დადგება ჩემი სასუფევლის გაცხადების ჟამი ჩემი ვნების, მკვდრეთით აღდგომისა და სულიწმიდის გარდმოსვლის გზით“.

წარგზავნა რა ამ წინასწარ ქადაგებაზე მოციქულები, – რაც სასარგებლო უნდა ყოფილიყო მათთვისაც, როგორც „ერთგვარი შერკინების სასწავლებელი, სადაც ისინი მოემზადნენ მთელ მსოფლიოში სახარების ქადაგების მოღვაწეობი-

სთვის“, წმინდა იოანე ოქროპირის გამოთქმით (განმარტება მათეს 32-ე თავზე), – უფალი მიუთითებს, რომ მათ განკარგულებაში მცირე დროა, რამეთუ ახლოვდება ჟამი მათი ჯვარსახოვანი ვნებისა და ამა ქვეყნიდან განსვლისა. თავიანთი შრომისათვის ისინი არ უნდა ელოდნენ პატივს, პირიქით, მზად უნდა იყვნენ შეურაცხყოფისათვის, რადგან თუკი ებრაელები თვით უფალს ლანძღავენ ასე უხეშად და მას ბელზებულსაც კი უწოდებენ, მაშინ მით უფრო მიაყენებენ შეურაცხყოფას მის მოწაფეებს – „არა არს მოწაფე უფროჲს მოძღურისა თჳსისა, არცა მონაჲ უფროჲს უფლისა თჳსისა“. ***ნუუკუე გეშინინ მათგან,*** – როდესაც ისინი ცილს დაგწამებენ, ***რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა*** გამოჩნდეს, – მოციქულების რწმენა და სიმართლე დროთა განმავლობაში ყველასთვის გაცხადდება. ***რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა,*** – რაც მე თქვენ ცალკე გითხარით, როდესაც პალესტინის ქალაქებსა და დაბებში დავდიოდით, თქვენ ის უნდა უქადაგოთ მთელ მსოფლიოს, საჯაროდ, სახლების ერდოებიდან. მოციქულებს არ უნდა ეშინოდეთ ***რომელთა მოსწყჳდნენ ჯორცნი, ხოლო სულისა ვერ ჯელ-ეწიფების მოკლვად,*** რადგან ღვთის ნების გარეშე მათ არაფერი შეემთხვევათ, რამეთუ ღვთის განგებულება ყველაფერზე ვრცელდება – პატარა ჩიტებზეც და ადამიანის თავის თმაზეც კი. ***ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა?*** აქ არის მითითება უმცირეს და უწვრილმანეს ფასეულობაზე: „ასარი“ – დინარის 1/10 ნაწილია. ვინც, მიუხედავად ცილისწამებისა და დევნისა, მტკიცედ იდგება და აღიარებს ქრისტეს ადამიანების წინაშე, მას ქრისტეც აღიარებს, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ერთგულ მონას ზეციერი მამის სამსჯავროზე. ხოლო ვინც ქრისტეს უარყოფს, იმას ქრისტეც უარყოფს იმ დღეს. ***არა მოვედ მიფენად მშვდობისა, არამედ – მახვლისა,*** – ეს უნდა გავიგოთ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ იმ აზრით, რომ უთანხმოება და მტრობა ადამიანებს შორის წარმოადგენს უფლის დედამიწაზე მოსვლის აუცილებელ შედეგს, რადგან ადამიანური ღვარძლი აღძრავს სასტიკ მტრობას ღვთის სასუფევლის, მისი მქადაგებლებისა და მიმდევრების წინააღმდეგ. ***რომელსა უყუარდეს მამაჲ ანუ დედაჲ უფროჲს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს,*** – ეს ნიშნავს, რომ ქრისტეს მსახურებისათვის უნდა დავთმოთ ყველა მიწიერი მიჯაჭვულობა, ოჯახური სიყვარულიც კი. ***რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს,*** – ეს არის რომაული ჩვეულებიდან, რომლის თანახმადაც მისჯილებს თავად მიჰქონდათ ჯვარი სასჯელის ადგილამდე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენც, როდესაც ქრისტეს მოწაფეები ვხდებით, მისი სახელით უნდა დავითმინოთ ყოველგვარი განსაცდელი და ტანჯვა, ყველაზე მძიმე და დამამცირებელიც, თუ ღმერთი ინებებს და ასეთებს დაუშვებს ჩვენზე. ***რომელმან მოიპოოს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი,*** – ვისაც მიწიერი სიკეთეები ურჩევნია ზეციურ სიკეთეებს, ვინც მომავალ სიკეთეებს წირავს მიწიერი სიკეთეების გამო, ვინც ქრისტეს უარყოფამდეც კი მიდის მიწიერი ცხოვრების შესანარჩუნებლად, ასეთი ადამიანი დაიღუპავს თავის სულს მარადიული ცხოვრებისათვის; ხოლო ვინც ყველაფერს წირავს ქრისტესთვის, საკუთარ სიცოცხლესაც კი, ის დაიცავს თავის სულს მარადიული ცხოვრებისათვის.

ასწავლიდა და ანუგეშებდა რა მოციქულებს, უფალი იესო ქრისტე იმ ჯილდოებსაც მოიხსენიებდა, რომლებიც ელოდებათ იმათ, ვინც მოციქულებს მიიღებს ქრისტესთვის. ***რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.*** შემდგომი სიტყვები ნიშნავს, რომ ვინც მიიღებს მოციქულებს, როგორც წინასწარმეტყველებს ან როგორც მართლებს, ის მიიღებს ისეთ ჯილდოს, როგორსაც მიიღებს თვით წინასწარმეტყველი ან მართალი; ვინც დაარწყულებს მოწყურებულ ქრისტეს მოწაფეებს, თუნდაც ერთი ჭიქა ცივი წყლით, ისიც კი არ დარჩება ჯილდოს გარეშე.

უფალმა დაამთავრა 12 მოციქულის შეგონება და წავიდა გალილეაში საქადაგებლად, მოციქულები კი ორ-ორად გაიყვნენ ***და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რაჲთა შეინანონ. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს.*** საიდუმლო სერობაზე უფლის მიერ დასმულ კითხვაზე მათი პასუხიდან (ლუკა 22, 35) ჩანს, რომ ისინი ამ ქადაგების დროს ნაკლულოვანებას არაფერში განიცდიდნენ. როგორც ჩანს, ისინი კვლავ შეიკრიბნენ უფალთან, როცა იოანე ნათლისმცემლის სიკვდილის ამბავი გაიგეს.

26. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა
(მათე 14, 1-12; მარკოზი 6, 14-29;
ლუკა 9, 7-9)

ამ მოვლენის გადმოცემის მიზეზი ის იყო, რომ მეოთხედმმართველ ჰეროდე-ანტიპას იესო ქრისტეზე ისეთი აზრი შეექმნა, თითქოს ეს იყო მკვდრეთით აღმდგარი იოანე ნათლისმცემელი. როგორც ლუკა მახარებელი განმარტავს, რომელიც

არ გადმოგვცემს მთელ ამ ამბავს, ეს აზრი პირველად ჰეროდეს არ მოსვლია, ის მხოლოდ მას შემდეგ მიიდრიკა ამ აზრისკენ, რაც ამის შესახებ სხვების ლაპარაკი გაიგონა (ლუკა 9, 7-9).

ებრაელებს არ ჰქონდათ ჩვეულება, ედღესასწაულათ საკუთარი დაბადების დღე, მაგრამ აღმოსავლელ მეფეთა მიბაძვით, ჰეროდემ ერთხელ თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად დიდი ნადიმი გაუმართა დიდგვაროვნებს, ათასისთავებსა და გალილეველ უხუცესებს. აღმოსავლეთის წესების თანახმად დედაკაცებს არ ჰქონდათ უფლება მამაკაცების ნადიმს დასწრებოდნენ. მსგავს წვეულებებზე ცეკვის უფლება მხოლოდ მხევლებს ეძლეოდათ. მაგრამ სალომეა, რომელიც თავისი გარყვნილი დედის – ჰეროდიადას შესაფერისი ასული იყო, რომელთანაც უკანონოდ ცხოვრობდა ჰეროდე და სწორედ ამისთვის ამხილებდა მას იოანე ნათლისმცემელი, მონადიმეებთან მოცეკვავის მსუბუქი შესამოსელით შევიდა და ცეკვა დაიწყო. თავისი ვნების აღმძვრელი ცეკვით იმდენად მოხიბლა ღვინით შეზარხოშებული ჰეროდე, რომ მან ფიცით აღუთქვა, რომ ყველაფერს მისცემდა, რასაც მოითხოვდა. სალომეა გამოვიდა და დედამისს, რომელიც ნადიმში არ მონაწილეობდა, ჰკითხა, რა მოეთხოვა. მან უპასუხა: ***თავი იოვანე ნათლისმცემლისაᲐ.*** მაგრამ ჰეროდიადას ეშინოდა, რომ ჰეროდე არ შეასრულებდა დაპირებას და არ მოკლავდა იოანეს, რადგან ჰეროდეს, ერთი მხრივ, ხალხის ეშინოდა, მეორე მხრივ, თვითონაც პატივს სცემდა იოანეს, რადგან იცოდა, რომ იგი იყო ***კაცი მართალი და წმიდაᲐ,*** ბევრ რამეს აკეთებდა მისი რჩევით და სიამოვნებით უსმენდა მას (მარკოზი 6, 20), ამიტომ შთააგონებდა თავის ასულს, რომ მოეთხოვა წინასწარმეტყველის დაუყოვნებლივი სიკვდილი, და ლანგარიც

კი მისცა, რომლითაც უნდა მიეტანათ მისთვის მოკლულის თავი. სალომეამ ზუსტად შეასრულა დედის სურვილი. **იგი მსწრაფლ** შევიდა მონადიმეებთან და მეფეს მიმართა: ***მნებავს, რადთა აწვე მომცე მე ლაკნითა თავი იოვანე ნათლისმცემელისაჲ.*** ორივე მახარებელი მოწმობს, რომ ***მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფე*** ამ მოთხოვნის გამო, რამეთუ არ სურდა, შესაბამისად, იოანეს დასჯა, მაგრამ არც ფიცის დარღვევა სურდა თავმოყვარეობისა და ცრუ სირცხვილის გამო სტუმრების წინაშე და გაგზავნა ***მეკრმლე,*** ანუ თავისი პირადი მცველი-საჭურველთმტვირთველი, რომელმაც თავი მოჰკვეთა იოანე ნათლისმცემელს და ლანგრით მოუტანა მეფეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წვეულება არ იყო გამართული ტიბერიაში, რომელიც იყო ჰეროდეს ჩვეულებრივი რეზიდენცია, არამედ იულიუსის იორდანისგაღმა მდებარე რეზიდენციაში, საიდანაც ახლო იყო მაქერის ციხე-სიმაგრესთან, სადაც დაპატიმრებული ჰყავდათ იოანე ნათლისმცემელი, თუმცა, შესაძლოა, ეს ნადიმი თვით ციხე-სიმაგრეში ყოფილიყო გამართული. გადმოცემის თანახმად, ჰეროდიადა ძიდხანს შეურაცხყოფდა იოანეს თავს, ნემსით ჩხვლეტდა მის ენას, რომელიც მას გარყვნილებაში ამხელდა, ხოლო შემდეგ ბრძანა, მისი სხეული გადაეგდოთ მაქერის მიმდებარე ერთ-ერთ ხრამში. იოანეს მოწაფეებმა აიღეს მისი თავმოკვეთილი გვამი და როგორც წმინდა მარკოზი მოწმობს, საფლავში ჩაასვენეს. გადმოცემის თანახმად, ეს იყო გამოქვაბული, სადაც დასაფლავებულნი იყვნენ წინასწარმეტყველები აბდია და ელისე, ქალაქ სებასტესთან ახლოს, რომელიც აშენებული იყო ქალაქ სამარიის ადგილზე. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის სამწუხარო მოვლენას წმინდა ეკლესია ყოველწლიურად აღნიშ-

ნავს 29 აგვისტოს/11 სექტემბერს, – მძიმე მარხვით. ჰეროდემ დამსახურებული სასჯელი მიიღო: ომში მან სრული დამარცხება განიცადა, ხოლო რომში გამგზავრებულმა, ყველა უპირატესობა და ქონება დაკარგა და გალილეაში საპყრობილეში იქნა მოთავსებული, სადაც დაიღუპა უწმინდურ ჰეროდიადასთან ერთად. სალომეა კი ერთხელ, ზამთარში, მდინარეზე გავიდა, ფეხქვეშ ყინული გაუტყდა, თავამდე წყალში ჩაიძირა და ყინულმა თავი წააცალა.

იოანე მოწაფეებმა დაკრძალეს და მომხდარის შესახებ უფალ იესოს შეატყობინეს; როგორც ჩანს, ერთი მხრივ, მისგან ნუგეშს ეძებდნენ მწუხარებაში მყოფნი, მეორე მხრივ, ამით მისი გაფრთხილებაც სურდათ მოსალოდნელი საფრთხისგან, რადგან ის ჰეროდეს ოლქში ქადაგებდა. წმინდა მარკოზი გადმოგვცემს, რომ ამავე დროს იესოსთან მოციქულებიც შეიკრიბნენ, და თავიანთი მოღვაწეობის შესახებ მოუთხრეს.

როდესაც უფალმა ნათლისმცემლის ძალადობრივი სიკვდილის ამბავი გაიგო, იგი განმარტოვდა, – როგორც ეს პირველი სამი მახარებლის მოწმობათა ურთიერთშეჯერებით ირკვევა, – უდაბნო ადგილას თავის მოწაფეებთან ერთად. როგორც ჩანს, ამ ცნობის მიღებისას იგი იმყოფებოდა გენესარეთის ტბის ახლოს, რადგან იქაურობას ნავით განშორდა. ეს უდაბნო ადგილი კი, ანუ მცირედ დასახლებული ადგილი, წმინდა ლუკას თანახმად, მდებარეობდა ქალაქ თებაიდას მახლობლად. წმინდა ლუკა დასძენს, რომ ჰეროდემ გავრცელებული ხმების ზეგავლენით, თითქოს იესო ქრისტე – მკვდრეთით აღმდგარი იოანეა, მოინდომა ***ხილვაჲ მისი.***

27. ხუთი ათასი კაცის სასწაულებრივი დაპურება

(მათე 14, 14-21; მარკოზი 6, 32-44; ლუკა 9, 10-17; იოანე 6, 1-15)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სასწაულებრივ მოვლენას ოთხივე მახარებელი აღწერს. ამასთან, იოანე მახარებელი აღნიშნავს, რომ ეს მოვლენა უფლისთვის საბაბი იყო იმისათვის, რომ იუდეველებისათვის გაეცხადებინა თავისი სწავლება ზეციური პურისა და წმინდა ზიარების შესახებ, თანაც, მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ მინიშნებასაც გვაძლევს: ეს მაშინ მოხდა, როცა ***იყო მოახლეგულ პასქაჲ, დღესასწაული იგი ჰურიათაჲ*** (ქრისტეს საზოგადოებრივი მსახურების პერიოდში მესამე პასექი).

იოანე ნათლისმცემლის სიკვდილის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ, იესო ქრისტე გალილეადან წავიდა საქადამგებლო მოგზაურობიდან ახლახან დაბრუნებულ თავის მოწაფეებთან ერთად. მათ ნავით გაცურეს ტიბერიის ტბის აღმოსავლეთ მხარეს, უდაბნო ადგილას ქალაქ თებაიდას მახლობლად. რადგანაც ერთი თებაიდა მდებარეობდა დასავლეთ სანაპიროზე კაპერნაუმის მახლობლად, ამიტომ აქ უნდა ვივარაუდოთ მეორე თებაიდა, – აღმოსავლეთით მდებარე იმ ადგილიდან, სადაც მდინარე იორდანე გენესარეთის ტბაში ჩაედინება. ამ ქალაქის სრული სახელი იყო „თებაიდა იულიუსისა“. მარკოზ მახარებლის მონათხრობით, ხალხმა დაინახა, როგორ და სად გაემართნენ ისინი და ბევრი სირბილით გაიქცა იქით სხვადასხვა ქალაქიდან; მათ უფრო ადრეც კი მიაღწიეს ტბის იმ ნაპირს, რომელსაც იესო ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად მიადგა; იქ, უდაბნო ადგილას, კვლავ მოიყარა ხალხმა მის ირგვლივ თავი. დიდძალი ხალხის დანახვაზე, უფალი ლმობიერებით მიიდრიკა მისკენ ***და შეეწყალნეს***

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგინი, რამეთუ იყვნეს, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო სწავლად მათდა ფრიად (მარკოზი 6, 34) ***და განკურნა სნეულნი მათნი*** (მათე 14, 14). გარკვეული დროის შემდეგ, როგორც წმინდა იოანე გადმოგვცემს, ის ავიდა მთაზე, იჯდა იქ თავის მოწაფეებთან ერთად და დაინახა მთის ძირიდან მისკენ ამომავალი უამრავი ხალხი. საუბარში დღე თანდათან მიილია, ბინდდებოდა. მოციქულები მიადგნენ უფალს ***და ჰრქუეს მას: „უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი გარდასრულ არს; განუტევე ერი ესე, რაჲთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თჳსისა საზრდელი.*** უფალს არ უნდოდა ხალხის გაშვება და მოწაფეებს უთხრა: ***თქუენ ეცით მაგათ ჭამადი.*** სცდიდა რა მოციქულ ფილიპეს რწმენას, უფალმა ჰკითხა მას: ***ვინაჲ ვიყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ ამათ?*** რაზედაც ფილიპემ უპასუხა: ***ორასისა დრაჰკნისა პური ვერ კმა არს ამათა, რაჲთა კაცად-კაცადმან მცირედ რაჲმე მიიღოს.*** მსაგავსადვე ლაპარაკობდნენ სხვა მოციქულებიც. მაშინ უფალმა მიმართა მათ: ***რაოდენი გაქუს პური? მივედით და იხილეთ.*** მათ იხილეს და ანდრიამ უთხრა: ***არს აქა ყრმაჲ*** (ეტყობა, ეს იყო ვაჟი პროდუქტების გამყიდველისა, რომლებიც მრავლად იყრიდნენ ხოლმე თავს ხალხს შეკრების ადგილებში), ***რომელსა აქუს ხუთი პური ქრთილისაჲ და ორი თევზი, არამედ ესე რაჲ არს ესოდენთა წინაშე?*** მაშინ იესომ მოითხოვა: ***მომართჳთ მე იგი აქა! ... დასხით კაცები ესე. ... და დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი,*** რათა ამგვარად ყველანი დაეთვალათ. ქალებისა და ბავშვების გარდა 5 000 კაცი გამოვიდა. მან აიღო ხუთი პური და ორი თევზი, აღაპყრო თვალნი ზეცად, მადლობა აღუვლინა ღმერთს, აკურთხა, დატეხა და მისცა თავის მოწაფეებს ხალხისათვის

ჩამოსარიგებლად (ლუკა 9, 16), ასევე, ორი თევზი გაუყო ყველას (მარკოზი 6, 41) და ვისაც რამდენი უნდოდა (იოანე 6, 11). „ჭამეს ყოველთა და განძღეს“. ამის შემდეგ უფალმა მოწაფეებს უბრძანა, მოეგროვებინათ დარჩენილი პურისა და თევზის ნატეხები, რათა არაფერი დაკარგულიყო. ***და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე. ...ხოლო კაცთა მათ, ვითარცა იხილეს სასწაული იგი, რომელ ქმნა იესუ, იტყოდეს: „ესე არს ჭეშმარიტად წინაასწარმეტყველი, რომელი მოსრულ არს სოფლად“. ხოლო იესუ გულისჯმაყო, რამეთუ მოვიდოდეს წარტაცებად, რაჲთამცა ყვეს იგი მეფე; და განეშორა და წარვიდა მთად იგი ხოლო მარტოჲ*** (იოანე 6, 14, 15). როგორც ჩანს, ხალხს სურდა, ესარგებლა პასექის დღესასწაულის მოახლოებით, წაეყვანათ იესო იერუსალიმში და იქ გამოეცხადებინა იგი სახალხო მეფედ. რა თქმა უნდა, უფალს არ სურდა მესიის შესახებ ამ ცრუწარმოდგენას (თითქოს ის მიწიერი მეფე უნდა ყოფილიყო) განვითარება მისცემდა. მან უბრძანა მოწაფეებს, განეგრძოთ გზა წინ, ტბის დასავლეთ სანაპიროსკენ; თვითონ კი, – მას შემდეგ, რაც დააწყნარა სასწაულით აღელვებული ხალხი და სახლებში გაუშვა, – სალოცავად მთაზე ავიდა.

28. უფლის წყალზე სვლა და მრავალი ავადმყოფის განკურნება

(მათე 14, 22-36; მარკოზი 6, 45-56; იოანე 6, 16-21)

მოწაფეებმა შეასრულეს უფლის ბრძანება, შევიდნენ ნავში და გენესარეთის ტბის დასავლეთ სანაპიროსკენ გაცურეს. დაბნელდა. ***ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა აღიძრვოდა,*** ნავი

ტბის შუანაწილში იმყოფებოდა ***და იგუემებოდა ღელვათაგან*** (მათე 14, 24), უფალი კი მათთან არ იყო. ის მარტო დარჩა ხმელეთზე, მაგრამ დაინახა მათი განსაცდელი (მარკოზი 6, 48). ნავი ამ დროს აღმოსავლეთ სანაპიროდან იმყოფებოდა ოცდახუთი თუ ოცდაათი ვერსიის დაშორებით (იოანე 6, 19). დახლოებით მეოთხე გუშაგობის ჟამი იყო (დაახლოებით, განთიადი), და უცებ მოწაფეებმა იესო ქრისტე დაინახეს, რომელიც ზღვით მოდიოდა მათი მიმართულებით, თუმცა, ისე, რომ თითქოს მათთვის გვერდის ავლას აპირებდა (მარკოზი 6, 48).

როდესაც იგი წყალზე მომავალი დაინახეს, მოჩვენება ეგონათ და შიშისგან დაიყვირეს, მაგრამ უფალმა დაამშვიდა: ***გულპყრობილ იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!*** მგზნებარე ტემპერამენტის მქონე პეტრე აღივსო იმის სურვილით, რომ უფლის შესახვედრად წასულიყო და ამის ნებართვა ითხოვა; უფალმა მიუგო: ***მოვედ!*** პეტრე გადმოვიდა ნავიდან და მისმა რწმენის ძალამ სასწაული მოახდინა: მან წყალზე გაიარა! თუმცა, გაძლიერებულმა ქარმა და ძლიერმა ტალღებმა პეტრეს ყურადღება იესოსგან მიაქცია, ვისკენაც მიდიოდა, და მაშინვე რწმენა შეერყა და დაძირვა დაიწყო, და ***ღაღად-ყო და თქუა: „უფალო მიჯსენ მე!“*** უფალმა მაშინვე გაუწოდა ხელი, ჩასჭიდა და უთხრა: ***მცირედმორწმუნეო, რაჲსა შეორგულდი?***

როგორც კი ისინი ნავში შევიდნენ, ქარი მაშინვე დაცხრა, და ნავიც მალე მიადგა ნაპირს, საითკენაც მიცურავდნენ. ყველა, ვინც ნავში იყო, მიუახლოვდა უფალს, თაყვანი სცა და უთხრა: ***ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ.*** როგორც კი იესო ნაპირზე გადმოვიდა, მაშინვე იმ ადგილის მცხოვრებთა ალყაში მოექცა: მათ იცნეს იგი, საჩქაროდ ამცნეს გარშემო სოფლებს ეს ამბავი ***და მოართუეს მას ყოველი ბოროტად***

ვნებული. ქრისტესგან გამომავალი სასწაულებრივი ძალის იმდენად დიდი რწმენა იყო ხალხში, რომ მას მხოლოდ იმას სთხოვდნენ, რომ ავადმყოფებისთვის მისი შეხების უფლება მიეცა, ***და რაოდენთა შეახეს, ცხონდეს.***

29. საუბარი ზეციური პურის შესახებ – ზიარების საიდუმლო

(იოანე 6, 22-27)

უფალ იესო ქრისტეს სასწაულებრივმა გადასვლამ, გენესარეთის ტბაზე, ყველა იმ ხალხის უდიდესი გაკვირვება გამოიწვია, ვინც კი სასწაულებრივად გამრავლებული პური იგემა. ამის შესახებ გადმოგვცემს მხოლოდ ერთი მახარებელი, წმინდა იოანე; ამის შემდეგ იგი მოგვითხრობს უფლის საუბარს თავის თავზე, როგორც ზეციდან გარდამოსულ პურზე, და აცხადებს ცხონებისათვის აუცილებელ სწავლებას მის ხორცთან და სისხლთან ზიარების საიდუმლოს შესახებ. ხალხი უფალს უდაბნოში ეძებდა, რადგან იცოდნენ, რომ ის მოწაფეებთან ერთად ნავით არ წასულა, და როდესაც იხილეს უკვე მეორე ნაპირზე კაპერნაუმის სინაგოგაში მოქადაგე, ფრიად გაოცდნენ და ეკითხებოდნენ მას, თუ როდის მოასწრო იქ მისვლა. უფალმა უპასუხოდ დატოვა ეს შეკითხვა, თუმცა საბაბად გახადა ის იმისათვის, რომ ვრცლად ესაუბრა თავის თავზე, როგორც ცხოვრების პურზე. მან ეს საუბარი იმით დაიწყო, რომ ზემოაღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით იუდეველებს უსაყვედურა, რომ ისინი ყველაფერში, მათ შორის მის მიმდევრობაში, რჩებიან თავიანთი გრძნობების მონად. ისინი ქრისტეს იმიტომ კი არ ეძებდნენ, რომ მის მიერ აღსრულებულ სასწაულებში შეიცნეს ღვთის მადლი, რომელიც მათ

მარადიულ და უხრწნელ სიკეთეებს მოუტანდა, არამედ იმიტომ, რომ ამ ბოლო სასწაულმა მათ შიმშილი მოუკლა, როგორც სხვა სასწაულებმა დაუცხრო ხორციელი ტკივილი. სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე კი მათგან არავინ ზრუნავს, რომლისთვისაც, საკუთრივ, მოვიდა ქრისტე დედამიწაზე. ***მეძიებთ მე, ... რამეთუ სჭამეთ პურთა მათგან და განსძღეთ,*** – ამ საყვედურით უფალი მიმართავს ზოგადად ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჰგონია, რომ ქრისტიანობა ფასეულია მხოლოდ იმიტომ, რომ ის სასარგებლოა ჩვენი დროებითი მიწიერი ცხოვრების კეთილმოსაწყობად. ***იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხორებად საუკუნოდ,*** – ისეთ საზრდელზე იფიქრეთ, რომელიც მარადიულია და მარადიულ ცხოვრებაშიც გამოგადგებათ. ამ საზრდელს თქვენ მოგცემთ ძე კაცისა, ამბობს უფალი შემდეგ, რომელიც ***მამამან დაჰბეჭდა, ღმერთმან,*** და ამით დაარწმუნა ადამიანები იმაში, რომ ეს არის მათი ცხოვრებისმომცემელი, რომელსაც შეუძლია ასეთი საზრდელი მისცეს. ამ „ბეჭდის“ ქვეშ უნდა მოვიაზროთ ის *ნიშებ-სასწაულები*, რომლებსაც აღასრულებდა იესო მამის ნებისამებრ. საყვედურით აღშფოთებულმა იუდეველებმა უთხრეს მას: ***რაჲ ვყოთ, რაჲთა ვიქმოდით საქმესა ღმრთისასა?*** – მიხვდნენ, რომ უფლის სიტყვები შეიცავდა მოთხოვნას, მათი მხრიდან ზნეობრივი ქმედებებისას, მაგრამ ვერ გაიგეს, კერძოდ, რა საქმეებზე იყო საუბარი. ამაზე უფალმა მრავალ საქმეთა ნაცვლად, რომელთა შესრულებასაც ისინი, მოსეს რჯულის მიხედვით, აუცილებლად მიიჩნევდნენ ღვთის სათნომყოფელობისათვის, მხოლოდ ერთ საქმეზე მიუთითა: ***ესე არს საქმე ღმრთისაჲ, რაჲთა გრწმენეს, რომელი-იგი მან***

მოავლინა. ეს არის მთავარი ღვთისსათნო საქმე, რომლის გარეშეც საერთოდ შეუძლებელია ღვთისსათნო ცხოვრება. როდესაც მიხვდნენ, რომ უფალი „ღმერთისგან მოვლინებულში“ თავის თავს გულისხმობდა, იუდეველებმა უპასუხეს, რომ მის მიმართ ისეთი რწმენისათვის, როგორი რწმენაც ჰქონდათ ისრაელიანებს ღმერთისა და თავიანთი წინასწარმეტყველის – მოსეს მიმართ, ცოტაა ის სასწაულები, რაც მან აღასრულა. აი, მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად მერყევია რწმენა, როდესაც ის მხოლოდ სასწაულებს ეფუძნება: ის სულ უფრო და უფრო მეტ სასწაულს ითხოვს. და აი, იუდეველები ვერ კმაყოფილდებიან იმით, რომ უფალმა დააპურა ხუთი პურით ხუთი ათასი კაცი, – ისინი მოითხოვენ, რომ მან აჩვენოს კიდევ უფრო დიდი სასწაული, მაგალითად, როგორიც იყო ციდან წამოსული მანანის მაგალითი, რომლითაც მოსე კვებავდა მათ უდაბნოში ორმოცწლიანი მწირობის დროს. რაზედაც უფალმა მიუგო, რომ ღმერთის მიერ მოსეს მეშვეობით აღსრულებული სასწაული ნაკლებმნიშვნელოვანია იმასთან შედარებით, რასაც ახლა ღმერთი აღასრულებს მისი – მესიის მეშვეობით: მათ ახლა ეძლევათ არა დროებითი პური, ციური მანანის სახით, არამედ ***პური ჭეშმარიტი ზეცით.*** ამ პურმა ***მოსცა ცხორებაᲲ სოფელსა.*** იუდეველებმა უფლის სიტყვები ისე გაიგეს, რომ იგი მათ ეუბნებოდა პურზე, თუმცა განსაკუთრებულსა და სასწაულებრივზე, მაგრამ გრძნობიერზე, ხილულზე, და გამოხატეს სურვილი, რომ მიეღოთ მისგან ასეთი პური. აქ ჩანს მათი სულის მთლიანად ხორციელი მიმართულება, სრულიად გრძნობიერი წარმოდგენა მესიაზე. მაშინ უფალი პირდაპირ და გადაჭრით უცხადებს მათ სწავლებას თავის შესახებ, როგორც „ცხოვრების პურზე“;

ეუბნება, რომ ეს პური, რომელიც ზეციდან გარდამოდის და ქვეყანას ცხოვრებას აძლევს, – ის თავად არის. ადამიანი, რომ მასთან მისულს არასდროს მოშივდება და ვინც მას იწამებს, არასდროს მოსწყურდება. მაგრამ, იმავდროულად, უფალი წუხილით აღნიშნავს, რომ იუდეველებმა არ იწამეს ის, თუმცა ეს ხელს არ შეუშლის ზეციერი მამის ნების აღსრულებას: ყველა, ვინც იესოს მეშვეობით ცხონებას ეძებს და მასთან მიდის, გახდება მემკვიდრე მის მიერ დამკვიდრებული მესიის სასუფევლისა; ყველა ისინი აღდგებიან მის მიერ უკანასკნელ დღეს და ღირსშეიქმნებიან მარადიული ცხოვრებისა. იუდეველები გაურკვევლობაში აღმოჩნდნენ და ერთმანეთში დრტვინავდნენ, როგორ შეუძლია იესოს იმის თქმა, რომ ზეციდან გარდამოხდა, როდესაც ვიცით მისი მიწიერი წარმომავლობაო. უფალი მათ დრტვინვას იმით ხსნის, რომ ისინი არ იმყოფებიან იმ ღვთის რჩეულთა შორის, რომლებსაც მამაღმერთი თავისი მადლმოსილი ძალით იზიდავს თავისკენ. ამ მადლმოსილი მოწოდების გარეშე შეუძლებელია ირწმუნო ადამიანთა საცხონებლად მის მიერ დედამიწაზე წარმოგზავნილი მისი ძე – მესია. ამ აზრით არ კნინდება ადამიანის ნების თავისუფლების იდეა: „მამა იზიდავს იმათ, რომლებსაც შესწევთ რწმენის შეთვისების უნარი, მათივე ნებით; ხოლო, ვინც თვითონ ჰყო თავისი თავი უუნაროდ, ასეთებს სარწმუნოებისკენ არ მიაქცევს. როგორც მაგნიტი არ მიიზიდავს ყველაფერს, რასაც უახლოვდება, არამედ მხოლოდ რკინას, ასევე, ღმერთიც ყველას უახლოვდება, მაგრამ მხოლოდ იმათ იზიდავს, ვისაც უნარი შესწევთ და ავლენენ ერთგვარ ნათესაობას მასთან“ (ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი). „საკუთარ თავზე იდრტვინეთ, და არა ჩემზე, –

თითქოს ასე ეუბნება უფალი, – იმისათვის, რომ არ შეგწევთ უნარი, მირწმუნოთ მე, როგორც მესია“, რადგან ყველა ძველ ლაღთქმისეული წიგნი მოწმობს ქრისტეს მოსვლას, და ვინც წმინდა წერილში განისწავლება, ის აუცილებლად იქნება ღმერთისგან შეგონებული და აუცილებლად მიიღებს მისგან წარმოგზავნილ მესია-ქრისტეს. ღმერთისგან განსწავლულობა, ეს არ ნიშნავს ღვთის ჭვრეტას, რამეთუ მამა-ღმერთი იხილა მხოლოდ მან, ვინც თვითონ არის ღმერთისგან, ანუ ქრისტემ. უშუალოდ თვით ღმერთისგან განისწავლება თითოეული, ვინც ყურადღებითა და რწმენით სწავლობს წმინდა წერილს, რადგან მისი მთავარი საგანი – ქრისტეა. ***მე ვარ პური ცხორებისაჲ,*** – ამბობს თავის თავზე შემდგომში ქრისტე. ცხოვრების პური, ცხოველი პური, და არა უსულო პური, როგორიც იყო ციური მანანა. მანანა მხოლოდ სხეულს კურნავდა და ვინც ის ჭამა, ყველა მოკვდა. ხოლო ის პური, რომელიც ზეციდან გარდამოდის, ნამდვილია და ვინც მას შეჭამს, ***არა მოკუდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე.*** ეს ზეციდან გარდამოსული პური არის თვით უფალი იესო ქრისტე. კიდევ უფრო მკაფიოდ და გარკვეულად საუბრობს უფალი იმის შესახებ, რომ ეს პური არის მისი ხორცი, რომელსაც ის სწირავს ქვეყნის სიცოცხლისათვის; გულისხმობს ჯვარზე სიკვდილს გოლგოთის მთაზე, მთელი კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდად. აქ, პასექის დღესასწაულის მოახლოებასთან კავშირში, უფალი ასწავლის თავის შესახებ, როგორც ჭეშმარიტ საპასექო ტარიგზე, რომელიც თავის თავზე იღებს მთელი მსოფლიოს ცოდვებს. საპასექო ტარიგი მხოლოდ წინასახე იყო ამ ქრისტე-ტარიგისა. ამჟამად უფალი თავის მსმენელებს შეაგონებდა, რომ წინასახეების ჟამი მთავრდება,

ქრისტელი

რამეთუ გამოჩნდა თვით ჭეშმარიტება მისი სახით: საპასექო კრავის ჭამა შეიცვლება ახალ აღთქმაში ქრისტეს სხეულის ჭამით, რომელიც მსხვერპლად შეიწირება მთელი მსოფლიოს ცოდვებისათვის.

იუდეველებმა ამჯერად სწორად გაიგეს უფლის სიტყვები, რამაც ისინი გაურკვევლობაში ჩააგდო და დაიწყეს ერთმანეთში დავა: ***ვითარმე ჴელ-ეწიფების ამას მოცემად ჩუენდა ჴორცი თჳსი ჭამად?*** – რადგან ნათქვამი ბუკვალურად მიიღეს, და არა იგავურად, თანამედროვე სექტანტების მსგავსად, რომლებიც უარყოფენ ზიარების საიდუმლოს, როგორც ქრისტესთან მადლმოსილი შეერთების მომცემს. და აი, ქრისტე, რათა შეწყვიტოს მათი დავა, იმეორებს გადაჭრით და გარკვევით: ***ამენ, ამენ გეტყჲ თქუენ: უკუეთუ არა სჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა. ხოლო რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი უკუანაჲსკნელსა მას დღესა.*** აქ უკვე უფალი მთელი სისავსითა და სიცხადით განმარტავს მარადიული ცხონებისათვის მისი ხორცისა და სისხლის ზიარების აუცილებლობასთან დაკავშირებულ თავის სწავლებას. ებრაელები, ეგვიპტიდან გამოსვლის წინ, დაკლული კრავის სისხლით ნიშნავდნენ თავიანთი საცხოვრებლების წირთხლსა და ზღურბლს, რათა უფლის ანგელოზს არ შეემუსრა მათი პირმშოები (გამოს. 12, 7-13), ხოლო შემდგომში, ტაძარში შესაწირად დაკლული კრავის სისხლს საკურთხევლის რქებზე ცხებდნენ, ებრაელთა საცხოვრებლების წირთხლისა და ზღურბლის ნაცვლად და მოსახსენებლად. პასექის საღამოს კრავის ამ სისხლს სიმბოლურად ცვლიდნენ ღვინით.

რადგანაც საპასექო კრავი წინასწარ ასახიერებდა ქრისტეს, ისევე, როგორც ეგვიპტიდან ებრაელების გამოყვანა ჩვენ-ნიერების გამოსყიდვას, ამიტომ ქრისტეს სიტყვებში, მარადიული ცხოვრებისათვის მისი ხორცის ჭამისა და სისხლის სმის აუცილებლობის შესახებ, უნდა დავინახოთ ძველაღთქმისეული საპასექო კრავის შეცვლა ქრისტეს ხორცით, და სიმბოლური ღვინისა – ქრისტეს სისხლით. ეს არის ახალი პასექი, რომლის შესახებაც უფალი წინასწარმეტყველურად იუწყება ამ საუბარში. შესაბამისად, ქრისტეს ამ სიტყვების აზრი შემდეგია: ვისაც სურს გამოსყიდვა მიიღოს, – ქრისტეს მიერ ჯვარზე თავისი სიკვდილისას აღსრულებული, – მან უნდა ჭამოს მისი ხორცი და სვას მისი სისხლი, და ამის მეშვეობით გახდეს ამ გამოსყიდვის მონაწილე. ამგვარად, ვინც არ არის ევქარისტიის თანაზიარი, მას არ ექნება თავის თავში მარადიული ცხოვრება, ანუ გაუცხოებული იქნება ღმერთისგან, რაც ადამიანისთვის მარადიული სიკვდილია. იესოს სიტყვებით, უფლის ხორცი და სისხლი არის ჭეშმარიტი საზრდელი და ჭეშმარიტი სასმელი, რადგან მხოლოდ ისინი გადმოსცემენ ადამიანს მარადიულ ცხოვრებას; ამის მჭამელსა და მსმელს აძლევენს მჭიდრო შინაგან ერთობას ქრისტესთან, მასთან იდუმალ შეერთებას (56-ე მუხ.). ამგვარად, ამ საიდუმლოს გზით, დაცემული ადამიანი ემყნობა ახალ ცხოვრებას. როგორც მებაღე, იმისათვის, რომ ხე ნაყოფიერი გახადოს, ამყნობს მასზე სხვა, ნაყოფიერი ხის რტოს, ასევე, ქრისტეც, სურს რა გვყოს ღვთაებრივი ცხოვრების თანაზიარნი, თვითონ შემოდის ხორციელად ცოდვით შერყვნილ ჩვენს სხეულში და დასაბამს უდებს შინაგან ფერისცვალებასა და განწმენდას, და ახალ ქმნილებად გვაქცევს. ცხონებისათვის არ

არის საკმარისი, რომ მხოლოდ გწამდეს ქრისტე: უნდა შეუერწყ-
დე მას, იყო მასში, რათა ისიც ჩვენში იყოს, ეს კი ნიშნავს
მის ხორცთან და სისხლთან ზიარების დიდი საიდუმლოს
მეშვეობით. თუმცა უფლის ეს სიტყვები იმდენად უჩვეულო
იყო სმენისთვის, რომ ამჯერად არა მხოლოდ მისი მტრები,
არამედ რამდენიმე მისი მოწაფეც კი დაბრკოლდა, და ამ-
ბობდნენ: ***ფიცხელ არს სიტყუაჲ ესე; ვის ჴელ-ეწიფების
სმენად მისა?*** უფალმა წაიკითხა მათი აზრი და გრძნობა და
უთხრა: ***ესე დაგაბრკოლებსა თქუენ? უკუეთუ იხილოთ ძე
კაცისაჲ აღმავალი, სადაცა იყო პირველ?*** აქ უფალი გულისხ-
მობს, თუ როგორ დაბრკოლდებიან ისინი, როდესაც დაინახ-
ავენ მას ჯვარზე გაკრულს. შემდეგ უფალი განმარტავს,
როგორ უნდა გავიგოთ ზუსტად მისი ეს სიტყვები: ***სული
არს განმაცხოველებელ, ხოლო ჴორცნი არად სარგებელ
არიან; სიტყუათა რომელთა გეტყჳ თქუენ, სულ არიან და
ცხორება.*** ეს ნიშნავს, რომ ქრისტეს სიტყვები უნდა გავიგ-
ოთ სულიერად, და არა გრძნობიერად, ე.ი. არა ისე, თითქოს
იგი თავის ხორცს გვთავაზობდეს საჭმელად ცხოველის ხორ-
ცის მსგავსად, რომელსაც დასანაყრებლად ჭამენ. „ჩემი სწავ-
ლება, – თითქოს ასე ამბობს უფალი, – ფიზიკური ცხოვრე-
ბისათვის საჭირო ხორცისა და საჭმელის შესახებ კი არ
არის, არამედ საღვთო სულის, საღვთო მადლისა და მარადი-
ული ცხოვრების შესახებ, რომელიც ადამიანებში ეწყობა
მადლმოსილი საშუალებებით". ***ჴორცნი არად სარგებელ
არიან***, – ეს მას თავისი ხორცის შესახებ არ უთქვამს, არამედ
იმათ შესახებ, ვინც მისი სიტყვები გრძნობიერად გაიგეს. რას
ნიშნავს გრძნობიერად გაგება? – ეს ნიშნავს, საგნებს შეხე-
დო ბუკვალურად, არ ეცადო წარმოიდგინო რაიმე მათ ზედა-

პირს მიღმა. მაგრამ ასე არ უნდა იმსჯელო ხილულის შესახებ, არამედ შინაგანი თვალით განჭვრიტო ყველა მათი საიდუმლოება. აი, ეს ნიშნავს, გაიგო სულიერად (წმინდა იოანე ოქროპირი). ქრისტეს ხორცი რომ მისი სულისგან გამოყოფილი ყოფილიყო, მაშინ ის ვერ იქნებოდა განმაცხოველებელი, მაგრამ გასაგებია, რა თქმა უნდა, რომ ქრისტეს სიტყვებში საუბარია არა უსულო, უსიცოცხლო მის ხორცზე, არამედ იმ ხორცზე, რომელიც განუყოფლად არის შეერთებული მის საღვთო სულთან. ***არიან ვინმე თქუენგანნი, რომელთა არა ჰრწამს,*** – რა თქმა უნდა, ღვთის მადლის შეწევნის გარეშე ძნელია ირწმუნო თვითდამცირებული ღმრთეება. როგორც შემდგომი საუბარი აჩვენებს, უფლის ამ სიტყვებში მდგომარეობს მისი პირველი მითითება იუდა-გამცემზე. წმინდა ევქარისტიის შესახებ სწავლება ყოველთვის იყო და იქნება ქრისტეს რწმენის სასინჯი ქვა. ბევრია ისეთი ადამიანი, ვინც აღფრთოვანებულია ქრისტეს ზნეობრივი კანონით, მაგრამ, იმავდროულად, ვერ აცნობიერებს მასთან შეერთების აუცილებლობას ამ უდიდეს საიდუმლოში. უნდა ვიცოდეთ, რომ ქრისტესთან საიდუმლო შეერთების გარეშე, შეუძლებელია, ცხოვრებაში შეასრულო მის მიერ მოცემული ზნეობრივი კანონი, რადგან ეს აღემატება ადამიანის ბუნებრივ ძალებს. აი, რატომაც ბევრი, როგორც სახარება ამბობს, ამ საუბრის შემდეგ ქრისტეს განეშორა, მით უმეტეს, რომ მისი ეს სიტყვები სრულიად საპირისპირო იყო მესიის შესახებ იუდეველთა გრძნობიერი წარმოდგენისა. მაშინ უფალმა, იცოდა რა მისდამი თავისი თორმეტი მოწაფის რწმენა, ჰკითხა, ხომ არ სურდათ მათაც მისგან წასვლა. პასუხად სიმონ-პეტრემ ყველა მოციქულის სახელით გამოთქვა მისდა-

მი რწმენის დიდი აღიარება: ***შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ,*** – ეს ის აღიარებაა, რომელსაც ჩვენ ახლა ყოველთვის გამოვთქვამთ, როდესაც ზიარებისწინა ლოცვას ვკითხულობთ: „მრწამს, უფალო, და აღვიარებ, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტად ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა...". ამ აღიარების პასუხად უფალმა თქვა, რომ თორმეტივეს ასე არ სწამს, და, რომ ერთი მათგანი ***ეშმაკი არს,*** – ანუ ქრისტესა და მისი საქმის მტერი. ამით უფალმა, პირველ რიგში, თვით იუდა გააფრთხილა, რადგან იცოდა, რომ მას მისი გაყიდვა ჰქონდა განზრახული. პასექის დღესასწაულზე უფალი ამჯერად არ წავიდა, ***რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად*** (იოანე 7, 1), ხოლო მისი ჯვარზე ვნების ჟამი ჯერ არ დამდგარიყო.

უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივი ცხოვრების მესამე პასექი

1. ფარისეველთა გადმოკვემის მხილება

(მათე 15, 1-20; მარკოზი 7, 1-23)

მესამე პასექზე უფალი იესო ქრისტე იერუსალიმში არ ყოფილა, მაგრამ იერუსალიმელი ფარისევლები არასდროს ტოვებდნენ მას უმეთვალყუროდ და ამიტომ, როდესაც იგი იერუსალიმში ვერ იპოვეს, გალილეაში მივიდნენ. აქ ის ნახეს თავის მოწაფეებთან ერთად და განაახლეს ძველი განკითხვა მოციქულებისა, – უხუცესთა გადმოცემის დაუცველობის გამო. ამის საბაბი აღმოჩნდა მოციქულების მხრიდან საჭმლის ხელდაუბანლად მიღება. ფარისევლური კეთილმსახურების თანახ-

მად, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ აუცილებელია ხელების დაბანა, თანაც, თალმუდში ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რამდენი წყალია ამისთვის საჭირო, როგორ უნდა დაიბანო, კერძოდ, როდის, როგორი თანმიმდევრობით; დაბანის წესი იმაზეც კი იყო დამოკიდებული, თუ რამდენი იყო დამსწრეთა რიცხვი: ხუთზე მეტი თუ ნაკლები. ამ წესებს ისეთი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ მათი დაუცველობის გამო სინედრიონი განკვეთით სჯიდა. იუდეველებს რატომღაც სწამდათ, რომ მოსემ სინას მთაზე ორი რჯული მიიღო: ერთი – მის მიერ წიგნში ჩაწერილი, მეორე – ჩაუწერელი, რომელიც ზეპირსიტყვაობით გადადიოდა თაობიდან თაობაში და მხოლოდ ბევრად გვიან ჩაიწერა თალმუდში. ამ რჯულს ეწოდებოდა „უხუცესთა გადმოცემა", ანუ ძველი დროის რაბინებისა. ამ დაუწერელი კანონის განწესებები გამოირჩეოდა ბევრი წვრილმანით. მაგალითად, ხელების დაბანა, რომელიც თავიდან სისუფთავის დაცვით იყო განპირობებული და თავისთავად სასარგებლო იყო, იქცა ცრურწმენად და სხვა მის მსგავს წესებთან ერთად გადაფარა ღვთის რჯულის გაცილებით მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები; გახდა ცარიელი და საზიანო. მოწაფეები, თავიანთ ღმრთეებრივ მოძღვართან ერთად, იღვწოდნენ დედამიწაზე ღვთის სასუფევლის აღშენების დიდი საქმისათვის და ზოგჯერ პურის საჭმელად დროც არ რჩებოდათ (მარკოზი 3, 20). ფარისევლები კი ამ დროს მათგან ითხოვდნენ ყველა ამ წვრილმანი გადმოცემის მკაცრ დაცვას. ფარისეველთა ბრალდებაზე უფალი ასეთივე ბრალდებით პასუხობს: ***რაჲსათჳს თქუენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა?*** წმინდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ ამით უფალი „აჩვენებს, რომ დიდმა შემცოდემ

ასეთი დაჟინებით არ უნდა მიაპყროს ყურადღება ხალხმა: ნაკლებმნიშვნელოვან უარყოფით საქციელს". უფალი აღნიშნავს, რომ ფარისევლები თავიანთი გადმოცემის სახელით არღვევდნენ სავსებით გარკვეულ მცნებას, რომელიც უკავშირდებოდა მშობლების პატივისცემას. ეს გადმოცემა შვილებს უფლებას აძლევდა, უარი ეთქვათ მშობლებისათვის მატერიალურ დახმარებაზე, თუკი თავიანთ ქონებაზე განაცხადებდნენ, რომ ეს იყო ***ნიჭი (კორბანი),*** ანუ ღმერთისთვის შეწირული. ღმერთისთვის კი ყველაფრის შეწირვა შეიძლებოდა: სახლის, ყანის, წმინდა და უწმინდური ცხოველების, ამასთან, შემწირველს თავად შეეძლო გაეგრძელებინა შეწირულით სარგებლობა. ამისთვის მას მხოლოდ მცირეოდენი გამოსასყიდის გადახდა მოუწევდა ტაძრის საგანძურში, მაგრამ სამაგიეროდ ის თავის თავს ყოველგვარი საზოგადოებრივი ვალდებულებისგან თავისუფლად მიიჩნევდა, – მშობლებზე ელემენტარული ზრუნვისგანაც კი. ამიტომ უფალი ფარისევლებს „ორგულებს" უწოდებს, უსადაგებს მათ ესაიას წინასწარმეტყველებას (29, 31) და ამტკიცებს, რომ ისინი ღმერთს მხოლოდ გარეგნულად სცემენ პატივს, გულით კი შორს არიან მისგან: ამაოდ ფიქრობენ ისინი ამ გზით სათნო ეყონ ღმერთს, ამაოდ ასწავლიან ისინი იმავეს სხვებსაც. შემდეგ უფალი ხალხს მიუბრუნდა და ფარისევლების სამხილებლად უთხრა: ***ისმინეთ და გულისყმა-ყავთ: არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა.*** ფარისევლები ვერ ხედავდნენ განსხვავებას ზნეობრივ სიწმინდესა და ხორციელ სიწმინდეს შორის და ფიქრობდნენ, რომ უწმინდური საკვები ან დაუბანელი ხელით აღებული საჭმელი ქმნის უწმინდურ ზნეობას, ჰყოფს ადამიანს უწმინდურად, ღვთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალში დამნაშავედ. უფალი ამხელს ამ აზრის ცდომილებას
და აღნიშნავს, რომ ადამიანს ზნეობრივად უწმინდურს ჰყო-
ოფს მხოლოდ მისი გულიდან გამომავალი ცოდვები. სრული-
ად უსაფუძვლოდ ფიქრობენ მარხვის დაცვის მოწინააღმდე-
გენი, რომ უფლის ეს სიტყვები მიმართულია ეკლესიის მიერ
დადგენილი მარხვის დაცვის აუცილებლობის წინააღმდეგ.
პირით შემავალი ადამიანს ბილწავს, რა თქმა უნდა, არა
თავისთავად, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც ამას თან
ახლავს ურჩობა და გულის სხვა ცოდვითი განწყობა. ჩვენ
იმიტომ კი არ ვმარხულობთ, რომ უმარხვო საჭმლით შებილ-
წვის გვეშინია, არამედ იმისათვის, რომ ადვილად გავუმკლავ-
დეთ ცოდვის გამომწვევ ვნებებს, გავიწვრთნათ საკუთარი
ნების მოკვეთაში ეკლესიის დადგენილებებისადმი მორჩილებით.
მაგალითად, როდესაც სიმთვრალეს ცოდვად ვაღიარებთ, ეს
არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ამით ვამტკიცებდეთ, რომ ღვინის
სმა ბილწავს ადამიანს და ამიტომ არის სიმთვრალე ბოროტება.
ფარისევლები იმან დააბრკოლა, რომ უფალი მათსავით დიდ
მნიშვნელობას არ ანიჭებდა უხუცესების გადმოცემას და,
როგორც ფიქრობდნენ, თვით მოსეს რჯულსაც კი, რომელ-
მაც მკაცრად განსაზღვრა საჭმელებს შორის განსხვავება.
უფალმა დაამშვიდა თავისი მოწაფენი, უთხრა, რომ ფარისევ-
ლები ***ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი***, და ამიტ-
ომ არ არის საჭირო, მიჰყვე მათ მიერ გამოგონილ სწავლე-
ბას, და რომ ყოველგვარი მსგავსი სწავლება, რადგან დასა-
ბამს ღმერთისგან არ იღებს, აღმოიფხვრება. შემდეგ უფალი
განუმარტავს მოციქულებს, რომ პირით შემავალი საჭმელი
ადამიანის სულს გვერდს უვლის და გარეთ გამოდის ისე,
რომ მის სულში ცოდვის კვალს არ ტოვებს, მაგრამ ადამი-

ანის შიგნიდან გამომავალი ცოდვები, მისი პირიდან და გულიდან, ბილწავს მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ქანანელი დედაკაცის ასულის განკურნება
(მათე 15, 21-28; მარკოზი 7, 24-30)

გალილეადან წამოსული უფალი ***მივიდა ადგილთა ტჳროსისა და სიდონისათა.*** ესენი იყო გალილეადან ჩრდილოდასავლეთით მდებარე წარმართული ქვეყნის – ფინიკიის მთავარი და ერთმანეთთან ახლომდებარე ქალაქები. იქიდან გამომდინარე, რომ მარკოზ მახარებლის სიტყვების თანახმად, უფალს არ უნდოდა, ვინმეს გაეგო მისი იქ მისვლა (7, 24), შეიძლება ვივარუდოთ, რომ უფლის მისვლის მიზანი ურჯულო და უცხოტომელებით დასახლებულ ქვეყანაში დროებითი განმარტოება და დასვენება იყო მისი მიმდევარი უამრავი ხალხისგან ან, შეიძლება, ფარისეველთა შეურიგებელი ღვარძლისგან, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო, რადგან მის შესახებ გაიგო მავანმა დედაკაცმა, რომელსაც წმინდა მათე *ქანანელს* უწოდებს, წმინდა მარკოზი კი – *ნათესავით· ასუროფინიკიელს,* ხოლო რწმენით – *წარმართს.* ამ დედაკაცის ასული უწმინდური სულით იყო შეპყრობილი და დაუწყო უფალს თხოვნა, რომ მისგან ეშმაკი განედევნა. ამასთან, იცოდა რა იუდეველებისგან მომავალი მესიის შესახებ, უფალს „დავითის ძეს“ უწოდებდა. ამით იგი უფლის მესიანური ღირსების რწმენას აღიარებდა. იესო კი სცდიდა მის რწმენას და ***არა მიუგო მას სიტყუაჲ;*** ამის გამო მოწაფეებმაც კი დაუწყეს მას თხოვნა, დაეკმაყოფილებინა და გაეშვა დედაკაცი, რადგან თავს არ ანებებდა. პასუხად ***ჰრქუა მათ იესუ: არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმე-***

დულთა სახლისა ისრაჱლისათა, – ისრაელი იყო ღმერთის რჩეული ერი და მისთვის აღთქმული იყო საღვთო გამოცხადება. ამიტომ სწორედ ებრაელებთან უნდა მისულიყო უფალი პირველ რიგში, ისინი უნდა ეხსნა და მათ შორის აღესრულებინა სასწაულები. შესაძლოა, უფალი ამას იმიტომ ამბობდა, რათა გაემჟღავნებინა ამ წარმართი დედაკაცის რწმენა თავისი მოციქულების წინაშე მათ შესაგონებლად, იმ წარმოდგენის საწინააღმდეგოდ, რომელიც იუდეველებს წარმართების შესახებ ჰქონდათ. როგორც წმინდა მარკოზი გადმოგვცემს, ქანანელი დედაკაცი ნელ-ნელა უახლოვდებოდა უფალს, ბოლოს ფეხებში ჩაუვარდა და შეევედრა, განედევნა ეშმაკი მისი ასულისგან. უფალმა, რა თქმა უნდა, იცოდა დედაკაცის რწმენის ძალა, მაგრამ განაგრძობდა მის გამოცდას და ისეთი სიტყვებით ეუბნებოდა უარს, რომლებიც შეიძლება უკიდურესად სასტიკად მოგვჩვენებოდა, რომ არ ყოფილიყო ისინი ტანჯული კაცობრიობისადმი სიყვარულით გამოთქმული: ***არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.*** ამ სიტყვების აზრი შემდეგია. „მე იმისთვის არ დამიტოვებია ღვთის რჩეული ერის საზღვრები, რომლებიც არიან ***ძენი იგი სასუფეველისანი***“ (მათე 8, 12), რომ წავართვა მათ ჩემი მადლმოსილი სასწაულთმოქმედი ძალა და გავანიავო ის წარმართთა ქვეყანაში“. რა თქმა უნდა, ეს სიტყვებიც უფალმა წარმოთქვა მხოლოდ იმისათვის, რომ ყველას წინაშე გაემჟღავნებინა ამ დედაკაცის რწმენა და თვალნათლივ ეჩვენებინა, რომ წარმართებიც, რაკი მათ სწამთ, ღირსნი არიან ღვთის წყალობისა, მიუხედავად იმ ზიზღისა, რომლითაც იუდეველები არიან განწყობილნი მათ მიმართ. ქანანელმა დედაკაცმა მართლაც აჩვენა თავისი

რწმენის მთელი სიდიადე და, ამასთან, სიმდაბლის ულვაშელი სიღრმე: ***ჰე, უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭევისაგან, რომელ გარდამოცვივიან ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა.*** ეს უდიდესი რწმენა და უღრმესი სიმდაბლე მაშინვე იქნა დაჯილდოებული: ***ჵ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოებაჲ ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს!*** – მიუგო უფალმა. ***და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.*** ამ სასწაულის განსაკუთრებულება ისაა, რომ ის აღესრულა შორიდან, დაუსწრებლად, როგორც კაპერნაუმელი ასისთავის მსახურის განკურნება (მათე 8, 13), ასევე, წარმართისა, რომლის რწმენამაც მსგავსადვე დაიმსახურა უფლის განსაკუთრებული შექება.

3. ყრუ-ენაბლუსა და სხვა მრავალ სნეულთა განკურნება

(მარკოზი 7, 31-37; მათე 15, 29-31)

ფინიკიიდან უფალი ათქალაქის საზღვრების გავლით გალილეის ტბასთან მივიდა. ეს მხარე 10 ქალაქის გაერთიანებას წარმოადგენდა; სკიფოპოლის გარდა ყველა ქალაქი გალილეის ტბიდან აღმოსავლეთით მდებარეობდა და ასურეთის ტყვეობიდან მოყოლებული უპირატესად წარმართებით იყო დასახლებული. აქ, გზაში უფალმა განკურნა ყრუ და ენაბლუ ავადმყოფი; ამ სასწაულზე მხოლოდ მარკოზ მახარებელი მოგვითხრობს. ჩვეულებრივ, უფალი კურნავდა თავისი ერთი სიტყვით, მაგრამ ამ შემთხვევაში მან ავადმყოფი გვერდზე გაიყვანა, როგორც ჩანს, ამით მან მოარიდა ის ნახევრადწარმართი ხალხის ცნობისმოყვარე თვალს, რის შემდეგაც ***დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰნერწყუა და შეახო ენასა მისსა,*** – რათა ამ ქმედებით ავადმყოფში აღეძრა რწ-

მენა, რაც განკურნების აუცილებელ პირობას წარმოადგენ-
და, რადგან ყრუსთან ლაპარაკი შეუძლებელი იყო. შემდეგ
ზეცად აღაპყრო თვალნი, ლოცვით ამოიოხრა, რათა გარშე-
მომყოფთათვის ცხადი გამხდარიყო, რომ კურნებას ღვთის,
და არა ეშმაკის, ძალით აღასრულებდა, როგორც მის შესახ-
ებ ფარისევლები ავრცელებდნენ ხმას. მან სირიულ ენაზე
წარმოთქვა: ***ეფფათა!*** რაც ნიშნავს: „გაიხსენ!“ ამ სასწაულის
მხილველთ, როგორც ყოველთვის, უფალმა აუკრძალა მისი
გახმაურება, – შეიძლება იმიტომ, რომ ზედმეტად არ გაეღი-
ზიანებინა ხალხი და დროზე ადრე არ გამოეწვია თავის
წინააღმდეგ ფარისევლების კიდევ მეტი რისხვა. თუმცა სასწაუ-
ლით გაკვირვებული ხალხი, აკრძალვის მიუხედავად, მაინც
ავრცელებდა ხმას ნანახი და გაგონილი სასწაულების შესახ-
ებ. ათქალაქის გავლის შემდეგ, როგორც წმინდა მათე გად-
მოგვცემს, უფალი გალილეის ტბასთან მივიდა, – აღმოსავ-
ლეთის ან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. იქ, როგორც
ყოველთვის, მის ირგვლივ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი.
მასთან მიიყვანეს კოჭლნი, ბრმანი, ყრუნი, საპყარნი და სხვანიც
მრავალნი. ამ ხალხის რწმენა იესოს სასწაულთმოქმედი ძა-
ლის მიმართ იმდენად ძლიერი იყო, რომ არაფერი უთხოვიათ
მისთვის, უბრალოდ, მდუმარედ, ფერხთით დაუსხეს ავადმყ-
ოფები და მან ***განკურნნა იგინი.*** ხალხი კი, ხედავდა რა მის
მიერ აღსრულებულ სასწაულებს, ***ადიდებდეს ღმერთსა ისრა-
ელისასა,*** – როგორც ღვთის რჩეული ერი, ის ღმერთს თავის
ღმერთად მიიჩნევდა.

4. ოთხი ათასი კაცის სასწაულებრივი დაპურება

(მათე 15, 32-39; მარკოზი 8, 1-9)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დღე გრძელდებოდა უფლის ხალხთან ყოფნა უდაბნო ადგილზე, გენისარეთის ტბის სანაპიროზე. პურის მარაგი გამოილია, მისი ყიდვა ახლო-მახლო არსად შეიძლებოდა, და უფალმა კვლავ სასწაულებრივად დააპურა ხალხი – ამჯერად ოთხი ათასი კაცი შვიდი პურით, თანაც ჭამის შემდეგ შეაგროვეს შვიდი გოდორი პურის ნარჩენებისგან. დაპურებული ხალხი უფალმა დაითხოვა, თვითონ კი, მოციქულებთან ერთად, ნავით გაემართა ტბის დასავლეთ სანაპიროსკენ მაგდალას საზღვრებში ანუ, როგორც წმინდა მარკოზი ამბობს, დალმანუთის მხარეში. დალმანუთა იყო პატარა სოფელი ქალაქ მაგდალას მახლობლად, გალილეის ტბის დასავლეთ სანაპიროზე.

5. ფარისეველთა მხილება, რომლებიც სასწაულებს ითხოვდნენ, და მოწაფეთა გაფრთხილება ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარისგან

(მათე 16, 1-12; მარკოზი 8, 11-21)

როგორც კი იესო ნაპირზე გადავიდა, მაშინვე მიადგნენ მას ფარისევლები და სადუკეველები, რომლებიც, როგორც ჩანს, მას იქ ელოდებოდნენ. ეს ორი სექტა სხვადასხვა მიმართულების იყო (ფარისევლები – კონსერვატორები, სადუკეველები – ლიბერალები, თავისუფლად მოაზროვნენი) და ერთმანეთში მტრობა ჰქონდათ, მაგრამ უფალთან მტრობაში ერთსულოვნად მოქმედებდნენ. მის გამოსაცდელად სექტანტებმა სთხოვეს, ეჩვენებინა ზეციდან სასწაული, კერძოდ, ისეთი

ღვთაებრივი მოვლენა, რომელიც, როგორც მათთვის, ისე მთელი ხალხისთვის იქნებოდა მისი მესიანური ღირსების მტკიცებულება. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უფალი ამჯერადაც უარს ეტყოდა მათ და სურდათ, საბაბი ჰქონოდათ იმისათვის, რომ ხალხში ხმა გაევრცელებინათ, თითქოს იესოს არ შეეძლო ზეციდან სასწაულის გარდამოვლენა და ამიტომ ის ვერ იქნებოდა მესია. პასუხად უფალმა მკაცრად გაკიცხა ფარისევლები და მათ ორგულები უწოდა იმისათვის, რომ მათ შეუძლიათ მომავალი ამინდის შესახებ იმსჯელონ ცნობილი ნიშნებით, მაგრამ, იმავდროულად, არ სურთ შეამჩნიონ მისი მესიანური ღირსების დამადასტურებელი აშკარა ნიშებ-სასწაულები, და კვლავ უთხრა, რომ სასწაული არ მიეცემა მათ, ***გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა*** (იხ. მათე 12, 38-45). არ სურდა რა გაეგრძელებინა საუბარი ორგულებთან, უფალი, რომელიც ახლახან მოვიდა ტბის ამ მხარეს, ისევ ჩაჯდა მოციქულებთან ერთად ნავში და ტბის მეორე მხარეს გაცურა. ამ სიჩქარემ მოციქულებს ხელი შეუშალა, პური მოემარაგებინათ. ამასთანავე, ფარისეველთა და სადუკეველთა სულიერი სიბრმავით დამწუხრებულმა ქრისტემ იმისათვის, რომ მისი მოწაფეები დაეცვა მსგავს დამღუპველ დღეში ჩავარდნისგან, უთხრა მათ: ***იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.*** წმინდა მარკოზი ნაცვლად ***სადუკეველთაჲსა,*** ამბობს: ***ჰეროდიანთაჲსა,*** მაგრამ აზრი იგივეა, რადგან ჰეროდე-ანტიპა სადუკეველთა სექტას მიეკუთვნებოდა. მოციქულებმა ვერ გაიგეს ეს გაფრთხილება, იფიქრეს, რომ ამ სიტყვებით უფალი მათ საყვედურობდა პურის მოუმარაგებლობას. მაშინ უფალმა მართლაც უსაყვედურა მათ მცირედმორწმუნოების, გაუგებრო-

ბისა და გულმავიწყობისათვის, და შეახსენა თავის მიერ სულ ახლახან ორჯერ აღსრულებული სასწაულებრივი დაპურება რამდენიმე ათასი კაცისა მცირე რაოდენობის პურით. მხოლოდ ამ შეგონების შემდეგ გაიგეს მოწაფეებმა, რომ იესო ამ იგავური გამოთქმებით აფრთხილებდა მათ ფარისეველთა და სადუკეველთა სწავლებისგან.

6. ბრმის განკურნება ბეთსაიდაში
(მარკოზი 8, 22-26)

ეს სასწაული, რომლის შესახებაც მხოლოდ მარკოზ მახარებელი გადმოგვცემს, უფალმა აღასრულა მას შემდეგ, რაც ის თავის მოწაფეებთან ერთად გადავიდა გენისარეთის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე, გზად ფილიპეს კესარიაში, კერძოდ, დაბა ბეთსაიდაში. ამ დაბას იულიასაც უწოდებდნენ – ასე დაარქვა მას ტეტრაქ ფილიპემ ავგუსტუსის ასულის, იულიას საპატივცემულოდ.

უფალთან მიიყვანეს ბრმა და სთხოვეს, რომ მას ხელის შეხებით განეკურნა ის. როგორც ჩანს, ეს არ იყო ბრმადშობილი, რადგან უფლის მიერ პირველი ხელდადებისას მან თქვა, რომ დაინახა ადამიანები, როგორც ხეები, ე.ი. მას ადრე ნანახი ჰყავდა ადამიანებიც და ხეებიც. მისი განკურნებისას უფალი ისე მოიქცა, როგორც ყრუ-ენაბლუს განკურნების ჟამს: გაიყვანა სოფლიდან, თვალებზე მიანერწყვა და დაუბრუნა მხედველობა არა უცებ, არამედ თანდათანობით, ორგზის ხელდადებით, რათა ამგვარად აღეძრა მასში სასწაულის აღსრულებისათვის აუცილებელი რწმენა; შემდეგ გაუშვა სახლში, ამასთან, უბრძანა, რომ დაბაში არ შესულიყო და არავისთვის მოეთხრო მასზე აღსრულებული სასწაულის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. პეტრე მოციქული ყველა მოციქულის სახელით აღიარებს იესო ქრისტეს ძედ ღვთისად

(მათე 16, 13-20; მარკოზი 8, 27-30; ლუკა 9, 18-21)

ბეთსაიდა-იულიადან უფალი თავის მოწაფეებთან ერთად ფილიპეს კესარიის საზღვრებისკენ გაემართა. ამ ქალაქს ადრე პანეა ეწოდებოდა და მდებარეობდა ნეფთალემის ტომის ჩრდილოეთ საზღვარზე, იორდანეს სათავესთან, ლიბანის მთის ძირში, გაფართოვდა და გამშვენიერდა მეოთხედმთავარ ფილიპეს მიერ და ეწოდა მას მის მიერ კესარია, – რომაელი კეისრის, ტიბერიოსის საპატივცემულოდ. განსხვავებით სხვა, პალესტინის კესარიისგან, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა, ეს კესარია იწოდებოდა ფილიპეს კესარიად. უფლის მიწიერი ცხოვრება დასასრულს უახლოვდებოდა, ხოლო მისი სწავლების მის მიერ გამორჩეული მქადაგებლები ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი თავიანთი მაღალი მისიისათვის. ამიტომ უფალი ცდილობდა, რაც შეიძლება უფრო ხშირად დარჩენილიყო მათთან მარტოდ, რათა საუბარში მიეჩვია ისინი იმ აზრისათვის, რომ მესია არ არის ის მიწიერი მეფე, რომელიც ებრაელებს დაუმორჩილებდა დედამიწის ყველა ერს, რაზედაც ისინი ოცნებობდნენ, არამედ მეფე, რომლის სამეფოც არ არის „ამის სოფლისაგანი“, და თავად ევნება ამ სოფელში, გააკრავენ ჯვარზე და აღდგება. ასევე, ამ შორეული მოგზაურობის დროს, დარჩა რა მოციქულებთან პირისპირ, უფალმა ჰკითხა მათ: ***რაჲ თქჳენ კაცთა ძისა კაცისა ყოფად?*** მოციქულებმა უპასუხეს, რომ მის თაობაზე ხალხში სხვადასხვა აზრი არსებობდა: ჰეროდე-ანტიპას სასახლეში მას ძველი აღთქმის ერთ-ერთ დიდ წინასწარმეტყველად მიიჩნევდნენ – ელიად, იერე-

მიად ან რომელიმე სხვა წინასწარმეტყველად. ხალხში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ მესიის მოსვლამდე უნდა გამოჩენილიყო ერთ-ერთი წინასწარმეტყველი, და ფიქრობდნენ, იესო იყო ის, ანუ მესიის წინამორბედი და არა თვით მესია. კითხვაზე: ***თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?*** ყველა მოციქულის სახელით, „მუდამ მგზნებარე პეტრემ", „პირმა მოციქულთა" (წმინდა იოანე ოქროპირის გამოთქმით) მიუგო: ***შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ.*** მახარებლები, მარკოზი და ლუკა ამით შემოიფარგლებიან, მხოლოდ დასძენენ, რომ უფალმა მოწაფეებს აუკრძალა, ვინმესთვის ეთქვათ ამის შესახებ, წმინდა მათე კი პეტრესადმი უფლის სიტყვებს ამატებს: ***ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარ იონა, რამეთუ ჯორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან,*** – „ნუ იფიქრებ, რომ შენი რწმენა არის შენი გონების დაკვირვების ნაყოფი; შენს რწმენას უნდა შეხედო, როგორც ღვთის ნიჭს". ***და მე გეტყუ შენ,*** – ამას ასეთი აზრი აქვს: „შენ ჩემ მიმართ გამოთქვი, და პასუხად მეც გამოვთქვამ შენ მიმართ": ***შენ ხარ კლდე* და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას.*** ჯერ კიდევ პირველი შეხვედრისას უწოდა უფალმა სიმონს ეს სახელი: „პეტრე" – ბერძნულად, ანუ „კეფა" – ასურო-ქალდეურად, რაც ნიშნავს: „კლდე" (იოანე 1, 42), ახლა კი თითქოსდა ამოწმებს, რომ სიმონი მართლაც ამართლებს მისთვის ადრე მიცემულ სახელს, რომ ის, რწმენის სიმტკიცით, მართლაც კლდეა. შეიძლება თუ არა უფლის ეს სიტყვები ისე გავიგოთ, თითქოს უფალი აღუთქვამს, რომ თავის ეკლესიას დააფუძნებს პეტრეს პიროვნებაზე, როგორც

* სათარგმნ წყაროში: „პეტრე".

ამას რომაელ-კათოლიკები წარმოგვიდგენენ იმ მიზნით, რომ გაამართლონ თავიანთი ცრუ სწავლება რომის პაპის აღმატებულობაზე, როგორც პეტრე მოციქულის მემკვიდრეზე, მთელ ქრისტიანულ ეკლესიაზე? რა თქმა უნდა, არა! უფლის ამ სიტყვებში რომ პეტრე ნაგულისხმევი ყოფილიყო ეკლესიის საფუძვლად, მაშინ ნათქვამი იქნებოდა: „შენ ხარ პეტრე და შენზე აღვაშენებ ჩემს ეკლესიას“, ან თუნდაც ასე: „შენ ხარ პეტრე და ამ პეტრეზე აღვაშენებ მე ჩემს ეკლესიას“, მაგრამ ნათქვამია სრულიად სხვაგვარად, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს სახარების ბერძნულ ტექსტში, რომელსაც აუცილებელია ყოველთვის მივმართოთ გაურკვეველ შემთხვევებში: სიტყვა „პეტროსი“ არ მეორდება, თუმცა ეს სიტყვაც ლოდს ნიშნავს (хотя и это слово означает „камень“), არამედ გამოყენებულია სხვა სიტყვა – „პეტრა“, რაც ნიშნავს: „კლდე“ („скала“). აქედან ცხადია, რომ პეტრესადმი მიმართულ ამ სიტყვებში უფალი მას აღუთქვამს თავისი ეკლესიის დაფუძნებას არა პიროვნულად პეტრეზე, არამედ იმ სარწმუნოების აღმსარებლობაზე, რომელიც პეტრემ გამოთქვა, ანუ იმ უდიდეს ჭეშმარიტებაზე, *რომ ქრისტე არის ძე ღმრთისა ცხოველისა.* ასე ესმოდათ ეს ადგილი წმინდა იოანე ოქროპირსა და ეკლესიის სხვა დიდ მამებს, – სიტყვა „კლდე“-ში გულისხმობდნენ იესო ქრისტეს მესიად, ძე ღვთისად აღიარების რწმენას, ან თვით იესო ქრისტეს, რომელიც წმინდა წერილში არცთუ იშვიათად იწოდებოდა „კლდედ“, მაგალითად, ესაია 28, 16; საქ. 4, 11; რომ. 9, 33; 1 კორ. 10, 4*. საგულისხმოა, რომ თვით პეტრე მოციქულიც თავის 1 ეპის-

*პირველ სამ შემთხვევაში ქართულ ტექსტებში გვაქვს: „ლოდი“.

ტოლეში (2, 4-5) „ლოდს“ უწოდებს არა თავის თავს, არამედ თავად იესო ქრისტეს, როდესაც მორწმუნეებს შეაგონებს, რომ უფალს მიეახლნონ, ვითარცა ***ლოდსა ცხოველსა, რომელი-იგი კაცთაგან შეურაცხ-იქმნა, ხოლო ღმრთისაგან რჩეულ და პატიოსან,*** და თვითონაც, როგორც ცხოველნი ლოდნი, სულიერ სახლად აღეშენნონ. აქ პეტრე ცხადად ასწავლის მორწმუნეებს, იარონ იმ გზით, რომლითაც თვითონ ვიდოდა და გახდა „პეტროსი“ მას შემდეგ, რაც აღიარა კლდე-ქრისტე.

ამგვარად, ქრისტეს ამ შესანიშნავი და ღრმა გამონათქვამის აზრი შემდეგია: „ნეტარ ხარ შენ, სიმონ, იონას ძევ, რადგან არა ადამიანური ძალებით გაიგე ეს, არამედ ჩემმა ზეციერმა მამამ გაგიცხადა. მეც გეტყვი შენ: ამაოდ არ მიწოდებია შენთვის პეტრე: თუ კლდესავით მყარი იქნები იმის რწმენაში, რაც აღიარე, მაშინ თვადაც კლდესავით სიმტკიცეს მოიპოვებ და ჩემი ეკლესიაც იმდენად ურყევი იქნება, რომ ვერანაირი მტრული ძალები ჯოჯიხეთისა მას ვერ სძლევს“. გამოთქმა: „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ დამახასიათებელია იმ დროის აღმოსავლური ჩვეულებისათვის: ქალაქის ან ციხე-სიმაგრის კარბჭესთან, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებით ძლიერად იყო დაცული მტრის თავდასხმის შემთხვევისათვის, იკრიბებოდნენ სახელისუფლო პირები სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო საკითხებზე სათათბიროდ და დამნაშავე პირთა მიმართ სასჯელის გამოსატანად.

შემდგომი აღთქმა, რომელიც, როგორც ჩანს, მხოლოდ პეტრეს მიეცა: ***მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰხსნა ქუეყანასა ზედა,***

ჯსნილ იყოს იგი ცათა შინა (მათე 16, 19), რამდენადმე მოგვიანებით მიეცა, აგრეთვე, ყველა სხვა მოციქულსაც და მათ მემეკვიდრეებს – ეპისკოპოსებს – პასუხი მოეთხოვათ, გაესამართლებინათ და დაესაჯათ შემცოდებლები ეკლესიის განკვეთამდეც კი. *დახსნის* ხელმწიფება, ეს არის ცოდვების მიტევებისა და ეკლესიაში ნათლისღებისა და მონანიების გზით ადამიანის მიღების უფლებამოსილება. ეს მადლი ყველა მოციქულმა ერთნაირად მიიღო უფლისგან მისი აღდგომის შემდეგ (იოანე 20, 22-23). უფალმა აუკრძალა მოწაფეებს ელაპარაკათ მასზე, როგორც ქრისტეზე, რათა ხალხში მღელვარება არ გაღვივებულიყო.

8. უფალი წინასწარმეტყველებს თავის სიკვდილსა და აღდგომას, ასწავლის ჯვრის მტვირთველობას

(მათე 16, 21-28; მარკოზი 8, 31-38; 9, 1; ლუკა 9, 22-27)

მას შემდეგ, რაც მოწაფეებმა მესიად და ძედ ღვთისად აღიარეს, უფალმა აუწყა მათ იმ ტანჯვის შესახებ, რაც მას იერუსალიმში ელოდა, რათა მოემზადებინა ისინი მესიის მიწიერი ხვედრის აღსაქმელად, წარეხოცა იუდეველების გრძნობიერი წარმოდგენა მესიის შესახებ და გაემხილა მათთვის თავისი გამომსყიდველი ღვაწლის უდიდესი საიდუმლო. მგზნებარე და მოშურნე მოციქულმა პეტრემ, რომელიც უფლის დიდი ერთგული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულიყო მესიის, როგორც მიწიერი მეფის შესახებ იუდეველთა გრძნობიერი წარმოდგენებისგან, ვერ დაიტია თავისი საყვარელი მოძღვრის ეს სიტყვები, თუმცა, ვერც შეკამათება

შეჰბედა სხვების თანდასწრებით, ამიტომ გვერდზე გაიხმო და სთხოვა: ***შენდობა იყავნ შენდა, უფალო, არა იყოს ესრეთ,*** რაც, საკუთრივ, ნიშნავს: „ღმერთმა დაგიფაროს! არ შეიძლება, რომ ეს შენ შეგემთხვეს". ეს სიტყვები გამოხატავს აზრს, რომ ტანჯვა და სიკვდილი შეუთავსებელია იესო ქრისტეს, როგორც მესიისა და ძე ღვთისას ღირსებასთან. ***წარვედ ჩემგან, სატანა,*** – რისხვით პასუხობს მას უფალი, რადგან ცხადად იგრძნო, რომ ამას ამბობდა არა პეტრე, არამედ მაცდური სატანა, რომელმაც მხოლოდ ისარგებლა პეტრეს წმინდა ბაგეებით იმისათვის, რომ ქრისტეს ადამიანურ ბუნებაში წარმოეშვა მერყეობა კაცობრიობის გამოსასყიდი ღვაწლის წინ. საგულისხმოა, რომ უფალი, რომელმაც სულ ახლახან პეტრეს „კლდე" უწოდა, ესოდენ ხანმოკლე დროის შემდეგ მას „სატანას" უწოდებს, რითაც აშკარად მტკიცდება უსაფუძვლობა რომაულ-კათოლიკური სწავლებისა იმის შესახებ, რომ ქრისტეს ეკლესია უფალმა თითქოს დააფუძნა პეტრეს ადამიანურ პიროვნებაზე. განა შეიძლება საფუძველი ქრისტეს ეკლესიისა, რომელსაც ***ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან,*** იყოს ესოდენ ცვალებადი და მერყევი? და თუ უფლის ყველა სიტყვას სიტყვასიტყვით გავიგებთ, როგორც ამას რომაელ-კათოლიკები აკეთებენ ამ შემთხვევაში, მაშინ უფლის ამ ბოლო სიტყვებიდან უნდა გაგვეკეთებინა სრულიად უაზრო და შეუძლებელი დასკვნა, თუმცა მკაცრად ლოგიკური (მათი თვალსაზრისით), რომ ქრისტეს ეკლესია დაფუძნებულია სატანაზე! ***საცთურ ჩემდა ხარ,*** – ეუბნება უფალი ამის შემდგომ პეტრეს, ანუ „ეწინააღმდეგები რა ჩემს ნებას, ამით ჩემს მოწინააღმდეგეს ემსახურები" (ეფთვიმე ზიღაბენი), რაკი გინდა, რომ არ აღსრულდეს ის, რისთვისაც ამ ქვეყნად მოვედი და

რაც არის ღვთისგან განსაზღვრული". შენ ***არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა,*** – იმაზე კი არ ფიქრობ, რაც ღმერთისთვის არის სათნო, და რაც მან განსაზღვრა მესიის ტანჯვასა და სიკვდილთან მიმართებით, არამედ, რაც იუდეველებისთვის არის ხელსაყრელი მათი ადამიანური გაანგარიშებით, ანუ ის, რომ მესია იყოს მათი ძლიერი, მიწიერი მეფე-დამპყრობელი. ადამიანს ახასიათებს, გაუფრთხილდეს თავის სიცოცხლეს, აირიდოს სატანჯველი და ესწრაფვოს კეთილდღეობას, ცხოვრებისეულ სიამოვნებას. ეს ის გზაა, რომლითაც ადამიანების დაღუპვის მსურველი ეშმაკი ცდილობს მათ გატაცებას. ქრისტესა და მისი მიმდევრების გზა კი ასეთი არ არის. ***რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა,*** – ანუ ვისაც სურს იყოს ჩემი ჭეშმარიტი მიმდევარი, ამბობს ქრისტე, ***უარყავნ თავი თჳსი,*** – უარი თქვი საკუთარ ბუნებრივ ნებასა და ლტოლვაზე ***და აღიღენ ჯუარი თჳსი,*** ანუ მომბაძეო თვითუარყოფის ღვაწლში. ***რამეთუ უკუეთუ ვისმე უნდეს სული თჳსი განრინებად,*** – ვინც ზრუნავს საკუთარი ცხოვრებისეული კეთილდღეობის მოწყობაზე, – ***წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს,*** – ვინც თავის თავს არ ზოგავს ქრისტესთვის, – ***მან პოოს იგი,*** – მხოლოდ ის შეინარჩუნებს თავის სულს მარადიული ცხოვრებისათვის. ***რაჲ სარგებელ ეყოს კაცსა, უკუეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს,*** – მიაღწიოს ყველა პატივსა და ამა სოფლის სიამოვნებას, მოიპოვოს ყველა მისი ხრწნადი სიმდიდრე, ხოლო ***სული თჳსი იზღვიოს?*** ადამიანის სული უძვირფასესია ყველა მიწიერ სიმდიდრეზე, და დაღუპულ სულს უკვე ვერაფრით გამოისყიდი, ვერანაირი მიწიერი სიმდიდრით: ***რაჲ მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თჳსისა?***

აზრს, იმ ადამიანთა სამარადისოდ დაღუპვის შესახებ, რომლებიც მხოლოდ წუთისოფელში ეძებენ განსვენებასა და კეთილდღეობას, უფალი უერთებს აზრს თავისი მეორედ მოსვლისა და საშინელი სამსჯავროს თაობაზე, როდესაც თითოეული მიიღებს ზღვევინებას ***საქმეთა მათთაებრ.*** ეს მნიშვნელოვანი აზრია, რამეთუ უარყოფს პროტესტანტებისა და სექტანტების მტკიცებულებას, თითქოს კეთილი საქმეები არ არის აუცილებელი ცხონების საქმეში. მახარებლები მარკოზი და ლუკა ამასთან კავშირში გადმოგვცემენ უფლის სხვა მნიშვნელოვან სიტყვებსაც: ***რომელსა-იგი სირცხვლ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთაჲ, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა,*** – თუ ვინმე სასირცხვილოდ მიიჩნევს ქრისტეს მოწაფეთა რიგებში ყოფნას და, კერძოდ, ჯვრის მტვირთველობასთან დაკავშირებული მცნებების შესრულებას, მაშინ ***ძემანცა კაცისამან არცხვნოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა,*** – რაც ნიშნავს, რომ საშინელ სამსჯავროზე უფალი არ აღიარებს მათ თავის მიმდევრებად.

ეს საუბარი იესო ქრისტემ დაამთავრა საგულისხმო სიტყვებით: ***არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევითა თჳსითა*** (მათე 16, 28). ეს სიტყვები აძლევდა და აძლევს საბაბს ზოგიერთებს, დაინახონ მათში მინიშნება ქრისტეს მეორედ მოსვლაზე და ბრკოლდებიან იმით, რომ ეს არ შესრულდა. ორი სხვა მახარებელი, მარკოზი და ლუკა განმარტავენ, თუ როგორ უნდა გავიგოთ უფლის ეს სიტყვები: წმინდა ლუკა მათ ასე გადმოგვცემს: ***ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ,*** წმინდა მარკოზი კი ამა-

ტებს: ***ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მომავალი ძალითა.*** ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ აქ საუბარია არა უფლის მეორედ მოსვლაზე, არამედ საღვთო სასუფევლის გაცხადებაზე, ანუ მისი მადლმოსილი ძალის გაცხადებაზე ამქვეყნად მორწმუნეთა შორის, ე.ი. ქრისტეს ეკლესიის დაარსებაზე: ***სასუფეველი ღმრთისაჲ, მომავალი ძალითა,*** – ეს არის ეკლესია, დაარსებული უფლის მიერ, რომლის გავრცელებაც მთელი დედამიწის ზურგზე უფლის მრავალმა მოწაფემ და მისმა სხვა თანამედროვემ იხილა.

9. ფერისცვალება იესო ქრისტესი

(მათე 17, 1-13; მარკოზი 9, 2-13; ლუკა 9, 28-36)

ამ მოვლენის შესახებ სამივე სინოპტიკოსი საუბრობს; აღსანიშნავია, რომ ყველა მათგანი მას უკავშირებს უფლის საუბარს (რომელსაც ექვსი დღით ადრე ჰქონდა ადგილი; წმინდა ლუკას ათვლით – რვა დღით ადრე) თავისი მომავალი ტანჯვის, მისი მიმდევრების მიერ ჯვრის მტვირთველობისა და ახლო ხანში *ძალით მომავალი ღვთის სასუფევლის* გაცხადების შესახებ. უფალმა თან წაიყვანა თავისი უახლოესი მოწაფენი – პეტრე, იაკობი და იოანე, რომლებიც ყოველთვის იყვნენ მასთან მისი მიწიერი ცხოვრების ყველაზე საზეიმო და უმნიშვნელოვანეს წუთებში, ***და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან.*** მართალია, მახარებლები არ მოიხსენიებენ ამ მთას სახელით, მაგრამ ძველი ქრისტიანული გადმოცემები ერთხმად გვაუწყებენ, რომ ეს იყო თაბორის მთა გალილეაში, ნაზარეთის სამხრეთით. ეს დიდებული მთა, დაახლოებით 3 000 ფუტის სიმაღლისა, ძირიდან შუამდე უხვი მცენარეულობით იყო დაფარული და მისი მწვერვალიდან ვრცელი და მშვენიერი ხედი იშლებოდა.

და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, – გამოჩნდა თავისი მოწაფეების წინაშე თავისი ზეციური დიდებით, რის გამოც ***განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი*** (წმინდა მათეს მიხედვით); ***ვითარცა თოვლი*** (წმინდა მარკოზის მიხედვით); ***ელვარე*** (წმინდა ლუკას მიხედვით). წმინდა ლუკა მნიშვნელოვან დამატებას აკეთებს, როცა მიუთითებს, რომ მთაზე ასვლის მიზანი იყო ლოცვა, და რომ უფალმა სწორედ ლოცვის დროს იცვალა ფერი: ***და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუა და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე,*** – თანაც მისი ლოცვის დროს ყველა მოციქულს ეძინა და მხოლოდ გაღვიძების შემდეგ იხილეს ფერცვლილი უფლის დიდება და მასთან მოსაუბრე მოსე და ელია. ეს საუბარი კი, წმინდა ლუკას გადმოცემით, ეხებოდა უფლის *განსვლას*, რაც მას იერუსალიმში უნდა აღესრულებინა. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, მოსე და ელია იმიტომ გამოჩნდნენ, რომ იუდეველთა ერთი ნაწილი უფალ იესო ქრისტეს ელიად ან სხვა რომელიმე წინასწარმეტყველად მიიჩნევდა: „იმიტომ გამოცხადდნენ მთავარი წინასწარმეტყველები, რომ ცხადი გამხდარიყო განსხვავება მონებსა და უფალს შორის“. მოსე გამოცხადდა, რათა ეჩვენებინა, რომ იესო არ იყო მისი რჯულის დამრღვევი, როგორც ფარისევლებსა და მწიგნობრებს სურდათ ამის წარმოდგენა. არც მოსე, რომლის მეშვეობითაც იყო მოცემული საღვთო რჯული, არც ელია, ეს დიდი მოშურნე საღვთო დიდებისა, არ წარმოუდგებოდნენ და არ დაემორჩილებოდნენ იმას, ვინც სინამდვილეში არ იქნებოდა ძე ღვთისა. უკვე გარდაცვლილი მოსეს გამოცხადება, და ელიასი, რომელსაც სიკვდილი არ უხილავს და

ცოცხლად იქნა ზეცად აღყვანილი, აღნიშნავდა უფალ იესო ქრისტეს მეუფებას სიცოცხლესა და სიკვდილზე, ცასა და მიწაზე. განსაკუთრებული საოცარი მადლმოსილი მდგომარეობა, რომელიც იმავდროულად მოიცავდა მოციქულთა სულებს, გამოხატა წმინდა პეტრემ შეძახილით: ***მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ*** და შეთავაზებით, დაედგათ იქ სამი კარავი. სჯობს, არ დავბრუნდეთ ბოროტებისა და მზაკვრობის მიწიერ სამყაროში, რომელიც შენ ტანჯვითა და სიკვდილით გემუქრება, – თითქოსდა ამის თქმა სურდა მას. წმინდა მარკოზი, იმოწმებს რა პეტრეს სიტყვებს, ამბობს, რომ მისი მომცველი სიხარულის განცდა იმდენად დიდი იყო, რომ ***არა იცოდა, რაჲმცა მიუგო.*** საოცარმა ღრუბელმა, ეჭვშეურევნელად ღვთის განსაკუთრებული იქმყოფობის სიმბოლომ, მოიცვა ისინი (ასეთი ღრუბელი, ეგრეთწოდებული „შექინა“, ყოველთვის იდგა წმიდათა წმიდაში – 3 მეფ. 8, 10, 11) და ღრუბლიდან მოისმა მამა-ღმერთის ხმა: ***ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.*** ეს იგივე სიტყვებია, რომლებიც ისმოდა უფლის ნათლისღებისას, მაგრამ დამატებით: ***მაგისი ისმინეთ,*** – რასაც უნდა შეეხსენებინა მოსეს წინასწარმეტყველება ქრისტეს შესახებ (მეორე რჯ. 18, 15) და ამ წინასწარმეტყველების აღსრულება იესოზე. უფალმა აუკრძალა მოციქულებს, ვინმესთვის მოეთხროთ ნანახის შესახებ, სანამ ის მკვდრეთით არ აღდგებოდა, რათა არ გაეღვიძებინათ მესიის შესახებ იუდეველთა გრძნობიერი წარმოდგენები. წმინდა მარკოზი, ამასთან, წვრილმანებსაც გადმოგვცემს, რა თქმა უნდა, თვით პეტრეს სიტყვებით, კერძოდ, მოწაფეებმა ***სიტყუაჲ იგი დაიმარხეს თავისა თჳსისა თანა,*** თუმცა გაურკვევლობაში იყვნენ: რაში სჭირდ-

ებოდა უფალს სიკვდილი, თუკი შემდეგ უნდა აღმდგარიყო. ახლა უკვე სრულიად დარწმუნებულნი იმაში, რომ მაცხოვარი მოძღვარი იესო ნამდვილად მესიაა, ისინი კითხულობენ: ***ვითარმე იტყჳან მწიგნობარნი, ელიაჲსი ჯერ-არს პირველად მოსლვაჲ?*** უფალი ადასტურებს, რომ ელია ნამდვილად უნდა მოვიდეს მანამდე და ***კუალადაგოს ყოველი*** (ბერძნულად, „აღადგინოს“ – „აპოკატასტისი“), ანუ როგორც მალაქიამ იწინასწარმეტყველა (4, 5, 6): ***მოაგოს გული მამისა ძისა მიმართ და გული კაცისა მოყუსისა მისისა მიმართ,*** ანუ აღადგენს ადამიანთა სულებში პირველსაწყის კეთილ და წმინდა გრძნობებს, – ამის გარეშე მესიის საქმე ვერ იქნებოდა წარმატებული, რადგან ვერ ჰპოვებდა კეთილ ნიადაგს ხანგრძლივი გარყვნილი ცხოვრებისაგან გაქვავებულ ადამიანთა გულებში. შემდეგ უფალი ამბობს: ***ხოლო გეტყჳ თქუენ, რამეთუ ელია აწვე მოვიდა, და არა იცნეს იგი,*** ანუ ელია მოვიდა იოანე ნათლისმცემლის სახით, რომელიც მოსილი იყო ღმერთისგან მისი მსგავსი ელიას ძალითა და სულით, მაგრამ ის ვერ იცნეს, საპყრობილეში ჩასვეს და მოაკვდინეს. ***ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების ვნებად მათგან,*** – როგორც ვერ იცნეს ელია და მოაკვდინეს, ასევე ვერ იცნობენ მესიას და მოკლავენ.

10. ეშმაკეული ყმაწვილის განკურნება; საუბარი რწმენის, ლოცვისა და მარხვის მნიშვნელობაზე

(მათე 17, 14-23; მარკოზი 9, 14-32; ლუკა 9, 37-45)

ამ განკურნების შესახებ სამივე სინოპტიკოსი საუბრობს, და აღნიშნავს, რომ ის უფალმა აღასრულა ფერისცვალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთიდან ჩამოსვლისთანავე. ამ დროს უამრავი ხალხი იყო შეკრებილი ქრისტეს მოწაფეების ირგვლივ, რომელნიც, თავის მხრივ, მთის ძირში ელოდნენ მოძღვარს. წმინდა მარკოზის მიხედვით, მოწაფეებს დავა ჰქონდათ გამართული მწიგნობრებთან. იგი ასევე მოწმობს, რომ ***ყოველმან ერმან იხილა*** მთიდან ჩამომავალი უფალი ***და დაუკვრდა,*** ალბათ იმიტომ, რომ მის სახეზე და მთელ მის გარეგნობაზე ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ერთგვარი ანარეკლი იმ დიდებისა, რომლითაც იგი თაბორზე გაბრწყინდა. ამ დროს მავანმა კაცმა მიმართა უფალს თხოვნით, განეკურნა მისი ვაჟი, რომელიც მთვარის განახლებისას შმაგდებოდა და მძიმედ იტანჯებოდა, ხან ცეცხლში ვარდებოდა, ხან – წყალში. თანაც დასძინა, რომ ის უკვე მიყვანილი ჰყავდა ქრისტეს მოწაფეებთან, მაგრამ მათ ვერ შესძლეს მისი განკურნება. გაიგონა რა უფალმა, რომ მისმა მოწაფეებმა ვერ შეძლეს ტანჯულის განკურნება, თუმც მათ მიცემული ჰქონდათ მისგან ხელმწიფება უწმინდურ ძალებზე, მიუგო: ***ჵ ნათესავი ურწმუნოჲ და გულარძნილი, ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა?*** ზოგი განმმარტებელი უფლის ამ საყვედურს მიაკუთვნებს მის მოწაფეებს მათი არასაკმარისი რწმენის გამო, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ ვერ შესძლეს ეშმაკეულის განკურნება, სხვები კი მთელ იუდეველ ერს. წმინდა მათე შემდეგ მოგვითხრობს, რომ უფალმა მოაყვანინა თავისთან ყმაწვილი და ***შეჰრისხნა*** უწმინდური სული და ***განვიდა მისგან ეშმაკი იგი.*** მარკოზი და ლუკა მახარებლები ამას უფრო დაწვრილებით გადმოგვცემენ. როდესაც ყმაწვილი მიიყვანეს, უწმინდურმა სულმა იგი შეარყია, მიწაზე დასცა და გორავდა იგი დუჟმორეული. უფლის შეკითხვაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენად დიდი ხანი იტანჯებოდა ამ სენით ყმაწვილი. მაგ-მამისმა უპასუხა: ***სიყრმითგან,*** და დასძინა: ***რაი ძალ-გიც, შემეწიე ჩუენ და წყალობა-ყავ ჩუენთჳს.*** ამაზე უფალმა მიუგო: ***უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა.*** საცოდავი ყმაწვილის მამამ ცრემლების ფრქვევით შეჰღაღადა: ***მრწამს, უფალო, შემეწიე ურწმუ-ნოებასა ჩემსა,*** – სიმდაბლით აღიარა, რომ მისი რწმენა იყო არასაკმარისი, არასრულყოფილი. ეს თავმდაბლური აღმსარე-ბლობა მყისვე იქნა დაჯილდოებული: მაშინვე მოხდა ყმაწვილის სასწაულებრივი განკურნება.

მოწაფეების შეკითხვაზე, რატომ მათ ვერ შეძლეს ეშმაკე-ბის განდევნა, უფალმა უპასუხა, რომ ამის მიზეზი მათი ურწმუნოება იყო. შესაძლოა, როდესაც ეშმაკეულის მამის-გან გაიგეს ავადმყოფობის ხანგრძლივობა, ძალა და სიჯიუტე, ისინი დაეჭვდნენ ამჯერად საკუთარ ძალებში ეშმაკის გან-დევნასთან დაკავშირებით და ამიტომ ვერ შეძლეს მისი გან-დევნა; მსგავსად იმისა, როგორც პეტრემ დაიწყო დაძირვა, როცა წყალზე სვლით უფლისკენ წავიდა, მაგრამ ძლიერი ქარისა და ტალღების დანახვაზე ეჭვი შეეპარა უფალთან მიახლოების შესაძლებლობაში. ამასთან, უფალმა დასძინა: ***უკუეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაი, ვითარცა მარცუალი მდოგჳსაი, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაი შეუძლებელ იყოს თქუენ მიერ,*** – თვით მცირე რწმენასაც კი, თუკი ის არსებობს, უკვე შეუ-ძლია დიდი სასწაულები მოახდინოს, რადგან მასში დაფარულია უდიდესი ძალა, მსგავსი იმ ძალისა, რომელიც დაფარულია შესახედავად ერთი უბადრუკ მდოგვის მარცვალში, შემდგომში უზარმაზარ ხედ რომ იქცევა. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ,

თითქოს რწმენას ჰქონდეს საკუთარი ძალა: ის არის მხოლოდ აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ იმოქმედოს ღვთის ყოვლადძლიერებამ. თუმცა, ღმერთს სასწაულის აღსრულება შეუძლია რწმენის უკმარისობის დროსაც, – როგორც განკურნა მან ეშმაკეული ყმაწვილი, მიუხედავად მამამისის მცირედმორწმუნეობისა. ***ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა,*** ე.ი. უფალი მზად არის ყველაფერი გააკეთოს მორწმუნე ადამიანისათვის. რწმენა – ეს ერთგვარი მიმღებია ღვთის მადლისა, და სასწაულებსაც სწორედ ეს მადლი აღასრულებს. დასასრულ, უფალმა გამოთქვა ფრიად ღირსშესანიშნავი სიტყვები: ***ესე ნათესავი*** (ეშმაკის მოდგმა) ***არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა.*** ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტი რწმენა ვერ იქნება ლოცვისა და მარხვის ღვაწლის გარეშე; ჭეშმარიტი რწმენა წარმოშობს ლოცვასა და მარხვას, რომლებიც, თავის მხრივ, ეხმარებიან რწმენის კიდევ უფრო განმტკიცებას. ამიტომაა, რომ ჩვენი საღვთისმსახურო გალობები აქებენ ლოცვასა და მარხვას, როგორც ეშმაკებისა და ვნებების საწინააღმდეგო ორლესულ მახვილს. „მმარხველსა და მლოცველს შორიდან გრძნობენ ეშმაკები, – ამბობს ეპისკოპოსი თეოფანე, ვიშენელი დაყუდებული, – და შორს გარბიან მისგან, რათა არ მიიღონ მტკივნეული დარტყმები. შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ სადაც არ არის მარხვა და ლოცვა, იქ ეშმაკი ისადგურებს? შეიძლება“.

უფალი ამჯერადაც ასწავლიდა გალილეაში თავის მოწაფეებს და ეუბნებოდა, რომ ***ძე კაცისაჲ მიეცემის ჴელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და მო-რაჲ-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას და ეშინოდა კითხვად მისა*** (მარკოზი 9, 31, 32). უფალი ხედავ-

და, რომ მოციქულებს ახლა განსაკუთრებით სჭირდებოდათ ცოდნა, მისი ვნების, სიკვდილისა და აღდგომის მოახლეობის შესახებ და ამიტომ არაერთგზის შეახსენებდა მათ, რათა უკეთ აღბეჭდოდათ მეხსიერებაში და მზად ყოფილიყვნენ ყოველივე ამისათვის. მაგრამ მოწაფეები ჯერ ისევ იმყოფებოდნენ მესიის შესახებ იუდეველთა წარმოდგენების ქვეშ და ეს ყველაფერი მათთვის ბურუსითა და გაურკვევლობით იყო მოცული.

11. საეკლესიო გადასახადის სასწაულებრივი გადახდა

(მათე 17, 24-27)

უფალ იესო ქრისტესგან ითხოვდნენ ღვთის ტაძრისათვის ბეგარას, თითქოსდა ღმერთისთვის. რა თქმა უნდა, როგორც ძე ღვთისა, ის თავისუფალი უნდა ყოფილიყო გადასახადისგან, მაგრამ რომ არ მიეცა ახალი საბაბი რჯულის დარღვევის ბრალდებისათვის, მან, რადგან თან ფული არ ჰქონდა, მიუთითა პეტრე· მოციქულს, თუ სად და როგორ მოეძია სტატირი – ოთხი დრაჰქმა, ბეგარის ორივესთვის გადასახდელად. სახარების განმმარტებლის, ეპისკოპოს მიხეილის სიტყვეებით, ეს ნათლად მოწმობს იესო ქრისტეს ღმრთეებრიობას: „თუკი მან იცოდა, რომ იმ თევზის პირში, რომელიც პეტრეს პირველი შეხვდებოდა, გადაყლაპული სტატირი აღმოჩნდებოდა, მაშინ ის ყოვლისმცოდნეა; ხოლო თუკი მან შექმნა სტატირი თევზის პირში, მაშინ ის ყოვლისშემძლეა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. საუბარი იმის შესახებ, თუ ვინ არის აღმატებული ცათა სასუფეველში; უფალი მოწაფეების წინაშე ყრმას წარადგენს

(მათე 18, 1-5; მარკოზი 9, 33-37; ლუკა 9, 46-48)

ბეგარის სასწაულებრივად გადახდის შემდეგ, კაპერნაუმში უფალს მოწაფეები შეკითხვით მიადგნენ: ***ვინ-მე უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა?*** საქმე ისაა, რომ ისინი მანამდე ერთმანეთში კამათობდნენ იმის თაობაზე, თუ ვინ იქნებოდა მათ შორის ***უფროს*** ცათა სასუფეველში, ანუ ვინ იქნებოდა უპირატესი ძალაუფლებითა და პატივით მესიის სასუფეველში, რომლის გაცხადებასაც ისინი უახლოეს ხანში ელოდნენ. უფლის პასუხი პირდაპირ და გადაჭრით მიმართულია მისი მოწაფეების მხრიდან პირველობისაკენ სწრაფვის წინააღმდეგ: ***ვის უნდეს თქუენგანსა პირველ ყოფაჲ, იყოს იგი ყოველთა მრწ***ემ (უკანასკნელი) ***და ყოველთა მსახურ.*** „ნუ იქნებით პირველობის მოსწრაფენი ჩემს ეკლესიაში, – თითქოსდა ასე ამბობს უფალი, – რადგან პირველობის თანმდევი იქნება უფრო მეტი შრომა და თვითუარყოფა, და არა განსვენება და დიდება, როგორც თქვენ ფიქრობთ“. შემდეგ მოიხმო ყრმა, რომელიც ნიკიფორეს მოწმობით, შემდგომში გახდა მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილი, ანტიოქიის ეპისკოპოსი. უფალმა დააყენა ის მოწაფეთა შორის, ხელი მოხვია, მიუთითა მასზე და თქვა: ***უკუეთუ არა მოიქცეთ და იქმნნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხჴდეთ სასუფეველსა ცათასა,*** – თუ თქვენ არ დატოვებთ თქვენს ცრუ აზრს მესიის სასუფეველზე და არ მიატოვებთ თქვენს პატივმოყვარე იმედებს ამ სასუფეველში უპირატესი ადგილების მისაღე-

ბად, მაშინ ვერ შეხვალთ მასში. ბავშვები გულუბრალოენი არიან, მათ არა აქვთ ანგარებიანი აზრები; ისინი მორცხვნი და მორჩილნი არიან, მათ ჯერ არა აქვთ შური, პატივმოყვარეობა და უპირატესობის სურვილი – სწორედ ამ თვისებებს უნდა მიბაძონ იმათ, ვისაც ცათა სასუფევლში შესვლა სურთ. ***რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ვითარცა ყრმაჲ ესე, იგი უფროჲს იყოს სასუფეველსა ცათასა,*** – ვინც დამდაბლდება, ცათა სასუფევლის უღირსად და სხვებზე ნაკლებად ჩათვლის თავს, მხოლოდ ის აღმოჩნდება აღმატებული. ამდენად, ვინც უარს იტყვის თავის წარმოდგენილ დიდებაზე, ვინც პატივმოყვარეობისა და ამპარტავნებისაგან თავმდაბლობისა და სიმშვიდისკენ მიიქცევა და ხასიათით ასეთივე ყრმა გახდება, სწორედ მას ელოდება უპირატესობა ცათა სასუფევლში.

იმავდროულად, უფალი თავის მოწაფეებს ასწავლიდა ქრისტეს სასუფევლის წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას: ***რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმაჲ ესევითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარებს,*** – ყველა, ვინც სიყვარულით მოეპყრობა ბავშვების მსგავს მშვიდ და მდაბალ ადამიანებს ქრისტეს სახელით, ანუ უძლურთა და დაჩაგრულთა მიმართ სიყვარულის მცნებას შეასრულებს, ის მათი სახით ამას თვით ქრისტეს უკეთებს. უფლის ამ სიტყვას მათე მახარებელი შეუწყვეტლად გადმოგვცემს, ხოლო მარკოზ და ლუკა მახარებლების მიხედვით, მისი სიტყვა შეწყვეტილია იოანე მოციქულის სიტყვით იმ ადამიანის შესახებ, რომელიც ქრისტეს სახელით განდევნიდა ეშმაკებს.

13. სასწაულები იესო ქრისტეს სახელით. იმათ მიერაც აღესრულებოდა, ვინც არ იყვნენ მისი მიმდევრები

(მარკოზი 9, 38-41; ლუკა 9, 49, 50)

უფლის სიტყვამ იმის შესახებ, რომ შემწყნარებელი უძლურთა და მდაბალთა იწყნარებს თვით ქრისტეს, იოანე მოციქულს გაახსენა ადამიანი, რომელიც იესო ქრისტეს სახელით ეშმაკებს განდევნიდა, მაგრამ, რადგანაც ის მათთან ერთად არ დადიოდა, ამიტომ მოციქულებმა მას მსგავსი ქმედებები აუკრძალეს. წმინდა იოანემ თავისი ფაქიზი და მგრძნობიარე გულით, როგორც ჩანს, იგრძნო, რომ ამ შემთხვევაში ქრისტეს მოწაფეები მოიქცნენ ქრისტეს სწავლების საწინააღმდეგოდ. იქიდან გამომდინარე, რომ მათ ყველაფერი მიატოვეს, ქრისტეს გაჰყვნენ და გახდნენ გამორჩეულნი მის 12 უახლოეს და სანდო მოწაფეთა რიცხვში, და კურნების მადლიც კი მიიღეს, მათ შეექმნათ ქედმაღლობის საბაბი და ჩათვალეს, რომ უფლება ჰქონდათ აეკრძალათ ადამიანისთვის ქრისტეს სახელით მოქმედება, თუკი ის მათ რიგებს არ მიეკუთვნებოდა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ებრაელი ერის მთავრების მხრიდან ღია მტრობის პირობებში უსაფრთხო არ იყო ქრისტეს მოწაფეობა და მისი ყველგან თანხლება. ამიტომ უფალს ბევრი ფარული მოწაფე ჰყავდა, რომელთა რიცხვს, როგორც ცნობილია, მიეკუთვნებოდა, მაგალითად, იოსებ არიმათიელი. სარწმუნოა, რომ ერთ-ერთ ასეთ ფარულ მოწაფეს შეხვდნენ მოციქულები, როდესაც ის ქრისტეს სახელით დევნიდა ეშმაკებს. მოციქულებმა არ ისურვეს ის თავისიანად მიეღოთ და აუკრძალეს საქმიანობის გაგრძელება იმ მოტივით, რომ ის მათთან ერთად არ დადიოდა. უფალმა არ მოიწონა

მათი გადაწყვეტილება. „ნუ უკრძალავთ მას, – ამბობს უფალი, – რადგან ვინც ჩემი სახელით სასწაულს აღასრულებს, მას უეჭველად სწამს ჩემი; ჩემი მორწმუნე კი ჩემი მტერი ვერ იქნება, ყოველ შემთხვევაში – ამჟამად და უახლოეს მომავალში. ***რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო*** (მომხრე) ***არს;*** ამიტომ ნუ აუკრძალავთ კეთილი საქმეების ქმნას ჩემი სახელით იმათ, ვინც რაიმე მიზეზით არ აღიარებს თავის თავს ხმამაღლა ჩემს მოწაფედ, პირიქით, დაეხმარეთ ასეთ ადამიანებს და იცოდეთ, რომ ვინც რაიმე სამსახურს გაუწევს ჩემს მიმდევრებს ჩემი სახელით, თუნდაც ერთ ჭიქა წყალს დაალევინებს, არ დაკარგავს თავის საზღაურს. სრულიად სხვა რამეს ამბობს უფალი იმ ადამიანთა შესახებ, რომელნიც ჰგვანან კარგად დამუშავებულ სამკალს, მრავალგზის მორწყულს, მაგრამ მაინც უნაყოფონი არიან; თუკი ასეთი ადამიანები ქრისტესკენ არ არიან, თუკი ისინი ნელთბილნი არიან, მაშინ ეს უკვე ნიშნავს, რომ თავიანთი შინაგანი არსით ისინი მის საწინააღმდეგოდ არიან განწყობილნი (მათე 12, 30).

14. სწავლება საცდურებთან ბრძოლის შესახებ

(მათე 18, 6-10; მარკოზი 9, 42-46; ლუკა 17, 1, 2)

მოციქულთა კამათი პირველობის შესახებ; ყრმა, რომელიც უფალმა მოწაფეების წინაშე გამოიყვანა და მოეხვია; ცნობა მავან ადამიანზე, რომელიც ქრისტეს სახელით ეშმაკებს განდევნიდა, – ყოველივე ამან უფლის საუბარი მიმართა მცირეთა და სუსტთა დასაცავად საცდურებისგან, რომელნიც მათ შეიძლება მოეწიოთ ამა ქვეყნის ძლიერთაგან. ***რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი... უმჯობეს***

არს მისა, დამო-თუ-იკიდოს წისქვლი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვასასა, – ვინც დააბრკოლებს ქრისტეს მიმდევარს, მისთვის უმჯობესი იქნებოდა, მომკვდარიყო, რადგან საცდურისგან დაბრკოლებით მან შეიძლება ადამიანის სული დაღუპოს, ვისთვისაც ქრისტე მოკვდა და, შესაბამისად, ამით ჩაიდინოს ყველაზე მკაცრი სასჯელის ღირსი დანაშაული. წუხილით ამბობს შემდეგ უფალი: ***ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ არიან საცთურნი,*** – შეუძლებელია, საცდურისგან თავის არიდება, ვინაიდან ***სოფელი ბოროტსა ზედა დგას*** (1 იოანე 5, 19). ადამიანები ცოდვისგან არიან დაზიანებულნი, ეშმაკი კი გამუდმებით ეძებს მათ შორის ნადავლს თავისთვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სხვისი ცდუნება ნებადართულია; პირიქით, ***ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური,*** – ვინც შეგნებულად ან სიძულვილით, მოყვასისადმი დაუდევრობით ჩაითრევს მას ცოდვაში. იმისათვის, რომ აჩვენოს, თუ რა საშინელ ბოროტებას ამთხვევს ადამიანს ის, ვინც მას აცდუნებს, უფალი კვლავ შეახსენებს მთის ქადაგებიდან თავის სიტყვებს მაცდუნებელი ხელის ან ფეხის შესახებ, რომლებიც უნდა მოიკვეთო და მოისროლო შენგან, რადგან ადამიანისათვის არ არის იმაზე მეტი ბოროტება, ვიდრე არის ცოდვა. ამიტომ, ცოდვისაგან განსარინებლად, აუცილებლობის შემთხვევაში, ყველაზე ახლობელი და ძვირფასიც კი უნდა დათმო, ოღონდ თავი დაიცვა ცოდვითი ლტოლვისგან, არ დაუშვა დაცემა. წმინდა მარკოზის გამოთქმა: ***სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების,*** – წარმოგვიდგენს ცოდვილებს გვამების სახით, რომლებსაც მატლები ჭამენ. აქ მატლი სინდისის სიმბოლოა; ის მუდმივად ქენჯნის ადამიანს ჩადენილი ცოდვის

გახსენებით (ესაია 66, 24). ***რამეთუ ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს***, – ყველა ადამიანი უნდა დაექვემდებაროს ტანჯვას, ამიტომ ვინც მიწიერ ცხოვრებაში არ იტანჯებოდა, არ დათრგუნა და არ დაიმონა თავისი სხეული (1 კორ. 9, 27), ის დაიტანჯება მარადიული ტანჯვის ცეცხლში. როგორც მარილით უნდა დამარილებულიყო ღმერთისთვის შეწირული ყოველგვარი მსხვერპლი, მოსეს რჯულის თანახმად (ლევ. 2, 13), ასევე მწუხარებების ცეცხლით, განსაცდელებით, ბრძოლით უნდა მომზადებულიყვნენ მოციქულნი და ყველა ქრისტეს მიმდევარნი ღვთისსათნო მსხვერპლად.

გაქუს თავისა თქუენისა მარილი, ანუ ის მაღალი ზნეობრივი საწყისები და წესები, რომლებიც წმენდს სულს და იცავს მას ზნეობრივი გახრწნილებისგან; იქონიეთ თქვენს თავში მარილი ჭეშმარიტი სიბრძნისა და ჯანსაღი სწავლებისა (შდრ. კოლ. 4, 6). ***მშჳდობით იყვენით ურთიერთას,*** – მშვიდობა, როგორც სიყვარულის ნაყოფი, როგორც სრულყოფილების გამოხატულება, მიიღწევა თვითუარყოფით. იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, თუ ვინ არის მეტი ცათა სასუფეველში, რადგან ამან შეიძლება გაყოფამდე, უკმაყოფილობამდე და მტრობამდე მიგვიყვანოს, არამედ იმაზე, რომ ვიყოთ „მარილნი“ და ერთმანეთს შორის მშვიდობა და სიყვარული ვიქონიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. იგავი დაკარგული ცხვრის შესახებ; შეცდომილთა შეგონებისა და საეკლესიო სამსჯავროს შესახებ

(მათე 18, 10-20; ლუკა 15, 3-7)

ამ იგავში გადმოცემულია სურათი ღვთის უსაზღვრო სიყვარულისა და გულმოწყალებისა დაცემული ადამიანის მიმართ. ***ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი,*** – „არ შეურაცხყოთ", თითქმის იგივეა, რაც „არ აცდუნოთ", ანუ ნუ ჩათვლით მათ იმდენად უმნიშვნელოდ, რომ მათი ცდუნება თითქოს არაფერს ნიშნავდეს. ***მცირეთა ამათგანი,*** – ეს ის ადამიანებია, რომლებმაც თავად დაიმცირეს თავი ცათა სასუფევლის გამო, ე.ი. ჭეშმარიტი ქრისტიანენი. თითოეულ მათგანს ღმერთისგან ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი. ამიტომ, თუკი თვით ღმერთი მათზე ასე ზრუნავს, მაშინ განა ადამიანებს უფლება აქვთ შეურაცხყონ ისინი? ***რამეთუ მოვიდა ძე კაცისაჲ ცხორებად წარწყმედულისა,*** – კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ არ უნდა შეურაცხყო ***მცირეთა ამათგანი,*** რადგან თვით უფალი მოვიდა მიწაზე მათ გადასარჩენად. იმისათვის, რომ ცხადად დაგვანახოს, თუ რამდენად ძვირფასია ღმერთისთვის ადამიანი, უფალი თავის თავს ადარებს მწყემსს, რომელმაც დატოვა მთელი ფარა, ანუ ურიცხვი ანგელოზთა დასი და წავიდა ერთი დაკარგული ცხვრის საძიებლად – დაცემული ადამიანის სახსნელად. როგორც ნეტარი თეოფილაქტე განმარტავს, იგავის აზრი ისაა, რომ „ღმერთი ზრუნავს ცოდვილთა მოსაქცევად და ხარობს მათით უფრო მეტად, ვიდრე სათნოებებში განმტკიცებულებით". შემდეგ ამას მოჰყვება უფლის შეგონება, როგორ უნდა გამოვასწოროთ მოყვასი, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჭიდრო კავშირი აქვს მოყვასის ცდუნების აკრძალვასთან: თუკი სიყვარულისთვის დაუშვებელია მოყვასის ცდუნება, მისი ცოდვაში ჩაგდება, მაშინ არა ნაკლებ დაუშვებელია სიყვარულისთვის მისი ცოდვაში მიტოვება, მის გამოსწორებაზე უზრუნველობა, როდესაც ის სცოდავს. მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ ფრთხილად, ძმური სიყვარულით: თავიდან საჭიროა მისი მხილება ერთი-ერთზე, და თუ ის აღიარებს თავის ცოდვას და საკუთარ თავს განიკითხავს, მაშინ შეგიძენია ***ძმაᲲ იგი შენი***, – კვლავ შეგიძენია ის, ვინც მოწყდა ცოდვის გზით, ვინც ქრისტეს ეკლესიას დაშორდა თავისი ცოდვით; ხოლო თუ იგი შენს ძმურ მხილებასა და შეგონებას არ შეისმენს და ცოდვაში გაჯიქდება, მაშინ თან უნდა წაიყვანო ერთი ან ორი, – ძმის საქციელის მოწმენი, – რომლებსაც შეეძლებათ ძლიერად იმოქმედონ მასზე და სინანულად აღძრან (მოსეს რჯული ყველა სასამართლო საქმეში მოითხოვდა ორი ან სამი მოწმის დასწრებას – მეორე რჯ. 19, 15). თუკი მათაც არ მოუსმენს, ***უთხარ კრებულსა.*** აქ „კრებულში“ იგულისხმება, რა თქმა უნდა, არა მორწმუნეთა მთელი საზოგადოება, არამედ ისინი, ვინც დადგენილნი არიან ეკლესიის სათავეში, მისი მღვდელთმთავარნი, მისი მწყემსნი, ვისაც მიცემული აქვთ უფლება *შეკვრისა* და *განხსნისა*. ***ხოლო უკუეთუ კრებულისაᲲცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი,*** – თუ ის იმდენად დადგრომილია ცოდვაში, რომ ანგარიშს არ უწევს ეკლესიის მწყემსებს, მაშინ დაე, განკვეთილ იქნეს შენთან ერთობისგან, როგორც წარმართი და მეზვერე იუდეველებთან ერთობისგან, რადგან მათ მიიჩნევდნენ უკიდურესად გარყვნილ ადამიანებად. ნათქვამის აზრი შემდეგია: ადამიანს, რომელიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღიარებს ეკლესიის ავტორიტეტს, ნუღარ ჩათვლი შენს ძმად, შეწყვიტე მასთან ქრისტიანული და ძმური ურთიერთობა, რათა შენც არ გადმოგედოს მისი ავადმყოფობა. ასეთი ჯიუტი ცოდვილები, რომელნიც უარყოფენ ეკლესიის მღვდელმთავრების ავტორიტეტს, სრულიად მოიკვეთებიან ეკლესიიდან; ამის მაგალითს გვაძლევს წმინდა პავლე მოციქული (1 კორ. თავი მე-5). უფლის ამ სიტყვებს ეფუძნება მოციქულთა დროიდან პრაქტიკაში დამკვიდრებული საეკლესიო განკვეთა – „ანათემა", რაც სრულ თანხმობაშია კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლესთან (16, 22).

„ანათემა" არ არის „წყევლა", როგორც ბევრი ფიქრობს ჩვენს დროში და ამისთვის ეკლესიას განიკითხავს, რომელიც, თითქოსდა, ამით უშვებს ქრისტიანული სიყვარულის საწინააღმდეგო აქტს. „ანათემა" – ეს არის უკიდურესი შემაგონებელი სასჯელის ზომა ჯიუტი ცოდვილებისათვის, რომლებიც გამოსწორებას არ ექვემდებარებიან, და გაფრთხილება სხვებისთვის, რომ არ გაჰყვნენ მათ კვალს. ამის უფლება მიცემული აქვს საეკლესიო მთავრობას თვით უფლისგან: ***ამენ გეტყუ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰკსნათ ქუეყანასა ზედა, ჯსნილ იყოს იგი ცათა შინა.*** ის, რაც მანამდე პეტრეს აღუთქვა (მათე 16, 19), ახლა უფალი აღუთქვამს ყველა მოციქულს. მოციქულებმა კი *შეკვრისა* და *განხსნის* ეს ხელმწიფება გადასცეს თავიანთ მემკვიდრეებს – ეკლესიის მწყემსებს, ამქვეყნად დადგენილთ მათი საქმის გამგრძელებლებად. ყველა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ქრისტეს მოციქულები იკრიბებიან ერთსულოვანი ლოცვით რაიმე საჭიროების გამო, უფალი აღუთქვამს, რომ შეასრულებს მათ თხოვნას, რადგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მუნ ვარ მე შორის მათსა.

16. წყენინების მიტევება და იგავი უმოწყალო მევალეზე

(მათე 18, 21-35; ლუკა 17, 3, 4)

უფლის შეგონებამ, რომ უნდა მიუტეო ძმას, რომელიც შესცოდავს, მაგრამ მოინანიებს, გამოიწვია პეტრეს შეკითხვა: რამდენჯერ უნდა მივუტეო ძმას? ეს შეკითხვა იმით აიხსნება, რომ იუდეველ მწიგნობართა სწავლების მიხედვით, შენდობა შეიძლება მხოლოდ სამჯერ. პეტრეს სურდა ძველაღთქმისეულ სიმართლეზე მაღლა დამდგარიყო და სულგრძელად გამოჩენილიყო, ამიტომ კითხულობს, საკმარისია თუ არა შვიდჯერ მიტევება? ამაზე ქრისტემ უპასუხა, რომ შენდობა საჭიროა ***სამეოცდაათ შჳდგზის,*** რაც ნიშნავს, რომ მიტევება საჭიროა ყოველთვის, განუსაზღვრელ-ჯერ. ამის განსამარტავად, უფალმა მოწაფეებს მოუთხრო მოწყალე მეფესა და უმოწყალო მევალეზე. ამ იგავში ღმერთი წარმოდგენილია მეფის სახით, რომლის მონებსაც მისი ვალი მართებთ გარკვეული თანხა. ასე ხდება ადამიანი ღმერთის წინაშე მოვალე იმიტომ, რომ არ იქმს კეთილ საქმეებს, რომელნიც ვალდებულია, რომ ქმნას, ამის ნაცვლად კი – სცოდავს. ***იწყო განგებად*** (დაიწყო ანგარიშსწორება), ანუ ვალის გადახდის მოთხოვნა, რაც იგავში გამოხატავს ღმერთის მხრიდან თითოეული ადამიანისგან ანგარიშვალდებულების მოთხოვნას საშინელ სამსჯავროზე, ნაწილობრივ კი, კერძო სამსჯავროზე თითოეული ადამიანის სიკვდილის შემდეგ. მოვალე, რომელსაც ვალი ჰქონდა ათი ათასი ტალანტის

ოდენობით, გამოხატავს ცოდვილ ადამიანს, – ღვთის სიმა-
რთლის წინაშე მუდმივ მოვალედ რომ რჩება. მოსეს რჯულ-
თან შესაბამისობაში (ლევ. 25, 39, 47), მეფემ ბრძანა, გაეყ-
იდათ ეს გარდაუხდელი მოვალე, მაგრამ მოვალის გულითა-
დი თხოვნის შემდეგ, მეფეს გული მოულბა და მთელი ვალი
აპატია. ეს მშვენიერი მაგალითია ღვთის გულმოწყალებისა
მონანული ცოდვილის მიმართ. ამის შემდეგ კი მეფისგან
შენდობილმა მოძებნა თავისი მოვალე, რომელსაც მისი 100
დინარი ემართა (უმნიშვნელო თანხა იმასთან შედარებით,
რაც მას მეფემ აპატია), ყელში სწვდა და ფულის დაბრუნება
მოსთხოვა (რომის კანონმდებლობის თანახმად, გამსესხებელს
შეეძლო, ეწამებინა თავისი მოვალე, ვიდრე ის ვალს არ
დაუბრუნებდა). მან არ შეიბრალა იგი, მიუხედავად მისი
ვედრებისა, რომ ედროვებინა და მთელ ვალს გადაუხდიდა,
და დილეგში ჩააგდო. ეს რომ მისმა ამხანაგებმა დაინახეს,
ძალიან შეწუხდნენ, წავიდნენ და მეფეს მოახსენეს ყველაფერი,
რაც მოხდა. მეფე განარისხა ბოროტი მონის საქციელმა,
დაიბარა თავისთან, მკაცრად გაკიცხა იმისათვის, რომ მან
არ მიბაძა მეფეს მოვალისადმი სულგრძელობაში, და მტან-
ჯველებს გადასცა ის ვალის გადახდამდე, ანუ სამარადის-
ოდ, რადგან ვერასდროს გადაიხდიდა ის ესოდენ დიდ თანხ-
ას (ასეა, ცოდვილის შემთხვევაშიც: იგი მხოლოდ ღვთის
გულმოწყალებით შეიძლება გადარჩეს, თვითონ კი, თავისი
საკუთარი ძალებით, ვერ დააკმაყოფილებს ღვთის სამართლ-
იანობას და მის წინაშე მუდამ გარდაუხდელ მოვალედ დარ-
ჩება). იგავის აზრი მოკლედ არის გამოხატული ბოლო, 35-ე
მუხლში: ***ეგრეცთა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ,
უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცად-კაცადმან ძმასა თჳსსა***

ყოვლითა გულითა თქუენითა ცთომანი მათნი. ამ იგავით უფალს სურს შეგვაგონოს, რომ ჩვენ ყველანი იმდენად ბევრს ვცოდავთ, რომ ღვთის წინაშე გარდაუხდელ მოვალეებს წარმოვადგენთ; ჩვენი ახლობლების ცოდვები კი ჩვენ წინაშე იმდენად უმნიშვნელოა, რამდენადაც უმნიშვნელოა 100 დინარი უზარმაზარ თანხასთან – 10 000 ტალანტთან შედარებით. თუმცა, უფალი, თავისი უსაზღვრო გულმოწყალებით ჩვენდამი, გვპატიობს ყველა ჩვენს ცოდვას, თუკი ჩვენ, ჩვენის მხრივ, გამოვიჩენთ გულმოწყალებას ჩვენს მოყვასებთან მიმართებით და მივუტევებთ მათ ჩვენს წინააღმდეგ ჩადენილ ცოდვებს. ხოლო, თუ ჩვენ სასტიკი და უმოწყალო აღმოვჩნდებით და არ მივუტევებთ მათ, მაშინ უფალიც არ გვაპატიებს და მარადიულ სატანჯველს მოგვისჯის. ეს იგავი წარმოადგენს მშვენიერ თვალსაჩინო განმარტებას უფლის ლოცვაში წარმოთქმული თხოვნისა: ***და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა.***

17. ქრისტე უარს ამბობს იერუსალიმში წასვლაზე კარვობის დღესასწაულზე თავის ძმებთან ერთად

(იოანე 7, 1-9)

იოანე მახარებელი მას შემდეგ, რაც აღწერს მე-6 თავში უფლის საუბარს იუდეველებთან, სადაც იგი თავის თავს „ცხოვრების პურს“ უწოდებს, ამბობს, რომ ***ამისა შემდგომად*** უფალი მხოლოდ გალილეაში დადიოდა. ეს დიდი ხნის მყოფობა უფლისა გალილეაში და მისი იქ მოქმედებები დაწვრილებით არის აღწერილი პირველი სამი მახარებლის მიერ,

როგორც ეს ზემოთ ვიხილეთ. იუდეაში უფალს არ უნდოდა წასვლა, ***რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად,*** ხოლო მისი ვნების ჟამი ჯერ არ დამდგარიყო. ***იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათაჲ, რომელ არს კარვობისაჲ.*** ეს დღესასწაული იყო ერთ-ერთი იუდეველთა სამ მთავარ დღესასწაულს შორის (პასექი, ერგასობა და კარვობა). იდღესასწაულებოდა ის შვიდი დღე და იწყებოდა მეშვიდე თვის – ტისრის მე-15 დღეს (ახლანდელი ათვლით, სექტემბრის ბოლო – ოქტომბრის დასაწყისი). დადგენილი იყო ეს დღესასწაული უდაბნოში ებრაელთა 40-წლიანი მწირობის მოსახსენიებლად. დღესასწაულის მთელი შვიდი დღის განმავლობაში ხალხი თავისი სახლებიდან საცხოვრებლად გადადიოდა ამისათვის საგანგებოდ მოწყობილ კარვებში. დღესასწაული უწევდა მოსავლის აღებიდან მალევე, ამიტომ იდღესასწაულებოდა ძალიან მხიარულად, ღვინის სმით, რამაც პლუტარქეს მისცა საბაბი, შეედარებინა ის ბახუსის საპატივცემულო წარმართულ დღესასწაულთან. ამ დღესასწაულის დაწყებამდე უფალი არ ყოფილა იერუსალიმში თითქმის წელიწად-ნახევრის განმავლობაში, და ძმები აღძრავდნენ მას იქ წასასვლელად. მათ სურდათ, უფალი ზეიმით შესულიყო იერუსალიმში, როგორც მესია, და სრულად გამოევლინა თავისი სასწაულებრივი ყოვლადძლიერება. უფლის მიერ ადამიანური დიდების უარყოფა, მათთვის გაუგებარი და დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. ***რამეთუ არცაღა ძმათა მისთა ჰრწმენა მისი,*** – აღნიშნავს მახარებელი. ისინი გაურკვევლობაში იყვნენ თავიანთ ძმადწოდებულთან და ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად გადაეჭრათ ეს გაურკვევლობა; ერთი მხრივ, მათ არ შეეძლოთ, არ გაეთვალისწინებინათ მისი სასწაულებრივი საქმეები, რომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწმენიც თავად იყვნენ; მეორე მხრივ, ვერ გადაეწყვიტა ელიარებინათ მესიად ადამიანი, რომელთანაც ისინი ბავშვობიდანვე იყვნენ ჩვეულებრივ ყოფით უთიერთობაში. ასეთი სულიერი განწყობით სთავაზობდნენ ისინი იესოს იმ გაურკვეველი – როგორც ისინი ფიქრობდნენ – მდგომარეობიდან გამოსვლას, რომელშიც აღმოჩნდნენ იესო და მისი ძმები. თუკი ის ნამდვილად მესიაა, – ფიქრობდნენ ძმები, – რატომღა ეშინია გამოჩნდეს იერუსალიმში როგორც მესია მთელი ქვეყნის წინაშე? ის უნდა გამოჩნდეს იქ თავისი დიდებითა და პატივით (ეპისკოპოს მიხეილის განმარტება სახარებაზე). პასუხად უფალმა აუხსნა ძმებს, რომ იერუსალიმში მის ასვლას არა აქვს მისთვის ის მნიშვნელობა, როგორიც სხვებისთვის, მათ შორის მისი ძმებისთვისაც. მათ იქ არავინ შეხვდება სიძულვილით, რადგან სოფლისთვის ისინი თავისიანები არიან. ქრისტე კი მათთვის მიუღებელი და საძულველია, როგორც მამხილებელი სოფლის ბოროტი საქმეებისა. ამიტომ მას არ შეუძლია გამოჩნდეს იერუსალიმში იმაზე ადრე, ვიდრე არ დადგება ზეცაში წინასწარ განსაზღვრული მისი ვნების ჟამი წუთისოფლისათვის. უფალმა გაუშვა ძმები, თვითონ კი გალილეაში დარჩა, და გადაწყვიტა ფარულად მისულიყო დღესასწაულზე მხოლოდ მისი ერთგული მოწაფეების თანხლებით.

42. სწავლება ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრების შესახებ

(ლუკა 14, 25-33)

რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი... ვერ ჴელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა (ლუკა 14, 26), – „დაუკვირდი, არ ცდუნდე ამ გამოთქმით, –

ამბობს ნეტარი თეოფილაქტე, – რამეთუ კაცთმოყვარე არაადამიანურად არ გასწავლის, თვითმკვლელობას არ შეგაგონებს, მას სურს, რომ მისმა ერთგულმა მოწაფემ თავისი შინაურები მოიძულოს იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელს უშლიან მას ღვთისსათნო საქმეში, და როდესაც მათთან ურთიერთობით უძნელდება კეთილად ცხოვრება". თუკი ნათესაური კავშირები ხელს უშლის ქრისტეს მიმდევრობას, მაშინ უნდა მოიძულო ისინი ქრისტეს გამო და გაწყვიტო ეს კავშირები. სიძულვილი აღარ არის უზნეო გრძნობა, როდესაც ის მიმართულია იმისკენ, რაც ადამიანს გადაჭრით განარინებს მისი უმაღლესი დანიშნულებისგან – სულზე ზრუნვისგან.

თვითუარყოფის შესახებ დარიგებას, რაც აუცილებელია ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის, უფალი ამყარებს იგავებით გოდოლის მშენებლობის მსურველის, ორ მეფეს შორის ომისა და მარილის შესახებ (ლუკა 14, 28-35). გოდოლის მშნებლობის შესახებ იგავის აზრი ასეთია: ვინც გადაწყვეტს თავის უარყოფას და ქრისტეს მიმდევრობას, წინასწარ უნდა გათვალოს თავისი ძალები და სათანადოდ მოემზადოს მოსალოდნელი ღვაწლისათვის, რათა შემდეგ ხალხის დასაცინი არ გახდეს. იგივე აზრია მეორე იგავშიც – ქრისტეს მიმდევრობის მსურველმა უნდა მოიპოვის სულიერი სახსრები ამისათვის, რომელთა შორის უპირველესია – თვითუარყოფა; სხვაგვარად ის ვერ შეძლებს თავისი კეთილი განზრახვის აღსრულებას და სულიერი მტრების მხრიდან დიდი ხიფათებსაც შეიძლება გადააწყდეს. ***მოიკითხის იგი მშჯდობით*** (14, 32), – ეს, რა თქმა უნდა, გამოყენებულია, მხოლოდ იგავის თვალსაჩინოებისათვის, მაგრამ არ ნიშნავს სულიერ მტრებთან მშვიდობის დამყარების აუცილებლობას. იგავებში ყველაფერს

სულიერი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ: ზოგიერთი რამ გადმოცემულია ყოველგვარი შინაგანი აზრობრივი დატვირთვის გარეშე, მხოლოდ იმისათვის, რომ მონათხრობმა უფრო ცოცხალი ხასიათი მიიღოს. ქრისტეს მიმდევრები შედარებულნი არიან მარილთან, რომელიც გახრწნისგან იცავს ყველაფერს, რასაც შეერევა. ქრისტეს ის მოწაფენი, რომლებსაც არ გააჩნიათ ზნეობრივი თვითუარყოფის ძალა, უკვე აღარაფრისთვის ვარგიან, როგორც ძალაგამოლეული მარილი.

43. იგავი უძღებ შვილზე
(ლუკა 15, 11-32)

ამ იგავს წმინდა ლუკა წინ უმძღვარებს ორ მოკლე იგავს დაკარგული ცხვრისა (15, 1-7) და დაკარგული დრაქმის შესახებ (15, 8-10). ფარისევლები და მწიგნობრები განიკითხავდნენ იესო ქრისტეს იმისათვის, რომ ***ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს.*** სწორედ ამის პასუხად მოუთხრო უფალმა მათ იგავები, რომლებშიც გამოხატულია, თუ რაოდენ დიდია სიხარულია ზეცაში, როდესაც ცოდვილები, რომლებიც უკვე დაღუპულები დ ზეციური სასუფევლისთვის დაკარგულები ჩანდნენ, სინანულს იწყებენ. 99 მართალში, რომელნიც სინანულს არ საჭიროებენ, განმმარტებლები მოიაზრებენ ღვთის ანგელოზებს, ან მარადიულობაში გადასულ და ნეტარების ღირსქმნილ ქრისტიანებს. ამ იგავებში უფალი იყენებს ადამიანის გულის ბუნებრივ თვისებას, როცა მას დაკარგული და კვლავ ნაპოვნი საგანი უფრო ახარებს, ვიდრე, რომელიც არ დაუკარგავს, თუნდაც ეს უკანასკნელი გაცილებით ძვირად ფასობდეს.

შემდეგ, უძღები შვილის შესახებ იგავში, უფალი, ცოდვილის სინანულთან დაკავშირებულ ღმერთის სიხარულს, ამსგა-

ვსებს შვილისმოყვარე მამის სიხარულთან, რომელთანაც დაბრუნდა მისი უძღები ძე (15, 11-32).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა: ამ კაცში იგულისხმება ღმერთი; ორი ძე – ეს ცოდვილი და გარეგნულად მართალნი – მწიგნობრები და ფარისევლები არიან. უმცროსი, რომელმაც, როგორც ჩანს, უკვე მიაღწია სრულწლვნებას, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელი და ქარაფშუტაა, ითხოვს მამის ქონებიდან კუთვნილ ნაწილს – მოსეს რჯულის თანახმად (მეორე რჯ. 21, 17), რაც შეადგენდა ოჯახის მთელი ქონების მესამედ ნაწილს; უფროსი ძმა იღებდა ორ მესამედს. როდესაც საკუთარი ქონება გაუჩნდა, უმცროს ძმას აღეძრა თავისუფლად, საკუთარ ნებაზე ცხოვრების სურვილი და უცხო ქვეყანას მიაშურა, სადაც იცხოვრა ამსოფლიური სიამეებით და მალე მთელი ქონება გაფლანგა. ასეა, როდესაც ღმერთისგან სულიერი და ფიზიკური ნიჭებით დაჯილდოებულ ადამიანს უჩნდება ცოდვისკენ ლტოლვა, მას უკვე ამძიმებს ღვთის რჯული; იგი იწყებს ღვთის ნებისამებრ ცხოვრების უარყოფას, ეძლევა ურჯულოებას და სულიერ ფიზიკურ გარყვნილებაში ფლანგავს ყველა ღმერთისგან მიღებულ ყველა საბოძვარს. ***იყო სიყმილი*** (შიმშილი) ***ძლიერი***, – ცოდვილ ცხოვრებაში ღრმად შესულ ცოდვილს, ღმერთი არცთუ იშვიათად უგზავნის გარეგან უბედურებებს გონზე მოსაყვანად. ეს უბედურებები ერთდროულად სასჯელიც არის და სინანულისკენ მოწოდებაც. ***ძოვნად ღორთა*** (ღორების მწყემსად), – იუდეველებისთვის ეს ყველაზე სამარცხვინო საქმიანობა იყო, რადგან ღორი უწმინდურ ცხოველად ითვლებოდა. ასევეა ცოდვილიც, როდესაც ის მიეჯაჭვება ვნების რაიმე საგანს, არცთუ იშვიათად ვარდება ყველაზე დამამცირებელ მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობაში. „რქასაც“ კი არავინ აძლევდა მას (რკოს ამბავ-
ვსად ღორის საჭმელი ხის ნაყოფი, რომელიც მოდის სირიასა
და მცირე აზიაში). ამით ნაჩვენებია ცოდვილის უკიდურესად
უბედური მდგომარეობა. და აი, ერთხელაც ის გონს მოეგო:
მოეგო რაჲ თავსა თჳსსა, – ეს ფრიად გამომხატველი გამოთქ-
მაა. როგორც ადამიანი გამოდის ისეთი მძიმე ავადმყოფო-
ბიდან გამოდის, რომელსაც ცნობიერების დაკარგვა ახლდა
თან, ასევეა ცოდვებში ჩაფლული ცოდვილის მდგომარეო-
ბაც; ის უკვე ვერ აცნობიერებს ღვთის რჯულის მოთხოვნებს
და მისი სინდისი ერთგვარად ჩამკვდარია. ცოდვის მძიმე
შედეგები, გარეგან უბედურებებთან ერთობლიობაში, ბოლო-
სდაბოლოს აფხიზლებს მას: ის, თითქოსდა, იღვიძებს, წინან-
დელი უაზრო მდგომარეობიდან გამოდის და გონს ეგება;
ადამიანს უბრუნდება რეალობის შეგრძნების უნარი და აცნო-
ბიერებს მთელ თავის უბედურ მდგომარეობას, იწყებს გამო-
სავლის ძებნას. ***აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა,*** – ეს
არის ცოდვილის გადაწყვეტილება, დაუტეოს ცოდვა და
მოინანიოს. ***ვცოდე ცად მამართ,*** – ანუ ღმერთის სამკვი-
დრებელის წმინდა ადგილისა და წმინდა, უცოდველი სულების
წინაშე, – ***და წინაშე შენსა,*** – საყვარელი მამის უგულებე-
ლყოფით, – ***და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა,***
– ღრმა სიმდაბლისა და საკუთარი უღირსობის გაცნობიერე-
ბის გამოხატულება, რაც ყოველთვის თან ახლავს ცოდვილის
გულწრფელ სინანულს. ***მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი,***
– ეს გამოხატავს მშობლიური სახლის დიდ სიყვარულს და
მზადყოფნას, თუნდაც უმძიმეს პირობებზე დაბრუნდეს მამი-
სეულ სახლში. მოვლენების მთელი შემდგომი აღწერა მიზნად
ისახავს განსაკუთრებით გაესვას ხაზი მონანული ცოდვილი-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სადმი ღმერთის უსაზღვრო სიყვარულს, მის ყოვლისმიმტევებლობას და იმ სიხარულს, რომელსაც, ქრისტეს სიტყვებით, ადგილი აქვს ზეცაში ერთი მონანული ცოდვილის გამო (ლუკა 15, 7). მოხუცმა მამამ შორიდან დაინახა დაბრუნებული შვილი, მან ჯერ არ იცის მისი შინაგანი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ სიხარულით გარბის მის შესახვედრად და ისე, რომ არც კი აცლის სინანულის სიტყვების წარმოთქმას, ეხვევა და კოცნის; ბრძანებს, ჩააცვან საუკეთესო სამოსი; მისი დაბრუნების აღსანიშნავად მართავს ნადიმს. ადამიანური ცხოვრების ყველა ეს მაგალითი გამომხატველია იმისა, თუ როგორ იღებს უფალი თავის წიაღში მონანულ ცოდვილს და აჯილდოებს მას ახალი სულიერი სიკეთეებითა და ნიჭებით, იმათ ნაცვლად, არც მან ცოდვის გზით დაკარგა. ***მომკუდარ იყო და განცოცხლდა,*** – ღმერთისგან განშორებული ცოდვილი იგივეა, რაც მომკვდარი, რადგან ადამიანის ჭეშმარიტი ცხოვრება მხოლოდ მისი ცხოვრების წყაროზე – ღმერთზეა დამოკიდებული: ცოდვილის მოქცევა ღმერთისკენ ამიტომაც არის წარმოდგენილი, როგორც მკვდრეთით აღდგომა. უმცროსი ძმის მიმართ მამის მიერ გამოჩენილი გულმოწყალების გამო, უფროსი ძმა მამამზე განრისხდა, – ეს არის ცოცხალი სახე მწიგნობრებისა და ფარისევლებისა, რომლებიც ამპარტავანნი არიან იმით, რომ გარეგნულად ზუსტად და მკაცრად იცავენ რჯულს, მაგრამ გული ცივი და უგრძნობი აქვთ; იქადიან ღვთის ნების აღსრულებას, მაგრამ არ სურთ ურთიერთობა მონანულ მეზვერეებსა და ცოდვილებთან. როგორც უფროსი ძმა ***განრისხნა და არა უნდა შინა შესლვად,*** – ასევე ფარისეველები, რჯულის წესების მოჩვენებითად შემსრულებელნი, რისხვით ივსებოდნენ იესო ქრისტეს მიმართ იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, რომ იგი ახლო ურთიერთობაში შედიოდა მრავალ-ცოდვილებთან. მამისა და ძმის მიმართ თანაგრძნობის ნაცვ-ლად, უფროსი ძმა ჩამოთვლის თავის დამსახურებებს, არ სურს, რომ ძმას „ძმა“ უწოდოს, და ზიზღით ამბობს: ***ძე ესე შენი***. მამა პასუხობს: ***შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს,*** – ეს იმაზე მიუთითებს, რომ რჯული ფარისევლების ხელშია და ყოველთვის შეუძლიათ მიეახლონ ღმერთსა და სულიერ სიკეთეებს, მაგრამ არ შეუძლიათ დაიმ-სახურონ ზეციერი მამის კთილგანწყობა, როცა ასეთ გარყვ-ნილი და სასტიკ სულიერ-ზნეობრივ მდგომარეობაში იმყო-ფებიან.

44. იგავი მატყუარა მოურავის შესახებ
(ლუკა 16, 1-17)

ამ იგავს, რომელიც ბევრს უმიზეზოდ აბრკოლებს, მშვე-ნივრად განმარტავს ეპისკოპოსი თეოფანე დაყუდებული, რომელიც ამბობს: „ყოველი იგავი შეფარულად და ხატოვნად გვიხსნის რომელიმე საგნის არსს, მაგრამ ის ყველაფერში არ არის იმ საგნის მსგავსი, რომლის ახსნასაც ემსახურება. ამი-ტომ არ არის საჭირო იგავის ყველა დეტალის დაწვრილებით ახსნა“. იგავში მთავარია მხოლოდ მისი ძირითადი აზრი. იგავში, მატყუარა მოურავის შესახებ, ბევრს აბრკოლებს ის, რომ ადგილ-მამულის ბატონმა, რომელშიც უეჭველად ღმერ-თი იგულისხმება, შეაქო თავისი მოურავი თითქოს იმისთვის, რომ მან ბატონის ადგილზე არყოფნაში თაღლითობა ჩაიდი-ნა, გააყალბა მისი ბატონის მოვალეებთან ხელმოწერები იმ მიზნით, რომ მათ მიეღოთ იგი თავიანთ ჭრქვეშ, როცა მას სამსახურიდან გადააყენებდნენ, ანუ მათი სახით გაჭირვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს დამხმარენი ჰყოლოდა. მაგრამ ბატონმა თავისი მნე-
თაღლითობისთვის, როგორც ასეთისთვის კი არ შეაქო, არამედ
მიხვედრილობისთვის, რომელიც მან გამოიჩინა გაჭირვების
ჟამს. იგავის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველანი
მხოლოდ დროებითი მფლობელები ვართ მიწიერი სიკეთეებ-
ისა, რომელნიც იმიტომ არის ჩვენს განკარგულებაში, რომ
უფალმა დროებით გვანდო ისინი ჩვენს მიწიერ ცხოვრებაში,
და ამ სიკეთეებით უნდა ვისარგებლოთ ისე, რომ მათი დახ-
მარებით მოვიმუშაკოთ მარადიული ცხოვრება. თუმცა ჩვენ
ამას ხშირად არ ვაკეთებთ, არ ვიჩენთ ისეთ მიხვედრილობას,
როგორიც მატყუარა მნემ გამოიჩინა, ამიტომაც თქვა უფალ-
მა, რომ ***ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროს
ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.*** ჩვენ გვმართებ-
და, შეგვეძინა მეგობრები უსამართლო სიმდიდრით, რათა
მათ მივეღეთ მარადიულ სავანეებში. სიმდიდრეს იმიტომ ეწო-
დება „უსამართლო", რომ ხშირად უსამართლოდ მოიპოვება,
ხშირად უსამართლოდ გამოიყენება, ხშირად უსამართლოდ
განაწყობს ადამიანს სხვების მიმართ და არასდროს ამარ-
თლებს მასზე დამყარებულ იმედებს. ამიტომ ერთადერთი
გონივრული გამოყენება სიმდიდრისა, ეს არის მისი დახარჯ-
ვა გაჭირვებულთა დასახმარებლად, ყოველგვარ კეთილ საქმეზე
მოხმარება, რათა ამგვარად ვყოთ ის ზეციურის სასუფევლის
მოპოვების საშუალებად. სიმდიდრეს ხომ ჩვენ ასე თუ ისე
მაინც დავკარგავთ, – იმქვეყნად თან ვერ წავიღებთ, ხოლო
მისი საშუალებით გაკეთებული კეთილი საქმეები ყოველთვის
ჩვენთან დარჩება და საშინელ სამსჯავროზე ჩვენს გამა-
რთლებას შეუწყობს ხელს. დასასრულ უფალი ამბობს: ***სარ-
წმუნოდ იგი მცირესა ზედა, მრავალსა ზედაცა სარწმუნო***

არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს. უკუეთუ სიცრუვისა ამას მამონასა სარწმუნო არა იქმნნეთ, ჭეშმარიტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ? და უკუეთუ სხჳსასა ამას სარწმუნო არა იქმნნეთ, თქუენი იგი ვინ მოგცეს თქუენ? – თუ თქვენ მიწიერი სიმდიდრე ცრუდ გამოიყენეთ, ვერ განკარგეთ ის სათანადოდ, სულის სასარგებლოდ, მაშინ როგორ დაიმსახურებთ, რომ მოგანდონ სულიერი, მადლომისილი ნიჭების სიმდიდრე?

ვერცხლისმოყვარე ფარისევლებმა ამაზე უფალს სიცილი დააყარეს, არ სურდათ, როგორც ჩანს, ეღიარებინათ, რომ მიწიერი ვნებებისადმი ლტოლვა შეიძლება დამაბრკოლებელი ყოფილიყო სულიერი ნიჭების მოპოვებისათვის. მათ სამხილებლად უფალმა მთელი იგავი მოყვა სიმდიდრის არასწორად გამოყენების შესახებ – იგავი მდიდარსა და ლაზარეზე.

45. იგავი მდიდარსა და ლაზარეზე

(ლუკა 16, 19-31)

ამ იგავის მთავარი აზრი ის არის, რომ სიმდიდრის უმართებულოდ გამოყენება ადამიანს აკარგვინებს ცათა სასუფეველს და ჩაყავს ის ჯოჯოხეთში მარადიულ სატანჯველად. ერთ მდიდარი კაცი ძოწეულითა და ბისონსით იმოსებოდა. ძოწეული – ეს არის სირიული ზედა სამოსელი წითელი ფერის ძვირფასი ქსოვილისგან, ბისონი კი ეგვიპტური აბრეშუმის თეთრი, თხელი ქსოვილი. ეს მდიდარი ფუფუნებაში ცხოვრობდა, ქეიფსა და დროსტარებაში ცხოვრობდა, ამ დროს კი მის ჭიშკართან მთლიანად დაწყლულებული ვინმე ღატაკი ლაზარე ეგდო. სიტყვა „ლაზარე“ პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს „ღვთის გლახას“, ანუ „გლახაკს“, ყველასგან მიტო-

ვებულს, ღვთის ანაბარად დარჩენილს. ამ გლახაკს ძალებიც ტანჯავდნენ: მივიდოდნენ, ჭრილობებს ულოკავდნენ, მას-მათი გაგდების ძალაც არ შესწევდა. სწორედ ამ გლახაკში შეეძლო მდიდარს თავისი მეგობარი ეპოვა, რომელიც მიიღებდა მას სიკვდილის შემდეგ მარადიულ სავანეში, – წინა იგავის აზრთან შესაბამისობაში, – მაგრამ, როგორც ჩანს, მდიდარი იყო გლახაკის მიმართ უგულო, შეუბრალებელი, თუმცა ძუნწი ხასიათის არ ყოფილა, რადგან ყოველდღე ქეიფებს აწყობდა. მას ფული არ ენანებოდა, მაგრამ ხარჯავდა მას საკუთარი სიამოვნებისთვის. სიკვდილის შემდეგ ლაზარეს სული ანგელოზებმა აბრაამის წიაღში აიყვანეს. არ არის ნათქვამი: „სამოთხეში", რადგან სამოთხე მხოლოდ იესო ქრისტეს ტანჯვითა და აღდგომით გაიღო. აქ გამოხატულია ის აზრი, რომ ლაზარემ, როგორც აბრაამის ჭეშმარიტმა ძემ, გაიზიარა აბრაამთან მისი სიკვდილის შემდგომი ხვედრი, ანუ მდგომარეობა, რომელიც სავსეა მანუგეშებელი იმედებით მომავალი ნეტარებისა, რაც ყველა მართალს ელოდება. ლაზარემ დაიმსახურა ეს მარადიული სავანე, ეჭვგარეშეა, იმით, რომ უდრტვინველად ითმენდა თავის მძიმე მდგომარეობას. ***მოკუდა მდიდარიცა იგი და დაეფლა.*** მოხსენიებულია მისი დამარხვაც ალბათ იმიტომ, რომ დიდი პატივით დაკრძალავდნენ, მაშინ, როდესაც ლაზარეს ცხედარი უბრალოდ გარეულ მხეცებს მიუგდეს საჯიჯგნად. მდიდარი აღმოჩნდა ჯოჯოხეთის სატანჯველში, და აი, იგი ხედავს, ლაზარეს, მისგან შორს, აბრაამის წიაღში. როდესაც ჯოჯოხეთში მყოფი ცოდვილები მართლების ნეტარებას ხედავენ, ამით მათი ტანჯვა ძლიერდება და ამან, შეიძლება, მათში საკუთარი ხვედრის შემსუბუქების ამაო იმედიც კი აღძრას. როგორც ადრე ლაზარე

ნასუფრალით გაძღომაზე ოცნებობდა, მსგავსადვე ...
ღატაკებული მდიდარი ითხოვს მხოლოდ რამდენიმე წვეთ
წყალს, რომ გახურებული ენა გაიგრილოს, მაგრამ მას ეს
მცირე ნუგეშიც არ ეძლევა. ლაზარე ნუგეშცემულია სრულ
შესაბამისობაში თავის წინანდელ სატანჯველებთან, მდიდარი
კი იტანჯება თავისი წინანდელი უზრუნველი და უგულო
მხიარულების შესაბამისად. გარდა ამისა, აბრაამს მოჰყავს
თავისი უარისათვის სხვა საფუძველიც: ღვთის განჩინების
შეუცვლელობა, რომლის შედეგადაც მართალთა ნეტარებისა
და ცოდვილთა ტანჯვის ადგილებს შორის დგინდება გადა-
ულახავი უფსკრული, სრულიად შესაბამისი მათი გამყოფი
ზნეობრივი უფსკრულისა. აბრაამი მდიდარს იმაზეც ეუბნება
უარს, რომ გაგზავნოს ლაზარე მდიდრის მამისეულ სახლში
მისი ძმების გასაფრთხილებლად, რათა არ გაჰყვნენ ისინი
გარდაცვლილი ძმის ცხოვრების წესს და არ ჩაცვივდნენ
მსგავს სატანჯველში. აბრაამმა უპასუხა: ***მოსე და წინაა-
სწარმეტყველნი ჰყავთ; მათ უსმინონ,*** – მათ აქვთ რჯულის
კანონი, საიდანაც შეუძლიათ იხწავლონ ცხოვრების წესი,
რათა არ მოხვდნენ ტანჯვის ადგილზე. მდიდარი აღიარებს,
რომ მისი ძმები, მის მსგავსად, არ ისმენენ ღვთის რჯულს,
და მხოლოდ რაღაც არაჩვეულებრივ მოვლენას შეუძლია მათი
გონზე მოყვანა და იძულება, რომ ცხოვრების წესი უკეთე-
სობისაკენ შეცვალონ. ამაზე აბრაამი შეეპასუხა, რომ თუკი
ისინი ისეთ ზნეობრივ დაცემამდე მივიდნენ, რომ ღვთის სი-
ტყვაში გაცხადებულ ღვთის ხმას არ ისმენენ, მაშინ ყველა
სხვა შეგონება ამაო იქნება. ურწმუნო, თუნდაც მას გარდა-
ცვლილი გამოეცხადოს და ამან ის ძრწოლაში ჩააგდოს,
ცოტა ხანში მაინც დაიწყებს ამ მოვლენის სხვაგვარად ახს-

ნას და ისევ ურწმუნო და გამოუსწორებელი დარჩება. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ ჯიუტად ურწმუნო იუდეველებს სრულებითაც ვერ აჯერებდა უფალ იესო ქრისტეს მიერ აღსრულებული მრავალრიცხოვანი ნიშებ-სასწაულები: ისინი ლაზარეს აღდგინებმაც ვერ დაარწმუნა და შემდგომში მისი მოკვლაც კი ჰქონდათ განზრახული. საქმე ისაა, რომ ცოდვით გაცუდებულ გულს არასგზით არ სურს დაიჯეროს, რომ ცოდვილებს სატანჯველები მოელით, და მათი დარწმუნება შეუძლებელია რაიმე სასწაულით.

46. სწავლება ქორწინებისა და ქალწულების სიწმინდის შესახებ

(მათე 19, 3-12; მარკოზი 10, 2-12; ლუკა 16, 18)

ყოველ ჯერზე, როდესაც ფარისევლები იესო ქრისტესთან რაიმე შეკითხვით მიდიოდნენ, მათი მიზანი მისგან სწავლა კი არ იყო, არამედ მისი „გამოცდა", – ხომ არ იტყოდა ის რჯულის საწინააღმდეგოს რამე ისეთს, რომ გამხდარიყო მისი დადანაშაულება. აქაც მათ დაუსვეს შეკითხვა: ***უკუეთუ ჯერ-არს კაცისა განტევებაჲ ცოლისა თჳსისაჲ ყოვლისათჳს ბრალისა?*** (მათე 19, 3). ამაზე დიდი კამათი იყო ფარისევლებსა და ხალხში. ერთნი, იზიარებდნენ რა რაბინი ელექისის სწავლებას, ამბობდნენ, რომ განქორწინება ყველა მიზეზით შეიძლებოდა, მეორენი რაბინი სამას მიმდევრები იყვნენ და ამტკიცებდნენ, რომ განქორწინების მიზეზი მხოლოდ შეიძლება ყოფილიყო. ფარისევლები ელოდნენ იესოს აზრს, რომ მის წინააღმდეგ საპირისპირო აზრის მქონე საზოგადოება აღეძრათ. მოსეს რჯულის თანახმად (მეორე რჯ. 24, 1), ქმრისთვის ნებადართული იყო მიეცა ცოლისთვის „განსატევებელი წიგ-

ნი“ (გაყრის წერილი), თუკი ის ქორწინების შემდეგ ცოლში რაიმე სასირცხვილოს აღმოაჩენდა და აითვალისწუნებდა მას. უფალი მინიშნებითაც არაფერს ამბობს რაბინების აზრების სხვადასხვაობაზე და ხსნის ღმერთის მიერ შექმნილი კაცისა და ქალის ურთიერთდამოკიდებულების არსს, როგორც ეს გადმოცემულია წმინდა წერილში. ამით მათ უცხადებს ქორწინების ჭეშმარიტ აზრს, როგორც ღვთივდადგენილ ინსტიტუციურ დაწესებულებას, და ამგვარად გადაიჭრება გამოსაცდელად დასმული საკითხი. ღმერთმა შექმნა ერთი მამაკაცი და ერთი დედაკაცი, შესაბამისად, შემოქმედის განზრახვა იყო, კაცს ერთი ცოლი ჰყოლოდა და არ მიეტოვებინა იგი. შეუღლებულთა ეს კავშირი უფრო ახლო და მჭიდროა, ვიდრე სისხლისმიერი კავშირი ძისა თავის მამასთან და დედასთან, რომლებსაც ის მიატოვებს ცოლის გამო: ორი ადამიანი ხდება, როგორც ერთი – აზრებით, გრძნობებით, განზრახვებით, ქმედებებით; ისინი ერთი არსება უნდა გახდნენ. ხოლო თუკი ისინი ასე არიან შეერთბულნი ღვთის პირველდასაბამი დადგენილებით, ამიტომ არც უნდა განეშორონ ერთმანეთს. მხოლოდ ერთი გამონაკლისი შეიძლება არსებობდეს, როდესაც დაშვებულია განქორწინება: „სიძვის მიზეზი“, მაგრამ ეს იმიტომ, რომ სიძვა თავისთავად არღვევს ქორწინების იდეას, ქორწინება თავისთავად წყვეტს არსებობას. მოსე განქორწინების ნებას იძლეოდა მათი გულქვაობის გამო, რომლის მიზეზითაც ქმრები აწვალებდნენ და ტანჯავდნენ შეძულებულ ცოლს; ამიტომ მოსემ დაუშვა ნაკლები ბოროტება უფრო დიდი ბოროტების ასაცილებლად. ქრისტე კი აღადგენს ქორწინების პირველსაწყის კანონს და ამტკიცებს შეუღლებულთა განუყრელობას. მოწაფენი შეწუხდ-

ნენ ასეთი მოთხოვნით და თქვეს: ***უკუეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისაჲ დედაკაცისა თანა, არა შეჰგავს ქორწინებაჲ*** (მათე 19, 10), – „მაშინ სჯობს, საერთოდ არ დაქორწინდე, ვიდრე დაქორწინდე და მერე მთელი ცხოვრების მანძილზე ითმინო გვერდით ბოროტი და ავყია ცოლი, არ გქონდეს მისი გაშვების უფლება“. უფალს თავისი პასუხით სწორი მიმართულებით მიჰყავს მოწაფეების აზროვნება. ერთი მხრივ, ის ადასტურებს, რომ მართლაც სჯობს დაუქორწინებლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ უბიწოდ დაცული უქორწინებლობა არამცთუ ქორწინებაზე იოლი არ არის, პირიქით, იმდენად ძნელი და მძიმეა, რომ ძალიან ცოტა ვინმე თუ შეუძლია მისი ტვირთვა: ***არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთადა მიცემულ არს.*** ამ სიტყვებით უფალს ქლწულობის მდგომარეობა აჰყავს ისეთ ზნეობრივ სიმაღლეზე, რომელზედაც იმყოფება სულიერი ცხოვრების უმაღლესი და სრულყოფილი მდგომარეობა, რადგან ყოველივე საუკეთესოს, რასაც შეიძლება ადამიანი ფლობდეს, უფალი ყოველთვის წარმოგვიდგენს, როგორც ზეციერი მამის ძვირფას საჩუქარს (მაგალითად, ცათა სასუფევლის საიდუმლოს ცოდნა (მათე 13, 11); პეტრესთვის რწმენის გაცხადება (მათე 16, 17) და ბევრი სხვა). თუმცა, ***რომელთადა მიცემულ არს,*** არ ნიშნავს, რომ ღვთის საბოძვარი ჩვენ ნებაზე არ არის დამოკიდებული. წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ეძლევა იმას, ვისაც ამის სურვილი აქვს. ქალწულობის ღვაწლს შედგომილი საჭიროებს ღმერთის დიდ შეწევნას და იღებს მას, თუკი კეთილსინდისიერად ეძებს. შემდეგ უფალი ადარებს უქორწინებლობას ნებაყოფლობით დასაჭურისებას, რაც, რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ

უნდა გავიგოთ, უხეშად – ფიზიკურად, როგორც ეს ცხადად ჩანს მთელი კონტექსტიდან. ეს არის სულიერი საჭურისობა და არა ხორციელი. სწორედ ფიზიკურ საჭურისობას უპირისპირებს მას უფალი, როდესაც ამბობს, რომ ***არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თჳსისაჲთ საჭურისნი იშვნეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს.*** მათზე არ შეიძლება ითქვას, ქალწულობის ტვირთი აღიღესო, რადგან ბუნებითად არ შეუძლიათ ქორწინებაში იცხოვრონ. შეიცვალო, გახდე საჭურისი ცათა სასუფევლის გამო, ეს ნიშნავს, სრულიად მოიკვეთო ხორციელი სურვილი, ჩაიკლა შენში ხორციელი და უქორწინებელი ცხოვრების გადაწყვეტილება მიიღო ღვთის წინაშე უფრო ამღლებული მსახურებისა და ცათა სასუფევლის მისაღწევად, რასაც ძალიან უშლის ხელს ოჯახური საზრუნავი.

47. საუბარი რწმენის ძალასა და მცნებების შესრულების ვალდებულებაზე

(ლუკა 17, 5-10)

მოციქულები მივიდნენ უფალთან იმის თხოვნით, რომ გაემრავლებინა მათი რწმენა, რადგან გრძნობდნენ, რომ საკმარისი რწმენა არ გააჩნდათ იმ საქმეებისათვის, რომელთა შესასრულებლადაც ისინი მოწოდებულნი იყვნენ (მათე 17, 19-20). მოციქულებს, რა თქმა უნდა, სწამდათ უფალი იესო ქრისტე, მაგრამ, რადგანაც მათ ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდათ უარყოფილი ფარისეველთა ცრუ შეხედულება მესიისა და მისი სასუფევლის შესახებ, ამიტომ მათი რწმენა ზოგჯერ ირყეოდა და სწორედ ეს ტანჯავდა მათ. ამ თხოვნის პასუხად, უფალმა გაიმეორა თავისი ადრინდელი სიტყვები ჭეშმა-

რიტი სარწმუნოების ძლიერებასა და ყოვლისშემძლეობაზე, – თუნდაც ის მდოგვის მარცვალივით მცირე იყოს. მდოგვის პატარა მარცვლიდან დიდი ხე იზრდება, ასეთი დიდი ძალის შემცველია ერთი შეხედვით ეს პატარა მარცვალი; ზუსტად ასევეა ყველაზე სუსტი, მაგრამ გულწრფელი რწმენა; თუკი ექნებათ ის მოციქულებს, მაშინ გაიზრდება და იმდენად გაძლიერდება მათში, რომ სასწაულების მოხდენა შეეძლებათ. ლუკა მახარებელთან ამ ადგილს არა აქვს მოციქულებისათვის ის უსიამოვნო ხაზგასმა, როგორც მათე მახარებელთან (17, 20), სადაც უფლის სიტყვები საყვედურად გაისმის. აქ, წმინდა ლუკასთან, უფლის სიტყვები იმედის მომცემად ჟღერს, ის ერთგვარი შეგონებაა და თანაც იმედს აღვიძებს მათში. შემდგომი სიტყვები: ***ვისმე თქუენგანსა მონაჲ ესუას მჴნველი..,*** – ასეთი აზრის შემცველია: როდესაც თქვენი რწმენა იმდენად გაიზრდება, რომ უდიდესი სასწაულების შესრულებას შეძლებთ, მაშინ უფრთხილდით ამპარტავნებასა და თავდაჯერებულობას, რათა არ დაკარგოთ ასეთი რწმენის ნაყოფი. ეს ღვთის ნიჭია, რომლითაც სარგებლობა საჭიროა დიდი თავმდაბლობით, და სწორედ ეს სიმდაბლე ამრავლებს რწმენას. ამდენად, უფალი პირდაპირ არ პასუხობს მოწაფეების თხოვნას რწმენის გამრავლებასთან დაკავშირებით, მაგრამ მიუთითებს მათ სიმდაბლის მეთოდზე რწმენის გასაძლიერებლად და აფრთხილებს ამპარტავნებისგან. ეს გაფრთხილება მოციქულებს იმჟამად ძალიან სჭირდებოდათ კიდევ იმიტომ, რომ ისინი ზოგჯერ გაიტაცებოდნენ ხოლმე ზოგიერთი არასრულყოფილი შეხედულებით: კამათობდნენ პირველობაზე მესიის სასუფეველში, ელოდნენ გარეგან ჯილდოებს და სხვა. უფალს მაგალითად მოჰყვას დამოკიდებულება ბა-

ტონსა და მსახურს შორის: თუკი მონა ხნავს ყანას და მწყემსავს საქონელს, უთვლის თუ არა ამ საქმიანობას ბატონი მას დამსახურებად? როდესაც მონა სამუშაოდან დაღლილი ბრუნდება, ზრუნავს თუ არა მასზე ბატონი და იწვევს თუ არა მას მაშინვე სუფრაზე სავახშმოდ? არა. სამუშაოდან დაბრუნებულ მონას ბატონი უბრძანებს, პირველად თავად მას მოემსახუროს. დაუწყებს თუ არა ის შემდეგ მადლობების გადახდას მონას, როცა იგი მის ბრძანებას შეასრულებს? ***არა ვჰგონებ,*** – ამბობს უფალი და თავის სიტყვას შემდეგნაირად ასრულებს: ***ეგრეთცა თქუენ, ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვითარმედ: „მონანი ვართ უჯმარნი; რომელი თანაგუედვა ყოფად, ვყავთ“.*** ეს არ ნიშნავს, რომ უფალი არ შეაქებს თავის მონებს და არ მისცემს განსვენებას; ამ სიტყვების აზრი ის არის, რომ ჩვენ თვითონ უნდა ვუყურებდეთ ჩვენს კეთილ საქმეებს, როგორც მოვალეობას, ხოლო საკუთარ თავს – როგორც ურგებ მონას, რომელსაც ვალის გადახდის გარდა არაფრის შეწირვა არ შეუძლია მეუფისთვის. სხვა სიტყვებით, შეუძლებელია ადამიანს ღვთის წინაშე დამსახურებები ჰქონდეს.

48. ათი კეთროვანის განკურნება
(ლუკა 17, 11-19)

ეს სასწაული უფალმა თავისი უკანასკნელი მოგზაურობის დროს აღასრულა გალილეიდან იერუსალიმის გზაზე, როდესაც იგი იერუსალიმში უკანასკნელ პასექზე მიდიოდა თავისი ჯვარცმის წინ. კეთროვანთა მთელი ჯგუფი, ათი კაცის შემადგენლობით, ***დადგეს შორს,*** რადგან კანონი უკრძალავდა მათ ჯანმრთელ ადამიანებთან მიახლოებას, და ხმამაღლა

შესთხოვდა უფალს შეწყალებას. უფალმა უბრძანა, წასულიყვნენ და მღვდლებს ჩვენებოდნენ. ეს ნიშნავდა, რომ თავისი სასწაულებრივი ძალით ის კურნავდა მათ ავადმყოფობისგან, რამეთუ აგზავნიდა მათ მღვდლებთან იმისათვის, რომ კანონის მოთხოვნის თანახმად, მათ დაემოწმებინათ ავადმყოფების კეთრისაგან განკურნება, ამასთან, იწირებოდა მსხვერპლი და განკურნებულებს საზოგადოებაში ცხოვრების უფლება ეძლეოდათ. კეთროვანთა მორჩილება, – წასულიყვნენ და ჩვენებოდნენ მღვდლებს, – მათ ცხოველ რწმენას ადასტურებს. მართლაც, მათ გზაში შეამჩნიეს, რომ კეთრისგან განიკურნენ. მიიღეს რა კურნება, მათ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაივიწყეს თავიანთი სიხარულის მიზეზი – უფალი, და მხოლოდ ერთი მათგანი, სამარიელი, დაბრუნდა უფალთან, რათა განკურნებისთვის მადლობა გადაეხადა. ეს შემთხვევა აჩვენებს, რომ თუმცა იუდეველები თაკილობდნენ სამარიელებს, მაგრამ ეს უკანასკნელნი ხშირ შემთხვევაში მათზე მეტ სულიერებას ავლენდნენ. უფალმა წუხილითა წყნარი საყვედურით იკითხა: ***არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან? ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაჲთამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა,*** – ეს ცხრა განკურნებული ცოცხალი მაგალითია ადამიანთა უმადურობისა ქველმოქმედი ღვთის მიმართ.

49. საუბარი ღვთის საუფევლისა და ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ

(ლუკა 17, 20-37)

ფარისეველთა შეკითხვაზე, როდის მოვა ღვთის სასუფეველი, უფალი პასუხობს: ***არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით; არცა თქუან: „აჰა აქა“, ანუ: „იქი“. აჰა, ეგერა,***

სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს. ღვთის სასუ-
ფევლისთვის არ არის განსაზღვრული რაიმე კონკრეტული
ადგილი ქვეყანაზე, რამეთუ ის არ არის მატერიალური: ღვ-
თის სასუფევლის არსი მდგომარეობს ადამიანების შინაგან
განახლებასა და გაწმენდაში. „ღვთის სასუფეველი" ფარისევ-
ლებს ესმოდათ, როგორც მესიის მიწიერი სამეფო, რომლის
დადგომასაც ისინი ელოდნენ მათთვის საძულველი რომაელების
უღლისგან გათავისუფლებასთან ერთად. უფალი შეაგონებს
მათ, რომ ეს სამეფო არის სულიერი, შინაგანი, და არა
გარეგნული, მიწიერი, ხილული, და რომ ის უკვე დადგა.
შორის თქუენსა არს, – ამას ორნაირი გაგება აქვს: 1) ღვთის
სასუფეველი უკვე მოვიდა, ის თქვენ შორის არის, იუდეველ-
თა შორის, თუმცა თქვენ მას ვერ ამჩნევთ თქვენი სიბრმავის
გამო; 2) ღვთის სასუფეველი შეუმჩნეველია გარეგანი თვალებ-
ისთვის, რადგან ის ადამიანის სულში მკვიდრდება. მას შემ-
დეგ, რაც ღვთის სასუფევლის დადგომის შესახებ ილაპარაკა,
რომელიც თავიდან იქნება, როგორც ქვეყნის შინაგანად გარ-
დამქმნელი ერთგვარი სულიერი საფუარი, უფალი გადადის
იმ უბედურებათა შესახებ აზრის გამოთქმაზე, რომელნიც
იუდეველებს ელოდებათ, რადგან მათ ვერ შეამჩნიეს მისი
სასუფევლის დადგომა (იგულისხმება რომალების მიერ იერუ-
სალიმის დანგრევა 70 წელს), და მისი სასუფევლის აშკარად
გაცხადების შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება მისი მეო-
რედ დიდების მოსვლისას, მსგავსად ცის კიდიდან კიდემდე
გაელვებული ელვისა. როგორც ანაზდეულად მოხდა მსოფ-
ლიო წარღვნა ნოეს დღეებში და სოდომ-გომორის დაღუპვა
ლოთის დღეებში, ასევე უეცარი იქნება ქრისტეს მოსვლა
იერუსალიმის განსასჯელად მისი დანგრევისას და მისი მეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ მოსვლა კაცობრიობის განსაჯელად ქვეყნის აღსასრულისას. მაშინ საჭირო იქნება უფლის შეგებება, ისე, რომ არ დაემსგავსო ლოთის ცოლს და უკან არ მიხედო ქვეყნის დასჯას, რადგან მაშინ მოხდება საბოლოო განყოფა მართლებსა და ცოდვილებს შორის, თუნდაც ისინი ერთად იყვნენ და ერთ საქმეს აკეთებდნენ. ამით შეძრწუნებულმა მოწაფეებმა ჰკითხეს, თუ სად მოხდებოდა ყოველივე ეს. ამაზე უფალმა იგავურად მიუგო: ***სადაცა ჯორცი, მუნცა ორბები შეკრბეს*** (ამბაკ. 1, 8), – როგორც მტაცებელი ფრინველები იკრიბებიან ლეშთან, ასევე ღვთის დამსჯელი სამსჯავრო იქ შედგება, სადაც გაიყინა შინაგანი ცხოვრება და დაიწყო სულიერი გახრწნა.

50. იგავი უსამართლო მოსამართლეზე

(ლუკა 18, 1-18)

მძიმე დროება დადგება ქრისტეს მეორედ მოსვლისას, მაგრამ ამის გამო კი არ უნდა მოვიწყინოთ, არამედ საჭიროა ***მარადის ლოცვაჲ.*** ხოლო, როგორ უნდა ვილოცოთ, უფალმა ეს ხატოვნად აღწერა იგავში უსამართლო მოსამართლის შესახებ, რომელსაც არ უნდოდა ყურად ეღო დაჩაგრული ქვრივი დედაკაცის თხოვნა და დაეცვა იგი, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეასრულა მისი თხოვნა იმიტომ, რომ მან მოსვენება არ მისცა, თავი მოაბეზრა ხვეწნა-მუდარით. უფალს არ სურს, ღმერთი შეადაროს უსამართლო მსაჯულს (კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ იგავებიდან ყველაფერი არ უნდა განვმარტოთ სულიერი თვალსაზრისით), არამედ მხოლოდ დასკვნას აკეთებს უარესობიდან სრულყოფილებისკენ, კერძოდ, თუკი უსამართლო მსაჯული საბოლოოდ საბოლოოდ მაინც დაეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარა მთხოვნელს, მით უმეტეს დაიცავს ყოვლადსახელო და ყოვლადსამართლიანი ღმერთი თავის რჩეულებს, თუკი ისინი დღე და ღამ შეჰღაღადებენ მას, თუნდაც ღმერთმა, მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზით, თავიდან შეაყოვნოს მათი დაცვა. ***ხოლო მო-რაჲ-ვიდეს ძე კაცისაჲ, პოვოსმეა სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა?*** – მიუხედავად იმ ეჭვშეურევნელი ჭეშმარიტებისა, რომ ღმერთი მალე დაიცავს თავის რჩეულებს, იპოვის კი იგი ისეთ მორწმუნეებს, რომლებსაც ექნებათ ის ერთგულება და მოშურნეობა ლოცვაში, რომელიც მათ მოეთხოვებათ? სხვა სიტყვებით, საშიში ის კი არ არის, რომ ღმერთი არ დაიცავს თავის ერთგულებს მომავალი უბედურებებისა და თავდასხმებისგან, არამედ იმას უნდა ვუფრთხოდეთ, რომ დედამიწაზე მისი მეორედ მოსვლის დროს ასეთი ერთგული მორწმუნეების უკმარისობა არ აღმოჩნდეს.

51. იგავი მეზვერესა და ფარისეველზე
(ლუკა 18, 9-14)

უფლის ერთგული მიმდევრების ლოცვის არსზე, რომელსაც შეეძლება მლოცველისთვის ღმერთის შეწევნისა და დაცვის გამოწვევა, უფალი მიუთითებს მის მიერ მოთხრობილ იგავში იმის შესახებ, თუ როგორ ლოცულობდა ტაძარში ორი ადამიანი – მეზვერე და ფარისეველი. ეს უკანასკნელი ლოცულობდა თავდაჯერებით, ქედმაღლობით, ღვთის წინაშე წარმოაჩენდა თავის კეთილ საქმეებს, როგორც დამსახურებებს და აკნინებდა სხვებს. მეზვერე კი ლოცულობდა საკუთარი ცოდვიანობის ღრმა შეგნებით, აცნობიერებდა თავის უღირსობას. შედეგად, იგი უფრო გამართლებული დაბრუნდა შინ, ***ვიდრე ფარისეველი იგი***. ამ იგავის იდეას უფალი აცხადებს

მის დასკვნაში: ***ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს.*** შესაბამისად, ლოცვა საჭიროა სიმდაბლით, შემუსვრილი გულით საკუთარი ცოდვების გამო. მეზვერის ლოცვა: ***ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას,*** როგორც სამაგალითო, საყოველთაო სარგებლობაში დამკვიდრდა.

52. ყრმების კურთხევა

(მათე 19, 13-15; მარკოზი 10, 13-16; ლუკა 18, 15-17)

იმ სამი მახარებლიდან, ვინც ამ მოვლენის შესახებ საუბრობს, ყველაზე დაწვრილებით მოგვითხრობს წმინდა მარკოზი; იგი ამბობს, რომ უფალი განრისხდა თავის მოწაფეებზე იმის გამო, რომ ისინი მასთან ბავშვებს არ უშვებდნენ. აქედან ჩანს, თუ რამდენად დიდია უფლის სიყვარული ბავშვებისადმი, თუკი ის, რომელსაც უდიდესი სულგრძელობითა და სიმშვიდით გადაჰქონდა ადამიანთა უსამართლობანი, განრისხდა თავის მოწაფეებზე ბავშვებისადმი სიყვარულს უფალი ხსნის მათი ღირსებებით და ამ ღირსებებს მისაბაძ მაგალითებად უდგენს ყველას, ვისაც ცათა სასუფეველში შესვლა სურს. ***რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას,*** – ეს ნიშნავს, რომ ღვთის სასუფეველი უნდა მიიღო გულში ისეთივე წმინდა, უბრალო და უბიწო სულის განწყობით, როგორიც ის აქვთ პატარებს, ზნეობრივად გაუხრწნელ ბავშვებს. ***აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.*** აქედან თავისთავად გამოდის დასკვნა, რომ უდიდეს ცოდვას სჩადიან ის მშობლები და აღმზრდე-

ლები, რომლებსაც არ მიჰყავთ ბავშვები ქრისტესთან, არ ასწავლიან ქრისტიანულ სარწმუნოებას, და კიდევ უფრო მეტი ცოდვა ადევთ იმათ, ვისაც განზრახ გადაჰყავს პატარები სარწმუნოების გზიდან.

53. მდიდარი ჭაბუკის შესახებ

(მათე 19, 16-26; მარკოზი 10, 17-27; ლუკა 18, 18-27)

ამ ჭაბუკზე, ანუ მთავარზე, როგორც მას წმინდა ლუკა უწოდებს, და რომელმაც უფალს ჰკითხა, რა უნდა მოემოქმედა, რომ მარადიული ცხოვრება დაემკვიდრებინა, სამივე სინოპტიკოსი მოგვითხრობს. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, ეს საუბარი შედგა იერუსალიმის გზაზე, როდესაც უფალი იქ მიდიოდა ვნებების ნებაყოფლობით მისაღებად. მიმართა რა უფალს, ჭაბუკმა მას უწოდა: ***მოძღუარო სახიერო.*** უფალმა ამაზე უპასუხა: ***რაჲსა მეტყჳ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი,*** – „თუკი შენ მომმართავ მე, როგორც მხოლოდ მოძღვარს, შესაბამისად, მომმართავ როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, ამიტომ ასეთ შემთხვევაში არ არის საჭირო მიწოდო „სახიერი“, რადგან ეს სახელი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს შეეფერება“. უფალმა მას მცნებებზე მიუთითა. ჭაბუკმა, როგორც ჩანს, იფიქრა, რომ საუბარი ეხებოდა რაღაც განსაკუთრებულ, მისთვის უცნობ მცნებებს, ამიტომაც იკითხა: ***რომელნი?*** უფალმა მას ჩვეულებრივი მცნებები უხსენა, მოსეს რჯულიდან, და ჩამოთვალა ათი მცნებიდან მხოლოდ ზოგიერთი: მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-5, ხოლო შემდეგ – ზოგადი მცნება მოყვასის სიყვარულის შესახებ. ამაზე ჭაბუკმა მიუგო: ***ესე ყოველი***

დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან. უნდა ვივარაუდოდ, რომ მცნებების დაცვა მას ფარისევლურად ესმოდა, – სხვაგვარად ვერ გაბედავდა, ასე ეთქვა. თუმცა, მაინც მნიშვნელოვანია, რომ ჭაბუკს არ მიაჩნდა თავისი თავი ყოვლისმცოდნედ; როგორც ჩანს, სინდისი მას კარნახობდა, რომ მხოლოდ გარეგანი შესრულება მცნებებისა, არ იყო საკმარისი სულის საცხონებლად. მაშინ უფალმა განუცხადა მას ქრისტიანული სრულყოფილების საიდუმლო შემდეგი სიტყვებით: ***უკუეთუ გნებავს, რაჲთა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა, და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდეგ მე.*** უმაღლესი სრულყოფილებისაკენ ამ მოწოდების პასუხად ჭაბუკი უფლისგან ***წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.*** შესაბამისად, მისი სიმდიდრე მისთვის ისეთი კერპი გამხდარიყო, რომ მასთან განშორება მას არ შეეძლო. ეს კერპი მან მარადიულ ცხოვრებასაც კი ამჯობინა, რომლისკენაც, როგორც ჩანს, ის გულწრფელად მიისწრაფვოდა. უფალს მხედველობაში აქვს ადამიანის შემპყრობელი ეს ვნება და არა თავისთავად სიმდიდრე, როდესაც ამბობს: ***ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.*** მარკოზ მახარებელის სიტყვებით, ***მოწაფეთა დაუკჳრდებოდა სიტყუასა ამას ზედა,*** და ეს გასაგებიცაა, რადგან სიმდიდრე ისეთი რამ არის, რასაც ყველა ადამიანი ელტვის, ხოლო რჯულის მიხედვით ეს იყო ადამიანის მიმართ ღვთის კეთილგანწყობის მაჩვენებელი, უფალი კი ამ დროს ამბობს, რომ ის წარმოადგენს ძალიან დიდ წინააღმდეგობას ღვთის სასუფევლის გზაზე. იმისათვის, რომ მოწაფეები დაამშვიდოს და აუხსნას, თუ რა აზრით არის მის მიერ ეს ნათქვამი, უფალი ეუბნება: ***რაოდენ***

ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესვენ, შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა! როგორც წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, „ქრისტე სიმდიდრეს კი არ განიკითხავს, არამედ იმათ, ვინც მიდრეკილია მისკენ“, რადგან ადამიანის ცოდვილი ბუნებისათვის სიმდიდრე დიდი საცდურისა და წინააღმდეგობის შემცველია ღვთის რჯულის შესრულების გზაზე. ***უადვილეს არს აქლემი ჯურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა,*** – ეს ხალხური გამოთქმაა; მას დღესაც იყენებენ აღმოსავლეთში, და ნიშნავს, რომ საქმე ძნელი გასაკეთებელია ან საერთოდ შეუძლებელია. ზოგიერთები „აქლემში“ მოიაზრებენ აქლემის ბეწვისგან დამზადებულ გემის ბაგირს. სხვები ფიქრობენ, რომ „ნემსის ხვრელში“ იგულისხმება ძალიან დაბალი და ვიწრო კარი, სადაც აქლემი ძლივს გადის. თავისთავად სიმდიდრე კი არ არის საშიში, არამედ ის, რომ ადამიანი მასზე ამყარებს იმედს და მთელი თავისი ბედნიერება უნდა, რომ მასზე ააწყოს და, ამდენად, მისი სიმდიდრე მისივე კეპრპი ხდება. მოციქულები მაინც ღელავდნენ და გაურკვევლობაში რჩებოდნენ: ***და ვის ძალ-უც ცხორებად?*** უფალმა დაამშვიდა ისინი თავისი მზერით და უთხრა: ***კაცთა მიერ შეუძლებელ არს, არამედ არა ღმრთისაგანცა, რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ,*** – რაც ნიშნავს, რომ ღვთის შემწყალებელ და მაცხონებელ მადლს შესწევს იმის ძალაც, რისი გაკეთებაც ადამიანს არ შეუძლია თავისი საკუთარი ძალებით: ღმერთს შეუძლია განკურნოს მდიდარი ცხონებისათვის ხელისშემშლელი მომხვეჭელობის სენისგან.

54. მოციქულები, რომლებმაც ყოველივე დაუტევეს ქრისტესთვის, მარადიულ ცხოვრებას დაიმკვიდრებენ

(მათე 19, 27-30; მარკოზი 10, 28-31;
ლუკა 18, 28-30)

უფლის მიერ მდიდარი ჭაბუკისათვის მიცემულ პასუხთან დაკავშირებით, წმინდა პეტრე მოციქულმა უფალს შეკითხვა დაუსვა ყველა მოციქულის სახელით, – როგორი იქნებოდა მათი ჯილდო იმისათვის, რომ ყოველივე ამქვეყნიური დაუტევეს და ქრისტეს გაჰყვნენ. ქრისტეს მოწაფენი, ღვთის მიერ მოციქულებად წოდებულნი, ღარიბი ადამიანები იყვნენ, მცირე ქონება ჰქონდათ: ბადე, ანკესი, ნავი და ღარიბი საცხოვრებელი, მაგრამ ეს ცოტაც მათვის იყო ***ყოველი,*** და ისიც მიატოვეს ქრისტეს მიმდევრობისთვის, რაც მათი მხრიდან ჭეშმარიტი თავდადება იყო. შეიძლება, მოციქულები ეჭვობდნენ, შეძლებდენ თუ არა სრულყოფილებისათვის მიეღწიათ თავიანთი სიღატაკის პირობებში? უფალმა დაამშვიდა ისინი, უთხრა, რომ არა მხოლოდ თავად ისინი, არამედ ყველა სხვაც, ვინც კი უფლისა და სახარების გამო ყველაფერს დათმობს, რაზედაც გულით არის მიჯაჭვული, უდიდეს ჯილდოს მიიღებს, თანაც, არა მხოლოდ მომავალ, არამედ ახლანდელ ცხოვრებაშიც. სახლისა და ნათესავების დამტევებელი ასჯერ მეტ სახლსა და ნათესავს მიიღებს ჭეშმარიტი ქრისტიანებისა და მათი საცხოვრებლების სახით. მართლაც, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანებზე სასტიკი დევნა მიმდინარეობდა, უფლის ეს წინასწარმეტყველება სისტყვასიტყვით ასრულდა: ყველა ქრისტიანი ერთ დიდ ოჯახს შეადგენდა, ქრისტესმიერი და-ძმა იყო, თითოეული სახლი მუდამ ღია იყი

ერთმანეთისთვის და ისე შედიოდნენ ერთმანეთთან, როგორც საკუთარ სახლში; მაგრამ მთავარი ჯილდო, რა თქმა უნდა, მომავალში ელოდებათ – მარადიული ცხოვრება. ***მერმესა მას შობასა,*** – იგულისხმება სამყარის განახლება, რომელიც გაცხადდება მკვდრების მკვდრეთით აღდგომით, საყოველთაო სამსჯავროთი და ცისა და დედამიწის განახლებით. მაშინ მოციქულები მონაწილეობას მიიღებენ ღმერთკაც იესო ქრისტეს განდიდებაში იმით, რომ სამსჯავროზე დაამოწმებენ ისრაელის ერისა და ყველა სხვა ადამიანის მიმართ და მრავალ მათგანზე იშუამდგომლობენ კიდეც.

ებრაელები, როგორც ღვთის რჩეული ერი, თავის თავს პირველებად მიიჩნევდნენ სხვათა შორის, და ფიქრობდნენ, რომ ასევე პირველები იქნებოდნენ მომავალ ცხოვრებაშიც. უფალმა კი უთხრა, რომ ბევრი მათგანი იმის გამო, რომ მესია არ ირწმუნეს, მომავალ ცხოვრებაში უკანასკნელები აღმოჩნდებიან, მაშინ, როდესაც მონანული მეზვერეები და ცოდვილები, ასევე წარმართები, პირველები იქნებიან.

55. იგავი ვენახის მუშაკებზე, რომლებმაც ერთნაირი გასამრჯელო მიიღეს

(მათე 20, 1-16)

ამ იგავის მიზანია, განმარტოს, როგორ შეიძლება უკანასკნელები აღმოჩნდნენ პირველები. ამას გააკეთებს ღვთის გულმოწყალება, სახიერება. ცათა სასუფეველი აქ წარმოდგენილია ოჯახის პატრონის სახით, რომელიც გამოვიდა დილაუთენია, რათა თავის ვენახში სამუშაოდ დაექირავებინა მუშები. ***აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრაჰკანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაჯსა თჳსსა.*** საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი, როცა გასამრჯელოს გაცემის დრო დადგა, ყველა დანარჩენსაც ასევე თითო დრაჰკანი მისცა, – ვინც მოგვიანებით დაიქირავა, 3, 6, 9 და 11 საათზეც კი. ამის გამო პირველად მისულებმა დრტვინვა დაიწყეს, რადგან შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურების ასეთნაირად განაწილება უსამართლოდ მოეჩვენათ, მაგრამ ვენახის პატრონმა აუხსნა: ***მოყუასო, არარას გავნებ შენ, ანუ არა ერთი დრაჰკანი აღგითქუ შენ? მიიღე შენი და ვიდოდე. ხოლო მე მნებავს უკუანაჲსკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ. ანუ არა ჯერარსა ჩემდა, რაჲცა მინდეს, ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ.***

დრაჰკანი ანუ დინარი, ათი რომაული ასარისა და ერთი ბერძნული დრაქმის ტოლფასი ფულის ერთეული, აღმოსავლეთში მიღებული იყო, როგორც ერთი დღის ჯამაგირი. ებრაელებთან დღე 12 საათად იყო დაყოფილი და თვლას იწყებდნენ მზის ამოსვლიდან. ამ იგავის აზრი ის არის, რომ უფალი თავად განუსაზღვრავს ადამიანებს ჯილდოს მისი მსახურებისათვის: ვერავინ შევა მასთან რაიმე შეთანხმებაში და ვერ დაუყენებს რაიმე პირობას; მხოლოდ და მხოლოდ თავისი სახიერებით აჯილდოებს უფალი. ასევე უნდა ვიცოდეთ, რამ ადამიანის ცხონების საქმეში თვით ადამიანის მხრიდან იმდენად მცირე რამ კეთდება, რომ ვალის გამო ანაზღაურებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს. უფალი აჯილდოებს არა მოვალეობის გამო, არამედ თავისი მადლით. შესაბამისად, სრული თავისუფლებით, საკუთარი შეხედულებისამებრ. ამიტომ, ვინც ნაკლები იღვაწა, შეიძლება არანაკლები მიიღოს, ვიდრე დიდად მოღვაწემ. ეს არის ცოდვილთა სასოება, რომელთაც შეუძლიათ გულის სიღრმიდან ამოსული ერთი

ამოოხვრით მიიღონ ცოდვისგან გამწმენდელი წყალობა და მადლი ღვთისა. რა მიზანი ჰქონდა ამ იგავს? პეტრემ სულ ახლახან ჰკითხა: ***აჰა ესერა, ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ, რაჲ-მე იყოს ჩუენდა?*** (რა ჯილდოს მივიღებთ ამისთვის?). ჩვილი გონების ეს ამპარტავნება უფალს მაშინვე არ უმხელია, პირიქით, მაღალი ჯილდოებიც კი აღუთქვა მოციქულებს, მაგრამ მერე ამ იგავით აჩვენა, რომ ჯილდო დამოკიდებული არ არის ადამიანის დამსახურებაზე, არამედ დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ღვთის წყალობაზე; ამიტომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ დამსახურების მიხედვით პირველებმა მიიღონ უკანსკნელი ჯილდო, ხოლო დამსახურების რაოდენობით უკანასკნელებმა, – უფლის მიერ მოწოდებულებმა ცხოვრების უკანსკნელ მომენტში, – პირველი ჯილდო. იგავის ბოლოს უფალი ამბობს: ***მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ,*** – ბევრია მოწოდებული მარადიული ნეტარებისათვის ცათა სასუფევლში, მაგრამ მათგან მხოლოდ ზოგიერთი ხდება რჩეული. რა თქმა უნდა, როგორც ყველა სხვა იგავში, არც აქ უნდა ვეძებოთ თითოეული სიტყვის მნიშვნელობა: მთავარია მისი ძირითადი იდეა, კერძოდ, ადამიანი ღმერთისგან ჯილდოვდება არა დამსახურების რაოდენობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ღვთის წყალობით.

56. უფალი იმეორებს წინასწარმეტყველებას ვნებებისა და აღდგომის შესახებ და პასუხობს თავის სასუფეველში პირველობასთან დაკავშირებით ზებედეს ძეთა შეკითხვას

(მათე 20, 17-28; მარკოზი 10, 32-45; ლუკა 18, 31-34)

სამივე სინოპტიკოსი მოგვითხრობს, რომ იერუსალიმის გზაზე უფალმა თავის მოწაფეებთან ისაუბრა თავისი მოსალოდნელი ტანჯვის, სიკვდილისა და აღდგომის შესახებ. ყველაზე დაწვრილებით და ცხოვლად ამის შესახებ მოგვითხრობს წმინდა მარკოზი, რომელმაც, უეჭველია, ყოველივე ეს წმინდა პეტრესგან მოისინა. ის ამბობს, რომ ***იესუ წინა-უძღოდა მათ,*** როგორც ნებაყოფლობით მიმავალი ტანჯვის მისაღებად და ღვთის ნების აღსასრულებლად (შდრ. ლუკა 12, 50), მოწაფენი კი, რაკი ადამიანურად აზროვნებდნენ და მესიის მხოლოდ მიწიერ დიდებაზე ფიქრობდნენ, გაკვირვებულნი და შეშინებულნი მისდევდნენ მას. გზაში უფალმა გვერდზე გაიხმო თორმეტი მოწაფე (ეტყობა, მათ გარდა, ბევრი სხვა ხალხიც მიჰყვებოდა) და დაუწყო ლაპარაკი იმაზე, რომ იერუსალიმში აღსრულდებოდა ყველაფერი, რაც დაწერილი იყო მის შესახებ წინასწარმეტყველთა მიერ: ***აჰა ესერა, აღვალთ იერუსალჵმდ, და აღესრულნენ ყოველნი წერილნი წინაასწარმეტყუელთანი ძესა ზედა კაცისასა: და ძე კაცისაჲ მიეცეს მღდელთმოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად და მისცენ იგი წარმართთა; და ეკიცხევდენ მას და ტანჯონ იგი და ჰნერწყუვიდენ მას და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.*** წმინდა ლუკა დასძენს, რომ

მოწაფეებმა ნათქვამიდან ვერაფერი გაიგეს, რადგან *იყო სიტყუაჲ იგი დაფარულ მათგან.* მაშინ მივიდნენ მასთან ზებედეს ძენი – იაკობი და იოანე და სთხოვეს: ***მომეც ჩუენ, რაჲთა ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა დავსხდეთ დიდებასა შენსა,*** – სურდათ, დაეკავებინათ მის შემდეგ მეორე და მესამე ადგილი მესიის სამეფოში, რომელიც, როგორც ფიქრობდნენ, მიწაზე უნდა გაცხადებულიყო. ამაზე უფალმა უპასუხა: ***არა იცით, რასა ითხოვთ.*** მოციქულებს მართლაც არ ესმოდათ მაშინ, რომ პირველობის თხოვნა ნიშნავდა ქრისტეს სახელისთვის თვითუარყოფასა და მოწამეობას; ისინი ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ პატივს, ძალაუფლებასს და სიხარულს ითხოვდნენ. ამიტომ უფალმა თავისი შეკითხვით: ***ძალ-გიცა სასუმელსა, რომელსა მე შევსუამ, შესუმად?*** სწორედ იმაზე მიუთითა, რომ მის სასუფეველში მასთან მიახლოება მისი ტანჯვების გაზიარებას ნიშნავდა. ტანჯვაზე აქ საუბარია, როგორც სასმისზე, რომელიც ყველამ უნდა გაიზიაროს ქრისტესთან ერთად, ვისაც კი მასთან ახლოყოფნა სურს. ეს ხატება აღებულია აღმოსავლელი მეფეების ჩვეულებიდან, – გაეგზავნათ სიკვდილმისჯილებისთვის შხამიანი სასმისი. სახარებაში კი ძე ღვთისა სწორედ განსასჯელად არის წარმოდგენილი, რომელსაც ზეციერი მამა სიკვდილის სასმისს უგზავნის (იოანე 18, 11). ***და ნათლისღებასა, რომელსა მე ნათელ-ვიღებ, ნათლისღებად?*** – აქაც იგივე აზრია, ტანჯვის დათმენა წარმოდგენილია ამ ტანჯვებში ადამიანის ერთგვარი შთაფლვით, ერთგვარი წყალში განბანვით. ***ძალ-გუც,*** – უპასუხეს მოციქულებმა, „გულმოდგინებისგან გახურებულებმა, არც კი იცოდნენ, რას ამბობდნენ“ (წმინდა იოანე ოქროპირი). უთხეს ის, რასაც ყველა მოწაფე

ამბობდა, კერძოდ, ბოლომდე გაჰყვებოდენ უფალს, თუნდაც სიკვდილზე. ***სასუმელი სამე, რომელსა მე ვსუამ, სუათ...,*** – „თუმცა დაუფიქრებლად მპირდებით, – თითქოს ასე პასუხობს მათ უფალი, – მაგრამ მომავალში მართლაც დამემსგავსებით მოთმინებითა და ღვაწლით“ (განჭვრიტა რა მათი მომავალი თავისი ღვთაებრივი ხედვით). ***ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით,*** ანუ დიდების სასუფეველში, წუთისოფელში მებრძოლი ღვთის სასუფევლის გვერდავლით, ჩემზე არ არის დამოკიდებული, არამედ ჩემს მომავლინებელ მამაზე, რამეთუ ის განუმზადებს მოღვაწეთ ამ ადგილს“. დანარჩენი მოციქულები განრისხდნენ, როგორც ჩანს, შურით, რომ მხოლოდ ზებედეს ძეებს არ მიეთვისებინათ ის, რასაც ყველა მათგანი ეძებდა. უფალმა ყველა მოციქულს შეაგონა, რომ პირველობას არ უნდა ეძიებდნენ. მათ მიერ გამოვლენილი პატივმოყვარეობის საპირისპიროდ უფალი ასწავლის, რომ მისი სასუფევლის წევრებისათვის ზნეობის ძირითადი წესი მდგომარეობს – მიწიერი სასუფევლისგან განსხვავებით – სიმდაბლესა და თავდადებაში. ამის მაგალითად უფალი თავის თავზე მიუთითებს: იგი მოვიდა არა იმისათვის, რომ ***ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჴსრად მრავალთა.*** „მრავალთა“ აქ ნათქვამია, ნაცვლად, „ყოველთა“. ყველა ადამიანი ეშმაკის მონობაში იმყოფებოდა და ცოდვას ემსახურებოდა. მათ გასათავისუფლებლად საჭირო იყო გამოსასყიდი (ბერძნ. „ლიტრონი“). სწორედ უფალმა გაიღო ეს გამოსასყიდი, გამომსყიდველობითი მსხვერპლი („აპოლიტროსინი“), თავისი ჯვარზე ვნებითა და სიკვდილით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

57. ორი იერიქონელი ბრმის განკურნება
(მათე 20, 29-34; მრკოზი 10, 46-52;
ლუკა 18, 35-43)

იერიქონი იმ დროში იყო იუდეის დიდი ქალაქი, ისტორიულად ფრიად მნიშვნელოვანი; მდებარეობდა იერუსალიმიდან 20 ვერსის დაშორებით ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და იორდანედან 7 ვერსის მანძილზე, მისგან დასავლეთით. იერიქონის ახლოს ებრაელებმა სასწაულებრივად გადალახეს იორდანე, როდესაც ეგვიპტიდან მოდიოდნენ (იესო ნავ. 3, 16). ეს იყო მათ მიერ პირველი სასწაულებრივად აღებული ქალაქი (იესო ნავ. 6, 20). შემდგომში იქ დაარსდა წინასწარმეტყველთა სკოლა (4 მეფ. 2, 5) და სწორედ იქ აღასრულა სასწაული წინასწარმეტყველმა ელისემ, როცა მარილით წყალი გააჯანსაღა (4 მეფ. 2, 21). ქალაქის შემოგარენი მდიდარი მცენარეულობითა და მშვენიერი ჰავით გამოირჩეოდა, მაგრამ შემდეგ, უკვე, იერუსალიმის გზაზე, მდებარეობდა კლდოვანი და უსახური უდაბნო, სადაც მრავლად იყვნენ მტაცებელი ცხოველები და მოთარეშე ავაზაკები. როდესაც უფალი იერიქონიდან გამოვიდა და წავიდა იუდეველებისათვის ჩვეული გზით, რომელიც გალილეადან იორდანსაგაღმა პერეას ოლქში მიდიოდა, ***მისდევდა მას ერი მრავალი,*** რომელიც ასევე იერუსალიმში მიდიოდა პასექის დღესასწაულზე. გზის პირას მსხდომმა და მოწყალების მთხოვნელმა ბრმები დაიწყეს ღაღადი: ***შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო!*** ეს ღაღადი მოწმობდა, რომ მათ სწამდათ იესო ქრისტე, როგორც მესია. ხალხი აიძულებდა, გაჩუმებულიყვნენ, რათა არ შეეწუხებინათ უფალი, ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს იგი რაიმე სწავლებას გადასცემდა იქ შეკრე-

ბილ ხალხს. უფალმა ჰკითხა, რა სურდათ მათ, და როდესაც პასუხად მიიღო: ***აღვიხილნეთ თუალნი ჩუენნი,*** შეეხო მათ თვალებს; იმ წამსვე აეხილათ და გაჰყვნენ მას. ამას სამივე სინოპტიკოსი გადმოგვცემს, მაგრამ წმინდა მათე საუბრობს ორ ბრმაზე; წმინდა მარკოზი და წმინდა ლუკა – ერთზე, თანაც, წმინდა მარკოზი უფრო დაწვრილებით გადმოსცემს ამ ამბავს, – სახელითაც კი მოხსენიებს ბრმას: ბარტიმეოსი, რაც ნიშნავს: „ტიმეს ძე". უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ბრმათაგან ერთ-ერთი ყველასათვის ნაცნობი იყო, მეორეს კი არავინ იცნობდა, შეუმჩნეველი იყო, ამიტომაც არ ახსენა ის ორმა სინოპტიკოსმა. კიდევ ერთი განსხვავებაა მონათხრობებში: პირველი ორი სინოპტიკოსის თანახმად, უფალმა ეს განკურნება მაშინ მოახდინა, როდესაც იერიქონიდან გამოდიოდა; წმინდა ლუკას მიხედვით კი, როდესაც იერიქონს უახლოვდებოდა. ეპისკოპოს მიხეილის განმარტებით, წმინდა ლუკას მიერ გამოყენებული სიტყვა „ენგიზინი" საკუთრივ ნიშნავს არა შესვლას, არამედ რაიმესთან ახლოყოფნას, შესაბამისად, სწორი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ უფალმა ეს სასწაული აღასრულა იერიქონის მახლობლად ყოფნისას და სულერთია, ქალაქში მისი შესვლისას მოხდა ეს თუ გამოსვლისას.

58. უფალი იესო ქრისტე სტუმრობს ზაქეს
(ლუკა 19, 1-10)

მეზვერეთა მთავართან, ზაქესთან უფლის სტუმრობის შესახებ მხოლოდ ლუკა მახარებელი მოგვითხრობს. ბრმების განკურნების შემდეგ უფალი შევიდა იერიქონში, სადაც მისი ნახვა სურდა ძალიან მდიდარ ადამიანს – ზაქეს, მეზვერეთა მთავარს. ზაქე ებრაული სახელია და ნიშნავს „წმინდას",

„მართალს“. იერიქონი განთქმული იყო ბალზამის წარმოებითა და ვაჭრობით, და ხარკის ამკრების თანამდებობა იგი ძალიან მნიშვნელოვანი, სარგებლიანი და შემოსავლიანი იყო. ზაქე არ იყო რიგითი მეზვერე, არამედ – მათი მთავარი, რომელსაც, როგორც ჩანს, მთელი ოლქის მეზვერეები ემორჩილებოდნენ. სახარებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ იგი მდიდარი იყო, რადგან მდიდართაგან ძალიან ცოტა იყო გალილეველი ღატაკი მოძღვრის მიმდევარი. ტანით დაბალი ზაქე ლეღვის ხეზე აძვრა, რათა უკეთ დაენახა ხალხით გარშემორტყმული უფალი. ცხადია, რომ უფალმა იცოდა ზაქეს კეთილზნეობრივი განწყობა, უფლის ნახვა მისთვის არ იყო ცნობისმოყვარეობის უბრალო დაკმაყოფილება, ამიტომ პატივი მიაგო მას თავისი სტუმრობით. უდიდესმა სიხარულმა, რომ უფალმა არ ითაკილა მასთან, ცოდვილთან სტუმრობა, ზაქეში საბოლოოდ გააღვივა სინდისი და მის სულში სრული ზნეობრივი გადატრილება მოახდინა. მან გააცნობიერა, რომ სინდისი არ ჰქონდა სუფთა, ქონების მოხვეჭის მეთოდებიდან გამომდინარე, ამიტომ ყველას გასაგონად დადო აღთქმა, რომ გამოისყიდიდა მომხვეჭელობის ცოდვას: ***ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი*** (ქურდობის შესახებ კანონის თანხმად, რომელიც გადმოცემულია გამოსვლის წიგნში (22, 1). ამაზე მაცხოვარი პასუხობს: ***დღეს იქმნა ცხორებაჲ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა შვილი აბრაჰამისი არს*** (ანუ ზაქე; უფლის შემდეგი სიტყვები კი მიმართულია იმათკენ, ვინც უკმაყოფილო იყო იმით, რომ უფალი ***ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგომად***), – არა მხოლოდ ხორცით, არამედ სულითაც. ზაქეს სინანული, ეს არის ჭეშმარიტი მონანიების

ნიმუში, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ უნაყოფო დანანებით ჩადენილი ცოდვის გამო, არამედ ისწრაფვის აღხოცოს თავისი ცოდვები მათი საპირისპირო კეთილი საქმეებით. ამიტომ ზაქეს შესახებ სახარების ადგილი ყოველთვის იკითხება მეზვერისა და ფარისევლის კვირის წინ, დიდმარხვის მოსამზადებელ პერიოდში.

59. იგავი ათი მნის ან ათი ტალანტის შესახებ
(ლუკა 19, 11-28; მათე 25, 14-30)

ჯერ კიდევ ზაქესთან სახლში ყოფნისას, უფალმა იქ შეკრებილთ მოუთხრო იგავი ათი მნის შესახებ, რომელიც მსგავსია იმ იგავისა, რომელსაც ვხვდებით მათესთან ათი ტალანტის შესახებ. მიუხედავად დიდი მსგავსობისა, ამ იგავებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობს, ამასთან, როგორც მათეს სახარებიდან ჩანს, ტალანტების შესახებ იგავი უფლის მიერ მოთხრობილია გაცილებით გვიან, – მისი მეორედ მოსვლის, სამყაროს აღსასრულისა და საშინელი სამსჯავროს შესახებ საუბრებთან კავშირში. და მაინც, ორივე იგავს ერთი საერთო იდეა აქვს, ამიტომ მათი განხილვა პარალელურად შეიძლება. მნების შესახებ იგავში საუბარია დიდგვაროვანი კაცზე, რომელიც შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა, რათა მიეღო მეფობა და უკან დაბრუნებულიყო. იგავის წყარო უნდა ყოფილიყო სამეფო ხელისუფლების ხანა იუდეაში. იუდეველი მეფენი, როგორც წესი, რომში მიდიოდნენ სამეფო ღირსებაში დასამტკიცებლად. ასე მოიქცა არქელაოსი, ჰეროდე დიდის ძე, ასევე, ჰეროდე ანტიპა, გალილეის ტეტრარქი. ტალანტების შესახებ იგავში კი საუბარია უბრალოდ ადამიანზე, რომელიც უცხო ქვეყანაში მიემგზავრება. ორივე შემთხ-

ვევაში ამ პიროვნებებში იგულისხმება ქრისტე, რომლისგანაც უამრავი ებრაელი ელოდა იმ დროს მიწაზე მესიანურ ბული სამეფოს გაცხადებას. მნების შესახებ იგავში ბატონი თავის ათ მონას აძლევს ათ მნას – თითოეულს თითოს, და უბრძანებს, რომ ვერცხლი რაიმე საქმეში სარფიან საქმეში გამოიყენონ. ტალანტების შესახებ იგავში ბატონმა თავის მონებს გადასცა მთელი თავისი ქონება, – თითოეულს იმდენი, რამდენსაც თავს გაართმევდა. ერთი ტალანტი დაახლოებით 60 მნას შეიცავდა. რა თქმა უნდა, ორივე იგავში მონების სახით წარმოდგენილია ქრისტეს მოწაფეები და მიმდევრები, რომელებმაც უფლისგან მიიღეს როგორც სხვადასხვა ნიჭი, ასევე, სხვადასხვა გარეგანი სიკეთე, და რომელთა გამოყენებაც და გამრავლებაც მათ მართებთ ღვთის სადიდებლად, მოყვასთა სასარგებლოდ და საკუთარი სულის საცხონებლად. შემდეგ, იგავში მნების შესახებ, ჩვენ ვხვდებით ისეთ გარემოებას, რომელიც არ არის იგავაში ტალანტების შესახებ. კერძოდ, მოქალაქეებმა შეიძულეს ეს დიდგვაროვანი კაცი და უკან ელჩობა დაადევნეს სიტყვით: ***არა გუნებავს მაგისი მეუფებაᲐ ჩუენ ზედა.*** აქ ის შემთხვევაა გახსენებული, რომელიც რომში გამგზავრებულ არქელეოსს გადახდა თავს; იუდეველებს არ უყვარდათ იგი და რომში 50 კაციანი ელჩობა გაგზავნეს თხოვნით, არ დაემტკიცებინათ იგი მეფის საყდრზე, თუმცა, ამაოდ. უფალ იესო ქრისტესთან მიმართებით აქ იგულისხმება მისი უარყოფა ებრაელი ხალხის მხრიდან, როგორც მესიისა, მაგრამ ამაოდ, რამეთუ ის დარჩა როგორც მათი, ასევე, მთელი მსოფლიოს მეფე და მსაჯული, და იგი ანგარიშს მოსთხოვს თავის მონებს და დასჯის ყველას, ვისაც არ სურს მისი ხელისუფლების აღიარება. ორივე

იგავში ბატონის დაბრუნება გულისხმობს ქრისტეს მეორედ მოსვლას, როდესაც თითოეულს მოუწევს ანგარიშის ჩაბარება საშინელ სამჯვაროზე, თუ როგორ გამოიყენა ღმერთისგან მიცემული ნიჭი და გარეგანი სიკეთეები. ვინც თავის მნასა და ტალანტს გაამრავლებს, ის დაიმსახურებს ქებასა და თავისი გულმოდგინების შესაბამის ჯილდოს; ხოლო, ვინც თავის მინას ან ტალანტს დამალავს, – დაისჯება, როგორც ბოროტი და ზარმაცი მონა (იხ. მათე 25, 26), რომელმაც არ მოისურვა ეშრომა მისთვის მიცემული სიკეთეების ღვთისათვის სათნო საქმეებში გამოსაყენებლად და ამიტომ ღვთის მადლი მათსში უნაყოფოდ დარჩა. ზარმაცი მონის მიერ თავისი ბატონის სისასტიკეში დადანაშაულება, – ეს არის ცოდვილის მხრიდან ჩვეულებრივი თავისმართლება, რომელმაც საკუთარი ცოდვების მიზეზით ღვთის მიმართ შვილობის შეგრძნება დაკარგა და ამიტომ ღმერთი ჰგონია სასტიკი და უსამართლო. ვინც კეთილად იყენებს მისთვის ბოძებულ სიკეთეებს, ის მათ ამრავლებს; უდიერი და უზრუნველი კი იმასაც კარგავს, რაც აქვს. ამიტომ ***ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან.*** იგავი მნების შესახებ მთავრდება დასჯის მკაცრი მუქარით ებრაელი ერის მიმართ, იმის გამო, რომ მათ არ მიიღეს მესიად უფალი იესო ქრისტე. დაასრულა რა იგავის თხრობა, მაცხოვარმა განაგრძო გზა იერუსალიმის მიმართულებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

60. ლაზარეს აღდგინება
(იოანე 11, 1-46)

ამ მოვლენის შესახებ მხოლოდ იოანე მახარებელი მოგვითხრობს. ჯერ კიდევ პერეაში ყოფნის დროს, უფალმა მიიღო ცნობა მისი საყვარელი მეგობრის, ლაზარეს ავადმყოფობის შესახებ, რომელიც ბეთანიაში ცხოვრობდა თავის დებთან, მართასა და მარიამთან, ერთად. ეს ოჯახი განსაკუთრებით ახლო, მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო უფალთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ იერუსალიმში ყოფნისას უფალი ხშირად სტუმრობდა ამ ოჯახს, როცა მას დასვენება ესაჭიროებოდა. დებმა მას შეუთვალეს: ***უფალო, აჰა, რომელი გიყუარს, სნეულ არს,*** – იმის იმედით, რომ იგი თავად მოვიდოდა და განკურნავდა მათ სნეულ ძმას. მაგრამ უფალი არამცთუ არ აჩქარდა, პირიქით, საგანგებოდ დარჩა ***ადგილსა მას, სადაცა იყო, ორ დღე,*** ამასთან თქვა: ***ესე სნეულებაჲ არა არს სასიკუდინე, არამედ დიდებისათჳს ღმრთისა, რაჲთა იდიდოს ძე ღმრთისაჲ მისგან.*** უფალმა იცოდა, რომ ლაზარე მოკვდებოდა, მაგრამ იმიტომ თქვა, ეს სასიკვდილო ავადმყოფობა არ არისო, რომ მისი მკვდრეთით აღდგენა ჰქონდა განზრახული. მხოლოდ ორი დღის შემდეგ, როცა ლაზარე უკვე აღესრულა, მან მიმართა თავის მოწაფეებს: ***წარვიდეთ კუალად ჰურიასტანად.*** უფალი მოგზაურობის მიზნად მიუთითებს არა ბეთანიას, არამედ იუდეას, რათა მიმართოს მოწაფეების აზრი იმ საშიშროებაზე, რომელიც მას იუდეაში ელოდა. ამით მას სურდა, ჩაენერგა მოწაფეთა გონებაში ის აზრი, რომ აუცილებელი და, მაშასადამე, გარდაუვალი იყო მათი მოძღვრის ტანჯვა და სიკვდილი. მოწაფეებმა მართლაც გამოხატეს შიში და შეახსენეს მოძღვარს, რომ იუდეველები სულ ახლახ-

ან აპირებდნენ იერუსალიმში მის ჩაქოლვას. მოწაფეთა ამ შიშის საპასუხოდ უფალი მათ ალეგორიული სიტყვით მიმართავს, რომლის საფუძველიც აღებულია იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იმ დროს თვითონ იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ადრიანი დილა იყო, შესაბამისად, გზაში მათ შეეძლოთ მთელი 12 საათიანი დღე გამოეყენებინათ. ამ დროის განმავლობაში დაუბრკოლებლად შეეძლოთ ევლოთ; საშიში იქნებოდა სიარული მზის ჩასვლის შემდეგ, მაგრამ ამის აუცილებლობა არ იყო, რადგან ბეთანიამდე გაცილებით ადრე შეიძლებოდა მისვლა. სულიერი თვალსაზრისით ეს ნიშნავს შემდეგს: ჩვენი მიწიერი ცხოვრების დრო განსაზღვრულია თვით ღმერთის უმაღლესი ნებით, ამიტომ სანამ ეს დრო გრძელდება, ჩვენ შეგვიძლია უშიშრად ვიაროთ ჩვენთვის განსაზღვრული გზით, შევასრულოთ ის საქმეები, რომელთათვისაც მოწოდებულნი ვართ; უსაფრთხოებაში ვიმყოფებით, რადგან ღმერთის ნება გვიცავს ყოველგვარი ხიფათისგან, როგორც მზის სინათლე იცავს დღისით მოსიარულეებს. საშიში იქნებოდა, ჩვენს საქმეში რომ ღამეს შემოესწრო, ანუ ჩვენ რომ გაგვეგრძელებინა ჩვენი საქმიანობა ღვთის ნების საწინააღმდეგოდ, – მაშინ წავიბორძიკებდით. იესო ქრისტესთან მიმართებით ეს ნიშნავს, რომ უფლის ცხოვრება და მოღვაწეობა არ დასრულდება იმაზე ადრე, ვიდრე ეს მისთვის არის ზეგარდამო განსაზღვრული, ამიტომ მოწაფეებს არ უნდა აშინებდეთ ის ხიფათები, რაც მას დროდადრო ემუქრება. როდესაც ისინი ღვთის ნების ნათელში მოგზაურობენ, ღმერთკაცს არ შეიძლება რაიმე გაურკვეველი ხიფათი მოეწიოს. აუხსნა რა ეს, უფალმა დაუსახელა მათ იუდეაში მოგზაურობის უახლოესი მიზანი: ***ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვაღვძო***

იგი. ლაზარეს სიკვდილს მან ძილი უწოდა, როგორც ამას აკეთებდა სხვა მსგავს შემთხვევებშიც (იხ. მათე 9, 24; მარკოზი 5, 29). ლაზარესთვის სიკვდილი მართლაც ძილის ტოლფასი იყო, მისი ხანმოკლეობის გამო. მოწაფეებმა ვერ გაიგეს, რომ უფალი ლაპარაკობდა ლაზარეს სიკვდილზე, რადგან მხედველობაში იღებდნენ მის მანამდე ნათქვამს, რომ ლაზარეს ავადმყოფობა არ იყო სასიკვდილო: მათი ვარაუდით უფალი მივიდოდა და სასწაულებრივად განკურნავდა მას. ***უკუეთუ დაიძინა, ცხონდეს*** (გამომჯობინდება), – ეს იმ მიზნით ითქვა, რომ უფალს უარი ეთქვა იუდეაში წასვლაზე: „იქ წასვლის არანაირი აუცილებლობა არ არის, რაკი ავადმყოფობა ცხრება“. მაშინ უფალმა შეწყვიტა მოწაფეების ყოველგვარი შეპასუხება, და იმის სურვილით, რომ ხაზგასმით აღენიშნა იუდეაში წასვლის უპირობო აუცილებლობა, მათ პირდაპირ უთხრა: ***ლაზარე მოკუდა.*** ამასთან, დასძინა, რომ უხარია მათ გამო, რომ ამ დროს ბეთანიაში არ იმყოფებოდა, როცა ლაზარე ავად იყო, რადგან მისი უბრალო განკურნება ვერ განამტკიცებდა მის მიმართ მათ რწმენას ისე, როგორც ეს შეუძლია მკვდრეთით აღდგენის უდიდეს სასწაულს. გადაჭრით შეაწყვეტინა რა მათ შიშით გამოწვეული ლაპარაკი, უფალმა უთხრა: ***მივიდეთ მისა.*** თუმცა, გაუბედაობა დაძლეულ იქნა, მაგრამ მოწაფეების შიში მოძღვრის ხვედრზე მაინც არ გაფანტულა, და ერთმა მათგანმა, თომამ, მარჩბივად (ტყუპისცალად) წოდებულმა, თავისი შიში საკმაოდ გულისშემძვრელად გამოხატა: ***მივიდეთ, რაჲთა მოვსწყდეთ ჩუენცა მისთანა,*** – „თუკი შეუძლებელია ამ მოგზაურობის თავიდან აცილება, მაშინ, ნუთუ ჩვენ მას დავტოვებთ? ჩვენც მასთან ერთად დავდოთ თავი“.

როდესაც ისინი ბეთანიას მიუხლოვდნენ, აღმოჩნდა, რომ ლაზარე უკვე ოთხი დღის დასაფლავებული იყო. ***ხოლო იყო ბეთანიაჲ მახლობელ იერუსალიმსა, ვითარ ათხუთმეტ ოდენ უტევენ*** (დაახლოებით, ორ-ნახევარი ვერსი), ნახევარი საათის სავალზე, – ეს იმიტომ არის ნათქვამი, რომ გასაგები იყოს, როგორ აღმოჩნდა მართასა და მარიამის სახლში, მცირერიცხოვან სოფელში, ასეთი ხალხმრავლობა. მართა უფრო ენერგიული და ცოცხალი ხასიათის იყო, და როგორც კი უფლის მოსვლა შეიტყო, მაშინვე მის შესახვედრად გაეშურა, ისე, რომ ამის შესახებ თავისი დისთვისაც არ უთქვამს, რომელიც დიდად მწუხარე ***სახლსა შინა ჯდა*** და მომსვლელთაგან სამძიმარს იღებდა ***ძმისა მათისათჳს.*** მართა წუხილით ეუბნება უფალს, – დანანებით და არა საყვედურით, – რომ ასე მოხდა: ***უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმაჲ იგი ჩემი.*** უფლის რწმენა მასში იმის დამაჯერებულობას წარმოშობს, რომ ჯერაც არ არის ყველაფერი დაკარგული, რომ შეიძლება სასწაული აღსრულდეს, თუმცა ამას პირდაპირ არ ამბობს, არამედ: ***უწყი, ვითარმედ: რაჲცა-იგი სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.*** ამაზე უფალი პირდაპირ პასუხობს: ***აღდგეს ძმაჲ შენი.*** თითქოსდა თავის თავს ამოწმებს, ხომ არ ვცდებიო, თანაც სურს, უფალმა დააზუსტოს ეს სიტყვები და უფრო მკაფიოდ უთხრას, თუ რომელ აღდგომაზეა ლაპარაკი – რომელიც ახლა უნდა აღასრულოს თუ რომელიც საყოველთაოდ მოხდება სამყაროს აღსასრულის ჟამს, ამიტომ ამბობს მართა: ***უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა დღესა.*** მართამ გამოთქვა რწმენა, რომ ღმერთი იესოს ყველა თხოვნას შეასრულებდა, შესაბამისად, მას არ ჰქონდა თვით იესოს, როგორც ძე ღვ-

თისას, ყოვლადძლიერების რწმენა. უფალს აჰყავს იგი ამ
ეროვნული
ბიბლიოთეკა
რწმენამდე შემდეგი სიტყვებით: ***მე ვარ აღდგომაჲ და ცხო-
რებაჲ. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ღათუ-კუდეს, ცხონდესვე.*** ამ სიტყვების აზრი ასეთია: „ჩემშია განმაცხოველებელი და მარადიული ცხოვრების წყარო, შესაბამისად, მე შემიძლია, თუკი მოვისურვებ, აღვადგინო შენი ძმა ახლა, საყოველთაო აღდგომამდე. ***გრწამსა ესე?*** – ეკითხება ამის შემდეგ მართას და იღებს დადებით პასუხს, რომ მას სწამს მისი, როგორც ყვეყნად მოსული მესია-ქრისტესი. უფლის ბრძანებით მართა ამის შემდეგ წავიდა თავისი დის მოსაყვანად. მან მარიამი ჩუმად გამოიძახა სახლიდან, ამიტომაც არ იცოდნენ სანუგ-ეშებლად მისულმა იუდეველებმა, სად მიდიოდა იგი და უკან გაჰყვნენ, იფიქრეს, ლაზარეს საფლავთან წავიდაო ***ტირილად მისა.*** მარიამი ქვითინით ჩაუვარდა იესოს ფეხებში და იგივე სიტყვები უთხრა, რაც მართამ. წუხილით შეპყრობილნი, ერთ-მანეთში ალბათ ხშირად ამბობდნენ, რომ ლაზარე არ მოკვდე-ბოდა, უფალი და მოძღვარი მათთან რომ ყოფილიყო, ამიტ-ომ ერთმანეთში მოულაპარაკებლად ახლა ერთი და იმავე სიტყვებით გამოხატეს უფლისადმი სასოება. უფალი ***შეძრ-წუნდა სულითა, ვითარცა რისხვით,*** – როცა იხილა სიკვდილი და ესოდენი მწუხარება. ეპისკოპოსი მიხეილი ვარაუდობს, რომ ეს მწუხარება და რისხვა გამოწვეული იყო იუდეველებ-ის იქ ყოფნით, რომლებიც უგულოდ წუხდნენ ლაზარეს გამო, ხოლო თვით უფლის მიმართ, რომელიც უდიდესი სასწაულის აღსრულებას აპირებდა, ღვარძლს ანთხევდნენ. ეს სასწაული უფალს იმიტომ სჭირდებოდა, რომ თავისი ვნების წინ მტრე-ბისთვის დაფიქრებისა და გონზე მოსვლის საშუალება მიეცა, რათა შეენანათ და ერწმუნათ ქრისტე, მაგრამ ნაცვლად

ამისა, ისინი კიდევ უფრო გაშმაგდნენ და საბოლოოდ გამოუტანეს იესოს სასიკვდილო განაჩენი. იესომ გადალახა ბრბის ეს სული და იკითხა: ***სადა დასდევით იგი?*** კითხვა მიმართული იყო გარდაცვლილის დებისადმი. „ღმერთკაცმა იცოდა, სად იყო ლაზარე დასაფლავებული, მაგრამ მიმართავდა ადამიანებს, ადამიანურად იქცეოდა“ (ნეტარი ავგუსტინე). დებმა უასუხეს: ***მოვედ და იხილე. და ცრემლოოდა იესუცა,*** – ეს, რა თქმა უნდა, მისი ადამიანური ბუნებისათვის გაღებული ხარკი იყო. მახარებელი ამის შემდეგ გადმოგვცემს იმ შთაბეჭდილებას, რაც ამ სიტყვებმა იქ დამსწრეებზე მოახდინეს. ზოგს გული აუჩუყდა, ზოგი კი ბოროტად ხარობდა და ამბობდა: ***არამცა ეძლოა ამას, რომელმან აღუხილნა თუალნი ბრმასა, ყოფად რაჲმე, რაჲთამცა ესეცა არა მოკუდა?*** – „რომ შეძლებოდა, რა თქმა უნდა, არ დაუშვებდა ამის სიკვდილს, რადგან უყვარდა, ხოლო რაკი ლაზარე მოკვდა, ე.ი. არ შეეძლო, ამიტომაც ტირის ახლა“. იესომ დასძლია თავის თავში იუდეველთა ღვარძლით გამოწვეული წუხილი, მიუახლოვდა ლაზარეს საფლავს და მოითხოვა, ლოდი მოეშორებინათ შესასვლელიდან. ასეთი საფლავების (მღვიმეების) გახსნა უკიდურეს შემთხვევებში ხდებოდა, ისიც დასაფლავებიდან მალევე, და არა მას შემდეგ, რაც გვამი გახრწნას იწყებდა. პალესტინის თბილი კლიმატის პირობებში გვამის გახრწნა სწრაფად იწყება, რის გამოც იუდეველები მიცვალებულებს გარდაცვალების დღესვე კრძალავდნენ. მეოთხე დღეს ხრწნილებას იმ ზომამდე უნდა მიეღწია, რომ მორწმუნე მართამაც კი ვერ შეიკავა თავი, არ შეპასუხებოდა უფალს: ***უფალო, ყროდისღა, რამეთუ მეოთხე დღე არს.*** უფალმა შეახსენა მას მანამდე ნათქვამი: ***არა გარქუ შენ,***

ვითარმედ, უკუეთუ გრწმენეს, იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ? როდესაც ლოდი გადააგორეს, ***იესუ აღიხილნა თუალნი ზეცად და თქუა: „მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი“.*** მან იცოდა, რომ მის სასწაულებრივ ძალას მტრები ეშმაკის ძალაუფლებას მიაწერდნენ, ამიტომ ამ ლოცვით მას სურდა, ეჩვენებინა, რომ სასწაულებს აღასრულებდა თავისი ძალით მამა-ღმერთთან სრულ ერთობაში. ლაზარეს სული მის სხეულში დაბრუნდა და უფალმა ხმამაღლა ღაღადყო: ***ლაზარე, გამოვედ გარე!*** ხმამაღალი ხმა აქ მტკიცე ნების გამომხატველია, რომელიც დარწმუნებულია, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებიან, მათ შორის – ღრმად დაძინებულიც. მკვდრეთით აღდგინების სასწაულს კიდევ ერთი სასწაული შეემატა: დასაკრძალავი სახვევებით ხელ-ფეხშეკრული ლაზარე თვითონ გამოვიდა საფლავიდან, რის შემდეგაც უფალმა მისი გახსნა ბრძანა. ამ მოვლენის დაწვრილებითი აღწერა მოწმობს, რომ იგი თვითმხილველის მიერ არის გადმოცემული. ამ სასწაულის შედეგად მოხდა იუდეველების გაყოფა, როგორც ყოველთვის: ბევრმა იწამა ქრისტე, სხვები კი ფარისევლებთან გაიქცნენ, უფლის უბოროტეს მტრებთან, – ცხადია, არაკეთილი გრძნობებითა და განზრახვით, რათა დროულად ემცნოთ მათთვის მომხდარი სასწაული.

61. სინედრიონი იღებს უფალ იესო ქრისტეს მოკვლის გადაწყვეტილებას

(იოანე 11, 47-57)

ცნობამ, ამ სასწაულის შესახებ, იმდენად ააღელვა უფლის მტრები, რომ მღვდელთმთავრებმა და ფარისევლებმა დაუყოვნებლივ მოიწვიეს სინედრიონის კრება, ანუ იუდე-

ველთა სასამართლოს უმაღლესი საბჭოს სხდომა. ერთმანეთში მათ არ რცხვენოდათ, ღიად გამოეთქვათ აზრი, ამიტომ პირდაპირ დასვეს საკითხი, რა უნდა მოემოქმედათა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ საკუთარი ძალაუფლება და ხალხზე ზეგავლენა. მათ აღიარეს უფლის სასწაულები, როგორც ჭეშმარიტი, მაგრამ გამოთქვამდენ საშიშროებას, რომ შეიძლება მომხდარიყო სახალხო მღელვარება, ამით კი რომაელები ისარგებლებდნენ იმისათვის, რომ გაენადგურებინათ იუდეველთა დამოუკიდებლობის ის ჩრდილიც კი, რომელიც მათ ახლა ჰქონდათ. ასეთი მსჯელობის საბედისწერო სიცრუე ისაა, რომ ისინი არ აღიარებდენ უფალს მესიად, რადგან იგი არ შეესაბამებოდა მესიის შესახებ მათ შერყვნილ წარმოდგენას. ამიტომ გამოთქვამდნენ შიშს, რომ იესოს შეეძლო სათავეში ჩადგომოდა სახალხო გამოსვლებს და ამით მთელ ერზე მოეწია უბედურება. ***ერთმან ვინმე მათგანმან, კაიაფა, რომელი იყო მღდელთმოძღუარი მის წელიწადისაჲ, ჰქუა მათ: „თქუენ არა იცით არცა ერთი;*** – ეს არ ნიშნავს, რომ მღვდელთმთავრებს ანუ მღვდელთმოძღვრებს მხოლოდ ერთი წლით ირჩევდნენ, არამედ მიუთითებს მათ ხშირ ცვლილებაზე, რაც დამოკიდებული იყო იუდეას რომაელ მმართველზე, – ***არცა განგიზრახავს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, რაჲთა ერთი კაცი მოკუდეს ერისათჳს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს,*** – „ძირშივე უნდა აღმოიფხვრას ებრაელთათვის ისეთი საშიში აჯანყების შესაძლებლობა, როგორიც იქნება აჯანყება იესოს მეთაურობით, ამიტომ იესო უნდა მოკვდეს“. აქ კაიაფა საკუთარ თავზე ირგებს ეროვნული კეთილდღეობის მოშურნის ნიღაბს და, ამასთან, გამართლებას ეძებს ჩაფიქრებული მკვლელობისათვის: თითქოს

ეს ემსახურებოდეს სახელმწიფო-ეროვნული პოლიტიკის ინ-
ტერესებს! იოანე მახარებელი კაიაფას ამ სიტყვებში ჭეშმარ-
დღებას მიაპყრობს მის თავისდაუნებურ წინასწარმეტყველე-
ბაზე იმის თაობაზე, რომ უფალი უნდა მომკვდარიყო „ერი-
სათვის", ანუ კაცობრიობის გამოსყიდვის მიზნით. მღვდელთ-
მთავრები, როგორც ღვთის ნების მაუწყებელნი, იყვნენ ერთ-
გვარი შუამავალნი ღმერთსა და ადამიანებს შორის და ამ
ხარისხში უნებურადაც კი წინასწარმეტყველებდნენ, რაც ამ
შემთხვევაში დაემართა ისეთ მღვდელთმთავრს, როგორიც
კაიაფა იყო. თუმცა კაიაფა ლაპარაკობდა მხოლოდ ერთ,
ებრაელ ერზე, ქრისტე კი მოკვდა წარმართების გადასარ-
ჩენადაც და მათ შესაკრებლად თავის ეკლესიაში, როგორც
ღვთის გაბნეული შვილებისა (იოანე 11, 52). სინედრიონმა
უფლის მოკვლის გადაწყვეტილება მიიღო, როგორც საბო-
ლოო განაჩენი და გასცა მისი შეპყრობის ბრძანება. როცა
იესომ შეიტყო ამ განაჩენის შესახებ, დატოვა ბეთანია და
ქალაქ ეფრაიმში წავიდა, იერიქონის უდაბნოს მახლობლად,
რადგან ჯერ არ დამდგარიყო მისი ვნების ჟამი. როგორც
ჭეშმარიტი საპასექო კრავი, იგი უნდა მომკვდარიყო პასექზე,
თანაც, ზეიმით და არა დაფარულად, როგორც ეს სინედრი-
ონს სურდა (მათე 26, 4).

62. სერობა ბეთანიაში, ლაზარეს სახლში

(იოანე 12, 1- 11)

ეს სერობა უფლისთვის მოეწყო პასექამდე ექვსი დღით
ადრე და განსხვავდება იმ სერობისგან, რომელსაც აღწერს
პირველი ორი მახარებელი და რომელსაც ადგილი ჰქონდა
პასექამდე ორი დღით ადრე სიმონ კეთროვანის სახლში.

გაიმართა ის, რა თქმა უნდა, მკვდრეთით აღმდგარი ლაზარეს სახლში. ამაზე აშკარდ მიუთითებს ის, რომ სუფრას ემსახურებოდა ლაზარეს და – მართა, ხოლო ლაზარე იყო ***ერთი მეინაჯეთაგანი მის თანა.*** ამ ვახშამზე მარიამმა უფალს ფეხებზე სცხო ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი, მაშინ, როდესაც პირველი ორი მახარებლის მიერ აღწერილ ვახშამზე უფალს თავზე სცხო ნელსაცხებელი ვინმე დედაკაცმა, გადმოცემით – ცოდვილმა (რაც აღბეჭდილია ჩვენთან დიდი ოთხშაბათის ღვთისმსახურებაში, სადაც ეს ცხება მოიხსენიება). იოანე მახარებლის მიხედვით, მხოლოდ იუდამ მისცა შენიშვნა მარიამს ნარდის ფასთან მიმართებით; პირველი ორი მახარებლის თანახმად, – სხვა მოწაფეებმაც. არაფერია იმაში გასაკვირი, რომ უფლისთვის ორჯერ ეცხოთ ძვირფასი ნელსაცხებელი: მარიამმა ეს გააკეთა ღრმა მადლიერების გრძნობით ძმის აღდგენისათვის, ხოლო ცოდვილმა დედაკაცმა – სინანულის ნიშნად, უფრო უანგარო გრძნობით, რისთვისაც აღეთქვა მას დიდი ჯილდო: მას მეტი ეთქვა, ვიდრე მარიამს. მარიამი ამ ნელსაცხებელს, როგორც ჩანს, ინახავდა თავისი ძმის დასაფლავების დღიდან, ერთგვარი წინასწარმეტყველური ხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III ნაწილი
მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი დღეები უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

1. უფლის შესვლა იერუსალიმში
(მათე 21, 1-11; მარკოზი 11, 1-11; ლუკა 19, 29-44; იოანე 12, 12-19)

ამ უდიდესი მოვლენის შესახებ, რომელიც ერთგვარი წინკარია ქრისტეს ვნებებისა, რომელიც მან იტვირთა *„ჩუენთჳს, კაცთათჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს“*, დაწვრილებით მოგვითხრობს ოთხივე მახარებელი, თუმცა, წმინდა იოანე – შედარებით მოკლედ.

უფალი იესო ქრისტე ამჯერად იერუსალიმში მიდიოდა იმისათვის, რომ აღსრულებულიყო ყოველივე, რაც მის, როგორც მესიის შესახებ, დაწერეს წინასწარმეტყველებმა: იგი მიდიოდა იმისათვის, რომ ბოლომდე შეესვა გამომსყიდველობითი სატანჯველის ფიალა, მიეცა სული თვისი მრავალთა გამოსახსნელად და შემდეგ შებრძანებულიყო თავის დიდებაში. ამიტომ სრულიად საპირისპიროდ იმისა, როგორც მანამდე ეჭირა თავი, უფალმა კეთილინება თავისი ბოლო შესვლა იერუსალიმში მოეწყო განსაკუთრებული ზეიმით. პირველი სამი მახარებელი ამ შესვლის მზადების სრულ სურათს წარმოგვიდგენს. მოწაფეებთან ერთად იერუსალიმის გზაზე უფალს უამრავი ხალხი ხვდებოდა და აცილებდა. ელეონის მთასთან მან ორი მოწაფე წარგზავნა დავალებით ახლომდებარე სოფელში, მოეყვანათ მისთვის ვირი და *კიცვი* (ჯორი). ელეონის ანუ ზეთისხილისას ამ მთას იმიტომ უწოდებდნენ, რომ მასზე მრავლად იზრდებოდა ზეთისხილის ხეები („ელეო“ – ზეთისხ-

ილი). ის მდებარეობს იერუსალიმიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ით. გამოყოფილია მისგან პატარა მდინარით, კედრონის ნაკადით, რომელიც ზაფხულში მთლიანად შრებოდა. მთის დასავლეთ ფერდობზე, იერუსალიმის მხარეს, მდებარეობდა გეთსიმანიის ბაღი; მთის აღმოსავლეთ ფერდობზე კი ორი სოფელი იყო შეფენილი, რომლებსაც მოიხსენიებენ მახარებლები მარკოზი და ლუკა – ბეთბაგე და ბეთანია (წმინდა მათე მხოლოდ ბეთბაგეს ასახელებს). ელეონის მთიდან იშლებოდა იერუსალიმის თვალწარმტაცი ხედი. ბეთანიიდან იერუსალიმში ორი გზა მიდიოდა: ერთი გარსუვლიდა ელეონის მთას სამხრეთიდან, მეორე გადადიოდა მთის მწვერვალზე. ეს მეორე გზა უფრო მოკლე იყო, მაგრამ – ძნელი და დამღლელი. პალესტინაში ცხენები ცოტა იყო, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ომში გამოიყენებოდა. შინაური საქმეებისა და მოგზაურობისათვის ვირებს, ჯორებსა და აქლემებს იყენებდნენ. ცხენზე დაჯდომა იმ დროში სიმბოლურად ომს გამოხატავდა, ვირზე ან ჯორზე კი – მშვიდობას. მშვიდობიან დროს მეფეებიც და სახალხო მთავრებიც ამ ცხოველებზე შემჯდარნი დადიოდნენ. ამგვარად, უფალ იესო ქრისტეს იერუსალიმში ვირით შესვლა მშვიდობის სიმბოლო იყო. საგულისხმოა, რომ ვირისა და ჯორის პატრონებმა, უფლის სიტყვისამებრ, მაშინვე დაუთმეს თავიანთი ცხოველები მოციქულებს, როგორც კი მათ უთხრეს, თუ ვისთვის მიჰყავდათ ისინი. აღნიშნავს რა ამ გარემოების საკვირველებას, წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ უფალს ამით უნდოდა გაეცხადებინა, რომ „მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ქედმაღალ იუდეველებისათვის, როდესაც ისინი მის შესაპყრობად მივიდნენ, და უტყვი ეყო ისინი, მაგრამ არ მოინდომა“. მახარებლები

მათე და იოანე აღნიშნავენ, რომ ეს იყო ზაქარიას წინასწარმეტყველების აღსრულება, რომელიც მათ შემოკლებით ამოჰყავთ და სრულად ასე ჟღერს: ***იხარებდ ფრიად, ასულო სიონისაო, ქადაგებდ, ასული იერუსალიმისაო. აჰა, მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მაცხოვარი, თავადი მშჯდი, და მჯდომარე კარაულსა ზედა, და კიცუსა ახალსა*** (ვირისა, რომელიც უღლის ქვეშ დადის)". (ზაქ. 9, 9). ეს წინასწარმეტყველება ახლოსაა ესაიას წინასწარმეტყველებასთან; მისგან წმინდა მათეს მოჰყავს პირველი სიტყვები: ***არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა, მაცხოვარი მოვიდა შენდა, მქონებელი სასყიდელსა თჳსსა, და საქმე მისი წინაშე პირსა მისსა*** (ესაია 62, 11). მოციქულები გრძნობდნენ ამ წუთების სიდიადეს და ცდილობდნენ, ზეიმით შეემკოთ მსვლელობა: ვირსა და ჯორს თავიანთ სამოსელს ასხამდნენ, რომელსაც ერთგვარად უნდა შეეცვალა ოქროთი ნაქსოვი საფარველი, რითაც, ჩვეულებრივ, სამეფო ცხენებს ამკობდნენ. ***და დაჯდა მას ზედა***, ანუ სამოსელზე. როგორც წმინდა მახარებლების – მარკოზის, ლუკასა და იოანეს მონათხრობებიდან ჩანს, უფალი მგზავრობდა ვირზე ამხედრებული, ჯორი კი, ალბათ, გვერდზე მიჰყვებოდა. ***უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა,*** მოწაფეების მიბაძვით, ***და სხუანი,*** რაკი სიღარიბის გამო ზედა სამოსელი არ გააჩნდათ, ***მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა,*** რათა რბილი და მოხერხებული ყოფილიყო გზა ვირისთვის და ამგვარად ემსახურათ და პატივი მიეგოთ მასზე ამხედრებულისათვის.

შემდეგ, ყველა მახარებლის მონათხრობის ურთიერთშეთავსებით შეგვიძლია ასეთი სურათი შევადგინოთ: ***და ვითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა ზეთისხილთაჲსა*** (ლუკა

19, 37), – როდესაც უღელტეხილს მიუახლოვდნენ, საიდანაც თავდაღმართი იწყებოდა და იერუსალიმის საოცარი ხედი იშლებოდა, მოწაფეებმა მხიარული შეძახილებით დაიწყეს ღმერთის დიდება, ქრისტესმიერ მსოფლიოს გადარჩენისათვის და, კერძოდ, ყველა იმ სასწაულისათვის, რაც იხილეს. წმინდა იოანე დასძენს: ***ერი მრავალი რომელ-იგი მოსრულ იყვნეს დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს იერუსალჩმდ, მოიღეს რტოები დანაკისკუდთაგან და განვიდეს მიგებებად მისა*** (იოანე 12, 12-13). ასე შეერთდა ხალხის ორი ნაკადი: ერთი დაიძრა ქრისტესთან ერთად ბეთანიიდან, მეორე – მის შესახვედრად იერუსალიმიდან. მთიდან დანახულმა იერუსალიმის სილამაზემ ხალხის მთელ ამ სიმრავლეში უდიდესი აღფრთოვანება და აღტაცება გამოიწვია და ეს გამოიხატა ხმამაღალ ღაღადში: ***ოსანა ძესა დავითისსა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა, მეუფე ისრაჩლისაჲ!*** ძველბერძნული ენიდან „ოსანა“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „მაშ, გადაგვარჩინე“, „გვიბოძე ხსნა“. ეს ღაღადი გამოიყენებოდა როგორც სიხარულის გამოხატულება და კურთხევა, მსგავსად, ახლანდელი „გაუმარჯოს“; „ოსანა მაღალთა შინა“ – ეს არის სურვილი, რომ ზეცაშიც მიუძღვნან ისრაელის მეფეს, ძეს დავითისას, იგივე სასიხარულო ღაღადი: „ოსანა!“. “კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა“, – ეს ნიშნავს: „ღირსია კურთხევისა ანუ განდიდებისა ის, ვინც მოდის იაჰვედან (უფალ ღმერთისგან) მისი მოწოდებით, მისი ხელმწიფებით, ისევე, როგორც მოდიან მიწიერი მეფისგან წარგზავნილები და მმართველები მისი შეცვლის უფლებამოსილებით“ (იოანე 5, 34). წმინდა მარკოზი ამას უმატებს კიდევ შემდეგ შეძახილს: ***კურთხეულ არს მომავალი***

მეუფე სახელითა უფლისაჲთა! კურთხეულ არს მოსლვაჲ მეუფისა დავითის, მამისა ჩუენისაჲ! დავითის მეუფეობა უნდა აღედგინა მესიას, მისი საყდარი მარადიული უნდა ყოფილიყო და ხელმწიფება ყველა ხალხზე გავრცელებულიყო. ამ სიტყვებით ისრაელის ძენი ადიდებდნენ ქრისტეს, როგორც დავითის ამ მეუფების აღმადგენელს. წმინდა ლუკა კიდევ ერთ შეძახილს გადმოგვცემს: ***მშვდობაჲ ცათა ზედა,*** – შემდეგი აზრით: „ზეციდან გარდამოდის ყველა ჭეშმარიტი სულიერი სიკეთე და მარადიული ცხონება“. წმინდა იოანე უფალთან ამ სასიხარულო შეხვედრის მიზეზად ასახელებს მის მიერ ბოლო დროს აღსრულებულ სასწაულს – ლაზარეს მკვდრეთით აღდგენას; წმინდა ლუკა – საერთოდ, ყველა მის სასწაულს. ამ მოვლენაში ჩვენი ეკლესია ხედავს ღმერთის განსაკუთრებულ განგებას და სულიწმიდის შეგონებას, როგორც ამის შესახებ ამბობს სვინაქსარი ბაიაობის კვირას: „დღეს საღმრთომან მადლმან ყოვლად წმიდისა სულისამან შემკრიბნა ჩუენ“. ამ თვალსაზრისით გასაგებია უფლის პასუხი ფარისეველთა მზაკვარ და ღვარძლიან რჩევაზე: ***მოძღუარ, შეჰრისხენ მოწაფეთა შენთა!*** (რადგან შენ, ისევე, როგორც ჩვენ, იცი, თუ რაოდენ შეუფერებელი და საშიშია ეს შენთვის) – ***დაღათუ ესენი დუმნენ, ქვანი ღაღადებდენვე*** (ლუკა 19, 39-40). ქრისტე-მესიის მიმართ ეს დიდებისმეტყველება ხალხის გულსა და ენაზე თვით ღმერთის მიერ ეწყობა, და ხალხი რომ შეწინააღმდეგებოდა ღვთის ამ განსაზღვრებას, მაშინ უსულო ქვები შეცვლიდა მას უფლის განდიდებაში. ეკლესია ამ სიტყვებში ასევე ხედავს იგავურ მინიშნებას წარმართებზე: ისინი თავიდან გულქვანნი იყვნნენ, მაგრამ შემდეგ ჩაენაცვლნენ ქრისტეს უარმყოფელ ისრაელს. იგივე აზრის შემცველია წმინდა მათეს

მიერ მოყვანილი უფლის პასუხი ფარისეველთა მიმართ, როდესაც ისინი ღვრძლითა და შურით აღივსნენ იმის გამო, რომ ებრაელი ყრმები ტაძარში ღაღადებდნენ: ***ოსანა ძესა დავითისსა, – არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ყრმათა ჩჩჯლთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ?*** – ღმერთი თავად აწყობს ყრმა და ჩვილი ბავშვების ბაგეებით თავისთვის ქებას (ფსალ. 8, 3; მათე 21, 15-16). ***იხილა ქალაქი იგი,*** – როგორც წმინდა ლუკა მოგვითხრობს (ლუკა 19, 41-44), უფალი ***ტიროდა მას ზედა,*** – მისი მოსალოდნელი დაღუპვის გამო. საგულისხმოა, რომ 70 წელს რომაელებმა, როდესაც იერუსალიმის ალყა დაიწყეს, თავიანთი ბანაკი ელეონის მთაზე ზუსტად იმ ადგილზე გაშალეს, სადაც მაცხოვარმა ეს სიტყვები წარმოთქვა, და თვით ალყაც პასექის წინ დაიწყო. ***უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას*** (შენთან მოსვლის დღეს, როგორც ქვემოთაა ნათქვამი) ***მშჳდობად შენდა!*** – ანუ რაში მდგომარეობს შენი ხსნა. ***ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა,*** – შენ ჯიუტად ხუჭავ თვალებს, რათა არ დაინახო, და ჩემი· უარყოფით შენს დაღუპვას აახლოებ. „შენ ვერ იცანი ჩემი მოსვლის დრო“, – ის დრო, როდესაც შენ მიმართ ღმერთი მოწყალე იყო და ხსნისაკენ მოგიწოდებდა შენთან წარმოგზავნილი მესიის მეშვეობით, რომელიც თქვენ უარყავით.

წმინდა მათე მოწმობს, რომ ***ვითარცა შევიდა იგი იერუსალჵმდ, შეიძრა ქალაქი იგი ყოველი,*** – იმდენად დიდი იყო ამ საზეიმო შეხვედრით გამოწვეული შთაბეჭდილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოვაჭრეთა ტაძრიდან გამოძევება
(მათე 21, 12-17; მარკოზი 11, 15-19;
ლუკა 19, 45-48)

შევიდა თუ არა იერუსალიმში, უფალი მაშინვე ტაძრისკენ გაემართა და იქიდან მოვაჭრენი გამოდევნა. ამის შესახებ სამი მახარებელი მოგვითხრობს, ამასთან, წმინდა მარკოზის მონათხრობი განსხვავდება მათე და ლუკა მახარებლების მონათხრობებისგან, იმით, რომ წმინდა მარკოზის მიხედვით, უფალი შევიდა ტაძარში, ***მიმოხედვიდა ყოველსა, რამეთუ მწუხრი იყო ჟამი იგი. და განვიდა ბეთანიად ათორმეტთა თანა*** (11, 11) და მხოლოდ მეორე დღეს, ლეღვის დაწყევლის შემდეგ, კვლავ მივიდა ტაძარში და გამოყარა იქიდან მოვაჭრენი. აქ არ შეიძლება დავინახოთ სერიოზული წინააღმდეგობა: მოციქულები მოვლენათა აღწერისას ყოველთვის არ იცავდნენ ქრონოლოგიურ სიზუსტეს; მათთვის ხშირად უფრო მნიშვნელოვანი იყო მოვლენათა ლოგიკური კავშირი. ზოგიერთების ვარაუდით ტაძრის მოვაჭრეთაგან განწმენდა ორჯერ მოხდა: პირველად იერუსალიმში მისი ასვლის პირველ დღეს, მეორედ – მეორე დღეს. სამი წლით ადრე, როდესაც უფალი იერუსალიმში მივიდა თავისი ნათლისღების შემდეგ პირველ პასექზე, მან ნახა, რომ ტაძრის ეზო და სტოა სავაჭრო მოედნებად იყო ქცეული და განდევნა იქიდან მოვაჭრენი. ერთი წლის შემდეგ ის კვლავ ავიდა იერუსალიმში პასექზე, მაგრამ მოვაჭრენი, როგორც ჩანს, მან იქ ვერ იხილა. თავისი მსახურების მესამე პასექზე უფალი საერთოდ არ ყოფილა იერუსალიმში. როდესაც მეოთხე პასექი ახლოვდებოდა, იუდეველები შეშფოთებულნი იყვნენ: გამოჩნდება თუ არა უფალი დღესასწაულზე. მოვაჭრეებმა იცოდნენ, რომ მთავრებმა ეს-

ოს უკვე გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი, და ფიქრობდ-ნენ, რომ ის ვერ გაბედავდა იერუსალიმში ასვლას, სადაც მას აშკარა სიკვდილი ელოდა. ამიტომ მათ მღვდელთმთავა-რთა ნებართვით, კვლავ შეიყვანეს სტოაში და ტაძრის ეზოში ნახირი, გაშალეს კარვები სხვადასხვა საქონლით, დადგეს საკერმე დახლები, გალიები მტრედებით, რომელნიც საგანგე-ბოდ გამოჰყავდათ თვით მღვდელთმთავრებს, და დაიწყეს ვაჭრობა. უფლის ტაძარში მოსვლა მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ხალხი მას ზეიმით მიესალმა „ოსანას" ძახილით, შეწინააღმდეგება ვერავინ გაბედა; მან, ისევე, როგორც თავისი მსახურების პირველ წელიწადს ***გამო-ასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდ-და ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი მეკერმეთაჲ მათ დაამჴუა და დასასხდომელები იგი ტრედისმოფარდულთაჲ მათ დაუქცია*** (მათე 21, 12). წმინდა მარკოზი ამას უმატებს, რომ უფალი ***არა უტევებდა, რაჲთა გან-ვინმე-იღოს ჭურჭელი მიერ ტაძრით*** (11, 15), ანუ გარეშე ნივთები, რომელთაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა ტაძარში აღსასრულებელ ღვთისმ-სახურებასთან. როგორც ჩანს, საღვთო დიდება და ძლიერება ამ მომენტში უფლის სახეზე ბრწყინავდა. ასე რომ, ვერავინ გაბედა შეკამათება და ყველა უნებურად დაემორჩილა მას. მღვდელთმთავრებმაც ვერ გაბედეს რაიმე მოემოქმედათ უფლის წინააღმდეგ, ვინაიდან ხედავდნენ, რომ ***ყოველი ერი დამორ-ჩილებულ იყო სმენად მისგან*** და ***განკჳრვებულ იყო მოძღუ-რებასა მას მისსა.*** (ლუკა 19, 47-48 და მარკოზი 11, 18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უნაყოფო ლეღვის დაწყევლა
(მათე 21, 18-19; მარკოზი 11, 12-14)

მათე და მარკოზ მახარებლები მოგვითხრობენ, რომ იერუსალიმში ზეიმით შესვლის შემდეგ უფალმა თავის მოწაფეებთან ერთად ღამე ბეთანიაში გაათენა, მეორე დღეს კი, დილით, კვლავ წავიდა იერუსალიმში. გზაში ლეღვის ხე დაინახა, მოინდომა მისი ნაყოფის დაგემოვნება, მაგრამ ხე უნაყოფო აღმოჩნდა, თუმცა ის შეფოთლილი იყო, და თქვა: ***ნუღარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განჯმა ლეღჯ იგი მეყსეულად*** (მათე 21, 19), რამაც ფრიად გააოცა მოწაფენი. მახარებლები ამბობენ, რომ უფალს ***შეეშია*** და ამიტომ ეძებდა ნაყოფს. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს, ვინაიდან უფალი იესო ქრისტე თავისი ადამიანური ბუნებით ექვემდებარებოდა ადამიანური ბუნების ყველა უძლურებას და ყოველივეთი ჩვენი მსგავსი იყო, გარდა ცოდვისა. ის ხომ იყო არა მხოლოდ ღმერთი, არამედ · ღმერთკაცი იყო. საგულისხმოა, რომ თავისი ადამიანური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იგი არასდროს სარგებლობდა თავისი ღმრთეებრივი ყოვლადძლიერებითა და ძალით; ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ადამიანურ საშუალებებს იყენებდა, რამეთუ ერთხელ და სამუდამოდ უარყო პირველი ეშმაკისეული საცდური, – ქვების პურებად გადაქცევასთან დაკავშირებული. წმინდა მარკოზი ამასთან შენიშნავს, რომ ხეზე ნაყოფი მისი უჟამობის გამო არ იყო. მაშინ რატომ დაიწყევლა ლეღვის ხე? იმიტომ, რომ ის თავისი გარეგნობით ატყუებდა, ცდომილებაში შეჰყავდა ყველა მისი შემხედვარე. ლეღვის ხეზე, ჩვეუ-

ლებრივ, ფოთლები ჩნდება ნაყოფის შემდეგ, ეს კი თავისი სიმწვანით გზად გამვლელ მოგზაურებს ნაყოფს ჰპირდებოდა და, მაშინ, როდესაც მასზე არაფერი იყო ფოთლების გარდა. ეკლესიის სწავლებით ეს ლეღვი იყო იუდეველთა ძველაღთქმისეული ეკლესიის წინამძღვართა – მღვდელთმთავრების, მწიგნობრებისა და ფარისევლების – სიმბოლო, რომლებსაც საღვთო რჯულის აღმსრულებელთა მხოლოდ გარეგნული სახე ჰქონდათ, სინამდვილეში კი სარწმუნოების ნაყოფი არ მოჰქონდათ. უფალმა პირმოთნეობისათვის სასჯელად მათ გახმობა განუსაზღვრა და უწინასწარმეტყველა, როგორც შემდგომში დავინახავთ: ***მიგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა*** (მათე 21, 43).

4. ელინების სურვილი, შეხვდნენ იესო ქრისტეს და უფლის საუბარი ამასთან დაკავშირებით

(იოანე 12, 20-50)

უფლის იერუსალიმში ზეიმით შესვლის შემდეგ, სარწმუნოა, რომ მეორე დღეს, ფილიპე მოციქულთან ორი ელინი მივიდა თხოვნით, და უთხრეს: ***უფალო, გუნებავს იესუჲსი ხილვაჲ.*** ელინი, საკუთრივ, ბერძენს ნიშნავს, მაგრამ იუდეაში ასე უწოდებდნენ ზოგადად ყველა წარმართს. როგორც ჩანს, ესენი იყვნენ პროზელიტები, ანუ იუდეველობაში მოქცეული წარმართები. ფილიპემ ეს თხოვნა ანდრიას გადასცა. საგულისხმოა, რომ ქრისტეს მოწაფეებს შორის მხოლოდ ფილიპე და ანდრია ატარებდნენ ბერძნულ სახელებს. ათქალაქში მრავალი ბერძენი ცხოვრობდა, ხოლო რაკი ფილიპე წარმოშობით გალილეის ბეთსაიდადან იყო, ამიტომ სავსებით შესაძლებე-

ლია, მისთვის მის ნაცნობ ბერძნებს მიემართათ. მიმართვა **უფალო,** აჩვენებს, რომ ეს ელინები დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ ესოდენ ცნობილი მოძღვრის მოწაფეს. სიტყვები: ***გუნებავს იესუსი ხილვად***, – მიუთითებს არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობაზე, ვინაიდან მისი დანახვა ყველას შეეძლო, როცა ის დადიოდა ტაძრის ეზოში და ასწავლიდა. აშკარაა, ეს ელინები ახლო ნაცნობობას ეძებდნენ უფალთან, მასთან საუბარი სურდათ. ეპისკოპოსი მიხეილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მათ სურდათ, შეეთავაზებინათ მისთვის, წასულიყო საქადაგებლად მათ ქვეყანაში, როგორც ეს, გადმოცემის თანახმად, გააკეთა ედესის მეფე ავგაროსმა, რადგან იცოდნენ მის მიმართ მწიგნობრებისა და ფარისევლების ბოროტი ჩანაფიქრი. ყოველ შემთხვევაში, ამით გამოიხატა წარმართების სწრაფვა, ზიარებულიყვნენ გაცხადებულ ქრისტეს სასუფეველს – ეს იყო პირველი მაცნე ქრისტესკენ მთელი წარმართული სამყაროს მოქცევისა, როგორც ჯვარზე მისი ვნების შედეგისა, გამომსყიდველობითი მსხვერპლისა მთელი კაცობრიობის ცოდვებისათვის. აი რატომაც ჩააფიქრა ელინების მიმართვამ უფალი და აზრით მიმართა იგი თავისი ჯვრის ღრმა იდეისა და მოსალოდნელი სატანჯველისაკენ. ამით აიხსნება ისიც, რომ მის ბაგეთაგან გადმოიღვარა შთამაგონებელი სიტყვა, რომელსაც მხოლოდ ერთი მახარებელი, წმინდა იოანე გადმოგვცემს.

მოიწია ჟამი, რადთა იდიდოს ძე კაცისად. რომელია ეს ჟამი? თვით ქრისტესთან მიმართებით ეს არის მისი ჯვარზე ვნების, სიკვდილისა და აღდგომის ჟამი; წუთისოფლის მთავრის, ეშმაკის მიმართ ეს არის გაძევების ჟამი; ადამიანების მიმართ – ჯვარცმული ქრისტესკენ მიქცევის ჟამი. უფალი აქ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს უწოდებს „ძეს კაცისას“, რითაც მიანიშნებს, რომ ეს მოუწევს ტანჯვისა და სიკვდილის დათმენა, როგორც კაცს, იმისათვის, რომ თავის დიდებაში შევიდეს როგორც ღმერთკაცი და ამით თავისკენ მიაქციოს მთელი კაცობრიობა. როგორც ხილულ ბუნებაში სიკვდილი ყოველთვის არ არის განადგურების მიზეზი, არამედ, პირიქით, ახალი ცხოვრების დასაწყისია, – მსგავსად ხორბლის მარცვლისა, რომელიც, ერთგვარად, უნდა მოკვდეს მიწაში, რათა გამრავლდეს, – ასევე, მისი სიკვდილიც აღმოჩნდება ახალი ცხოვრების დასაწყისი, გამრავლება მიწაზე მისი სასუფევლის მიმდევრებისა. უფლის მიმდევრებსაც არ უნდა ეშინოდეთ სიკვდილის ***(უყვარდეს სული თჳსი)***, პირიქით, მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად უნდა შესწირონ თავიანთი მიწიერი ცხოვრება. თუმცა, უფლის კაცობრივი ბუნება მაინც შფოთდებოდა აზრით მომავალი საშინელი სატანჯველების გამო: ***სული ჩემი შეძრწუნებულ არს.*** ეს იყო ბრძოლის დასაწყისი ქრისტეს კაცობრივ და ღმრთეებრივ ბუნებებს შორის, რომელმაც შემდგომში თავის უმაღლეს დაძაბულობას მიაღწია გეთსიმანიის ბაღში. კაცობრივი ბუნება აღძრავს ასეთი ლოცვისათვის: ***მამაო, მიჳსენ მე ჟამისა ამისაგან,*** მაგრამ ღმრთეებრივი ბუნება მაშინვე ძლევს ამ შფოთს და აღძრავს სალოცავად: ***მამაო, ადიდე სახელი შენი,*** – „დაე, აღსრულდეს ის, რისთვისაც მოველ ამქვეყნად“. პასუხად თვით ზეციერმა მამამ განამტკიცა ის მოსალოდნელ ღვაწლზე, ზეგარდამო ხმით: ***ვადიდე და კუალადცა ვადიდო***, – „განვადიდე უკვე მრავალრიცხოვანი საქმეებით, ნიშებითა და სასწაულებით, და კვლავ განვადიდებ ჯვარზე ვნებით, სიკვდილითა და აღდგომით“. ამ ზეციური ხმისგან მიღებული შთაბეჭდილება ყველა მსმენელ-

ისთვის ერთნაირი არ იყო, რაც აიხსნება მათი სულიერი მდგომარეობის სხვადასხვაობით. ვისაც ქრისტე არ ცნობდა, ისინი ამბობდნენ, რომ ეს იყო უბრალოდ ქუხილის ხმა, სხვები – ანგელოზები ელაპარაკებოდაო მას. უფალი პასუხობს ამ ცრუ აზრებს და განმარტავს, რომ ეს ხმა ხალხისთვის იყო (იოანე 12, 30), – რათა ყველას ეწამა იგი, გონს მოსულიყვნენ თუნდაც მისი მიწაზე ყოფნის ბოლო საათებში, ვინაიდან დგება ჟამი, როდესაც უნდა დაისაჯოს ***მთავარი იგი ამის სოფლისაჲ*** და განიძეოს ის ადამიანთა სულებიდან. „ამის სოფლის მთავარი" ეშმაკს ეწოდება წმინდა წერილის ბევრ ადგილას, როგორც მფლობელი კაცობრიობის იმ ნაწილისა, რომელიც არის ურწმუნო და ქრისტესადმი მტრულადაა განწყობილი. ***და მე ოდეს ავმაღლდე ქუეყანით, ყოველნი მოვიზიდნე ჩემდა,*** – უფლის ჯვარცმასა და მის შემდგომ ზეცად ამაღლებას მოჰყვება ქრისტესკენ მთელი კაცობრიობის მოქცევა. ხალხი, როცა მიხვდა, რომ უფალი „ზეცად ამაღლებაში" გულისხმობს თავის აღსასრულს, გაკვირვებას გამოთქვამს: ვინღა იმეფებს მაშინ დედამიწაზე, რადგან მესია წარმოედგინათ როგორც მარადიული მეფე ამქვეყნად. ამის პასუხად უფალი შეაგონებს, ისარგებლონ დროით, ვიდრე ის – „ნათელი სოფლისაჲ" ჯერ კიდევ მათთან იმყოფება, და ირწმუნონ იგი. ამის შემდეგ განვიდა იგი მათგან; წავიდა, ალბათ, ელეონის მთაზე ან ბეთანიაში, სადაც ის ღამეებს ატარებდა, დღისით კი ტაძარში ქადაგებდა. შემდეგ მახარებელი წუხილით მსჯელობს უფლის მიმართ იუდეველების ურწმუნოების მიზეზებზე; აღნიშნავს, რომ ამ ურწმუნოებას ჯერ კიდევ ესაია წინასწარმეტყველებდა (53, 1; 6, 9-10), როგორც რჩეული ერის გულქვაობაზე. უფლი-

სადმი მტრობის მიზეზი ის იყო, რომ ისინი ღვთის დიდებაზე წინ ადამიანურ დიდებას აყენებდნენ. დასასრულ, წმინდა იოანეს მოჰყავს უფლის შემაგონებელი სიტყვა, რომელიც მან ტაძარში იუდეველებს უთხრა, კერძოდ, რომ ის მოვიდა ქვეყნის სახსნელად, და რომ მისი სიტყვით განისჯებიან ადამიანები უკანასკნელ დღეს, რადგან ეს სიტყვა არის ადამიანებისათვის თვით ზეციერი მამისგან მიცემული მცნებები.

დიდი სამშაბათი

5. გამხმარი ლეღვის ხე და სწავლება რწმენის ძალის შესახებ

(მათე 21, 20-22; მარკოზი 11, 20-24)

უფლის მიერ უნაყოფო ლეღვის დაწყევლის ამბავს წმინდა მარკოზი უფრო დაწვრილებით აღწერს, ვიდრე წმინდა მათე, ის ამბობს, რომ მხოლოდ მეორე დღეს, როცა უფალი მოწაფეებთან ერთად კვლავ მიდიოდა ბეთანიიდან იერუსალიმში იმავე გზით, მოწაფეებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ლეღვი გამხმარი იყო. მოწაფეების მხრიდან ამასთან დაკავშირებული გაკვირვების პასუხად, უფალი ასწავლის მათ რწმენის ძალას, – ეუბნება, რომ თუკი ისინი ყველა ეჭვს გადალახავენ და ღმერთის რწმენა ექნებათ, მაშინ კიდევ უფრო მეტ სასწაულებს აღასრულებენ: ***ჰრქუათ თუ მთასა ამას: „აღიფხუერ ამიერ და შთავარდი ზღუასა!“ – იყოს ეგრეთ*** (მათე 21, 21). მთის მაგალითის მოყვანა ნიშნავს, რომ ყოველგვარი ეჭვისგან თავისუფალი რწმენისათვის შეუძლებელი არაფერია. ამიტომ ლოცვაშიც ყველაფერი რწმენით უნდა ვითხოვოთ, რათა შევედრებული მივიღოთ. ამასთან დაკავშირებით, წმინდა მარკოზი 25-26 მუხლებში დასძენს, რომ ლოცვის

ქმედითობის პირობას წარმოადგენს მოყვასთა მიმართ მეამტევებლობა; მიუტევებლობა არის ღვთის სიყვარულის შეურაცხყოფა, ამიტომ მიუტევებლობის შემთხვევაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს არც მტკიცე რწმენას, არც (ამიტომ) ლოცვის ქმედითუნარიანობას.

6. საუბარი ტაძარში: უფლის პასუხი უხუცესებს, თუ ვისგან აქვს მას ხელმწიფება

(მათე 21, 23-27; მარკოზი 11, 27-33; ლუკა 20, 1-8)

როდესაც უფალი კვლავ მივიდა ტაძარში და დაიწყო, ჩვეულებრივ, ქადაგება, მიადგნენ მას მღვდელთმთავრები და უხუცესები მზაკვარი შეკითხვით: ***რომლითა ჯელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მოგცა შენ ჯელმწიფებაჲ ესე?*** (მათე 21, 23) – რა უფლება აქვს მას, განკარგულება გასცეს ტაძარში: განდევნოს მოვაჭრენი და იქადაგოს? ცხადია, რომ ეს შეკითხვა არ არის ჭეშმარიტების შესაცნობად დასმული, არამედ მზაკვრული ცნობისმოყვარეობაა. როგორც ყოველთვის, უფლის ღვარძლიან მტრებს მისი სიტყვაში გამოჭერა სურდათ. თუმცა უფალი, პირდაპირ არ პასუხობს მათ ცბიერ შეკითხვას, და თვითონ იჭერს მათ სიტყვაზე. იგი ეკითხება: ***ნათლისცემაჲ იოვანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან?*** (ლუკა 20, 4) – იოანეს ნათლისღებასთან დაკავშირებული საკითხი იმ დროს იყო საკითხი მისი წინასწარმეტყველური ღირსებისა და საღვთო წარმოგზავნილობისა. იოანე იესოს შესახებ მოწმობდა, როგორც მესიის, ძე ღვთისას და მსოფლიოს ცოდვების თავის თავზე მტვირთველის შესახებ. თუ მას აღიარებდნენ ღმერთის წარმოგზავნილად, ეს ნიშნავდა ეღიარებინათ იესო მეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იად, და მაშინ თავისთავად გადაიჭრებოდა საკითხი, თუ ვისი ხელმწიფებით აღასრულებდა იგი ყოველივე იმას, რაც ებუნ-ველებს ასე აღიზიანებდათ. შეკითხვის დამსმელნი აშკარად ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მათ იცოდნენ, რომ ხალხი იოანეს წინასწარმეტყველად ცნობდა, და თუ ისინი ამის საწინააღმდეგოს იტყოდნენ, შეიძლება ხალხს ისინი ქვებითაც კი ჩაექოლათ; ხოლო თუ იოანეს წინასწარმეტყველად აღიარებდნენ, ეს იგივე იყო, რომ ეღიარებინათ მისი მოწმობა იესოს, როგორც ძე ღვთისას, შესახებ. ამიტომ ვერ გაბედეს გარკვეული პასუხის გაცემა, და უთხრეს: ***არა უწყით.*** სინედრიონმა, რომელსაც არ შეეძლო გარკვეული პასუხის გაცემა ესოდენ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით, – მიუხედავად იმისა, რომ ეს სწორედ მის კომპეტენციაში შედიოდა, – აჩვენა თავისი შეუმდგარობა და არ იმსახურებდა უფლისგან პასუხს. ამიტომაც უთხრა უფალმა: ***არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა ჴელმწიფებითა ამას ვიქმ*** (ლუკა 20, 8). ამაზე უკვე ზედმეტი იყო რაიმე პასუხის გაცემა, ვინაიდან მათ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდნენ, რომელი ხელმწიფებით მოქმედებდა უფალი, მაგრამ შეგნებულად უწევდნენ ამ ხელმწიფებას წინააღმდეგობას. სამივე სინოპტიკოსი სრულიად თანახმიერია ერთმანეთში ამ მოვლენის აღწერისას.

7. იგავი ორი ძის შესახებ

(მათე 21, 28-32)

უფალმა განაგრძო საუბარი მღვდელთმთავრებთან და უხუცესებთან და მოუთხრო მათ იგავი, რათა თავად გამოეტანათ საკუთარი თავისთვის განაჩენი. ***კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე;*** – როგორც შემდგომ გამოჩნდება, „კაცში“ იგულისხმება

ღმერთი, პირველ ძეში – მეზვერეები და მეძავები, ანუ ყველა-თოდ, ცოდვილი ადამიანები, მეორე ძეში – მწიგნობრები და ფარისევლები, ანუ ყველა ის ადამიანი, ვინც თავის თავს მართლად მიიჩნევს. ***შვილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჯსა ჩემსა;*** – ვენახში იგულისხმება ეკლესია, მასში მუშაობა – კეთილმსახურებითი საქმეა, ღვთის მცნებების შესრულებაა. ღმერთის მოთხოვნაზე ცოდვილები პასუხობენ: ***არა მნებავს,*** – თვით თავიანთი ცხოვრებით, მაგრამ შემდეგ ინანიებენ, როგორც მოინანიეს მეზვერეებმა და მეძავეებმა იოანე ნათლისმცემლის ქადაგების შემდეგ, და იწყებენ ღვთის ნების აღსრულებას. ფარისევლები და მოჩვენებითად მართლები ამბობენ: ***წარვიდე, უფალო;*** – სიტყვით, თითქოს, ასრულებენ ღმერთის ნებას, მაგრამ საქმით – არა, რადგან არ იღებენ უფლის ქადაგებას მონანიების შესახებ. შეკითხვის არსი ვერ გაიგეს და ამიტომ კითხვის ადრესატებმა, კითხვაზე, თუ რომელმა შეასრულა მამის ნება, უპასუხეს: ***პირველმან მან***. მაშინ უკვე უფალმა გაუმხალა მათ იგავის მნიშვნელობა, რომელიც მათი განკითხვისკენ იყო მიმართული, და მიუთითა, რომ ის ადამიანები, რომელნიც მათ ეზიზღებათ, როგორც ცოდვილნი, მათზე მეტად იმსახურებენ მესიის სასუფეველში – ქრისტეს ეკლესიაში – შესვლას.

8. იგავი ბოროტი მევენახეების შესახებ
(მათე 21, 33-46; მარკოზი 12, 1-12;
ლუკა 20, 9-19)

ამ იგავს სამივე სინოპტიკოსი გადმოგვცემს, თანაც, სრულიად ერთნაირად. ვინმე ვენახის პატრონმა, რომელშიც იგულისხმება უფალი ღმერთი, ***დაასხა ვენაჯი*** (ვაზი ჩაყარა), –

მასში ძველაღთქმისეული ეკლესია უნდა მოვიაზროთ. ***ზღუდე გარემოსდვა მას,*** – განმმარტებლების აზრით, ეს არის მოსეს რჯული და საერთოდ ყველა ის დაწესებულება, რომელიც კი შექმნილი იყო იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო ღვთის რჩეული ერი – იუდეველები, წარმართების გავლენისგან; ***ქმნა მას შინა საწნეხელი,*** – სადაც ყურძენს წურავდა; ***და აღაშენა გოდოლი.*** „საწნახელსა" და „გოდოლში" წმინდა მამები მოიაზრებენ საკურთხეველსა და ტაძარს. მას შემდეგ, რაც კეთილმოაწყო ვენახი, პატრონმა ***მისცა იგი მოქმედთა საქმედ,*** – მევენახეებს, როგორც ეს მიღებული იყო, რათა მოევლოთ ვენახისთვის და მოსავლის განპირობებული რაოდენობა პატრონისთვის ჩაებარებინათ. *მევენახეებში* იგულისხმება იუდეველთა სახალხო მთავრები, უპირატესად, მღვდელთმთავრები და სინედრიონის წევრები. შემდეგ პატრონი დროებით სადღაც წავიდა: ეს ნიშნავს, უფალმა რწმუნებაში გადასცა მათ ებრაელი ერი, რათა შემდგომში მათ წარმოედგინათ თავიანთი მმართველობის ნაყოფი – ეჩვენებინათ, რომ ხალხი სათანადოდ აღზარდეს, ღვთის რჯულის სულისკვეთებით. გარკვეული დროის შემდეგ პატრონმა გაგზავნა ***მონანი მისნი*** (უნდა ვიგულისხმოთ, წინასწარმეტყველები). ბოროტმა მსახურებმა ***შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყჳდნეს და რომელთამე ქვაჲ დაჰკრიბეს*** (მათე 21, 34), – ასე ექცეოდნენ იუდეველთა მთავრები ღმერთის წარმოგზავნილებს – წინასწარმეტყველებს. ისინი მართავდნენ ერს ისე, რომ არ ზრუნავდნენ მის სულიერ სრულყოფაზე; ამოძრავებდათ მხოლოდ საკუთარი ანგარება და ინტერესი, ამიტომ სასტიკად გვემდნენ ღვთის წინასწარმეტყველებს, რომელნიც მათ ვალდებულებებს ახსენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ. ამას მოწმობს მთელი ძველაღთქმისეული წმინდა ისტორია (იერ. 44. 4-6; 2 ნეშ. 24, 20-21; 36, 16; ნეემია 9, 26 და სხვა). ბოლოს, პატრონმა მათთან გაგზავნა ***ძე თჳსი*** (მარკოზის მიხედვით, *ერთადერთი* და *საყვარელი*) – უკანასკნელი საგანგებო წარგზავნილი ღმერთისგან იუდეველ ხალხთან იყო თვით მხოლოდშობილი ძე ღვთისა იესო ქრისტე. ***ესე არს მკჳდრი მისი*** (მემეკვიდრე), – თქვეს ბოროტმა მსახურებმა, – ***მოვედით და მოვკლათ იგი, და ჩუენდა იყოს სამკჳდრებელი ესე.*** უფალ იესო ქრისტეს ეწოდება მემკვიდრე იმ გაგებით, რომ ყველაფერი მიეცა მას მისი მამისგან (მათე 11, 27). მღვდელთმთავრებმა და იუდეველთა უხუცესებმა მისი მოკვლა განიზრახეს, რათა არ დაეკარგათ თავიანთი ძალაუფლება ებრაელ ერზე. ***და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე სავენახისა მის და მოკლეს,*** – ასე მოკლეს იუდეველმა მთავრებმა უფალი იესო ქრისტე: გაიყვანეს იგი იერუსალიმის კედლებს გარეთ, რომელიც იყო ძველაღთქმისეული ეკლესიის წმინდა ცენტრი. იგავის თხრობა დაასრულა და უფალს უნდოდა, მსმენელებს თავად გამოეტანათ საკუთარი თავის განაჩენი, და მათ ეს გააკეთეს. წმინდა მათესა და წმინდა მარკოზის თანახმად, უფალმა, თავის მხრივ, დაადასტურა ამ განაჩენის სისწორე. წმინდა ლუკას თანახმად, როდესაც მღვდელთმთავრები და უხუცესები მიხვდნენ, რომ ეს განაჩენი საკუთარ თავზე გამოთქვეს, განაცხადეს: ***ნუ იყოფინ*** ეს ჩვენს მიმართ. ***მოვიდეს უფალი სავენაჯისაჲ მის.*** „მოსვლაში“ უნდა ვიგულისხმოთ არა ქრისტეს მეორედ მოსვლა, რადგან შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ მან, ანუ ღმერთმა, ***ვენაჯი იგი მისცეს სხუათა*** (შესაბამისად, ადამიანების მიწიერი ცხოვრება ჯერ კიდევ გრძელდება),

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ იერუსალიმის დანგრევა, მღვდელთმთავართა, მსა-
ურების, სინედრიონის, მწიგნობართა და ფარისეველთა მნიშ-
ვნელობის გაუქმება. მაშინ ღვთის ვენახის დასამუშავებლად
მოწვეულნი იქნებიან ***სხუათა ქუეყანისმოქმედთა,*** – მოცი-
ქულები და მათი მემკვიდრენი, ქრისტეს ეკლესიის მწყემსნი.
იგავის დასასრულს ქრისტე თავისთვის ისადაგებს 117-ე ფსალ-
მუნის 22-23 მუხლებს, უწოდებს თავის თავს „ლოდს", რომელიც
უარყვეს მაშენებლებმა, ანუ იუდეველთა მთავრებმა, მაგრამ
რომელიც ***იქმნა თავ კიდეთა***; – გახდა ქვაკუთხედი ახალაღთქმ-
ისეული ეკლესიის დიდებული შენობისა. თვით ძე ღვთისას
მოსვლა ამქვეყნად ***უფლისა მიერ იყო*** და – ***საკჳრველ წინაშე
თუალთა ჩუენთა,*** ადამიანური თვალსაზრისით. როდესაც
თავის თავს „ლოდს" უწოდებს, უფალი აღნიშნავს ორი სახის
ადამიანებს, რომელნიც არ ირწმუნებენ მას და რომელნიც
ამისთვის სასჯელს დაექვემდებარებიან, – მათთვის ის იქნება
კლდე შებრკოლებისა, ანუ საცდურისა; მეორენი, რომელნიც
დარჩნენ შეუნანიებელნი, სასტიკად აღდგნენ უფლის წინააღ-
დეგ და დაიწყეს ბრძოლა მისი სასუფევლის გავრცელების
წინააღმდეგ. მეორეთა ბრალი უფრო მძიმეა. ვინც ქვაზე
ფეხს წაიკრავს, დაეცემა და დაიმტვრევა, მისი აღდგენა და
განკურნება შესაძლებელია. სხვებს კი დაღუპვა ელოდებათ,
რაც ქრისტეს ყველა სასტიკ მოწინააღმდეგეს მოეწევა. იუდე-
ველთა ასეთი სიჯიუტის შედეგად, წაერთმევათ მათ ***სასუ-
ფეველი ღმრთისაჲ,*** როგორც ღვთის რჩეულ ერს, და მიეცე-
მა ის ***ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისსა,*** –
საღვთო სასუფევლის, ანუ ქრისტეს ეკლესიის ყველა მომა-
ვალ წევრს, რომლებიც აქ წარმოდგენილნი არიან, როგორც
ერთი ერი – ახალი ისრაელი. ჩასწვდნენ რა იგავის მთელ

სიღრმეს, მღვდელთმთავრები და ფარისევლები ***ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან,*** – შეეშინდათ ხალხის მოსალოდნელი აღშფოთებისა, რომელიც შეიძლება გამოწვეულიყო უფლის დასაცავად, რადგან მას ხალხი წინასწარმეტყველად მიიჩნევდა.

9. იგავი მეფის ძის ქორწილში წვეულთა შესახებ

(მათე 22, 1-14)

ეს იგავი თავისი შინაარსითა და ძირითადი აზრით მსგავსია პურობაზე (ნადიმზე) მიწვეულთა შესახებ იგავისა, რომელიც გადმოცემულია ლუკა მახარებლის მე-14 თავში (16-24). თუმცა, ცხადია, რომ ეს იგავები გამოთქმულია სხვადასხვა დროს. პურობაზე მიწვეულთა შესახებ იგავი მოთხრობილია უფლის მიერ ფარისევლის სახლში შაბათ დღეს, იერუსალიმში მისი ზეიმით შესვლამდე დიდი ხნით ადრე. ეს იგავი კი მან გამოთქვა იერუსალიმში თავისი შესვლის შემდეგ, – მეტად სარწმუნოა, რომ ეს იყო სამშაბათი. იგავის აზრი ის არის, რომ ბევრი უარს იტყვის საღვთო სასუფეველზე ყოფიერი საზრუნავების მიზეზით. იგავი მეფისწულის ქორწინების შესახებ უკავშირდება იგავს ბოროტი მევენახეების შესახებ. ამ ორივე იგავში, რომლებიც უშუალოდ ერთმანეთს მიჰყვებიან, საუბარია მონებზე, რომელთაგან ერთნი შეურაცხყვეს, მეორენი – მოკლეს, ასევე, შეურაცხმყოფელთა და მკვლელთა ბოროტ დასასრულზე. აქაც, ისევე, როგორც პირველ იგავში, წვეულთა შორის მოიაზრება იუდეველი ერი, მეფის მონებში კი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი. მკვლელების განადგურებასა და მათი ქალაქების დაწვაში აუცილებლად უნდა

ვიგულისხმოთ იუდეველთა დაღუპვა და იერუსალიმის დანგრევა. საქორწილო ტრაპეზზე ყველას მიწვევა, ვინც ეკუთვნოდათ, ეს არის ყველა ადამიანის მიწვევა საღვთო სასუფეველში, რომელიც მას შემდეგ მოხდა, რაც იუდეველებმა უარყვეს სამოციქულო ქადაგება (საქ. 13, 46). ქორწილში – საღვთო სასუფეველში – მიწვეულია ყველა, კეთილებიც და ბოროტებიც, რამეთუ მასში შესასვლელად არ არის საჭირო არც სიწმინდე, არც დამსახურება: მასში მიიწვევიან არა საქმეებისთვის, არამედ მასპინძლის გულმოწყალებით. სამსჯავრო, რომელიც დაადგენს განსხვავებას კეთილებსა და ბოროტებს შორის, საღვთო სასუფევლის ღირსებსა და უღირსებს შორის, გაიმართება შემდგომში, მოგვიანებით. ამიტომ, ვინც მოწოდებულია, ყოველთვის ღირსი უნდა იყოს თავისი წოდებისა, – უნდა ეცვას ***სამოსელი საქორწინე.*** აღმოსავლეთში, ძველად, მეფეებსა და მთავრებს ჩვეულებად ჰქონდათ სტუმრად მოწვეულებისათვის მიეცათ საგანგებო სასტუმრო სამოსელი, რომლითაც ისინი ნადიმზე უნდა გამოცხადებულიყვნენ. ასევე, თითოეულ ეკლესიაში მიწვეულ პირს (მოწოდებულს) ნათლისღებაში ეძლევა სულიერი სიწმინდის ნათელი შესამოსელი. ვინც ამ შესამოსელს უგულებელყოფს და სულიერ ნადიმზე ცოდვებით შებილწული სამოსელით შევა, იმსახურებს განკითხვასა და სასჯელს. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, „***არა ემოსა სამოსელი საქორწინე,*** ნიშნავს: ვინც უწმინდურად ცხოვრობს, ის მადლს აკლდება. ამიტომაც არის ნათქვამი: ***ხოლო იგი დუმნა...*** რაკი თავდასაცავად არაფერი ჰქონდა სათქმელი, მან განიკითხა საკუთარი თავი და დაექვემდებარა განსაკუთრებულ სასჯელს“. ვინც არ მოისურვებდა ჩაეცვა მეფის მიერ შემოთავაზებული სამოსელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას აძევებდნენ განათებული სამეფო დარბაზიდან **გარეთ ბნელსა მას გარესკნელსა,** სადაც ის სიცივისა და ბრაზისგან კბილებს აღრჭიალებდა. ასევე იქნება საშინელ სამსჯავროზეც: განიდევნებიან ქრისტეს ეკლესიის საცხონებელი დასიდან შეუნანიებელი ცოდვილნი, რომლებმაც თავიანთი ცოდვითი უწმინდურობით შებილწეს ნათლისღების სამოსელი. საერთო დასკვნითი აზრი, ამ იგავისა და მასთან ერთად ლუკა მახარებელთან მოყვანილი იგავისა: ***მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ – რჩეულნი.*** – აღნიშნავს იმას, რომ ქრისტეს სასუფეველში მოწოდებულია ბევრი ადამიანი, ყველა, ვინც გამოეხმაურება სახარების ქადაგებას, მაგრამ ამ სასუფევლის ჭეშმარიტი წევრი ხდება არა ყველა მოწოდებული, არამედ მხოლოდ მათგან რჩეულნი. ასე, მაგალითად, ქრისტეს ეკლესიაში ყველა იუდეველი იყო მოწოდებული, მაგრამ ჭეშმარიტი ქრისტიანი მათ შორის ძალიან ცოტა გახდა.

მოისმინეს რა ყოველივე ეს, უფლისგან შერცხვენილმა სინედრიონის წევრებმა ერთმანეთში თათბირი გამართეს, თუ რა ზომები მიეღოთ მის წინააღმდეგ, და გადაწყვიტეს, გაეგზავნათ ადამიანები, რომელნიც შეძლებდნენ მის სიტყვაში გამოჭერას, რათა ადვილი ყოფილიყო დადანაშაულება და სასამართლოზე გადაცემა.

10. უფლის პასუხი კეისრისთვის ხარკის გადახდასთან დაკავშირებით

(მათე 22, 15-22; მარკოზი 12, 13-17; ლუკა 20, 20-26)

თავიანთ მოწაფეებსა და ჰეროდიანელთა (მეფე ჰეროდეს მიმდევრები) შორის, რომელთაც არ უნდოდათ კეისრისათვის, როგორც დამპყრობელისა და უცხოტომელისათვის, ხარკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეხადათ, ფარისევლებმა შეარჩიეს რაც შეიძლება მზაკვარი ადამიანები. ისინი გაგზავნეს უფალთან ცბიერი შეკითხვით: ***ჯერ-არსა მიცემაჲ ხარკისაჲ კეისრისა ანუ არა?*** ეს ვერაგული შეკითხვა იმაზე იყო გათვლილი, რომ თუ უფალი უპასუხებდა, საჭიროა ხარკის გადახდა წარმართი იმპერატორისთვისო, რომელიც ესოდენ სძულდათ იუდეველებს, მაშინ ის ამით დაკარგავდა ხალხის ნდობასა და პატივისცემას; ხოლო, თუ ეტყოდა, არ უნდა გადაუხადოთო, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა მისი დადანაშაულება რომაელთა წინააღმდეგ ხალხის ამბოხში. მაცდურის შეკითხვაში ასეთი აზრი იყო ჩადებული: იუდეველი ერი – ღვთის ერია და თავის მეფედ მხოლოდ ღმერთს აღიარებს, ამიტომ ვერ ემსახურება ის უცხოტომელს, თანაც წარმართ მეფეს, რათა არ აღმოჩნდეს ღმერთთან წინააღმდეგობაში. შესაბამისად, როგორ უნდა მოიქცნენ – გადაუხადონ ხარკი კეისარს თუ შეინარჩუნონ ურყევი ერთგულება ღმერთის წინაშე? ამაზე უფალმა ბრძნულად უპასუხა, რომ ერთიც უნდა გააკეთო და მეორეც – ***მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა*** – უნდა შეასრულო შენი ვალდებულება როგორც ღმერთის, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლების წინაშეც, რამდენადაც მეორე არ ეწინააღმდეგება პირველს.

11. სადუკეველთა შერცხვენა აღდგომის საკითხთან დაკავშირებით

(მათე 22, 23-33; მარკოზი 12, 18-27; ლუკა 20, 27-41)

ფარისეველთა და ჰეროდიანელთა შერცხვენის შემდეგ, უფალს სადუკეველები მიადგნენ. ეს იყო სექტა, რომელსაც არ სწამდა აღდგომა და სიკვდილისშემდგომი ცხოვრება (საქ.

23, 8). ისინი მუდმივად დავობდნენ ამ საკითხზე ფარისევ-
ლებთან და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მოსეს ხუთ-
წიგნეულში არამცთუ საუბარი არ არის სულის უკვდავებაზე,
არამედ, პირიქით, ისეთი დადგენილებებიც კი არის მათში,
რომელნიც ეწინააღმდეგებიან მკვდრეთით აღდგომას, მაგალ-
ითად, ლევირატის კანონი ანუ ლევირატული ქორწინება.
სწორედ ამ დავის საგანი წარუდგინეს სადუკეველებმა უფალ
იესო ქრისტეს გადასაჭრელად, – გამოიგონეს რა ისტორია
შვიდი ძმის შესახებ, რომელნიც რიგრიგობით ქორწინდებო-
დნენ ერთსა და იმავე დედაკაცზე და მერე კვდებოდნენ.
მათი თვალსაზრისით მოსეს რჯულის ეს დადგენილება უარყ-
ოფდა სწავლებას მომავალ ცხოვრებაზე. ***ვისა მათგანისა
იყოს იგი ცოლ, რამეთუ შჳდთავე მათ ესუა იგი ცოლად?***
წმინდა იოანე ოქოპირი სამართლიანად აღნიშნავს ასეთი ისტო-
რიის შეუძლებლობას, რადგან იუდეველები, ხასიათდებოდ-
ნენ რა ცრურწმენით, არ მოიყვანდნენ ცოლად ისეთ დედაკაცს,
რომლის ქმრებიც ზედიზედ კვდებოდნენ. უფალმა სადუკე-
ველებს ბრძნული პასუხი გასცა; ამხილა ისინი, რომ ვერ
აცნობიერებდნენ მომავალ მარადიულ ცხოვრებას, სადაც უკვე
აღარ იქნებოდა რაიმე გრძნობიერი, და ადამიანები იცხო-
ვრებდნენ სულ სხვა ცხოვრებით, – სულიერით, ანგელოზე-
ბრივით: ***ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.*** სიკვდილის შემ-
დეგ რომ ადამიანები საერთოდ ნადგურდებოდნენ, მაშინ არ
ეტყოდა ღმერთი მოსეს მაყვლოვანთან: ***მე ვარ ღმერთი აბრ-
აჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი,*** რამეთუ
არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ღმერთი ცხოველთაჲ,
– გარდაცვლილი მამამთავრები ღმერთისთვის ცოცხლები არიან,
რადგან ღმერთი ვერ იქნება არარსებულთა ღმერთი. წმინდა

ლუკა ამბობს, რომ ეს პასუხი მწიგნობრებსაც მოუწონათ, და ვერ მოითმინეს, რომ არ ეთქვათ: ***მოძღუარ კეთილად სთქუ.*** ხალხს კი, ხედავდა რა სადუკეველების შერცხვენას, ფრიად უკვირდა იესოს სიბრძნე.

12. რჯულში უპირატესი მცნებისა და მესიის საღვთო ღირსების შესახებ

(მათე 22, 34-46; მარკოზი 12, 28-37; ლუკა 20, 40-44)

როდესაც ფარისევლებმა სადუკეველების შერცხვენა გაიგეს, ტაძარში შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, დაესვათ იესოსთვის მათი აზრით ყველაზე ძნელი შეკითხვა, კერძოდ, თუ რომელი მცნება უნდა ჩაითვალოს უპირატესად რჯულში. შეკითხვის სიცბიერე გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იუდეველი მწიგნობრები რჯულში განასხვავებდნენ დიდ და მცირე მცნებებს, და მათ შორის მუდამ კამათი იყო ამ საკითხზე. ერთნი ყველაზე დიდ მცნებად მიიჩნევდნენ მცნებას მსხვერპლის შესახებ, მეორენი – შაბათის მცნებას, მესამენი – წინადაცვეთისას და, საერთოდ, წეს-განგებით კანონებს პირველ ადგილზე აყენებდნენ. ამ შეკითხვაზე უფალმა უპასუხა სიტყვებით მეორე რჯულიდან (6, 5): ***შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა,*** მიუთითა, რომ ***ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ,*** და იქვე დასძინა, რომ მეორე, მისი მსგავსი არის: ***შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი*** (ლევ. 19, 18). წმინდა მარკოზი ამატებს, რომ უფლის პასუხმა აღტაცებაში მოიყვანა თვით მწიგნობარი, რომელმაც შეჰღაღადა: ***კეთილად, მოძღუარ, ჭეშმარიტად სთქუ,*** მისმა სიწრფელემ იესო შესძრა,

დაინახა, რომ ეს ცოდვილი შეიძლება გამოსწორებულიყო და უთხრა: ***არა შორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისა.*** ყველა ამ წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როგორმე გამოეჭირათ უფალი სიტყვაში, ფარისევლები ველარ ბედავდნენ, რამე შეკითხვა დაესვათ მისთვის. ამ დროს უფალმა თვითონ დაუსვა მათ შეკითხვა, რათა ეჩვენებინა მათი მხრიდან წმინდა წერილის უცოდინარობა და მესიის შესახებ უმეცრება: ***ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს, ვისი ძე არს?*** მათ დაუფიქრებლად უპასუხეს: ***დავითისი,*** – რადგან დავითისთვის იყო აღთქმული, რომ მის ტომში იშვებოდა მესია. ***ჰრქუა მათ იესუ: „ვითარ უკუე დავით სულითა ჰხადის მას უფლად და იტყჳს: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა...“,*** – თუკი მესია-ქრისტე მხოლოდ და მხოლოდ დავითის შთამომავალია, მაშინ როგორღა იარსებებდა ის მაშინ, როცა დავითი მის შესახებ წერდა, ხოლო თუკი ის უკვე იმ დროს არსებობდა და დავითმა მას თავისი უფალი უწოდა, მაშასადამე, ის უბრალო ადამიანი არ არის, როგორც ფარისევლები ფიქრობენ, არამედ, ამავე დროს ღმერთია, ანუ ღმერთკაცი. რჯულის სიტყვასიტყვითი გაგებით დაბრმავებულმა ფარისევლებმა, რომელთაც დაკარგოდათ მისი აზრის სწორდ გაგების გასაღები, ვერანაირი პასუხი ვერ გასცეს უფალს. ასეთნაირად ამხილა უფალმა მათი უმეცრება და, ამასთანავე, წარუდგინა მოწმობა თავისი ღმრთეებრივი ღირსებისა და მარადიული ყოფიერების შესახებ. განიცადეს რა ასეთი გადამწყვეტი დამარცხება, ფარისევლები უკვე ველარ ბედავდნენ უფლის გამოცდას თავიანთი მზაკვრული შეკითხვებით, უამრავი ხალხი კი სიმოვნებით უსმენდა მას (მარკოზი 12, 37).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13. მხილებითი სიტყვა მწიგნობრებისა და ფარისევლების წინააღმდეგ

(მათე 23, 1-39; მარკოზი 12, 38-40;
ლუკა 20, 45-47)

მას შემდეგ, რაც პირმოთნენი შეარცხვინა, უფალმა თავისი მოწაფეებისა და ხალხის გასაფრთხილებლად, ფარისეველთა სულისკვეთებისგან, წარმოთქვა მათი (ფარისეველთა) მამხილებელი მრისხანე სიტყვა. ამ სიტყვაში მან წარმოაჩინა მათი მთავარი ცდომილება როგორც სწავლების, ისე, ცხოვრების წესთან მიმართებითაც. ეს სიტყვა მთლიანად მოჰყავს მხოლოდ მათე მახარებელს, ხოლო მარკოზ და ლუკა მახარებლებს – მხოლოდ მისი ნაწილი. უფალმა დაიწყო შემდეგი სიტყვებით: ***საყდართა მოსესთა დასხდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი,*** – მწიგნობრებმა და ფარისევლებმა დაიკავეს მოსეს ადგილი და მიითვისეს გამორჩეული უფლება, ესწავლებინათ და განემარტათ ხალხისთვის მოსეს რჯული. ***ყოველსა უკუე რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხვად, დაიმარხეთ და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქჳან და არა ყჳიან,*** – აქ ფარისევლები იმხილებიან იმაში, რომ ასწავლიდნენ რა რჯულს, თვითონ არ ცხოვრობდნენ მის შესაბამისად. ***ყოველსა***, უნდა გავიგოთ, რა თქმა უნდა, შეზღუდულად, რადგან უფალს თავად არაერთხელ უმხილებია მწიგნობრები და ფარისევლები იმაში, რომ მათ არასწორად ესმოდათ და განმარტავდნენ რჯულის მცნებებს. ***შეკრიან ტჳრთი მძიმე და ძნიად სატჳრთავი*** – როგორც მძიმე ხურჯინს ცხოველებზე, ისე ***დასდჳიან მჳართა ზედა კაცთასა*** მოსეს რჯულის მრავალრიცხოვან და მრავალგვარ განწესებას (საქ. 15, 10) და მკაცრად ითხოვენ ხალხისგან

მათ შესრულებას უკანასკნელ წვრილმანამდე, თავად კი არ სურთ ამაში ადამიანებს დაეხმარონ. თუკი ფარისევლები რაშეს მაინც აღასრულებენ იმ განწესებათაგან, რასაც სხვებისგან ითხოვენ, აღასრულებენ არა კეთილმსახურების მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ სხვებმა დაინახონ და შეაქონ. ისინი ***განივრცნიან საცონი მათნი,*** – ანუ საჭიროების გარეშე, სხვების დასანახად, ზრდიან იმ ტყავის ტომსიკებს ან ყუთებს, სადაც აწყობენ პაპირუსის ან პერგამენტის ფურცლებს რჯულის სიტყვებით (გამოს. 13, 1-10; 13, 11-17; მეორე რჯ. 6, 4-10; 11, 13-22), და რომლებსაც ლოცვის დროს თასმით იკრავდნენ ერთს შუბლზე, მეორეს – მარცხენა ხელზე. ამ *საცოს* ტარების ჩვეულება მოდიოდა „გამოსვლის" წიგნის შემდეგი სიტყვების – ***და იყოს შენდა სასწაულად ჴელსა ზედა შენსა და მოსაჴსენებლად წინაშე თუალთა შენთა*** (13, 9) – სიტყვასიტყვითი გაგებიდან. ებრაელებს სჯეროდათ, რომ ეს *საცო* მათ ბოროტი სულებისგან იფარავდა. ***განიდიდნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი,*** – ოთხი ფოჩი, რომლებსაც იკერებდნენ ზედა ჩასაცმელის ბოლოში, კალთაზე; კალთის კიდე კი მოქარგული იყო ძოწის ფერი ძაფით. მათი გაკეთება და ტარება რჯულით ნაბრძანები იყო ღვთის მცნებების მოსახსენებლად და ებრაელების სხვა ერებისგან განსასხვავებლად (რიცხ. 15, 37-40). პატივმოყვარეობის მიზეზით ფარისევლები ამ ფოჩებსაც ჩვეულებრივზე გრძელს ამზადებდნენ. ***უყუარს ზემოჯდომაჲ სერსა ზედა და პირველდაჯდომაჲ შესაკრებელსა შორის*** (მათე, 23, 6), – იმ დროში საჭმელს ჭამდნენ არა მჯდომარენი, არამედ წამოწოლილნი გრძელ და ფართო ბალიშებზე მაგიდის ირგვლივ. ამას ერქვა ინახით ჯდომა. ეს დასაჯდომელები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვეულებრივ,

რუსული „П“ ასოს ფორმით იყო განლაგებული. მთავარი ანუ საპატივცემულო ადგილები სუფრის თავში იყო ტას სწორედ მათ ეტანებოდნენ ფარისევლები. სინაგოგებში კი ისინი მოითხოვდნენ ადგილს კათედრასთან ახლოს. ***თქუენ ნუ იწოდებით რაბბი,*** – ეს ნიშნავს: ნუ ეცდებით, რომ თქვენ გადიდონ როგორც მოძღვრები, მამები ან მასწავლებლები, რადგან ყველა ადამიანისთვის ერთადერთი მამა არის ღმერთი; ხოლო ერთადერთი მოძღვარი და მასწავლებელი – ქრისტე. ყველა ეს აკრძალვა არ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით, როგორც ამას სექტანტები აკეთებენ, რადგან მოციქულების ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ ამ სახელწოდებას იყენებდნენ თვით მოციქულები (1 იოანე 2, 13; რომ. 4, 16; 1 კორ. 4, 15; ეფეს. 6, 4; ფილიპ. 2, 22; 1 თეს. 2, 11; 1 ტიმ. 5, 11; საქ. 13, 1; იაკ. 3, 1; რომ. 2, 20; 12, 71; 1 კორ. 12, 28; 12, 29; 1 ტიმ. 2, 7; 2 ტიმ. 4, 3; ებრ. 5, 12; 1 კორ. 4, 15; ებრ. 13, 7, 17). არ შეიძლება დავუშვათ, რომ მოციქულები არღვევდნენ ქრისტეს მიერ მათთვის მიცემულ მცნებას იმით, რომ ამ სახელწოდებით სარგებლობდნენ. უფრო სწორი იქნება ისე გავიგოთ, რომ ეს მცნება ეხებოდა პირადად მოციქულებს, რათა დაეცვა ისინი ერთმანეთის წინაშე ქედმაღლობისგან და შეაგონებდა მათ, რომ ისინი ერთმანეთს შორის თანასწორნი იყვნენ, ხოლო ვინც მოისურვებდა, აღმატებული ყოფილიყო, მას ყველასთვის უნდა ემსახურა. არ უნდა მიაგო ადამიანს ისეთი პატივი, რომელიც მხოლოდ ღმერთს შეეფერება, და არ უნდა დააფასო თავისთავად მასწავლებლები და მოძღვრები ზედმეტად, ანუ ისე, თითქოს ისინი თავის სიტყვას ლაპარაკობენ და არა ღმერთისას. ***ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რა-***

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთუ დაჰკშავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა, იმიტომ, რომ თვითონ არ ირწმუნეს მესია-ქრისტე და სხვებიც განარიდეს ამ მაცხონებელ რწმენას. ***შესჭამთ სახლებსა ქურივთასა...,*** – „ატყუებთ ქვრივებს თქვენი ღვთისმოსავი გარეგნობით და იტაცებთ მათ ქონებას". ***მიმოხუალთ ზღუასა ზედა და ჯმელსა,*** – „იხვეჭთ პროზელიტებს წარმართებისგან, და სრულებითაც არ ზრუნავთ მათ შემდგომ განსწავლაზე ჭეშმარიტ სარწმუნოებაში, პირიქით, რყვნით მათ თქვენი ორგული ცხოვრების უჯერო მაგალითებით". ***ვაჲ თქუენდა, წინამძღუარნო ბრმანო, რომელთა სთქუთ, ვითარმედ: „რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არარაჲ არს, ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძრისასა, ჯერ-არს"*** (მათე 23, 16), – იუდეველი მოძღვრები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ დიდ და მცირე ფიცს, და ასწავლიდნენ, რომ პატარა ფიცის დაცვა აუცილებელი არ იყო. დაფიცება ეკლესიის შესაწირით ანუ ოქროთი, ითვლებოდა დიდად, ხოლო ტაძრით ან საკურთხევლით – მცირედ. უფალი მიუთითებს, რომ ყველა ამ საგნით დაფიცება ნიშნავს თვით ღმერთით დაფიცებას, ამიტომ არ შეიძლება არც ერთი ამ ფიცის დარღვევა. ***ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათეულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოჲსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი შჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნოებაჲ,*** ფარისევლები, მეათედის შესახებ რჯულის შესასრულებლად (რიცხ. 18, 20-24; მეორე რჯ. 14, 22-28), წირავდნენ მეათედ ნაწილს ისეთი ბალახებიდანაც კი, რომლებსაც რჯული არც კი მოიხსენიებს მათი უმნიშვნელობის გამო. უფალი სწორედ იმაში ამხელს მათ, რომ მკაცრად იცავდნენ წვრილმანებს, მნიშვნელოვანს

კი უყურადღებოდ ტოვებდნენ, მაგალითად, სამართლიანობას სასამართლო განხილვისას, გულმოწყალებას ღატაკებისა და ავადმყოფების მიმართ, ერთგულებას ღვთისა და საღვთო რჯულის მიმართ. ***რომელი დასწურავთ ბურნაკსა, ხოლო აქლემსა შთანსთქამთ!*** – ეს იყო ხალხური გამოთქმა აღმოსავლეთში: ზრუნავდნენ რა წვრილმანზე და უტევებდნენ მნიშვნელოვანს, ფარისევლები ემსგავსებოდნენ იმათ, ვინც სასმელში ჩავარდნილ კოღოს წურავს, მაგრამ უშიშრად ყლაპავს აქლემს (ჰიპერბოლური გამოთქმაა, რა თქმა უნდა), ანუ უშვებენ მძიმე ცოდვებს. ***განსწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პაროფსიდისასა, ხოლო შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა,*** – ჭურჭლის გარეთა მხარე, რომლის გაწმენდაზეც ზრუნავდნენ ფარისევლები, დაპირისპირებულია იმასთან, რაც ჭურჭლის შიგნითაა: მიტაცებითა და უსამართლობით მოპოვებული საკვები. ზრუნვა უნდა იყოს მიმართული ამ შინაგანი სიწმინდისკენ, უპირველესად იმისკენ, რომ არსობის პური მოიპოვო სუფთა ხელებით.

მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, – ანუ კირით შეთეთრებულს. ყოველწლიურად, ადარის თვის 15 რიცხვში, საფლავის მღვიმეები იღებებოდა, რათა გამვლელები არ მიახლოვებოდნენ და არ შეხებოდნენ, რადგან რჯულის თანახმად, საფლავთან მიახლოება შვიდ დღიან უწმინდურებას იწვევდა (რიცხ. 19, 16). შეღებილი საფლავები გარედან ლამაზი ჩანდა: ასევე ფარისევლებიც გარეგნულად მართლებად მოჩანდნენ, სინამდვილეში კი ცბიერნი და ურჯულონი იყვნენ. შემდეგ უფალი ამხელს ფარისევლებს იმაში, რომ ისინი პირმოთნედ უშენებდნენ წინასწარმეტყველებს საფლავებს და ძეგლებს უმკობდნენ მართლებს, რომლებიც

მათმა მამებმა მოკლეს. ისინი, თითქოსდა, მართლებად ეჩვენ-ნევდნენ მოკლულებს, სინამდვილეში კი თავიანთ მამებზე უარესები იყვნენ, რომელთაგან წარმომავლობითაც ამაყობდნენ, რადგან თვით უფლის მოკვდინება ჰქონდათ განზრახული. ***და აწ თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ,*** – „ბოროტებაში აჯობებთ თქვენს მამებს“. ***აჰა ესერა, მე მოვავლინნე თქუენდა წინაჲსწარმეტყუელნი,*** – იგულისხმება მოციქულებისა და მათი თანამუშაკების წარგზავნა სახარებისეული სწავლების საქადაგებლად; აქ უფალი წინასწარ ამბობს, რომ დაუწყებენ მათ იუდეველები გაძევებასა და დევნას, და ამაში თავიანთ მამებს დაემსგავსებიან, – ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს რომ ხოცავდნენ. ***მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი...,*** – მათი ან მათი მამების მიერ მოკლული მართალთა სისხლისათვის ისინი პასუხს აგებენ, დაწყებული თავისი ძმის, კაენის მიერ მოკლული აბელის სისხლიდან, თავისი ძის ბარაქიას მიერ ტაძარსა და საკურთხეველს შორის მოკლული ზაქარიას სისხლამდე. ერთნი ვარაუდობენ, რომ ეს ის ზაქარიაა; მეფე იოასის ბრძანებით ქვებით რომ ჩაქოლეს უფლის სახლის ეზოში (2 ნეშ. 24, 20), თუმცა, ის ზაქარია იწოდებოდა იოდაის (1 ნეშ. 12, 27) ძედ, მაგრამ შეიძლება ეს მისი მეორე სახელი ყოფილიყო, რამეთუ ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ, ორი სახელი ეტარებინათ. ძველი დროის ზოგიერთი განმმარტებელი, მაგალითად, ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვები, ვარაუდობენ, რომ აქ საუბარია წმინდა იოანე ნათლისმცემლის მამაზე. ყველა იმ დანაშაულისათვის, რაც ჩაიდინეს იუდეველი ერის მთავრებმა, მწიგნობრებმა და ფარისევლებმა, უფალი გამოთქვამს მკაცრ განაჩენს იერუსალიმის მიმართ.

აჰა ესერა, დაეტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოჯრად, რაც აღსრულდა კიდეც 36 წლის შემდეგ, როდესაც ქრისტეს შობიდან 70 წელს რომაელთა ჯარმა მთლიანად გაანადგურა იერუსალიმი. უფალი ამას დიდი მწუხარებით გამოთქვამს, და აღნიშნავს თავის ღრმა სიყვარულს ამ გულსასტიკი ხალხის მიმართ, ამ სიყვარულს კი ადარებს ფრინველის სიყვარულს თავისი ბარტყებისადმი. ***არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა,*** – აქ იგულისხმება ქრისტეს მეორედ მოსვლა, როდესაც ურწმუნონიც კი, თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ, აღიარებენ მის ღმრთეებას.

14. ქვრივის მწვლილი

(მარკოზი 12, 41-44; ლუკა 21, 1-4)

„ქვრივის მწვლილის“ შესახებ, რომელიც დიდი ხანია ფრთიან გამოთქმად იქცა, სრულიად თანახმიერად მოგვითხრობს მხოლოდ ორი მახარებელი – მარკოზი და ლუკა. ეგრეთწოდებულ *დედაკაცების ეზოში* იდგა ·განძის საცავი, ანუ შესაწირის დიდი ჭურჭელი, სადაც ხალხი ნებაყოფლობით ყრიდა ტაძრის შესაწირავს. პასექის დღესასწაულის წინ მიღებული იყო, განსაკუთრებით ბევრი შეეწირათ: ტაძარში შემავალი თითოეული ადამიანი რაღაცას მაინც დებდა ამ ჭურჭელში თავისი საშუალებისა და გულითადობის მიხედვით. ბევრი მდიდარი დებდა ყუთში დიდძალ ფულს, საწყალობელმა ქვრივმა დედაკაცმა კი ორი მწვლილი ჩადო. „მწვლილი“ ყველზე წვრილი მონეტა იყო იმ დროს ისრაელში, მაგრამ უფალმა ბრძანა, რომ ამ ქვრივმა ***უმეტეს ყოველთასა შეწირა,*** – არა რაოდენობრივად, არამედ თავისი შეძლებიდან

გამომდინარე. სხვები წირავდნენ იმას, რასაც დედად არ საჭიროებდნენ და საკუთარ თავს ამით ბევრად არ ამძიმებდნენ, ამან კი უკანასკნელი ჩადო და ამდენად, შესწირა ყველაფერი, რაც ჰქონდა.

15. უფლის საუბარი მოწაფეებთან ელეონის მთაზე, მისი მეორედ მოსვლისა და სამყაროს აღსასრულის შესახებ

(მათე 24, 1-51; მარკოზი 13, 1-37; ლუკა 21, 5-38)

ტაძრიდან გამოსული უფალი, მოწაფეებთან ერთად ელეონის მთისკენ გაემართა. გზაში მან იწინასწარმეტყველა ტაძრის დანგრევა, რაც აღსრულდა კიდეც 70 წელს, როდესაც იერუსალიმი რომაელებმა აიღეს და ნანგრევებად აქციეს, ხოლო, რამდენადმე მოგვიანებით, იმპერატორ ტრაიანეს დროს, მისი უკანასკნელი კვალიც კი გაანადგურეს. მიუხედავად თვით რომაელი მხედართმთავარ ტიტეს მონდომებისა, შეენარჩუნებინა ტაძარი, როგორც ხელოვნების სასწაული, ღვთის განსაზღვრება, შეუძლებელია, არ აღსრულებულიყო: მავანი რომაელი ჯარისკაცის მიერ შემთხვევით ნასროლმა ერთმა მუგუზალმა მთელი ტაძარი ფერფლად აქცია. ელეონის მთიდან ტაძრისა და მთლიანად იერუსალიმის თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა, და უფალთან მარტოდ დრჩენილმა მოწაფეებმა განაგრძეს ქალაქისა და ტაძრის მომავალზე საუბარი. მოციქულები ფიქრობდნენ, რომ იერუსალიმი შეურყევლად იდგებოდა საუკუნეთა დასასრულამდე, ამიტომაც ჰკითხეს უფალს: ***ოდეს იყოს ესე და რაჲ არს სასწაული იგი შენისა მის მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ?*** (მათე 24, 3).

უფლის პასუხში ჩანს, რომ არც ის, როგორც თვით მოცე-
ქულები, არ ჰყოფს ერთმანეთისგან ამ ორ მოვლენას წინას-
წარმეტყველურ ჭვრეტაში ახლო და შორეული მოვლენები
წარმოიდგინება ზოგჯერ, თითქოსდა, ერთ სურათად პერსპე-
ქტივაში, განსაკუთრებით, როცა ერთი მოვლენა, უახლოესი,
წარმოადგენს მეორის, შორეულის ერთგვარ წინასახეს. აქ
უეჭველია ის, რომ იერუსალიმის დანგრევა და ამასთან დაკავ-
შირებული ყველა საშინელება, იმ საშინელებათა წინასახეა,
რომლებსაც ადგილი ექნებათ სამყაროს აღსრულებისას ქრისტეს
მეორედ მოსვლის წინ. ამასთანავე, უფალი ცხადად აჩვენებს,
რომ მისი მეორედ მოსვლა და სამყაროს აღსასრული იერუ-
სალიმის დანგრევიდან მალე არ იქნება. ღვთის სამსჯავროს
მოახლოების პირველ ნიშნად უფალი ასახელებს ცრუქრისტეე-
ბის გამოჩენას. ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი მოწმობს, რომ
იერუსალიმის დაცემამდე მართლაც გამოჩნდა მრავალი ცრუმე-
სია-მაცდური. მეორე ნიშანი იქნება – ომები. მაგრამ ეს
ომებიც და ბუნებრივი კატასტროფებიც მხოლოდ დასაწყისი
იქნება მომავალი მტანჯველი საშინელებებისა, რომლებსაც,
თავიანთი სიმძიმით, უფალი მშობიარობის ტკივილებს ადარებს.
მესამე ნიშნად უფალი მისი მოწაფეებისა და მიმდევრების
დევნას ასახელებს, რომლის შესახებაც გადმოცემულია „საქმე-
თა“ წიგნში და რომლის შესახებაც ისტორია მოწმობს, როგ-
ორც, მაგალითად, დევნა ნერონის დროს, და სხვა. მხოლოდ
სახელწოდება „ქრისტიანიც“ კი საძულველი იყო წარმართე-
ბისთვის, რის შედეგადაც გამოვლინდა ქრისტესთვის წამე-
ბულთა აურაცხელი დასი. ***მაშინ დაჰბრკოლდებოდიან მრა-
ვალნი,*** – განუდგებიან ქრისტეს სარწმუნოებას და გაყიდიან,
ანუ სასიკვდილოდ და სატანჯველად გადასცემენ თავიანთ

ძმებს საკუთარი თავის გადასარჩენად. გამოჩნდებიან ცრუწინ-ასწარმეტყველები. რომაელების მხრიდან იერუსალიმის ალყის დროს, ეს ცრუწინასწარმეტყველები იუდეველებს ზეციდან დახმარებას ჰპირდებოდნენ. ***რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოვნდეს,*** – ვინც ყველა უბედურებას ითმენს, ქრისტეს არ ღალატობს და ცრუმოძღვრებს არ უსმენს, ის მარადიულ ცხოვრებას დაიმსახურებს. ღვთის სამსჯავროს მოახლოების მეოთხე ნიშანი იქნება სახარების ქადაგება მთელ მსოფლიოში. სახარება იქადაგება ***საწამებელად ყოველთა წარმართთა,*** – ქრისტე მანამ არ მოვა, ვიდრე არ იქადაგება სახარება, რომელიც ამის შემდეგ გახდება მამხილებელი მოწმობა სამსჯავროზე იმათ წინააღმდეგ, ვინც მოისმინა და არ იწამა. ***მაშინ მოიწიოს აღსასრული.*** ქრისტე აქ გულისხმობს იერუსალიმის მომავალ დაღუპვას, მაგრამ ყველა ეს ნიშანი სამყაროს აღსასრულისა და საშინელი სამსჯავროს მიმანიშნებელი იქნება.

ეს ნიშნები საერთოა ორივე მოვლენისათვის. მაგალითად: 1) იერუსალიმი დაისაჯა მისი ურჯულოებისა და მასში სიყვარულის მოკლების გამო ***(განმრავლებითა უსჯულოებისაჲთა განჴმეს სიყუარული მრავალთაჲ);*** ზუსტად ასევე, სამყაროს აღსასრულიც დადგება, როგორც შედეგი ქვეყნად ურჯულოების გამრავლებისა და ადამიანთა შორის სიყვარულის მოკლებისა; როდესაც ადამიანები დაივიწყებენ, რომ ისინი ქრისტესმიერ ძმები არიან; 2) როგორც იერუსალიმის უკანასკნელი დღეები, ასევე სამყაროს აღსასრულის წინა დროების მახასიათებელი იქნება ყოველგვარი ცრუმოძღვრების დიდი რაოდენობით გამოჩენა; 3) იერუსალიმი დაეცა მას შემდეგ, რაც უფალმა ყველაფერი გააკეთა მის გადასარჩენად: მას

ეუწყა სახარება; ზუსტად ასევე, სამყაროს აღსასრულიც მხ-
ოლოდ მას შემდეგ შედგება, რაც მსოფლიოს ყველა ხალხს
ექადაგება სახარება, რათა საშინელ სამსჯავროზე, იუდეველ-
თა მსგავსად, უპასუხონი დარჩნენ. შემდეგ უფალი ჩამოთვ-
ლის საგანგებო ნიშნებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ
იერუსალიმის დაღუპვას ეხება. ***საძაგელი იგი მოოჯრებისაჲ,*** – რასაც ჯერ კიდევ დანიელი წინასწარმეტყველებდა (9, 27); რომაელთა ჯარისკაცებს კერპები შეჰქონდათ ნახევრად-დანგრეულ ტაძარში. ისინი ატარებდნენ იმპერატორისა და არწივის გამოსახულებებს და მათ ღვთაებრივ პატივს მიაგებდ-ნენ. ***ივლტოდედ მთად,*** – სადაც მრავლად იყო მღვიმე და თავშესაფარი, რათა რომაელებისგან დამალულიყვნენ. ***რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ...,*** – სახლებს ბრტყე-ლი სახურავები ჰქონდათ და მოხერხებული იყო სასეირნოდ და განსამარტოვებლად. უბედურების დროს სახურავებზე მყოფნი მაშინვე გარეთ უნდა გაიქცნენ, დრო არ უნდა დაკარ-გონ იმაზე, რომ რაიმეს წამოსაღებად ქვევით, სახლში ჩავ-იდნენ. ასევე, მინდორში მყოფნიც არ უნდა დაბრუნდნენ სახლში ***აღებად სამოსლისა თჳსისა.*** რადგან მინდორში, ჩვეუ-ლებრივ, ზედა სამოსელის გარეშე მუშაობდნენ. ისტორიკოსი ევსები მოწმობს, რომ იერუსალიმელმა ქრისტიანებმა გაიხ-სენეს უფლის ეს გაფრთხილება და მართლაც გაიქცნენ რო-მაელების მოახლოებისას პელაში და სხვა იორდანგაღმა ქა-ლაქებში, და ამის წყალობით გადაურჩნენ ყველა იმ საშინელე-ბას, რაც ალყაშემორტყმულ ქალაქს მოეწია. უფალი არწმუ-ნებს, რომ ილოცონ, რათა ეს უბედურებანი არ დადგეს იმ დროს, როცა შეუძლებელი გახდება შორს გაქცევა. იუდეველ მწიგნობართა განმარტებით, შაბათ დღეს გადაადგილება

შეიძლებოდა არაუშორეს ერთი ვერსისა. ***იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელი არა იყო დასაბამითგან სოფლისაჲთ,*** ანუ ისეთი საშინელი უბედურებები, რომ ყველა დაიღუპებოდა, რომ არა „რჩეულნი“ იუდეველთა შორის ანუ ქრისტეს მორწმუნენი, რომელთა გამოც ***შემოკლდენ დღენი იგი.*** ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი მოწმობს, რომ მართლაც „ყველა ის უბედურება, რაც სხვადასხვა ერს მსოფლიოს დასაბამიდან მოწევია, არაფერია იმასთან შედარებით, რაც იუდეველებს გადახდათ თავს“. იერუსალიმის ალყის დროს მასში და მის შემოგარენში მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ბევრი დაიხოცა შიმშილისგან, რაც იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთმა დედამ მოკლა და შეჭამა საკუთარი შვილები. უამრავი იუდეველი ჯვარზე იქნა გაკრული და ამით აღსრულდა მათი საშინელი ფიცი, როდესაც ისინი პილატესგან უფლის ჯვარზე გაკვრას ითხოვდნენ: ***სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა*** (მათე 27, 25). ყველა ეს უბედურება ჯერ კიდევ მოსეს მიერ გამოთქმული წინასწარმეტყველების აღსრულება იყო (მეორე რჯ. 28, 49-57). როდესაც ტიტემ იერუსალიმი ალყაში მოაქცია, თავდაპირველად დააპირა, შიმშილით აეძულებინა იუდეველები, რომ ქალაქი ჩაებარებინათ, მაგრამ იმპერიის საქმეებმა მისი რომში სასწრაფო დაბრუნება გამოიწვია, რამაც განაპირობა ქალაქის შტურმით აღება, შედეგად კი შემოკლდა ალყაშემორტყმულთა უბედურების დრო. შემდეგ უფალი კვლავ გადადის თავისი მეორედ მოსვლის შესახებ სიტყვაზე. ***რამეთუ აღდგენ ქრისტემტყუვარნი და ცრუწინაჲსწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა...,*** – აქ იგულისხმება ცრუ სასწაულები, რომლებითაც ზოგჯერ მართლებიც კი შეიყვანებიან ცდომ-

ილებაში. ასეთ სასწაულებს, პავლე მოციქულისა (2 თეს. 2, 9-10) და აპოკალიფსისის (მე-13 თავი) მიხედვით, აჩვენებენ ანტიქრისტე და მისი მსახურები. ძე კაცისას გამოჩენა ელვის მსგავსად მოხდება, ანუ ყველასათვის ცხადად და ეჭვშეურევნელად. ცრუმესიათა საპირისპიროდ, – რომელნიც ხან უდაბნოში, ხან საიდუმლო ოთახებში დაიმალებიან, – ჭეშმარიტი მესია, მოაწყობს რა ქვეყნის საშინელ სამსჯავროს, ამას ყველგან ხილულად გააკეთებს, სადაც იქნებიან სულიერად მკვდარი ცოდვილები, მსგავსად იმისა, როგორც ორბები მიფრინავენ და იკრიბებიან იქ, სადაც გვამებია. მაგრამ იერუსალიმის უბედურება დასრულდება და ადამიანები ისევ მიეცემიან უდიერებას, რომლის შესახებაც შემდგომშია ლაპარაკი (მათე 24, 37-39). წმინდა ლუკა ამას უმატებს, რომ ***იერუსალიმი დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი,*** – იერუსალიმის დანგრევიდან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე უნდა გავიდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დრო, რომლის განმავლობაშიც, პავლე მოციქულის თანახმად, წარმართთა სრული რიცხვი ***(სავსებაჲ)*** შევა ქრისტეს ეკლესიაში და გახდება ახალი, სულიერი ისრაელი (რომ. 11, 25).

ხოლო მეყსეულად, შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთაჲსა, მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი, – მათე მოციქულის ეს სიტყვები (24, 29) ისე გარკვეულად ვერ მიანიშნებს იერუსალიმის დანგრევასა და სამყაროს აღსასრულს შორის შუალედზე, როგორც წმინდა ლუკას სიტყვები (21, 24), მაგრამ მაინც გვაგებინებს, რომ იერუსალიმის დანგრევის შემდეგ სულ სხვა დღეები დადგება, რომლებიც საშინელებების მიხედვით ყველა იმ დროის მოვლენებს გადა-

ფარავს. ამ მუხლის ბერძნული ტექსტი ასეთი პერიფრაზის საფუძველს იძლევა: „ნუ იფიქრებთ, რომ იერუსალიმის დაღუპვას მაშინვე მოჰყვება ჩემი მოსვლა და ქვეყნის აღსასრული. არა! ამისთვის სხვა დღეები დადგება. მაშინ მზე დაბნელდება და მთვარე ნათელს აღარ გამოსცემს...". სიტყვა „მეყსეულად", სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ეს მოხდება „მაშინვე", „დაუყოვნებლივ", „კვალდაკვალ", არამედ – „მოულოდნელად", „უეცრად". როგორც ეპისკოპოსი მიხეილი აღნიშნავს, წმინდა წერილის მიხედვით ამ „მეყსეულში" ზოგჯერ მთელი საუკუნეებია დაფარული. ***ძალნი ცათანი შეიძრნენ,*** – შეირყევა მთელი სამყარო. ამ საშინელი დროის დამახასიათებელ ნიშნებზე მიუთითებს წმინდა ლუკა: ***ქუეყანასა ზედა შეკრებაჲ თესლებისაჲ განკჳრვებითა ოხრისაჲთა ზღჳსაგან და ძრვისა, სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას*** (ლუკა 21, 25-26). ***და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა*** (მათე 24, 30). წმინდა იოანე ოქროპირი მიიჩნევს, რომ ეს იქნება ჯვრის ნიშანი, რომელიც გამოჩნდება თვით ქრისტე მაცხოვრის მოსვლის წინ, როგორც მიწიერი მეფის წინ გამოაქვთ მისი დროშა. სწორედ ეს იქნება ის ნიშანი, რომელიც აიძულებს იმ იუდეველებსა და ყველა სხვა უღმერთოებს, ვინც ქრისტე არ იწამა, საკმაოდ დაგვიანებული და უნაყოფო სინანულით უნებურად შეჰღაღადონ: ***კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა!*** მაშინ ურწმუნონი *ატირდებიან*, როცა დაინახავენ, თუ რამდენად ცდებოდნენ ურწმუნოების სიბნელეში ცხოვრებით. ***და იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა*** (მათე 24, 30). საყვირის მგრგვინავ ხმას გარდაცვლილთა მკვდრეთით აღდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა მოჰყვება, და ანგელოზები შეკრებენ ყველა ერთ-ერ-
დედამიწის კიდით-კიდემდე. ჯერ კიდევ მოსე კრებდა იუდე-
ველებს ვერცხლის საყვირში ჩაბერვით, და შეკრების ეს მე-
თოდი ტრადიციად იქცა იუდეველებისათვის ყველა შემდგომ
დროში (ლევ. 25, 9; რიცხ. 10, 2; მსაჯ. 3, 27), ამიტომაც
იყენებს უფალი ყველა ებრაელისათვის ნაცნობ ამ სახე-ნი-
მუშს ღვთის გარკვეული მოქმედების აღსაწერად; მაშინ შეკ-
რებენ მისი ანგელოზები ***ოთხთაგან ქართა,*** ანუ დედამიწის
ყველა კუთხიდან. ანგელოზები შეკრებენ როგორც *რჩეულებს*
მარადიული დიდებისათვის, ასევე, *ყველა უსჯულოების მო-
ქმედს* (მათე 13, 41) მარადიული ტანჯვისათვის. ***ლეღვსაგან
ისწავეთ იგავი...,*** – როგორც ზაფხულის მოსვლის შესახებ
მსჯელობდნენ ლეღვის ფოთლებით, მრავლად რომ ხარობდა
ზეთისხილთან ერთად ელეონის მთაზე, ასევე, სამყაროს აღ-
სასრულის შესახებ უნდა ვიმსჯელოთ დროის იმ ნიშნებით,
რომლებიც მანამდე ჩამოთვალა უფალმა. ***არა წარჯდეს ნა-
თესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.*** „ესე იქმნეს“ აქ
უპირისპირდება იმას, რაც შემდგომშია ნათქვამი (მათე 24,
36). იერუსალიმის დანგრევა მართლაც მოხდა ჯერ კიდევ
უფლის თანამედროვეთა სიცოცხლეში. თუმცა ეს გამოთქმა
შეიძლება სამყაროს აღსასრულსაც მივუსადაგოთ: მაშინ „ნათე-
სავი ესე“-ში, წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით, უნდა
ვიგულისხმოთ ***ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა*** (ფსალ.
23, 6), – ქრისტეს მორწმუნე ხალხი, რომელიც, მიუხედავად
ყველა საშინელებისა, შენარჩუნდება საუკუნეთა დასასრულა-
მდე. ***ცანი და ქუეყანაჲ წარჯდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი
არა წარჯდენ,*** – ეს არის ნაწინასწარმეტყველების გარდაუ-
ვალობის მტკიცებულობა. როდესაც ვხედავთ, თუ როგორი

სიზუსტით აღსრულდა უფლის წინასწართქმა იერუსალიმის დანგრევასთან მიმართებით, ვერავინ შეეჭვდება, რომ ზუსტად ასევე აღსრულდება წინასწარმეტყველება მის მეორე მოსვლასთან დაკავშირებით. ***დღისა მისთჳს და ჟამისა არავინ იცის;*** წმინდა მარკოზის მიხედვით – არც „ძემ", რა თქმა უნდა, არა როგორც ღმერთმა, არამედ როგორც ადამიანმა. წმინდა ლუკას თანახმად, ადამიანები დაუდევრად იცხოვრებენ, როგორც ეს ხდებოდა ნოეს დღეებში წარღვნის წინ. ქრისტეს მეორედ მოსვლაც უეცრად, ანაზდეულად მოხდება (ლუკა 17, 26-27; 21, 34-35). ამ უკანასკნელი დღეების ნოეს დღეებთან შედარებას წმინდა მათეესთანაც ვხვდებით. ***მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე...,*** – ეს სიტყვები აჩვენებს, როგორ სწრაფად და გადაჭრით მოხდება მართლებისა და ცოდვილების ერთმანეთისგან გამოცალკავება, – თუნდაც ამ დროს ისინი ძალიან ახლოს იმყოფებოდნენ ერთმანეთთან და ერთი საქმით იყვნენ დაკავებულნი, და თუნდაც ერთ სარეცელზე იწვნენ (ლუკა 17, 34). ***იღჳძებდით უკუე, რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს,*** – აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს აუცილებლობა მუდმივი მღვიძარებისა: უფალს სურს, რომ ჩვენ არ დაგვეძინოს სულიერად, არ ვიყოთ უდიერნი, არამედ ყურადღება მივაპყროთ დროის ნიშნებს და ყოველთვის მზად ვიყოთ მასთან შესახვედრად, ვიცხოვროთ ღვთისმოთნედ. თავისი მოულოდნელობითა და ანაზდეულობით უფლის მოსვლას არცთუ იშვიათად ადარებენ მპარავის მოსვლას. ამის შემდგომ წარმოთქმული იგავი, ერთგული და დაუდევარი მონების შესახებ, მიზნად ისახავს, შეაგონოს მსმენელს მუდმივი სულიერი მღვიძარების აუცილებლობა. ეს იგავი განსაკუთრებით ახლოა სულიერ მწყემსებსა და სამო-

ქალაქო მთავრებთან, რომლებსაც უნდა ეშინოდეთ, დაუდეგრობა გამოიჩინონ თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას, და ახსოვდეთ, რომ დადგება ჟამი, როცა მოუწევთ თავიანთი საქმიანობისათვის ანგარიშის წარდგენა.

16. იგავი ათი ქალწულის შესახებ
(მათე 25, 1-13)

ამ იგავში ქრისტეს მეორედ მოსვლა წარმოდგენილია სარძლოს სახლში სასიძოს მოსვლის სახით. მაყრიონისა და ***ძეთა სიძისათა*** (იოანე 3, 29; მათე 9, 15) თანხლებით მოსულ სიძეს დიდი ზეიმით ხვდებოდნენ, მის შესახვედრად გამოდიოდნენ ლამპრებით ხელში, ხოლო რადგანაც სიძის დაგვიანება მოსალოდნელი იყო ხოლმე, ამიტომ დამხვდურები ჭურჭლებით ლამპრის ზეთს იმარაგებდნენ. უფალი იყენებს ამ სახე-ნიმუშს და თავისი მეორედ მოსვლის მოლოდინს ადარებს სიძის მოლოდინს, რომელსაც 10 ქალწული უნდა შეხვდეს ლამპრებით ხელში. მათ შორის 5 „ბრძენი" იყო, 5 – „სულელი", ანუ უგნური, რამეთუ არ მოიმარაგეს ზეთი და მათი ლამპრები ლოდინის დროს ჩაქრა. სანამ ისინი ზეთის საყიდლად დადიოდნენ, საქორწილო დარბაზის კარი ჩაიკეტა და სიძემ აღარ დაუშვა ისინი ნადიმზე. „ბრძენ ქალწულებში" აქ იგულისხმება ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი, ვინც ყოველთვის მზად არის ქრისტესთან შესახვედრად თავისი სუფთა სინდისით, წრფელი რწმენითა და კეთილი საქმეებით („ზეთით"); „სულელ ქალწულებში" უნდა ვიგულისხმოთ დაუდევარნი, მხოლოდ სახელწოდებით ქრისტიანენი, რომელთაც არ გააჩნიათ სათნოებანი. ასეთები ვერ მოხვდებიან საქორწილო ნადიმზე, ანუ ცათა სასუფეველში, რადგან უფალმა ბრძანა:

არა ყოველმან რომელმან მრქუას მე: „უფალო, უფალო", შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ (მათე 7, 21). იგავის ბოლო სიტყვები: ***იღვძებდით უკუე...***, – კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ აუცილებელია მუდმივი სულიერი სიფხიზლე უფალთან შესახვედრად, რომლის მოსვლის დღე და ჟამი ჩვენგან დაფარულია.

17. საშინელი სამსჯავროს შესახებ
(მათე 25, 31-46)

მთელ კაცობრიობაზე ღვთის საშინელი სამსჯავროს სრულ სურათს გვიხატავს მხოლოდ მათე მახარებელი, თვით უფალ იესო ქრისტეს სიტყვებით, – მუდმივი სულიერი სიფხიზლისა და მეორედ მოსვლის შესახვედრად მზადყოფნის აუცილებლობასთან დაკავშირებით მის მიერ წარმოთქმულ სიტყვასთან უშუალო კავშირში. საშინელი სამსჯავროს აღწერას წინ უსწრებს იგავი ტალანტების შესახებ (მათე 25, 14-30), რომელიც ძალიან ჰგავს ლუკას მიერ გადმოცემულ იგავს ათი მნის შესახებ (19, 11-28), და რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ამ იგავის იდეა ისაა, რომ თითოეულმა ადამიანმა პასუხი უნდა აგოს იმაზე, თუ როგორ გამოიყენა ღვთისგან ბოძებული მადლმოსილი და, აგრეთვე, ბუნებრივი ნიჭები, და ის სიკეთენი, რაც მათი საშუალებით მოიპოვა.

თხრობას, საშინელი სამსჯავროს შესახებ, უფალი იწყებს მისი მეორედ მოსვლის მიმსგავსებით მიწიერი მეფეების ***დიდებითა თჳსითა*** შემოსვლასთან. ***დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა;*** – ეს ნიშნავს, რომ უფალი გამოჩნდება, როგორც სამყაროს მეფე და მსაჯული. მისი თანმხლებნი იქნებიან

ყოველნი ანგელოზნი მისნი, ხოლო დამხვდურნი – ყველა ადამიანი, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია დედამიწაზე. ქრისტეს მოსვლის წინ შედგება საყოველთაო მკვდრეთით აღდგომა, თანაც მიცვალებულნი აღდგებიან სახეცვლილი განსულიერებული სხეულებით, ხოლო ცოცხლად შთენილნი, მყისვე შეიცვლებიან (1 კორ. 15, 25-54; 1 თეს. 4, 16-17). ***და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რაჲ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან,*** – ცხვრები აქ გამოხატავენ მართლებს, რადგან ისინი წარმოადგენენ შეურყვნელობისა და უბრალოების სახეს (იოანე 10, 7-14; 15, 16-27; ფსალ. 99, 3; 73, 1), თიკნები – განსასჯელ ცოდვილებს, რადგან ისინი წარმოადგენენ უკეთური ზნეობის მატარებლებს (იეზ. 34, 17). და მათგან არანაირი ნაყოფი არ მიიღება – არც რძე, არც ბატკნები, არც მატყლი, – ყველაფერი ის, რაც ცხვრებმა უნდა მოგვცენ. ცხვრები დადგინდებიან ***მარჯუენით მისა,*** რადგან მარჯვენა მხარე ყოველთვის საპატიოდ ითვლებოდა და ახლობელ ადამიანებს ენიჭებოდათ. ხოლო ***თიკანნი – მარცხენით,*** – ეს ნაკლებ საპატიო ადგილია, ამ შემთხვევაში კი, განსასჯელებს აღნიშნავს. ***მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ,*** – ის ქრისტიანენი, რომელნიც ღირსიქმნენ მამა-ღმერთის კურთხევისა, ახალ აღთქმაში ხშირად იწოდებიან აღთქმული სიკეთეების მემკვიდრეებად, როგორც ღმერთის ჭეშმარიტი შვილები, რომელთაც ეკუთვნით ღმერთის მიერ ადამიანებისათვის განმზადებული სიკეთენი (რომ. 8, 17; გალ. 4, 6-7; ებრ. 1, 14). ღმერთმა დასაბამიდანვე განჭვრიტა ადამიანთა საქმენი, ამიტომ მათთვის შესაბამისი მისაგებელიც დასაბამიდანვე განსაზღვრა:

კეთილი საქმეებისათვის ცათა სასუფეველი, ბოროტებისათვის – სატანჯველი. როგორც საშინელი სამსჯავროს ამ სურათიდან ჩანს, ცათა სასუფეველს მართლები დაიმკვიდრებენ მოყვასთა მიმართ სიყვარულისა და გულმოწყალებისათვის. რწმენაზე აქ ლაპარაკი არ არის, რადგან ის თავისთავად იგულისხმება სიყვარულის საქმეებში, რომელნიც ნაყოფია რწმენისა (იოანე 13, 35; 1 კორ. 13, 1). ასევე არ მოიხსენიება ლოცვა და რწმენის სხვა ღვაწლი, იმიტომ, რომ მათ გარეშე შეუძლებელია ჭეშმარიტი სიყვარული მოყვასისადმი და წრფელი, პირუთვნელი საქმენი მოწყალებისა. ლაპარაკია მხოლოდ მოწყალების საქმეებზე, რადგან ისინი ამტკიცებენ ქრისტიანის ჭეშმარიტ რწმენასა და კეთილმსახურებას (იაკ. 2, 14-26; 1 იოანე 4, 20-21; 3, 15-18). მართალთა პასუხი მოწმობს მათ მორჩილებას და საკუთარი უღირსების გაცნობიერებას. ასეთია ზნეობრივი გამოსწორების კანონი: რაც მეტად მიიწევს ადამიანი სრულყოფილებისაკენ, მით უფრო აცნობიერებს თავისი მიღწევების უსუსურობას. თავის მიმდევრებს უფალი უწოდებს „თავის ძმებს“, როგორც ახლობლებს, როგორც თავის ნათესავებს სულით, განწყობით, ტანჯვით; „მცირეთაგანს“ იმიტომ უწოდებს, რომ ისინი დამცირებულნი, ღატაკნი და უარყოფილნი არიან. ***წარვედით ჩემგან, წყეულნო***, – წყეულნი, ე.ი. მოკლებულნი კურთხევის ნიჭებს. მათ მიუსჯიან ***ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს,*** – ცეცხლი აქ გამოხატავს ტანჯვის უმაღლეს ხარისხს, რადგან ცეცხლზე დაწვით სასჯელი ყველაზე მკაცრი სასჯელია. ეს სახე აღებულია იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ენომოსის მინდვრის ცეცხლიდან, სადაც იუდეველების ღმერთისგან განდგო-

მისა და კერპთთაყვანისმცემლობის პერიოდში ხდებოდა მოსლვა-ქისადმი მსხვერლშეწირვა. შემდგომში კი, ამ ადგილზე, ნაგავსაყრელი მოაწყვეს და იქვე მიჰქონდათ სიკვდილით დასჯილთა გვამები. იქაურობის გასაწმენდად კი მუდმივად ცეცხლი ენთო. ამიტომაც მიიღო ამ ადგილმა ცეცხლის მინდვრის სახელი და გამოიყენებოდა ცოდვილთათვის მარადიული ტანჯვის სახე-ნიმუშად. ეს მარადიული ტანჯვა დანიშნულია ღმერთის წინაშე ამბოხებული ბოროტი სულებისათვის, მაგრამ, რადგანაც ცოდვილები იმ ბოროტების თანაზიარნი ხდებიან, რასაც ეშმაკი და მის ანგელოზები თესავენ, ამიტომ მათაც მიესჯებათ იგივე სატანჯველი. ***და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა,*** – ცოდვილთა ტანჯვას, ზოგიერთ ცრუმოძღვართა საწინააღმდეგოდ, დასასრული არ ექნება, რადგან ისინი ნებაყოფლობით განუდგნენ ღვთის სიყვარულს. ეს ტანჯვა, მრავალთა ვარაუდით, მდგომარეობს სინდისის საშინელ, თუმცა უკვე უნაყოფო ქენჯნაში. მისი ერთგვარი მსგავსება ამ ცხოვრებაშიც განიცდება: ასეთია, მაგალითად, გამოუვალი მოწყინების მდგომარეობა. ასევე მარადიული და დაუსრულებელი იქნება მართალთა ნეტარება, რაც მიწიერ ცხოვრებაში იწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მღვდელთმთავართა და უხუცესთა ბჭობა ქრისტეს მოკვდინების შესახებ; სიმონ კეთროვანის სახლში ცოდვილი დედაკაცის მიერ უფლის ზეთისცხება; იუდას გამცემლობა

(მათე 26, 1-16; მარკოზი 14, 1-11; ლუკა 22, 1-6)

უფალმა დაასრულა მოწაფეების მიმართ ყველა ზემოთ მოყვანილი სიტყვა, რის შემდეგაც მან იწინასწრმეტყველა, რომ მალე მოუწევდა ჯვარზე ვნება. მისი ეს სიტყვები მოყვანილია მხოლოდ მათე მახარებლის მიერ: ***უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნებაჲ იყოს, და ძე კაცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმად?*** პასექის დღესასწაული იწყებოდა ნისანის თვის 14 რიცხვში საღამოს და იმ წელიწადს უწევდა პარასკევს (იოანე 19, 14): აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სიტყვები ითქვა სამშაბათ საღამოს ან ოთხშაბათს.

პასექი იყო ებრაელთა ყველაზე მთავარი და საზეიმო დღესასწაული. იზეიმებოდა ის ეგვიპტის ტყვეობიდან ებრაელთა სასწაულებრივი გამოხსნის მოსახსენებლად. თვით სიტყვა „პასექი“ წარმოიშვა სიტყვა „პეისაქი“-დან, რაც ნიშნავს „გასვლა“, „დანდობა“, იმ მომენტის მოსახსენებლად, როდესაც ანგელოზი კლავდა რა ეგვიპტელ პირმშოებს, იმავე დროს გვერდს უვლიდა ებრაელთა სახლებს, რომელთა სახლის წირთხლი და კარისთავი სისხლით იყო დანიშნული და ამგვარად ინდობდა ებრაელთა პირმშოებს (გამოს. თავი მე-12). *უცომობის* დღესასწაულთან ერთად, რომელიც პასექის მეორე დღეს იწყებოდა, პასექი იდღესასწაულებოდა 8 დღის განმავლობაში – ნისანის თვის 14 რიცხვის საღამოდან ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის 21 რიცხვამდე, რაც შეესაბამება ჩვენეული ათვლით მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისს. ნისანის მე-10 დღეს ოჯახის მამებს უნდა გამოერჩიათ ერთი წლის უბიწო ბატკანი, რომელსაც კლავდნენ მე-14 დღეს და მერე საჭმელად ამზადებდნენ შემწვარი სახით. ეგვიპტეში სისხლით სახლების წირთხლებისა და კარისთავების მოპკურების მოსახსენებლად, პასექის დღესასწაულზე აპკურებდნენ დაკლული კრავის სისხლს სამსხვერპლოზე; ამიტომაც კრავი იკვლებოდა კარავთან, შემდგომში – ტაძართან. შემწვარ კრავს ჭამდნენ მთლიანად, – არ ტოვებდნენ არც ძვლებს, არც ძარღვებს, არც შიგნეულს, – ხმიადთან (აუფუვებელი პური) და მწვანილთან ერთად. ჭამას იწყებდნენ 14-ში საღამოს, მზის ჩასვლისთანავე. დასაწყისში ფიალიდან სვამდნენ წყლით განზავებულ ღვინოს: ჯერ ოჯახის თავი აღუვლენდა უფალს დიდებას და მოსვამდა სავსე ფიალიდან, მერე რიგრიგობით ყველა იქ დამსწრენი. ამას ეწოდებოდა „პირველი თასი". ამის შემდეგ მადლობდნენ ღმერთს და იბანდნენ ხელებს. ამის შემდეგ იწყებდნენ საპასექო კრავის ჭამას ხმიადთან და სქელ წვნიანთან ერთად, რომელსაც ამზადებდნენ ფინიკის, ლეღვის, ყურძნისა და ძმრისაგან; ამასთან, ადიდებდნენ ღმერთს, რის შემდეგაც სუფრიდან გაჰქონდათ საჭმელები და კვლავ შემოჰქონდათ თასი ღვინითა და ძმრით. საჭმელები გაჰქონდათ, რათა გამოეყოთ დრო ბავშვებისათვის და მოეთხროთ მათთვის ეგვიპტეში დღესასწაულის ისტორია (გამოს. 12, 26-27). ოჯახის თავი ჰყვებოდა ეგვიპტეში ებრაელთა მონობის ისტორიას, ეგვიპტელთაგან გათავისუფლებას და ამის მოსახსენიებლად პასექის დღესასწაულის დაწესებას. როდესაც კვლავ შემოჰქონდათ კერძები, ის ამბობდა: „ეს არის პასქა, რომელ-

საც ჩვენ ვჭამთ იმის მოსახსენებლად, რომ უფალმა დაინდო ჩვენი სახლები ეგვიპტეში". აღნიშნავდა რა უფუარობისა და მწვანილის მნიშვნელობას, განმარტავდა, რომ პირველი ახსენებდათ ებრაელების ეგვიპტიდან სწრაფ გამოქცევას, ხოლო მწარე მწვანილი – ეგვიპტური მონობის სიმწარეს. შემდეგ გალობდნენ ეგრეთწოდებული „ალილუიას" პირველ ნაწილს, 110-114 ფსალმუნებს, წარმოთქვამდნენ მოკლე ლოცვებს და ისევ სვამდნენ თასიდან ღვინოს, რომელსაც „მეორე თასი" ეწოდებოდა. ამის შემდეგ კვლავ იბანდნენ ხელებს და სვამდნენ მესამე თასს, რომელსაც „კურთხევის თასს" უწოდებდნენ, რადგან მისი შესმისას ოჯახის თავი განსაკუთრებული ლოცვით ადიდებდა ღმერთს მისგან განსაკუთრებული მადლის მოვლენისათვის. ბოლოს სვამდნენ მეოთხე თასს და მას ეწოდებოდა „ჰალელი", რადგან მის შემდეგ გალობდნენ „ალილუიას" („ჰალილუიას") მეორე ნაწილს, – 115-118 ფსალმუნებს. ეს საპასექო სერობა, ლიტურგისტები შეხედულებით, დაედო საფუძვლად ჩვენი ქრისტიანული ევქარისტიის – ზიარების საიდუმლოს წესს.

სიტყვები: ***მიეცეს ჯუარ-ცუმად***, – მიუთითებს უფლის ღმრთეებრივ მჭვრეტელობაზე. მან იცოდა თავისი სიკვდილის დღე, თუმცა თვითონ მტრები ამბობდნენ: ***ნუ დღესასწაულსა ამას, რაჲთა არა შფოთი იქმნეს ერსა შორის*** (მათე 26, 5).

სამივე სინოპტიკოსი საუბრობს შემდეგ თათბირის შესახებ, რომელიც მოაწყვეს მღვდელთმთავრებმა და იუდეველმა უხუცესებმა იესოს მოკვლასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ ხალხის შფოთის ეშინოდათ, შეეპყროთ იესო მზაკვრულად, ხალხისგან დაფარულად და დღესსწაულის დასრულების შემდეგ. მაგრამ რაკი გამცემი იპოვეს, ღვარძლით აღვსილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ დაელოდნენ დღესასწაულის დასრულებას. წმინდა მათე ამბობს, რომ ეს შეკრება ჩატარდა მღვდელთმთავარ კაიაფას სახლის ეზოში. აღმოსავლეთში ეზოები განლაგებული იყო შენობების შიგნით და ხშირად გამოიყენებოდა შეკრების ადგილებად. კაიაფას საკუთარი სახელი იყო იოსები, კაიაფა კი მისი ან შეტსახელი იყო, ან – გვარი. იგი იყო რომაელი პროკონსულის მიერ შეცვლილი წინა მღვდელთმთავრის ანას ანუ ანანას სიძე.

შემდეგ, პირველი ორი მახარებელი – წმინდა მათე და წმინდა მარკოზი მოგვითხრობს, თუ როგორ სცხო ზეთი უფალს მავანმა დედაკაცმა სიმონ კეთროვანის სახლში. საეკლესიო გადმოცემა ამ ნელსაცხებლის ცხებას განასხვავებს მსგავსი მოვლენისგან, როდესაც მკვდრეთით აღდგომილი ლაზარეს დამ, მარიამმა სცხო ნელსაცხებელი უფალს პასექამდე ექვსი დღით ადრე, ჯერ კიდევ იერუსალიმში მის ზეიმით შესვლამდე. სიმონ კეთროვანი ასე იმიტომ ეწოდება, რომ, როგორც ჩანს, იგი უფალმა განკურნა კეთრისგან. ეკლესიის გადმოცემის თანახმად, როგორც ეს დიდი ოთხშაბათის ღვთისმსახურებაშია აღწერილი, დედაკაცი, რომელიც უფალს ნელსაცხებლის საცხებლად მიეახლა, მონანული ცოდვილი იყო. მან ალებასტრის ჭურჭლით მიიტანა ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი. ეს იყო კეთილსურნელოვანი სითხე შემდგარი ზეთებისა და სურნელოვანი ნივთიერებებისგან, ჩვეულებრივ, ეს იყო ზეთისხილის ზეთის შენაერთი ნარდის ან მირონის მაგვარ კეთილსურნელოვან ფისოვან ნივთიერებებთან და სხვადასხვა ყვავილებთან. ალაბასტრი – ეს არის მარმარილოს სახეობა, რომელიც გამოირჩევა სიმსუბუქით, გამჭვირვალობითა და სილამაზით. მისგან მზადდებოდა სხვადასხვა ვაზა,

ურნა, სასაკმევლე და არომატული ნივთიერებების შესანახი ჭურჭლები. აღმოსავლეთში ნელსაცხებელს ცხებდნენ არა მხოლოდ უმაღლესი მნიშვნელობის მოსაზრებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მეფეებისა და მღვდელთმთავრების შემთხვევაში, არამედ ჩვეულებრივ ყოფით ცხოვრებაშიც – მდიდრებსა და წარჩინებულებს, უბრალოდ, მათი პატივისცემისა და სიამოვნებისათვის. როგორც წესი, ნელსაცხებელს ცხებდნენ თმაზე, შუბლზე, სახეზე, წვერზე, ტანსაცმელზე (ფსალ. 22, 5; 132, 2; ეკლ. 9, 8 და სხვა), ხოლო განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად – ფეხებზეც.

ხოლო იხილეს რაჲ მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: „რაჲსათჳს იყო წარწყმედაჲ ნელსაცხებელისაჲ ამის?..“ – მოწაფეები ვერ მიხვდნენ ცოდვილი დედაკაცის ღრმა მოწიწებას და განიკითხეს მისი საქციელი, რადგან იცოდნენ, რომ მათ მოძღვარს სძაგდა ფუფუნება და ყველაზე მაღლა აყენებდა მოწყალებისა და ქველმოქმედების საქმეებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი სცდებოდნენ, – უფალმა გაამართლა დედაკაცის მოქმედება, რამეთუ ის გამოწვეული იყო მხურვალე რწმენისა და გულის შემუსვრილობისგან. ***ღალატკნი მარადის თქუენ თანა არიან,*** – და შესაბამისად, ყოველთვის შეგიძლიათ მათ სიკეთე უყოთ, – ***ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ,*** – ეს იყო დაფარული მინიშნება მისი სიკვდილის მოახლოებაზე. გარდა ამისა, ამ ქმედებას უფალი ანიჭებს კიდევ განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვასაც: ***დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ჯორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ყო.*** ძველ დროში არსებობდა ტრადიცია, მიცვალებულის სხეულზე ნელსაცხებელი ეცხოთ. მისი მართალი ქმედებისათვის, უფალმა იწინასწარმეტყველა, რომ ის ყოველთვის

ემახსოვრებოდათ ქრისტიანებს, რასაც ჩვენ მართლაც ვხედავთ, რადგან მონათხრობი მის შესახებ შეტანილია არა მხოლოდ სახარებაში, არამედ, ასევე, ღვთისმსახურებაში: დიდ ოთხშაბათს ეკლესია ადიდებს ამ დედაკაცის მოქმედებას, და კონტრასტულად ერთგვარ პარალელს ავლებს მის მოქმედებასა და იუდას გამცემლობას შორის, რომელიც იმავე დღეს მოხდა, მაშინვე, ამის შემდეგ.

მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთმოძღუართა მათ და ჰრქუა: „რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?“ – სიტყვით „მაშინ“ გამოხატულია არა იმდენად მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, რამდენადაც მათი შინაგანი ლოგიკური კავშირი. იუდა უფლისგან ელოდა მიწიერ სიკეთეებს, წუთისოფლურ სიმდიდრესა და ბატონობას, მაგრამ ამის ნაცვლად ხედავდა მოძღვრის სრულ უპოვარებას. მაშინ მან თავად დაიწყო საკუთარი თავის დაჯილდოება ყულაბიდან, რომელიც მას ებარა და სადაც გროვდება შესაწირი, – იოანე მახარებლის მოწმობით (იოანე 12, 6). სიმონ კეთროვანის სახლში შემთხვევამ იუდა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ იგი ამაოდ ელის გამდიდრებას თავისი მოძღვრის ნებაყოფლობითი სიღატაკისა და თვითდამცირებისგან. უფლის მიმართ გაგულისებამ, რომელმაც, როგორც მას ეჩვენებოდა, გაუცრუა მას იმედები, და სურვილმა, გამოეყენებინა ნებისმიერი შემთხვევა გასამდიდრებლად, იგი გამცემი გახადა. მან უკვე იცოდა სინედრიონის გადაწყვეტილება, შეეპყროთ უფალი, და თავად წავიდა მღვდელთმთავრებთან, რათა ფულის სანაცვლოდ შეეთავაზებინა საკუთარი სამსახური – ჩაეგდოთ მათთვის ხელში უფალი, მოწმეების გარეშე, გან-

მარტოებულ ადგილას. ***რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე-მიგცე იგი?*** – ეს სიტყვები მიანიშნებენ მის ღვარძლიან-სი მოძღვრის მიმართ, რომლის გაყიდვაც მას გადაწყვეტილი აქვს ნებისმიერ შეთხვევაში, შეუვაჭრებლად. ამიტომაც შესთავაზეს უმნიშვნელო თანხა– გაქცეული მონის ფასი – ***ოცდა ათი ვეცხლი.*** როგორც ჩანს, ასეთი მცირე თანხა შესთავაზეს, რათა, ერთი მხრივ, უფალ იესო ქრისტეს მიმართ ზიზღი გამოეხატათ, და მეორე მხრივ, გაითვალისწინეს გამცემის ვერცხლისმოყვარე ხასიათი: იცოდნენ, რომ არ ივაჭრებდა. იუდა მართლაც ადვილად მიმყოლი აღმოჩნდა, მეტი არ მოუთხოვია, ***და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაჲთა მისცეს იგი მათ,*** – ანუ ისეთ შემთხვევას, როდესაც იესო არ იქნებოდა ხალხის გარემოცვაში. ამ ფასით, ოცდაათი ვერცხლით, აღსრულდა ზაქარიას წინასწარმეტყველება (11, 12-13), რომლითაც უმადურმა ერმა შეაფასა მას მიმართ უფლის მამობრივი მზრუნველობა.

დიდი ხუთშაბათი

19. საიდუმლო სერობა

(მათე 26, 17-29; მარკოზი 14, 12-25; ლუკა 22, 7-30; იოანე 13, 1-30)

ოთხივე მახარებელი მოგვითხრობს უფლის თავის მოწაფეებთან ერთად უკანასკნელი სერობის შესახებ, მისი ჯვარზე ვნების წინ, მაგრამ ყველა მათგანი არ გადმოგვცემს ამ საღამოს მოვლენას ერთნაირი სისრულით. გარდა ამისა, იმ დღის აღწერაში, როდესაც საიდუმლო სერობას ჰქონდა ადგილი, გარკვეულ წინააღმდეგობას ვხედავთ პირველ სამი მახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არებლისა და მეოთხე – იოანე მახარებლის აღწერებს შორის. უეჭველია მხოლოდ ის, რომ საიდუმლო სერობა შედგა შვიდეულის მეხუთე დღეს, ანუ ხუთშაბათს; ასევე, ცხადია, რომ უფალი გაასამართლეს და ჯვარზე გააკრეს შვიდეულის მეექვსე დღეს – პარასკევს; საფლავში დაჰყო შვიდეულის მეშვიდე დღე – შაბათი, და აღდგა შვიდეულის პირველ დღეს. მაგრამ გაურკვევლობას იწვევს შემდეგი: რა დამოკიდებულება ჰქონდა საიდუმლო სერობის დღეს იუდეველების მაშინდელ დღესასწაულთან – პასექთან, ანუ საიდუმლო სერობა შედგა ნისნის მე-14 დღეს, იმ საღამოს, როცა იუდეველთა პასექი იწყებოდა, თუ ნისანის მე-13 დღეს, ანუ პასექის წინა საღამოს? ეს გაურკვევლობა გამოწვეულია მახარებელთა ასეთი მინიშნებებით საიდუმლო სერობასთან მიმართებით:

მათე 26, 17: ***პირველსა მას დღესა უცომოებისასა...***

მარკოზი 14, 12: ***პირველსა მას დღესა უცომოებისასა, ოდეს პასექსა მას დაჰკლვიდეს...***

ლუკა 22, 7: ***მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქაჲ·იგი დაკლვად...***

იოანე 13, 1: ***უწინარეს დღესასწაულისა მის პასექისა...***

პასექი იწყებოდა ნისანის 14-ში და, შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ წმინდა წერილის სიტყვების გამოყენების მეთოდს, „პირველსა მას დღესა უცომოებისასა“ შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ მის შემდგომ დღეს, ნისანის თვის მე-15 დღეს. როგორც ჩანს, პირველი სამი მახარებელი მკაცრად არ იცავდა სიტყვების გამოყენების ბიბლიურ წესს, არამედ, ჩვეულებრივ, სალაპარაკო ენით გამოხატავდნენ სათქმელს. ამ სიტყვაგამოყენებითი წესით „უცომოების (უფუარობის) პირველი დღე“ შეიძლება გვეწოდებინა არა 15 ნისანისთვის, რომელ-

იც პასექის ჭამის მეორე დღეა, და არც 14 რიცხვისთვის, როდესაც პასექი იჭმევა, არამედ 13 რიცხვისთვის – პასექის წინა დღისთვის, როგორც ეს ნათლად არის აღნიშნული წმინდა იოანე მახარებელთან, რომელიც ამტკიცებს, რომ საიდუმლო სერობა შედგა ***უწინარეს დღესასწაულისა მის პასექისა.*** გარდა ამისა, წმინდა იოანეს სხვა მოწმობაც მოჰყავს იმის შესახებ, რომ იუდაური პასექი იწყებოდა პარასკევ საღამოს, როდესაც უფალი ჯვარზე იყო გაკრული (იოანე 18, 28), – იესო ქრისტეს თანმხლებნი არ შევიდნენ პრეტორიუმში, ***რაჲთა არა შეიგინნენ, არამედ რაჲთა ჭამონ პასექი*** (იოანე 18, 28). იუდეველები ჩქარობდნენ, გადაემტვრიათ მუხლები ჯვარცმულთათვის, რათა არ დაეტოვებინათ მათი სხეულები ჯვარზე შაბათისთვის, ***რამეთუ იყო დიდ დღე იგი შაბათისაჲ მის*** (იოანე 19, 31), ანუ შაბათი ემთხვეოდა პასექის დღესასწაულის პირველ დღეს და, შესაბამისად, პასქა უნდა ეჭამათ წინა დღეს, პარასკევის საღამოს, მას შემდეგ, რაც ქრისტე ჯვარზე აცვეს.

ისმის კითხვა, რატომ აღასრულა იესო ქრისტემ პასექი, რომელიც, ეჭვგარეშეა, აღსრულებულ იქნა მის მიერ საიდუმლო სერობაზე (თუმცა მოციქულები არ აღწერენ ამას დაწვრილებით, რადგან მათი მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო ახალაღთქმისეული პასექის დადგინებაზე – ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარებაზე) ერთი დღით ადრე, ვიდრე დაწესებული იყო. არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ, რადგანაც 14 ნისანის საღამო იმ წელიწადს დაემთხვა შაბათის განსვენების დასაწყისს (დგებოდა შაბათი), ამიტომ საპასექო კრავი დაიკლა 13-ში საღამოს, რასაც ემთხვევა წმინდა მარკოზისა (***ოდეს პასექსა მას დაჰკლვიდეს)*** და წმინდა

ლუკას *(ოდეს ღირდა პასქაᲐ იგი დაკლვად)* სიტყვები. გარდა ამისა, ცნობილია, რომ გალილეველებისათვის პასქა იკვლებოდა ყოველთვის ერთი დღით ადრე – 14-ის ნაცვლად 13-ში, რაც დიდად უმსუბუქებდა საქმეს ტაძართან მომსახურეებს, რომელთათვისაც ძალიან მძიმე იყო 14 რიცხვში რამდენიმე საათის განმავლობაში დაეკლათ 256 000 კრავი. დაბოლოს, ფიქრობენ, რომ უფალმა ერთი დღით ადრე იმიტომ აღასრულა პასექი, რომ იცოდა, მეორე დღეს შეიპყრობდნენ და ჯვარზე აცმევდნენ, და რათა მისი ჯვარცმულობის მსხვერპლი, რომლის წინასახეც საპასექო კრავი იყო, შეწირულიყო სწორედ იმ დღესა და საათს, როდესაც იკვლებოდა საპასექო კრავები. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვიცით, რომ იოანე მახარებლის მიზანი იყო, შეევსო პირველი სამი მახარებლის მონათხრობი, ამიტომაც მისი სიტყვები იმის შესახებ, რომ საიდუმლო სერობა შედგა პასექის დადგომამდე, ანუ არა 14-ში, არამედ 13-ში, უნდა მივიღოთ უეჭველ ფაქტად.

მშვენიერი იყო თვით მზადება საიდუმლო სერობისა. ბეთანიიდან უფალმა თავისი ორი მოწაფე გაგზავნა ქალაქში, ანუ იერუსალიმში, და უთხრა, რომ იქ ისინი შეხვდებოდნენ წყლიანი დოქით მომავალ კაცს. მოციქულები უნდა გაჰყოლოდნენ მას და სახლის პატრონისთვის, სადაც ის შევიდოდა, უნდა ეთქვათ: ***მოძღუარი ეგრეთ იტყჳს: ჟამი ჩემი ახლოს არს,*** – უფალს არ შეუძლია გადადოს პასექის დღესასწაულობა და დღესვე ***შენ თანა ვყო პასქაᲐ ესე მოწაფითურთ ჩემით.*** მოწაფეები – წმინდა ლუკას თანახმად, პეტრე და იოანე – წავიდნენ, და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მათ უფალმა უთხრა. სახლის პატრონმა მოუმზადა მათ ოთახი, მოწაფეებმა კი იქ მოამზადეს პასქა. ყოველივე

ამაში, რა თქმა უნდა, ჩანს უფლის ყოვლისმცოდნეობა. ამასთან, უფლის სიტყვები მიუთითებს, რომ იგი ჩქარობს იმ დროის მოახლოების გამო, როდესაც მის მიმართ უნდა უნდა მომხდარიყო დიდი და უკანასკნელი მოვლენები მის მიწიერ ცხოვრებაში. ძალიან გულისშემძვრელად იწყებს თავის მონათხრობს სერობის შესახებ წმინდა იოანე: ***იცოდა იესუ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, რაჲთა განვიდეს ამიერ სოფლით და მივიდეს მამისა, რამეთუ შეიყუარნა თჳსნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინი*** (იოანე 13, 1), – აქ შერწყმულია იესოს ორი ხასიათი: ღმრთეებრივი და კაცობრივი. როგორც ღმერთმა, მან იცის თავისი ჟამის მოახლოება და მიდის მის შესახვედრად; როგორც კაცი, ის კაცობრივად წუხს მოწაფეებთან მოახლოებული განშორების გამო, და ეს განცდა წარმოშობს მასში სიყვარულის განსაკუთრებულ სიუხვეს მათ მიმართ; და ეს თავისი „სრულიად" სიყვარული უფალმა გამოხატა ყველაფრით, რაც ითქვა და აღესრულა საიდუმლო სერობაზე.

წმინდა ლუკა ამბობს, რომ უფალმა სერობა დაიწყო სიტყვებით: ***გულისსიტყჳთ გული-მითქუმიდა პასექსა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა. ხოლო გეტყჳ თქუენ: „არღარა ვჭამო ამიერითგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა".*** ეს იყო უკანასკნელი საპასექო სერობა, რომელიც შეეძლო უფალს ედღესასწაულა თავის მოწაფეებთან ერთად მიწიერ ცხოვრებაში: ამ რჯულისმიერი პასექის ნაცვლად მას განზრახული ჰქონდა, დაედგინა ამჟამად ჭეშმარიტი პასექი – თავისი ხორცისა და სისხლის საიდუმლო სერობა, ანუ ევქარისტიის საიდუმლო. ეს იყო უკანასკნელი ძველაღთქმისეული პასექი ყველა მისი მიმდევრისათვის:

ამის შემდგომ ისინი ეზიარებიან მის სისხლსა და ხორცს, მანამ, ვიდრე შევლენ მასთან უმჭიდროეს და უწრფელეს ერთობაში მომავალ ნეტარ ცხოვრებაში – „დაუღამელსა მას დღესა სუფევისა შენისასა“, როგორც იგალობება საპასექო კანონის ერთ-ერთ ტროპარში. მომავალ ცხოვრებაში ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის ქრისტესთან ერთობა ნაწილობრივ შეგვიძლია შევადაროთ იმ სიახლოვეს, რომელიც ჰქონდა უფალს თავის მოწაფეებთან საიდუმლო სერობაზე. შესაბამისად, ქრისტეს ზემოთ მოყვანილი სიტყვების აზრი ასეთია: „ეს პასექი იმ სახით, როგორც ჩვენ დღეს აღვასრულებთ, აღარ განმეორდება, სანამ მომავალ საუკუნეში მოზეიმე ეკლესიაში არ შესრულდება სრული და საბოლოო ზომით“. უშუალოდ ამის შემდეგ, წმინდა ლუკას თანახმად, უფალმა მოწაფეებს მიაწოდა შესასმელად ფიალა ღვინოთი, რითაც შეასრულეს ძველი აღთქმის რიტუალი, ამასთან, ბრძანა: ***ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჯისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისაჲ მოვიდეს;*** წმინდა მარკოზის თანახმად: ***რაჟამს-იგი ვსუა ახალი სასუფეველსა ღმრთისასა,*** – თუ რა არის ეს ახალი ღვინო, გვასწავლის ეკლესია, როდესაც გალობს ქრისტეს აღდგომის დღეს: „მოვედით ვეზიარნეთ ახლისა ამის ვენახისა ნაყოფსა“. ამდენად, ვენახის ახალი ნაყოფი, ახალი ღვინო – ეს არის ღვთაებრივი მხიარულება ქრისტეს ეკლესიისა, რადგან ღვინო არის სიხარულის, მხიარულების სიმბოლო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტეს ამ სიტყვების შემდეგ საპასექო კერძები მიიღეს ჩვეულებრივი ლოცვითა და რიტუალებით, რისი აღნიშვნაც მახარებლებმა ზედმეტად ჩათვალეს, რადგან მათი ამოცანა იყო აღენიშნათ უფლის მიერ აღსრუ-

ლებული ახალი, უკვე ქრისტიანული პასექის – ევქარისტიის საიდუმლოს დადგინებაზე. ეს ახალაღთქმისეული სერობა გამოიხსნა ფეხების ბანვით.

ფეხბანვა
(იოანე 13, 2-20)

სერობის წინ ფეხების დაბანა ჩვეულება იყო, რასაც, როგორც წესი, მსახური ასრულებდა. თუმცა ამ ჩვეულებას ყოველთვის არ იცავდნენ (ლუკა 7, 44); არ იცავდნენ უფლის მცირე საზოგადოებაშიც, როგორც ჩანს იმიტომ, რომ უფალს სურდა, თავად ეჩვენებინა მოწაფეებისათვის სიმდაბლისა და თავდადებული სიყვარულის მაგალითი. წმინდა ლუკა გვაუწყებს, რომ სერობაზე მოწაფეებს შორის კამათი წარმოიშვა, ***ვითარმედ: ვინ-მე იყოს დიდ მათ შორის?*** (ლუკა 22, 24). სარწმუნოა, რომ ეს ყოფილიყო იმის საბაბი, რომ უფალს ეჩვენებინა სიმდაბლისა და ურთიერთსიყვარულის მაგალითი ფეხბანვის გზით. ამ ფეხბანვის შესახებ მოგვითხრობს მხოლოდ ერთი მახარებელი, წმინდა იოანე, თანაც, საკმაოდ დაწვრილებით, და ამით, როგორც სხვა შემთხვევებში, ავსებს სხვა სამი მახარებლის მონათხრობს. ***იცოდა იესუ, რამეთუ ყოველივე მოსცა მას მამამან ჯელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს,*** – ამ სიტყვების აზრი შემდეგია: მამა ღმერთისგან ღმერთკაცს მიცემული ჰქონდა ყველა საშუალების გამოყენების უფლებამოსილება, რასაც ის ჩათვლიდა საჭიროდ ხალხის გადასარჩენად, – ეს არის იმის მიზეზი, თუ რატომ ემზადებოდა ის ახლა შეესრულებინა ესოდენ უჩვეულო მოქმედება, ესოდენ საწინააღმდეგო ადამიანური გაგებისათვის. იგი დგება, მოწაფეთა გასაკვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, იხდის ზედა სამოსელს (მოსასხამს), ხელი რომ არ შეუშალოს, და რჩება მხოლოდ პერანგში, როგორც მონა. შემდეგ იღებს პირსახოცს, მონასავით წელზე ირტყამს, საბანელში წყალს ასხამს და იწყებს მოწაფეებისთვის ფეხების ბანვას – მონის მოვალეობის შესრულებას – წელზე შემორტყმული პირსხოცით შემშრალებას. ეს იყო მდუმარე, მაგრამ თვალსაჩინო აღთქმა მიმავალი მოძღვრისა თავისი მოწაფეებისადმი – სიმდაბლისა და ურთიერთმსახურების აღთქმა, ერთმანეთის წინაშე ყოველგვარი ქედმაღლობის გარეშე. როგორი ძლიერი უარყოფაა აქ გადმოცემული ცრუ რომაულ-კათოლიკური სწავლებისა წმინდა პეტრე მოციქულის პირველობისა სხვა მოციქულებზე და ამ ცრუ დოგმატზე დაფუძნებული პაპის პრიმატის შესახებ ეკლესიაში.

და მოვიდა სიმონ-პეტრესა, – აქედან ჩანს, რომ სიმონი არ იყო პირველი, ვისთანაც ის მივიდა, და როგორც ჩანს, ის მასთან ახლოს არ იჯდა ინახით (შდრ. 24-ე მუხლთან). პეტრე გაოგნებული იყო უფლის მოქმედებით და ჩათვალა, რომ ის არ შეეფერებოდა მის მაღალ ღირსებას, ამიტომაც ცხოვრებაში მეორეჯერ გაბედა, შეპასუხებოდა მას (შდრ. მათე 16, 22): ***არა დამბანნე ფერჯნი ჩემნი უკუნისამდე.*** პასუხად მან გაიგონა მუქარა, რომ თუკი ის განაგრძობდა ჯიუტად დაუმორჩილებლობას და საკუთარ გონებას ქრისტეს გონების ადგილზე დააყენებდა, მაშინ მას არ ექნებოდა ***ნაწილი*** ქრისტესთან., სხვა სიტყვებით, განიკვეთებოდა ქრისტესთან ერთობისგან. პეტრეს შეეშინდა ამ მუქარის და სიყვარულით ანთებულმა თავისი ღმრთეებრივი მოძღვრის მიმართ, შესთავაზა, დამბანეო ***ნუ ხოლო ფერჯნი ჩემნი, არამედ ჯელნიცა და თავიცა ჩემი,*** – ანუ გამოხატავს მზადყოფნას, თავის

უფალს დაემორჩილოს სხვებზე მეტადაც კი, რომელსაც მხოლოდ ფეხებს ბანდა უფალი. „რაოდენ ახასიათებს ეს კერძო შემთხვევა სიმონ-პეტრეს, – ამბობს ეპისკოპოსი მიხეილი, – რომელიც გადაწყვეტს უფალთან ტალღებით მივიდეს და მერე ყვირის, რომ იღუპება, რომელიც მახვილს ურტყამს მღვდელთმთავრის მონას და შემდეგ გარბის, რომელიც იპარება ეზოში, სადაც უფალს ასამართლებდნენ, მერე კი უარყოფს მას და მიდის იქიდან მწარედ ატირებული“.

თავის პასუხში უფალი მიანიშნებს პეტრეს თავისი ქმედებების უმაღლეს აზრზე და ამასთანავე, თითქოსდა ანუგეშებს პეტრეს. ***თქუენცა წმიდა ხართ, არამედ არა ყოველნი,*** – აქ აშკარა მინიშნებაა იუდას გამცემლობაზე. ფეხების დაბანის შემდეგ, უფალმა განუმარტა მოწაფეებს, თუ რა განზრახვით გააკეთა მან ეს, და აუხსნა, რომ მათაც სიყვარულით უნდა ემსახურონ ერთმანეთს, არანაირი შრომა არ უნდა ჩათვალონ დამამცირებლად და არ უნდა იამაყონ ერთმანეთის წინაშე.

უფალი აცხადებს გამცემის შესახებ

(მათე 26, 21-25; მარკოზი 14, 18-21; ლუკა 22, 21-23; იოანე 13, 21-30)

ყველაზე დაწვრილებით უფლის მიერ თავისი გამცემლის მხილების შესახებ მოგვითხრობს წმინდა იოანე, რომელიც საოდუმლო სერობაზე ყველაზე ახლოს იჯდა უფალთან და მის მკერდზე იყო მიყრდნობილი, – თვით მახარებლის მოწმობით. დაბანა რა მოწაფეს ფეხები და მისცა დარიგება, უფალი ***შეძრწუნდა სულითა,*** იმის შეგრძნებით, რომ ამ საზეიმო საათებში, როდესაც მას უნდა დაეწესებინა თავისი სისხლისა და ხორცის ზიარების დიდი საიდუმლო და მიეცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მიმდევრებისთვის უკანასკნელი გამოსამშვიდობებელი შეგონებები, იქვე იმყოფებოდა მისი გამცემი; და, რა თქმა უნდა, იმ მიზნით, რომ შეიძლება თვით იუდაშიც გაეღვიძებინა სინანული მის მიერ ჩაფიქრებული საშინელი დანაშაულის გამო, უფალი ამბობს: ***ამენ, ამენ გეტყვ თქუენ, ვითარმედ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე.*** ამ სიტყვებმა მოწაფეებში გამოიწვია სრულიად გასაგები შეშფოთება: მათში აღიძრა ღრმა მწუხარების გრძნობა იმის გამო, რომ მათი საყვარელი მოძღვრის გამცემი მათ შორის იმყოფება. ***მათ იწყეს მწუხარებად,*** – წმინდა მარკოზის თანახმად; ***იგინი შეწუხნეს ფრიად,*** – წმინდა მათეს თანახმად. მათ ესმოდათ ადამიანის ბუნების ღრმა დაცემულობა და თითქოსდა არ ენდობიან საკუთარ თავს, როცა ეკითხებიან: ნუუკუე მე ვარ, უფალო? – წმინდა მათეს მიხედვით (26, 22), და გაკვირვებულნი ერთმანეთს მისჩერებოდნენ (იოანე 13, 22), ნეტავ ვის გულისხმობს უფალიო. წმინდა მათეს თანახმად იუდა ეკითხება: ***ნუუკუე მე ვარ, მოძღუარ?*** (მათე 26, 25); უფალმა წყნარად უთხრა: ***შენ სთქუ,*** რითაც უკანასკნელად ცდილობს აღძრას ის სინანულად, თუმცა, უშედეგოდ. ***იყო ერთი მოწაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა თანა იესუჲსთა, რომელი-იგი უყუარდა იესუს,*** – ასე ამბობს თავის შესახებ იესოს საყვარელი მოწაფე იოანე ღვთისმეტყველი; იგი არ ამბობს თავის სახელს სიმდაბლის გამო. ჩვეულების თანახმად, სუფრის ირგვლივ ინახით მჯდომთ სახე და მკერდი სუფრისკენ ჰქონდათ მიმართული, მარცხენა ხელის იდაყვით ბალიშს ეყრდნობოდნენ, მარჯვენა კი თავისუფალი ჰქონდათ და შეეძლოთ, საჭმელისკენ გაეწვდინათ, ხოლო ფეხები სუფრიდან გარეთ ჰქონდათ მოხრილი. ასე რომ, თითოეული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის მისი შემდგომის თავი მის მკერდთან თავსდებოდა და-
არა – ფეხებთან. ამდენად, იოანეს იესოს მკერდზე ჰქონდა
თავი მიდებული, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იყო ***მიყრდნობილ
წიაღთა თანა იესუასთა.*** პეტრე მოციქულმა ამით ისარგებ-
ლა და ანიშნა მას, ეკითხა უფლისთვის გამცემის შესახებ. ეს
აჩვენებს, რომ თვითონ პეტრე არ იყო იმდენად ახლოს უფალ-
თან, არ ეკავა პირველი ადგილი მის მახლობლად (რომაელ-
კათოლიკეთა სწავლების საწინააღმდეგოდ პეტრეს პირველ-
ობასთან დაკავშირებით). განსაკუთრებული კადნიერებით,
როგორც ეს შეიძლება გაებედა მხოლოდ საყვარელ მოწა-
ფეს, იგი ეკითხება უფალს: ***ვინ არს?*** იესომ უპასუხა: ***რომელსა
მე დავაწო პური და მივსცე, იგი არს. და დააწო პური იგი
და მისცა იუდას სიმონისსა, ისკარიოტელსა.*** საპასექო სუფ-
რაზე პურს აწობდნენ ფინიკისა და ლეღვისგან დამზადებულ
წვნიანში. ოჯახის უფროსი არიგებდა ხშირად ასეთ პურის
ნატეხებს თავისი განსაკუთრებული კეთილი განწყობის ნიშ-
ნად; და ამით, რა თქმა უნდა, უფალს სურდა კიდევ ერთხელ
გაეღვიძებინა იუდაში სინანულის გრძნობა. ეს მხოლოდ იო-
ანემ გაიგო. სხვა მოციქულებს უფალმა უთხრა გამცემის
შესახებ ისე, როგორც ამას მოგვითხრობს პირველი სამი
მახარებელი, რაც ზოგადად მან ასე გამოხატა: ***რომელსა მე
დავაწო პური და მივსცე, იგი არს... ვაჲ კაცისა მის, რომლისა
მიერ ძე კაცისაჲ მიეცეს,*** – უფალი აქ ყურადღებას ამახ-
ვილებს არა გამცემლობის სისაძაგლეზე, არამედ თვით გამ-
ცემის უბედურ ხვედრზე და გამოთქვამს წუხილს მის გამო.
„მაგრამ მავანი იტყვის, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი,
– თუკი წერია, რომ ქრისტე ამგვარად ეწამება, მაშინ რისთვის
განიკითხება იუდა? მან შეასრულა ის, რაც ეწერა, მაგრამ

შეასრულა არა იმ აზრით, არამედ – ღვარძლით. თუ შენ მიზანს არ შეხედავ, მაშინ ეშმაკსც გაათავისუფლებ ბრალისგან. მაგრამ არა და არა. ერთიც და მეორეც იმსახურებს ურიცხვ ტანჯვას, თუნდაც გადარჩეს მთელი მსოფლიო. რადგან არა იუდას გამცემლობამ მოგვიტანა ჩვენ ხსნა, არამედ ქრისტეს სიბრძნემ და მისმა უდიდესმა განგებულებამ, რომელმაც სხვისი ბოროტება ჩვენს სასარგებლოდ მოაქცია. მაშ რა, იკითხავ შენ, იუდას რომ არ გაეცა, სხვა არავინ გასცემდა?.. ყველა რომ კეთილი ყოფილიყო, მაშინ არ აღსრულდებოდა ჩვენი ცხონების აღმშენებლობა, – ნუ იყოფინ! რამეთუ თვით ყოვლადბრძენმა იცოდა, როგორ მოეწყო ჩვენი ცხონება, თუნდაც რომ არ მომხდარიყო გამცემლობა. მისი სიბრძნე დიდიც არის და მიუწვდომელიც. ამიტომ, ვინმემ რომ არ იფიქროს, თითქოს იუდა ადამიანთა ცხონების განგებულებას ემსახურებოდა, ამიტომ უწოდებს მას იესო უუბედურეს ადამიანს". იმით, რომ უფალმა იუდას მისცა ლუკმა პური, შეეცადა მასში სინანულის გაღვიძებას, მაგრამ ისკარიოტელის დაბნელებულ სულს სრულიად საპირისპირო დაემართა: ***შემდგომად მიღებისა იუდაჲსა პურისა მის შევიდა მისა ეშმაკი.*** მიუხედავად უფლის გამაფრთხილებელი სიტყვებისა და სინანულისაკენ მოწოდების ჟესტისა, იუდა კიდევ უფრო გასასტიკდა უფლის წინააღმდეგ, როგორც ეს ხდება ბოროტებაში ღრმად ჩაძირულ სულებთან მიმართებით. გულთამხილველმა უფალმა იცოდა, რა ხდებოდა იუდას გულში, მაგრამ არ უნდოდა აშკარად ემხილებინა იგი ყველა მოწაფის წინაშე, რათა მოწაფეებს არ გამოეყენებინათ მის წინააღმდეგ რაიმე ძალადობრივი მეთოდი და არ გასჩენოდათ ამაო აზრი, შეწინააღმდეგებოდნენ საღვთო განსაზღვრულობას, ამიტომ უთხრა

მხოლოდ მისთვის გასაგები სიტყვები: ***რომელი გეგულებოს საქმედ, ყავ ადრე.*** „ჩქარა გააკეთე, რაც ჩაგიფიქრებია“, ეს არის უფლის ხელმწიფებრივი ბრძანება, რომელსაც სწყურია, რაც შეიძლება მალე აღსრულოს მამა ღმერთის ნება – თავისი გამომსყიდველობითი ღვაწლი, ამასთანავე, გაათავისუფლოს მოწაფეების საზოგადოება იუდასგან, დაადგინოს მის, როგორც უღირსის, გარეშე ევქარისტიის დიდი საიდუმლო და მისცეს მოწაფეებს უკანასკნელი, გამოსამშვიდობებელი შეგონება.

იოანე ღვთისმეტყველი ამტკიცებს, რომ არავის გაუგია უფლის ამ სიტყვების მნიშვნელობა, მათ შორის თვით იოანესაც. არავინ ფიქრობდა, რომ გაცემა შედგებოდა იმავე ღამეს; ყველა ფიქრობდა, რომ უფალმა რაიმე განკარგულება მისცა იუდას სადღესასწაულო საყიდლებთან დაკავშირებით. აი, კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ დღესასწაული ჯერ არ დამდგარიყო და, შესაბამისად, საიდუმლო სერობა შედგა ნისანის 13 რიცხვში, იუდეველთა პასექის დადგომის წინ. თვით დღესასწაულის საღამოს ვერც ვერაფერს იყიდდი, ვერც ღარიბ-ღატაკებს ნახავდი, რომ დახმარებოდი, რადგან ამ დროს არავინ, არც მდიდარი და არც ღარიბი, სახლიდან არ გამოდიოდა და რჯულის თანახმად პასექს დღესასწაულობდა. ***იყო ღამე,*** - ნეტარი თეოფილაქტე ვარაუდობს, რომ შესაძლოა, აქ მახარებელი გულისხმობს აზრობრივ ღამეს, იმ სულიერ სიბნელეს, რომელმაც საბოლოდ დაუბნელა სული იუდა-გამცემელს, რომელსაც ისედაც დაბნელებული ჰქონდა ის ვერცხლისმოყვარეობით. შემდეგ წმინდა იოანე გადმოგვცემს მოწაფეებთან უფლის გამოსამშვიდობებელ სიტყვას, რომელიც ასე იწყება: ***აწ იდიდა ძე კაცისაჲ,*** რომელიც იკითხება ჩვენ-

ეკლესიის ბიბლიოთეკა

თან ღვთისმსახურებაზე წმინდა ვნებების პირველის სახარების სახით დიდი ხუთშაბათის საღამოს. თუმცა, აუცილებლად უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინვე, იუდას წასვლის შემდეგ, უფალი თავიდან ადგენს ევქარისტიის საიდუმლოს, რასაც მოგვითხრობს პირველი სამი მახარებელი, მაგრამ რის შესახებაც დუმს წმინდა იოანე, და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა მან მოწაფეებს იმ სიტყვებით, რომლებსაც იგი უკვე დაწვრილებით გადმოგვცემს და ამით ავსებს პირველი სამი მახარებლის მონათხრობს.

ევქარისტიის საიდუმლოს დაწესება
(მათე 26, 26-29; მარკოზი 14, 22-25; ლუკა 22, 19-20)

ამის შესახებ სამივე სინოპტიკოსი თითქმის ერთნაირად მოგვითხრობს. უფალმა აიღო პური, აკურთხა, გატეხა, დაურიგა მოწაფეებს და უთხრა: ***მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჯორცი ჩემი.*** პურს აქ ეწოდება არტოსი, რაც ნიშნავს „აფუებულ პურს“, საფუარზე დამჟავებულს. მისი საპირისპიროა „აკსიმონი“, ამუ მტკნარი პური, რომელსც ებრაელები პასექზე იყენებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი პური საგანგებოდ დაამზადებინა უფალმა ახალი აღთქმის დასაწესებლად. ამ პურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის, როგორც „ცოცხალი“, ახალი ცხოვრების სიმბოლოს წარმოადგენს, საპირისპიროდ მტკნარი, „მკვდარი“ პურისა. „აკურთხა“, „მადლობდა“ – მიუთითებს მამა-ღმერთისადმი მადლობის სიტყვიერ გამოხატულებაზე, როგორც ეს იყო, მაგალითად, ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების მომენტში: შევედრებული შესრულდა შევედრების მომენტშივე, ამიტომაც

გახდა მაშინვე მადლობის საგანი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ უფალმა თქვა: ***ესე არს ჯორცი ჩემი.*** მას არ უთქვამს: „ესე პური", არამედ: „ესე", რადგან ამ მომენტში პური უკვე აღარ იყო პური, არამედ იქცა ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და პურის მხოლოდ შეხედულება დარჩა. უფალს არ უთქვამს: „ესე არს ჩემი ხორცის სახე, არამედ, ესე არს ხორცი ჩემი" (წმინდა იოანე ოქროპირი, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი). ქრისტეს ლოცვის შედეგად პური არსებითად იქცა ხორცად, და მხოლოდ გარეგნულად დარჩა პურად. „რადგანაც ჩვენ სუსტები ვართ, – ამბობს ნეტარი თეოფილაქტე, – და ვერ შევჭამდით უმ ხორცს, განსაკუთრებით ადამიანისას, ამიტომ ჩვენ გვეძლევა პური, სინამდვილეში კი ეს ხორცია". „რატომ არ შეშფოთდნენ ამის გაგონებაზე მოწაფენი? – კითხვას სვამს წმინდა იოანე ოქროპირი. – იმიტომ, რომ ქრისტე მანამდე ბევრ მნიშვნელოვანს ამბობდა ამ საიდუმლოს შესახებ (გავიხსენოთ მისი საუბარი ზეცით გარდამოსული პურის თაობაზე, – იოანე მე-6 თავი)". „ქრისტეს ხორცში" იგულისხმება ღმერთკაცის მთელი ფიზიკური არსება, განუყოფლად შეერთებული მის სულთან და ღმრთეებასთან. ღმერთკაცის ეს არსება გვეძლევა ღვინის სახით, გვეძლევა არა სხვა დროს, არამედ მხოლოდ მისი ხილული მოვლენის სავსებისათვის, ამიტომაც გამოთქმა „ორი სახით ზიარება", არის სრულიად ზუსტი გამოთქმა, იგულისხმება: ზიარება ერთი და იგივე არსებით.

ეს არ ნიშნავს, რომ ხორცმა შეიძლება შეცვალოს სისხლი და რომ საკმარისია ზიარება მხოლოდ ხორცით. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ არ დაადგენდა უფალი ზიარებას სწორედ ორი სახით. როდესაც თავისი მოწაფეები ხორცით აზიარა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე აიღო, – როგორც სამივე სინოპტიკოსი მოგვითხრობს, – სასმისი, კვლავ მადლობა აღუვლინა ღმერთს, ანუ ლოცვით მოიხმო სულიწმიდა, ღვინის გარდამქცეველი ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლად, და მოწაფეებს უთხრა: ***სუთ ამისგან ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.*** ტყუილად არ არის დამატებული: „ყოველთა“. არ შეიძლებოდა ღვინის გაყოფა ისე, როგორც პური გაიყვეს, რომელიც უფალმა თავად გატეხა და გაანაწილა მოწაფეებს შორის. სასმისი იყო ერთი და უნდა გადასულიყო ხელიდან ხელში. ვინმე რომ არ გამორჩენილიყო ან თავად არ გამოეტოვებინა სასმისი, ქრისტე დაბეჯითებით ამბობს: ***სუთ ამისგან ყოველთა.*** აქ არ შეიძლება არ დავინახოთ მხილება რომაელ-კათოლიკებისა, რომლებმაც მოაკლეს ერისკაცებს ქრისტეს *სასუმელი*. „რადგანაც მყარი საკვების მიღება ყველას არ შეუძლია ასაკიდან გამომდინარე, – განმარტავს ნეტარი თეოფილაქტე, – დალევა კი ყველას შეუძლია, ამიტომაც ამბობს აქ იესო: სვით ყველამ“. ასევე, ნათქვამია: ***ესე არს სისხლი ჩემი***, – არა მხოლოდ სახე მისი, არა სიმბოლო სისხლისა, არამედ ჭეშმარიტი, ნამდვილი სისხლი. რას ნიშნავს: ***ახლისა აღთქუმისაჲ?*** „როგორც ძველ აღთქმაში იყო ცხვრები და ხბოები, – განმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი, – ასევეა ახალ აღთქმაში უფლის სისხლი. ამით უფალი ასევე აჩვენებს, რომ მან სიკვდილი დაითმინა; ამიტომაც ახსენებს აღთქმას და, ამასთანავე, იხსენებს პირველსაც. რადგან ის აღთქმაც იყო განახლებული სისხლით“. სიტყვა „აღთქმა“ თავისი პირველი მნიშვნელობით იგივეა, რაც სიტყვა: „ანდერძი“. აღთქმა შეიცავს დაპირებას და, ასევე, ამ დაპირების მიღების პირობებ-

საც. ამ შემთხვევაში ეს არის ღვთის მცნებების შესრულება. ამ თვალსაზრისით სიტყვა „აღთქმა“ შეიძლება განიმარტოს, „როგორც შეთანხმება ღმერთსა და ადამიანებს შორის“. შეთანხმება ყოველთვის რაიმეთი დასტურდება და იკვრება. უფალსაც იმის თქმა უნდა, რომ ეს ახალი შეთანხმება ღმერთსა და ადამიანებს შორის, ძველის სანაცვლოდ, იკვრება მისი სისხლით. ***მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა,*** – ნიშნავს, რომ მხოლოდშობილი ძე ღმერთის ტანჯვა და სიკვდილი არის ლმობიერსაყოფი მსხვერპლი მთელი კაცობრიობის ცოდვებისათვის („მრავალთა, ნათქვამია ნაცვლად: „ყოველთა“). ამიტომაც მიეტევება ცოდვები ყველა ქრისტეს მორწმუნეს და მის ყოვლადწმიდა ხორცისა და სისხლის მაზიარებელს. წმინდა ლუკა, ასევე, წმინდა პავლე (1 კორ. თავი მე-11) ამბობენ, რომ ამასთან უფალმა დასძინა: ***ამას ჰყოფდით მოსაჴსენებლად ჩემდა.*** აქედან არაფრით არ შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, როგორც ამას სექტანტები აკეთებენ, რომ ევქარისტია თითქოს მხოლოდ „მოხსენიებაა“ საიდუმლო სერობისა. ეს იმიტომ არის ნათქვამი, რომ უფალი უკვე აღარ იქნება თავის მოწაფეებთან და მიმდევრებთან ხილული სახით, და შევლენ რა ისინი მასთან საიდუმლო თანაზიარებაში მისი ხორცისა და სისხლის მიღებით, გაიხსენებენ მასთან მყოფობას. მოციქულთა საქმეთა წიგნში, პავლე მოციქულის ეპისტოლეებში და ქრისტიანული დამწერლობის სხვა ძველი დროის ძეგლში, ჩვენ ვხედავთ იმის მრავალ მოწმობას, რომ იმ დროში ქრისტიანთა ყველა ლოცვითი შეკრება ხასიათდებოდა ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღებით პურისა და ღვინის მიღების სახით. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ყველა ქრისტიანი, იმათ გარ-

ეკლესიის ბიბლიოთეკა

და, ვინც განყენებული იყო ზიარებიდან, როდესაც ეკლესია-ში მიდიოდა კვირა და დღესასწაულის დღეებში, ბუცილე-ბლად ეზიარებოდა წმინდა საიდუმლოს.

ცილობა მოწაფეთა შორის: ვინ-მე იყოს დიდ მათ შორის?

(ლუკა 22, 24-30)

წმინდა ლუკა მოგვითხრობს, რომ ამის შემდეგ მოწაფე-ებმა დაიწყეს დავა იმის შესახებ, თუ ვინ უფრო დიდი იყო მათ შორის. როდესაც უფალმა მოციქულებს ფეხები დაბანა, იმავდროულად, ასწავლა, რომ მდაბლად ემსახურათ ერთ-მანეთისთვის, მაგრამ ამით არ გაუუქმებია თვით იდეა უფროსო-ბისა და ხელმწიფობისა; ისევე, როგორც მათთვის ფეხების დაბანვით არ უარყვია თავისი ღირსება, როგორც უფალსა და მოძღვარს. შეაგონებდა რა ამჯერად მოწაფეებს, უფალ-მა უთხრა, რომ უფროსი უნდა ემსახუროს სხვებს. რომაელ-კათოლიკეთა აზრი რომ მხედველობაში მიგვეღო, რომლის თანახმადაც პეტრე იყო მოციქულთა თავი, მაშინ მოციქულ-თა შორის ეს დავა გაუგებარი იქნებოდა და უფალი დასაწყის-შივე შეწყვეტდა მას, – დაადასტურებდა, რომ ყველაზე დიდი მათ შორის პეტრე მოციქულია. მაგრამ უფლისგან ჩვენ გვეს-მის სრულიად სხვა: როგორც ადრე მსგავს შემთხვევებში, უფალი მხოლოდ შეაგონებს მოციქულებს, რომ ისინი არ უნდა ესწრაფვოდნენ პირველობას, არამედ უნდა ფიქრობდ-ნენ მხოლოდ ურთიერთმსახურებაზე და აქვე აღუთქვამს მათ, რომ ერთგულებისათვის ყველანი დაიმკვიდრებენ ცათა სასუ-ფეველს და თანასწორად დასხდებიან საყდრებზე განსასჯელად ***ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა,*** რაც ნიშნავს, რომ ყვე-

ლანი ერთნაირად მიიღებენ განსაკუთრებულ წილს მომავალ ცხოვრებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლის გამოსამშვიდობებელი საუბარი თავის მოწაფეებთან

(იოანე 13, 31-38 და მე-14, მე-15, მე-16 თავები; მათე 26, 30-35; მარკოზი 14, 26-31; ლუკა 22, 31-38)

ეს მშვენიერი გულლმობიერი საუბარი უფლისა თავის მოწაფეებთან სრულად გადმოცემულია მხოლოდ იოანე მახარებლის მიერ; მცირე მონაკვეთი მისგან მოჰყავს წმინდა ლუკას, ხოლო პირველი ორი მახარებელი საუბრობს მხოლოდ უფლის წინასწარმეტყველებაზე პეტრეს მიერ მის უარყოფასთან დაკავშირებით და გალილეაში მოწაფეებთან უფლის შეხვედრაზე თავისი აღდგომის შემდეგ. მთელი ეს სიტყვა საკმაოდ დიდია და მოიცავს რამდენიმე თავს. მისი შემდგომი ეგრეთწოდებული „მღვდელთმთავრულ ლოცვასთან" ერთად, ის მთლიანად იკითხება ჩვენთან ღვთისმსახურებაზე დიდ ხუთშაბათს წმინდა ვნებების პირველი სახარების სახით.

წმინდა იოანეს მიხედვით, თავისი საუბარი უფალმა იესო ქრისტემ დაიწყო მაშინვე, იუდას წასვლის შემდეგ ასეთი სიტყვებით: ***აწ იდიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა...*** თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საუბარი უფლის მიერ ამ სიტყვებით დაწყებულია არამცთუ იუდას წასვლის შემდეგ, არამედ მის მიერ ზიარების საიდუმლოს შემდეგ, მაგრამ ამის შესახებ წმინდა იოანე დუმს, რადგან ის მხოლოდ ავსებს პირველი სამი მახარებლის გადმოცემას. უფალმა აზიარა მოწაფეები თავის სისხლსა და ხორცს და გამოსყ-

იდვის საიდუმლო დაინახა ერთგვარად აღსრულებულად, და ახლა, როგორც უკვე თითქოსდა მსხვერპლად შეწირულმა და მტრულ ძალებზე გამარჯვებულმა შეჰღაღადა გამარჯვების ეს სიტყვები: ***აწ იდიდა ძე კაცისაჲ, და ღმერთიცა იდიდა მის თანა....*** „აწ", ესე იგი, ამ საიდუმლო და საშინელ ღამეს დადგა ძე ღვთისას განდიდება, რაც ამავე დროს არის მამა ღმერთის განდიდებაც, რომელმაც კეთილინება მსხვერპლად შეეწირა თავისი მხოლოდშობილი ძე ადამიანთა გამოსახსნელად, და ძის ეს მიწიერი განდიდება არის დასაწყისი მისი მომავალი ზეციური განდიდებისა, როგორც სიკვდილსა და ჯოჯოხეთზე გამარჯვებულისა. უფალს სურს გამოიყვანოს თავისი მოწაფეები სულის იმ დათრგუნული მდგომარეობიდან, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ ერთ-ერთი მათგანის გამცემლობის შესახებ აზრის ზეგავლენით და ამიტომ მათ ყურადღებას მიაპყრობს თავისი ღმრთეებრივი დიდებისკენ, რომელიც გაცხადდება მისი მომავალი ტანჯვებით, ასევე აღდგომითა და ზეცად ამაღლებით. ***მეყსეულად ადიდოს იგი,*** – ანუ დიდხანს არ გაგრძელდება მისი დამცირება და მალე დაიწყება მისი ხილული განდიდება. ***შვილნო, მცირედ ჟამ თქუენ თანა ვარ,*** – ეს ძალიან ალერსიანი მიმართვა უფლისა თავისი მოწაფეებისადმი, სახარებაში სხვაგან არსად გვხვდება: ის იმ ღრმა გრძნობიდან გადმოიღვარა, რომელიც უკავშირდებოდა მათ განშორებას მოწაფეების რწმენისათვის ესოდენ მძიმე და გამოსაცდელ ვითარებებში. ***ვითარცა-იგი ვარქუ ჰურიათა, ვითარმედ: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ ჴელ-გეწიფების მოსლვად; და აწ თქუენ გეტყვ,*** – გტოვებთ თქვენ ამქვეყნად ჩემი საქმეების გასაგრძელებლად. ***მცნებასა ახალსა მიგცემ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით***

ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ, – ადამიანების სიყვარულით მე ჩემს სიცოცხლეს ვდებ მათთვის, და თქვენც უნდა მომბაძოთ ამ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვასის სიყვარულის მცნება მოსეს რჯულით იყო მოცემული, მაგრამ ქრისტემ ამ მცნებას სხვა, მანამდე უცნობი ხასიათი მისცა – მტრების სიყვარულიც თავგანწირვამდე ქრისტეს სახელით. ასეთი წმინდა, უანგარო და თავგანწირული სიყვარული არის ჭეშმარიტი ქრისტიანობის ნიშანი. წმინდა პეტრე უსვამს შიშითა და წუხილით სავსე კითხვას: ***უფალო, ვიდრე ხუალ?*** უფალი ადასტურებს, რომ პეტრე ახლა მას ვერ გაჰყვება, მაგრამ აქვე წინასწარმეტყველებს, რომ მომავალში ის წავა იმავე მოწამებრივი გზით. შემდეგ ამას მოსდევს წინასწარმეტყველება პეტრეს მიერ უფლის სამგზის უარყოფისა, რასაც ოთხივე მახარებელი მოგვითხრობს. უფალი აფრთხილებს პეტრეს, არ აჰყვეს თავდაჯერებულობას, რის გამოც პეტრე ირწმუნებოდა, რომ სულს დადებდა უფლისთვის, და წმინდა ლუკას თანახმად, მას უთხრა: ***სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი.***

საგულისხმოა, რომ უფალი აქ მას უწოდებს არა პეტრეს, არამედ სიმონს, რამეთუ უფლის უარყოფის გამო ის უკვე აღარ იყო „კლდე“. ამ „აღცრაში“ იგულისხმება განსაცდელი სატანისგან, რომელსაც მართლაც დაექვემდებარენ მოციქულები მათი ღმრთეებრივი მოძღვრის ტანჯვის ჟამს, როდესაც უფლისადმი მათი რწმენა მზად იყო შესარყევად, სატანის ეს თხოვნა გვახსენებს მის თხოვნას, დაკავშირებულს იობ მრავალვნებულთან, რომლის მიმართაც უფალმა დაუშვა ასეთი მძიმე განსაცდელი. თავისი ყოვლადძლიერი ლოცვით უფალ-

მა დაითარა თავისი მოწაფეები და განსაკუთრებით პეტრე, სრული დაცემისგან; პეტრეს მიმართ კი დაუშვა დროებითი დაცემა, რათა ამის შემდეგ ის უფრო ძლიერი და მტკიცე ყოფილიყო და თავისი თანამოძმეებიც განემტკიცებინა. ***მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთჳს,*** – თუმცა საფრთხე სატანის მხრიდან ყველას ემუქრებოდა, მაგრამ უფალი განსაკუთრებით პეტრეზე ლოცულობდა, რადგან მას, როგორც სხვებთან შედარებით უფრო ფიცხსა და გამბედავს, მეტი საფრთხე ემუქრებოდა. ***და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი,*** – ამით მიანიშნებს, რომ ქრისტეს უარყოფის შემდეგ პეტრე მოინანიებს და იქცევა ჭეშმარიტი სინანულის ნიმუშად და სიმტკიცის მაგალითად. პასუხად პეტრე, ოთხივე მახარებლის თანხმად, იწყებს უფლის დარწმუნებას მისდამი ურყევ ერთგულებაში, და მზადყოფნას გამოთქვას, რომ მასთან ერთად საპყრობილეშიც წავა და სიკვდილზეც. მაინც, როგორ მოხდა პეტრეს მიერ უფლის უარყოფა, თუკი უფალი ლოცულობდა, რომ ***არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ*** პეტრეს? მაგრამ სარწმუნოება პეტრეს არც მოკლებია: ის განუდგა უფალს სულმოკლე შიშის შემოტევისას და მაშინვე, როგორც ვხედავთ, მიეცა ყველაზე ღრმა სინანულს. ოთხივე მახარებელი გადმოგვცემს, რომ ქრისტემ უწინასწარმეტყველა პეტრეს, რომ ის უარყოფდა მას იმავე ღამით სამჯერ, და ეს მოხდებოდა მამლის ყივილამდე; მარკოზ მახარებლის თანახმად, ვიდრე ორჯერ იყივლებდა მამალი. წმინდა მარკოზის ეს ზედმიწევნითი სიზუსტე, რა თქმა უნდა, იმით აიხსნება, რომ იგი თავის სახარებას წერდა თვით პეტრე მოციქულის ხელმძღვანელობით. მამალი პირველად შუაღამეს ყიოდა, მეორედ – გამთენიისას. შესაბამისად, ჯერ კიდევ დილის

დადგომამდე პეტრე სამგზის უარყოფდა თავის მოძღვარსა და უფალს. როგორც ჩანს, უფალმა ეს ორჯერ იწინასწარმეტყველა: პირველად ჯერ კიდევ სერობაზე, რასაც გადმოგვცემენ ლუკა და იოანე მახარებლები; მეორედ – სერობიდან გამოსვლისას, გეთსიმანიის გზაზე, რასაც გვაუწყებენ წმინდა მათე და წმინდა მარკოზი. პეტრეს მიერ უარყოფის წინასწარმეტყველებას, წმინდა ლუკას თანახმად, უფალი უმატებს წინასწარმეტყველებას იმ სიძნელეებისა და ბრძოლების შესახებ, რაც მის მოწაფეებს მოელით. ***ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თჳნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერჴთა-შესასხმელთა, ნუ გაკლდა რაჲა თქუენ?*** – მანამდე მოციქულებს არაფერი ჰქონდათ საზრუნავი, რადგან ყველგან პოულობდნენ თავისთვის საკვებსა და ყოველივე აუცილებელს, როცა უფლის სიცოცხლეში დადიოდნენ საქადაგებლად იუდესა და სამარაში; ახლა კი სხვა დრო დგებოდა, როდესაც ადამიანების მხრიდან მათი მოძღვრის მიმართ ღვარძლი მათზეც უნდა გავრცელებულიყო. უფლის მთელი შემდგომი სიტყვა, რა თქმა უნდა, სიტყვასიტყვით არ უნდა გავიგოთ, არამედ სიმბოლურად. უფალი უბრალოდ აფრთხილებს მოწაფეებს იმის შესახებ, რომ დგება მათთვის უკიდურესად მძიმე ცხოვრების პერიოდი და ამისთვის უნდა მოემზადნონ; მათ ელით შიმშილი, წყურვილი, ათასნაირი უბედურება, ადამიანთა მხრიდან მტრობა; თუკი მათი მოძღვარი ადამიანთა დასანახად ბოროტმოქმედად იქნება შერაცხული, მაშინ თვითონ ისინი, მისი მოწაფენი, კარგს რას უნდა მოელოდნენ? მოციქულებმა თავიანთი გულუბრიყვილობით უფლის ნათქვამი სიტყვასიტყვით გაიგეს და მიუგეს: ***უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ.*** უფალმა დაინახა, რომ მათ ვერ გაიგეს მისი ნათქვამი და შეწყვიტა ეს საუბარი სიტყვით: ***კმა არს.***

ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი, – უფლის მაღლე წასვლის აზრმა არ უნდა შეაძრწუნოს მოწაფეები, რადგან მისი ამა ქვეყნიდან განსვლა არის მხოლოდ საშუალება მასთან მათი მუდმივი, მარადიული ურთიერთობისა: უფალი აღუთქვამს, რომ როდესაც დადგება დრო, წაიყვანს მათ თავისი ზეციერი მამის მარადიულ სავანეებში. მესიის მიწიერი მეფობის შესახებ ჯერ კიდევ ცრუ წარმოდგენებით გონებადანისლული მოწაფეები ვერ აცნობიერებენ უფლის ამ სიტყვებს და ამიტომაც ეუბნება თომა: ***უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ...*** თავის პასუხში უფალი განმარტავს, რომ თავად არის ის გზა, რომლითაც ისინი უნდა მივიდნენ მამა ღმერთთან, რათა დაიმკვიდრონ მარადიული სავანეები. ***არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ,*** – რამეთუ უფალი არის გამომსყიდველი და მხოლოდ იმ პირისთვის არის ცხონება შესაძლებელი, ვინც იწამებს, რომ მან აღასრულა კაცობრიობის გამოსყიდვა. ***უკუეთუმცა მიცოდეთ მე, მამაჲცამცა ჩემი იცოდეთ,*** – რადგან ქრისტეში გაცხადდა სრულად ღმერთი, როგორც ადრეც ეუბნებოდა ამის შესახებ იგი იუდეველს: ***მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ*** (იოანე 10, 30). ქრისტეს მოწაფეები, თუკი ქრისტეს იცნობენ, მამა-ღმერთსაც უნდა იცნობდნენ. მართალია, ისინი ცუდად იცნობდნენ ქრისტეს, მაგრამ თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ცოდნას, რომელიც მათ ქრისტემ გადასცა განსაკუთრებული სახით საიდუმლო სერობაზე: ფეხბანვით, მის სისხლსა და ხორცთან ზიარებით, თავისი შემაგონებელი საუბრებით. თომასთან ხასიათით მსგავსმა ფილიპემ, რომელიც ასევე განმსჯელობით გამოირჩეოდა, ჰკითხა უფალს: ***მიჩუენე ჩუენ მამაჲ შენი, და კმა არს ჩუენდა,*** – ამ ხედვაში იგი, რა თქმა უნდა, გულისხმობ-

და გრძნობიერ ხედვას, როგორსაც, მაგალითად, წინასწარმეტყველები ეღირსნენ. უფალი დაამწუხრა ფილიპეს გაუგებრობამ და აუხსნა, რომ ეს სრულებითაც არ არის საჭირო, რადგან მასში – მისი საქმეების, სწავლებისა და თვით ღმერთკაცული პიროვნების საშუალებით – დიდი ხანია უნდა შეეცნოთ მამაღმერთი. ამის შემდეგ უფალი განაგრძობს მოწაფეების ნუგეშისცემას და აღუთქვამს, რომ მიანიჭებს მათ სასწაულთმოქმედების ძალას, შეასრულებს, რასაც ისინი ლოცვებში შესთხოვენ: ლოცვა გამომსყიდველი-უფლის სახელით სასწაულებს მოახდენს. იმ პირობით, თუკი უფლისმოყვარე მოწაფენი მის მცნებებს შეასრულებენ, უფალმა აღუთქვა, რომ წარმოუგზავნიდა მათ ნუგეშინისმცემელს და იგი მათთან უკუნისამდე დაჰყოფდა; ეს იქნებოდა სული ჭეშმარიტებისა, რომელიც ერთგვარად შეცვლიდა ქრისტეს სახელს და მისი წყალობით მათ ექნებოდათ მუდმივი საიდუმლო ურთიერთობა ქრისტესთან. „სოფელი“, როგორც ერთობლიობა იმ ადამიანებისა, ვისაც არ სწამს უფალი და მტრულად არის მისდამი განწყობილი, ყველაფრით უცხო და საპირისპიროა ნუგეშინისმცემელი-სულისა და არ შეუძლია მისი მიღება; მოციქულებთან კი ის იმყოფებოდა უფალთან მათი ურთიერთობის გამო მისი მიწიერი ცხოვრების დროს და მათში იქნება საუკუნოდ მას შემდეგ, როცა გარდამოვა მათზე ერგასობის დღეს. ***არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე თქუენდა.***, – ხილული სახით აღდგომის შემდეგ და დაფარულად სულიერი ურთიერთობის გზით ზიარების საიდუმლოში სულიწმიდის მეშვეობით. ***და თქუენცა ცხოველ იყვნეთ*** ჩემთან ერთობში, როგორც მარადიული ცხოვრების წყაროსთან, მაშინ, როდესაც სულიერად მკვდარი სოფელი ვერ დაინახავს უფალს. ***მას დღესა***

შინა – ანუ სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს – ***სცნან თქუენ, რამეთუ მე მამისა ჩემისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ შორის,*** – გაიგებთ ღმერთთან ქრისტესმიერი სულიერი ურთიერთობის არსს. ღმერთთან ამ ურთიერთობის პირობაა უფლის სიყვარული და მისი მცნებების დაცვა. იუდამ, რომელსაც ეწოდება ლებეოსი ან თადეოსი, და რომელიც, როგორც ჩანს, ვერ განეშორა იუდეველებისათვის ძვირფას აზრს მესიის მეფობის შესახებ, უფლის სიტყვები გაიგო სიტყვასიტყვით, კერძოდ, რომ იგი გამოუჩნდება ხილული სახით ყველას, ვისაც კი ის უყვარს და იცავს მის მცნებებს, და ამიტომ გაკვირვება გამოთქვა: რატომ უნდა უფალს, რომ გამოეცხადოს მხოლოდ მათ და არა მთელ ქვეყნიერებას, როგორც დამფუძნებელი მესიის დიდებული მსოფლიო სასუფევლისა. უფალი განუმარტავს, რომ ის საუბრობს საკუთარ დაფარულ სულიერ გამოცხადებაზე თავისი მიმდევრების წინაშე და იმეორებს წინანდელ აზრს, რომ ამისათვის აუცილებელია უყვარდეთ იგი და ასრულებდნენ მის მცნებებს. სოფელს კი, რომელსაც ის არ უყვარს და არ ასრულებს მის მცნებებს, არ შესწევს უნარი ასეთი სულიერი ერთობა იქონიოს უფალთან. ქრისტეს მცნებები კი იმავდროულად მამა-ღმერთის მცნებებია. ყოველივე ეს მოწაფეებისათვის ახლა შეიძლება გასაგები არ იყოს, მაგრამ როდესაც მოვა ნუგეშინისმცემელი, სულიწმიდა, რომელსაც წარმოგზავნის მამა-ღმერთი ქრისტეს სახელით, იგი შეაგონებს მოციქულებს – შეასწავლის მათ ყველაფერს და შეახსენებს ყველაფერს, რასაც ქრისტე ასწავლიდა: განუცხადებს სულიერი ცხოვრების აზრს, ქრისტესმიერ ცხოვრებას.

პასექის სერობის დასრულებისას, ოჯახის თავი, ჩვეულებრივ, ეუბნებოდა დამსწრეებს: „მშვიდობა თქვენდა“, ამის შემდეგ

კი სერობა სრულდებოდა ფსალმუნთა გალობით. უფალმაც, როდესაც გადაწყვიტა საპასექო ოთახი დაეტოვებინა და იცოდა, რომ მალე დატოვებდა თავის მოწაფეებს, ჩვეულებრივ თანახმად გადასცა მოწაფეებს მშვიდობა, მაგრამ ზეციური: ***მშვდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ,*** – ეს არის მშვიდობა, რომელიც სავსებით აწონასწორებს ადამიანის სულის ყველა ძალას, შეაქვს სრული ჰარმონია ადამიანის შინაგან განწყობაში, აწყნარებს ყოველგვარ შფოთსა და მჭვუნვარებას; ეს სწორედ ის მშვიდობაა, რომლის შესახებაც გალობდნენ ანგელოზები შობის ღამეს. ამიტომაც მოციქულები არ უნდა შეშინდნენ და შეშფოთდნენ რაიმეთი.

სერობა დასრულდა. დადგა დრო, დაეტოვებინათ სიონის ოთახი, სადაც ეს ყველაფერი ხდებოდა. გარეთ იყო გაურკვევლობის სიბნელე, ქრისტესთან განშორების შიში და უძლურების შეგრძნება მტრულ წუთისოფელში. ამიტომ უფალი კვლავ ანუგეშებს მოწაფეებს, რომ მივა მათთან და ეუბნება, რომ მათ უნდა უხაროდეთ მისი მამა-ღმერთთან წასვლა, ***რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს,*** – უფროსი, რა თქმა უნდა, როგორც პირველმიზეზი (მამისგან მხოლოდშობილ ძეს, მისგან აქვს დასესხებული თავისი ყოფიერება). „უფროის“ როგორც ღმერთი, ქრისტესთან – ღმერთკაცთან შედარებით. ყოველივე უნდა აღესრულოს წერილისამებრ, რადგან უფალი მოწაფეებს ადრეც აფრთხილებდა: წინასწართქმულის აღსრულებით მოწაფეები დარწმუნდებიან ქრისტეს სიტყვების ჭეშმარიტებაში. ***არღარა მრავალსა ვიტყოდი თქუენ თანა,*** – რამდენიმე საათი იყო დარჩენილი იმ მომენტამდე, ვიდრე იუდა მიიყვანდა ჯარისკაცებს უფლის შესაპყრობად. უფალი სულიერი თვალით ხედავს, როგორ უახლოვდება მას ***მთავარი***

იგი ამის სოფლისაჲ, – სატანა იუდას სახით ჯარისკაცებთან ერთად და გეთსიმანიის ბაღში, სადაც ეშმაკი დაესაჯა, ისევ და სცდიდა წამებისა და სიკვდილის ჟამის შიშით – ეს იყო მისი უკანასკნელი მცდელობა, განეშორებინა მაცხოვარი მთელი კაცობრიობის სახსნელად აღსასრულებელი ღვაწლისგან. უფალი ამასთან ამბობს, რომ ეშმაკმა ***ჩემ თანა პოოს არარაჲ,*** ანუ ქრისტეს უცოდველობის გამო, არ შეუძლია მასში ისეთი რამ იპოვოს, რაზეც იბატონებდა. ეს არის მოწმობა უფლის სრული ზნეობრივი თავისუფლებისა, რომლითაც ის, მხოლოდ თავისი სიყვარულით იღებს თავის სიცოცხლეს მსოფლიოს გადასარჩენად, თავისი მამის ყოვლადწმიდა ნებისამებრ. ***აღდეგით და წარვიდეთ ამიერ,*** – წავიდეთ მოახლოებული მტრის შესახვედრად, რომელიც არის ამა სოფლის მთავარი იუდა-გამცემის სახით.

ბევრი განმმარტებელი იხრება იმისკენ, რომ ამ სიტყვების შემდეგ უნდა წავიკითხოთ მათე მახარებლის სიტყვები, რომელნიც ემთხვევა მარკოზ მახარებლის ასეთივე სიტყვებს: ***და გალობაჲ წართქუეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა*** (მათე 26, 30; მარკოზი 14, 26), – უფალმა თავის მოწაფეებთან ერთად, იუდეველთა ჩვეულების თანახმად, იგალობა 115-118 ფსალმუნების „ალილუიას“ მეორე ნაწილი და წავიდნენ ისინი ელეონის მთისკენ, შემდგომი საუბარი კი უკვე გზაში განაგრძეს. თუმცა ეპისკოპოსი თეოფანე მიიჩნევს, რომ საუბარი გრძელდებოდა ოთახში, რომელიც დატოვეს მთელი საუბრისა და ქრისტეს მღვდელთმთავრული ლოცვის დასრულების შემდეგ. პირველი ვარაუდის სასარგებლოდ, ეპისკოპოს თეოფანეს აზრის საწინააღმდეგოდ, ლაპარაკობს, როგორც ჩანს, ის, რომ შემდგომში უფალი განაგრძობს

საუბარს თავის შესახებ, როგორც ვენახზე. ელეონის კენ ზეზე და მის ფერდობზე კი შეფენილი იყო სწორედ ბევრი ვენახი, რომელთა დანახვაზეც უფალმა გამოიყენა ეს თვალსაჩინო და ცოცხალი სახე-ნიმუში მოწაფეებთან საუბარში.

გამოსამშვიდობებელი საუბრის გაგრძელება
(იოანე, მე-15 და მე-16 თავები)

როგორც ვარაუდობენ, ვენახებზე გავლისას მიუთითა რა მოწაფეებს ვენახზე, უფალმა დაისესხა ვაზისგან სახე-ნიმუში, სულიერი დამოკიდებულებისა მასსა და მის მორწმუნეებს შორის: ***მე ვარ ვენაჯი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს.*** მამა არის მევენახე, როგორც ვენახის მესაკუთრე, და თვითონაც და სხვების მეშვეობითაც ამუშავებს ვენახს. მან დედამიწაზე წარმოგზავნა თავისი ძე, დარგო იგი, როგორც მსხმოიარე ვაზი, რათა კაცობრიობის გაველურებულ და უნაყოფო ტოტებს, ამ ვაზზე მიზრდით, მიეღოთ მისგან ახალი სასიცოცხლო წვენები და თვითონაც გამხდარიყვნენ ნაყოფის გამომღებნი. უნაყოფო ტოტები იკვეთებიან: ვინც თავის რწმენას საქმეებით არ ამტკიცებს, განიძევება მორწმუნეთა საზოგადოებიდან, – ზოგჯერ ამ ცხოვრებაშიც, საბოლოოდ კი სამსჯავრო დღეს. მორწმუნენი და ნაყოფის გამომღებნი კი იწმინდებიან სულიწმიდის ძალითა და მოქმედებით, სხვადასხვა სახის განსაცდელებითა და სატანჯველებით, რათა კიდევ უფრო სრულყოფილნი გახდნენ ზნეობრივ ცხოვრებაში. ქრისტეს მოციქულები უკვე განიწმინდნენ უფლის სწავლებით, მაგრამ სიწმინდეში განმტკიცებისა და სრულყოფისათვის მათ მუდმივად იმაზე ზრუნვა მართებთ, რომ ქრისტესთან ერთობა იქონიონ. მხოლოდ იმას შეუძლია

ქრისტიანული სრულყოფილების ნაყოფი გამოიღოს, ვინც მუდმივ სულიერ ერთობაში იმყოფება ქრისტესთან. ***თჳსიერ ჩემსა არარაჲ ძალ-გიც ყოფად არცა ერთი.*** უნაყოფო ტოტებს ერთად აგროვებენ ***და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას.*** როდესაც უფალი ამას ამბობდა, ეს იყო ის დრო, როდესაც ვენახს წმენდნენ, და შესაძლოა მათ თვალწინ კოცონი ედგათ, სადაც იწვოდა ვაზის ხმელი ტოტები, რითაც გამოხატული იქნა სულიერად გამხმარი ადამიანები, რომელთათვისაც მომავალ ცხოვრებაში განმზადებულია გეჰენიის ცეცხლი. შემდეგ უფალი აღუთქვამს მოწაფეებს, რომ თუკი ისინი მასთან მუდმივ სულიერ ერთობაში იქნებიან, მაშინ მათი ყოველი ლოცვა, რა თქმა უნდა, ღვთის ნებასთან შესაბამისი, აღსრულდება, მაგრამ ამისათვის აუცილებელია ქრისტეს სიყვარული და მისი მცნებების შესრულება. მოწაფეების ქრისტეს სიყვარულში ყოფნას კი გამოხატავს მათი ურთიერთსიყვარული, რომელიც უნდა განივრცოს მოყვასისათვის თავგანწირვის მზადყოფნამდე. ***თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოთ, რომელსა-ესე გამცნებ თქუენ,*** – მოწაფეებს შორის ურთიერთსიყვარული მათ ერთმანეთის მეგობრად ჰყოფს, ხოლო რადგანაც ამ ურთიერთსიყვარულის კავშირი ქრისტეშია, რომელმაც ისინი იმავე სიყვარულით შეიყვარა, ამიტომ ისინი ერთმანეთთან მეგობრობით ქრისტეს მეგობრებიც ხდებიან. ამ სიყვარულის ძალით უფალმა მათ განუცხადა ღვთის სრული ნება: სწორედ ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ ისინი მონები კი არა, ქრისტეს მეგობრები არიან. გამოხატა რა მთელი სავსებით თავისი სიყვარული მოციქულებისადმი, რაც იმით გამოიხატა, რომ ისინი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი მსახურებისათვის გამოირჩია, უფალი თავისი საუბრის მთელ

ამ ნაწილს (12-17 მუხ.) კვლავ შეგონებით ასრულებს: ***ამას გამცნებ თქუენ, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას.*** შემდეგ უფალი (16, 1-3; 18-27) განსაკუთრებით აფრთხილებს მოწაფეებს მოსალოდნელი დევნის შესახებ ქრისტეს მიმართ მტრული წუთისოფლის მხრიდან. ისინი არ უნდა შეაშფოთოს წუთისოფლის სიძულვილმა, რადგან იციან, რომ მათი მოძღვარი პირველი გახდა ამ სიძულვილის მსხვერპლი, და ეს მტრობა და სიძულვილი გასაგები უნდა იყოს მათთვის, რაკი უფალმა ისინი გამოირჩია ამ წუთისოფელში, რომელსაც მხოლოდ ის უყვარს, რაც მას ეკუთვნის, რაც შეესაბამება მისი ყოველგვარი ცოდვის, ღვარძლისა და მზაკვრობის სულს. წუთისოფლის მხრიდან დევნაში მოწაფეებმა თავი იმ აზრით უნდა ინუგეშონ, რომ ისინი არ არიან თავიანთ უფალსა და მოძღვარზე უმეტესნი. თუმცა სოფლის ცოდვიანობას გამართლება არა აქვს, რამეთუ თავად ძე ღვთისა მოვიდა მასში სინანულის ქადაგებით, სოფელმა კი, მიუხედავად იმისა, რომ იხილა მისი ყოვლადსადიდებელი საქმენი, არ შეინანა და კიდევ უფრო მოიძულა იგი. ძის მოძულება კი მამის მოძულებასაც ნიშნავს. უფალმა გაამხნევა მოციქულები და კვლავ შეახსენა ნუგეშინისმცემლის, ჭეშმარიტების სულის შესახებ, რომელიც მამისგან გამოდის და მათთან იქნება წარმოგზავნილი. იგი მოციქულების მეშვეობით დაუმოწმებს სოფელს ქრისტეს შესახებ. ნუგეშინისმცემელს წარმოგზავნის უფალი იესო ქრისტე, თავისი გამომსყიდველობითი დამსახურების უფლებით, მაგრამ წარმოგზავნის არა თავისგან, არამედ მამისგან, რადგან მარადიული გამოსვლა სულიწმიდისა არის არა ძისგან, არამედ მამისგან: ***რომელი მამისაგან გამოვალს*** (15, 26). ამ მუხლით აშკარად მტკიცდება რომაელ-კათოლიკეთა

სწავლების სიცრუე, რომლის თანახმადაც, თითქოს, სულიწმიდა გამოდის არა მხოლოდ მამისგან, არამედ ძისგანაც. შემდეგ უფალი წინასწარმეტყველებს, რომ მოციქულები დაამოწმებენ მის შესახებ წუთისოფელში, როგორც თვითმხილველნი მისი დიდებისა და პირველი აღმქმნელნი მისი მადლისა დ ჭეშმარიტებისა.

ყოველივე ეს ***ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ,*** – რათა არ შეირყეს თქვენი რწმენა დევნის პერიოდში. ეს დევნა იქამდე მივა, რომ თქვენ მოგკვეთენ სინაგოგებიდან და ღვთისსათნო საქმედაც კი ჩათვლიან თქვენს მოკვდინებას. იუდაური ფანატიზმი მართლაც მივიდა სიბრმავის ასეთ ხარისხამდე. იუდეველები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვინც უწმინდურთა სისხლს დაღვრიდა, ის იგივეს აკეთებდა, რასაც მსხვერპლის შემწირველნი. ამ ფანატიზმის მსხვერპლი გახდა პირველმოწამე სტეფანე. მდევნელი სავლე, რომელიც შემდგომში პავლე მოციქული გახდა, ასევე ფიქრობდა, რომ ქრისტიანების მკვლელობაში მონაწილეობით ღმერთისთვის სათნო საქმეს აკეთებდა (საქ. 8, 1; 22, 20; 26, 9-11; გალ. 1, 13-14). როგორც ჩანს, ქრისტეს ამ სიტყვებმა მოწაფეები ისეთ ღრმა მწუხარებაში ჩააგდო, რომ უფალმა სანუგეშებლად დაუწყო მათ იმის ახსნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვნი იყო როგორც მათთვის, ისე მთელი ქვეყნიერებისათვის მისი აქედან განსვლა, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვიდოდა მათთან ნუგეშინისმცემელი და ***ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისათჳს და საშჯელისათჳს*** (16, 8). „ამხილოს“ აქ მოყვანილია აზრით: „სააშკარაოზე გამოიტანს“, „აცნობებს ადამიანებს უსამართლობას, დანაშაულს, ცოდვას“ (შდრ. იოანე 3, 20; 8, 46; 1 კორ. 14, 24; ტიტე 1,

9; მათე 18, 15; ლუკა 3, 19). ეს მხილება იგივეა, რაც წუთისოფლის ზნეობრივი განსჯა. ამ განსჯის შედეგი შეიძლება იყოს ორიდან ერთი: ან ქრისტესკენ მოქცევა სინანულის გზით, ან სრული სულიერი დაბნელება და გასასტიკება (საქ. 24, 25; რომ. 11, 7). სულიწმიდის მიერ წუთისოფლის ეს მხილება უნდა მოხდეს მოციქულების, მათი მემკვიდრეებისა და ყველა მორწმუნის ქადაგების მეშვეობით, ვინც კი თავის თავში მიიღებს სულიწმიდას და გახდება ქრისტეს ეკლესიის წევრი. მხილების პირველი საგანია, როდესაც უფალი არ სწამთ, როგორც მესია; ეს არის ყველაზე არსებითი და ყველაზე მძიმე ცოდვა, რამეთუ ეს არის კაცობრიობის გამომსყიდველისა და მაცხოვრის უარყოფა. მეორე საგანია – ***სიმართლისათჳს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ*** (იოანე 16, 10) – მხილება იმისათვის, რომ ქრისტე ნამდვილად არის ძე ღვთისა, რომლის სამართლიანობა, ძირფესვიანად განსხვავებული ფარისეველთა მოჩვენებითი სამართლიანობისგან, დამოწმებულია ღმერთის მიერ იმით, რომ დაისვა იგი თავისგან მარჯვნივ (ეფეს. 1, 20). მესამე საგანი ეს არის სოფლის მთავრის, ეშმაკის განსჯა, რასაც ასევე დაექვემდებარებიან შეუნანიებელი და გასასტიკებული ადამიანები. ამგვარად, სულიწმიდის დახმარებით მოციქულები მიაღწევენ დიდ ზნეობრივ გამარჯვებას ბოროტებაში მდებარე ამ წუთისოფელზე, თუმცა ის დაუწყებს მათ დევნასა და წამებას. უფლის ეს წინასწართქმა შესრულდა, როდესაც მანამდე გაუბედავი და მშიშარი მოწაფენი, სხვადასხვა მხარეს გაფანტულნი უფლის შეპყრობისას და იუდეველების შიშით ოთახში გამოკეტილნი, მათზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ გაბედულად და უშიშრად ქადაგებდნენ ქრისტეს შესახებ მრავალრიცხოვანი

ერის წინაშე, მოწმობდნენ მის შესახებ მთელ მსოფლიოში და უკვე აღარაფრის ეშინოდათ მაშინაც კი, როდესაც წარადგენდნენ მათ წინაშე ***მთავართა და მეფეთა*** (მათე 10, 18).

ფრიადღა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ აწ არღარა ძალგიც ტჳრთვად, – აქ უფალი მოწაფეებს ეუბნება, რომ სულიწმიდის გარდამოსვლამდე ისინი ვერ შეძლებენ სათანადოდ შეიმეცნონ და შეითვისონ ყოველივე, რისი თქმაც მას მათთვის სურს, მაგრამ როდესაც სულიწმიდა მოვა, იგი ***გიძღოდის თქუენ ჭეშმარიტებასა ყოველსა***, – უხელმძღვანელებს ქრისტიანული ჭეშმარიტების წვდომაში. სულიწმიდის ყველა ეს განცხადება საღვთო სიბრძნის იმავე წყაროებიდან იქნება აღებული, საიდანაც იესო ქრისტეს სწავლება: ის ილაპარაკებს, ისევე, როგორც ქრისტე, იმას, რაც *ესმა მამისა მისისაგან* (იოანე 3, 32; 5, 30; 12, 49-50) როგორც საღვთო ჭეშმარიტების პირველწყაროსგან. სულიწმიდის ამ მოქმედებებით განდიდდება ქრისტე, რადგან ის იგივეს შეასწავლის, რასაც ქრისტე ასწავლიდა და, ამგვარად, თითქოსდა, გაამართლებს ქრისტეს ყველა საქმეს წუთისოფელში. ***ჩემგან მიიღოს***, – რადგან ძე და მამა ერთია, და რასაც სულიწმიდა ილაპარაკებს, მიეკუთვნება როგორც მამას, ისე ძესაც. ***მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე,*** – უფალი კვლავ უბრუნდება მოწაფეებთან თავისი განშორების აზრს, მაგრამ აქვე ანუგეშებს ახალი შეხვედრის იმედით, ცხადი, როგორც უფლის გამოცხადებისას აღდგომის შემდეგ, ასევე, სულიერ-დაფარულ ერთობაში მათთან. უფლის ეს სიტყვები ზოგიერთმა მოწაფემ ვერ გაიგო, რამაც კვლავ გამოაჩინა მათი სულიერი ცნობიერების არასრულყოფილება. საუბრის მთელი დანარჩენი ნაწილი ეძღვნება უფლის ამ სიტყვების

განმარტებას. მოწაფეების გაურკვევლობის საფუძველი კვლავ ის ცრურწმენაა, რაც უკავშირდება მესიის მიწიერ მეუფებას. თუკი უფალს სურს მიწაზე თავისი სასუფეველი დაამკვიდროს, მაშინ რა საჭიროა მისი აქედან განსვლა? ხოლო, თუკი არ უნდა ასეთი სასუფევლის დაფუძნება, მაშ, რატომ გვპირდება კვლავ მოსვლას?

უფალი პასუხობს: ***მცირედღა, და არღარა მხედვიდეთ მე,*** – ეს ნიშნავს, რომ ***სტიროდით და ჰგოდებდეთ თქუენ,*** რადგან სოფელი შეასრულებს თავის ბოროტ ჩანაფიქრს – ეს არის უფლის ირიბი მინიშნება იმაზე, რომ მალე მას მოელის ტანჯვა და სიკვდილი. ***კუალად მცირედ, და მიხილოთ მე.*** – ეს ნიშნავს, რომ ***მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გარდაიქცეს.*** მსგავსად იმისა, როგორც მშობიარე ქალის მწუხარება სიხარულად იქცევა. აქ იგულისხმება მოწაფეთა სიხარული, რომელიც მათ განცადეს აღდგომილ მოძღვართან შეხვედრით. ეს სიხარული მათ უკვე აღარ ტოვებდათ მთელი სიცოცხლის მანძილზე: ***და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან. და მას დღესა შინა,*** – სულიწმიდის გარდამოსვლის დღეს, საიდანაც მოყოლებული მოციქულები შევლენ მუდმივ სულიერ ერთობაში ქრისტესთან, მათთვის ცნობილი გახდება ყველა ღვთაებრივი საიდუმლო და ლოცვაში აღვლენილი ყველა ლოცვა შეუსრულდებათ სიხარულის სისავსისათვის.

რამეთუ მე მივალ მამისა ჩემისა, – ეს ნიშნავს: ***გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად და კუალად დაუტეობ სოფელსა და მივალ მამისა.*** ამგვარად, უფლისთვის მამასთან მისვლა ნიშნავს იმ მდგომარეობაში დაბრუნებას, რომელშიც ის იმყოფებოდა განხორციელებამდე, როგორც ჰიპოსტასური სიტყვა. მოწაფეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ უფალი

მათ ახლა პირდაპირ ელაპარაკება, აღარ იყენებს იგავურ გამოთქმებს და გამოხატეს მხურვალე რწმენა მისდამი, როგორც მესიისადმი. ეს იყო წრფელი და ღრმა რწმენა, მაგრამ უფლის მზერა ხედავდა ამ რწმენის არასრულყოფილებას, რამეთუ ეს რწმენა ჯერ კიდევ არ იყო სულიწმიდით გაბრწყინებული, განათლებული და განმტკიცებული. ***აწ სამე გრწამს?*** – ეკითხება იგი. არა, ახლანდელი თქვენი რწმენა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, ის ვერ გაუძლებს პირველივე გამოცდას, რომელსაც ის სულ მალე, რამდენიმე საათის შემდეგ დაექვემდებარება, როდესაც თქვენ ***განიბნინეთ კაცად-კაცადი თჳსად ადგილად და მე მარტოჲ დამიტეოთ.*** თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვას უფალი ასე ამთავრებს: ***ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა ჩემ თანა მშჳდობაჲ გაქუნდეს,*** – რათა სულით არ დაეცეთ განსაცდელის ჟამს, და გახსოვდეთ, რომ მე წინასწარ გაგაფრთხილეთ თქვენ ყოველივე ამის თაობაზე. ჩემთან სულიერ ერთობაში თქვენ მოიპოვებთ თქვენთვის აუცილებელ სულიერ სიმშვიდეს.

სოფელსა ამას, – რომელიც მტრულად არის განწყობილი ქრისტესა და მისი საქმეების მიართ, – ***ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა,*** – გავიმარჯვე კაცობრიობის გამოსყიდვის საქმის აღსრულებით, და ეს აღვასრულე ჩემი ვნებითა და სიკვდილით; დავამარცხე ამა სოფელში გაბატონებული ამპარტავნებისა და ღვარძლის სული ჩემი სიმდაბლითა და თვითდამცირებით, და დასაბამი დავუდე ამა სოფლის გარდაქმნას სატანის სასუფევლიდან ღვთის სასუფევლად.

ციფრული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტეს მღვდელთმთავრული ლოცვა
(იოანე, მე-17 თავი)

გამოსამშვიდობებელი საუბრის შემდეგ, როდესაც, ზოგიერთი განმმარტებლის ვარაუდით, მოწაფეებთან ერთად გეთსიმანიისკენ მიმავალი უფალი კედრონის ხევთან მივიდა, მასზე გადასვლის წინ მან მოწაფეების წინაშე ხმამაღლა აღავლინა ლოცვა მამა-ღმერთის მიმართ. ამ ლოცვას, ჩვეულებრივ, „მღვდელთმთავრულს“ უწოდებენ, რადგან მასში უფალი ლოცულობს როგორც დიდი მღვდელთმთავარი, რომელიც თავად სწირავს საკუთარ თავს მსხვერპლად, და უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის.

მამაო, მოიწია ჟამი ჩემი, ადიდე ძე შენი, რაჲთა ძემანცა შენმან გადიდოს შენ, – ასეთი საზეიმო ღაღადით იწყებს უფალი ამ ლოცვას: „დადგა ჩემი ვნების ჟამი: მომეცი მე საშუალება, გამოვავლინო მთელი ჩემი სიყვარულის ძალა შენდამი და შენ მიერ შექმნილი სამყაროსადმი, რათა კაცობრიობის გამოსყიდვის ღვაწლის გზით გამოჩნდეს შენი დიდება“. ***ვითარცა-ესე მოეც მას ჴელმწიფებაჲ ყოველთა..,*** – მამამ ძეს გადასცა კაცთა მთელი მოდგმა, რათა მოაწყოს მან მისი გამოხსნა და უბოძოს ადამიანებს მარადიული ცხოვრება. მარადიულ ცხოვრებას უფალი განსაზღვრავს, როგორც ღვთისა და მის მიერ წარმოგზავნილი მსოფლიოს გამომსყიდველის შემეცნებას. უფლის სულიერი მზერის წინაშე ყველა მისი საქმე წარმოდგენილია უკვე დასრულებულად, ამიტომაც ამბობს იგი: ***მე გადიდე შენ ქუეყანასა ზედა...*** ახლა იესოს მართებს კაცობრივადაც შევიდეს საღვთო დიდებაში, რაზედაც ის ლოცულობს: ***და აწ მადიდე მე, მამაო.*** ეს არის საკუთარი თავის შესახებ უფლის ლოცვის პირველი ნაწილი (1-5 მუხ).

ამის შემდეგ ის ლოცულობს თავისი მოწაფეებისთვის (ნ. 19მუხ.), ვისაც ის ახლა გადასცემს თავისი სასუფევლის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს. უფალი, თითქოსდა, ანგარიშს აბარებს მამა-ღმერთს შესრულებული საქმეების თაობაზე: მან გადასცა თავის მოწაფეებს სრული და სწორი ცნება ღმერთზე, და ისინი გახდნენ ღვთის განსაკუთრებული რჩეულები, გაეცნენ საღვთო სწავლებას ძე ღვთისას მეშვეობით და გააცნობიერეს სულის აღმშენებლობასთან დაკავშირებული საღვთო განგებულების საიდუმლო. შემდეგ უფალი ლოცულობს თავის მოწაფეებისთვის, რათა ზეციერმა მამამ აიყვანოს ისინი თავისი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ, – მათთვის ესოდენ მტრულ სოფელში, სადაც ისინი მარტონი რჩებიან უფლის განსვლის შემდეგ, – და შეინარჩუნოს ისინი სუფთად და წმინდად სარწმუნოების სულიერ ერთობასა და ერთმანეთის სიყვარულში, მსგავსად მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის ერთობისა. უფალი შემდგომში ამბობს, რომ როდესაც ის წუთისოფელში იყო, იცავდა მათ დაცემისგან, ***და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა ძე იგი წარწყმედისაჲ,*** – გულისხმობს იუდა-გამცემს, – ***რაჲთა წერილი აღესრულოს,*** – წინასწარმეტყველების თანახმად (ფსალ. 40, 10). ევედრება რა მამას, დაიცვას მოციქულები ამ მტრულ სოფელში, უფალი შესთხოვს, განანათლოს ისინი ღვთაებრივი ჭეშმარიტების სიტყვით, ანუ გადმოსცეს მათ განსაკუთრებული მადლმოსილი ნიჭები, რათა ისინი წარმატებულნი იყვნენ ჭეშმარიტების სწავლების მთელ მსოფლიოში გავრცელების საქმეში.

მე-20 მუხლიდან დაწყებული (ლოცვის მესამე ნაწილი) უფალი ლოცულობს მორწმუნეთათვის: ***რაჲთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, მამაო, ჩემდამო და მე შენდამი,***

რაჲთა იგინიცა ჩუენ შორის ერთ იყვნენ, რაჲთა სოფელსა ჰრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე (იონე 17, 21). ქრისტეს მორწმუნეთა ერთობა უნდა იყოს მამა-ღმერთისა და ძე-ღმერთის ერთობის მსგავსი: აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ზნეობრივი ერთობა. ყველა ქრისტიანის ასეთი ერთობა, რწმენასა და სიყვარულში, შეიძლება შეეწიოს იმას, რომ მთელი მსოფლიო ირწმუნებს ქრისტეს, როგორც მესიას. ამას ჩვენ ვხედავთ პირველი საუკუნეების ქრისტიანობის მაგალითზე: იუდეველები და წარმართები, გარდა სულიერად სრულიად ბრმებისა და გულით გასასტიკებულებისა, როდესაც ხედავდნენ პირველი ქრისტიანების ცხოვრებას, ტყვევდებოდნენ ქრისტეს სწავლების ამაღლებული სილამაზით და თვითონაც ქრისტიანენი ხდებოდნენ. ყველა მორწმუნის ამ ერთობას უფალი შემდგომში განსაზღვრავს, როგორც ღვთისა და ქრისტეს სადიდებელ ერთობას. 22-24 მუხლებში უფალი უკვე ჭვრეტს თავის ეკლესიას ზეციურ დიდებაში, ღმერთთან ერთობით მესიის სასუფეველში და ამბობს: რომ ეს დიდება ქრისტეს მტრულ სოფელსაც თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიიყვანს იმის გაცნობიერებამდე, რომ უფალი იესო არის ჭეშმარიტი მესია. სიტყვები: ***მამაო, რომელნი-ესე მომცენ მე, მნებავს, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, იგინიცა ჩემ თანა იყვნენ***, არის მომაკვდავის ერთგვარი ანდერძი, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, მით უმეტეს, რომ ნება ძისა განუყოფელია მამის ნებასთან: მსოფლიოს გადასარჩენად სიცოცხლის გამღები ძე ღვთისა შესთხოვს მამა ღმერთს ყველა მორწმუნისათვის ზეციურ სავანეებს, რომელთა შესახებაც ის მოციქულებს ეუბნებოდა გამოსამშვიდობებელი საუბრის დასაწყისში (იოანე 14, 2).

25 და 26 მუხლები წარმოადგენს მღვდელთმთავრული ლოცვის დასკვნით ნაწილს, სადაც უფალი მიმართავს მამა-ღმერთს, როგორც ყოვლადსამართლიან მიმგებელს. უფალი აქ აღნიშნავს მორწმუნეთა უპირატესობას, რაც იმით გამოიხატება, რომ მათ, სხვებისგან განსხვავებით, *შეიცნეს ღმერთი*, და ამიტომ შესწევთ უნარი, აღიქვან საღვთო სიყვარულის ნიჭები. უფალი შესთხოვს, რომ მამა-ღმერთმა ჰყოს ისინი სხვებისგან განსხვავებით თანაზიარნი იმ სიყვარულისა, რომელიც მას ძის მიმართ აქვს: ***რადთა სიყუარული, რომლითა შემიყუარე მე, მათ შორის იყოს.*** ამისათვის თვით უფალი აღუთქვამს, რომ იქნება ***მათ თანა,*** რათა ძესთან მუდმივად მყოფი მამის სიყვარული ძისგან და ძის გამო გავრცელდეს მათზეც, ვისშიაც მყოფობს ძე. ამდენად, ყოვლისმომცველი და ყოვლისაღმშენებელი სიყვარული იქნება ყოვლადსრულყოფილიც მამისა და ძისა და სულიწმიდის მარადიულ დიდებულ სასუფეველში.

20. გეთსიმანიის ღვაწლი: ლოცვა სასუმელის შესახებ

(მათე 26, 36-46; მარკოზი 14, 32-42; ლუკა 22, 39-46; იოანე 18, 1)

როგორც წმინდა იოანე მახარებელი იუწყება, მღვდელთმთავრული ლოცვის დასრულების შემდეგ, იესო ***გამოვიდა მოწფითურთ თჳსით წიაღ ჴევსა მას ნაძოვანსა, სადაცაიგი იყო მტილი*** (ბაღი), ***რომელსა შევიდა თავადი და მოწაფენი მისნი.*** კედრონის ხევი, ან კედრონი (ნიშნავს: „შავი“) – ეს იყო პატარა ღელე, რომელიც წყლით ივსებოდა მხოლოდ ძლიერი წვიმების შედეგად, სხვა დროს კი მისი კალაპოტი

თითქმის მშრალი იყო. ის გადიოდა ეგრეთწოდებულ იორდანეველზე და ყოფდა იერუსალიმს ელეონისგან. წმინდა იოანე ამბობს, რომ ხევსგაღმა მდებარეობდა ბაღი, სადაც შევიდა იესო მოწაფეებთან ერთად, თუმცა ის არ ამბობს, რა ერქვა ამ ბაღს და რა ხდებოდა იქ, სანამ იუდა, ჯარისკაცები და მღვდელთმთავართა მსახურები მივიდოდნენ. პირველი ორი მახარებელი – მათე და მარკოზი ამ ბაღს უწოდებენ *გეთსიმანიისას*. ლუკა მახარებელი კი ამ ადგილმდებარეობად აღნიშნავს ელეონის მთას. „გეთსიმანია" ნიშნავს „ზეთის საწურავს". როგორც ჩანს, ეს იყო ზეთისხილის ბაღი და იქ მზადდებოდა ზეთისხილის ზეთი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ეკუთვნოდა იესოსადმი ვინმე კეთილგანწყობილ პიროვნებას, რადგან იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით (18, 2) იესო ქრისტე ***მრავალ-გზის შესრულ იყო მუნ*** მოწაფეებთან ერთად, ამიტომაც წაიყვანა იუდამ მის შესაპყრობად იქ ხალხი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საიდუმლო სერობის შემდგომ უფალი იქ იქნებოდა, და არც შემცდარა.

ბაღში შევიდნენ თუ არა, უფალმა მოწაფეები შეაჩერა და უთხრა: ***დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო*** (მათე 26, 36). – და წაიყვანა თან პეტრე, იაკობი და იოანე, – ლუკა მახარებლის სიტყვებით, გასცილდა მათ ქვის სასროლ მანძილზე ***და იწყო მწუხარებად და ურვად.*** თავის უერთგულეს მოწაფეებს უთხრა: ***შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილადმდე; დაადგერით აქა და იღვძებდით ჩემ თანა.*** შემდეგ განშორდა მათ, წმინდა მათესა და წმინდა მარკოზის სიტყვებით – ***მცირედ*** მანძილით, ***დავარდა პირსა ზედა თჳსსა, ილოცვიდა და იტყოდა: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე;***

ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათე 26, 39). ეს ლოცვა იმდენად დაძაბული იყო, რომ წმინდა ლუკას სიტყვებით, ***იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცუარი სისხლისაჲ გარდამომავალი ქუეყანასა ზედა.*** ამბობენ, რომ განსაკუთრებული ზნეობითი ხასიათის სატანჯველი მართლაც იწვევს ასეთ სისხლნარევ ოფლს. წმინდა ლუკა ამბობს, რომ ***ეჩუენა მას ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას.*** მამაღმერთმა კი, თითქოსდა, დატოვა დროებით თავისი ძე (მათე 27, 46).

რაზე წუხდა ასე და რატომ იტანჯებოდა ესოდენ მძიმედ განკაცებული ძე ღვთისა გეთსიმანიის ბაღში?

რომელი ჩვენგანი, ცოდვილ ადამიანთაგან, გაკადნიერდება ამტკიცოს, რომ მან ზუსტად იცის, თუ რა ხდებოდა იმ წუთებში ღმერთკაცის ყოვლადწმიდა სულში, როდესაც დგებოდა გადამწყვეტი ჟამი მისი გაცემისა ჯვარზე სასიკვდილოდ კაცობრიობის გამოსახსნელად? მაგრამ ადრეც არსებობდა და ახლაც გრძელდება მცდელობები, ახსნან მიზეზები უფლის ამ ზნეობითი ხასიათის სატანჯველებისა, რომელნიც მან დაითმინა ამ წინასასიკვდილო საათებში გეთსიმანიის ბაღში. ყველაზე ბუნებრივი ვარაუდია, რომ წუხდა და სიკვდილის შიში ჰქონდა მის კაცობრივ ბუნებას. „სიკვდილი ადამიანში შევიდა არა ბუნებითად, – ამბობს ნეტარი თეოფილაქტე, – ამიტომ ადამიანის ბუნებას ეშინია მისი და გაურბის მას“. სიკვდილი არის ცოდვის შედეგი (რომ. 5, 12, 15), ამიტომ ღმერთკაცის უცოდველი ბუნება არ უნდა დაქვემდებარებოდა სიკვდილს: სიკვდილი მისთვის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა, ამიტომ ქრისტეს უცოდველი წმინდა ბუნება აღშფოთებულია სიკვდილის წინააღმდეგ, წუხს და დარდობს

მისი დანახვისას. ქრისტეს ეს ზნეობითი ტანჯვა არის მტკიცებულება მასში ორი ბუნების არსებობისა: ღმრთეებრივისა და კაცობრივისა, რასაც უარყოფდნენ მონოთელიტები.

ამასთანავე, ეს ზნეობითი ხასიათის ტანჯვა, ეჭვგარეშეა, იქიდანაც წარმოიშობოდა, რომ უფალმა იტვირთა მთელი მსოფლიოს ცოდვები და მათ გამო მიდიოდა სიკვდილზე: ის, რაც მთელ მსოფლიოს უნდა დაეთმინა თავისი ცოდვებისათვის, ახლა კონცენტრირებული იყო, ასე ვთქვათ, მარტო მასზე. არც იმის შესაძლებლობაა გამორიცხული, რომ დროებით მისგან ***ვიდრე ჟამადმდე*** განშორებული ეშმაკი (ლუკა 4, 13), ახლა კვლავ მიადგა მას თავისი განსაცდელებით და ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ, განერინებინა იგი ჯვარზე ვნების ღვაწლისგან. ქრისტე მაცხოვრის მწუხარება გამოწვეული იყო, ასევე, ადამიანთა გასასტიკების გაცნობიერებით, ადამიანთა უმადურობით ღვთის წინაშე.

პირველი ორი მახარებლის თანახმად, ლოცვიდან ამდგარი უფალი ორჯერ მიდის თავის სამ მოწაფესთან, რომელნიც შორიახლოს დატოვა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ნუგეში ჰპოვოს მათ გულმოდგინებასა და ერთგულებაში იმით, რომ ისინი მზად არიან მასთან ერთად იფხიზლონ, იგი შეესწრო მათ მძინარეთ და წყნარი საყვედურით უთხრა: ***იღვძებდით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ*** (მათე 26, 41). როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ მოწაფეებმა ასეთ უმნიშვნელოვანეს მომენტში დაიძინეს? წმინდა ლუკა განმარტავს, რომ მათ დაიძინეს ***მწუხარებისა მისგან.*** ყოფითი ცხოვრება მოწმობს, რომ ძლიერი განცდები მართლაც იწვევს ზოგჯერ ნერვული სისტემის იმდენად ძლიერ გადაღლას, რომ

ადამიანს ძალა არ შესწევს შეებრძოლოს ძილს. უფალი საყვედურით მიმართავს სწორედ პეტრეს იმიტომ, რომ ის სულ ახლახან განსაკუთრებული სიფიცხით ეფიცებოდა მას თავის ერთგულებას. მოწაფეებს ელოდათ უდიდესი განსაცდელი, უდიდესი გამოცდა თავიანთი რწმენისა და ამიტომაც არწმუნებს მათ უფალი, რომ აუცილებელია სიფხიზლე და ლოცვა, რათა ღირსეულად დაითმინონ მოსალოდნელი განსაცდელები. ***სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ,*** – „თქვენი სული განწყობილია საბრძოლველად ამ განსაცდელებთან და შეუძლია მათი დამარცხება, მაგრამ ადამის ბუნება უძლურია და სიფხიზლის და ლოცვის შესუსტებისას შეიძლება დიდი დაცემა განიცადოს“.

სამჯერ დადგა უფალი სალოცავად. პირველად მან ილოცა ტანჯვის სასმისის არიდებაზე, მეორედ – განაცხადა პირდაპირი მორჩილება ღვთის ნებისადმი და მას წარმოეგზავნა ანგელოზი, რათა საბოლოოდ განემტკიცებინა იგი ამ ნებაში, რის შემდეგაც იესომ სრული გადაწყვეტილებით შეჰღაღადა: ***ნებაჲ შენი იყავნ!*** მესამედ ლოცვის შემდეგ ის მივიდა მოწაფეებთან, რათა გაეფრთხილებინა ისინი გამცემის მოახლოების შესახებ: ***დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ, აჰა ესერა, მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის ჯელთა ცოდვილთასა*** (მათე 26, 45). იგი აჩვენებს, რომ არ სჭიროებს მათ დახმარებას, როცა ეუბნება: ***დაიძინეთ ამიერითგან;*** ან არცხვენს ამით, თითქოსდა ასე ეუბნება: „აი, გამცემი მოგვიახლოვდა; თუკი თქვენ გსურთ და დრო გაძლევთ ძილის საშუალებას, იძინეთ“ (ნეტარი თეოფილაქტე). წმინდა იოანე ოქროპირის აზრით, უფალი ამას ეუბნება მოწაფეებს, რათა „აჩვენოს, რომ ის რაც მის მიმართ ხდება,

არის ცოდვილთა ბოროტი საქმე, და არა მისი დანაშაული რაიმე ცოდვაში". ***აღდეგით, წარვიდეთ ამიერ,*** – „წავიდეთ გამცემის შესახვედრად, დაე, აღსრულდეს, რაც უნდა აღსრულდეს წმინდა წერილის მიხედვით".

21. იესო ქრისტეს გაცემა: მისი შეპყრობა, პეტრეს მახვილი და მოწაფეების გაქცევა

(მათე 26, 47-56; მარკოზი 14, 43-52; ლუკა 22, 47-53; იოანე 18, 2-12)

ოთხივე მახარებელი თანახმიერად მოგვითხრობს უფლის გაცემის ამბავს, თანაც, თითოეულს მოჰყავს თავისი წვრილმანი დეტალი, რაც ერთობლიობაში ავსებს საერთო სურათს. წმინდა იოანეს თანახმად, იუდამ ***წარიყვანა ერი*** (რაზმი), ანუ ლეგიონის ნაწილი, ეგრეთწოდებული კოჰორტა, რომელიც 1 000 კაცისგან შედგებოდა და სათავეში ათასისთავი ედგა. ამის შესახებ განსაკუთრებით მე-12 მუხლშია საუბარი; მიიყვანა, ასევე, მღვდელთმთავართა და ფარისეველთა მსახურნი. თუმც სავსემთვარობა იყო, მაგრამ უფლის შესაპყრობად მაინც მივიდნენ ლამპრებითა და ჩირაღდნებით, იმ მოსაზრებით, რომ იესო არ დამალულიყო ბაღის ბნელ ადგილებში. ჯარისკაცები შეიარაღებულნი იყვნენ მახვილებით, მღვდელთმთავართა მსახურნი კი წათებით. როგორც ჩანს, ისინი მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ელოდნენ. საგულისხმოა, რომ გამცემლობა ამბორით შედგა. მღვდელთმთავრებს ეშინოდათ ხალხის ამბოხის და როგორც ჩანს, იუდას უბრძანეს იესოს ფრთხილად შეპრობა. სარწმუნოა, რომ რაზმისთვის ნათქვამი არ ჰქონდათ, თუ ვინ უნდა შეეპყრიოთ: ნაბრძანები ჰქონდათ, შეეპყროთ ის, ვისზედაც იუდა მიუთითებდა. იუდა

კი მხოლოდ მინიშნებით შემოიფარგლა: ***რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყართ იგი და წარიყვანეთ კრძალულად*** (მარკოზი 14, 44). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იუდა აპირებდა, გამოყოფოდა ხალხის ჯგუფს, მიახლოებოდა იესოს ჩვეულებრივი მისალმებით, ამბორი ეყო, მერე კი შეუმჩნევლად მოციქულებს შერეოდა და ამგვარად დაემალა თავის გამცემლობა. მაგრამ მას ეს არ გამოუვიდა. როდესაც იესოს მიუახლოვდა და დაბნეულმა წაილულღლუღა: რაბი! რაბი.... იესომ მშვიდად ჰკითხა: ***მოყუასო, რომლისათჳსცა მოსრულ ხარ?*** შეცბუნებულმა იუდამ მიუგო: ***გიხაროდენ, მოძღუარ!*** – და ეამბორა. იმისათვის, რომ იუდასთვის ეჩვენებინა, გამცემლობას ვერ დამალავო, უფალმა უთხრა: ***იუდა, ამბორის-ყოფითა მისცემა ძესა კაცისასა?*** (ლუკა 22, 48). ამასობაში ჯარისკაცები მიუახლოვდნენ, და როგორც წმინდა იოანე გადმოგვცემს, – ავსებს რა პირველი სამი მახარებლის მონათხრობს, – უფალმა ჰკითხა მათ: ***ვის ეძიებთ?*** რაზმს იუდეველი ხუცესები ახლდნენ და მათ იცოდნენ, ვისაც ეძებდნენ, ამიტომ მაშინვე უპასუხეს: ***იესუს ნაზარეველსა. ჰრქუა მათ იესუ: მე ვარ.*** მომხდურებმა იცოდნენ, რომ მათ იესო ფრთხილად და ცბიერად უნდა შეეპყრათ, რადაგან ელოდნენ, რომ მასთან იქნებოდნენ მისი მიმდევრები და შეეცდებოდნენ მის დაცვას; და ამ დროს იესო ღიად, დაუფარავად და უშიშრად ამბობს: ***მე ვარ.*** მისი მტრებისთვის ამ სიტყვებმა გაუგონარი ძალა იქონიეს. ასეთი პასუხის მოულოდნელობამ და მასში გამოვლენილმა სულიერმა ძალამ მომხდურებში არაჩვეულებრივი რეაქცია გამოიწვია: მათ უკან დაიხიეს და მიწაზე დაემხნენ. როდესაც ისინი ცოტათი გონს მოეგნენ, უფალმა განმეორებით ჰკითხა: ***ვის ეძიებთ?*** მათ კვლავ უპასუხეს: ***იესუს***

ნაზარეველსა. მაშინ უფალმა უთხრა: ***გარქუ თქუენ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, უტევენეთ ესენი, წარვიდენ.*** ამაღელვებელია უფლის ეს ზრუნვა თავის მოწაფეებზე. წმინდა იოანე ამასთან განმარტავს, რომ უნდა აღსრულებულიყო მისი მღვდელთმთავრული ლოცვის სიტყვები: ***რომელნი მომცენ მე, არა წარვწყმიდე მათგანი არცა ერთი.*** ჯარისკაცებმა მართლაც დაუტევეს მოციქულები და მიადგნენ ქრისტეს შესაპყრობად, მაგრამ მოციქულებმა მისი დაცვა გადაწყვიტეს და მოუთმენელმა პეტრემ ისე, რომ არ დაელოდა პასუხს ერთ-ერთი მათგნის შეკითხვაზე: ***უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახჳლითა?*** (ლუკა 22, 49) – ამოიღო მახვილი და მღვდელთმთავრის მონას, მალქოზს, მარჯვენა ყური ჩამოათალა, თუმცა მთლიანად არა; უფალმა ხელის ერთი შეხებით მაშინვე განკურნა იგი (ლუკა 22, 51). ***მიაქციე მახჳლი ადგილსავე თჳსსა,*** – უთხრა უფალმა პეტრეს, – ***რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახჳლი, მახჳლითა წარწყმდენ.*** ეს, რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველება არ იყო (წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლებოდა აღუსრულებლად ჩაგვეთვალა), არამედ მხოლოდ ზოგადი ხასიათის საღვთო რჯულის სიმართლე: ვინც თავს დაესხმის ვინმეს მოკვლის ან ზიანის მიყენების მიზნით, ის თავად იმსახურებს იგივეს. ეს იმის მსგავსია აზრია, რომელიც ჩადებულია წარღვნის შემდგომ კაცობრიობისთვის მიცემულ მცნებაში: ***დამთხეველისა სისხლსა კაცისასა ნაცვლად სისხლისა მისისა დაითხიოს*** (დაბ. 9, 6). ***ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა, და წარმომიდგინოს მე აწ აქა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთაჲ?*** (მათე 26, 53). გუნდად (ლეგიონად) რომაელებთან იწოდებოდა 10 კოჰორტისგან შემდგარი რაზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეიცავდა ის 10 000 ჯარისკაცს. ანგელოზთა მთელი სამყარო დაეწყობოდა ძე ღვთისას დასაცავად, ის რომ ნებაყოფლობით არ მისცემოდა სატანჯველს. 12 ლეგიონს უფალი უპირისპირებს თავის 12 მოწაფეს. ***და ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჯერ-არს ყოფად?*** (მათე 26, 54), – ეს ნიშნავს, რომ ყოველივე, რაც ხდებოდა, იყო წინასწარმეტყველების აღსრულება. როგორც ლუკა მახარებელი მოწმობს, მომხდურთა შორის იყვნენ თვით მღვდელთმთავრები და ტაძრის მთავრები. უფალმა მათ მამხილებელი სიტყვით მიმართა: ***ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახჯლითა და წათებითა*** (ლუკა 22, 52). ამ მხილების აზრი ის არის, რომ ისინი აშკარად არასამართლიან საქმეზე მიდიოდნენ: თუკი მართლაც დამნაშავედ მიიჩნევდნენ იესოს, მაშინ ღიად უნდა დაედოთ ბრალი ყველას წინაშე, და ისე შეეპყროთ დღისით-მზისით, როგორც დამნაშავე. მათ კი ფარული მეთოდი გამოიყენეს და ღამით დაუპირეს შეპყრობა, მაგრამ ***ესე არს ჟამი თქუენი და ჴელმწიფებაჲ ბნელისაჲ,*** – ეუბნება უფალი. ***მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს*** (მათე 26, 56), – ასე აღსრულდა უფლის მიერ სულ ცოტა ხნის წინ გამოთქმული წინასწარმეტყველება (მათე 26, 31). მხოლოდ ერთი, მარკოზ მახარებელი დასძენს, რომ ერთი ვინმე ჭაბუკი, შიშველ ტანზე არდგაგშემოხვეული, მისდევდა შეპყრობილ იესოს უკან. ჯარისკაცებმა იგი საეჭვოდ მიიჩნიეს და დააკავეს, მაგრამ ხელიდან დაუსხლტა, არდაგი შეატოვა და შიშველი გაიქცა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ჭაბუკი იქვე ახლოს ცხოვრობდა, ხმაურზე გაეღვიძა, საჩქაროდ ტილო შემოიხვია და ამბის გასაგებად გარეთ გამოვარდა. ძველი დროის გადმოცემა ამ ჭაბუკს წმინდა მარკოზად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიჩნევს: მახარებლები ხშირად ფარავდნენ საკუთარ სახელს, როდესაც თავის თავზე საუბრობდნენ. ყველა მოციქულს საბოლოოდ არ მიუტოვებია უფალი. ორი მათგანი, კერძოდ, პეტრე და იოანე, იერუსალიმამდე გაჰყვა რაზმს მალულად უკან და ნახეს, სად მიიყვანეს თავიანთი საყვარელი მოძღვარი. სად გაიქცნენ დანარჩენი მოწაფენი, უცნობია, თუმცა ისინი იმდენად შეძრწუნებულნი იყვნენ მომხდარით, რომ შესაძლოა, ისხდნენ სადმე ოთახში ჩაკეტილნი ისე, როგორც შემდგომში (იოანე 20, 19).

22. უფალი ანასა და კაიაფას სამსჯავროზე

(მათე 26, 57-60; მარკოზი 14, 53-65;
ლუკა 22, 54, 63-65; იოანე 18, 12-23)

მტრებმა იესო შეიპყრეს და ისე წაიყვანეს (ამას მხოლოდ წმინდა იოანე აღნიშნავს) მღვდელთმთავრების საცხოვრებელ სახლში. ავსებს რა პირველი სამი მახარებლის გადმოცემას, წმინდა იოანე ამბობს, რომ ის თავდაპირველად ანასთან მიიყვანეს, რომელმაც დაკითხა იგი და მერე კაიაფასთან გააგზავნა. წმინდა მახარებელი აქვე განმარტავს, თუ რატომ მიიყვანეს ჯერ ანასთან, და არა კაიაფასთან, რომელიც იმ წელიწადს მმართველი მღვდელთმთავარი იყო, ხოლო ანა (ან ანანი, როგორც მას იოსებ ფლავიოსი უწოდებს) ***იყო სიმამრი კაიაფაჲსი.*** იესოს შემპყრობელნი ფიქრობდნენ, ამგვარად გამოეჩინათ განსაკუთრებული ყურადღება და პატივი მმართველი მღვდელთმთავრის ნათესავისადმი, გარდა ამისა, ბებერი და გაიძვერა ანა დიდი პატივით სარგებლობდა თავის საზოგადოებაში. ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ ანა თანამდებობის დატოვების შემდეგაც ცხოვრობდა მღვდელთმთა-

ვრისთვის განკუთვნილ სახლში, მით უმეტეს, რომ ახალი მღვდელთმთავარი მისი ახლო ნათესავი იყო; ასე რომ, მათ საცხოვრებლებს ერთი საერთო ეზო ჰქონდა, თუმცა დიდ სამღვდელთმთავრო სახლის სხვადასხვა ნაწილში იყვნენ დაბინავებულნი.

წმინდა იოანე ავსებს პირველი სამი მახარებლის მონათხრობს და ამბობს, რომ იესოს ფარულად უკან მიჰყვებოდა არა მხოლოდ პეტრე, რომლის მიერაც ქრისტეს უარყოფას ოთხივე მახარებელი მოწმობს, არამედ სხვა მოწაფეც, – ეჭვგარშეა, რომ ეს მოწაფე თავად იოანე იყო. იგი იცნობდა მღვედელთმთავარს, – საიდან და როგორ, ცნობილი არ არის, თუმცა, გადმოცემის მიხედვით, მათი ნაცნობობა თევზჭერას უკავშირდებოდა. ამიტომ იგი თავისუფლად შევიდა მღვდელთმთავრის ეზოში, მერე კი მეკარეს პეტრეც შეაშვებინა. სწორედ აქ მოხდა პეტრეს მიერ უფლის პირველი უარყოფა, იოანე მახარებლის თანახმად, როდესაც ანა უფლის დაკითხვას აწარმოებდა, პეტრე კი ეზოში გაჩაღებულ კოცონთან თბებოდა.

გაიძვერა ანას არაფერში დაუდანაშაულებია ქრისტე, მხოლოდ იმას ეკითხებოდა, თუ რას ასწავლიდა იგი და ვინ იყვნენ მისი მოწაფენი. ამით მან გაზრახ მისცა საშიში ტონი საქმის მთელ შემდგომ ᲬᲡᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡ: ეჭვი დათესა, რომ იგი ფარული შეთქმულების მოთავე იყო, საიდუმლო სწავლებითა და საიდუმლო მიზნებით, მაგრამ მისი ცბიერება უფალმა ამხილა: ***მე განცხადებულად ვეტყოდე სოფელსა და მე მარადის ვასწავებდ შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადაიგი ყოვლადვე ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არარას ვეტყოდე*** (იოანე 18, 20). ამის დასამტკიცებლად, უფალმა შესთავაზა, გამოეკითხათ მოწმენი, ვისაც მოსმენილი ჰქონ-

და მისი ქადაგება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პასუხში არაფერი იყო მღვდელთმთავრის შეურაცხმყოფელი, ერთ-ერთმა მსხურმი, ალბათ იმ მიზნით, რომ ანასთვის ესიამოვნებინა, იესოს სილა გააწნა და უთხრა: ***ესრეთ სიტყუას-უგება მღდელთ-მოძღუარსა?*** უფალს რომ ეს ჩუმად გადაეტანა, იფიქრებდნენ, რომ სამართლიანად ჩათვალა მან ეს გარტყმაო, და ეს ზღვარგადასული მსახური გაამაყდებოდა მისი საქციელის მდუმარე მოწონებით. ამიტომ, ბოროტების ძირშივე მოსაკვეთად და მსახურის შესაგონებლად, უფალმა უთხრა: ***უკუეთუ ბოროტსა ვიტყოდე, წამე ბოროტისათჳს; უკუეთუ კეთილსა, რაჲსათჳს მცემ?,*** – თუკი შეგიძლია დაამტკიცო, რომ ერს რაიმე ცუდს ვასწავლიდი, მაშინ მამხილე ამაში, დაამტკიცე ეს, უსაფუძვლოდ კი ნუ დამარტყამ.

შემდეგ წმინდა იოანე ამბობს, რომ ანამ გააგზავნა შებოჭილი იესო მღვდელთმთავარ კაიაფასთან (24-ე მუხ.). როგორც ჩანს, უფალი წაიყვანეს იმ ეზოს გავლით, სადაც კოცონი ჰქონდათ გაჩაღებული და სადაც პეტრე იდგა და თბებოდა, მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე უარყო უფალი. იმის შესახებ, რაც კაიაფასთან ხდებოდა, დაწვრილებით მოგვითხრობს პირველი ორი მახარებელი –მათე და მარკოზი. კაიფასთან შეიკრიბა ყველა მღვდელთმთავარი, უხუცესი და მწიგნობარი, მოკლედ, მთელი სინედრიონი. მიუხედავად გვიანი ღამისა, ყველანი ჩქარობდნენ, სასწრაფოდ შეეკრიბათ მტკიცებულება იესოს წინააღმდეგ, რათა მოემზადებინათ ის სინედრიონის დილის სხდომისათვის, სადაც ოფიციალურად აპირებდნენ გამოეცხადებინათ მისთვის სასიკვდილო განაჩენი. ამისთვის მათ დაიწყეს ცრუმოწმეთა ძებნა, რომელთაც შეეძლებოდათ, ბრალი დაედოთ იესოსთვის რაიმე კონკრეტულ სისხ-

ლის სამართლის დანაშაულში **და არა ჰპოებდეს.** ბრალდებულ მოვიდა ორი მოწმე, რჯული კი მოითხოვდა სწორედ არა ნაკლებ ორ მოწმისა ბრალდებულის გასასამართლებლად (რიცხ. 35, 30; მეორე რჯ. 17, 6). მათ მიუთითეს უფლის სიტყვებზე იერუსალიმის ტაძარში, როდესაც მან პირველად გამოაძევა იქიდან მოვაჭრენი, თანაც, ბოროტი განზრახვით გადააკეთეს ეს სიტყვები და სხვა აზრი მისცეს. უფალმა მაშინ თქვა: ***დაჰᲬსენით ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღვადგინო ეგე*** (იოანე 2, 19), მაგრამ არ უთქვამს: „შემიძლია, დავანგრიო“. ***მესამესა დღესა აღვადგინო*** – „აღვადგინო“, ბერძნულად: „ეგერო“; მაგრამ არ უთქვამს: „აღვაშენო“, რაც გამოიხატება სულ სხვა ბერძნული სიტყვით: „იკოდომისო“. ის მაშინ ლაპარაკობდა თავისი სხეულის ტაძარზე, ცრუმოწმეებმა კი ეს მისი მაშინდელი სიტყვები წარმოაჩინეს, როგორც რაღაც ტრაბახი, თუმცა არც მათში იყო რაიმე დანაშაულებრივი, ამიტომაც ამბობს წმინდა მარკოზი: ***და არცა ესრეთ ერთ იყვნეს წამებანი მათნი*** (14, 59). ყოველივე ამაზე იესო დუმდა, რადგან არაფერი იყო სათქმელი ამ უაზრო და არეულ ბრალდებებზე (სხვა მოწმე რამდენამდე სხვაგვარად ლაპარაკობდა). ეს აღიზიანებდა კაიაფას, და გადაწყვიტა გამოეძალა უფლისგან ისეთი აღიარება, რომელიც საბაბს მისცემდა, სიკვდილით დაესაჯათ ის, როგორც ღვთისმგმობელი. იმ დროის სასამართლო განხილვის მიხედვით, მან უფალს გადამჭრელი კითხვით მიმართა: ***გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ?*** (მათე 26, 63). ***გაფუცებ*** შენ, – ეს იყო დაფიცების ჩვეულებრივი ფორმულა, როდესაც სასამართლო ითხოვდა, რომ ბრალდებულს აუცილებლად გაეცა პასუხი ბრალმდებელთა

კითხვაზე და მოუწოდებდა რა ღმერთს მოწმედ, ითხოვდა სრული სიმართლის თქმას. ასე პირდაპირ დასმულ შეკითხვაზე, თანაც ფიცის ქვეშ, უფალს არ შეეძლო არ ეპასუხა, ამასთან, ახლა უკვე არანაირი საჭიროება არ იყო იმისა, რომ, დაემალა თავისი ღმრთეებრივი მესიანური ღირსება, პირიქით, საზეიმოდ უნდა დაემოწმებინა ის, ამიტომ იგი პასუხობს: ***შენ სთქუ,*** – „დიახ, ჭეშმარიტებაა – ქრისტე ვარ", და დასძენს: ***ამიერითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა*** (მათე 26, 64). ეს, რა თქმა უნდა, მითითებაა ფსალმუნის სიტყვებზე (109, 1), სადაც მესია გამოხატულია მამისგან მარჯვნივ მჯდომარე, ასევე, დანიელის წინასწარმეტყველებაზე (7, 13-14), სადაც მესია ჩანს, როგორც ღრუბლით მომავალი ძე კაცისა. ამით უფალს სურდა ეთქვა, რომ ყველა უკეთური მსაჯული მას მალე დაინახავს მისი ღმრთეებრივი, როგორც ძე ღვთისას, ძალის გამოვლინებას ბევრ ნიშებსა და სასწაულებში. ***მაშინ მღდელთმოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თჳსი და თქუა, ვითარმედ: „გმო"*** (მათე 26, 65), – სამოსელის დაპობა (ტანზე შემოხევა) იუდეველთათვის იყო მწუხარებისა და დარდის ჩვეულებრივი გამოხატულება. მღვდელთმთავარს ეკრძალებოდა თავისი სამოსელის დაპობა (ლევ. 10, 6; 21, 10), და ამგვარად, შემოიხია რა სამოსელი, ამით კაიაფას სურდა, გამოეხატა თავისი განსაკუთრებული წუხილი, რის გამოც მან დაივიწყა ეს აკრძალვა. რა თქმა უნდა, ეს იყო ორგულობა მისი მხრიდან იმისათვის, რომ უფალი ღვთისმგმობლად გამოეცხადებინა. ***რაჲ გნებავს თქუენ?*** – ეკითხება კაიაფა იქდამსწრეთ და იღებს სასურველ პასუხს: ***თანამდებ არს სიკუდილისა.*** როგორც უკვე მისჯილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამნაშავეს, მათ დაიწყეს ქრისტეს ლანძღვა და დაცინვა: აფურთხებდნენ სახეში უკიდურესი ზიზღისა და დამცირების ნიშნად, ყვრიმალში სცემდნენ, თავში ურტყამდნენ, დასცინოდნენ შეკითხვით: ***გვწინაასწარმეტყველებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?*** – „თუ შენ ყოვლისმცოდნე მესია ხარ, მაშინ დაასახელე, ვინ გირტყამს, როცა მას ვერც ხედავ ან არ იცნობ“. ეს აჩვენებს, რომ მთელი სასამართლო წარმოებდა უხეში კაცთმოთნეობით, რომლის ქვეშაც იმალებოდა სისხლმოწყურებული მხეცური ღვარძლი. ესენი იყვენ არა მსაჯულები, არამედ მხეცები, რომელნიც ვერ მალავდნენ თავიანთ გააფთრებას.

23. პეტრეს მიერ უფლის უარყოფა

(მათე 26, 69-75; მარკოზი 14, 66-72; ლუკა 22, 55-62; იოანე 18, 16-18; 25-27)

პეტრეს მიერ უფლის უარყოფას ოთხივე მახარებელი გადმოგვცემს, თუმცა მათ მონათხრობში თვალშისაცემია ზოგიერთი განსხვავება. თუმცა ეს განსხვავება ოდნავადაც არ ეხება საქმის არსს. მახარებლები მხოლოდ ავსებენ და განმარტავენ ერთმანეთს. ასე რომ, ყველა მათი მონათხრობის შეჯერებიდან იხატება მომხდარის სრული ისტორია.

უფლის გასამართლებისას პეტრე იმყოფებოდა თავიდან ანასთან, შემდეგ კაიაფასთან, სამღვდელთმთავრო სახლის ერთსა და იმავე შიდა ეზოში, სადაც ის მეკარემ შეიყვანა წმინდა იოანეს თხოვნით, რომლის ნაცნობიც იყო მღვდელთმთავარი. ის, რომ ეს იყო ერთი და იგივე ეზო საერთო სამღვდელთმთავრო სახლისა, რომლის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობდა ორივე მღვდელთმთავარი – ანა და კაიაფა, ხს-

ნის მოჩვენებით წინააღმდეგობას ერთი მხრივ, იოანე მახარებელსა და მეორე მხრივ, დანარჩენ სამ მახარებელს შორის. წმინდა იოანე ყველა ამ უარყოფას წარმოგვიდგენს ანას ეზოში, სხვა მახარებლები კი საერთოდ არ ახსენებენ უფლის დაკითხვას ანასთან, და ისე გადმოგვცემენ, თითქოს სამივე უარყოფა მოხდა მღვდელთმთავარ კაიაფას ეზოში. ცხადია, რომ ეს იყო ერთი და იგივე საერთო ეზო. როდესაც იოანეს დახმარებით, რომელიც იყო ***მეცნიერ მღდელთმოძღურისა*** (იოანე 18, 16), პეტრე შევიდა მღვდელთმთავრის ეზოში, მეკარემ, რომელმაც უშუალოდ შეიყვანა იქ, წმინდა იოანეს თანახმად მას უთხრა: ***ნუუკუე შენცა მოწაფეთაგანი ხარ მის კაცისათაჲ? ხოლო პეტრე თქუა: არა ვარ,*** და დადგა კოცონთან, რომელიც უამინდობის გამო გაეჩაღებინათ ეზოში. მაგრამ მსახურმა ქალმა ის არ მოასვენა: ***და ვითარცა იხილა იგი, ტფებოდა რაჲ, მიჰხედა მას და ჰრქუა: შენცა იყავ იესუჲს თანა ნაზარეველისა*** (მარკოზი 14, 67), ასევე, სხვებსაც ეუბნებოდა: ესეცა მის თანა იყო (ლუკა 22, 56). მაშინ პეტრემ განაგრძო იგივე უარყოფა: ***არა ვიცი იგი*** (ლუკა 22, 57); ***არა ვიცი და არცა უწყი, რასა-ეგე იტყჳ შენ*** (მარკოზი 14, 68; მათე 26, 70). ასე შედგა პირველი უარყოფა, რომელიც ეზოს კარიბჭესთან დაიწყო და კოცონთან დასრულდა. როგორც მარკოზ მახარებელი მოწმობს, პეტრეს სურდა რა თავი დაეღწია აბეზარი მეკარისგან, კოცონს მოშორდა და ეზოს წინა ნაწილში, კარიბჭესთან ახლოს გადაინაცვლა, რათა საჭიროების შემთხვევაში გაქცევა შეძლებოდა. ასე გავიდა არცთუ მცირე დრო. მერე იმავე მსახურმა კვლავ დაინახა იგი (მარკოზ 14, 69) და იქვე მდგომთ მიმართა: ***ესეცა მათგანივე არს.*** მას სხვა მსახური ქალიც შეუერთდა

(მათე 26, 71), რომელიც ასევე ამბობდა: ***ესეცა იყო იესუს თანა, ნაზარეველისა.*** კიდევ ვიღაცამ პირდაპირ პეტრეს ეს-მართა: ***და შენცა მათთანაჲ ხარ*** (ლუკა 22, 58). პეტრემ ისევ შეიცვალა ადგილი დაკვლავ კოცონთან დადგა, მაგარმ აქაც ზოგიერთებმა დაუწყეს შეკითხვა: ***ნუუკუე შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: „არა ვარ“*** (იოანე 18, 25). ეს იყო მეორე უარყოფა, რომელიც ზუსტად მაშინ მოხდა, როცა იესო ანადან კაიაფასთან მიჰყავდათ, როგორც ეს შეიძლება ვიფიქროთ იოანეს სახარების მე-18 თავის 24-25 მუხლების საფუძველზე. მეორე უარყოფის შემდეგ გავიდა დაახლოებით ერთი საათი (ლუკა 22, 59). ახლოვდებოდა განთიადი და მასთან ერთად ჩვეული „მამლის ყივილი“ (მარკოზი 13, 35). მთავრდებოდა უფლის გასამართლება კაიაფასთან. მაშინ ერთ-ერთმა მონამ, მალქოზის – რომელსაც პეტრემ ყური მოჰკვეთა – ნათესავმა, პეტრეს უთხრა: ***არა მე გიხილეა მტილსა მას შინა მის თანა?*** (იოანე 18, 26), მეორემ კი დასძინა: ***ჭეშმარიტად ესეცა მის თანავე იყო, და რამეთუ გალილეველ არს*** (ლუკა 22, 59). ამის შემდეგ სხვებმაც უთხრეს: ***გალილეველ ხარ, სიტყუაჲცა შენი გამოგაჩინებს*** (მარკოზი 14, 70) და ***გამოგაჩინებს შენ*** (მათე 26, 73). პეტრეს შიშის თავზარი დაეცა და ***იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: „არა ვიცი კაცი ესე, რომელსა იტყჳთ“. და მეყსეულად მეორედ ქათამმან იყივლა*** (მარკოზ 14, 71, 72), როგორც მარკოზი მოწმობს, უეჭველად, თვით პეტრეს სიტყვებიდან. პირველად, წმინდა მარკოზის მოწმობით, მამალმა იყივლა პირველი უარყოფის შემდეგ (მარკოზი 14, 68). ***და მოიქცა უფალი და მიხედა პეტრეს. და მოეჴსენა პეტრეს სიტყუაჲ იგი უფლისაჲ... და განვიდა გარე და ტიროდა***

მწარედ (ლუკა 22, 61, 62). ასე მოხდა მესამე უარყოფა, რომელიც, როგორც ჩანს, დაემთხვა იმ მომენტს, როდესაც უკვე გასამართლებული, შეურაცხყოფილი და ნაცემი უფალი გამოჰყავდათ კაიაფას სახლიდან ეზოში, სადაც დაცვის ქვეშ მყოფი უნდა დალოდებოდა გათენებას (ლუკა 22, 63-65) და სინედრიონის ოფიციალურ სხდომას, სადაც მას განაჩენი გამოუტანეს. მამლის ყივილმა და უფლის მზერამ პეტრეს სულში მწვავე და მწარე სინანული გამოიწვია: იგი გარეთ გამორბის თავისი დაცემის ადგილიდან და ცხარედ ტირის.

დიდი ხუთშაბათი

24. სინედრიონის განაჩენი

(მათე 27, 1; მარკოზი 15, 1; ლუკა 22, 66-67)

სინედრიონის ამ მეორე, ოფიციალურ შეკრებას ძალიან მოკლედ, მხოლოდ ერთ მუხლში ახსენებენ მათე და მარკოზ მახარებლები; დაწვრილებით კი ამის შესახებ საუბრობს ლუკა მახარებელი. ეს სხდომა შეიკრიბა მხოლოდ ფორმალური მხარის დასაცავად, რათა იესოსთვის ღამის სხდომაზე გამოტანილი სასიკვდილო განაჩენისთვის კანონიერი სახე მიეცათ. თალმუდში, სადაც ყველა ძველი ებრაული კანონია ჩაწერილი, ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის საქმეებში საბოლოო განაჩენის გამოტანა შეიძლება საქმის განხილვიდან არა უადრეს მეორე დღისა. მაგრამ არც კაიაფას და არც სინედრიონს, რა თქმა უნდა, არ სურდათ იესოს საბოლოო გასამართლება გადაეტანათ პასექის დღესასწაულის შემდგომი დროისთვის. ამიტომაც ჩქარობდნენ ისინი დაეცვათ მეორე სასამართლოს თუნდაც ფორმალური მხარე. ამიტომ შეიკრიბა სინედრიონი

ადრე დილით, ამჯერად უფრო მრავალრიცხოვანი შემადგენ-
ლობით, და მას შეუერთდნენ მწიგობრები, როგორც ამას
ამბობს წმინდა ლუკა (22, 56). ყოველივე ეს ხდებოდა უკვე
არა კაიაფას სახლში, არამედ სინედრიონის შენობაში, სადაც
მიიყვანეს იესო, რომელიც მანამდე მღვდელთმთავრის ეზოში
ჰყავდათ და სადაც მას შეურაცხყოფას აყენებდნენ მცველე-
ბი და მსახურები. უფალი შეიყვანეს სინედრიონის სხდომაზე
და კვლავ ჰკითხეს: ***უკუეთუ შენ ხარ ქრისტე?*** (ლუკა 22,
67), – ნაწილობრივ იმიტომ, რომ სხდომას ახალი წევრები
ესწრებოდნენ, ნაწილობრივ კი შეიძლება იმიტომ, რომ იმე-
დოვნებდნენ კიდევ რაიმე ახალი გაეგონათ უფლისგან. სანამ
დასმულ კითხვაზე პირდაპირ უპასუხებდა, უფალი ამხელს
მათ და აჩვენებს, რომ მისთვის ცნობილია მათი ჩანაფიქრი.
სასამართლო მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო: უფლის
ხვედრი, რაც არ უნდა ეთქვა მას, უკვე გადაწყვეტილი იყო.
ამიტომ უფალი პასუხობს: ***უკუეთუ გითხრა თქუენ, არა
გრწმენეს ჩემი; და უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერაჲვე მომი-
გოთ მე გინა განმიტეოთ,*** – „ჩემს ლაპარაკს აზრი არა აქვს:
მე რომ თქვენთვის მეკითხა იმის შესახებ, რაც ნათელს შეიტ-
ანდა საქმეში, გაგაგებინებდათ ჩემს მესიანურ ღირსებას და
გაგიფანტავდათ სიბრმავეს, თქვენ მაინც არ მიპასუხებდით
და არ მომცემდით საშუალებას თავი გამემართლებინა თქვენს
წინაშე და გავთავისუფლებულიყავი, მაგრამ იცოდეთ, რომ
მას შემდეგ, რაც აღსრულდება თქვენი ბოროტების შედეგად,
თქვენ დამინახავთ მე ჩემი მამის დიდებით: ***ამიერითგან იყოს
ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა ღმრთისასა“.
შენ უკუე ხარა ძე ღმრთისაჲ?*** – კვლავ დაჟინებით შეეკითხ-
ნენ, და უფალიც ადასტურებს ამას: ***თქუენ იტყჳთ, ვითარმედ***

მე ვარ (ლუკა 22, 70). ამით კმაყოფილი სინედრიონის წევრები აცხადებენ, რომ საქმის შემდგომი გამოძიება საჭირო აღარ არის და გამოაქვთ განაჩენი, რომლის თანახმადაც უფალი იესო ქრისტე უნდა გადაეცეს რომის წარმართულ ხელისუფლებას – პონტოელ პილატეს – მასზე სასიკვდილო განაჩენის აღსასრულებლად.

25. იუდა გამცემის დაღუპვა
(მათე 27, 3-10)

მხოლოდ ერთი მახარებელი, წმინდა მათე მოგვითხრობს იუდა-გამცემის შემდგომ ხვედრზე. ***მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და მიაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღდელთმოძღუართა მათ მიმართ და მოხუცებულთა,*** – შესაძლოა, რა თქმა უნდა, რომ იუდა არ ელოდა იესოსთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ან, საერთოდ, ვერცხლისმოყვარეობით დაბრმავებული, არც კი ფიქრობდა იმ შედეგზე, რაც შეიძლება გამოეწვია მის გამცემლობას. როდესაც მისი მოძღვარი გაასამართლეს, მასში უკვე, ვერცხლის მფლობელობით გამაძღარში, უცებ გაიღვიძა სინდისმა: მას თვალწინ წარმოუდგა მთელი მისი უგუნური საქციელის საშინელება. მან შეინანა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ის სინანული მასში შეერთებული იყო სასოწარკვეთილებასთან, და არა ღვთის ყოვლისმიმტევებელ გულმოწყალებასთან. ეს სინანული არის მხოლოდ გაუსაძლისი სინდისის ქენჯნა, გამოსწორების ყოველგვარი იმედის გარეშე; ამიტომაც იყო ეს სინანული უნაყოფო, უსარგებლო, ამიტომაც მიიყვანა მან იუდა თვითმკვლელობამდე. ***მიაქცია ოცდაათი იგი ვეცხლი,*** – ის, რაც მისთვის აქამდე ესოდენ

მომხიბლავი იყო, ახლა, როცა სინდისი ალაპარაკდა, მისთვის უკვე საზიზღარი შეიქნა. ასეთია საერთოდ ყოველი ცოდვა. მას ვერცხლი კი არ უნდა დაეყარა მღვდელთმთავრების წინაშე, არამედ თვითონ უნდა განრთხმულიყო უფალ იესო ქრისტეს წინაშე, შევედრებოდა ცოდვის მიტევებას, და მაშინ ის, რა თქმა უნდა, მიტევებული იქნებოდა. მაგრამ იუდა იმედოვნებს, რომ თვითონ, ზეგარდამო შეწევნის გარეშე, საკუთარი ძალებით გამოასწოროს ჩადენილი საქციელი: აბრუნებს ვერცხლს და ამასთან აღიარებს: ***ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი.*** ეს მოწმობა, წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით, ამრავლებს როგორც მის დანაშაულს, ასევე მღვდელთმთავრების დანაშაულსაც: „მისას იმიტომ, რომ მან არა შეინანა, ან შეინანა, მაგრამ გვიან და თავად გამოთქვა თავის თავზე ბრალი, რამეთუ თავად აღიარა, რომ ტყუილად გასცა ის; მათ დანაშაულს იმიტომ ამრავლებს, რომ მათ შეეძლოთ მოენანიებინათ და შეეცვალათ თავიანთი აზრი, მაგრამ ეს არ გააკეთეს“. უგულოდ, ცივად და დამცინავად მოექცნენ ისინი იუდას: ***ჩუენდა რაჲ? შენ იხილე!*** ეს მიუთითებს მათ უკიდურეს ზნეობრივ სიუხეშეზე. ***და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა და წარვიდა და შიშთვილიბა.*** ვერცხლი, რომელიც მას უკან არ გამოართვეს, იუდამ ტაძარში დაყარა, ფიქრობდა, რომ ამით სინდისს დაიწყნარებდა, მაგრამ ამაოდ: ამ ტანჯვამ ის ისეთ სასოწარკვეთამდე მიიყვანა, რომ წავიდა და თავი ჩამოიხრჩო, რის შემდეგაც, როგორც ჩანს, ჩამოკიდებული იმ სიმაღლიდან ჩამოვარდა, რომ პეტრე მოციქული მოწმობს: ***განსივნა და განსთქდა შორის, და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი*** (საქ. 1, 18). მიუხედავად თავიანთი გარყვნილებისა, მღვდელთ-

მთავრებმა მაინც შეუძლებლად მიიჩნიეს, ეს ფული ტაძრის სასარგებლოდ გამოეყენებინათ, ***არა ჯერ-არს ესე დადებად*** (ტაძრის) ***სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს*** (მათე 27, 6). მათი გადაწყვეტილება, როგორც ჩანს, ეფუძნებოდა მეორე რჯულს (23, 18), და ამ შემთხვევაშიც გამოვლინდა მათი უკიდურესად ბოროტი გრძნობა უფალ იესო ქრისტესადმი, როგორც ეს გამოვლინდა იმაში, რომ უფლის გამცემლობა მათ 30 ვერცხლად შეაფასეს. უაღრესად მკაფიოდ ახასიათებს ფარისევლებს ეს სწრაფვა, შეასრულონ რჯულის ნაკლებად მნიშვნელოვანი განწესება, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი – არ დასაჯონ უდანაშაულო – დაარღვიონ. მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისაჲ, – ეს იყო ყოვლად უვარგისი მიწა. იქ თხრიდნენ თიხას და ამზადებდნენ ჭურჭლებს ***საფლავად უცხოთა,*** – იუდეველებისა და პროზელიტებისათვის, რომლებიც დიდი რაოდენობით იკრიბებოდნენ იერუსალიმში პასექისა და სხვა დიდ დღესასწაულებზე. ***მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს: „და მოიღეს ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისაჲ მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჱლისათა, და მისცეს იგი აგარაკისათჳს მეკეცისა*** (მათე 27, 9-10). ამის მსგავს სიტყვებს ჩვენ იერემია წინასწარმეტყველთან ვერ ვპოულობთ. ერთადერთ ადგილზეა (32, 7) მხოლოდ შესყიდვის ფაქტზე საუბარი, ისიც ზოგადად, მინდვრის შესახებ. შესაძლებელია, ეს იყოს გადამწერის გვიანდელი ჩამატება. მსგავს გამონათქვამებს კი ჩვენ ვხედავთ სხვა წინასწარმეტყველთან, ზაქარიასთან (11, 12-13). მეკეცეების შესახებ ლაპარაკია იერემია წინასწარმეტყველის მე-18 და მე-19 თავებში და, შესაძლოა, რომ ზაქარიამ ეს ფორმა

აქედან აიღო. გარდა ამისა, ძველად მიღებული იყო, ბიბლიო-ლებინათ საკუთარი სახელები და შესაძლოა, გადამწერმა ზაქარიას (ზრიუ) სახელის ნაცვლად, შეცდომით დაწერა იერემია (ირიუ). ამ ადგილის აზრი, ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნიდან, ასეთია: წინასწარმეტყველს ადგენდა ღმერთი, რათა, როგორც უმაღლესი მწყემსის – ღმერთის წარმომადგენელს დაემწყსო ისრაელის სახლის ცხვრები. იუდეველები არ უსმენდნენ წინასწარმეტყველს, ანუ არ უსმენდნენ თვით ღმერთს. იუდეველთა თვალსაჩინოებისათვის, თუ რამდენად ნაკლებად აფასებენ ისინი წინასწარმეტყველების მათზე მზურნველობას და, შესაბამისად, თვით ღმერთისას, ღმერთი უბრძანებს წინასწარმეტყველს, ჰკითხოს, თუ რამდენად შეაფასებენ ისინი მის სამწყემსო შრომას? მათ გადაუხადეს მონის ფასი – 30 ვერცხლი, ანუ შეაფასეს წინასწარმეტყველის მათზე ზრუნვა და, შესაბამისად, ღმერთის ზრუნვა, უმნიშვნელო ფასად, როგორც მონის შრომა. მაშინ ღმერთმა უთხრა წინასწარმეტყველს: ***დასხენ ეგენი გამოსადნობელსა და განიხილე, უკეთუ გამოცდილ არს, ვითარსახედ გამოვიცადე მათთჳს*** (ჩაყარე ისინი საგანძურში - საუკეთესო საფასურია, როგორც დავფასდი მათგან) – „საუკეთესო საფასურია", აქ, რა თქმა უნდა, ირონიაა. ***მოვიხუენ ოცდაათნი ვეცხლნი და შევიხუენ სახიდ უფლისა სადნობელად მიმართ*** (მეც ავიღე ოცდაათი ვერცხლი და ჩავყარე უფლის სახლის საგანძურში) (ზაქ. 11, 13). ეს წინასწარემეტყველება აღსრულდა, როდესაც იუდამ გასცა უფალი იესო ქრისტე. თავიანთი კეთილი მწყემსი იესო ქრისტე იუდეველებმა შეაფასეს 30 ვერცხლად – მონის ფასად – და ამ ფულით იყიდეს მეკეცის მიწა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. უფალი იესო ქრისტე პილატეს სამსჯავროზე

(მათე 27, 2, 11-30; მარკოზი 15, 1-19; ლუკა 23, 1-25; იოანე 18, 28; 19, 1-16)

და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პონტიელსა პილატეს მთავარსა (მათე 27, 2), – მას შემდეგ, რაც იუდეველები რომაელებმა დაიმორჩილეს, სინედრიონს ჩამოერთვა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის უფლება (იოანე 18, 31). პირველმოწამე სტეფანეს ქვებით ჩაქოლვა მათი მხრიდან იყო თვითნებური საქციელი. რჯულის თანახმად, ღვთისმგმობელები ქვებით იქოლებოდნენ, მაგრამ იუდეველებს, შეუგნებლად ასრულებდნენ რა ღვთის ნებას, უნდოდათ, უფალი იესო ქრისტე უფრო სასირცხვილო სიკვდილით – ჯვარზე გაკვრით – დაესაჯათ, და ამ მიზნით მიიყვანეს იგი განაჩენის შემდეგ პონტოელ პილატესთან, რომის იმპერატორისგან დანიშნულ მმართველთან.

პილატე იყო იუდეველთა მეხუთე პროკურატორი, ანუ მმართველი. მან ეს დანიშნულება მიიღო ქრისტეს შობიდან 26 წელს, რომაელ იმპერატორ ტიბერიუსის მიერ. იგი იყო ამაყი, ქედმაღალი დ სასტიკი, მაგრამ, ამასთანავე, სულმოკლე და მშიშარა; ის ვერ იტანდა იუდეველებს, იუდეველებსაც, თავის მხრივ, სძულდათ იგი. ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მალევე დაიბარეს პილატე რომში სასამართლოზე და ვიენის საპყრობილეში ჩასვეს (სამხრეთი გალია), სადაც მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. როგორც წესი, პროკურატორები კესარიაში ცხოვრობდნენ, მაგრამ დღესასწაულებში, წესრიგი რომ არ დარღვეულიყო, იერუსალიმში სახლდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პილატეს სამსჯავროს შესახებ ყველაზე დაწვრილებით იოანე მახარებელი მოგვითხრობს. იგი ამბობს, რომ იუდეველებმა იესო პრეტორიუმში წაიყვანეს, ანუ რომის მმართველის სასამართლოში. ეს იყო, ალბათ, ციხე-სიმაგრეში ან ანტონიოს ციხე-სიმაგრის მახლობლად ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით, სადაც რომის გარნიზონი იყო განლაგებული. რაიმე წარმართულთან შეხება წაბილწვად ითვლებოდა, ამიტომ ისინი შიგნით არ შევიდნენ, რათა პასექის ჭამაში ხელი არ შეშლოდათ (ეს ნათელი მითითებაა იმაზე, რომ პასექი დგებოდა იმ საღამოს და რომ ქრისტე პასქას ჭამდა დღესასწაულის წინა დღეს, ხოლო თავი მსხვერპლად შესწირა, როგორც ჭეშმარიტმა საპასექო კრავმა ძველაღთქმისეული პასექის დადგომის დღეს, რომელიც იყო მისი ტანჯვის წინასახე). ამ შემთხვევაში პილატემ დაუთმო იუდეველთა ჩვეულებებს (ცნობილია, რომ რომაელები ცდილობდნენ დაპყრობილი ერების ჩვევები და ჩვეულებები არ ხელ-ეყოთ, რათა არ აემბოხებინათ ისინი თავის წინააღმდეგ) და თვითონ გამოვიდა ქვაფენილზე (ამაღლებული ღია ადგილი პროკურატორის საცხოვრებლის წინ), დაჯდა ტახტზე და იკითხა: ***რასა შესმენასა მოიღებთ კაცისა ამისა ზედა?*** (იოანე 18, 29). პირველი ორი მახარებელი პილატეს სამსჯავროს აღწერას იწყებს უფლის დაკითხვით, მესამე – იუდეველების მხრიდან უფლის ბრალდებით, წმინდა იოანე კი – პილატეს შეკითხვით იუდეველთა მიმართ. ამდენად, იოანე მახარებელი ყველაზე დაწვრილებით და თანმიმდევრობით აღწერს სასამართლოწარმოებას და ამგვარად ავსებს პირველი სამი მახარებლის გადმოცემას.

უკუეთუმცა არა ბოროტისმოქმედი იყო, არამცა მიგეცით შენ ეგე, – იუდეველებს არ სურდათ იესოს საქმის თავიდან

განხილვა; მათ იმედი ჰქონდათ, რომ პილატე მხოლოდ შემ-
სრულებელი იქნებოდა მათ მიერ გამოტანილი განაჩენისა.
პილატეს კარგად ესმოდა, თუ როგორ ხალხთან ჰქონდა საქმე,
ამიტომ მაშინვე დააყენა ბრალმდებლები სათანადო მდომარ-
ეობაში თავისთან, როგორც რომის ხელისუფლების წარმო-
მადგენელთან, მიმართებით: მე არ შემიძლია დავსაჯო, თუ
საქმეს არ მოვისმენ, ამიტომ: ***მიიყვანეთ ეგე თქუენ და
შჯულისა თქუენისაებრ განიკითხეთ ეგე.*** სინედრიონს მარ-
თლაც ჰქონდა რწმუნებული უფლება, რომის ხელისუფლებ-
ის დამტკიცების გარეშე მოეყვანა აღსრულებაში ზოგიერთი
სასჯელი: არ შეეძლო მხოლოდ სიკვდილით დასჯა. პილატე
მათ სთავაზობს, გამოიყენონ თავიანთი უფლება. იუდეველებმა
შეცვალეს ამაყი ტონი მორჩილზე, ისინი აღიარებენ, რომ
მათი უფლებები შეზღუდულია და არ შეუძლიათ, სიკვდილის
ღირსი დამნაშავე სათანადოდ დასაჯონ: ***ჩუენდა არავისი
ჯერ-არს მოკლვაჲ. რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუჲსი,
რომელ თქუა და აუწყებდა, რომლითა სიკუდილითა ეგუ-
ლებოდა მოსიკუდილად.*** უფალს მართლაც არაერთხელ უთქ-
ვამს, რომ მას წარმართებს გადასცემდნენ (მათე 20, 19),
რომ ის ამაღლებული იქნება მიწიდან, ანუ ჯვარზე გააკრავდნენ
(იოანე 12, 32). ქრისტეს მტრები იძულებულნი გახდნენ, ამის
შემდეგ ჩამოეყალიბებინათ ბრალდება ქრისტეს წინააღმდეგ,
რასაც ჩვენ ვკითხულობთ წმინდა ლუკასთან: ***ესე ვპოვეთ,
რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა
ხარკსაცა მიცემად კეისრისა, და იტყოდა თავსა თჳსსა
ქრისტედ და მეუფე ყოფად*** (23, 2), – ცბიერ ორგულებს
თავად სძულდათ რომაელები, ახლა კი იგონებენ ამ წმინდა
პოლიტიკური ხასიათის ცრუ ბრალდებას, რათა ადვილად

მიაღწიონ იესოსთვის სასიკვდილო განაჩენის დამტკიცებას. ამ ბრალდებიდან გამომდინარე, როგორც იოანე მახარებელი მოგვითხრობს (18, 33), პილატემ პრეტორიუმში პირისპირ საუბრის დროს იესოს ჰკითხა: ***შენ ხარა მეუფჱ ჰურიათაჲ? – შენ თავით თჳსით იტყჳ მაგას, ანუ სხუათა გითხრეს ჩემთჳს?*** – ჰკითხა ამაზე უფალმა. უნდა გაეგო დასმული კითხვის წარმომავლობა – თუკი პილატეს თავად გაუჩნდა ეს კითხვა, მაშინ უნდა ეპასუხა „არა“, რადგან ქრისტე არ იყო პილატესთვის მეფე, ხოლო თუკი პილატეს შეკითხვა ეს მხოლოდ გამეორება იყო იმისა, რასაც იუდეველები ამბობდნენ, მაშინ დადებითი პასუხი უნდა მიეცა, რადგან ქრისტე მართლაც იყო ჭეშმარიტების მეფე. ქრისტე არ ყოფილა იუდეველთა პოლიტიკური მეფე, მაგრამ იყო სამყაროს თეოკრატიული მეფე. უფალს სურდა, აეძულებინა პილატე გამოეთქვა, რა აზრით გამოიყენა მან მასთან მიმართებით ეს სიტყვა „მეუფე“: თვითონ ადანაშაულებს მას ამ ტიტულის მითვისებაში თუ მხოლოდ იმეორებს იუდეველთა ბრალდებას. პილატეს პასუხში გამოსჭვივის იუდეველობისადმი ზიზღი: ***ნუუკუე მე ჰურიაჲ ვარა? ნათესავთა შენთა და მღდელთმოძღუართა მოუცემიხარ შენ ჩემდა, რაჲ გიქმნიეს?*** – პილატე არ უშვებს მასში არანაირი სამეუფეო ღირსების არსებობას. მას მხოლოდ სურს, გაიგოს, რისთვის გაიმეტეს ის ერმა და მღვდელთმთავრებმა, როდესაც ბრალი დასდეს მეფის ტიტულის მითვისებაში. ***მიუგო იესუ და ჰრქუა მას: „მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს...“,*** – უფალი ადასტურებს, რომ ის ნამდვილად მეფეა, მაგრამ ამ სიტყვის არა პოლიტიკური, არამედ სულიერი მნიშვნელობით. „არა ისეთი მეფე, როგორიც შენ წარმოგიდგენია“. ***ჰრქუა მას პილატე: „უკუეთუ მეუფე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ შენ?“ – როცა მიხვდა, რომ იესო არ იყო პოლიტიკური პრეტენდენტი მიწიერ სამეფოზე, პილატე გამოთქვამს ეჭვს, რომელიღაც სხვა, სულიერი სამეფოს არსებობის შესაძლებლობაში. მაშინ უფალი ადასტურებს, რომ ის მართლაც მეფეა – მეფე ჭეშმარიტების სულიერი სამეფოსი, და ქვეყნად იმიტომ მოვიდა, რომ დაამოწმოს ჭეშმარიტების შესახებ. „ჭეშმარიტებაში“ კი გულისხმობს, რა თქმა უნდა, თავისი ღვთაებრივი სწავლების რელიგიურ ჭეშმარიტებას. მისი ქვეშევრდომები ისინი არიან, ვისაც უნარი შესწევს, შეისმინოს ეს ჭეშმარიტება. პილატეს, რა თქმა უნდა, როგორც უხეშ წარმართს, არ შეეძლო, გაეცნობიერებინა უფლის ეს სიტყვები და გულგრილად იკითხა: ***რაა არს ჭეშმარიტებაჲ?*** – მან მთავარი გაიგო, კერძოდ ის, რომ იესოს სამეფო არ არის პოლიტიკური და არაფრით ემუქრება რომის ბატონობას. წარმართული ბერძნულ-რომაული სამყარო იმ დროს ისეთ გონებრივ და ზნეობრივ გარყვნილებამდე იყო დასული, რომ დაკარგა რწმენა ჭეშმარიტების, საერთოდ, არსებობის შესაძლებლობაში. ის, რომ ჭეშმარიტება არ სწამდა, ამის გამოხატულება იყო პილატეს ისტორიული შეკითხვა: ***რაა არს ჭეშმარიტებაჲ?*** – რომელზედაც პასუხი მას სულაც არ აინტერესებდა და არც უნდოდა მოესმინა, ამიტომ უბრალოდ გამოვიდა იუდეველებთან და განაცხადა, რომ ის ვერანაირ დანაშაულს იესოს მხრიდან ვერ ხედავს. ამ განცხადებამ ღრმად მოწყლა სინედრიონის წევრთა თავმოყვარეობა, და მათ, როგორც ამის შესახებ პირველი სამი მახარებელი გადმოგვცემს, დაჟინებით დაიწყეს უფლის ბრალდება მრავალ დანაშაულში, რამეთუ დიდი სურვილი ჰქონდათ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ მიეღწიათ მისი გასამართლებისთვის.

უფალი ამ დროს დუმილს ინარჩუნებდა, და ეს ***უკვრდაცა მთავარსა მას ფრიად*** (მათე 27, 14). იუდეველებმა გადაწყვიტეს, რომ იესო აშფოთებს ხალხს, და გალილეადან დაწყებული მთელ იუდეას ასწავლის (ლუკა 23, 5). მაშინ პილატემ იკითხა: ***უკუეთუ გალილეაჲთ არს კაცი ესე?*** (ლუკა 23, 6), და გააგზავნა იგი ჰეროდე მეფესთან, რომელიც იმ დროს, დღესასწაულთან დაკავშირებით, ასევე იერუსალიმში ცხოვრობდა.

ჰეროდეს წინაშე უფლის სამსჯავროს შესახებ მხოლოდ ერთი მახარებელი, ლუკა გვაუწყებს (23, 7-12). როგორც ჩანს, პილატე იმედოვნებდა, რომ ჰეროდესგან მიიღებდა უფრო გარკვეულ ცნობებს ბრალდებულის პიროვნებისა და საქმის შესახებ, რადგან ყოველივე ეს მისთვის არცთუ სავსებით გასაგები იყო. წმინდა ლუკას შემდგომი შენიშვნიდან, რომ იმ დღიდან პილატე და ჰეროდე დამეგობრდნენ, შეიძლება დავასკვნათ, რომ პილატემ განგებ გაგზავნა იესო ჰეროდესთან, რათა ამის საშუალებით შეეწყვიტა მათ შორის არსებული მტრობა. შეიძლება, ის იმედოვნებდა, მიეღო ჰეროდესგან კეთილი შეფასება იესოს შესახებ, რათა დაეხსნა უფალი დაჟინებული ბრალმდებლების ხელიდან. ტყუილად არ აღნიშნავს ის შემდგომში, რომ ჰეროდემაც ვერაფერი იპოვა მასში სიკვდილის ღირსი (ლუკა 23, 15). ჰეროდეს ძალიან გაუხარდა იესოს დანახვა. ეს იყო ის ჰეროდე ანტიპა, რომელმაც იოანე ნათლისმცემელი მოაკვლევინა, და როცა იესოს საქმეები შეიტყო, იფიქრა, იოანე აღმდგარა მკვდრეთითო. ჰეროდეს იმედი ჰქონდა, რომ უფლისგან სასწაულს იხილავდა: იმიტომ კი არა, რომ მისი ერწმუნა, არამედ თვალი გაეძღო, როგორც ჩვენ სანახაობებს ვუყურებთ, როცა ილუზიონისტები წარმოადგენენ, თითქოს ყლაპავენ გველებს, ხანჯლებს და ასე შემ-

დეგ, და გვიკვირს (ნეტარი თეოფილაქტე). როგორც ჩანს, ჰეროდე იესოს მიიჩნევდა ვინმე გრძნეულად. იგი ბევრ შეკითხვას აძლევდა უფალს იმის იმედით, რომ რაიმე საინტერესოს მოისმენდა, მაგრამ მის შეკითხვას იესო დუმილით პასუხობდა. მღვდელთმთავრები და მწიგნობრები კი გაუჩერებლად ადანაშაულებდნენ უფალს; როგორც ჩანს, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ უფლის ქადაგება სახიფათო იყო რამდენადაც კეისრისთვის, იმდენადვე მისთვის – ჰეროდესთვისაც. ჰეროდემ შეურაცხყო უფალი, ჩააცვა თეთრი სამოსელი და უკან, პილატესთან გააგზავნა. თეთრი (ნათელი) სამოსელით რომაელებთან იმოსებოდნენ რაიმე საპატივცემულო თანამდებობის კანდიდატები (თვით სიტყვა „კანდიდატი“ წარმოიშობა ლათინური სიტყვიდან „კანდიდუს“, რაც ნიშნავს „თეთრი“, „ნათელი“). ჩააცვა რა უფალს თეთრი სამოსელი, ამით ჰეროდეს სურდა გამოეხატა, რომ ის მას უყურებს, როგორც მხოლოდ გასართობ პრეტენდეტს იუდეველთა სამეფო საყდარზე და არ მიიჩნევს მას სერიოზულ და საშიშ დამნაშავედ. ასე გაიგო ეს პილატემაც. ჰეროდე ეყრდნობა იმას, რომ ჰეროდემ არ ცნო იესო სიკვდილის ღირსად და სთავაზობს მღვდელთმთავრებს, მწიგნობრებსა და მთელ ხალხს, რომ დასჯის მას და გაუშვებს. პილატე ფიქრობდა, რომ მცირე სასჯელით დააკმაყოფილებდა მათ. ამასთან, მას გაახსენდა, რომ იუდეველებს ჰქონდათ ერთი ასეთი ჩვეულება: დღესასწაულზე მიდიოდნენ მმართველთან და ერთი რომელიმე სიკვდილმისჯილის გათავისუფლებას თხოვდნენ; ამ ჩვეულების საფუძველზე მან შესთავაზა: ***ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ: ბარაბა ანუ იესუ, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?*** (მათე 27, 17). პირველი ორი მახარებელი

აქვე დასძენს: ***რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი*** (მათე 27, 18). პილატეს, ალბათ იმედი ჰქონდა, რომ უბრალო ხალხში სხვა გრძნობები იქნებოდა იესოს მიმართ და ხალხი მის გათავისუფლებას მოითხოვდა. პროკურატორის სახლის წინა შეკრებილი სწორედ ამ მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე გამოვიდა პილატე შეკითხვით: „ვინ გინდათ, რომ გაგითავისუფლოთ?“ აქ კიდევ ერთი გარემოება შეიქმნა, რამაც იმოქმედა პილატეზე, რომ მას იესოსთვის დაეჭირა მხარი. როდესაც ის მსაჯულის ადგილზე იჯდა, რომელსაც ბერძნულად „ქვაფენილი“ ეწოდებოდა, ებრაულად კი – „კაპპათა“, მასთან მისი ცოლის წარმოგზავნილი მივიდა სიტყვით: ***არარაი ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისაი, რამეთუ მრავალი მევნო მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს*** (მათე 27, 19). ზოგიერთი ძველი დროის ქრისტიანი მწერალი მის სახელსაც ახსენებს: კლავდია პროკულა. ვარაუდობენ, რომ ის აღიარებდა იუდეველთა სარწმუნოებას ან, ყოველ შემთხვევაში, კეთილად იყო მისდმი განწყობილი. გადმოცემის თანახმად კი ის შემდგომში ქრისტიანი გახდა. სარწმუნოა, რომ მას ბევრი გაეგონა უფალ იესო ქრისტეზე და ეშინოდა, რომ მისი დასჯისთვის პილატე ღვთის სასჯელს მოიწევდა. უცნობია, რა სიზმარი ნახა მან, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იესო გალილეველი იხილა სიზმარში, როგორც უდანაშაულოდ ტანჯული მართალი, და იგი ძილში იტანჯებოდა იმ აზრით და ქენჯნიდა სინდისი, რომ მისი ქმარი ამ მართალის ჯალათი იყო. მაგრამ იმ დროს, როდესაც წარგზავნილი გადასცემდა პილატეს თავისი ცოლის სიტყვას, იუდეველმა მთავრებმა დაუწყეს ხალხს შეგონება, რომ პილატესთვის ბარაბას გათავისუფლება ეთხოვათ; ხალხმა შეისმინა ეს უწმინდური შეგ-

ონება, და როდესაც პილატემ მეორედ იკითხა: ***ვინ გნებავს ორთა ამათგანი, და მიგიტეო თქუენ?*** – მათ მიუგეს: ***ბარაბა. რაჲ უკუე იყო იესუს, რომელსა ჰრქჳან ქრისტე?*** – ჰკითხა მაშინ პილატემ, რაზედაც ხალხის პასუხი იყო: ***ჯუარს-ეცუნ;*** ლუკა მახარებლის მიხედვით, ისინი ყვიროდნენ: ***აღიღე ეგე!*** (სიკვდილი მაგას). პილატეს მაინც სურდა მისი გათავისუფლება და ხმას აუწია: ***და რაჲ ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი უმეტეს ღაღადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ*** (მათე 27, 23). ეფთვიმე ზიღაბენი აღნიშნავს: „არ ამბობენ: მოკვდეს, არამედ: ჯვარს ეცვას, რათა თვით სიკვდილის სახეობამაც გამოაჩინოს მასში ბოროტმოქმედი“. ასე უნდა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველებანი იმის შესახებ, თუ რა სახის სიკვდილით მოკვდებოდა უფალი ჩვენ გამო. ერმა, რომელსაც სულიერად გარყვნილი მთავრები ჰყავდა, უფალ იესო ქრისტეს ბარაბა ამჯობინა, რომლის შესახებაც მახარებლები გვაუწყებენ, რომ ძარცვის მიზნით მან თანამზრახველებთან ერთად ქალაქში შფოთი გამოიწვია და მკვლელობა ჩაიდინა (მათე 27, 16; იოანე 18, 40; ლუკა 23, 19; მარკოზი 15, 7).

გაიგონა რა ხალხის გაშმაგებული ყვირილი, რომელსაც, როგორც ჩანს, არ ელოდა, პილატე საბოლოოდ დაიბნა. ის შეშინდა, რომ თუკი განაგრძობდა ამ მართალი კაცის ასე დაჟინებულ დაცვას, ამას შეიძლება ხალხის სერიოზული მღელვარება გამოეწვია, და მაშინ, უკვე, მათ დაწყნარება მხოლოდ შეიარაღებული ძალებით იქნებოდა შესაძლებელი. ამის შემდეგ კი განრისხებული მღვდელთმთავრები, ალბათ, კეისართან უჩივლებდნენ მას, და ბრალს დასდებდნენ ხალხის ამბოხში, რაც თითქოს მის მიერ სახელმწიფო დამნაშავის დაცვამ გამოიწვია, როგორადაც სურდათ მათ წარმოედგინათ

უფალი იესო ქრისტე. ასეთი გრძნობების ქვეშ პილატე შეეცადა, დაეკმაყოფილებინა ხალხში სისხლის წყურვილი და უდანაშაულო იესო გასამათრახებლად გადასცა ჯარისკაცებს. როგორც ჩანს, პილატე ვარაუდობდა, რომ თუკი ხალხის რისხვას დაუთმობდა, ამით შეძლებდა იესოს სიკვდილისგან დახსნას. ***მაშინ მოიყვანა პილატე იესუ და ტანჯა იგი*** (იოანე 19, 1). ეს ამბავი ოთხივე მახარებელს აქვს მოთხრობილი. პირველი ორი მახარებლის თანახმად, გასამათრახებლად ჯარისკაცებმა უფალი წაიყვანეს პრეტორიუმში, ანუ შიდა ეზოში, ალბათ იმიტომ, რომ იქ მეტი სივრცე იყო, ეზოს წინ კი ადგილი არ იყო ხალხმრავლობის გამო, და შეიკრიბა მთელი რაზმი. ჯარისკაცებმა გახადეს იესოს და გამათრახება დაუწყეს. ასეთ სასჯელს რომაელები უწესებდნენ დამნაშავეებს მძიმე დანაშაულისათვის, უმეტესწილად, მონებს. მათრახებს ამზადებდნენ თოკებისა და ქამრებისგან, მის ბოლოებში კი ამაგრებდნენ წვეტიან ძვლისა და მეტალის ჯოხებს. ეს სასჯელი იმდენად მტანჯველი იყო, რომ ბევრი ადგილზე კვდებოდა. დამნაშავეს აკრავდნენ ბოძზე დახრილ მდგომარეობაში და შიშველ ზურგზე ურტყამდნენ მათრახს, კანი სკდებოდა პირველივე დარტყმებისგან და ჭრილობიდან თქრიალით გადმოდიოდა სისხლი. ასეთ სასჯელს დაუქვემდებარა პილატემ ის, ვისშიაც ვერანაირ დანაშაულს ვერ ხედავდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ანგარიშით, რათა ამით დაეკმაყოფილებინა სისხლმოწყურებული ბრბო და ეხსნა იგი ჯვარზე სიკვდილისაგან. გამათრახების შემდეგ გულსასტიკმა ჯარისკაცებმა გატანჯულ იესოს დაცინვა დაუწყეს: მოასხეს ქლამინდი მეწამული – წითელი ფერის სამხედრო ლაბადა, მსგავსი იმისა, როგორსაც იცვამდნენ მეფეები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი სამხედრო მეთაურები. ასეთ ლაბადას სამეფოები არ ჰქონდა, მას მხრებზე ისხამდნენ ისე, რომ მარჯვენა ხელი თავისუფალი რჩებოდა. ამ ქლამინდს უნდა გამოეხატა იუდეველი მეფის სამეფო პორფირი, ლერწამს კი, რომელიც ხელში მისცეს – სამეფო კვერთხი; თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს. გააკეთეს რა ყოველივე ეს ღმრთეებრივი ტანჯულის დასაცინად, ჯარისკაცები მის წინაშე მუხლის მოყრა დაიწყეს, ლანძღავდნენ მას, თითქოს ესალმებოდნენ და ეუბნებოდნენ: ***გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!*** ამასთანავე, სილას აწნავდნენ, აფურთხებდნენ, აიღეს ლერწამი და თავზე გადაამტვრიეს.

ყველა ეს ქმედება პირველ ორ მახარებელს აღწერილი აქვს, როგორც უფლის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის შემდგომი მოვლენები, მაგრამ იოანე მახარებელი, რომლის ამოცანაც იყო, შეევსო და განემარტა პირველი სამი მახარებლის მონათხრობი, მიუთითებს, რომ ეს მოხდა მანამდე, და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პილატეს მიზანი ამ შემთხვევაში იყო, თუნდაც ამ გზით აერიდებინა იესოსთვის სასიკვდილო სასჯელი. ასეთნაირად გაწამებული და გატანჯული იესო პილატემ გარეთ გამოიყვანა, რათა მის მიმართ იუდეველებში სიბრალული გამოეწვია. მისი ანგარიშით, იუდეველებს გული უნდა შეძვროდათ ასეთი საშინელი სანახაობისგან და აღარ უნდა მოეთხოვათ უფლის სიკვდილით დასჯა. ასე მსჯელობდა წარმართი, რომელმაც არ იცოდა ჭეშმარიტი ღმერთი და მისი მცნებები, მათ შორის, მოყვასის სიყვარულის შესახებ. სამწუხაროდ, ასე არ ფიქრობდნენ ღვთის რჩეული ერის სულიერი მოძღვრები და მთავრები, გამძვინვარებულნი თავიანთ დაუცხრომელ სიბოროტეში. როდესაც უფალი ქვაფენილზე გამოიყვანეს, პილატემ ბრბოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართა: ***აჰა გამოვიყვანო იგი გარე თქუენდა, რაჲთა სცნათ, რამეთუ მის თანა არცა ერთი ბრალი ვპოვე,*** – ამასთან, მიუთითა რა უფალზე, თქვა: ***აჰა კაცი იგი!*** ამით პილატე მათი სინდისი სამსჯავროს მიმართავდა: შეხედეთ, – თითქოსდა ასე ეუბნება, – აი, ადამიანი ეული, დამცირებული, გაწამებული, ნუთუ იგი ჰგავს საშიშ მეამბოხეს; განა, არ იწვევს იგი მეტადრე სიბრალულს თავისი შესახედაობით, ვიდრე შიშს? ამასთან, პილატე, მისთვისაც გაუცნობიერებლად, ჭეშმარიტ სიმართლეს ლაპარაკობდა: დამცირებულმა უფალმა გამოავლინა მთელი სულიერი სიდიადე და ზნეობრივი სილამაზე ჭეშმარიტი ადამიანისა, როგორიც ის უნდა იყოს შემოქმედის ჩანაფიქრით. ქრისტიანებისათვის პილატეს სიტყვა ნიშნავს: აი, ადამიანის ნიმუში, რომელსაც უნდა ესწრაფვოდეს თითოეული ადამიანი.

მღვდელთმთავრებისა და მათი მსხურებისათვის კი არაფრის მთქმელი იყო. როგორც კი დაინახეს გატანჯული და ნაწამები ქრისტე, კვლავ მოჰყვნენ შეძახილებს: ***ჯუარს-აცუ, ჯუარს-აცუ ეგე!*** ბრალმდებელთა ასეთმა დაჟინებამ პილატეში იმედგაცრუება გამოიწვია და მკვახედ უთხრა: ***მიიყვანეთ ეგე თქუენ და ჯუარს-აცუთ, რამეთუ მე მაგის თანა ბრალსა არარას ვჰპოვებ,*** – „თუ თქვენ ასე დაჟინებით ითხოვ, თვითონ აცვით ჯვარზე და თვითონ აიღეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, მე კი, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელი, მონაწილეობას ვერ მივიღებ ასეთ უღირს საქციელში, როგორიცაა უდანაშაულო ადამიანის სიკვდილით დასჯა“. პილატეს ეს სიტყვები, გარდა უკიდურესი აღშფოთებისა და მოუთმენლობისა, არაფერს გამოხატავდა, ამიტომ ქრისტეს მტრები განაგრძობდნენ მიეღოთ პილატესგან სასიკ-

ვდილო განაჩენის თანხმობა, და წარმოადგინეს ახალი ბრალდება: ***ჩუენ შჯული გუაქუს, და შჯულისა ჩუენისაებრ თანააც სიკუდილი, რამეთუ თავი თჳსი ძედ ღმრთისა ყო*** (იოანე 19, 7). ამის გაგონებაზე პილატეს ***უფროჲს შეეშინა.*** რა თქმა უნდა, გამოთქმა „ძე ღვთისა" მას ესმოდა წარმართული აზრით, როგორც ნახევრადღმერთები, გმირები, რომლებითაც სავსეა წარმართული მითოლოგია, მაგრამ ესეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ის შეშფოთებულიყო, მით უმეტეს, რომ კარგად ახსოვდა ცოლის გაფრთხილება და მისი საიდუმლო სიზმარი ამ იდუმალებით მოცული კაცზე. და აი, პილატეს შეჰყავს იესო პრეტორიუმში და პირისპირ დაკითხვაზე ეკითხება: ***ვინაჲ ხარ შენ?*** – „როგორია შენი წარმომავლობა, ზეციური თუ მიწიერი? ნამდვილად ძე ღვთისა ხარ?" მაგრამ ***იესუ სიტყუაჲ არა მიუგო მას,*** – აზრი არ ჰქონდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. უფალმა უკვე აუხსნა პილატეს თავის შესახებ, რაც საჭირო იყო, მაგრამ ამან პილატესგან მხოლოდ ზერელე-სკეპტიკური შეკითხვა გამოიწვია (იოანე 18, 36-38). შეეძლო კი უხეშ წარმართ-სკეპტიკოსს, გაეცნობიერებინა სწავლება ჭეშმარიტი ძე ღვთისას შესახებ? პილატემ გადალახა თავის თავში შიში და გადაწყვიტა, თავისი ძალაუფლება გამოემჟღავნებინა, რითაც, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, განეწყო უფალი პასუხისათვის: ***მე არას მეტყჳ?..*** უფალი ამ ამპარტავნულ სიტყვას ღმრთეებრივი სიბრძნით პასუხობს: ***არა გაქუს ჴელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთი, უკუეთუმცა არა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო,*** – „ის, რომ შენს ხელში ვარ, ეს ღმერთისგანაა დაშვებული. დაუმორჩილა რა თავისი ერი წარმართულ რომაულ მთავრობას, ღმერთმა ამის მეშვეობით შენც მოგცა

ჩემზე ხელმწიფება. თუმცა შენ მაინც იქნები დამნაშავე ჩემს დასჯაში, რადგან სინდისის საწინააღმდეგოდ მოქმედებ, მაგრამ უფრო მეტი ცოდვა იმას მოეკითხება, ვისაც ზეგარდამო არ ჰქონდა ჩემზე ხელმწიფება და ეს თვითნებურად გააკეთა, ღვარძლით, ანუ სინედრიონს და კაიაფას, როგორც მის იარაღს, ასევე, იუდა ისკარიოტელს. უფლის ბრძნული სიტყვა, ეტყობა, მოეწონა პილატეს, და ***ამის გამო პილატეს უნდა განტევებაჲ მისი.*** მაშინ ბრალმდებულებმა გადაწყვიტეს მიემართათ უკიდურესი საშუალებისათვის – დაემუქრნენ თვით პროკურატორს რომის კეისრის ღალატში: ***უკუეთუ ეგე განუტეო, არა ხარ მოყუარე კეისრისაჲ,..*** პილატე შეშინდა, რამეთუ იმპერატორი იმ დროს იყო ეჭვიანი და უაღრესად სასტიკი დესპოტი ტიბერიუსი, რომელიც სიამოვნებით ისმენდა საჩივრებს. ამ მუქარამ თავისი შედეგი გამოიღო. პილატე დაჯდა ქვაფენილზე მდგარ თავის სამსჯავრო ტახტზე და ფორმალურად და საზეიმოდ დაასრულა სასამართლო. იოანე მახარებელი აღნიშნავს უფლის განსჯის დღესა და საათს: ***იყო პარასკევი პასექისაჲ, და ჟამი იყო მეექუსე,*** – ჩვენი ათვლით დაახლოებით დღის 12 საათი. დროის მითითებით თითქოსდა განსხვავება აქვს იოანე მახარებელს სხვა მახარებლებთან, განსაკუთრებით წმინდა მარკოზთან, რომელიც ამბობს: ***იყო ჟამი მესამე, და ჯუარს-აცუეს იგი*** (მარკოზი 15, 25), ხოლო მეექვსედან ჟამიდან ***ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე*** (მარკოზი 15, 33; მათე 27, 45; ლუკა 23, 44), მაგრამ ისაა, რომ დღე, ისევე, როგორც ღამე ოთხ ნაწილად იყოფოდა და თითოეული ნაწილი სამი საათისგან შედგებოდა, ამიტომ ახალ აღთქმაში მოიხსენიება მხოლოდ პირველი, მესამე, მეექვსე და მეცხრე ჟამი. წმინდა

იოანე ამბობს: ***ჟამი იყო მეექვსე.*** ჩვენი გაგებით ეს შეიძლება ყოფილიყო დრო დილის 9 საათიდან შუადღის 12 საათამდე. არსებობს ასეთი აზრიც (გლადკოვი), რომ წმინდა იოანე მიუთითებს დროს რომაული ათვლით, რომელიც ჩვენს დროს შეესაბამება, ანუ იყო დაახლოებით დილის 6 საათი, როგორც ახლა ვითვლით. ***ჰრქუა პილატე ჰურიათა მათ: „აჰა მეუფე თქუენი!“*** (იოანე 19, 14), – ძნელი სათქმელია, რისი თქმა უნდოდა ამით პილატეს, მაგრამ არ შეიძლება ამაში არ დავინახოთ მისი უკანასკნელი მცდელობა, ეხსნა იესო სიკვდილისგან. ეტყობა, გაღიზიანებული იმის გამო, რომ მას აიძულებენ, გამოიტანოს თავისი სინდისი საწინააღმდეგო განაჩენი, იგი კიდევ ერთხელ მკაცრად საყვედურობს სინედრიონს; ის თითქოსდა ასე ამბობს: თქვენ ოცნებობთ, დაიბრუნოთ დამოუკიდებლობა, დაატკიცოთ თქვენი, თითქოსდა მაღალი მოწოდება მსოფლიოს ყველა ერს შორის, მაგრამ ვერ აცნობიერებთ, რომ ამ მაღალი ამოცანის შესრულებას ისე ვერავინ მოახერხებდა, როგორც ეს კაცი, რომელიც თავის თავს ისრაელის სულიერ მეფეს უწოდებს. თქვენ კი იმის ნაცვლად, რომ მის წინაშე მუხლი მოიდრიკოთ, მის სიკვდილს ითხოვთ! თქვენ გინდათ, რომ მე, თქვენთვის საძულველმა რომაელმა მმართველმა, წაგართვათ თქვენ მეფე, რომელსაც შეუძლია ყველა თქვენი საოცნებო სურვილი აასრულოს?

როგორც ჩანს, ზუსტად ასე გაიგეს ყოველივე ეს ბრალმდებლებმა, რადგან განსაკუთებული გააფთრებით შეჰღაღადეს: ***აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე!*** ეპისკოპოს მიხეილის სიტყვებით, „ეს იყო ღაღადი ყველზე მგრძნობიარე ადგილას მიყენებული ჭრილობისგან“. მაგრამ „პილატე, ვიდრე საბოლოოდ დაუთმობდა, კიდევ ერთხელ ატრიალებს დანას ამ

ჭრილობაში: ***მეუფე თქუენი მე ჯუარს-ვაცუაა?***", — „თუკი იესო თავის თავს თქვენს მეუფეს უწოდებს, მაშინ ბრალი გპირდებათ თქვენ რომის ძალაუფლებისგან გათავისუფლებას, მაშ, როგორღა ითხოვთ თქვენ, რომ მე, რომის ხელისუფლების წარმომადგენელმა, სიკვდილით დავსაჯო იგი? დაფიქრდით, რას აკეთებთ?" ამ შეგონების პასუხად, მღვდელთმთავრებმა, იესოს წინააღმდეგ ღვარძლით დაბრმავებულებმა, გამოთქვეს საშინელი, საბედისწერო სიტყვები, რომელიც განაჩენი გამოდგა ებრაელი ერის მთელი შემდგომი ისტორიისათვის: ***არა გვვის ჩვენ მეუფე, გარნა კეისარი.*** ადრე მღვდელთმთავრები ამბობდნენ: „არა გვყავს ჩვენ სხვა მეფე, გარდა ღმერთისა", ახლა კი, მხოლოდ იმისათვის, რომ ქრისტეს ჯვარცმისთვის მიეღწიათ, ყველაფერს უარყოფენ, განაცხადეს, რომ არა ჰყავთ და არც სურთ, რომ ჰყავდეთ სხვა რომელიმე მეფე, გარდა რომის კეისრისა. მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა პილატემ, დაეკმაყოფილებინა მათი სურვილი და ***მისცა იგი მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას.*** წმინდა მათე გადმოგვცემს, რომ მანამდე პილატემ ხელები დაიბანა (27, 24): ***ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფროჲსღა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანა ჯელნი წინაშე ერისა მის და თქუა: „უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისასა, თქუენ იხილეთ".*** იუდეველებს ჩვეულება ჰქონდათ, დაებანათ ხელები იმის დასამტკიცებლად, რომ მის მიერ ნაპოვნი მოკლული ადამიანის სიკვდილში მას ბრალი არ მიუძღოდა (მეორე რჯ. 21, 6-8). პილატემ ისარგებლა ამ ჩვეულებით იმის ნიშნად, რომ ის იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იესოს დასჯისთვის, რომელსაც ის მიიჩნევდა უდამაშაულოდ და მართლად. ***თქუენ იხილეთ***

(მათე 27, 24), – თქვენ თავად აგებთ პასუხს ამ უსამართლო მკვლელობისათვის. ოღონდაც მიიღონ პროკურატორისგან თანხმობა სასიკვდილო განაჩენის დასამტკიცებლად და ღვარძლიანი იუდეველები მზად არიან ყველაფერზე დათანხმდნენ ისე, რომ არც კი ფიქრობენ შესაძლო შედეგებზე: ***სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა,*** – „თუ ეს დანაშაულია, მაშინ დაე, ღვთის სასჯელი დაგვაწვეს ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას". „ასეთია უგუნური მძვინვარება, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, – ასეთია ბოროტი ვნება... კარგი, თქვენ თავი დაწყევლეთ, მაგრამ თქვენს შვილებს რატომღა ადებთ ტვირთად ამ წყევლის სიმძიმეს?" ეს წყევლა, რომელიც იუდეველებმა თავის თავზე მოიწიეს, მალე ასრულდა: სწორედ ქრისტეს შობიდან 70 წელს, როდესაც იერუსალიმის ალყის დროს, რომაელებმა უამრავი იუდეველი გააკრეს ჯვარზე. ასრულდა ის მთელ მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთა მთელ შემდგომ ისტორიაზეც, როდესაც ისინი ყველგან და მუდმივად დარბევებს განიცდიდნენ, რითაც სრულდებოდა მეორე რჯულის წიგნში (28, 49-57, 64-67) გადმოცემული მოსეს წინასწარმეტყველება.

მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუს შოლტითა სცა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-ეცუას (მათე 27, 26), – პილატემ დაამტკიცა სინედრიონის განაჩენი და მისცა იუდეველებს ჯარისკაცები, რათა სისრულეში მოეყვანათ მათ უფალ იესო ქრისტეს მიმართ სასიკვდილო განაჩენი ჯვარზე გაკვრით.

ხელების დაბანით პილატეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო პასუხისმგებლობა მოეხსნა, როგორც ეს მას სურდა. გამოთქმა „ხელების დაბანა" ამის შემდეგ „ფრთიან გამოთქმად" იქცა. პილატეს ღვთის სასჯელი მოეწია თავისი სულმოკლე-

ობისათვის და იმის უსამართლოდ გასამართლებისათვის, ვისაც მან თვითონ უწოდა მართალი. იგი გაგზავნილ იქნა გასასამართ-ლებაში გალიაში (ქ. ვიენაში) და იქ ორი წლის შემდეგ, სინდისის ქენჯნისა და სასოწარკვეთილებისგან გატანჯულ-მა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

27. უფლის მსვლელობა გოლგოთისკენ

(მათე 27, 31-32; მარკოზი 15, 20-21; ლუკა 23, 26-32; იოანე 19, 16-17)

გოლგოთის გზის შესახებ ოთხივე მახარებელი მოგვით-ხრობს. პირველი ორი – წმინდა მათე და წმინდა მარკოზი ამის შესახებ სრულიად ერთნაირად გადმოგვცემენ. ***და ოდეს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თჳსივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რაჲთა ჯუარს-აცუან. და ვითარცა გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კჳრინელი, სახელით სიმონ; ესე წარიქციეს პაჰრაკად, რაჲთა აღიღოს ჯუარი მისი.*** წმინდა იოანე მოკლედ ლაპარაკობს ამის შესახებ, სიმონ კირინელს კი საერთოდ არ ახსენებს. ყველაზე დაწვრილებით ლუკა მახარებელი საუბრობს. როგორც წმინდა იოანე გვაუწყებს და როგორც ეს მიღებული იყო ჯვარცმით სიკვდილმისჯილთა შემთხვევაში, უფალს თვითონ მიჰქონდა თავისი ჯვარი დასჯის ადგილისკენ; მაგრამ ის იმდენად დაუძლურებული იყო გეთსიმანიის ბაღში გადატა-ნილი შინაგანი ბრძოლით, უძილო ღამით, საშინელი წამე-ბით, რომ ძალა აღარ შესწევდა, დანიშნულების ადგილამდე მიეტანა ჯვარი. რა თქმა უნდა, არა თანაგრძნობის მიზეზით, არამედ იმის სურვილით, რომ მალე მისულიყვნენ და დაეს-რულებინათ თავიანთი ბოროტი საქმე, უფლის მტრებმა გზა-

ში შეაჩერეს ყანიდან მომავალი ვინმე სიმონი, ლიბიის ქალაქ კირინეიდან გადმოსახლებული (ეს ქალაქი მდებარეობდა ლიბიის ჩრდილოეთ ნაწილში აფრიკის სანაპიროზე, ეგვიპტის დასავლეთით, სადაც ბევრი გადასახლებული ებრაელი ცხოვრობდა) და აიძულეს, უფლის ჯვარი დაედო ქედზე და სასჯელის ადგილისკენ წაეღო. წმინდა მარკოზი ამატებს, რომ სიმონ კირინელი იყო მამაჲ ***ალექსანდრესი და როფესი,*** რომლებიც შემდგომში კარგად ცნობილი ქრისტიანენი გახდნენ, და რომლებიც მოიხსენიებიან რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (16, 13) პავლე მოციქულის მიერ.

წმინდა ლუკა ამატებს, რომ ***შეუდგა მას სიმარავლე ერისაჲ და დედებისაჲ, რომელნი ეტყებდეს*** (გლოვობდეს) ***და სტიროდეს მას.*** უფალს არა მხოლოდ მტრები, არამედ მისი თაყვანისმცემლები და თანამგრძნობნიც მიჰყვებოდნენ. მიუხედავად ჩვეულებისა, რომლის თანახმადაც აკრძალული იყო სიკვდილმისჯილისთვის თანაგრძნობის გამოხატვა, დედაკაცები მაინც გამოხატავდნენ ტირილით უფლისადმი თანაგრძნობას. ეს თანაგრძნობა იმდენად ღრმა და წრფელი იყო, უფალმა საჭიროდ ჩათვალა გამოხმაურებოდა მათ გულისტკივილს და სიტყვით მიმართა, სავარაუდოდ, იმ დროს, როდესაც შეჩერება მოხდა გზაში – როცა უფლის ჯვრის ტარება სიმონს დააკისრეს. ***ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა...*** (ლუკა 23, 28). „ასულნო იერუსალიმისანო“ – ეს არის სიყვარულით სავსე მიმართვა, რომელიც მიანიშნებს უფლის კეთილგანწყობას ამ დედაკაცების მიმართ, ასეთი გულისშემძვრელი თანაგრძნობა რომ აღმოუჩინეს. უფალი, თითქოსდა, ივიწყებს მოსალოდნელს სატანჯველს და მისი

სულიერი მზერა მიპყრობილია რჩეული ერის მომავლისკენ, იმ საშინელი სასჯელისკენ, რომელიც მას მოეწევა ბესიის უარყოფისათვის. ***თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა,*** – ამ სიტყვებით უფალი აფრთხილებს იმ უბედერებების შესახებ, მათ და მათ შვილებს რომ ელოდებოდათ მომავალში. მას აქ, ერთგვარად, მხედველობაში აქვს ის საშინელი ფიცი, ასე ქარაფშუტულად რომ მოიწიეს თავზე იუდეველებმა, როცა გაჰყვიროდნენ: ***სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა*** (მათე 27, 25). ***აჰა ესერა მოვლენან დღენი...*** (ლუკა 23, 29), – ახლოვდება საშინელი უბედურების დღეები, როდესაც შვილთაშობის უმაღლესი კურთხევა წყევლად გადაიქცევა და ნეტარნი იქნებიან უნაყოფონი, რომელნიც მანამდე ღვთის რისხვის ქვეშ ითვლებოდნენ. ***მაშინ იწყონ სიტყუად მთათა: დამეცენით ჩუენ ზედა...***, – ამდენად დიდი იქნება მათი ჭირი. აქ, უეჭველად, საუბარია ტიტეს მიერ იერუსალიმის დანგრევაზე ქრისტეს შობიდან 70 წელს.

რამეთუ უკუეთუ ნედლსა ხესა ესრეთ უყოფენ, ჴმელსა მას რაჲმე ეყოს? – ეს ეტყობა, ხალხური გამოთქმაა. ცხოვრებით სავსე „ნედლ ხეში“ უფალი თავის თავს გულისხმობს; „ხმელში“ – იუდეველ ერს. თუკი იგი, უდანაშაულო, არ დაინდეს, მაშინ დამნაშავე ერს რაღა მოუვა? „ცეცხლი აღეგზნო იუდეაში“ (შდრ. ეზეკ. 20, 47); თუკი ნედლი ხე დაიწვა, მაშინ რა ძალით განადგურდება ხმელი?“ (ეპისკოპოსი მიხეილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. ჯვარცმა

(მათე 27, 33-44; მარკოზი 15, 22-32; ლუკა 23, 33-39; იოანე 19, 18-24)

ოთხივე მახარებლის თანახმად, უფალი მიიყვანეს გოლგოთაზე, რაც ნიშნავს: „თხემის ადგილი“, და იქ გააკრეს იგი ჯვარზე ორ ავაზაკთა შორის, რომელთა შესახებაც წმინდა ლუკა გვაუწყებს, რომ ისინიც უფალთან ერთად მიჰყავდათ დასასჯელად. გოლგოთა ანუ თხემის ადგილი, – ეს იყო პატარა ბორცვი, რომელიც იმ დროს იერუსალიმის კედლებს გარეთ მდებარეობდა, ქალაქიდან ჩრდილო-დასავლეთით. ზუსტად არ არის ცნობილი, თუ რატომ ატარებდა ეს ბორცვი ამ სახელს. ფიქრობენ, ან იმიტომ, რომ მას თავის ქალის ფორმა ჰქონდა, ან კიდევ იმიტომ, რომ ბორცვზე დაფლულიყო მრავალი დასჯილის ქალა და ძვლები. ძველი გადმოცემის თანახმად, ამავე ადგილზე იყო დასაფლავებული პირველმშობელი ადამი. წმინდა პავლე მოციქული ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (13, 11-12) მიუთითებს იმის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რომ იესო ***გარეშე ბჭეთა ივნო.*** როდესაც იესო გოლგოთაზე მიიყვანეს, მას დასალევად მისცეს მურნარევი ღვინო, – წმინდა მარკოზის თანახმად (15, 23); ხოლო წმინდა მათეს მიხედვით (27, 34) – ***ძმარი, ნაღლითა აღზავებული.*** ეს იყო გამაბრუებელი სასმელი, რომელსაც ჯვარცმით სიკვდილმისჯილებს აძლევდნენ ტანჯვის შესამსუბუქებლად. რომაელები მას „დამაძინებელს“ უწოდებდნენ. ებრაელი რაბინების მოწმობით, ეს იყო ღვინო, რომელშიც ფისს ამატებდნენ, რისგანაც ჯვარზე გაკრულ დამნაშავეს გონება უბურუსდებოდა და წამება უმსუბუქდებოდა. მური არის ფისის ნაირსახეობა, ამიტომაც ახსენებს მას წმინდა

მარკოზი. ფისნარევ ღვინოს უკიდურესად მწკლარტე და მწარე გემო ჰქონდა, ამიტომ უწოდებს მას წმინდა მათე „ნაღველს“, ხოლო დამჟავებული ღვინო – „ძმარია“. ***და გემოდ რად იხილა, არა უნდა სუმის,*** – სურდა რა ტანჯვის სასმისი ბოლომდე შეესვა, – სრული ცნობიერებით, – უფალმა უარი თქვა ჯარისკაცების მიწოდებულ სასმელზე. ***იყო ჟამი მესამე, და ჯუარს-აცუეს იგი,*** – ასე ამბობს მარკოზ მახარებელი (15, 25). ეს, თითქოსდა, ეწინააღმდეგება იოანე მახარებლის მოწმობას იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მეექვსე ჟამზე უფალი იყო პილატესთან სამჯავროზე (19, 14), მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ როგორც ღამე იყოფოდა ოთხ გუშაგობად, და თითოეულში სამი საათი შედიოდა, ასევე იყოფოდა დღე ოთხ ნაწილად და თითოეული ჟამი ატარებდა მასში შემავალი საათების ბოლო სახელს და ამგვარად გამოდიოდა: მესამე ჟამი, მეექვსე ჟამი და მეცხრე ჟამი. თუკი ვივარაუდებთ, რომ საბოლოო განაჩენი პილატემ ქვაფენილზე გამოიტანა მესამე ჟამის ბოლოს იუდეველთა ათვლით, ანუ დილის 9 საათსა და რაღაც წუთებზე ჩვენი დროით, მაშინ წმინდა იოანეს სავსებით შეეძლო ეთქვა, რომ ეს იყო მეექვსე ჟამი, რადგან იწყებოდა დღის მეორე მეოთხედი, რომელიც შედგებოდა მე-4, მე-5 და მე-6 საათებისგან, და ეს ებრაელებთან იწოდებოდა თავისი უკანასკნელი მე-6 საათის შესაბამისად მეექვსე ჟამად. მეორე მხრივ, მარკოზ მახარებელს შეეძლო ეთქვა, რომ ეს იყო მესამე ჟამი, იმიტომ, რომ მე-6 საათი, ანუ დღის მეორე მეოთხედი მხოლოდ იწყებოდა, ხოლო მთავრდებოდა მესამე ჟამი, ანუ დღის პირველი მეოთხედი.

და ჯუარს-აცუეს იგი. – ჯვარი სხვადასხვა ფორმის იყო და მასზე აკრავდნენ სხვადასხვანაირად. ზოგჯერ დამნაშავეს

ამსჭვალავდნენ მიწაზე დადებულ ჯვარზე, მერე ჯვარს აღ-
მართავდნენ ვერტიკალურად და მიწაში ამაგრებდნენ; ზოგჯერ
პირიქით, ჯერ ჯვარს აღმართავდნენ, მერე სწევდნენ ზევით
მსჯავრდებულს და ამსჭვალავდნენ მასზე; ზოგჯერ, თავდა-
ღმა ამსჭვალავდნენ (ასე იყო ჯვარცმული, თავისი სურვილით,
წმინდა პეტრე მოციქული). ზოგჯერ სამსჭვალის ნაცვლად
თოკებით აკრავდნენ. სხეული უსუსურად ეკიდებოდა და ადა-
მიანი საშინელ კონვულსიებში ვარდებოდა, მთელი კუნთები
მტანჯველად იკრუნჩხებოდა, ლურსმნებისგან მიღებული ჭრი-
ლობები სხეულის სიმძიმით სკდებოდა, დასჯილს ტანჯავდა,
აგრეთვე, გაუსაძლისი წყურვილი, გამოწვეული ლურსმნის
ნაჭრილობევით აღძრული სიცხისგან. როგორც წესი, ჯვარც-
მულის ტანჯვა იმდენად დიდი და საშინელი იყო, ამასთანავე,
ხანგრძლივი (ეს ტანჯვა ზოგჯერ სამი დღე და მეტიც გრძე-
ლდებოდა), რომ ამ სასჯელს იყენებდნენ მხოლოდ საშიში
დამნაშავეების წინააღმდეგ და ითვლებოდა სასჯელებს შორის
ყველაზე გუსაძლისად და სამარცხვინოდ. ხელები რომ დროზე
ადრე არ გახეულიყო ჭრილობებისგან, ფეხების ქვეშ ზოგჯერ
ფეხსადგამს აჭედებდნენ ჯვრის ჰორიზონტალურად, რომელზე-
დაც ჯვრაცმულს შეეძლო, დამდგარიყო. ზემოთ, ჯვრის თავ-
ისუფლად დარჩენილ ბოლოზე, ჰორიზონტალურად აჭედებდნენ
დაფას, სადაც იწერებოდა დამნაშავის ბრალი.

აუწერელი ტანჯვის მიუხედავად, უფალი მაინც არ დარჩე-
ნილა სრულიად მდუმარე: მან შვიდჯერ ილაპარაკა ჯვრი-
დან. პირველი მისი სიტყვები იყო ლოცვა მისი ჯვარმცმელთ-
ათვის; მეორე თავისი სიტყვით მან ღირსჰყო კეთილგონიერი
ავაზაკი სამოთხისეული ნეტარებისა; მესამე სიტყვით – თავი-
სი ყოვლადწმიდა მშობელი ჩააბარა წმინდა იოანე მახარებელს;

მისი მეოთხე სიტყვა იყო ღაღადი: ***ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევე მე?*** მეხუთე სიტყვა – ***მწყურს;*** მეექვსე სიტყვა – ***აღსრულებულ არს;*** მეშვიდე – ***მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა.***

უფლის პირველი სიტყვებით უფალმა მამა-ღმერთს თავისი ჯვარმცმელების მიტევება სთხოვა; ეს სიტყვები მოჰყავს წმინდა ლუკა მახარებელს: ***მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან*** (23, 34). ჯვარმცმელთაგან არავინ იცოდა, რომ იგი იყო ძე ღვთისა. ***უკუეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჯუარს-ეცუა*** (1 კორ. 2, 8), – ამბობს წმინდა პავლე მოციქული. თვით იუდეველებსაც კი ეუბნებოდა პეტრე მოციქული თავის მეორე ქადაგებაში მკელობელის განკურნებისას: ***და აწ უწყი, ძმანო, რამეთუ უმეცრებით ჰქმენით*** (საქ. 3, 17). რომაელმა ჯარისკაცებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ისინი ჯვარზე აკრავდნენ ძე ღვთისას; იუდეველებიც იმდენად დაბრმავებულნი იყვნენ თავიანთი ბოროტებით, რომ მართლაც არ იცოდნენ, მესია რომ გაასამართლეს. თუმცა ასეთი უმეცრება არ ამართლებს მათ დანაშაულს, რადგან მათ ჰქონდათ შესაძლებლობა და საშუალება, ეს სცოდნოდათ. უფლის ლოცვა მოწმობს მისი სულის სიდიადეზე და მაგალითია ჩვენთვის იმისა, რომ არც ჩვენ ვიძიოთ შური ჩვენს მტრებზე, არამედ ვევედროთ ღმერთს მათთვის.

დაწერა პილატე ფიცარი... წმინდა იოანე მოწმობს, რომ პილატეს ბრძანებით დაფაზე დაწერეს უფლის დანაშაული, როგორც ეს, ჩვეულებრივ, მიღებული იყო (19, 19-22). სურდა რა, კიდევ ერთხელ დაეგესლა სინედრიონის წევრები, პილატემ ბრძანა, დაეწერათ: ***იესუ ნაზარეველი, მეუფე ჰურიათაჲ.*** რადგანაც სინედრიონის წევრებმა უფალი სამეუფეო ღირსე-

ბის მითვისებაში დაადანაშაულეს, ამიტომაც დააწერინა პილატემ დაფაზე ეს წარწერა, რათა შეერცხვინა სინედრიონი. იუდეის მეფე ჯვარზე გააკრეს იუდეველი ერის წარმომადგენლების მოთხოვნით. ჩვეულების საწინააღმდეგოდ, წარწერა სამ ენაზე გაკეთდა: ებრაულზე – ადგილობრივზე, ეროვნულზე; ბერძნულზე – მაშინ ზოგადგავრცელებულზე და რომაულზე – გამარჯვებულთა ენაზე. ამის მიზანი იყო, ყველას შეძლებოდა ამ წარწერის წაკითხვა. ისე, რომ ამაზე არც კი უფიქრია, პილატემ შეასრულა უმაღლესი განგებულებითი მიზანი: თავისი უკიდურესი დამცირების წუთებში უფალი იესო ქრისტე მთელ მსოფლიოში გამოცხადებულ იქნა მეუფედ. უფლის ბრალმდებლებმა ეს ჩათვალეს ბოროტ დაცინვად და მოითხოვეს, რომ პილატეს შეეცვალა წარწერა, მაგრამ ამაყმა რომაელმა გადაჭრით უარი თქვა, რითაც აგრძნობინა მათ თავისი ძალაუფლება.

ვითარცა ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი... რომის კანონი სასჯელის აღმასრულებელი ჯარისკაცების საკუთრებაში ტოვებდა ჯვარცმულთა ტანსაცმელს. ფილონის მოწმობით, სასჯელს ოთხი ჯარისკაცი აღასრულებდა. წმინდა იოანე სხვებზე უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს უფლის სამოსლის გაყოფის ამბავს; იგი პირდაპირ ამბობს, რომ მისი გარეთა სამოსელი ოთხ ნაწილად გაყვეს, – ოთხივე ჯარისკაცს ერგო თითო ნაწილი, ხოლო შიგნითა სამოსელი – კვართი – ნაკერი კი არ იყო, არამედ მთლიანი, თავიდან ბოლომდე ნაქსოვი. ასეთი კვართი რომ დაეხიათ, მის ნაწილებს არანაირი ფასი აღარ ექნებოდა. ამიტომ ჯარისკაცებმა მასზე წილი ყარეს, რათა მთლიანი შეხვედროდა რომელიმე მათგანს. გადმოცემის თანახმად, ეს კვართი მოქსოვი-

ლი იყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ. ჯარისკაცებმა ამ საქციელით, რა თქმა უნდა, გაუცნობიერებლად, აღასრულეს ძველი წინასწარმეტყველება მესიის შესახებ (ფსალ. 21, 19). სწორედ ეს მოჰყავს იოანე მახარებელს, როდესაც ამ ამბავს მოგვითხრობს: ***განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი.***

შემდეგ, პირველი სამი მახარებელი იმ დაცინვისა და ლანძღვა-გინების შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც უფალი დაუქვემდებარეს როგორც ჯარისკაცებმა, ისე იქ მყოფმა მისმა მტრებმა, განსაკუთღებით მღვდელთმთავრებმა, მწიგნობრებმა, უხუცესებმა და ფარისევლებმა. ყველა ამ გმობას ერთი საერთო საფუძველი აქვს, როდესაც ერთმანეთს წარსულსა და აწმყოს ადარებენ. იხსენებდნენ რა იმას, რასაც უფალი ამბობდა და აკეთებდა წარსულში, ისინი ახლა მიუთითებდნენ მის ახლანდელ უძლურებაზე და დაცინვით სთავაზობდნენ, აღესრულებინა მას ყველასათვის აშკარა სასწაული – ჩამოსულიყო ჯვრიდან, და პირდებოდნენ, რა თქმა უნდა, ორგულობით, რომ ასეთ შემთხვევაში მას ირწმუნებდნენ. წმინდა მათეს სიტყვებით, ამ გმობაში ორივე ავაზიკიც იღებდა მონაწილეობას. უფლისგან მარჯვნივ და მარცხნივ გაკრულნი.

29. კეთილგონიერი ავაზაკის სინანული

(ლუკა 23, 39-43)

ავსებს რა პირველი ორი მახარებლის მონათხრობს, წმინდა ლუკა გადმოგვცემს ერთ-ერთი ავაზაკის ქრისტესკენ მოქცევისა და სინანულის შესახებ. მაშინ, როდესაც ერთი მათგანი, ტანჯვისგან გამწარებული, უფლის სხვა მტრების მსგავსად იწყებს უფლის გმობასა და დაცინვას, რათა ვინმესკენ

მაინც მიმართოს თავისი გაბოროტება, ამ დროს მეორე, როგორც ჩანს, არცთუ მთლად გარყვნილი და რელიგიური გრძნობაშენარჩუნებული, თავისი ამხანაგის სინდისს მოუხმობს და შეაგონებს: ***არცაღა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე სასჯელსა შინა ხარ? და ჩუენ სამართლად ღირსი, რომელი ვქმენით, მოგუეგების, ხოლო ამან არარაჲ უჯეროჲ ქმნა.*** მას ესმოდა იერუსალიმელი დედაკაცების გლოვა-გოდება, როცა ისინი უფალს გოლგოთაზე აცილებდნენ, აუცილებლად იქონიებდა მასზე გავლენას უფლის ჯვარზე დაწერილი წარწერაც, ასევე, მისი მტრების სიტყვები: ***სხუანი აცხოვნნა.*** თუმცა, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის ყოფილიყო ქრისტეს ლოცვა თავისი მტერ-ჯვარმცემელებისათვს. ასეა თუ ისე, მასში სინდისი ხმამაღლა ალაპარაკდა, და მას სრულებითაც არ შეშინებია, გმობასა და დაცინვებს შორის ღიად გამოსულიყო უფლის დასაცავად. გარდა იმისა, მის სულში ისეთი რადიკალური გარდატეხა მოხდა, რომ მან მკაფიოდ გამოხატა ჯვარცმული უფლისადმი რწმენა, როგორც მესიისადმი, და მიმართა მას სინანულის სიტყვებით: ***მომიჯსენე მე, უფალო, ოდეს მოხჯდე სუფევითა შენითა.*** სხვაგვარად რომ ვთქვათ: „მომიხსენე უფალო, როდესაც იმეფებ“. იგი არა ითხოვს დიდებასა და ნეტრებას, არამედ ითხოვს ყველაზე მცირედს, როგორც ქანანელი დედაკაცი, რომელიც მზად იყო უფლის ტრაპეზიდან სუფრის ნამცეცებით დაკმაყოფილებულიყო. მას შემდეგ კეთილგონიერი ავაზაკის სიტყვები ჩვენთვის გახდა ღრმა და ჭეშმარიტი სინანულის მაგალითი და ჩვენს საღვთისმსახურო გამოყენებაშიც კი შევიდა. ეს განსაცვიფრებელი აღმსარებლობა მოწმობდა მონანული ავაზაკის რწმენის ძალაზე. გატანაჯულ, გაწამებულ, სიკვდილის

პირას მისულ მსჯავრდებულს იგი აღიარებს მეუფედ, რომელიც მოვა თავისი სუფევით; აღიარებს, რომ ის უფალია, რომელიც ამ სასუფეველს დააფუძნებს. ეს ისეთი აღმსარებლობაა, რომელიც უფლის მოწაფეებსაც კი არ ძალუძდათ, რამეთუ ისინი ვერ იტევდნენ აზრს ტანჯული მესიის შესახებ. უეჭველია, რომ აქ ღვთის მადლის განსაკუთრებულ ქმედებასაც ჰქონდა ადგილი, რომელმაც გაანათლა ავაზაკი, რათა ის ყოფილიყო მაგალითი და განმსწავლელი ყველა ერისა და თაობისათვის. მისმა აღმსარებლობამ დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო, როგორიც შეიძლება მხოლოდ წარმოვიდგინოთ: ***ამინ გეტყვ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა,*** – უთხრა მას უფალმა, ანუ დღესვე შევა ის სამოთხეში, რომელიც კვლავ გაიხსნება ადამიანებისათვის ქრისტეს გამომსყიდველობითი სიკვდილის შედეგად.

30. ღვთისმშობელი ჯვართან

(იოანე 9, 25-27)

მხოლოდ ერთი იოანე მახარებელი, როგორც მოწმე და მონაწილე მოვლენისა, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაავალა მას იესო ქრისტემ ეზრუნა თავის ყოვლადწმიდა მშობელზე. როდესაც ღვარძლიანმა მტრებმა თავიანთი ბოროტი წყურვილი დაიკმაყოფილეს და ნელნელა ჯვარს მოშორდნენ, მაშინ ჯვარს მიუახლოვდნენ ოდნავ მოშორებით მდგარი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, და მისი მარიამ კლეოპასი, მარიამ მაგდანელი და „მოწაფე, რომელიც უყვარდა იესოს“ (ჩვეულებრივ, ასე უწოდებს თავის თავს სახარებაში წმინდა იოანე ღვთისმეტყველი). ამ ქვეყნიდან იესოს გასვლის შემდეგ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარტოდ რჩებოდა და არავინ იქნებოდა მასზე მზრუნველი, ამიტომ სიტყვებით: ***დედაკაცო,***

აჰა ძე შენი! და მოწაფის მიმართ: ***აჰა დედაა შენი!*** უფალი თავის მშობელზე მიწიერ მზრუნველობას ანდობს და ავალებს თავის საყვარელ მოწაფეს. იქიდან მოყოლებული, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, საეკლესიო გადმოცემის თანახმად, იოანე მახარებელთან ცხოვრობდა, რომელიც ღვიძლი შვილივით ზრუნავდა მასზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგულისხმოა იმიტომ, რომ პროტესტანტები და სექტანტები, არ უშვებენ რა შემთხვევას ხელიდან მკრეხელობა გამოთქვან ღვთისმშობლის მიმართ, – რამეთუ უარყოფენ მის მარადისქალწულობას, – ამბობენ, რომ იესო ქრისტეს შემდეგ მას სხვა შვილებიც ჰყავდა იოსებისგანო, და რომ თითქოს ესენი იყვნენ უფლის ის ძმები, რომელებიც მოიხსენიებიან სახარებაში (მარკოზი 3, 31); მაგრამ ისმის კითხვა: ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს რომ მკვიდრი შვილები ჰყოლოდა, მაშინ უეჭველია, რომ მათ უნდა ეზრუნათ მასზე, მშობელ დედაზე, და ასეთ შემთხვევაში რატომღა დააკისრებდა უფალი ამ საქმეს იოანე ღვთისმეტყველს? უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი და წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ჯვართან ბოლომდე დარჩნენ, რამეთუ იოანე მახარებელი თავის სახარებაში შენიშნავს, რომ ის თავად იყო მოწმე უფლის სიკვდილისა ჯვარზე და ყოველივე იმისა, რაც შემდეგ ამას მოჰყვა (იოანე 19, 38).

31. ქრისტეს სიკვდილი

(მათე 27, 45-56; მარკოზი 15, 33-41; ლუკა 23, 44-49; იოანე 19, 28-37)

პირველი სამი მახარებლის მოწმობით, უფლის ჯვარზე სიკვდილს წინ უსწრებდა დაბნელება: ***მეექუსით ჟამითგან***

დაბნელდა ყოველი ქუეყანაჲ, ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. ეს არის ჩვენი ათვლით დრო შუადღიდან დღის 3 საათამდე. წმინდა ლუკა ამატებს, რომ ***დაბნელდა მზე,*** ეს არ შეიძლება ყოფილიყო ჩვეულებრივი მზის დაბნელება, რადგან ებრაული პასექი, ნისანის თვის 14 რიცხვში, ყოველთვის სავსემთვარობაზე მოდის, მზის დაბნელება კი ჩვეულებრივ ხდება ახალმთავრობისას. ეს იყო სასწაულებრივი ნიშანი, რომელიც ამოწმებდა შემაძრწუნებელ და უჩვეულო მოვლენას – საყვარელ ძე ღვთისას სიკვდილს. ამ არაჩვეულებრივ მზის დაბნელებაზე, რომლის დროსაც ვარსკვლავებიც კი გამოჩნდა, მოწმობს რომაელი ასტრონომი ფლეგონტი, ასევე, ბერძენი ისტორიკოსი ფალოსი. ამ მოვლენას აპოლოფანეს მიმართ თავის წერილში იხსენებს წმინდა დიონისე არეოპაგელიც, მაშინ ჯერ კიდევ წარმართი. როგორც წმინდა იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი აღნიშნავენ, საგულისხმოა, რომ ***ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა,*** და არა მხოლოდ მის რომელიმე ნაწილში, როგორც ეს ხდება ჩვეულებრივი მზის დაბნელებისას. როგორც ჩანს, ეს დაბნელება მოჰყვა ჯვარცმული ქრისტეს შეურაცხყოფასა და დაცინვას. სწორედ ამის შემდეგ შეწყდა უფლის შეურაცხყოფა და გამოიწვია ხალხში ის განწყობა, რომლის შესახებაც ასე გვაუწყებს წმინდა ლუკა: ***ყოველნი მათ თანა მოსრულნი და რომელთა იხილეს ხილვაჲ ესე და საქმენი ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს*** (ლუკა 23, 48). ***მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმაყო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ილი, ილი! ლიმა საბაქთანი?*** ამ სიტყვებს მარკოზ მახარებელი გადმოგვცემს, როგორც „ელოი“, „ელის“ ნაცვლად. ეს ღაღადი არ იყო სასოწარკვეთილების ღაღადი, არამედ ღმერთკაცის გულის ღრმა მწუხარე-

ბის გამოხატულება. იმისათვის, რომ გამომსყიდველობითი მსხვერპლი აღსრულებულიყო, აუცილებელი გახდა, ღმერთკაცს ბოლომდე შეესვა ადამიანური ტანჯვის ფიალა. ამისათვის კი საჭირო იყო ჯვარცმულ იესოს არ ეგრძნო მამაღმერთთან თავისი ერთობის სიხარული. ღვთის მთელი რისხვა, რომელიც საღვთო სამართლიანობით მთელ კაცობრიობას უნდა მოსწეოდა, ახლა, ერთგვარად, კონცენტრირებულია მხოლოდ ქრისტეზე, და ღმერთმა თითქოსდა მიატოვა იგი. ყველა იმ მძიმე, როგორც ხორციელ, ისე სულიერ ტანჯვათა შოროს, რაც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს, ეს დატევება იყო ყველაზე მტანჯველი, ამიტომაც აღმოხდა იესოს ასეთი მტკივნეული ღაღადი.

ებრაულ ენაზე „ელია“ გამოითქმოდა: „ელიაგუ“. ამიტომ უფლის ღაღადი ახალი საბაბი გამოდგა მის დასაცინად: ***აჰა ელიას ხადის.*** ამ დაცინვის არსი ისაა, რომ მესიის მოსვლის წინ იუდეველები ელიას მოსვლას ელოდნენ. უფლის დაცინვით მათ თითქოსდა უნდოდათ ეთქვათ: აი, შეხედეთ, ჯვარცმული და შეურაცხყოფილია და მაინც ფიქრობს, რომ მესიაა, და ელიას ეძახის დასახმარებლად. პირველი ორი მახარებელი ამბობს, რომ მაშინვე ერთ-ერთი ჯარისკაცი გაიქცა, ღრუბელი მოიტანა, ძმრით გაავსო, ლერწამზე წამოაგო და დასალევად მისცა იესოს. აშკარაა, რომ ეს იყო მჟავე ღვინო, რომელსაც ჩვეულებრივ სვამდნენ რომაელი ჯარისკაცები, განსაკუთრებით ცხელ ამინდში. იოანე მახარებლის თანახმად, ჯარისკაცმა ძმრიანი ღრუბელი უსუპზე წამოაგო, ანუ ამ სახელწოდების მცენარის ღეროზე, და ისე მიაწოდა სასმელი იესოს, რადგან მსჯავრდებულნი მიწიდან საკმაო სიმაღლეზე იყვნენ ჯვარზე გაკრულნი. ჯვარცმა გაუსაძლისად

მტანჯველ წყურვილს წარმოშობდა, და წმინდა იოანე გვაუწყებს, რომ უფალმა წარმოთქვა: ***მწყურის*** (9, 28), და როდესაც ძმარი იგემა, თქვა: ***ესეცა წერილი აღსრულებულ არს.*** ფსალმუნთმგალობელმა, წინასწარ აღწერდა რა მესიის ტანჯვას, მართლაც იწინასწარმეტყველა ეს: ***წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი*** (68, 22). უფლის სიტყვები: ***აღსრულებულ არს,*** – ნიშნავს, რომ აღსრულდა მესიის საქმე, რომელიც წინასწარ განისაზღვრა საღვთო საბჭოზე, – აღსრულდა კაცობრიობის გამოსყიდვა და მისი შერიგება ღმერთთან მესიის მეშვეობით (იოანე 19, 30). წმინდა ლუკას სიტყვებით, ამის შემდეგ უფალმა შეჰღაღადა: ***მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა*** (ლუკა 23, 46) და ***მიიდრიკა თავი და განუტევა სული*** (იოანე 19, 30). პირველი სამი მახარებელი ამბობს, რომ ***კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზეითგან, ვიდრე ქუემდე,*** – თავისთავად ორ ნაწილად გაიხა ტაძრის ფარდა, რომელიც საკურთხეველს ტაძრიდან გამოყოფდა. რადგანაც ეს იყო დრო მწუხრის მსხვერპლშეწირვისა, – ჩვენი დროით დაახლოებით დღის 3 საათი, ამიტომ, ცხადია, მორიგე მღვდელი იყო ამის მოწმე. ეს იყო სიმბოლო ძველი აღთქმის შეწყვეტისა და ახალი აღთქმის გაცხადებისა. ახალი აღთქმა ადამიანებს შესასვლელს უღებდა აქამდე დაკეტილ ცათა სასუფეველში. ***ქუეყანაჲ შეიძრა.,*** – ძლიერი მიწისძვრა მოხდა, როგორც ღვთის რისხვის ნიშანი იმათზე, ვინც სასიკვდილოდ გადასცა მისი საყვარელი ძე. ***კლდენი განსთქდეს,*** – კლდეები გასკდა და მღვიმეებში გაკეთებული საფლავები გაიხსნა. სიკვდილზე უფლის გამარჯვების ნიშნად ***მრავალნი გუამნი შესუენებულთანი წმიდათანი აღდგეს.*** ამ მღვიმეებში დაკრძალულთა სხეულები აღდგნენ და უფლ-

ის აღდგომიდან მესამე დღეს იერუსალიმში თავის ნაცნობებს გამოეცხადნენ. პირველი სამი მახარებელი ამბობს, რომ უფლის სიკვდილთან დაკავშირებულმა ამ სასწაულებრივმა ნიშნებმა იმდენად თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა რომაელ ასისთავზე, რომ პირველი ორი მახარებლის მიხედვით, ხმამაღლა განაცხადა: ***ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე;*** წმინდა ლუკას მიხედვით კი: ***ჭეშმარიტად კაცი ესე მართალი იყო.*** გადმოცემა ამბობს, რომ ეს ასისთავი, სახელად ლონგინოზი, შემდგომში გახდა ქრისტიანი და ქრისტესთვის წამებულიც კი (ხსენების დღე – 16 ოქტომბერი). წმინდა ლუკას მოწმობით მთელი ხალხი შეიძრა, ვინც კი გოლგოთაზე იმყოფებოდა: ***იცემდეს მკერდსა მათსა და წარვიდოდეს,*** – განწყობათა ასეთი მკვეთრი ცვლილება ბუნებრივია ეგზალტირებული ბრბოსათვის. სამივე სინოპტიკოსი მიუთითებს, რომ უფლის სიკვდილისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების მოწმენი იყვნენ ***დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იესუს გალილეაჲთ და ჰმსახურებდეს მას,*** ხოლო ამ დედაკაცებს შორის, როგორც მათე და მარკოზ მახარებლები აღნიშნავენ, იყვნენ: მარიამ მაგდანელი, მარიამი – იაკობისა და იოსეს დედა, და სალომე – ზებედეს ძეთა დედა. ხოლო, რაც შემდგომ მოხდა იესოს სიკვდილიდან მის დასაფლავებამდე, მოგვითხრობს მხოლოდ წმინდა იოანე, რომელიც, როგორც თავად მოწმობს, ყოველივე ამის თვითმხილველი იყო, და როგორც ყოველთვის, ავსებს პირველი სამი მახარებლის მონათხრობს. რადგანაც პარასკევი იყო, – რაც ნიშნავს „მომზადებას“, ანუ შაბათის წინა დღე, შაბათი კი „დიდი დღე“ იყო, რადგან დაემთხვა პასქის პირველ დღეს, – უფლის მტრებ-

მა, იუდეველებმა, ანუ სინედრიონის წევრებმა, პილატეს სთხოვეს, ***რაჲთა წჳვნი მათნი განუტეხნენ და გარდამოიღუნენ*** და ამგვარად მოეკლათ ისინი, ჩამოეხსნათ და დაემარხათ, სანამ მოსაღამოვდებოდა, როცა პასქის ჭამას უნდა შედგომოდნენ. რომაელთა სასტიკი ჩვეულების მიხედვით, ჯვარცმულთა სიკვდილის დასაჩქარებლად, მათ წვივებს უმტვრევდნენ. პილატესგან ნებართვის აღების შემდეგ, ჯარიკაცებმა იესოსთან ერთად ჯვარზე გაკრულ ორ ავაზაკს წვივის ძვლები გადაუმტვრიეს, რადგან ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. ***ხოლო მო-რაჲ-ვიდეს იესუჲსა და იხილეს იგი, რამეთუ მომკუდარ იყო, არა განუტეხნეს წჳვნი მისნი, არამედ ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა, და მეყსეულად გარდამოჴდა სისხლი და წყალი.*** უარყოფითი კრიტიკა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ირკვევდა საკითხს, შეიძლებოდა თუ არა იესოს მკვდარი სხეულიდან სისხლი და წყალი გამოდენილიყო, ამტკიცებდა, რომ ეს შეუძლებელია, რადგან მკვდარ სხეულში სისხლი თხევად მდგომარეობაში ძალიან ცოტა ხანს ჩერდება, სულ ერთი საათის განმავლობაში, ხოლო წყლიანი სითხის გამოყოფა ხდება მხოლოდ გვამის გახრწნის დაწყებისას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სხეული დაავადებული იყო ტიფით, ციებ-ცხელებით და სხვა მსგავსი ავადმყოფობით. ყველა ეს მსჯელობა უსაფუძვლოა. ჩვენ ხომ არ ვიცით ყველა წვრილმანი დეტალი უფლის ჯვარცმისა და სიკვდილისა, ამიტომ არც შეგვიძლია ამ დეტალებზე მსჯელობა. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჯვარცმულებს სწორედ ციებ-ცხელება ემართებოდათ, და თვით ფერდის განგმირვაც მაშინვე მოხდებოდა, სიკვდილის დადგომისთანავე, ყოველ შემთხვევაში, არა

უგვიანეს ერთი საათისა, რადგან საღამოვდებოდა და იუდეველები ჩქარობდნენ თავიანთი ბოროტი საქმის დასრულებას. ამასთან, არანაირი საჭიროება არ არის იმისა, რომ სისხლისა და წყლის ეს დენა განვიხილოთ როგორც ბუნებრივი მოვლენა. თვით წმინდა იოანე, რომელიც ხაზს უსვამს ამ ამბავს თავის სახარებაში, როგორ ჩანს, აღნიშნავს მის სასწაულებრივ წარმომავლობას („და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი“ – 19, 35). ღმერთკაცის უწმინდესი სხეული ვერ დაექვემდებარებოდა ხრწნადობის ჩვეულებრივ კანონს; უფრო მეტად სარწმუნოა, რომ სიკვდილის დადგომისთანავე მან დაიწყო შესვლა იმ მდგომარეობაში, რომელიც დასრულდა მისი აღდგომით ახალი, განდიდებული, განსულიერებული სახით. სისხლისა და წყლის გადმოდენას წმინდა მამები სიმბოლურად ხსნიან როგორც ნათლისღებისა და ევქარისტიის სიდუმლოში მორწმუნეთა ქრისტესთან შეერთების საიდუმლო მეთოდის ნიშანს: „ჩვენ წყლით ვიშვებით, ხოლო სისხლითა და ხორცით ვიკვებებით“ (ნეტარი თეოფილაქტე და წმინდა იოანე ოქროპირი). წმინდა იოანე ჯვართან იდგა და ყოველივე ამას ხედავდა; იგი იმასაც ამოწმებს, რომ სიმართლეს ამბობს, აგრეთვე იმასაც, რომ თვითონ არ ტყუვდება, როდესაც ამას ამტკიცებს – ***მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტსა იტყჳს*** (იოანე 19, 35). ქრისტეს ფერდიდან წყლისა და სისხლის გადმოდენა იმის ნიშანია, რომ ქრისტე გახდა ჩვენი გამომსყიდველი, – განგვბანა რა წყლით ნათლისღების საიდუმლოში და განგვწმინდა თავისი სისხლით, რომელსაც გვასმევს ზიარების საიდუმლოში. ამიტომაც ამბობს წმინდა იოანე თავის პირველ ეპისტოლეში: ***ესე არს, რომელი მოვიდა წყლითა და სისხლითა*** (და სულით),

იესუ ქრისტე არა წყლითა ხოლო, არამედ წყლითა და სისხლითაც... სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული და წყალი და სისხლი; და სამნივე ესე ერთისა მიმართ არიან (1 იოანე 5, 6-8). ***რამეთუ იყო ესე,*** – არა მხოლოდ ფერდის განგმირვა, არამედ ისიც, რომ უფალს არ ჰქონდა წვივები გადატეხილი, ***რაჲთა წერილი აღესრულოს, ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუსროს.*** ეს წინასწარ იყო გამოთქმული გამოსვლის წიგნში (12, 46): საპასექო კრავი, რომელიც წინასახე იყო იესო ქრისტესი, უნდა შეჭმულიყო ძვლების შეუმუსრავად, დანარჩენი კი ცეცხლში უნდა დაეწვათ. ***და სხუაჲ წერილი იტყჳს: იხილონ, რომელსა-იგი უგმირეს.*** აქ საუბარია ზაქარიას წიგნზე (12, 10). ამ ადგილზე უფალი წარმოდგენილია მესიის სახით, როგორც განგმირული თავისი ხალხის მიერ, და ეს ხალხი, უყურებს რა განგმირულს, წარმოდგენილია, როგორც მონანული და მოტირალი მის წინაშე. ეს სიტყვები თანდათან აღსრულდა იუდეველებზე, რომლებმაც ისინი სასიკვდილოდ გასწირეს, და სრულდება საუკუნეთა დასასრულმდე, როდესაც მოხდება იუდეველთა საყოველთაო მოქცევა ქრისტესკენ, როგორც ამას წინასწარიუწყება პავლე მოციქული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში (11, 25-26).

32. უფლის საფლავად დადება

(მათე 27, 57-66; მარკოზი 15, 42-47; ლუკა 23, 50-56; იოანე 19, 38-42)

უფლის დასაფლავების შესახებ სრულიად თანხმობრივად მოგვითხრობს ოთხივე მახარებელი, თუმცა ზოგიერთი მათგანი თავის ცალკეულ დეტალებსაც გვამცნობს. დასაფლავება შედგა საღამოს დადგომისას, მაგრამ შაბათი ჯერ არ იყო

დამდგარი, თუმცა მოახლოებული იყო; უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დასაფლავება მოხდა მზის ჩასვლამდე – სადღესასწაულო შაბათი იწყებოდა – ერთი ან ორი საათით ადრე. ამაზე მკაფიოდ მიუთითებს ოთხივე მახარებელი: მათე 27, 57; მარკოზი 15, 42; ლუკა 23, 54 და იოანე 19, 42, განსაკუთრებით კი ამას ხაზს უსვამენ წმინდა მარკოზი და წმინდა ლუკა. მოვიდა სინედრიონის წევრი იოსებ არიმათიელი (არიმათია – იუდაური ქალაქი იერუსალიმის მახლობლად). მარკოზ მახარებლის მოწმობით, ეს იყო კეთილმსახური ადამიანი; იოანე მახარებლის მიხედვით – ქრისტეს ფარული მოწაფე; ის არ იღებდა მონაწილეობას უფლის გასამართლებაში, – ამბობს ლუკა მახარებელი (23, 51). იოსებმა პილატესგან გამოითხოვა უფლის დასაფლავების ნებართვა. რომაელთა ჩვეულების მიხედვით, ჯვარცმულთა სხეულები ჯვარზე რჩებოდა, და ფრინველების ნადავლი ხდებოდა, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც გამოითხოვდნენ ხოლმე სხეულს მთავრებისგან და ასაფლავებდნენ. პილატეს გაუკვირდა, რომ იესო უკვე მომკვდარიყო, რადგან ჯვარცმის პერიოდი ზოგჯერ რამდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა. მან შეამოწმა ასისთავის მეშვეობით და როდესაც დარწმუნდა იესოს სიკვდილში, გასცა ბრძანება, გადაეცათ იოსებისთვის მისი ცხედარი. წმინდა იოანე გვაუწყებს, რომ მოვიდა ნიკოდიმოსიც, რომელიც ადრე იესოსთან მივიდა ღამით (იხ. იოანე მე-3 თავი) და მოიტანა სმირნისა და ალოეს ნაზავი, ასიოდ ლიტრა. იოსებმა იყიდა არდაგი – გრძელი და ძვირფასი ტილო. მერე აიღეს იესოს გვამი, მერე გაახვიეს ტილოებში ნელსაცხებელთან ერთად, როგორც მოითხოვს იუდეველთა დაკრძალვის წესი, და დამარხეს გოლგოთასთან ახლოს იოსების

ბალის მღვიმეში, ახალ სამარხში. რადგან მზე უკვე დასავლეთისკენ იხრებოდა, ამიტომ თუმც ყოველივე გულმოდგინებით კეთდებოდა, მაგრამ – აჩქარებულად. მათ მიაგორეს სამარხის კართან ლოდი და დატოვეს იქაურობა. ყველა ამ მოქმედებას აკვირდებოდნენ მანამდე გოლგოთაზე მყოფი დედაკაცები. წმინდა იოანე ოქროპირი და მის კვალად ნეტარი თეოფილაქტე, მიიჩნევენ, რომ „მარიამი, იაკობისა და იოსეს დედა“ არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, „რადგან იაკობი და იოსე იყვნენ იოსების შვილები პირველი ცოლისგან; ხოლო, რაკი ღვთისმშობელი იოსების ცოლად იწოდებოდა, ამიტომ უფლებოვრივად იწოდებოდა მათ დედად, ანუ იოსების შვილების დედინაცვლად“. მაგრამ სხვები ფიქრობენ, რომ ეს მარიამი იყო კლეოპას ცოლი, ღვთისმშობლის და. ყველა ისინი ისხდნენ მღვიმის შესასვლელის პირდაპირ, როგორც ამას მოწმობს მათე მახარებელი (27, 61), ხოლო შემდეგ, როგორც წმინდა ლუკა გვაუწყებს, ქალაქში დაბრუნდნენ და მოამზადეს კეთილსურნელოვანი ნელსაცხებელი, რათა შაბათის განსვენების დასრულების შემდეგ მისულიყვნენ და ნელსაცხებელი ეცხოთ უფლის სხეულისთვის იუდაური წესისამებრ (23, 56). წმინდა მარკოზის თქმით, ამ დედაკაცებმა, რომლებსაც „მენელსაცხებლებს“ უწოდებენ, არომატები იყიდეს არა უფლის დასაფლავების დღეს, არამედ შაბათის გასვლის შემდეგ, ანუ შაბათ საღამოს. აქ არ შეიძლება წინააღმდეგობა დავინახოთ. პარასკევს საღამოს, როგორც ჩანს, ძალიან ცოტა დრო რჩებოდა მზის ჩასვლამდე. ნაწილობრივ რაც მოასწრეს, მათ მოამზადეს პარასკევს, ხოლო რაც ვერ მოასწრეს, დაასრულეს შაბათ საღამოს.

წმინდა მათე ეხება კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან გარემოებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უფლის საფლავად

დადების მეორე დღეს – ***მწუხრი შაბათთასა, რომელი განფენდებოდა ერთშაბათად,*** ანუ შაბათს. მღვდელთმთავრები და ფარისევლები შეიკრიბნენ პილატესთან, ისე, რომ არც კი უფიქრიათ შაბათის განსვენების დაურღვევლობაზე, და სთხოვეს მას, განკარგულება გაეცა საფლავის დაცვის თაობაზე მესამე დღემდე. თავიანთ თხოვნას მათ ასეთი მოტივაცია დაუდეს: ***მოვიჯსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალღა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: „აღდა მკუდრეთით“. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძჯრეს პირველისა*** (მათე 27, 63-64). „პირელ საცთურს (სიცრუეს)“ ისინი აქ უწოდებენ იმას, რომ უფალი თავის შესახებ ასწავლიდა, რომ იგი იყო ძე ღვთისა, მესია; ხოლო „უკანასკნელ საცთურს“ – იმას, რომ ის დაამარცხებდა ჯოჯოხეთსა და სიკვდილს და აღდგებოდა საფლავიდან. ამ ქადაგების მათ უფრო ეშინოდათ და ამაში მართალნიც გამოდგნენ, რაც აჩვენა ქრისტიანობის გავრცელების მთელმა შემდგომმა ისტორიამ. მათ ამ თხოვნაზე პილატემ მიუგო: ***გაქუს თქუენ დასი; წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით.*** დღესასწაულის პერიოდში სინედრიონის წევრებს განკარგულებაში გადაეცემოდათ რომაელი ჯარისკაცების დაცვა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ წესრიგისა და სიმშვიდის დასაცავად, რადგან დღესასწაულების დღეებში იერუსალიმში დიდძალი ხალხი იკრიბებოდა ყველა ქვეყნიდან. პილატემ შესთავაზა, გამოეყენებინათ ეს დაცვა, და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც საჭიროდ თვლიდნენ, რათა მერე სხვა არავინ დაედანაშაულებინათ.

ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა, – წავიდნენ და მიალეს ყველა ზომა საფლავის უსაფრთხოებისათვის. საფლავის შესასვლელთან მიდგმული ლოდი დაბეჭდეს დაცვის თანდასწრებით, რომელიც მერე იქ დატოვეს, რათა არავინ მიახლოებოდა.

ამგვარად, უფლის უბოროტესმა მტრებმა, თავისდა გაუცნობიერებლად, მისი ყოვლადდიდებული მკვდრეთით აღდგომის უცილობელი მტკიცებულება მოამზადეს.

აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

აღწერს რა ოთხივე მახარებელი ქრისტეს აღდგომის ამ უდიდეს მოვლენას, არაფერს ამბობს ამ მოვლენის დაფარულ და ჩვენთვის მიუწვდომელ მხარეზე; არ აღწერენ, კერძოდ როგორ მოხდა ეს და როგორ გამოვიდა საფლავიდან მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე, ისე, რომ საფლავის ბეჭდი არ დაურღვევია. ისინი მხოლოდ იმას ამბობენ, რომ უფლის ანგელოზის მიერ საფლავის შესასვლელთან მიდგმული ლოდის გადაგორების შედეგად, მოხდა მიწისძვრა (უკვე მას შემდეგ, რაც უფალი აღდგა, რაც ხაზგასმულია ჩვენს საეკლესიო გალობებში, და არა ისე, როგორც ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ თითქოს ანგელოზმა საფლავიდან უფლის გამოყვანის მიზნით მოაშორა შესასვლელს ლოდი). შემდეგ მოგვითხრობენ, თუ როგორ მიმართა ანგელოზმა სიტყვით საფლავთან მისულ მენელსაცხებლე დედებს, მერე კი მთელ რიგ გამოცხადებებზე საუბრობენ აღდგომილი უფლისა მენელსაცხებლე დედებისა და მისი მოწაფეების წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

33. მენელსაცხებლე დედების მისვლა საფლავთან და ანგელოზის გამოცხადება

(მათე 28, 1-8; მარკოზი 16, 1-8; ლუკა 24, 1-12; იოანე 20, 1-10)

დედაკაცებს, რომლებიც ესწრებოდნენ გოლგოთაზე უფლის ჯვარცმას, მერე კი მის დასაფლავებას, ეჩვენებოდათ, რომ იგი მეტისმეტად სწრაფად მოამზადეს დასამარხად, და წუხდნენ, რომ მონაწილეობა ვერ მიიღეს მის სხეულზე ნელსაცხებლის ცხებაში. ამიტომ ისინი, მას შემდგ, რაც მთელი შაბათი განსვენებაში დაჰყვეს, როგორც ამას რჯულის მცნება მოითხოვდა, შვიდეულის პირველ დღეს, გარიჟრაჟზე, საჩქაროდ გაეშურნენ საფლავისკენ, რათა შეესრულებინათ თავიანთი კეთილმსახურებითი სურვილი და უკანასკნელი პატივი მიეგოთ საყვარელი მოძღვრისთვის. უფლის ამ უერთგულეს დედაკაცებს, რომელნიც ისტორიაში შევიდნენ „მენელსაცხებლე დედების“ სახელით, სათავეში ედგა მარიამ მაგდანელი: მას მოიჰყვებოდა ***სხუაჲ იგი მარიამ,*** ანუ მარიამ იაკობისი, სალომეა და ***სხვა დედანიცა, რომელნი მის თანა მოსრულ იყვნეს გალილეაჲთ*** (ლუკა 23, 55). ეს იყო დედების მთელი დასი, რომელთაგან ზოგი სწრაფად მიდიოდა, თითქმის მირბოდა, ზოგიც ნელა მიდიოდა. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ საფლავთან მათი მისვლის დროს მახარებლები სხვადასხვანაირად აღნიშნავენ, რაც, ერთი შეხედვით, მათ შორის ურთიერთწინააღმდეგობის შთაბეჭდილებას ტოვებს, რასაც სინამდვილეში ადგილი არა აქვს.

უპირველეს ყოვლისა, ვინ არის ეს „სხვა იგი მარიამი“, რომელსაც მათე მახარებელი ორჯერ ახსენებს: ერთხელ უფლის დასაფლავებისას (27, 61) და შემდეგ, როცა მის აღდგომაზე

მოგვითხრობს (28, 1). ეკლესიის ძველი გადმოცემის თანახ-
მად, როგორც სვინაქსარში პასექის დღის საკითხავში წერია,
– „ცისკარს მჰსთუად მოვიდა მარიამ მოყუსებითურთ, და
ჰპოვა ლოდი იგი გარდაგორვებული“, – ეს იყო თვით ღვთისმ-
შობელი. რატომ არ წერია ამის შესახებ სავსებით გარკვეუ-
ლად? როგორც სვინაქსარი განმარტავს (მენელსაცხებელთა
კვირას): „საეჭვოდ რომ არ გამოჩენილიყო აღდგომა იმის
გამო, რომ ასეთი უდიდესი მოვლენის მოწმობა მის მშობელს
ეკუთვნის, მახარებლები ამბობენ: ***ეჩუენა პირველად მარიამს
მაგდანელსა*** (მარკოზი 16, 9); მანვე დაინახა ლოდზე მჯ-
დომი ანგელოზი...“.

სალომე იყო ზებედეს ძეთა დედა – იაკობ და იოანე
მოციქულებისა. წმინდა ლუკას მიერ მოხსენიებული იოანნა
(24, 10) იყო ქოზას ცოლი, ქოზა კი ჰეროდეს ეზოსმოძღვარი
იყო (ლუკა 8, 3). დანარჩენი მენელსაცხებლე დედები სახ-
ელებით არ არიან მოხსენიებულნი, თუმცა წმინდა ლუკა
მკაფიოდ ამბობს, რომ ***სხუანი მათ თანა*** (ლუკა 24, 10). ამ
„სხვებში“ საეკლესიო გადმოცემა ასახელებს მარიამსა და
მართას – უფლის მიერ მკვდრეთით აღდგენილი ლაზარეს
დებს, აგრეთვე, მარიამს (კლეოპასი), სუსანასა და ბევრ სხ-
ვას (სვინაქსარი, მენელსაცხებლე-დედების კვირა).

მენელსაცხებლე დედები ელოდებოდნენ შაბათის განსვენების
დასრულებას, თანაც ზოგმა მათგანმა სურნელოვანი ნელსა-
ცხებელი ჯერ კიდევ პარასკევს მოამზადა (ლუკა 23, 56),
სხვებმა კი -- ***ვითარცა გარდაჯდა შაბათი***, ანუ შაბათ
საღამოს (მარკოზი 16, 1).

შემდეგ, მენელსაცხებელთა საფლავთან მისვლის დროს მახა-
რებლები სხვადასხვანირად გამოთქვამენ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა მათე: ***მწუხრი შაბათთასა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად...*** (28, 1);

წმინდა მარკოზი: ***ნიად განთიადსა მას ერთშაბათისასა...*** (16, 2);

წმინდა ლუკა: ***ერთსა მას შაბათსა, ცისკარსა მსთუად...*** (24, 1);

წმინდა იოანე: ***ერთსა მას შაბათსა მოვიდა მარიამ მაგდანელი განთიად, ვიდრე ბნელღა იყო...*** (20, 1).

დროის შესახებ ყველა ეს მითითება ერთმანეთს ემთხვევა, მხოლოდ ლაპარაკია დილის დადგომის სხვადასხვა მომენტზე, საიდანაც ჩანს, რომ მენელსაცხებლე დედები ყველა ერთად არ მისულა საფლავთან. სხვებისგან ყველაზე მეტად განსხვავდება იოანე მახარებლის აღწერა, რაც გასგებია, რადგან ის, როგორც ყოველთვის, უტევებს პირველი სამი მახარებლის მონათხრობს და ავსებს იმით, რაც ეხება მხოლოდ მარიამ მაგდანელს და ორ მოწაფეს. ოთხივე მახარებლის მონათხრობის ურთიერთშეჯერებით მიიღება აღნიშნული მოვლენის სრული სურათი. რა თქმა უნდა, წმინდა მათეს მიერ აღწერილი მიწისძვრა, რომელიც ანგელოზის მიერ საფლავის ლოდის გადაგორებამ გამოიწვია, მოხდა ჯერ კიდევ მენელსაცხებლე დედების იქ მისვლამდე. მისი მნიშვნელობა ის არის, რომ ამან გამოიწვია საფლავის მცველების გაქცევა და საფლავის ცარიელად დატოვება. უფალი აღდგა მანამდე, როგორც ეს იგალობება ჩვენს საეკლესიო გალობებში. ამიტომ სრულებითაც არ პასუხობს სინამდვილეს ქრისტეს აღდგომის ხატი, რომელიც ჩვენთან ბოლო დროს გავრცელდა დასავლეთის გავლენით: ლოდი გადაგორებულია, ქრისტე გამოდის საფლავიდან, ჯარისკაცები კი შიშით ძირს ეცემიან. ანგელოზი

გარდამოხდა და ლოდი გადააგორა მას შემდეგ, რაც ქრისტე აღდგა. სწორედ ამან შეაძრწუნა დაცვა, რომელიც ამის შემდეგ იერუსალიმში გაიქცა.

ოთხივე მახარებლის მონათხრობთა შეჯერებით იქმნება მოვლენათა თანმიმდევრობის სრული სურათი. საფლავთან პირველი მივიდა მარიამ მაგდანელი: ***განთიად, ვიდრე ბნელღა იყო*** (იოანე 20, 1), მაგრამ ის მარტო არ იყო, – მას მენელსაცხებელთა მთელი დასი მიჰყვებოდა, პირველი სამი მახარებლის თანახმად. მან მხოლოდ უფლის განსაკუთრებული სიყვარულითა და ტემპერამენტით დაასწრო სხვებს და მივიდა ჯერ კიდევ გათენებამდე; სხვები კი მივიდნენ, როცა უკვე გარიჟრაჟდა. ის რომ მარტო არ იყო, ეს ჩანს იოანეს სახარებიდან, სადაც ის პეტრესა და იოანეს ეუბნება: ***არა უწყი* სადა დადვეს იგი*** (20, 2). ასე მკაფიოდ ჩანს ბერძნულ ენაზე და ასეა გადმოთარგმნილი რუსულზეც. როცა დაინახა, რომ ლოდი გადაგორებული იყო (ანგელოზი, რომელიც შემდეგ დედებს გამოეცხადა, მან ვერ დაინახა), იფიქრა, რომ უფლის სხეული ვიღაცას წაეღო, და მაშინვე გაიქცა პეტრესა და იოანესთვის შესატყობინებლად. უკან გზაზე ის, რა თქმა უნდა, შეხვდა სხვა დედებს, რომლებსაც აწუხებდათ აზრი: ***ვინ გარდაგვგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა?*** (მარკოზი 16, 3) და შეატყობინა მათ თავისი შიშის მიზეზი. სანამ მან მოციქულები ნახა, მანამდე დანარჩენი მენელსაცხებლე დედები საფლავთან მივიდნენ, დაინახეს იქ ანგელოზები, გაიგონეს მათგან კეთილი უწყება და საჩქაროდ წავიდნენ მოციქულებთან, რათა მათთან გაეზიარე-

---

*სათარგმნ წყაროში მრავლობით რიცხვშია) (თ).

ბინათ ეს დიდი სიხარული. ყოველივე ამის შესახებ, დაწვრილებით მოგვითხრობს პირველი სამი მახარებელი (მათე 28, 5-8; მარკოზი 15, 4-8; ლუკა 24, 3-8). ამ დროს ორმა მოციქულმა, პეტრემ და იოანემ, ზუსტად არაფერი იცოდა, რადგან მარიამ მაგდანელისგან მათ ერთი ცნობა ჰქონდათ, სხვა დედებისგან – სხვა, და ***უჩნდეს სიტყუანი მათნი, ვითარცა სიჩქურისანი, მათ წინაშე და არა ჰრწმენა მათი*** (ლუკა 24, 11), ამიტომ გაურკვეველ მდგომარეობაში საჩქაროდ გაეშურნენ საფლავისკენ. იოანე უფრო ახალგაზრდა იყო და უფრო მალე მიირბინა საფლავთან, მაგრამ შიგნით არ შესულა; დედები იქ უკვე აღარ იყვნენ. შიგნით შესვლა მან ვერ გაბედა, თუმცა შეიხედა და ***იხილნა ტილონი იგი ხოლო მდებარენი*** (იოანე 20, 5). მალე სიმონ-პეტრემაც მიირბინა, და როგორც უფრო გამბედავმა და შემართულმა, საფლავში შესვლა გადაწყვიტა: ***შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარენი. და სუდარი იგი, რომელი იყო თავსა მისსა არა ტილოთა თანა მდებარე, არამედ თჳსაგან შეკეცილი ერთსა ადგილსა*** (იოანე 20, 6-7). ამის შემდეგ მეორე მოწაფეც შევიდა, ***რომელი მოვიდა პირველად პეტრესა საფლავად,*** ე.ი. იოანე, ***და იხილა და ჰრწმენა,*** – ირწმუნა ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება, რადგან სხეული რომ მოეპარათ, მაშინ არ იქნებოდა საჭიროება, რომ მოეხნათ ტილოები და თანაც ასე დაელაგებინათ. ***რამეთუ არღა იცოდეს წერილისაჲ, ვითარმედ: ჯერ-არს მისი მკუდრეთით აღდგომაჲ,*** – იქამდე, ვიდრე უფალმა არ ***განუხუნა გონებანი მათნი გულისჯმისყოფად წიგნთა*** (ლუკა 24, 45). მათ ბევრი რამ ნათლად არ ესმოდათ: არც უფლის სიტყვები ესმოდათ მისი მოსალოდნელი ტანჯვისა და აღდგომის შესახებ (იხ. მაგალითად, ლუკა

18, 34 და მარკოზი 9, 10), ამიტომ საჭიროებდნენ ნივთიერ მტკიცებულებებს. ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტების ანგარ მტკიცებულებად იოანესთვის აღმოჩნდა ის გარემოება, რომ ტილოები და სუდარა საფლავში დარჩა გულმოდგინედ დალაგებული. მაგრამ ამან მხოლოდ იოანე დაარწმუნა. პეტრეს შესახებ კი ლუკა მახარებელი ამბობს, რომ იგი ***წარვიდა თვსაგან და დაუკვრდა საქმე ესე*** (ლუკა 24, 12). მისი სულის მდგომარეობა უფლის სამჯერ უარყოფის შემდეგ, როგორც ჩანს, ძალიან მძიმე იყო და არ განაწყობდა ცხოველი რწმენისადმი. და აი, საფლავიდან დაბრუნების შემდეგ, გულმოწყალე უფალი გამოეცხადა მას სანუგეშებლად დ გულის დასამშვიდებლად, რის შესახებაც მოკლედ ლაპარაკობს ლუკა მახარებელი (24, 34) და პავლე მოციქული (1 კორ. 15, 5). როგორც ამ ადგილებიდან ჩანს, უფალი მარტო პეტრეს გამოეცხადა უფრო ადრე, ვიდრე სხვა მოციქულებს.

34. უფალი გამოეცხადა მარიამ მაგდანელს და სხვა მარიამს

(იოანე 20, 11-18; მარკოზი 16, 9-11; მათე 28, 9-10)

მას შემდეგ, რაც პეტრე და იოანე მოციქულები საფლავიდან წამოვიდნენ, იქ მხოლოდ მარიამ მაგდანელი დარჩა, რომელიც შეიძლება მათთან ერთად მივიდა ან მაშინვე, მათ კვალად. მისი სული შფოთავდა და იგი ტიროდა, რადგან ეგონა, რომ უფლის სხეული ვიღაცამ მოიპარა. იგი ტირილით დაიხარა საფლავის შესასვლელისკენ და დაინახა ორი ანგელოზი, იმ სარეცელზე მჯდომარენი, რომელზედაც საფლავის მღვიმეებში მიცვალებულთა სხეულებს ასვენებდნენ. უფლის გამო მწუხარება იმდენად დიდი იყო,, რომ ყველა სხვა

გრძნობას ახშობდა, ამიტომაც მაგდანელი, როგორც ჩანს, არ იყო მაინდამაინც შეძრწუნებული ანგელოზების ამ გამოჩენით და მათ შეკითხვაზე, რათა ის დაემშვიდებინათ: ***დედაკაცო, რაჲსა სტირ?*** (იოანე 20, 13), მან უბრლოდ, თითქოს მიწიერ არსებებს ელაპარაკებაო, გული გადაუხსნა და იგივე სიტყვებით გამოხატა მწუხარება, როგორც ადრე პეტრესა და იოანესთან საუბარში: ***აღიღეს უფალი ჩემი საფლავით და არა უწყი, სადა დადვეს იგი.*** ამ სიტყვების შემდეგ მან შემთხვევით ან ინსტინქტური შინაგანი გრძნობით უკან მიიხედა და დაინახა იესო, მაგრამ ვერ იცნო იგი. ვერ იცნო იმიტომ, რომ იგი ***სხჳთა ხატითა*** გამოეცხადა, როგორც შემდგომში ემაუსელ მოგზაურებს (მარკოზი 16, 12), „მდაბალი და ჩვეულებრივი სახით" (წმინდა იოანე ოქროპირი), ამიტომაც მიიღო მან იგი მებაღედ. შეიძლება იმიტომ ვერ იცნო, რომ მას თვალები ცრემლიანი ჰქონდა, იგი დათრგუნული იყო მწუხარებით და სრულიადაც არ ელოდებოდა უფლის დანახვას. მან თავიდან ხმითაც ვერ იცნო, როდესაც უფალმა ჰკითხა: ***დედაკაცო, რაჲსა სტირ? ვის ეძიებ?*** მარიამმა იგი მებაღედ მიიღო, რადგან სხვა ვინ უნდა ყოფილიყო ასე ადრიანად ბაღში, თუ არა მებაღე, ამიტომ უთხრა მას: ***უფალო,*** – იგულისხმება „ბატონო" – ***უკუეთუ შენ აღიღე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ, და მე წარმოვიღო იგი,*** – ამასთან, არც კი უფიქრია, შეძლებდა თუ არა ის, სუსტი დედაკაცი, მის აწევას. მაშინ უფალი გაეხსნა მას: გამოთქვა მისი სახელი, ეტყობა, განსაკუთრებული, მარიამისათვის კარგად და დიდი ხნის ნაცნობი ხმის ინტონაციით: ***მარიამ! მიიხილა*** – ეს აჩვენებს, რომ მებაღის (როგორც მას წარმოედგინა) სიტყვების შემდეგ მან თავისი მზერა კვლავ საფლავისკენ მიმართა – ***ჰრქუა***

ებრაელებრ: „რაბბუნი!“ რომელსა ჰრქჳან მოძღუარ, და მირბიოდა შემთხუევად მისა. ამასთან, როგორც ჩანს, ბუ-ერელი სიხარულით დაეცა მის ფეხებთან, სურდა, შეხებოდა მათ, გულში ჩაეკრა, შეიძლება იმიტომ, რომ დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად ცოცხალ იესოს ხედავდა, და არა მოჩვენებას. უფალმა ეს აუკრძალა: ***ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: „აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“.*** „შენს შეხებით გრძნობას კი ნუ დაუჯერებ, არამედ ჩემს სიტყვას“, – თითქოს ასე ეუბნება უფალი მარიამს. აკრძალვის აზრი ასეთია: „დამტოვე მე, რადგან შენთვის არ შეიძლება განუშორებლად ჩემთან ყოფნა; ნურც მე დამაყოვნებ და ნურც შენ დაყოვნდები, წადი და იქადაგე ჩემი აღდგომა, მე კი ახლა თქვენთან კი არ უნდა დავრჩე, არამედ ზეციერ მამასთან ავიდე“. უფალთან შეხების ეს აკრძალვა კარგად არის გადმოცემული მე-8 ხმის ცისკრის სტიქარში: „ფერხთა მისთა შეუვრდა, ხოლო მხსნელმან ჰრქუა ნუ შემომეხები, რამეთუ მამისა აღვალ, და წარვედ და ძმათა ჩემთა ახარე“. ***მოვიდა მარიამ მაგდანელი თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას.*** როდესაც ამ სიტყვებს მათეს მონათხრობთან ვადარებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მარიამ მაგდანელს გზაში შეხვდა „სხვა მარიამი“ და მათ ორივეს ერთად გამოეცხადა უფალი (მეორე გამოცხადება) ***და ჰრქუა: „გიხაროდენ!“*** (მათე 28, 9); ისინი მუხლებზე მოეხვივნენ მას და თაყვანი სცეს. მან კვლავ გაუმეორა, რომ წასულიყვნენ მოწაფეებთან, რომლებსაც უწოდა ***ძმათა ჩემთა,*** და ეუწყებინათ მათთვის თავისი აღდგომის შესახებ; გაუმეორა აგრეთვე ის, რაც

მანამდე ანგელოზმა თქვა: ***წარვიდენ გალილეას.*** გულისშემძ-
ვრელია სახელწოდება „ძმები“, რომელსაც აძლევს მკვდრეთით
აღმდგარი უფალი, უკვე განდიდებული მესია, რომელიც მზად
არის მამასთან აღსავალად, თავის მოწაფეებს – მას არ რცხ-
ვენია, ასე უწოდოს მათ – ეს შემდგომში ებრაელთა მიმართ
თავის ეპისტოლეში აღნიშნა პავლე მოციქულმა (2, 11-12).

წმინდა მარკოზი ამბობს, რომ მენელსაცხებლე დედებს
ისეთი ძრწოლა და შიში დაეუფლათ, – რა თქმა უნდა,
კეთილკრძალული, – რომ ***არარაი ვის უთხრეს.*** ეს იმ აზრით
უნდა გავიგოთ, რომ როდესაც ისინი გარბოდნენ, გზაში
არავისთვის არაფერი უთქვამთ ნანახისა და მოსმენილის შესახ-
ებ; ხოლო სახლში მისულებმა რომ ყოველივე მოუთხრეს
მოციქულებს, შემდგომში თვით მარკოზ მახარებელიც მოგვი-
თხრობს (16, 8, 10) და სხვა მახარებელიც (ლუკა 24, 9).

სახარებისეული მონათხრობით, აღდგომის შემდეგ უფალი
პირველად გამოეცხადა თითქოსდა მარიამ მაგდანელს (მარკოზი
16, 9-10), მაგრამ წმინდა ეკლესია ძველთაგანვე იმარხავს
გადმოცემას იმის შესახებ, რომ მარიამ მაგდანელზე ადრე
მკვდრეთით აღმდგარი უფალი თავის ყოვლადწმიდა მშო-
ბელს გამოეცხადა, რაც სავსებით ბუნებრივი და გასაგებია.
იერუსალიმში, აღდგომის ტაძარში, დღემდე უჩვენებენ მაცხ-
ოვრის გამოცხადებას თავისი ყოვლადწმიდა მშობლის წინაშე,
– კუვუკლიის მახლობლად. საუკუნებით განწმენდილი გად-
მოცემა შეუძლებელია არ იყოს დაფუძნებული ნამდვილ ფა-
ქტზე. ხოლო, თუკი სახარებაში ამის შესახებ არაფერია ნათქ-
ვამი, ეს იმიტომ, რომ სახარებაში, საერთოდ, ბევრი რამ არ
წერია, და ამას წმინდა იოანე ამოწმებს (21, 25; 20, 30-31).
უნდა ვივარაუდოთ, რომ თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშო-

ბელს არ ნებავდა, თავისი სიმდაბლის გამო, რომ არ გაეხმაურებინათ მისი ცხოვრების სანუკვარი საიდუმლოებები. ამიტომ არცთუ ბევრია მის შესახებ სახარებაში ნათქვამი, გარდა აუცილებელი ფაქტებისა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება თვით უფალ იესო ქრისტეს ცხოვრებას. როგორც ჩანს, მახარებლებს საერთოდ არ სურდათ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მოეხსენებინათ, როგორც მოწმე ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებისა, რადგან მშობლის მოწმობა ვერ იქნებოდა დამაჯერებელი ეჭვიანებისთვის (იხ. პასექის სვინაქსარი). მახარებლები ამბობენ, რომ მენელსაცხებლე დედების მონათხრობი საფლავთან ნანახისა და მოსმენილის შესახებ, უფლის აღდგომასთან დაკავშირებით, მათ ფუჭად მოეჩვენათ და არ დაიჯერეს (ლუკა 24, 11). თუკი მოციქულებმა არ დაუჯერეს მენელსაცხებლე დედებს, მაშინ დაუჯერებდნენ კი უცხო ადამიანები მშობლის მოწმობას?

35. იუდეველთა სიცრუე და მღვდელთმთავრების მიერ უფლის საფლავის დაცვის მოსყიდვა

(მათე 28, 11-15)

დასისა მისგანნი, ანუ გაქცეულ დარაჯთაგან ზოგიერთნი, ალბათ მეთაურები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ დაცვის ადგილის დატოვებისათვის, მღვდელთმთავრებთან გამოცხადდნენ და მოახსენეს ყოველივე მომხდარის შესახებ. სწორედ მათ და არა პილატეს, რადგან უშუალოდ მათ დროებით განკარგულებაში იმყოფებოდა ეს დაცვა. მღვდელთმთავრებმა მოიწვიეს სინედრიონის კრება და გადაწყვიტეს მოესყიდათ ჯარისკაცები, რათა მათ ცილი დაეწამათ და ეჭვქვეშ დაეყენებინათ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება. „მათ იყი-

დეს მისი (იესო ქრისტეს) სისხლი, – ამბობს წმინდა იოანე ოქროპირი, – როდესაც ის ცოცხალი იყო, ხოლო მისი ჯვარცმისა და აღდგომის შემდეგ, კვლავ ფულით ცდილობენ შეარყიონ აღდგომის ჭეშმარიტება". ***ესრეთ თქუთ, ვითარმედ: „მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა",*** – ასე ასწავლეს ჯარისკაცებს. „მათი სიტყვები სრულიად დაუჯერებელია და მათში სიმართლის ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნევა, – მსჯელობს წმინდა იოანე ოქროპირი, – როგორ უნდა მოეპარათ იგი მის მოწაფეებს, ამ ღატაკ და მდაბიო ადამიანებს, რომლებიც გამოჩენასაც კი ვერ ბედავდნენ?.. და განა, ბეჭედი არ ედო საფლავს? განა დაცვა არ იცავდა მას, როგორც ჯარისკაცების, ისე უბრალო იუდეველებისგან შემდგარი? განა თავიდანვე არ ეშინოდათ მათ ამისი, არ წუხდნენ, არ ფხიზლობდნენ, არ ზრუნავდნენ ამაზე? და საერთოდ, რატომ უნდა მოეპარათ? ნუთუ იმიტომ, რომ მოეგონათ რამე იმ ადამიანების მსგავსად, რომელთაც უყვართ გაურკვევლობაში ცხოვრება? და მაინც, როგორ უნდა გადაეგორებინათ დაბეჭდილი ლოდი? როგორ დაემალნენ დაცვის ასეთ სიმრავლეს? რა სარგებელი უნდა ჰქონოდათ მათ, თუკი იესო ქრისტე არ აღმდგარა?"

სამართლიანად შენიშნავს სახარების ყველა განმმარტებელი, რომ სინედრიონის ყოველგვარი მცდელობა, რაც შეიძლება ძლიერად დაეცვა საფლავში უფლის ყოვლადწმიდა სხეული, გამოგონილი და შესრულებული იყო თითქოსდა განგებ იმისათვის, რომ მთელი ისტორიული სიცხადით წარმოჩენილიყო მოვლენების ნამდვილობა, რომლის დაჩრდილვასაც და სიცრუედ წარმოდგენასაც ცდილობდნენ სინედრიონის წევრები. ცხედრის მოპარვა ხომ სრულიად გაუგონარი ამბავი იყო

იუდეველებისათვის, რომელთაც ეშინოდათ, რომ შეიბილწებოდნენ მკვდართან შეხებით (რიცხ. 19, 11-22). როგორ მეი-
ძლება მომხდარიყო, რომ ჯარისკაცებმა დაიძინეს ესოდენ ღრმა ძილით სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი საფლავის გაქურდვა – მესამე დღეს? მათი ძილი კი უნდა ყოფილიყო უჩვეულოდ ღრმა, თუკი მათ ისიც არ გაუგონიათ, თუ როგორ გადააგორეს უზარმაზარი ლოდი საფლავის კარიდან. მათ რომ თუნდაც დაძინება გადაეწყვიტათ, რაც ყოვლად შეუსაბამოა რომაელი ჯარისკაცებისათვის, მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი დასაძინებლად დაწვებოდნენ შესასვლელთან ისე, რომ შეუძლებელი ყოფილიყო ლოდის მოშორება მათ შეუხებლად. ყველაზე დაუჯერებელი კი ის არის, რომ შეშინებულ და გაფანტულ მოწაფეებს გაებედათ ისეთი უაზრო ნაბიჯზე წასვლა, რომლისგანაც მათ არანაირი სარგებელი არ ელოდათ, უდიდესი საშიშროება კი სახეზე იყო. დაუჯერებელია ისიც, რომ ჯარისკაცებს ასეთი ხმები გაევრცელებინათ თავის თავზე და ამით არ გამოეწვიათ გაურკვევლობა მსმენელებში, – თუ რატომ არ დაისაჯნენ ისინი სამსახურეობრივი დანაშაულისთვის? ეს გამონაგონი ბოროტი იუდეველებისა, რომლებსაც მიუხედავად სიცხადისა, მაინც ჯიუტად არ სურდათ ერწმუნათ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება, მხოლოდ ამტკიცებს ქრისტიანობის უდიდეს ჭეშმარიტებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება მოწაფეებს ემაუსის გზაზე

(ლუკა 24, 13-35; მარკოზი 16, 12)

ამის შესახებ მხოლოდ ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, რომელიც, გადმოცემის თანახმად, თავად იყო ერთ-ერთი ამ ორ მოწაფეთაგანი. მეორე იყო კლეოპა – ღვთისმშობლის დის ქმარი. ორივენი იყვნენ ქრისტეს 70 მოწაფეთაგანნი. ამ გამოცხადებას მოკლედ ახსენებს მარკოზ მახარებელიც (16, 12). ამ მოვლენის აღწერის არაჩვეულებრივი სიცხოველე და გამოხატულების სისრულე, აჩვენებს, რომ ერთ-ერთი მონაწილე უეჭველად იყო თვით ლუკა მახარებელი, რომელიც წმინდა მწერლების ჩვეულებისამებრ არ ახსენებს თავის თავს სახელით. მოწაფეები მიემართებოდნენ სოფელ ემაუსში, რომელიც იოპეს გზაზე იერუსალიმიდან დასავლეთის მიმართულებით მისგან 60 სტადიით, ანუ 10-12 ვერსით იყო დაშორებული და მდებარეობდა. ნელი სვლით, როგორითაც ისინი იქ მიდიოდნენ, ამ გზის გავლას 3 საათი სჭირდებოდა, ხოლო თუ უკან ჩქარი ნაბიჯით დაბრუნდებოდნენ, ამ გზას საათნახევარ-ორ საათში დაფარავდნენ. ***მასვე დღესა შინა,*** – ე.ი. ქრისტეს აღდგომის დღეს. ისინი ნელა მიდიოდნენ და გზაში მსჯელობდნენ ყველა იმ სამწუხარო მოვლენებზე, რომლებიც უკავშირდებოდა უფლის მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, და რომლებიც მძიმედ აწვა მათ სულებს, აგრეთვე, – როგორც ეს შემდგომიდან ჩანს (მუხ. 22-23) – იმავე დღის მოვლენების შესახებაც, რომლებსაც, როგორც ჩანს, არ შეეძლო დაემტკიცებინა მათში ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება, რამეთუ ისინი იყვნენ მწუხარენი (24, 17). გზაში მათ თვით უფალი შეუერთდა მგზავრის სახით. ***ხოლო***

თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რაჲთა ვერ იცნან იგი. წმინდა მარკოზი განმარტავს, რომ უფალი გამოეცხადა მათ ***სხჳთა ხატითა.*** ამიტომაც ვერ იცნეს იგი. ეს უფალმა განზრახ გააკეთა, რადგან მას არ ენება, რომ ის უცებ ეცნოთ. მას უნდოდა, გადაეცა მათთვის ის შეგონება, რაც მათ სულიერ მდგომარეობას სჭირდებოდა. მას სურდა, რომ „მათ ეჩვენებინათ თავიანთი ყველა გაურკვევლობა, გამოევლინათ ჭრილობა და მერე მიეღოთ შესაბამისი კურნება; მას სურდა, აეხსნა მათთვის მოსესა და სხვა წინასწარმეტყველების წიგნებიდან ის ადგილები, რომლებიც მას ეხებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ გაეცხადებინა თავისი თავი; რათა მათ უკეთ დაეჯერებინათ, რომ მისი სხეული უკვე ისეთი არ არის, რომ ყველას შეძლებოდა მისი ცნობა, და თუმც აღდგა ზუსტად ის, ვინც ევნო, მაგრამ მას ხედავენ მხოლოდ მისი კეთილი ნებით“, – ასე მსჯელობს ნეტარი თეოფილაქტე.

ყოვლისმცოდნეს სურს, მათგან გაიგოს, თუ რა წარმოადგენს მათი მწუხარების მიზეზს: ***რაჲ არიან სიტყუანი ესე, რომელთა იცილობით ურთიერთას სლვასა შინა და ხართ თქუენ მწუხარე?*** ამ კითხვით უფალი იწვევს თავის მოწაფეებს თავიანთი გრძნობების გამოსავლენად. კლეოპა მას იღებს დღესასწაულზე იერუსალიმში სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ იუდეველად, რადგან ვერ უშვებს აზრად, რომ პალესტინაში მცხოვრებს არ სცოდნოდა ყოველივე იმის შესახებ, რაც იმ დღეებში იერუსალიმში მოხდა. მოწაფეებმა უფალს მთელი თავისი წუხილი გაუმხილეს. თუმცა, საგულისხმოა, რომ ისინი თავიანთ მოძღვარს უწოდებენ მხოლოდ „წინასწარმეტყველს“ და, ამასთან, გამოთქვამენ, რომ მათი იმედები მის, როგორც მესიის მიმართ, არ გამართლდა. ***ჩუენ ვესავთ*** (იმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი გვქონდა), ***ვითარმედ იგი არს, რომელმან იჴსნეს ისრაელი.*** თუმცა მათ ჯერ კიდევ არ იციან, რა იფიქრონ ყოველივე მომხდარის შესახებ, რამეთუ ზოგიერთმა დედაკაცმა, იყვნენ რა ადრიან დილით საფლავთან, საოცარი ამბები მოყვა: მისი სხეული ვერ იპოვეს, მაგრამ ნახეს ანგელოზები, რომლებმაც უთხრეს, რომ ის ცოცხალია. როგორც ჩანს, იერუსალიმიდან გამოსვლამდე ლუკას და კლეოპას არაფერი სმენოდათ იმის შესახებ, რომ უფალი გამოეცხადა მარიამ მაგდანელს და სხვა მენელსაცხებლე დედებს. ***მი-ვინმე-ვიდეს ჩუენგანნიცა საფლავად,*** – აქ, როგორც ჩანს, საუბარია პეტრე და იოანე მოციქულებზე, რაზედაც ლაპარაკია იოანეს სახარებაში (20, 1-10). ***ხოლო იგი თავადი ვერ იხილეს*** (ლუკა 24, 24), – სწორედ ეს აყენებს მათ გაურკვეველ მდგომარეობაში, და არ იციან, რა იფიქრონ ყოველივე ამაზე.

ამის შემდეგ უფალი იწყებს მათ განსწავლას, და აგებინებს, რომ მიზეზი, მათი გაურკვეველი სულიერი მდგომარეობისა, თვით მათში იმალება, – მათ გაუაზრებლობასა და გულის სიუხეშეში. ***ანუ არა ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თჳსსა?*** ის პირდაპირ მოიხსენიებს მათ მოძღვარს ქრისტედ, და განუმარტავს, რომ ყოველივე აღესრულა ქრისტეს შესახებ ძველაღთქმისეულ წინასწარმეტყველებასთან შესაბამისობაში. კერძოდ, სწორედ ტანჯვის გზით მართებდა მესიას ***შესლვად დიდებასა თჳსსა,*** – თავის სულიერ, და არა მიწიერი სასუფევლის დიდებაში.

მოწაფეები დიდი ყურადღებითა და შინაგანი გულის წვით უსმენდნენ იდუმალებით მოცულ თანამგზავრს და იმდენად განეწყვნენ მისდამი შინაგანად, რომ თხოვნა დაუწყეს, დარჩენილიყო მათთან ემაუსში ღამის გასათევად, რადგან საღა-

მოვდებოდა, ღამით კი მარტო მოგზაურობა პალესტინაში უსაფრთხო არ იყო. უფალი დარჩა, და როდესაც ფარეშის დრომ მოაღწია, მან, როგორც უხუცესმა, ***მოიღო პური, აკურთხა და განტეხა და მისცემად მათ.*** როგორც ჩანს, მათი მოძღვრისთვის დამახასითებელი ეს მოქმედება გახდა ბიძგი იმისა, რომ მათ აეხილათ თვალი და ***იცნეს იგი. და თავადი მიეფარა მათგან.*** როგორც სახარებისეული მონათხრობებიდან ჩანს, უფლის განდიდებული სხეული იყო უკვე განსაკუთრებული, არა ისეთი, როგორც ადრინდელი, ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანური სხეული; მისთვის დაბრკოლება არ არსებობდა, მას შეეძლო მოულოდნელად და ანაზდეულად გამოჩენილიყო და ასევე ანაზდეულად უხილავი გამხდარიყო.

რატომ მხოლოდ ახლა შეაცნობინა მოწაფეებს უფალმა თავისი თავი? მისი მიზანი იყო – აეხსნა მოწაფეებისათვის, თუ როგორ აღსრულდა მასზე ყველა ძველაღთქმისეული წინასწარმეტყველება. ის სიხარულის ნაკადი, რომელიც აუცილებლად დაეუფლებოდა მათ, უფალი რომ მაშინვე ეცნოთ, უეჭველად ხელს შეუშლიდა, ეფიქრათ მისი აღდგომის ჭეშმარიტებაზე და, შესაბამისად, ვერც ირწმუნებდნენ ამ ჭეშმარიტებას. უფალმა ისინი თანდათან მიიყვანა ამ ჭეშმარიტების ღრმა რწმენამდე, აიძულა, მათივე აღიარებით, გულით აღგზნებულყვნენ და საბოლოოდ გაეხსნა მათ, რითაც აღანთო ისინი მხურვალე რწმენით, რომელსც უკვე ვერანაირი ეჭვი და განსაცდელი ვერ შეარყევდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე ღამდებოდა, ისინი საჩქაროდ დაბრუნდნენ იერუსალიმში, რათა თავიანთი სიხარული სხვა მოწაფეებისთვისაც გაეზიარებინათ. მათ, თავის მხრივ,

აუწყეს ემაუსიდან დაბრუნებულებს, რომ ***ნანდვლვე აღდგა უფალი და ეჩუენა სიმონს.*** მაგრამ ლუკასა და კლეოპას მონათხრობს (მარკოზი 16, 12-13) სხვა მოწაფეებმა არ დაუჯერეს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მათში გაურკვევლობა გამოიწვია უფლის გამოჩენამ ხან იქ, ხან აქ, რაც შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი ადამიანისათვის; აგრეთვე იმან, რომ უფალი ემაუსელ მგზავრებს გამოეცხადა ***სხვთა ხატითა.*** მათი რწმენა ჯერ კიდევ არ იყო მაინდამაინც მტკიცე, რადგან მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ აღდგომის შემდეგ უფლის ახალი ყოფიერება, არ იცოდნენ მისი განდიდებული სხეულის თვისებები. აი, რატომაც მიიღეს მოჩვენებად, როდესაც იგი შემდგომში ყველა მოწაფეს ერთად გამოეცხადა დახურულ კარს მიღმა.

37. მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება ათ მოწაფეს თავისი აღდგომის დღეს

(მარკოზი 16, 14; ლუკა 24, 36-45; იოანე 20, 19-23)

ამ გამოცხადების შესახებ მოკლედ მოგვითხრობს წმინდა მარკოზი, დაწვრილებით – წმინდა ლუკა და წმინდა იოანე, და ურთიერთს ავსებენ. ლუკა მახარებლის მიხედვით, უფალი გამოეცხადა ერთად შეკრებილ ათ მოწაფეს (წმინდა იოანეს თანახმად, ამ შეკრებას არ ესწრებოდა თომა მოციქული), სწორედ მაშინ, როდესაც ემაუსიდან დაბრუნებული ლუკა და კლეოპა ჯერ კიდევ განაგრძობდნენ თავიანთ თხრობას; თითქოსდა იმისათვის, რომ გაეფანტა თავის მოწაფეებში ყოველგვარი ეჭვი და განეკურნა ისინი ურწმუნოების ნარჩენებისგან. წმინდა იოანეს სიტყვებით, ეს იყო ***ვითარცა შე-***

მწუხრდა დღე იგი ერთშაბათისაჲ მის (კვირის იმავე დღეს, საღამოხანს) (იოანე 20, 19). აქ იოანემ დაუტევა ჩვეულებრივი ებრაული ათვლა, რომლის მიხედვითაც საღამო არის მეორე დღის დასაწყისი. სახლის კარი დახშული იყო, ***შიშისათჳს ჰურიათაჲსა***. როგორც ჩანს, მოწაფეებამდე მიაღწია ხმამ იმის შესახებ, რომ ქრისტეს სხეულის მოპარვას მათ აბრალებდნენ, და ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ძალადობრივ ზომებს ელოდნენ მათდამი მტრულად განწყობილი იუდეველებისგან. და აი, როცა ***კარნი იგი დაჴშულ იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი შეკრებულ შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: „მშჳდობაჲ თქუენ თანა!“*** (იოანე 20, 19) აქ გამოვლინდა უფლის განდიდებული სხეულის განსაკუთრებული თვისება, რომლის ძალითაც ნივთიერი საგნები არ წარმოადგენდნენ მისთვის დაბრკოლებას მათში გასასვლელად. უფლის ასეთმა სასწაულებრივმა შესვლამ კარდახშულ ოთახში მოწაფეთა შეშფოთება გამოიწვია: ***იგინი შეძრწუნდეს და შეეშინა, ეგონა, ვითარმედ სული რაჲმე იხილეს*** (ლუკა 24, 37), – ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს მხოლოდ უფლის სული იყო, რომელიც განშორდა სხეულს და მათთან მივიდა შეოლადან, და რომ მათ გამოეცხადათ არა ცოცხალი უფალი, არამედ მკვდარი იესოს სული. დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად თვითონ იყო, უფალმა აჩვენა მათ თავისი ხელები და ფეხები, მათზე სამსჭვალებისგან მიღებული ჭრილობები, იმის დასამოწმებლად, რომ ეს იგივე სხეული იყო, რომელიც ჯვარზე იყო გაკრული; შეხებაც კი შესთავაზა უფალმა მოწაფეებს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ იგი თავად გამოეცხდა მათ და არა მისი სული ან მოჩვენება. იმისათვის, რომ აღმოეფხ-

ვრა მოწაფეებში ურწმუნოების ნარჩენები, უფალი მათი თანდასწრებით შეუდგა მათი ტრაპეზიდან დარჩენილი შემწვარი თევზისა და ფიჭის თაფლის ჭამას. ***განიხარეს მოწაფეთა, იხილეს რაჲ უფალი*** (იოანე 20, 20), – მათი ეჭვი გაქარწყლდა და ისინი იმ სიხარულმა მოიცვა, რომელსაც უფალი უწინასწარმეტყველებდა მათ საიდუმლო სერობაზე: ***მერმე კუალად გიხილნე თქუენ და უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან*** (იოანე 16, 22). წმინდა მარკოზის სიტყვებით, უფალი საყვედურობდა ურწმუნოებისა და გულის გაუხეშებისათვის, რომ არ დაუჯერს იმათ, ვინც იგი აღდგომილი იხილა – მენელესაცხებლე დედებს, ლუკასა და კლეოპას (მარკოზი 16, 14).

ესე იგი სიტყუანი არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ (ლუკა 24, 44), – „ყველაფერი, რაც ახლა ხდება, ეს არის იმის აღსრულება, რაც არაერთხელ გიწინასწარმეტყველეთ, როდესაც გესაუბრებოდით ჩემი ვნებებისა და აღდგომის შესახებ“. ყოველივე ამის შესახებ ნაწინასწარმეტყველები იყო ძველ აღთქმაში – „მოსეს რჯულში“, „წინასწარმეტყველებში“, „ფსალმუნებში“, ამიტომ ყოველივე ეს უნდა აღსრულებულიყო. უფალი აქ მიუთითებს ძველი აღთქმის წმინდა წიგნების იმ სამნაწილედ დაყოფაზე, რაც იუდეველებთან არსებობდა: 1) რჯულის კანონი, რომელშიც იგულისხმებოდა მოსეს ხუთწიგნეული; 2) წინასწარმეტყველები, – ამაში შედიოდა თითქმის ყველა სხვა დანარჩენი ისტორიული და წინასწარმეტყველური წიგნები; 3) ფსალმუნები ანუ ჰაგიოგრაფები, – მათ მიეკუთვნებოდა სამოძღვრო და მცირე ისტორიული წიგნები. ამგვარად, როგორც თავად უფალი აღნიშნავს, მთელი ძველი აღთქმა, მთელი თავისი შემადგენლო-

ბით, სავსეა მის შესახებ წინასწარმეტყველებით. ადრე მოციქულებს ეს წინასწარმეტყველებანი სწორად არ ესმოდათ, ახლა კი განსაკუთრებული მადლმოსილი განათლებით უფალმა *განუხუნა გონებანი მათნი გულისჴმისყოფად წიგნთა* (ლუკა 24, 45). წმინდა იოანე ამას ამატებს, რომ აქ უფალმა მეორედ უთხრა მოციქულებს: *მშჳდობაჲ თქუენ თანა* (იოანე 20, 21) და ამის შემდეგ ხილული ნიშნით, – შებერვით, – გადასცა მათ სულიწმიდის გარდამოსვლის დღემდე, წინასწარი მადლი სულიწმიდისა, სიტყვებით: *მიიღეთ სული წმიდაჲ. უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ* (იოანე 20, 22-23). სრული მიფენა სულიწმიდის ნიჭებისა მოციქულებზე, შესრულდა ერგასობის დღეს, მაგრამ აშკარაა, რომ ჯერ კიდევ იმ დღის დადგომამდე მოციქულებისთვის აუცილებელი იყო სულიწმიდის ისეთი ნიჭები, რომელნიც განამტკიცებდნენ მათ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტების ეჭვშეურევნელ და მყარ რწმენაში; დაეხმარებოდათ, სწორად გაეგოთ წმინდა წერილი, განსაკუთრებით კი იმისათვის, რომ წარმოშობილიყო 11 მოციქულში რწმენა მათ ღვთაებრივ წარგზავნილობაში, – რწმენა იმისა, რომ ისინი არა მხოლოდ ყოფილი თანამგზავრები და მსმენელები იყვნენ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, არამედ „მოციქულებიც", – მისი წარგზავნილები, მის მიერ დადგინებულნი მთელ მსოფლიოში სახარების ქადაგების უმნიშვნელოვანეს მსახურებაზე: *ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ* (იოანე 20, 21). ეს იყო სულიწმიდის საწინდარი, რომელიც აუცილებელი იყო მოციქულთა საზოგადოების განსამტკიცებლად. ამასთანავე, ამ შებერვით ყველა მოციქულს გადაეცა

ცოდვების მიტევების ხელმწიფება, რაც მანამდე პეტრეს აღუთქვა უფალმა მისი აღმსარებლობისათვის (მათე 16, 19) და სხვა მოციქულებს (მათე 18, 18).

38. მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება თერთმეტ მოწაფეს აღდგომიდან მერვე დღეს და თომას ურწმუნოების გაფანტვა

(იოანე 20, 24-31)

იოანე მახარებელი აღნიშნავს, რომ, როდესაც უფალი პირველად გამოეცხადა ერთად შეკრებილ თავის მოწაფეებს, იმ დროს იქ თომა არ იმყოფებოდა, რომელსაც უწოდებდნენ, აგრეთვე, „მარჩბივს" (ტყუპისცალს), – რაც ბერძნულად ნიშნავს: „დიდიმი". როგორც სახარებიდან ჩანს, ეს მოციქული გამოირჩეოდა მძიმე და სიჯიუტისკენ მიდრეკილი ხასიათით, რაც დამახასითებელია უბრალო, მაგრამ მტკიცედ ჩამოყალიბებული შეხედულების მქონე ადამიანებისათვის. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უფალი ლაზარეს აღსადგენად მიდიოდა, თომამ დარწმუნებით გამოთქვა აზრი, რომ აქედან სიკეთე არაფერი გამოვიდოდა: ***მოგუალეთ, მივიდეთ, რაჲთა მოვსწყდეთ ჩუენცა მისთანა*** (ჩვენც მივიდეთ, რათა მასთან ერთად მოვკვდეთ) (იოანე 11, 16); როდესაც უფალმა თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში მოწაფეებს უთხრა: ***ვიდრე-იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით,*** – თომა მაშინვე შეეკამათა: ***უფალო, არა ვიცით, ვიდრე ხუალ, და ვითარ შემძლებელ ვართ გზისა მის ცნობად?*** (იოანე 14, 4-5). მოძღვრის ჯვარზე სიკვდილმა თომაში გამოიწვია განსაკუთრებით მძიმე, დამთრგუნველი შთაბეჭდილება: ის, ერთგვარად, იმ აზრმა შეიპყრო, რომ უფალი მათ საბოლოოდ დააკლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ. თომა იმდენად დაეცა სულით, რომ არც კი

გრწმენინ, – „შენ გადამწყვეტ დღეში იმყოფები: შენს წინაშე ახლა ორი გზაა – ერთი რწმენით სავსეა, მეორე სულიერად გაუხეშების“. სახარებაში არ არის ნათქვამი, ნამდვილად შეეხო თუ არა თომა უფლის წყლულებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ შეეხო, მაგრამ ასეა თუ ისე, რწმენა მასში აინთო მგზნებარე ცეცხლით და მან შეჰღაღადა: ***უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!*** ამ სიტყვებით თომამ არა მხოლოდ ქრისტეს აღდგომის, არამედ მისი ღმრთეებრიობის რწმენაც აღიარა.

თუმცა ეს რწმენა მაინც დაფუძნებული იყო გრძნობიერ დადასტურებაზე, ამიტომ უფალმა თომას, სხვა მოციქულებისა და, საერთოდ, ყველა დროის ყველა ადამიანის შესაგონებლად გაახმოვანა რწმენის უმაღლესი გზა: ***ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე.*** უფალი ადრეც ანიჭებდა უპირატესობას იმ რწმენას, რომელიც ეფუძნება არა სასწაულს, არამედ სიტყვას. ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება დედამიწაზე შეუძლებელი იქნებოდა, ყველას რომ მოეთხოვა თავისი რწმენისთვის ისეთი დადასტურება, როგორიც თომამ მოითხოვა ან, საერთოდ, შეუწყვეტელი სასწაულები. ამიტომაც ამბოს უფალი, რომ ისინი არიან ნეტარნი, ვინც რწმენას აღწევს სიტყვისადმი, ქრისტეს სწავლებისადმი ნდობით; ეს არის რწმენის საუკეთესო გზა.

ამ თხრობით ასრულებს წმინდა იოანე თავის სახარებას. შემდეგი, 21-ე თავი მის მიერ მოგვიანებით არის დაწერილი, გარკვეული დროის შედმეგ, როგორც ფიქრობენ, იმ გავრცელებული ხმების გამო, რომ მას თიტქოს უნდა ეცხოვრა ქრისტეს მოერედ მოსვლამდე. თავის სახარებას იოანე ამთავრებს იმის დამოწმებით, რომ ***არიან სხუანიცა მრავალ, რომელ ქმნნა იესუ, რომელნი, თუმცა დაიწერებოდეს***

თითოეულად, არცაღა ვჰგონებ, ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები, – მართალია, წმინდა იოანეს მიზანი იყო შეევსო პირველი სამი მახარებლის მონათხრობნი, მაგრამ მასაც ბევრი რამ არ დაუწერია. თუმცა, როგორც ჩანს, ის მიიჩნევს, რომ დაწერილია საკმარისი: ***ესე დაიწერა, რაჲთა გრწმენეს, რამეთუ იესუ არს ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, და რაჲთა გრწმენეს და ცხორებაჲ გაქუნდეს სახელითა მისითა,*** – „ის ცოტაც, რაც დაწერილია, საკმარისი იმისათვის, რომ ირწმუნო ქრისტეს ღმრთეებრიობა და ცხონდე ამ რწმენის მეშვეობით“.

39. მკვდრეთით აღმდგარი უფალი მოწაფეებს ეცხადება ტიბერიის ზღვაზე

(იოანე 21, 1-24)

ჯერ კიდევ ჯვარცმამდე გააფრთხილა უფალმა თავისი მოწაფენი, რომ აღდგომის შემდეგ ის მათ გალილეაში გამოეცხადებოდა. იგივე უთხრეს ანგელოზებმა მენელსაცხებლე დედებს უფლის საფლავთან (მათე 26, 32: 28, 7). მოციქულებმა პასექის დღესასწაულის მთელი რვა დღე იერუსალიმში გაატარეს და შემდეგ გაემართნენ გალილეაში, სადაც სავსებით ბუნებრივად შეუდგნენ თავიანთ ძველ ხელობას – გენისარეთის ტბაზე თევზის ჭერას, რათ მათთვის გამოკვების ერთადერთი საშუალება იყო.

აქ მათ ***კუალად გამოუცხადა თავი თჳსი იესუ მოწაფეთა თჳსთა ზღუასა მას ზედა ტიბერიისასა.*** იოანეს ანგარიშით ეს იყო ერთად შეკრებილი მოწაფეების წინაშე უფლის მესამე გამოცხადება. ამჯერად ისინი შვიდნი იყვნენ: სიმონ-პეტრე, თომა, ნათანაელი, ძებედეს ძენი, ანუ იაკობი და იოანე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ ორნი, რომელთა სახელებიც ნახსენები არ ჩანს. სიმდაბლიდან გამომდინარე, ამ ჩამონათვალში იოანე თავის თავს, ძმასთან ერთად, უკანასკნელ ადგილზე აყენებს და არც სახელებს ახსენებს, მაშინ, როდესაც ყველგან, სხვა სახარებებში, რიგითობით მათ, ჩვეულებრივ, ანდრიასა და პეტრეს შემდეგ აყენებენ. მოციქულები მთელი ღამე შრომობდნენ, მაგრამ თევზი ვერ დაიჭირეს. ამას, უეჭველად, უნდა შეეხსენებინა მათთვის სამი წლის წინანდელი ამბავი (ლუკა 5, 5 და შემდ.), რაც წინ უძღვოდა მათ გამორჩევას სამოციქულო მსახურებაზე. ამჯერად მსგავსი განმეორდა.

ვითარცა განთენდებოდა, დგა იესუ კიდესა ზედა, და არა უწყოდეს მოწაფეთა, ვითარმედ უფალი არს. „დგა იესუ კიდესა ზედა“, – ეს გამოთქმა ასახავს ანაზდეულ გამოჩენას. მოწაფეებმა ის ვერ იცნეს, სავარაუდოდ იმიტომ, რომ იგი ამჯერად ისე გამოეცხადა მათ, როგორც ლუკასა და კლეოპას, – ***სხჳთა ხატითა***, – ან კიდევ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო ღამის ბურუსი. ***ყრმანო, საჭმელი ნუ გაქუს რაჲა?*** – მიმართა მათ უფალმა. საჭმელში, როგორც ეს შემდგომში ჩანს, გულისხმობდა იგი თევზს. როდესაც უარყოფითი პასუხი მიიღო, შესთავაზა, გადაეგდოთ ***ბადე ეგე მარჯუენით კერძო ნავისა***, და ისევ განმეორდა მათ მიერ უკვე განცდილი სამი წლის წინანდელი სასწაული: იმდენი თევზი დაიჭირეს, რომ ბადის ამოღების ძალაც კი არ შესწევდათ. ეს სასწაული, ისევე, როგორც პირველი, უნდა ყოფილიყო წინასახე მათი სამოციქულო მოღვაწეობისა, სადაც მათ თავად უნდა ეღვაწათ, მაგრამ, ამასთანავე, ყველაფერში უფლის მითითებით უნდა ეხელმძღვანელათ. ***მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს***, ანუ იოანემ, როგორც

ის არა ერთხელ უწოდებს თავის თავს, ამ სასწაულებრივი თევზჭერით გაოგნებულმა, მაშინვე იგრძნო გულით, თუ ვინ იყო ნაპირზე მდგომი ეს იდუმალებით მოცული უცნობი, და თავისი მოსაზრება პეტრეს გააცნო: ***უფალი არს.*** პეტრე ვერ გაკადნიერდა, შიშველი წარმდგარიყო უფლის წინაშე, ამიტომ მოსასხამი შემოიხვია წელზე, ზღვაში გადახტა და ნაპირის მიმართულებით სწრაფად გაცურა. აქედან ჩვენ ვხედავთ ამ ორი მოციქულის ხასიათის თავისებურებას: იოანე უფრო ამაღლებულია, პეტრე – მგზნებარეა; იოანეს უფრო შესწევს ჭვრეტის უნარი, პეტრე – თამამია ქმედებებში. „იოანე უფრო მჭვრეტელია, – ამბობს ნეტარი თეოფილაქტე, – პეტრე უფრო მგზნებარეა; იოანემ პირველმა იცნო უფალი, პეტრე კი პირველი გაეშურა მისკენ“. ამასობაში სხვა მოწაფეები ნავით მიცურდნენ ნაპირზე, ***და გამოითრევდეს ბადესა მას თევზითა სავსესა.*** თევზი იმდენად ბევრი იყო, რომ ნავში ბადის ათრევა ვერ გადაწყვიტეს, რათა სიმძიმისგან ნავი არ გადაბრუნებულიყო, ამიტომაც ზღვით მიათრევდნენ ნაპირისკენ.

ვითარცა გამოჴდეს ქუეყანად, იხილეს ნაკუერცხალი მდებარე და თევზი მას ზედა და პური, – უფალმა კვლავ სასწაულებრივად მოუმზადა მათ, მშივრებს, საჭმელი, მაგრამ სურდა რა მათ თავიანთი შრომის ნაყოფიც ეგემათ, უთხრა: ***მოიღეთ თევზთა მათგანი, რომელი იპყართ.*** სიმონ-პეტრე ნავთან დაბრუნდა და, სავარაუდოდ, სხვა მოწაფეების დახმარებით, ბადე ნაპირზე გამოათრია. ბადეში 153 დიდი თევზი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, სასწაული იყო ისიც, რომ მიუხედავად ასეთი რაოდენობისა, ბადე მაინც არ გაიხა. ყოველ შემთხვევაში, ამ სასწაულებრივმა თევზჭერამ უძლიერესი შთაბეჭდილება მოახდინა იოანეზე, რაკი მას მთელი

ცხოვრების განმავლობაში ახსოვდა დაჭერილი თევზის რაოდენობა. უთუოდ, განსაკუთრებული კეთილკრძალულების მიზეზით, და გაოგნებულნი ყოველივე მომხდარით, მოციქულები მოკრძალებულ მანძილზე შეჩერდნენ უფლისგან, ამიტომაც მიიწვია მანი სინი სატრაპეზოდ სიტყვებით: ***მოვედით და ისადილენით.*** ეტყობა, უფალიც ოდნავ მოშორებით იდგა სუფრისგან, რადგან ამის შემდეგ ნათქვამია: ***მოვიდა იესუ.*** ის მოციქულებს გაუმასპინძლდა, როგორც მასპინძელი, აწოდებდა მომზადებულ პურსა და თევზს. ***და არავინ მოწაფეთაგანმან კითხვად მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? იცოდეს ყოველთა, რამეთუ უფალი არს.,*** – რაღაც არაჩვეულებრივს ხედავდნენ მოწაფენი გამოცხადებულ უფალში: ის, როგორც ჩანს, სავსებით არ ჰგავდა იმ თავიანთ მოძღვარს, როგორსაც მიჩვეულნი იყვნენ, რადგან აღდგომის შემდეგ მისი სხეული განსაკუთრებული გახდა, განდიდებული, აღსავსე დიდებულებითა და ღმრთეებრიობით, აღძრავდა მეტი მოწიწებისაკენ, მაგრამ იცოდნენ, რომ უეჭველად ის იყო.

40. პეტრე მოციქულის აღდგენა მის სამოციქულო ღირსებაში და მისი მოწამეობის წინასწარმეტყველება

(იოანე 21, 15-25)

და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: „სიმონ იონაᲲსო, გიყუარ მეა უფროᲲს ამათსა? – ჯვარცმამდე სიმონი ყველაზე მეტად პირდებოდა უფალს ერთგულებას: ***დაღათუ ყოველნი დაჰბრკოლდნენ შენდა მომართ, ხოლო მე არასადა დავჰბრკოლდე*** (მათე 26, 33); ***აწ სული ჩემი შენთვის დავდვა*** (იოანე 13, 37); ***დაღაცათუ იყოს სიკუდილი ჩემი შენ თანა,***

არასადა უვარ-გყო შენ (მარკოზი 14, 31); ***მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილად მისლვად*** (ლუკა 22, 33). მიუხედავად ყველა ამ მხურვალე დაპირებებისა, მან სამჯერ უარყო უფალი და ამით, რა თქმა უნდა, მოაკლდა თავის სამოციქულო წოდებასა და სამოციქულო უფლებას – უკვე აღარ იყო მოციქული. ამას აღნიშნავს, უეჭველად პეტრეს მონაყოლიდან მარკოზ მახარებელიც, რომელიც მოგვითხრობს რომ, როდესაც მენელსაცხებლე დედებს ანგელოზი გამოეცხადათ, მან უთხრა: ***წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს...,*** – გამოყოფს პეტრეს, როგორც თავისი უარყოფით მოწყვეტილს სამოციქულო დასისგან, და აყენებს მას უკანასკნელ ადგილზე დანარჩენი მოციქულების შემდეგ.

წრფელი და ღრმა სინანულის გამო უფალი გულმოწყალებით აღადგენს პეტრეს სამოციქულო ღირსებაში. პეტრემ სამჯერ უარყო, უფალიც სამჯერ აიძულებს მას კითხვაზე: ***გიყუარ მეა?*** – უპასუხოს: ***ჰე, უფალო, შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ,*** – და ყოველი დადებითი პასუხის შემდგომ, ავალებს დამწყსოს მისი კრავები, მისი ცხვრები. „სამ-გზის კითხვითა მით, ვითარმედ პეტრე გიყვარ მე ქრისტემან, სამ-გზის უარის-ყოფისა მის ცთომილება აღხოცა წყალობით“, –იგალობება 29 ივნისის მსახურებაში თავთა მოციქულთა – პეტრესა და პავლეს ხსენების დღეს. სრულიად ამაოდ და უსაფუძვლოდ ცდილობენ რომაელ-კათოლიკეები დაინახონ ამაში პეტრესთვის რაიმე განსაკუთრებული უფლებისა და უპირატესობის მინიჭება სხვებთან შედარებით. „კრავები“, რომელთა მწყემსობასაც უფალი პეტრეს ავალებს, ეს არის ქრისტეს ეკლესიის ყველაზე ახალგაზრდა, ასე ვთქვათ, ახალშობილი წევრები, რომლებსაც ყველაზე მეტად სჭირდებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსის განსაკუთრებული ზრუნვა; „ცხვრები“ კი ეკლესიის სულიერად მომწიფებული წევრები არიან, რომლებიც უკვე აღარ საჭიროებენ განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას. საგულისხმოა, რომ პირველად უფალი პეტრეს ეკითხება: ***სიმონ იონაᲲსო, გიყუარ მეა უფროᲲს ამათსა?*** – ამით, თითქოსდა, ახსენებს, რომ იგი სხვა მოწაფეებზე მეტ ერთგულებას დაპირდა. ისიც საგულისხმოა, რომ იგი პეტრეს მიმართავს თავისი ძველი სახელით – „სიმონ“, და არა „პეტრეთი“, რადგან უფლის უარყოფით, მან გამოავლინა მერყეობა, მტკიცე სულის არქონა, და უკვე აღარ იყო „პეტრე“, ანუ „კეფა“ – „ლოდი“. პეტრე სიმდაბლით აცნობიერებდა თავისი დაცემის სიღრმეს, და უკვე აღარ ადარებს თავის სიყვარულს სხვა მოწაფეების სიყვარულს და, საერთოდ, ვეღარ ბედავს, დაარწმუნოს იგი მისდამი სიყვარულში; მხოლოდ მის ყოვლისმცოდნეობას ეყრდნობა: ***შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ.*** უფრო მეტიც, სიმდაბლით, ნაცვლად უფლის მიერ გამოყენებული სიტყვისა „სიყვარული“ – „აგაპანი“, რაც სრულ და სრულყოფილ სიყვარულს ნიშნავს, პეტრე იყენებს სხვა სიტყვას: „ფილინი“, რაც ნიშნავს პირად გულითად მიჯაჭვულობასა და ერთგულებას. როდესაც მესამედ ეკითხება, უფალი იყენებს იგივე სიტყვას: „ფილინი“. ამან პეტრე დაამწუხრა, რადგან უფალმა, ერთგვარად, ეჭვქვეშ დააყენა მისდამი მისი პირადი მიჯაჭვულობა, ამიტომ მესამედ პეტრე უკვე განსაკუთრებული ძალით უმტკიცებს უფალს თავის სიყვარულს და მის ყოვლისმცოდნეობას იმოწმებს. როგორც მესამედ მან უფალი უარყო განსაკუთრებული ძალითა და ფიცით, ასევე აიძულებს უფალი, რომ ახლაც, მესამედ, ასევე განსაკუთრებული ძალით აღიაროს მისდამი თავისი სიყვარული.

პეტრესთვის სამოციქულო ღირსების დაბრუნებასთან ერთად, იგი მას უწინასწარმეტყველებს მოწამეობრივ სიკვდილს, და ასეთ სიკვდილამდე მას მიიყვანს სწორედ ახლახან დამოწმებული უფლის სიყვარული. ***ოდეს იყავ ჭაბუკ, შეირტყი თავით თჳსით და ხჳდოდი, ვიდრეცა გნებავნ. ხოლო რაჟამს დაჰბერდე, განიპყრნე ჴელნი შენნი, და სხუამან შეგარტყას შენ და წარგიყვანოს, ვიდრეცა შენ არა გინდეს,*** – ძალადობრივ მოწამეობრივ სიკვდილს აქ უფალი სიმბოლურად წარმოაჩენს დაუძლურებული ბებერის სახით, რომელსაც ყველაფერი შეუძლიათ უყონ, მისი ნების საწინააღმდეგოდ. წმინდა პეტრე მოციქული მართლაც გააკრეს ჯვარზე რომში იმპერატორ ნერონის ზეობისას, ქრისტეს შობიდან 68 წელს. ***შემომიდეგ მე,*** – ეს არის უფლის უკანასკნელი გადამწყვეტი სიტყვა დაცემული პეტრეს სამოციქულო ხარისხში აღდგენასთან დაკავშირებით. ამ სიტყვების შემდეგ უფალი წავიდა და მოწაფეებიც, როგორც ჩანს, გაჰყვნენ მას. როდესაც დაინახა უფლის საყვარელი მოწაფე, პეტრე აღენთო სურვილით, გაეგო, როგორი იქნებოდა მისი ხვედრი; შეხვდებოდა თუ არა მასაც ქრისტესთვის მოწამეობრივი სიკვდილი. მაგრამ უფალს არ ნებავდა, გაეცხადებინა, თუ რა სახით აღსრულდებოდა იოანე. მან პეტრეს უპასუხა, რომ ამის ცოდნა მისი საქმე არ იყო: ***შენდა რაჲ? შენ მე შემომიდეგ.*** აქ კვლავ ვხედავთ რომაულ-კათოლიკური ცრუსწავლების უარყოფას, თითქოს უფალმა პეტრეს ჩააბარა სხვა მოწაფეებზე ზრუნვა, თითქოს ის მათ „მთავრად“ იყო დადგენილი. უფალს რომ პეტრესთვის, როგორც თავისი ადგილისნაცვლისთვის ჩაებარებინა სხვა მოწაფეები, მაშინ, რა თქმა უნდა, პეტრეს უფლება ექნებოდა, ეკითხა იოანეს შესახებ და მაშინ უფალ-

იც არ მისცემდა ასეთ პასუხს: ***შენდა რაჲ?*** იოანეს შესახებ უფლის პასუხმა ბევრს საბაბი მისცა, ეფიქრა, რომ იგი არ მოკვდებოდა უფლის მეორედ მოსვლამდე: ***უკუეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რაჲ?*** – თუმცა, თავად მახარებელი ამ აზრს უარყოფს, და ხაზს უსვამს, რომ უფლის სიტყვა იყო პირობითი: ***უკუეთუ მინდეს ყოფაჲ მაგისი...***

ამის შესახებ თავის თხრობას და, საერთდ, მთელ თავის სახარებას წმინდა იოანე ასრულებს დარწმუნებით: ***ესე არს მოწაფე იგი, რომელი წამებს ამათთჳს და რომელმან დაწერა ესე, და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი.*** ამით მტკიცდება, რომ ეს სახარება დაწერილია წმინდა იოანე ღვთისმტყველის მიერ და ყოველივე ჭეშმარიტია, რაც მასშია გადმოცემული. დასასრულ, წმინდა იოანე ამბობს, რომ სახარებაში ბევრი რამ არ არის ჩაწერილი ***რომელ ქმნნა იესუ,*** რამეთუ ყველაფერი დაწვრილებით რომ დაეწერათ, მაშინ ***ვითარმცა სოფელმან ამან დაიტია აღწერილი წიგნები.*** ეს შეიძლება გადამეტებულად ჟღერდეს, ჰიპერბოლურ გამოთქმად, მაგრამ აქ საუბარია სწორედ ქრისტეს საქმეთა მოუცველობაზე, რომელთა მნიშვნელობასაც ვერ დაიტევს ეს მოცული, შემოზღუდული *სოფელი*. ზოგი ვარაუდობს, ეს ბოლო მუხლები (24-ე და 25-ე) მიწერილია იოანეს სახარებაზე შემდგომში ძველი დროის მკითხველების მიერ, რომელთაც სურდათ ყველა დროისათვის დაედასტურებინათ ამ სახარების ნამდვილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება თავის მოწაფეებს გალილეის მთაზე

(მათე 28, 16-20; მარკოზი 16, 15-18; ლუკა 24, 46-49)

ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ. იხილეს იგი და თაყუანისცეს მას, ხოლო რომელნიმე შეორგულდეს, – რადგანაც ანგელოზებმა უთხრეს მენელსაცხებლე დედებს, რომ უფალი მათ გალილეაში დაელოდებოდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ არა მხოლოდ მოციქულები გაეშურნენ გალილეისკენ უფლის სანახავად. ბევრი მიიჩნევს, რომ უფლის მთაზე გამოცხადება იყო სწორედ ის მოვლენა, რომლის შესახებაც წერს პავლე მოციქული (1 კორ. 15, 6): როდესაც უფალი ***ეჩუენა უმრავლეს ხუთასისა ძმათა ერთ-გზის*** (ერთდროულად). რომელი იყო ეს მთა, უცნობია, თუმცა, დიდი ვარაუდით, ეს შეიძლება ყოფილიყო თაბორის ფერისცვალების მთა, რომელზედაც მოწაფენი ღირსიქმნენ ეხილათ უფლის ფერისცვალება იმ დიდებული მდგომარეობით, რომლითაც ის ახლაც გამოჩნდა მათ წინაშე. შეკრებილთა შორის ზოგი „შეორგულდა" (დაეჭვდა), რაც ამტკიცებს, რომ ეს არ შეიძლება ყოფილიყო მასობრივი ჰალუცინაცია, როგორც ურწმუნონი ფიქრობენ.

მოუჯდა მათ იესუ, რათა გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი, რომ ეს ნამდვილად თვითონ იყო, ***ეტყოდა და ჰრქუა: „მომეცა მე ყოველი ჯელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა...",*** – როგორც მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ის სამყაროს დასაბამიდანვე ფლობდა მთელ ძალაუფლებას ცაშიც და მიწაზეც; ახლა კი, როგორც ჯოჯოხეთსა და სიკვდილზე გამარჯვებულმა, ასეთივე ხელმწიფება მოიპოვა ყოველივეზე კაცობრი-

ვადაც, როგორც სამყაროს გამომსყიდველმა. მოევლინა, რა ქვეყანას როგორც ადამიანი, ძე ღვთისამ შეიზღუდა – თავისა თავი საღვთო ძალაუფლების გამოყენებაში, რადგან არ სურდა აღესრულებინა კაცობრიობის გამოხსნის საქმე მხოლოდ თავისი ყოვლადძლიერებით. აღდგომის შემდეგ მან მიიღო თავისი ღმრთეებრივი ხელმწიფების მთელი სავსება უკვე, როგორც ღმერთკაცმა, და მასზე იყო დამოკიდებული შეესრულებინა ადამიანთა ცხონების მთელი საქმე სულიწმიდის გარდამოსვლით, თავისი ეკლესიის დაარსებით და მოციქულების წარგზავნით მთელის მსოფლიოსთვის საქადაგებლად.

წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი, – როგორც გადმოგვცემს წმინდა მათე, ან: ***წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარებაჲ ესე ყოველსა დაბადებულსა,*** – წმინდა მარკოზის თანახმად. ***ესრეთ ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა, და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული და მოტევებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა მიმართ წარმართთა, იწყეთ იერუსალჵმით, რამეთუ თქუენ ხართ მოწამე ამის ყოველისა,*** – ასე გადმოგვცემს ლუკა მახარებელი უფლის მიერ თავისი მოციქულებისთვის ამ უფლებამოსილების ამბავს. ახლა უკვე უფალი არ ზღუდავს თავის მოწაფეებს, რომ მათ მხოლოდ იუდეველებს უქადაგონ, როგორც ადრე (მათე 10, 5-6; 15, 24), არამედ აგზავნის ყველა ერის განსასწავლად, რამეთუ მთელი მსოფლიო არის გამოსყიდული ქრისტეს ვნებებით და მოწოდებული უნდა იყოს ქრისტეს სასუფეველში. ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, – ღმერთკაცი თავის მოწაფეებს უფლებას აძლევს და ვალდებულებას აკისრებს, მონათლონ ყველანი წმინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამების სახელით. ეს ნიშნავს, რომ ის ვინც ნათლავს, მოქმედებს არა თავისთავად, არამედ მისთვის თვით ხამგვამოვანი ღმერთისგან მინიჭებული ხელმწიფებით; ნათელღებულნი კი ამის მეშვეობით იღებენ ვალდებულებას, სწამდეთ წმიდა სამება და მიუძღვნან მთელი ცხოვრება მხმობელს, გამომსყიდველსა და განმაახლებელ სამგვამოვან ღმრთეებას. ნათლისღება არის სულიწმიდის მოქმედებით ადამიანის ცოდვებისგან განბანვისა და ქრისტეს ეკლესიაში ახალი, განახლებული, ღვთისმიერი ცხოვრების დაწყების ნიშანი. ნათლისღებას თან უნდა ახლდეს მოსანათლავი პირის განსწავლა ყოველივე იმაში, რაც ნამცნებია ქრისტე მაცხოვრისგან: ***ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ.***

მარკოზ მახარებელი ამას კიდევ ამატებს, თუ როგორი სასწაულებრივი ნიშნები მოჰყვება რწმენას: ***სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, ენათა ახალთა იტყოდიან. გუელთა შეიპყრობდენ; დაღათუ სასიკუდინე რაჲმე სუან, არარაჲ ავნოს მათ; სნეულთა ზედა ჯელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდიან,*** – ადამიანის ცოდვისგან მთელი სამყაროს წესრიგი დაირღვა, და მასში ბოროტება გაბატონდა: ქრისტე-მაცხოვრის მორწმუნენი იღებენ ხელმწიფებასა და ძალას დაამარცხონ ეს ბოროტება და აღადგინონ სამყაროში დაკარგული ჰარმონია. ამ სასწაულებს, როგორც ეკლესიის მთელი შემდგომი ისტორია მოწმობს, მართლაც აღასრულებდნენ მოციქულები და ჭეშმარიტი ქრისტიანები.

აჰა ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა, – აკისრებს რა მოციქულებს მთელ მსოფლიოში სახარების გავრცელების მძიმე ტვირთს, უფალი ამხნევებს მათ, აღუთქვამს, რომ დაფარულად და

უხილავად „სოფლის აღსასრულამდე“. მაგრამ რადგანაც მოციქულებს არ უცოცხლიათ ***ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა,*** ამიტომ ეს აღთქმა უნდა მივუსადაგოთ მოციქულთა ყველა მემკვიდრეს. ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის აღსასრულის შემდეგ უფალი აღარ იქნება თავის მოწაფეებთან. „არა, მაშინ მით უფრო იქნება (ნეტარი თეოფილაქტე); ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სოფლის აღსასრულამდე ის უეჭველად იქნება უხილავად ჭეშმარიტ მორწმუნეთა შორის, მის მიერ დაარსებული ეკლესიის თავში და უხელმძღვანელებს მას ადამიანთა საცხონებლად“.

42. უფლის ამაღლება

(ლუკა 24, 49-53; მარკოზი 16, 19-20)

მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე-მაცხოვრის უკანასკნელი გამოცხადება, რომელიც მისი ზეცად ამაღლებით დასრულდა, ყველაზე დაწვრილებით აღწერილი აქვს ლუკა მახარებელს. მოკლედ საუბრობს ამის შესახებ მარკოზ მახარებელი. ამ გამოცხადებას ადგილი ჰქონდა იერუსალიმში, სადაც მოციქულები დაბრუნდნენ გალილეადან ორმოცი დღის შემდეგ. ამ ორმოცი დღის განმავლობაში კი უფალი არაერთხელ ეცხადებოდა მათ და ასწავლიდა ღვთის სასუფევლის შესახებ, როგორც ლუკა მახარებელი გადმოგვცემს (საქ. 1, 2-5). უფალმა მოციქულებს უბრძანა, იერუსალიმში დარჩენილიყვნენ, სანამ ზეგარდამო ძალით არ აღიჭურვებოდნენ, და აღუთქვა, რომ წარმოგზავნიდა მათზე თავისი მამის აღთქმას (ლუკა 2, 49); აქ უნდა ვიგულისხმოთ სულიწმიდის გარდამოსვლა მათ საქადაგებლო საქმეში შესაწევნელად. სულიწმიდას მათთვის უნდა მიეცა აუცილებელი ძალა ამ უდიდესი საქმის – მთელი

მსოფლიოსათვის სახარების ქადაგების – აღსასრულებლად. შემდეგ უფალმა გამოიყვანა თავისი მოწაფეები იერუსალიმიდან ბეთანიამდე, რომელიც ელეონის მთის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობდა. ***და აღიპყრნა ჯელნი თჳსნი და აკურთხნა იგინი,*** – გამოთქვა, როგორც ჩანს, გარკვეული სიტყვები, როგორც ეს მიღებული იყო ძველ აღთქმაში, მაგრამ რომლებიც მახარებლებს აქ არ მოჰყავთ. ხელების აღპყრობის სიმბოლური მოქმედება კურთხევისას, ძველ აღთქმაში იყო ცნობილი (მაგალითად, ლევ. 9, 22). ***იყო კურთხევასა მას იესუჲსსა მათა მიმართ განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად.*** „რაოდენ საოცარი მოქმედებაა, – ამბობს მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი, – უფალი აკურთხებს და ჯერ კიდევ არ დაუსრულებია კურთხევა, არამედ განაგრძობს კურთხევას, და იმავდროულად მაღლდება ზეცად. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მას არ სურს შეწყვიტოს თავისი კურთხევა, განაგრძობს თავისი ეკლესიისა და მასში ყველა მორწმუნეთა უსასრულოდ კურთხევას. ვიფიქროთ, ძმებო, რომ ამჟამადაც ჩვენზეა მისი ხელები, მისი მზერა, მისი კურთხევა. რაოდენ სირცხვილი და შიშია იმათთვის, ვინც ამსოფლიურ ამაოებაში ივიწყებს მას; რაოდენ სიხარულია მათი მოყვარეებისათვის“. მოწაფეებმა თაყვანი სცეს თავისი მამისაკენ აღმავალ ღმერთკაცს და ***მოიქცეს იერუსალიმ სიხარულითა დიდითა.*** სიხარულის მიზეზი ის იყო, რომ ამჯერად მათ საკუთარი თვალით იხილეს თავიანთი უფლისა და მოძღვრის დიდება და ელოდებოდნენ მის აღთქმას სულიწმიდის გარდამოსვლასთან დაკავშირებით. ისინი, თითქოსდა, ახლა თავიდან იშვნენ მათთან მკვდრეთით აღდგომილი უფლის 40 დღიანი ყოფნის შედეგად, რომელიც მათ ასწავლიდა ღვთის

სასუფევლის საიდუმლოებებს. სულიერი აღმაფრენის ამ მაღალ ლოცვით მდგომარეობაში ისინი ***იყოფვოდეს ტაძარსა მას შინა მარადის, აქებდეს და აკურთხევდეს ღმერთსა,*** – ყოველივე იმისათვის, რაც მათ განიცადეს, იხილეს და მოისმინეს, და მათთვის მინდობილი მაღალი მისიისათვის. მარკოზ მახარებელი ამატებს, რომ ზეცად ამაღლებული უფალი ***დაჯდა მარჯუენით ღმრთისა.*** ეს იგავური გამოთქმაა, დაფუძნებული ზოგიერთ ხილვაზე (სქ. 7, 36), რაც ნიშნავს, რომ უფალმა კაცობრივად მიიღო ღმრთეებრივი ხელმწიფება მამა-ღმერთთან ერთად მთელ სამყაროზე, რადგან ბიბლიურ ენაზე მარჯვნით ჯდომა ნიშნავს ხელისუფლების გაზიარებას მასთან, ვინც მას თავის გვერდით ისვამს. სახარებას წმინდა მარკოზი ასრულებს იმის დამოწმებით, რომ იერუსალიმიდან გამოსულნი ***ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა,*** მთელ მსოფლიოში, ***უფლისა შეწევნითა და სიტყვსა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი შეუდგეს მას სასწაულნი,*** – ქადაგების სიტყვის ჭეშმარიტებას ამტკიცებდნენ სასწაულებით, რის შესახებაც დაწვრილებითაა გადმოცემული წიგნში „საქმე მოციქულთა“. ყველა სახარება სრულდება სიტყვით: ***ამენ,*** – რაც ნიშნავს: ჭეშმარიტად ასე იყო, როგორც აღწერილია სახარებაში.

დასრულდა სადიდებელად ღვთისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

ახალი ალთქმის წმინდა წიგნების
მიზანი და მათი შინაარსი 3
ახალი ალთქმის წიგნები და
მათი რიგითობა 3
ახალი ალთქმის წიგნების შინაარსი 5
ახალი ალთქმის წმინდა წიგნების დაყოფა
მათი შინაარსის მიხედვით 6
ახალი ალთქმის წმინდა წიგნების კანონის
ისტორია 7
ახალი ალთქმის წმინდა წიგნების ენა და
მათი ტექსტების ისტორია 12
ახალი ალთქმის წმინდა წიგნების დაწერის დრო 14
რატომ არის ოთხი სახარება? 16
მნიშვნელობა გამოთქმებისა: „მათეს სახარება“,
„მარკოზის სახარება“ და ა.შ. 19
ოთხი სახარების ურთიერთდამოკიდებულება
მათი შინაარსის მიხედვით 20
თითოეული სახარების ხასიათი და
თავისებურება 24
მათეს სახარება 24
მათეს სახარების შინაარსი თავების
მიხედვით ასეთია 28
მარკოზის სახარება 33

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარკოზის სახარების შინაარსი თავების
მიხედვით ასეთია 36
ლუკას სახარება 39
ლუკას სახარების შინაარსი თავების
მიხედვით ასეთია 43
იოანეს სახარება 48
იოანეს სახარების შინაარსი თავების
მიხედვით ასეთია 54
თანმიმდევრობითი განხილვა მთელი
წმინდა სახარების ოთხთავისა
მნიშვნელოვანი ადგილების
განმარტებით
შესავალი 58

ნაწილი I

ამქვეყნად მოსვლა უფლისა ჩვენისა
იესო ქრისტესი

სახარების წინასიტყვაობა: მისი საწმუნოობა
და მიზანი 61
ძე ღვთისას წინარესაუკუნეთა შობა და განკაცება 63
ქრისტეს წინამორბედის, იოანეს მუცლადღება 68
ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ხარება მისგან
ძე ღვთისას შობის შესახებ 71
ყოვლადწმიდა ქალწულის შეხვედრა ელისაბედთან 74
წმინდა იოანე ნათლისმცემლის შობა 76
უფალ იესო ქრისტეს გენეალოგია 79
ქრისტეს შობა 81

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალი იოსებისთვის უფლის განხორციელების
საიდუმლოს გაცხადება 82
ქრისტეს შობის დრო და ვითარება 84
უფლის წინდაცვეთა და მირქმა 92
მოგვების თაყვანისცემა 97
ეგვიპტეში გაქცევა. ჩვილთა მოწყვეტა. ნაზარეთში
დაბრუნება 101
ყრმობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 106

ნაწილი II

საზოგადოებრივი მსახურება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

საზოგადოებრივ მსახურებაზე გამოსვლა უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი და მისი ცხოვრების
მოვლენები პირველ პასექამდე 109
იოანე ნათლისმცემელი და მისი მოწმობა უფალ
იესო ქრისტეს შესახებ 109
ნათლისღება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 115
ორმოცდღიანი მარხვა და ეშმაკისგან გამოცდა 118
ქრისტეს პირველი მოწაფენი 124
პირველი სასწაული გალილეის კანას ქორწილში 129

იესო ქრისტეს საზოგადოებრივი მსახურების პირველი პასექი

მოვაჭრეთა გაძევება ტაძრიდან 131
უფალ იესო ქრისტეს საუბარი ნიკოდიმოსთან 136
წმინდა იოანე ნათლისმცემლის უკანასკნელი
მოწმობა იესო ქრისტეს შესახებ 143

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა იოანეს საპყრობილეში მოთავსება 147
უფლის წასვლა გალილეაში და მისი
საუბარი სამარიელ დედაკაცთან 149
ქრისტე მაცხოვრის მისვლა გალილეაში და
ქადაგების დაწყება 157
კანაში კარისკაცის ძის განკურნება 158
მეთევზეთა – პეტრე, ანდრიას, იაკობისა და
იოანეს მოწოდება სამოციქულო მსახურებისათვის 160
ქრისტეს ქადაგების ძალა და ეშმაკეულის
განკურნება კაპერნაუმის სინაგოგაში 161
პეტრეს სიდედრისა და სხვა მრავალთა განკურნება 164
უფლის ქადაგება და საქმენი გალილეაში 165
იესო ქრისტეს ქადაგება ნაზარეთის სინაგოგაში 166
კეთროვანის განკურნება 168
განრღვეულის განკურნება კაპერნაუმში 170
მათეს მოწოდება 173

უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივი ცხოვრების მეორე პასექი

განრღვეულის განკურნება ცხვრის საბანელთან 177
უფლის სწავლება მამა ღმერთთან მისი
თანასწორობის შესახებ, აგრეთვე, საყოველთაო
აღდგომისა და სამსჯავროს შესახებ 180
თავთავების კრეფა შაბათს 184
გამხმარხელიანის განკურნება შაბათს 186
მრავალრიცხოვანი ხალხის შეკრება უფლის
ირგვლივ და უხვი კურნება.

უფალი გაურბის აღიარებას და
წინასწარმეტყველება ამის შესახებ 187
თორმეტი მოკიქულის გამორჩევა 188
ქადაგება მთაზე 189
კეთროვანის განკურნება 212
კაპერნაუმელი ასისთავის მსახურის განკურნება 213
ნაინელი ქვრივის ძის აღდგინება 215
წმინდა იოანე ნათლისმცემლის ელჩობა უფალ
იესო ქრისტესთან და უფლის მოწმობა
იოანეს შესახებ 216
უკეთური ქალაქების მხილება, ღმერთის განდიდება
ჩვილებისათვის ჭეშმარიტების გაცხადებისათვის
და მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მოწოდება 219
ცოდვილი დედაკაცისთვის ცოდვების მიტევება
სიმონ-ფარისევლის სახლში 221
ეშმაკეულის განკურნება და ფარისეველთა მხილება
სულიწმიდის გმობისათვის 223
უფლის პასუხი იმათ, ვინც მისგან ნიშებ-სასწაულებს
ეძებენ 226
დედაკაცი აქებს ქრისტეს მშობელს; ქრისტე
პასუხობს მასსულიერი ნათესაობა უფალთან 228
უფალ იესო ქრისტეს მიერ იგავებით გადმოცემული
სწავლება ღვთის სასუფევლის შესახებ; იგავი
მთესვარის შესახებ 230
იგავი ღვარძლის შესახებ 234
იგავი უხილავად აღმოცენებული თესლის შესახებ 235

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგავი მდოგვის მარცვლის შესახებ 235
იგავი საფუარის შესახებ 236
იგავი ყანაში დაფლული განძის შესახებ 236
იგავი ძვირფასი მარგალიტის შესახებ 237
იგავი ზღვაში ნასროლი ბადის შესახებ 237
უფლის პასუხი იმას, ვინც მერყეობს, გაჰყვეს
თუ არა მას 240
ქარის შერისხვა ზღვაზე 242
ლეგიონი ეშმაკების განდევნა ღადარინის მხარეში 243
სისხლმდინარე დედაკაცის განკურნება და
იაირთსის ასულის აღდგენა 245
ორი ბრმისა და ეშმაკეული მუნჯის განკურნება 248
უფლის მეორედ მოსვლა ნაზარეთში 249
უფლის სვლა გალილეაში მოწაფეებთან და
რამდენიმე დედაკაცთან ერთად; მისი წუხილი
მომკალთა უკმარისობის გამო 251
ქრისტე აგზავნის თორმეტ მოციქულს საქადაგებლად 252
იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა 259
ხუთი ათასი კაცის სასწაულებრივი დაპურება 263
უფლის წყალზე სვლა და მრავალი ავადმყოფის
განკურნება 265
საუბარი ზეციური პურის შესახებ – ზიარების
საიდუმლო 267

უფალ იესო ქრისტეს
საზოგადოებრივი ცხოვრების მესამე პასექი

ფარისეველთა გადმოცემის მხილება 276

ქანანელი დედაკაცის ასულის განკურნება 280
ყრუ-ენაბლუსა და სხვა მრავალ სნეულთა განკურნება 282
ოთხი ათასი კაცის სასწაულებრივი დაპურება 284
ფარისეველთა მხილება, რომლებიც სასწაულებს
ითხოვდნენ, და მოწაფეთა გაფრთხილება
ფარისეველთა და სადუკეველთა საფუარისგან 284
ბრმის განკურნება ბეთსაიდაში 286
პეტრე მოციქული ყველა მოციქულის სახელით
აღიარებს იესო ქრისტეს ძედ ღვთისად 287
უფალი წინასწარმეტყველებს თავის სიკვდილსა და
აღდგომას, ასწავლის ჯვრის მტვირთველობას 291
ფერისცვალება იესო ქრისტესი 295
ეშმაკეული ყმაწვილის განკურნება; საუბარი რწმენის,
ლოცვისა და მარხვის მნიშვნელობაზე 298
საეკლესიო გადასახადის სასწაულებრივი გადახდა 302
საუბარი იმის შესახებ, თუ ვინ არის აღმატებული
ცათა სასუფეველში; უფალი მოწაფეების წინაშე
ყრმას წარადგენს 303
სასწაულები იესო ქრისტეს სახელით იმათ მიერაც
აღესრულებოდა, ვინც არ იყვნენ მისი მიმდევრები 305
სწავლება საცდურებთან ბრძოლის შესახებ 306
იგავი დაკარგული ცხვრის შესახებ;
შეცდომილთა შეგონებისა და საეკლესიო
სამსჯავროს შესახებ 309
წყენინების მიტევება და იგავი უმოწყალო მევალეზე 312

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტე უარს ამბობს იერუსალიმში წასვლაზე
კარვობის დღესასწაულზე თავის ძმებთან ერთად 314
სწავლება ქრისტეს ჭეშმარიტი მიმდევრების შესახებ 316
იგავი უძღებ შვილზე 318
იგავი მატყუარა მოურავის შესახებ 322
იგავი მდიდარსა და ლაზარეზე 324
სწავლება ქორწინებისა და ქალწულების
სიწმინდის შესახებ 327
საუბარი რწმენის ძალასა და მცნებების
შესრულების ვალდებულებაზე 330
ათი კეთროვანის განკურნება 332
საუბარი ღვთის საუფევლისა და ქრისტეს
მეორედ მოსვლის შესახებ 333
იგავი უსამართლო მოსამართლეზე 335
იგავი მეზვერესა და ფარისეველზე 336
ყრმების კურთხევა 337
მდიდარი ჭაბუკის შესახებ 338
მოციქულები, რომლებმაც ყოველივე დაუტევეს
ქრისტესთვის, მარადიულ ცხოვრებას დაიმკვიდრებენ 341
იგავი ვენახის მუშაკებზე, რომლებმაც ერთნაირი
გასამრჯელო მიიღეს 342
უფალი იმეორებს წინასწარმეტყველებას ვნებებისა
და აღდგომის შესახებ და პასუხობს თავის
სასუფეველში პირველობასთან დაკავშირებით
ზებედეს ძეთა შეკითხვას 345
ორი იერიქონელი ბრმის განკურნება 348

უფალი იესო ქრისტე სტუმრობს ზაქეს 349
იგავი ათი მნის ან ათი ტალანტის შესახებ 351
ლაზარეს აღდგინება 354
სინედრიონი იღებს უფალ იესო ქრისტეს
მოკვლის გადაწყვეტილებას 360
სერობა ბეთანიაში, ლაზარეს სახლში 362

III ნაწილი

მიწიერი ცხოვრების უკანასკნელი დღეები უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი

უფლის შესვლა იერუსალიმში 364
მოვაჭრეთა ტაძრიდან გამოძევება 370
დიდი ორშაბათი
უნაყოფო ლეღვის დაწყევლა 372
ელინების სურვილი, შეხვდნენ იესო ქრისტეს და
უფლის საუბარი ამასთან დაკავშირებით 373
დიდი სამშაბათი
გამხმარი ლეღვის ხე და სწავლება რწმენის
ძალის შესახებ 377
საუბარი ტაძარში: უფლის პასუხი უხუცესებს,
თუ ვისგან აქვს მას ხელმწიფება 378
იგავი ორი ძის შესახებ 379
იგავი ბოროტი მევენახეების შესახებ 380
იგავი მეფის ძის ქორწილში წვეულთა შესახებ 384
უფლის პასუხი კეისრისთვის ხარკის გადახდასთან
დაკავშირებით 386

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადუკეველთა შერცხვენა აღდგომის საკითხთან
დაკავშირებით 387
რგჲულში უპირატესი მცნებისა და მესიის
საღვთო ღირსების შესახებ 389
მხილებითი სიტყვა მწიგნობრებისა და ფარისევლების
წინააღმდეგ 391
ქვრივის მწვლილი 397
უფლის საუბარი მოწაფეებთან ელეონის მთაზე,
ძისი მეორედ მოსვლისა და სამყაროს
აღსასრულის შესახებ 398
იგავი ათი ქალწულის შესახებ 407
საშინელი სამსჯავროს შესახებ 408
დიდი ოთხშაბათი
მღვდელთმთავართა და უხუცესთა ბჭობა
ქრისტეს მოკვდინების შესახებ; სიმონ
კეთროვანის სახლში ცოდვილი დედაკაცის მიერ
უფლის ზეთისცხება; იუდას გამცემლობა 412
დიდი ხუთშაბათი
საიდუმლო სერობა 418
ფეხბანვა 424
უფალი აცხადებს გამცემის შესახებ 426
ევქარისტიის საიდუმლოს დაწესება 431
ცილობა მოწაფეთა შორის: ვინ-მე იყოს დიდ
მათ შორის? 435
უფლის გამოსამშვიდობებელი საუბარი თავის
მოწაფეებთან 436

გამოსამშვიდობებელი საუბრის გაგრძელება 446
იესო ქრისტეს მღვდელთმთავრული ლოცვა 454
გეთსიმანიის ღვაწლი: ლოცვა სასუმელის შესახებ 457
იესო ქრისტეს გაცემა: მისი შეპყრობა, პეტრეს
მახვილი და მოწაფეების გაქცევა 462
უფალი ანასა და კაიაფას სამსჯავროზე 466
პეტრეს მიერ უფლის უარყოფა 471
სინედრიონის განაჩენი 474
იუდა გამცემის დაღუპვა 476
უფალი იესო ქრისტე პილატეს სამსჯავროზე 480
უფლის მსვლელობა გოლგოთისკენ 497
ჯვარცმა 500
კეთილგონიერი ავაზაკის სინანული 505
ღვთისმშობელი ჯვართან 507
ქრისტეს სიკვდილი 508
უფლის საფლავად დადება 515

ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲘ

მენელსაცხებლე დედების მისვლა საფლავთან და
ანგელოზის გამოცხადება 520
უფალი გამოეცხადა მარიამ მაგდანელს და სხვა
მარიამს 525
იუდეველთა სიცრუე და მღვდელთმთავრების
მიერ უფლის საფლავის დაცვის მოსყიდვა 529
მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება
მოწაფეებს ემაუსის გზაზე 532

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება ათ
მოწაფეს თავისი აღდგომის დღეს 536
მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება
თერთმეტ მოწაფეს აღდგომიდან მერვე დღეს და
თომას ურწმუნოების გაფანტვა 540
მკვდრეთით აღმდგარი უფალი მოწაფეებს ეცხადება
ტიბერიის ზღვაზე 543
პეტრე მოციქულის აღდგენა მის სამოციქულო
ღირსებაში და მისი მოწამეობის
წინასწარმეტყველება 546
მკვდრეთით აღმდგარი უფალი ეცხადება თავის
მოწაფეებს გალილეის მთაზე 551
უფლის ამაღლება 554

წიგნი დაიბეჭდა
საქართველოს საპატრიარქოს სტამბაში
შ.პ.ს. „მეგობრობა“
ტელ: 591 81-87-98

ეროვნული
ბიბლიოთეკა